ი. სტალინი

თხზულებანი

11

იბეჭდება
საკავშირო
კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების)
ცენტრალური კომიტეტის
დადგენილებით

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

ИНСТИТУТ МАРКСА—ЭНГЕЛЬСА—ЛЕНИНА при ЦК ВКП(б)

И.В. СТАЛИН

СОЧИНЕНИЯ

★

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО ПОЛИТИЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
Москва · 1949

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი

ი. ბ. სტალინი

თხზულებანი

★

სახელგამი
პოლიტიკური ლიტერატურის სექტორი
თბილისი • 1950

ი. ბ. სტალინი

ტომი

II

1928 – მარტი 1929

წინასიტყვაობა

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეთერთმეტე ტომი შეიცავს 1928 წლის იანვრიდან 1929 წლის მარტამდე დაწერილ ნაწარმოებებს.

ამ პერიოდში ბოლშევიკურმა პარტიამ, ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაში მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით, დაძაბული მუშაობა გააჩაღა იმისათვის, რომ მოემზადებინა გლეხობის მშრომელი მასების გადაყვანა ერთპიროვნული მეურნეობის გზიდან საკოლმეურნეო სოციალისტური მეურნეობის გზაზე. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის იმ გეზის თანმიმდევრულად გატარებით, რომელიც საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობამ მიიღო, პარტიამ მოამზადა ყველა აუცილებელი პირობა კოლმეურნეობებში გლეხების მასობრივი შესვლისათვის.

როცა პარტია კულაკობის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა, მემარჯვენე კაპიტულანტთა მტრულმა ბუხარინულ-რიკოვულმა ჯგუფმა ნიღაბი ჩამოიხსნა და აშკარად გაილაშქრა პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ.

წერილში «ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს», სიტყვებში «მემარჯვენე საფრთხის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)», «ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)

მემარჯვენე გადახრის შესახებ», «ბუხარინის ჯგუფი და მემარჯვენე გადახრა ჩვენს პარტიაში», სტატიაში «აი სადამდე მივიდნენ» და სხვა ნაწარმოებებში ი. ბ. სტალინი ააშკარავებს მემარჯვენე გადახრის კულაკურ კონტრრევოლუციურ არსს, ამხილებს მემარჯვენე კაპიტულანტებისა და ტროცკისტული არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ძირგამომთხრელ საქმიანობას, მიუთითებს ორ ფრონტზე შეურიგებელი ბრძოლის საჭიროებაზე, მთავარ ცეცხლს მიმართავს რა მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ.

მოხსენებებში «ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის გაერთიანებული პლენუმის მუშაობის შესახებ», «საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ», საუბარში «პურის ფრონტზე», სიტყვებში «ინდუსტრიალიზაციისა და პურის პრობლემის შესახებ», «მუშათა და გლეხთა კავშირისა და საბჭოთა მეურნეობების შესახებ», საკავშირო ალკკ VIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში, გამოსვლაში «პურის დამზადებასა და სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე», სტატიაში «ლენინი და საშუალო გლეხთან კავშირის საკითხი» და სხვა ნაშრომებში ი. ბ. სტალინი განსაზღვრავს მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის, ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის განმტკიცების ძირითად გზებსა და საშუალებებს. ამ ნაწარმოებებში ი. ბ. სტალინი ასაბუთებს ინდუსტრიის, როგორც სოციალიზმის საფუძვლისა და ქვეყნის დაცვის საფუძვლის, განვითარების სწრაფი ტემპის საჭიროებას, აყენებს მუშათა კლასის წრიდან გამოსული ახალი, მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლების უნარის მქონე კადრების შექმნის ამოცანას. ი. ბ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს იმის აუცილებელ საჭიროებას, რომ ყო-

ველმხრივ გაიშალოს კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც კადრების აღზრდის ბოლშევიკური მეთოდი, როგორც საბჭოთა საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი განვითარებისა და ნაციონალურ საკითხში ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის დასაბუთებისადმი არის მიძღვნილი ნაწარმოები «ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი», რომელიც პირველად ქვეყნდება და სადაც ი. ბ. სტალინი აყენებს დებულებას ახალი, სოციალისტური ერების შესახებ, რომლებიც პირველად შეიქმნენ საბჭოთა კავშირში, გვიჩვენებს პრინციპულ განსხვავებას ბურჟუაზიულ ერებსა და სოციალისტურ ერებს შორის, ხაზგასმით აღნიშნავს სოციალისტური ერების დარაზმულობასა და სიცოცხლისუნარიანობას.

მეთერთმეტე ტომში შევიდა ი. ბ. სტალინის ცნობილი სიტყვა «წითელი არმიის სამი თავისებურების შესახებ», რომელშიც ნაჩვენებია წითელი არმიის ძალისა და ძლიერების წყაროები, დასახულია მისი შემდგომი განმტკიცების გზები.

საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის საკითხები და მოძმე კომუნისტური პარტიების ამოცანები გაშუქებულია მოხსენებაში «საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ», სიტყვებში «კომინტერნის პროგრამის შესახებ», «მემარჯვენე საფრთხის შესახებ გერმანიის კომპარტიაში». ი. ბ. სტალინი ხაზგასმით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის საერთაშორისო მნიშვნელობას. ი. ბ. სტალინი განმარტავს, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ახალი ეკონომიური პოლიტიკა (ნეპი) გარდუვალი ფაზაა სოციალისტური რევოლუციისა **ყველა ქვეყანაში**.

მეთერთმეტე ტომში პირველად ქვეყნდება ი. ბ. სტალინის შემდეგი 14 ნაშრომი: «პურის დამზადებასა და სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე»; «დამზადების კამპანიის პირველი შედეგები და პარტიის შემდგომი ამოცანები»; «ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს»; «კომინტერნის პროგრამის შესახებ»; «ინდუსტრიალიზაციისა და პურის პრობლემის შესახებ»; «მუშათა და გლეხთა კავშირისა და საბჭოთა მეურნეობების შესახებ»; «წერილი ამხ. კუიბიშევს»; «პასუხი ამხ. შ — ს»; «პასუხი კუშტისევს»; «აი სადამდე მივიდნენ»; «ბუხარინის ჯგუფი და მემარჯვენე გადახრა ჩვენს პარტიაში»; «პასუხი ბილ-ბელოცერკოვსკის»; «დეპეშა პროსკუროვში»; «ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი».

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

1928–ის ანგარიში 1929

პურის დამზადებასა და სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე

1928 წლის იანვრის გამოსვლებიდან ციმბირის სხვადასხვა რაიონში [1]

(მოკლე ჩანაწერი)

თქვენთან ციმბირში მოკლე ვადით ვარ მოვლინებული. დავალებული მაქვს დაგეხმაროთ პურის დამზადების გეგმის შესრულების საქმეში. აგრეთვე დავალებული მაქვს თქვენთან ერთად განვიხილო საკითხი სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივების შესახებ, თქვენს მხარეში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაშლის გეგმის შესახებ.

თქვენ ალბათ იცით, რომ ჩვენი ქვეყნის პურის ბალანსში წელს გვაქვს 100 მილიონ ფუთზე მეტი მარცვლეულის დანაკლისი, დეფიციტი. ამასთან დაკავშირებით მთავრობას და ცენტრალურ კომიტეტს დასჭირდათ მაგარი ზომების მიღება პურის დასამზადებლად ყველა ოლქსა და მხარეში, რათა შეივსოს ეს ხარვეზი ჩვენს პურის ბალანსში. დეფიციტის დაფარვა საჭირო იქნება უწინარეს ყოვლისა უხვმოსავლიანი ოლქებისა და მხარეების ხარჯზე, რათა მათ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ პურის დამზადების გეგმა.

თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რის გამოწვევა შეუძლია დეფიციტს, თუ იგი ლიკვიდირებული არ იქნება. იგი იმას

გამოიწვევს, რომ ჩვენი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები, აგრეთვე ჩვენი წითელი არმია მძიმე მდგომარეობაში იქნებიან ჩაყენებული, მათი მომარაგება ცუდი იქნება, მათ შიმშილის საფრთხე დაემუქრება. გასაგებია, რომ ამას ჩვენ ვერ დავუშვებთ.

თქვენ რას ფიქრობთ ამაზე, რა ზომების მიღებას აპირებთ, რომ შეასრულოთ თქვენი მოვალეობა ჩვენი ქვეყნის წინაშე? მე შემოვიარე თქვენი მხარის რაიონები და შესაძლებლობა მქონდა დავრწმუნებულიყავი, რომ თქვენი ადამიანები სერიოზულად არ ზრუნავენ იმისათვის, რომ დაეხმარონ ჩვენს ქვეყანას თავი დააღწიოს პურის კრიზისს. თქვენში მოსავალი უხვია, შეიძლება ითქვას, უმაგალითოა. ჭარბი პური წელს მეტი გაქვთ, ვიდრე ოდესმე გქონიათ, პურის დამზადების გეგმა კი არ სრულდება. რატომ, რა საფუძვლით?

თქვენ ამბობთ, პურის დამზადების გეგმა დაძაბულია, მისი შესრულება შეუძლებელიაო. რატომ არის შეუძლებელი, საიდან აიღეთ ეს? განა ფაქტი არ არის, რომ წელს თქვენში მოსავალი მართლაც უმაგალითოა? განა ფაქტი არ არის, რომ წელს პურის დამზადების გეგმა ციმბირში თითქმის ისეთივეა, როგორც შარშან იყო? მაშ რატომ მიგაჩნიათ, რომ გეგმის შესრულება შეუძლებელია? შეხედეთ კულაკურ მეურნეობებს: იქ ბეღლები და ფარდულები პურით არის სავსე, შესანახავი ადგილების ნაკლებობის გამო პური ღია ფარდულებს ქვეშ უყრიათ, კულაკურ მეურნეობებში ჭარბი პური 50 — 60 ათას ფუთობით აქვთ თვითეულ მეურნეობაზე, თუ არ ჩავთვლით სათესლე, სასურსათო, პირუტყვის საკვებ მარაგს, თქვენ კი ამბობთ, პურის დამზადების გეგმის შესრულება შეუძლებელიაო. საიდან დაგებადათ ასეთი პესიმიზმი?

თქვენ ამბობთ, კულაკებს არ სურთ პური ჩააბარონ, ისინი ფასების აწევას ელიან და ამჯობინებენ აღვირახსნილ

სპეკულაციას ეწეოდნენო. ეს მართალია. მაგრამ კულაკები ფასების მარტო აწევას კი არ ელიან, არამედ მოითხოვენ ფასების ერთისამად გადიდებას სახელმწიფო ფასებთან შედარებით. ხომ არ ფიქრობთ, რომ შეიძლება კულაკების დაკმაყოფილება? ღარიბმა გლეხობამ და საშუალო გლეხების მნიშვნელოვანმა ნაწილმა სახელმწიფოს უკვე ჩააბარეს პური სახელმწიფო ფასებში. განა შეიძლება დავუშვათ, რომ სახელმწიფო ერთისამად მეტს აძლევდეს პურში კულაკებს, ვიდრე ღარიბ და საშუალო გლეხებს? საკმარისია დააყენოთ ეს საკითხი, რომ მიხვდეთ კულაკების მოთხოვნათა დაკმაყოფილების მთელ დაუშვებლობას.

თუ კულაკები აღვირახსნილ სპეკულაციას ეწევიან პურის ფასებზე, რატომ პასუხისგებაში არ აძლევთ მათ სპეკულაციისათვის? განა არ იცით, რომ არსებობს კანონი სპეკულაციის წინააღმდეგ — რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 107 მუხლი, რომლის ძალითაც სპეკულაციაში დამნაშავენი პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე, ხოლო საჭონელი კონფისკაციის წესით ჩამორთმეულ უნდა იქნას სახელმწიფოს სასარგებლოდ? რატომ არ იყენებთ ამ კანონს პურის სპეკულანტების წინააღმდეგ? ნუთუ ბატონ კულაკების მყუდროების დარღვევისა გეშინიათ?!

თქვენ ამბობთ, რომ კულაკების წინააღმდეგ 107 მუხლის გამოყენება საგანგებო ღონისძიებაა, რომ იგი კარგ შედეგს არ მოგვცემს, რომ იგი გააუარესებს მდგომარეობას სოფლად. ამას განსაკუთრებით ამბ. ზაგუმენნი ამტკიცებს. დავუშვათ, რომ ეს საგანგებო ღონისძიება იქნება. მერე აქედან რა გამომდინარეობს? სხვა მხარეებსა და ოლქებში 107 მუხლის გამოყენებამ რატომ მოგვცა საუცხოო შედეგი, დარაზმა მშრომელი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების გარშემო და გააუმჯობესა მდგომარეობა სოფლად, ხოლო თქვენში, ციმბირში, მან ვითომდა ცუდი შედეგი უნდა

მოგვცეს და მდგომარეობა გააუარესოს? რატომ, რა საფუძვლით?

თქვენ ამბობთ, რომ თქვენი საპროკურორო და სასამართლო ხელისუფლება მომზადებული არ არის ამ საქმისათვის. მაგრამ სხვა მხარეებსა და ოლქებში საპროკურორო და სასამართლო ხელისუფლება რატომ აღმოჩნდა მომზადებული და სავსებით წარმატებით მოქმედებს, ხოლო თქვენში იგი მომზადებული არ არის სპეკულანტების მიმართ 107 მუხლის გამოყენების საქმისათვის? ვინ არის ამაში დამნაშავე? ცხადია, დამნაშავე არიან თქვენი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც, როგორც ჩანს, ცუდად მუშაობენ და არ ცდილობენ მიაღწიონ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის კანონები კეთილსინდისიერად სრულდებოდეს. მე ვნახე თქვენი საპროკურორო და სასამართლო ხელისუფლების რამდენიმე ათეული წარმომადგენელი. ისინი თითქმის ყველანი კულაკებთან ცხოვრობენ, კვებაზე კულაკებთან არიან გარიგებული და, რა თქმა უნდა, ცდილობენ კულაკებთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდეთ. ჩემს შეკითხვაზე მათ მიპასუხეს, კულაკებს ბინებიც უფრო სუფთა აქვთ და უკეთესადაც გვაჭმევენო. გასაგებია, რომ საპროკურორო და სასამართლო ხელისუფლების ასეთ წარმომადგენელთაგან არ შეიძლება ველოდეთ რაიმე სახეიროსა და სასარგებლოს საბჭოთა სახელმწიფოსათვის. ოღონდ გაუგებარია, ეს ვაჟბატონები რატომ დღემდე არ არიან გაწმენდილი და სხვა, პატიოსანი მუშაკებით შეცვლილი.

წინადადებას გაძლევთ:

ა) მოსთხოვოთ კულაკებს მთელი ჭარბი პურის დაუყოვნებლივ ჩაბარება სახელმწიფო ფასებში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ კულაკები უარს იტყვიან კანონს დაემორჩილონ, — მისცეთ ისინი სასამართლო პასუხისგებაში რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 107 მუხლის

შესაბამისად და ჩამოართვათ მათ ჭარბი პური სახელმწიფოს სასარგებლოდ იმ პირობით, რომ ჩამორთმეული პურის 25 პროცენტი განაწილებულ იქნას ღარიბ გლეხებსა და ხელმოკლე საშუალო გლეხებს შორის დაბალ სახელმწიფო ფასებში ან გრძელვადიანი კრედიტის წესით.

რაც შეეხება თქვენი საპროკურორო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, ყველა უვარგისი მოხსნათ პოსტებიდან და შეცვალოთ პატიოსანი, კეთილსინდისიერი საბჭოთა ადამიანებით.

თქვენ მალე დაინახავთ, რომ ამ ღონისძიებებს საუცხოო შედეგი მოჰყვება და თქვენ შესძლებთ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულოთ პურის დამზადების გეგმა.

მაგრამ საქმე ამით როდი ამოიწურება. ეს ღონისძიებანი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ გამოასწოროთ წლევანდელი მდგომარეობა. მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ კულაკების მხრივ პურის დამზადების საბოტაჟი მომავალ წელს არ განმეორდება. უფრო მეტიც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სანამ კულაკები არსებობენ, პურის დამზადების საბოტაჟიც იარსებებს. პურის დამზადება ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელ საფუძველზე რომ იქნას დაყენებული, ამისთვის საჭიროა სხვა ღონისძიებანი. სახელდობრ რა ღონისძიებანი? მე მხედველობაში მაქვს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაშლა.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, როგორც თქვენ იცით, მსხვილი მეურნეობებია, რომლებსაც შეუძლიათ გამოიყენონ ტრაქტორები და მანქანები. ისინი უფრო მეტად არიან სასაქონლო მეურნეობანი, ვიდრე მემამულეთა და კულაკთა მეურნეობანი. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ქალაქები და ჩვენი მრეწველობა იზრდებიან და წლითი-წლობით გაიზრდებიან. ეს საჭიროა

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. მაშასადამე, წლითი-წლობით გაიზრდება პურის მოთხოვნილება, და ამიტომ გაიზრდება პურის დამზადების გეგმებიც. ჩვენს ინდუსტრიას კულაკების ჭირვეულობაზე დამოკიდებულს ვერ გავხდით. ამიტომ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ უახლოესი სამი-ოთხი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, როგორც პურის ჩამბარებლებს, შეეძლოთ მისცენ სახელმწიფოს საჭირო პურის ერთი მესამედი მაინც. ეს უკანა რიგში დააყენებდა კულაკებს და საფუძველს შექმნიდა იმისათვის, რომ მუშები და წითელი არმია ცოტად თუ ბევრად წესიერად მოგვემარაგებინა პურით. მაგრამ ამის მისაღწევად საჭიროა უაღრესად ფართოდ, ძალღონისა და სახსრების დაუზოგავად, გავშალოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა. ეს შეიძლება გავაკეთოთ, და ეს უნდა გავაკეთოთ.

მაგრამ არც ეს არის ყველაფერი. ჩვენი ქვეყანა მარტო დღევანდელი დღით ვერ იცხოვრებს. უნდა ვიფიქროთ აგრეთვე ხვალინდელ დღეზე, ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე, ბოლოს, — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ბედზე. პურის პრობლემა სოფლის მეურნეობის პრობლემის ნაწილია, ხოლო სოფლის მეურნეობის პრობლემა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პრობლემის შემადგენელი ნაწილია. სოფლის მეურნეობის ნაწილობრივი კოლექტივიზაცია, რომელზეც ეს არის ვილაპარაკე, საკმარისია იმისათვის, რომ ცოტად თუ ბევრად წესიერად მოვამარაგოთ პურით მუშათა კლასი და წითელი არმია, მაგრამ იგი სრულიად არ არის საკმარისი იმისათვის:

ა) რომ მტკიცე ბაზაზე დავაყენოთ მთელი ჩვენი ქვეყნის სავსებით საკმარისი მომარაგება სურსათით და უზრუნველვყოთ სურსათის საჭირო რეზერვები სახელმწიფოს ხელში,

ბ) რომ მივაღწიოთ სოციალისტური წყობილების გამარჯვებას სოფლად, მიწათმოქმედებაში.

ამჟამად საბჭოთა წყობილება დამყარებულია ორ სხვადასხვაგვარ საფუძველზე: გაერთიანებულ **სოციალიზებულ** მრეწველობაზე და **ინდივიდუალურ** წვრილგლეხურ მეურნეობაზე, რომელსაც საფუძვლად უდევს წარმოების საშუალებათა **კერძო** საკუთრება. შეუძლია თუ არა საბჭოთა წყობილებას დიდხანს იყოს დამყარებული ასეთ სხვადასხვაგვარ საფუძვლებზე? არა, არ შეუძლია.

ლენინი ამბობდა, სანამ ქვეყანაში ჭარბობს ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა, რომელიც კაპიტალისტებსა და კაპიტალიზმს წარმოშობს, კაპიტალიზმის რესტავრაციის საფრთხე იარსებებსო. გასაგებია, რომ სანამ ასეთი საფრთხე არსებობს, არ შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებაზე.

მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილების განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის სრულიად არ არის საკმარისი მარტო მრეწველობის სოციალიზაცია. ამისათვის საჭიროა მრეწველობის სოციალიზაციიდან მთელი სოფლის მეურნეობის სოციალიზაციაზე გადასვლა.

ხოლო ეს რას ნიშნავს?

ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, რომ საჭიროა თანდათანობით, მაგრამ განუხრელად ვაერთიანებდეთ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებს, რომლებიც ყველაზე ნაკლებად არიან სასაქონლო მეურნეობანი, — კოლექტიურ მეურნეობებად, კოლმეურნეობებად, რომლებიც ყველაზე მეტად არიან სასაქონლო მეურნეობანი.

მეორეც, ეს ნიშნავს, რომ საჭიროა ჩვენი ქვეყნის უკლებლივ ყველა რაიონი დავფაროთ კოლმეურნეობებით (და საბჭოთა მეურნეობებით), რომლებსაც უნარი ექნებათ

შეცვალონ, როგორც სახელმწიფოსათვის პურის ჩამბარებელი, არა მარტო კულაკები, არამედ ინდივიდუალური გლეხებიც.

მესამეც, ეს ნიშნავს აღმოვფხვრათ ყველა წყარო, რომელიც კაპიტალისტებსა და კაპიტალიზმს წარმოშობს, და მოვსპოთ კაპიტალიზმის რესტავრაციის შესაძლებლობა.

მეოთხეც, ეს ნიშნავს შევქმნათ მტკიცე ბაზა მთელი ჩვენი ქვეყნის შეუფერხებელი და უხვი მომარაგებისათვის არა მარტო პურით, არამედ სხვა სახის სურსათითაც და სახელმწიფოსათვის უზრუნველვყოთ საჭირო რეზერვები.

მეხუთეც, ეს ნიშნავს შევქმნათ ერთიანი და მტკიცე სოციალისტური ბაზა საბჭოთა წყობილებისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ბოლოს, ეს ნიშნავს იმას, რომ უზრუნველვყოთ სოციალისტური მშენებლობის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში.

ასეთია ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები.

ასეთია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ამოცანა.

ამოცანა რთული და ძნელი, მაგრამ სავსებით განსახორციელებელი, ვინაიდან სიძნელეები იმისათვის არსებობენ, რომ გადავლახოთ და დავძლიოთ ისინი.

ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ შემდეგში ჩვენ წარმატება ვეღარ გვექნება წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ბაზაზე, რომ მიწათმოქმედებაში გვესაჭიროება მსხვილი მეურნეობები, რომლებსაც შეეძლებათ მანქანები გამოიყენონ და საქონლის ყველაზე დიდი გამოსავლიანობა მოგვცენ. არსებობს ორი გზა მიწათმოქმედებაში მსხვილი მეურნეობების შესაქმნელად: **კაპიტალისტური** გზა, რაც ხორციელდება გლეხების მასობრივი გაღატაკებისა და მსხვილი კაპიტალისტური მამულების შექმნის საშუალებით, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ

შრომას, და **სოციალისტური** გზა, რაც ხორციელდება წვრილი გლეხური მეურნეობების მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანების საშუალებით, — გლეხების გაუღატაკებლად და შრომის ექსპლოატაციის გარეშე. ჩვენმა პარტიამ აირჩია მიწათმოქმედებაში მსხვილ მეურნეობათა შექმნის სოციალისტური გზა.

ლენინმა ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე, ხოლო შემდეგ გამარჯვებისთანავე პარტიას დაუსახა წვრილი გლეხური მეურნეობების მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად გაერთიანების ამოცანა, როგორც ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივა და როგორც სოფლად, მიწათმოქმედებაში სოციალიზმის გამარჯვების გადამწყვეტი საშუალება.

ლენინი აღნიშნავდა, რომ:

ა) «წვრილი მეურნეობის სისტემას სასაქონლო წარმოების დროს **არ ძალუძს** იხსნას კაცობრიობა მასების სიღატაკისა და მათი ჩაგვრისაგან» (ტ. XX, გვ. 122 [2]);

ბ) «თუ ჩვენ ძველებურად ვისხდებით წვრილ მეურნეობებში, თუნდაც თავისუფალ მოქალაქეებად თავისუფალ მიწაზე, სულ ერთია გარდუვალი დაღუპვა გვემუქრება» (ტ. XX, გვ. 417 [3]);

გ) «მხოლოდ საერთო, არტელური, ამხანაგური შრომის დახმარებით შეგვიძლია გამოვიდეთ იმ ჩიხიდან, რომელშიც იმპერიალისტურმა ომმა მოგვამწყვდია» (ტ. XXIV, გვ. 537).

ლენინი შემდეგ აღნიშნავს:

«მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ საქმით **ვუჩვენოთ** გლეხებს მიწის საზოგადოებრივი, კოლექტიური, ამხანაგური, არტელური დამუშავების უპირატესობანი, მხოლოდ მაშინ, თუ შევძლებთ დავეხმაროთ გლეხს, ამხანაგური, არტელური მეურნეობის შემწეობით, მხოლოდ მაშინ მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება, ნამდვილად დაუმტკიცებს გლეხს თავის სიმართლეს, ნამდვილად მიიმხრობს მტკიცედ და ჯეროვნად გლეხობის მრავალმილიონიან მასას. ამიტომ ძნელია ამხანაგური, არტელური მიწათმოქმედების ხელშემწყობ ყოველგვარ წამოწყებათა მნიშვნელობის გადაჭარ-

ბებით შეფასება. ჩვენ მილიონობით გვაქვს გაფანტული, მიყრუებულ სოფლებში დაქსაქსული, ცალკეული მეურნეობანი... მხოლოდ მაშინ, როცა **პრაქტიკულად**, გლეხებისათვის გასაგები **გამოცდილებით, დამტკიცებული** იქნება, რომ ამხანაგურ, არტელურ მიწათმოქმედებაზე გადასვლა საჭირო და შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება ვთქვათ, რომ ისეთ უზარმაზარ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, სოციალისტური მიწათმოქმედების გზაზე გადადგმულია სერიოზული ნაბიჯი» * (ტ. XXIV, გვ. 579 — 580).

ასეთია ლენინის მითითებანი.

ლენინის ამ მითითებათა მიხედვით, ჩვენი პარტიის XV ყრილობამ [4] თავის რეზოლუციაში «სოფლად მუშაობის შესახებ» დაადგინა:

«ახლანდელ პერიოდში წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების მსხვილ კოლექტივებად გაერთიანებისა და გარდაქმნის ამოცანა დასახულ უნდა იქნას როგორც პარტიის **ძირითადი ამოცანა** სოფლად» [5].

ასეთია, ამხანაგებო, საქმის ვითარება ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის სოციალიზაციის საკითხის მხრივ.

ჩვენი მოვალეობაა — შევასრულოთ ეს მითითებანი.

იბეჭდება პირველად.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

დამზადების კამპანიის პირველი შედეგები და პარტიის შემდგომი ამოცანები

საკავშირო კ. პ. (ბ) ყველა ორგანიზაციას

თვენახევრის წინათ, 1928 წლის იანვრისათვის, პურის დამზადებაში უაღრესად სერიოზული კრიზისი გვქონდა. თუ 1927 წლის იანვრისათვის ჩვენ მოვასწარით დაგვემზადებინა 428 მილიონი ფუთი მარცვლეული, 1928 წლის იანვრისათვის მარცვლეულის დამზადებამ ძლივს მიაღწია 300 მილიონ ფუთს. მაშასადამე, 1928 წლის იანვრისათვის 1927 წლის იანვართან შედარებით 128 მილიონი ფუთი დეფიციტი, დანაკლისი გვქონდა. სწორედ ეს დანაკლისი შეადგენს პურის დამზადების კრიზისის დაახლოებითს ციფრობრივ გამოხატულებას.

რას ნიშნავს პურის დამზადების კრიზისი, როგორია მისი აზრი, როგორია მისი შესაძლო შედეგები?

უწინარეს ყოვლისა, ეს ნიშნავს მუშათა რაიონების მომარაგების კრიზისს, ამ რაიონებში პურის ფასების აწევას, მუშათა რეალური ხელფასის ჩაშლას.

მეორეც, ეს ნიშნავს წითელი არმიის მომარაგების კრიზისს, წითელარმიელთა შორის უკმაყოფილებას.

მესამეც, ეს ნიშნავს სელისა და ბამბის რაიონების მომარაგების კრიზისს, პურის სპეკულაციურ ფასებს ამ რაიონებში, მესელეებისა და მებამბეების გადასვლას პურის

მოყვანაზე, — მაშასადამე, ბამბისა და სელის მოყვანის შემცირებას, რაც გამოიწვევს საფეიქრო მრეწველობის სათანადო დარგების შემცირებას.

მეოთხეც, ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს არ ექნება პურის რეზერვები, რაც საჭიროა როგორც ქვეყნის შიგნით მოხმარებისათვის (მოუსავლობის შემთხვევაში), ისე ექსპორტისათვის, რომელიც აუცილებელია მოწყობილობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოსატანად.

ბოლოს, ეს ნიშნავს ფასების მთელი ჩვენი პოლიტიკის ჩაშლას, პურის პროდუქტების ფასების სტაბილურობის პოლიტიკის ჩაშლას, სამრეწველო საქონლის ფასების სისტემატური შემცირების პოლიტიკის ჩაშლას.

ამ სიძნელეებისათვის თავი რომ დაგვეღწია, საჭირო იყო აგვენაზღაურებინა დანაკარგი და მოგვესპო 128 მილიონი ფუთი დეფიციტი, რაც დამზადებაში გვქონდა. ხოლო ეს დეფიციტი რომ მოგვესპო, უნდა აგვემოძრავებინა პარტიისა და მთავრობის ყველა ბერკეტი, გამოგვეღვიძებინა ორგანიზაციები, პარტიის საუკეთესო ძალები თავიდან ბოლომდე დამზადების ფრონტზე გადაგვეყვანა და რაც უნდა დაგვჭდომოდა გაგვეძლიერებინა დამზადება, ბოლომდე გამოგვეყენებინა გზების გაფუჭებამდე დარჩენილი მცირე ვადა.

სწორედ ამ მიზნით იყო მიცემული საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორი პირველი დირექტივა პურის დამზადების შესახებ (პირველი — 14. XII. 1927 წ. და მეორე — 24. XII. 1927 წ.). მაგრამ იმის გამო, რომ ამ დირექტივებმა გავლენა ვერ მოახდინეს, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი იძულებული შეიქნა 1928 წლის 6 იანვარს მოეცა მესამე დირექტივა, რომელიც სრულიად განსაკუთრებული იყო როგორც თავისი კილოთი, ისე თავისი მოთხოვნებით. ეს დირექტივა თავდება მუქარით პარ-

ტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ იმ შემთხვევაში, თუ ისინი უმოკლეს ხანში არ მიაღწევენ გადამწყვეტ გარდატეხას პურის დამზადების საქმეში. გასაგებია, რომ ასეთი მუქარისათვის მიმართვა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მით უმეტეს, რომ პარტორგანიზაციების მდივნები მუშაობენ არა სამსახურისათვის, არამედ რევოლუციისათვის. მაგრამ ცენტრალურმა კომიტეტმა მაინც საჭიროდ ჩათვალა გადაედგა ეს ნაბიჯი იმ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, რომლებზეც ზემოთ იყო ლაპარაკი.

მთელი რიგი მიზეზებიდან, რომლებმაც პურის დამზადების კრიზისი განსაზღვრეს, საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

პირველი. იზრდება და მდიდრდება სოფელი. გაიზარდა და გამდიდრდა, უწინარეს ყოვლისა, კულაკი. სამ მოსავლიან წელს ფუჭად როდი ჩაუვლია. ჭარბი პური წელს ნაკლები არ არის, ვიდრე შარშან იყო, ისევე როგორც სამრეწველო საქონელი ჩვენს ქვეყანაში წელს შარშანდელზე ნაკლები კი არა, მეტიც არის. მაგრამ სოფლის შეძლებულ ფენებს წელს შესაძლებლობა მიეცათ ხელი მოენაცვლებინათ ნედლეული კულტურებით, ხორცის პროდუქტებით და სხვ. და შემოენახათ პურის პროდუქტები იმისათვის, რომ გაედიდებინათ მათი ფასები. მართალია, კულაკი არ შეიძლება ჩაითვალოს პურის პროდუქტების ძირითად მქონებლად, მაგრამ იგი სოფლად სამეურნეო ავტორიტეტია, მას კავშირი აქვს ქალაქელ სპეკულანტთან, რომელიც პურში მეტ ფასს იძლევა, და კულაკს შესაძლებლობა აქვს გაიყოლიოს საშუალო გლეხი პურის ფასების გადიდების საკითხში, ფასების საბჭოთა პოლიტიკის ჩაშლის საკითხში, რამდენადაც იგი წინააღმდეგობას არ ხვდება ჩვენი დამამზადებელი ორგანიზაციების მხრივ.

მეორე. ჩვენი დამამზადებელი ორგანიზაციები მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ. ჩვენმა დამამზადე-

ბელმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ბოროტად იყენებენ ბონიფიკაციას და ფასის ყოველგვარ «კანონიერ» დანარიცხებს, ნაცვლად იმისა, რომ სპეკულაცია აელაგმათ, გააფთრებული კონკურენცია დაიწყეს ურთიერთშორის, ძირს უთხრიდნენ დამამზადებელთა ერთიან ფრონტს, ბერავდნენ პურის ფასებს და უნებლიეთ ეხმარებოდნენ სპეკულანტებსა და კულაკებს ფასების საბჭოთა პოლიტიკის ჩაშლაში, ბაზრის გაუარესებაში, დამზადების შემცირებაში. მართალია, პარტიას შეეძლო საქმეში ჩარევით ბოლო მოეღო ამ ნაკლოვანებათათვის. მაგრამ მან, შარშანდელი დამზადების წარმატებებით გაბრუებულმა და დისკუსიით[6] გართულმა, გვერდი აუარა ამ ნაკლოვანებებს იმ იმედით, რომ თვითდინება ყველა ნაკლოვანებას დაფარავდა. უფრო მეტიც, მთელი რიგი პარტორგანიზაციები დამზადების საქმეს მოეკიდნენ ფორმალურად, როგორც მათთვის უცხო საქმეს, დაივიწყეს, რომ მუშათა კლასის წინაშე პასუხისმგებლობა დამზადების ნაკლოვანებათათვის, ისევე როგორც ყველა და ყოველგვარი სამეურნეო და კოოპერაციული ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათათვის, ეკისრება, უწინარეს ყოვლისა, პარტიას.

მესამე. სოფლად ჩვენი მუშაობის ხაზი მთელ რიგ რაიონებში დამახინჯებული აღმოჩნდა. პარტიის ძირითადი ლოზუნგი — «დაეყრდენი ღარიბ გლეხობას, მოაწყე მტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან, ერთი წუთითაც ნუ შეწყვეტ ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ» — ხშირად არასწორად ხორციელდებოდა. თუ პარტორგანიზაციებმა ისწავლეს საშუალო გლეხთან კავშირის მოწყობა, რაც პარტიისათვის უდიდესი მონაპოვარია, სამაგიეროდ მათ ჯერ კიდევ ყველგან როდი მოაგვარეს ღარიბ გლეხობასთან მუშაობა. რაც შეეხება კულაკობასთან და კულაკურ საფრთხესთან ბრძოლას, ამ დარგში ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ გაუკეთებიათ ყოველივე ის, რაც

უნდა გაეკეთებინათ. სხვათა შორის, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენს როგორც პარტიულ, ისე სხვა ორგანიზაციებში უკანასკნელ ხანს გაჩნდნენ გარკვეული, პარტიისათვის უცხო, ელემენტები, რომლებიც ვერ ხედავენ კლასებს სოფლად, რომლებსაც არ ესმით ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის საფუძვლები და ცდილობენ ისე ეწეოდნენ მუშაობას, რომ არავის აწყენინონ სოფლად, მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდეთ კულაკთან და საერთოდ შეინარჩუნონ პოპულარობა სოფლის «ყველა ფენაში». გასაგებია, რომ სოფლად ასეთი «კომუნისტების» არსებობა ხელს ვერ შეუწყობდა სოფლად ჩვენი მუშაობის გაუმჯობესებას, კულაკობის ექსპლოატატორული მიდრეკილების შეზღუდვასა და პარტიის გარშემო ღარიბი გლეხობის დარაზმვას.

შემდეგ. იანვრამდე გლეხობის გადამხდელუნარიანი მოთხოვნილება შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა იმის გამო, რომ გადიდდა გლეხების შემოსავალი, მიღებული არამარცვლეული სასოფლო-სამეურნეო კულტურებით, მეცხოველეობითა და გარესამუშაოებით, ამასთან, სოფლად გაგზავნილი სამრეწველო საქონლის მასის გადიდების მიუხედავად, ფასეულობითი გამოხატულებით ადგილი ჰქონდა საქონლის მიწოდების ერთგვარ შემცირებას, ე. ი. საქონლის მიწოდების ჩამორჩენას გადამხდელუნარიანი მოთხოვნილების ზრდისაგან.

ყველაფერმა ამან, ჩვენი მუშაობის ისეთ შეცდომებთან შეერთებულმა, როგორიც იყო სამრეწველო საქონლის დაგვიანებით შეზიდვა სოფლად, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არასაკმაო სიდიდე, სოფლიდან ჭარბი ფულის ამოღების უნარის უქონლობა და სხვ., — შექმნა პირობები, რომლებმაც პურის დამზადების კრიზისი გამოიწვიეს.

თავისთავად გასაგებია, რომ პასუხისმგებლობა ამ შეცდომებისათვის ეკისრება უწინარეს ყოვლისა ცენტრალურ

კომიტეტს, და არა მარტო პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს.

კრიზისის აღმოსაფხვრელად საჭირო იყო, უწინარეს ყოვლისა, ფეხზე დაგვეყენებინა პარტიული ორგანიზაციები, მიგვეთითებინა მათთვის, რომ დამზადების საქმე მთელი პარტიის საქმეა.

მეორეც, საჭირო იყო აგველაგმა სპეკულაცია და გაგვეჯანსაღებინა ბაზარი სპეკულანტისა და კულაკობის სპეკულანტური ელემენტებისათვის ლახვრის ჩაცემით, რისთვისაც უნდა გამოგვეყენებინა მასობრივი მოხმარების საქონლით სპეკულაციის წინააღმდეგ მიმართული საბჭოთა კანონები.

მესამეც, საჭირო იყო ამოგვექაჩა სოფლიდან ჭარბი ფული, რისთვისაც უნდა გამოგვეყენებინა თვითდაბეგვრის, საგლეხო სესხის კანონები, აგრეთვე არაყის ფარულად გამოხდის წინააღმდეგ ბრძოლის კანონი.

მეოთხეც, საჭირო იყო პარტორგანიზაციების კონტროლქვეშ დაგვეყენებინა ჩვენი დამამზადებელი ორგანიზაციები, შეგვეწყვეტინებინა მათთვის ურთიერთკონკურენცია და ვალდებული გაგვეხადა გაეტარებინათ ფასების საბჭოთა პოლიტიკა.

ბოლოს, საჭირო იყო ბოლო მოგვეღო სოფლად პრაქტიკულ მუშაობაში პარტიული ხაზის დამახინჯებისათვის, მთავარი ყურადღება მიგვეპყრო კულაკური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანისათვის და ვალდებული გაგვეხადა ჩვენი პარტორგანიზაციები «შემდგომ განევითარებინათ შეტევა კულაკობის წინააღმდეგ» (იხ. პარტიის XV ყრილობის რეზოლუცია «სოფლად მუშაობის შესახებ») [7].

ცენტრალური კომიტეტის დირექტივებიდან ცნობილია, რომ დამზადების გაძლიერებისათვის თავის ბრძოლაში

პარტიამ სწორედ ამ ღონისძიებებს მიმართა და სათანადო კამპანია დაიწყო მთელ ჩვენს ქვეყანაში.

სხვა პირობებში და სხვა ვითარებაში პარტიას შეეძლო გამოეყენებინა ბრძოლის სხვა ფორმებიც, მაგალითად, ბაზარზე გამოეტანა ათეულმილიონობით ფუთი პური და, ამრიგად, მოეთოკა სოფლის შეძლებული ფენები, რომლებსაც ბაზარზე პური არ გამოჰქონდათ. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო სახელმწიფოს ხელთ ჰქონოდა ან პურის საკმაო რეზერვები, ან ვალუტის სერიოზული რეზერვები საზღვარგარეთიდან ათეულმილიონობით ფუთი პურის შემოსატანად. მაგრამ, როგორც ცნობილია, სახელმწიფოს ეს რეზერვები არ აღმოაჩნდა. და სწორედ იმიტომ, რომ ეს რეზერვები არ აღმოჩნდა, პარტიის წინაშე მორიგ ამოცანად დადგა ის საგანგებო ღონისძიებები, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის დირექტივებში აისახა, რომლებმაც გამოხატულება პოვეს დამზადების გაჩაღებულ კამპანიაში და რომელთა უმეტეს ნაწილს შეუძლია ძალა შეინარჩუნოს მხოლოდ დამზადების მიმდინარე წლის პერიოდისათვის.

ლაპარაკი იმის შესახებ, თითქოს ჩვენ ვაუქმებთ ნეპს, შემოგვაქვს სასურსათო გაწერა, განკულაკება და სხვ., კონტრრევოლუციური ლაყბობაა, რომლის წინააღმდეგაც საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა. ნეპი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველია, და ასეთად რჩება ხანგრძლივი ისტორიული პერიოდისათვის. ნეპი ნიშნავს საქონელბრუნვას და კაპიტალიზმის დაშვებას იმ პირობით, რომ სახელმწიფო იტოვებს უფლებასა და შესაძლებლობას — მოაწესრიგოს ვაჭრობა პროლეტარიატის დიქტატურის თვალსაზრისით. უამისოდ ახალი ეკონომიური პოლიტიკა იქნებოდა კაპიტალიზმის უბრალო აღდგენა, რის გაგებაც ვერა სურთ კონტრრევოლუციურ მოლაყბეებს, რომლებიც ნეპის გაუქმებაზე ლაპარაკობენ.

ახლა ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მიღებული ღონისძიებანი და პურის დამზადების გაშლილი კამპანია უკვე დაგვირგვინდა პარტიის პირველი გადამწყვეტი გამარჯვებით. გადაჭრით და ყველგან გაძლიერდა დამზადების ტემპი. დამზადებამ იანვარში ერთიორად გადააჭარბა დეკემბრის დამზადებას. თებერვალში დამზადების ტემპი შემდგომ ძლიერდება. დამზადების კამპანია ყველა ჩვენი ორგანიზაციის — როგორც პარტიული, ისე საბჭოთა და კოოპერაციული ორგანიზაციების შემოწმება იყო, მან გააადვილა მათი გაწმენდა გადაგვარებული ელემენტებისაგან და დააწინაურა ახალი, რევოლუციური მუშაკები. აშკარავდება დამამზადებელი ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი და დამზადების კამპანიის მსვლელობაში ისახება მათი გამოსწორების გზები. უმჯობესდება და ახლდება პარტიული მუშაობა სოფლად, ისპობა პარტიული ხაზის დამახინჯება. სუსტდება კულაკის გავლენა სოფლად, ცხოველდება მუშაობა ღარიბ გლეხობაში, სოფლად მტკიცდება საბჭოთა საზოგადოებრიობა, იზრდება საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი გლეხობის ძირითადი მასების რიგებში, მათ შორის საშუალო გლეხების რიგებშიც.

ჩვენ აშკარად ვაღწევთ თავს პურის დამზადების კრიზისს.

მაგრამ ზემოთ აღნიშნულ წარმატებებთან ერთად პარტიის დირექტივების განხორციელების პრაქტიკაში არის მთელი რიგი ისეთი დამახინჯებანი და გადახრები, რომლებსაც შეუძლიათ, თუ აღმოფხვრილი არ იქნებიან, შექმნან ახალი სიძნელეები. ასეთ დამახინჯებებსა და გადახრებს მიეკუთვნება იმის ცდა ზოგიერთ ცალკეულ რაიონებში, რომ გადავიდნენ საქონლის უშუალო გაცვლაზე, სასოფლო-სამეურნეო სესხის იძულებით გავრცელებაზე, გადამღობი რაზმების სუროგატების შექმნაზე, ბოლოს, დაპატიმრების,

ჭარბი პურის უკანონო კონფისკაციის ბოროტად გამოყენება და სხვ.

ყველა ეს მოვლენა გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას.

პურის დამზადების გეგმის მთლიანად შესრულებისათვის ყველა ორგანოს მუშაობის შემდგომ გაძლიერებასთან ერთად, ცენტრალური კომიტეტი ყველა ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ავალებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას საგაზაფხულო თესვის კამპანიის ისეთი მომზადებისათვის, რაც უზრუნველყოფს საგაზაფხულო სათესი ფართობის გადიდებას.

სათესი ფართობის შემცირების აგიტაციას, რასაც ცალკეული სპეკულანტურ-კულაკური ელემენტები ეწევიან, უნდა დაუპირდაპირდეს ერთსულოვანი, შეთანხმებული, ორგანიზებული კამპანია სოფლის ღარიბი ფენებისა და საშუალო გლეხების სათესი ფართობის გადიდებისათვის და ამ საქმეში განსაკუთრებით უნდა დაეჭიროთ მხარი კოლექტიურ მეურნეობებს.

ზემოაღნიშნულის გამო, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა:

1. შეუსუსტებლად გაგრძელდეს პურის დამზადების გაძლიერების კამპანია და რაღაც უნდა დაჯდეს მიღწეულ იქნას პურის დამზადების წლიური გეგმის შესრულება.

2. გაძლიერდეს ბრძოლა საკონვენციო ფასების გადიდების ყოველგვარი პირდაპირი და არაპირდაპირი საშუალების წინააღმდეგ.

3. გადაჭრით აღმოიფხვრას კონკურენცია სახელმწიფო და კოოპერაციულ დამამზადებლებს შორის, საქმით უზრუნველყოფილ იქნას მათი ერთიანი ფრონტი კერძო შემსყიდველისა და კულაკის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც სპეკულაციას ეწევიან ფასების გადიდებაზე.

4. განგრძობილ იქნას კულაკების — ჭარბი სასაქონლო პურის ნამდვილ მსხვილ მჭონებელთა მიმართ მაგარი ზო-

მების მიღება, ამ ზომების მიღება გატარდეს მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კანონიერების საფუძველზე (კერძოდ, ცალკეული ბოროტი ელემენტების მიმართ, იმ პირთა რიცხვიდან, რომლებსაც ორი ათასი და მეტი ფუთი ჭარბი სასაქონლო პური აქვთ, პრაქტიკაში გამოყენებულ იქნას რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 107 მუხლი და უკრაინის კოდექსის შესაბამისი მუხლი), მაგრამ ეს და მათი მსგავსი ზომები არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეხოს საშუალო გლეხობას.

5. იმ ჭარბი პურის 25 პროცენტი, რაც სპეკულანტებსა და კულაკობის სპეკულანტურ ელემენტებს კანონის საფუძველზე ჩამოერთმევათ, გადაეცეს ღარიბ გლეხობას გრძელვადიანი კრედიტის პირობებით, თესლეულის მხრივ მისი საჭიროების და — აუცილებლობის შემთხვევაში — სამომხმარებლო საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

6. პურის დამზადების გაძლიერების კამპანიის პრაქტიკაში გადაჭრით აღმოიფხვრას გადახრები და დამახინჯებანი, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში იღებდნენ სასურსათო გაწერის მეთოდების გამოყენების ფორმას, როგორიცაა: პურის ჩაბარების განაწილება მეურნეობების მიხედვით, გადამღობი რაზმები ცალკეულ რაიონებს შორის და სხვ.

7. სახელმწიფოსადმი გლეხობის დავალიანების გადახდევინებისას (სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, დაზღვევის, სესხის ნარჩენები და სხვ.) გაგრძელდეს მტკიცე ზომების მიღება სოფლის შეძლებული, განსაკუთრებით კულაკური, ფენების მიმართ, მაგრამ გამოყენებულ იქნას შემსუბუქება და შეღავათები ღარიბი გლეხობის მიმართ, ხოლო საჭირო შემთხვევებში ხელმოკლე საშუალო გლეხების მიმართაც.

8. თვითდაბეგვრის მხრივ სოფლის კულაკური და შეძლებული ფენებისათვის გამოყენებულ იქნას სასოფლო-

სამეურნეო გადასახადთან შედარებით გადიდებული პროგრესია დაბეგვრისა. უზრუნველყოფილ იქნას თვითდაბეგვრისაგან განთავისუფლება სოფლის უღარიბესი ფენებისა და შეღავათი ხელმოკლე საშუალო გლეხებისათვის და წითელარმიელთა ოჯახებისათვის. ყველგან გაიშალოს თვითდაბეგვრის კამპანია, რისთვისაც გაძლიერდეს საზოგადოებრივი ინიციატივა და ამ საქმეში ფართოდ იქნან ჩაბმული ღარიბი გლეხობა, კომკავშირი, ქალთა დელეგატები და სოფლის ინტელიგენცია. თვითდაბეგვრით მიღებული თანხები გამოყენებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულებისათვის, დაშვებული არ იქნას მათი ხარჯვა აპარატის შესანახავად, გლეხთა კრებებზე კონკრეტულად განხილულ და დამტკიცებულ იქნას თანხების დაბანდების ობიექტები, ხარჯთაღრიცხვები და სხვ. და თანხების გამოყენება განხორციელდეს ფართო საზოგადოებრივი კონტროლით.

9. გადაჭრით აღმოიფხვრას საგლეხო სესხის გავრცელების ადმინისტრაციული ზომები (პურისათვის გლეხებთან ანგარიშსწორება სესხით, სესხის იძულებითი განაწილება მეურნეობების მიხედვით და სხვ.), მთავარი ყურადღება მიექცეს იმას, რომ გლეხებს განემარტოთ საგლეხო სესხის მთელი ხელსაყრელობა მათთვის, და სოფლის საზოგადოებრივი ორგანიზაციების გავლენა და ძალები გამოყენებულ იქნას საგლეხო სესხის ობლიგაციების გასავრცელებლად სოფლის მდიდარ ფენებშიც.

10. შეუსუსტებელი ყურადღება მიექცეს სამრეწველო საქონელზე პურის დამამზადებელი რაიონების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. აღმოიფხვრას საქონელცვლის.— სამრეწველო საქონელზე პურის გაცვლის პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმები, რასაც ადგილი ჰქონდა, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა საქმე მწვავე-დეფიციტურ საქონელს ეხება, დაშვებულ იქნას კოოპერაციის

მეპაიეთა შეღავათების გავრცელება არაკოოპერირებულ გლეხებზე მათ მიერ პურის გაყიდვის დროს.

11. დამზადების კამპანიის მსვლელობაში გაგრძელდეს პარტიული, საბჭოთა და კოოპერაციული ორგანიზაციების შემოწმება და მტკიცედ გაწმენდა, განიდევნონ იქიდან უცხო და მიტმასნილი ელემენტები და შეცვლილ იქნან მტკიცე პარტიული და შემოწმებული უპარტიო მუშაკებით.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური
კომიტეტის დავალებით **ი. სტალინი**

1928 წ. 13 თებერვალი.

იბეჭდება პირველად.

მისალმება
წითელი არმიის მეათე წლისთავისათვის

სალამი წითელ არმიას, რომელმაც დიად ბრძოლებში დაიცვა ოქტომბრის მონაპოვარნი!

დიდება პროლეტარული საქმისათვის დაღუპულ მებრძოლებს!

დიდება სოციალისტური მშენებლობის დიადი საქმის საგუშაგოზე მდგომ მებრძოლებს!

ი. სტალინი

«კრასნაია ზვეზდა» № 46,
1928 წ. 23 თებერვალი.

წითელი არმიის სამი თავისებურების შესახებ

სიტყვა წითელი არმიის მეათე წლისთავისადმი მიძღვნილ მოსკოვის საბჭოს საზეიმო პლენუმზე 1928 წ. 25 თებერვალს

ამხანაგებო! ნება მომეცით ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მივესალმო ჩვენი წითელი არმიის მებრძოლებს, ჩვენი წითელი ფლოტის მებრძოლებს, ჩვენი წითელი ავიაციის მებრძოლებს, დასასრულ, ჩვენს წვევამდელებს, სსრ კავშირის შეიარაღებულ მუშებს.

პარტია ამაყობს, რომ მან მუშებისა და გლეხების დახმარებით შესძლო შეექმნა მსოფლიოში პირველი წითელი არმია, რომელიც უდიდეს ბრძოლებში იცავდა მუშათა და გლეხთა თავისუფლებას და რომელმაც დაიცვა იგი.

პარტია ამაყობს, რომ წითელმა არმიამ შესძლო ღირსეულად გაევლო მძიმე გზა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და გლეხობის შინაურ და გარეშე მტრებთან უსასტიკესი ბრძოლებისა, რომ მან შესძლო ჩამოყალიბებულიყო უდიდეს საბრძოლო რევოლუციურ ძალად მუშათა კლასის მტრების თავზარდასაცემად, ყველა ჩაგრულთა და დამონებულთა სასიხარულოდ.

პარტია ამაყობს, რომ წითელმა არმიამ, განვლო რა მემამულეთა და კაპიტალისტთა უღლისაგან მუშებისა და

გლეხების განთავისუფლების გრძელი გზა, ბოლოს, მოიპოვა უფლება იდღესასწაულოს თავისი იუბილე თავისი დაბადების მეათე წელს.

ამხანაგებო, რაშია ჩვენი წითელი არმიის ძალა, სად არის მისი ძლიერების წყარო?

რაში მდგომარეობს ის თავისებურებანი, რომელნიც ძირეულად განასხვავებენ ჩვენს წითელ არმიას მსოფლიოში ოდესმე არსებული ყველა და ყოველგვარი არმიებისაგან?

რაში მდგომარეობს ის თავისებურებანი, რომელნიც შეადგენენ ჩვენი წითელი არმიის ძალისა და ძლიერების წყაროს?

ჩვენი წითელი არმიის პირველი და ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის განთავისუფლებულ მუშათა და გლეხთა არმია, იგი არის ოქტომბრის რევოლუციის არმია, პროლეტარიატის დიქტატურის არმია.

კაპიტალიზმის დროს დღემდე არსებული ყველა არმია, როგორიც არ უნდა იყოს მისი შემადგენლობა, კაპიტალის ძალაუფლების განმტკიცების არმიას წარმოადგენს. ეს არმიები იყვნენ და დარჩნენ კაპიტალის ბატონობის არმიებად. ყველა ქვეყნის ბურჟუები ცრუობენ, როდესაც ამბობენ, არმია პოლიტიკურად ნეიტრალურიაო. ეს არ არის მართალი. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არმია მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს, იგი ჩამოშორებულია პოლიტიკურ ასპარეზს. ეს მართალია. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი პოლიტიკურად ნეიტრალურია. პირიქით, ყოველთვის და ყველგან, ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში არმიას აბამდნენ და აბამენ პოლიტიკურ ბრძოლაში, და იგი მშრომელთა დათრგუნვის იარაღს წარმოადგენს. განა მართალი არ არის ის, რომ არმია იქ მუშებს თრგუნავს, რომ იგი იქ ბატონთა დასაყრდენს წარმოადგენს?

ასეთი არმიებისაგან განსხვავებით, ჩვენს წითელ არმიას ის თავისებურება აქვს, რომ ის წარმოადგენს მუშათა და გლეხთა ძალაუფლების განმტკიცების იარაღს, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების იარაღს, მემამულეთა და კაპიტალისტთა უღლისაგან მუშებისა და გლეხების განთავისუფლების იარაღს.

ჩვენი არმია მშრომელთა განთავისუფლების არმიაა.

მიაქციეთ თუ არა ყურადღება, ამხანაგებო, რომ ძველ დროს, და ახლაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ხალხს ეშინოდა და კვლავ ეშინია არმიისა, რომ ხალხსა და არმიას შორის არსებობს ზღუდე, რომელიც არმიას ხალხისაგან განაცალკევებს? ჩვენში კი როგორ არის? ჩვენში, პირიქით, ხალხი და არმია ერთ მთელს, ერთ ოჯახს შეადგენენ. მსოფლიოში არსად არ არის ისეთი სიყვარულითა და მზრუნველობით აღსავსე დამოკიდებულება ხალხისა არმიისადმი, როგორც ჩვენში. ჩვენში არმია უყვართ, მას პატივს სცემენ, მისთვის ზრუნავენ. რატომ? იმიტომ, რომ მუშებმა და გლეხებმა პირველად შექმნეს მსოფლიოში თავიანთი საკუთარი არმია, რომელიც ემსახურება არა ბატონებს, არამედ ყოფილ მონებს, ახლა განთავისუფლებულ მუშებსა და გლეხებს.

აი სად არის ჩვენი წითელი არმიის ძლიერების წყარო.

ხოლო რას ნიშნავს ხალხის სიყვარული თავისი არმიისადმი? ეს ნიშნავს, რომ ასეთ არმიას უმაგრესი ზურგი ექნება, რომ ასეთი არმია უძლეველია.

რა არის არმია, რომელსაც მაგარი ზურგი არა აქვს? არაფერი. ყველაზე დიდი არმიები, ყველაზე მეტად შეიარაღებული არმიები ირღვეოდნენ და მტვრად იქცეოდნენ, თუ მათ მაგარი ზურგი არ ჰქონდათ, თუ მათ მხარს არ უჭერდა და თანაგრძნობით არ ეკიდებოდა ზურგი, მშრომელი მოსახლეობა. ჩვენი არმია მსოფლიოში ერთადერთი არმიაა, რომელსაც თანაუგრძნობენ და მხარს უჭერენ

მუშები და გლეხები. ამაშია მისი ძალა, ამაშია მისი სიმაგრე.

აი, უწინარეს ყოვლისა, რით განსხვავდება ჩვენი წითელი არმია ყოველგვარი სხვა არმიებისაგან, რომლებიც არსებულან და არსებობენ მსოფლიოში.

პარტიის სურვილები, მისი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ წითელი არმიის ეს თავისებურება, მისი ეს სიახლოვე, მისი ძმური კავშირი მუშებთან და გლეხებთან, შერჩეს და დაუმკვიდრდეს ჩვენს წითელ არმიას.

ჩვენი წითელი არმიის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ჩვენი არმია, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ერების ძმობის არმიას, ჩვენი ქვეყნის ჩაგრული ერების განთავისუფლების არმიას, ჩვენი ქვეყნის ერების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის არმიას.

ძველ დროში არმიებს ჩვეულებრივ ზრდიდნენ დიდმპყრობელობის სულისკვეთებით, დამპყრობლობის სულისკვეთებით, სუსტი ერების დამორჩილების აუცილებლობის სულისკვეთებით. სწორედ ამით აიხსნება, რომ ძველი ტიპის არმიები, კაპიტალისტური არმიები ამასთან ერთად ნაციონალური, კოლონიური ჩაგვრის არმიები იყვნენ. ამაში მდგომარეობდა ძველი არმიების ერთ-ერთი ძირითადი სისუსტე. ჩვენი არმია ძირეულად განსხვავდება კოლონიური ჩაგვრის არმიებისაგან. მთელი მისი არსი, მთელი მისი წყობა ემყარება ჩვენი ქვეყნის ერების მეგობრული კავშირის განმტკიცებას, ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების იდეას, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ სოციალისტურ რესპუბლიკათა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის იდეას.

ამაშია ჩვენი წითელი არმიის ძალისა და ძლიერების მეორე და ძირითადი წყარო. ეს არის იმის საწინდარი, რომ ჩვენი არმია კრიტიკულ მომენტში უდიდეს მხარდაჭერას პოვებს ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის ყველა და ყოველი ერისა და ეროვნების მილიონიან მასებში.

პარტიის სურვილები, მისი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს თავისებურებაც შერჩეს და დაუმკვიდრდეს ჩვენს წითელ არმიას.

დასასრულ, წითელი არმიის მესამე თავისებურება. იგი მდგომარეობს ჩვენს არმიაში ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების აღზრდასა და განმტკიცებაში, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების არსებობაში, რომლითაც გამსჭვალულია მთელი ჩვენი წითელი არმია.

კაპიტალისტურ ქვეყნებში არმიებს ჩვეულებრივ ზრდიან სხვა ქვეყნების ხალხებისადმი სიძულვილის სულისკვეთებით, სხვა სახელმწიფოებისადმი სიძულვილის სულისკვეთებით, სხვა ქვეყნების მუშებისა და გლეხებისადმი სიძულვილის სულისკვეთებით. რისთვის აკეთებენ ამას? იმისთვის, რომ არმია გადააქციონ მორჩილ ჯოგად სახელმწიფოებს შორის, ქვეყნებს შორის სამხედრო შეტაკებათა შემთხვევაში. ამაშია ყველა კაპიტალისტური არმიის სისუსტის წყარო.

ჩვენი არმია სულ სხვა საფუძვლებზეა აგებული. ჩვენი წითელი არმიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისი დაბადების პირველივე დღიდან იზრდება ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სხვა ქვეყნების ხალხებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, ყველა ქვეყნის მუშებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით, ქვეყნებს შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების სულისკვეთებით. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი არმია იზრდება ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ყველა ქვეყნის მუშების ინტერესთა ერთიანობის სულისკვეთებით, სწორედ ამიტომ იგი, ჩვენი არმია, წარმოადგენს ყველა ქვეყნის მუშათა არმიას.

და იმას, რომ ეს გარემოება წარმოადგენს ჩვენი არმიის ძალისა და ძლიერების წყაროს, ამას ოდესმე შეიტყობენ ყველა ქვეყნის ბურჟუები, თუ ისინი გაბედავენ თავს

დაესხან ჩვენს ქვეყანას, ვინაიდან მაშინ ისინი დაინახავენ, რომ ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილ ჩვენს წითელ არმიას ურიცხვი მეგობარი და მოკავშირე ჰყავს მსოფლიოს ყველა ნაწილში, შანხაიდან ნიუ-იორკამდე, ლონდონიდან კალკუტამდე.

აი, ამხანაგებო, მესამე და ძირითადი თავისებურება, რომლითაც გამსჭვალულია ჩვენი არმია და რომელიც ქმნის მისი ძალისა და ძლიერების წყაროს.

პარტიის სურვილები, მისი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს თავისებურებაც შერჩეს და დაუმკვიდრდეს ჩვენს არმიას.

ამ სამ თავისებურებას უნდა უმადლოდეს ჩვენი არმია თავის ძალასა და ძლიერებას.

ამითვე აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენმა არმიამ იცის, თუ საით მიდის, ვინაიდან იგი შესდგება არა თოჯინა ჯარისკაცთაგან, არამედ შეგნებულ ადამიანთაგან, რომელთაც ესმით, თუ საით უნდა წავიდნენ და რისთვის იბრძოლონ.

ხოლო ის არმია, რომელმაც იცის, თუ რისთვის იბრძვის, უძლეველია, ამხანაგებო.

აი რატომ არის, რომ ჩვენს წითელ არმიას ყველა საფუძველი აქვს იყოს საუკეთესო არმია მსოფლიოში.

გაუმარჯოს ჩვენს წითელ არმიას!

გაუმარჯოს მის მებრძოლთ!

გაუმარჯოს მის ხელმძღვანელთ!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას, რომელმაც წარმოშვა წითელი არმია, გამარჯვება მოუპოვა მას და დიდების შარავანდედით შემოსა იგი! (მ ქ უ ხ ა რ ე ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

«პრავდა» № 50,
1928 წ. 28 თებერვალი.

ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის გაერთიანებული პლენუმის მუშაობის შესახებ

მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

1928 წ. 13 აპრილი *

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ახლახან დამთავრებულ გაერთიანებულ პლენუმს[8] ერთი თავისებურება აქვს, რომელიც მას განასხვავებს უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შემდგარი მთელი რიგი პლენუმებისაგან. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი იყო წმინდა საქმიანი პლენუმი, პლენუმი, რომელზეც არ ყოფილა შინაგანი პარტიული ჩხუბი, პლენუმი, რომელზეც არ ყოფილა შინაპარტიული გამწვავება.

დღის წესრიგში იდგა ყველაზე საჭირბოროტო საკითხები: პურის დამზადების საკითხი, შახტის საქმის[9] საკითხი, ბოლოს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და პლენუმის მუშაობის გეგმის საკითხი. საკითხები, როგორც

* მოხსენებაში აღდგენილია რამდენიმე აბზაცი, რომლებიც თავის დროზე პრესაში არ გამოქვეყნებულა. რ ე დ.

ხედავთ, საქმაოდ სერიოზულია. და მაინც, მიუხედავად ამისა, პლენუმზე კამათი წმინდა საქმიანი წესით ჩატარდა, ხოლო რეზოლუციები ერთხმად იქნა მიღებული.

ეს იმით აიხსნება, რომ პლენუმზე ოპოზიცია არ ყოფილა. ეს იმით აიხსნება, რომ ადამიანების მიდგომა საკითხებისადმი ნამდვილი საქმიანი იყო, არ ყოფილა ფრაქციული გამოხდომები, ფრაქციული დემაგოგია. ეს იმით აიხსნება, რომ მხოლოდ XV ყრილობის შემდეგ, მხოლოდ ოპოზიციის ლიკვიდაციის შემდეგ პარტიას შესაძლებლობა მიეცა სერიოზულად და პირდაპირ მისდგომოდა პრაქტიკულ საკითხებს.

ეს არის დადებითი მხარე და, თუ გნებავთ, ფასდაუდებელი პლუსი განვითარების იმ ხანისა, რომელშიც ჩვენი პარტიის XV ყრილობის შემდეგ, ოპოზიციის ლიკვიდაციის შემდეგ შევედით.

I

თვითკრიტიკის შესახებ

პლენუმის მუშაობის, პლენუმზე კამათისა და პლენუმის რეზოლუციების დამახასიათებელი ნიშანია ის ფაქტი, რომ პლენუმის მუშაობამ თავიდან ბოლომდე ჩაიარა უმკაცრესი თვითკრიტიკის ნიშნით. უფრო მეტიც, პლენუმზე არ ყოფილა არც ერთი საკითხი, არც ერთი გამოსვლა, რომ მას არ დართვოდეს ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა, ჩვენი ორგანიზაციების თვითკრიტიკა. ჩვენი ნაკლოვანებების კრიტიკა, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების პატიოსანი და ბოლშევიკური თვითკრიტიკა, — ასეთია პლენუმის მუშაობის საერთო ტონი.

მე ვიცი, რომ პარტიის რიგებში არიან ადამიანები, რომლებსაც არ უყვართ საერთოდ კრიტიკა, განსაკუთრებით თვითკრიტიკა. ეს ადამიანები, რომლებისთვისაც შემეძლო

მეწოდებინა «გალაქული» კომუნისტები (სიცილი), ხშირად ბუზღუნებენ, გაურბიან თვითკრიტიკას: ისევ ეს წყეული თვითკრიტიკა, ისევ ჩვენი ნაკლოვანებების გამომზეურება, — ნუთუ არ შეიძლება მშვიდად ცხოვრება დაგვანებონო? ცხადია, ამ «გალაქულ» კომუნისტებს საერთო არა აქვთ რა ჩვენი პარტიის სულისკვეთებასთან, ბოლშევიზმის სულისკვეთებასთან. ჰოდა, იმის გამო, რომ ასეთია ზოგიერთის განწყობილება, ვინც თვითკრიტიკას სრულებითაც არ ხვდება ენთუზიაზმით, უადგილო არ იქნება ვიკითხოთ: გვესაჭიროება თუ არა თვითკრიტიკა, საიდან გაჩნდა იგი და რა სარგებლობა მოაქვს მას?

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ თვითკრიტიკა გვესაჭიროება, როგორც ჰაერი, როგორც წყალი. მე ვფიქრობ, რომ უიმისოდ, უთვითკრიტიკოდ, ჩვენი პარტია წინ ვერ წავიდოდა, იგი ვერ გამოამჟღავნებდა ჩვენს იარებს, იგი ვერ აღმოფხვრიდა ჩვენს ნაკლოვანებებს. ნაკლოვანებანი კი ბევრი გვაქვს. ეს აშკარად და პატიოსნად უნდა ვაღიაროთ.

თვითკრიტიკის ლოზუნგი ახალ ლოზუნგად ვერ ჩაითვლება. იგი ბოლშევიკური პარტიის თვით საფუძველშია. იგი პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმის საფუძველშია. თუ ჩვენი ქვეყანა პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაა, ხოლო დიქტატურას ხელმძღვანელობს ერთი პარტია, კომუნისტთა პარტია, რომელიც არ უზიარებს და ვერც გაუზიარებს ძალაუფლებას სხვა პარტიებს, — განა ცხადი არ არის, რომ, თუ წინსვლა გვინდა, ჩვენ თვითონ უნდა ვააშკარავებდეთ და ვასწორებდეთ ჩვენს შეცდომებს, განა ცხადი არ არის, რომ მათ სხვა ვერავინ გამოააშკარავებს და გამოასწორებს. განა ცხადი არ არის, ამხანაგებო, რომ თვითკრიტიკა ჩვენი განვითარების ხელშემწყობი ერთერთი უაღრესად სერიოზული ძალა უნდა იყოს?

თვითკრიტიკის ლოზუნგი განსაკუთრებით ძლიერ განვითარდა ჩვენი პარტიის XV ყრილობის შემდეგ. რატომ?

იმიტომ, რომ XV ყრილობის შემდეგ, რომელმაც ოპოზიციის ლიკვიდაცია მოახდინა, პარტიაში შეიქმნა ახალი ვითარება, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ.

რაში მდგომარეობს ვითარების სიახლე? იმაში, რომ ჩვენში აღარ არის ან თითქმის აღარ არის ოპოზიცია, იმაში, რომ ოპოზიციაზე იოლი გამარჯვების გამო, რომელიც (ე. ი. გამარჯვება) თავისთავად უაღრესად სერიოზულ პლუსს წარმოადგენს პარტიისათვის, პარტიაში შეიძლება განცხრომის, დამშვიდებისა და ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა ვერშემჩნევის განწყობილების საფრთხე შეიქმნას.

ოპოზიციაზე იოლი გამარჯვება უდიდესი პლუსია ჩვენი პარტიისათვის. მაგრამ მასში იფარება თავისი განსაკუთრებული მინუსები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პარტია შეიძლება თვითკმაყოფილების გრძნობით, თავშეყვარებულობის გრძნობით გაიმსჭვალოს და განცხრომას მიეცეს. ხოლო რას ნიშნავს განცხრომა? ეს იმას ნიშნავს, რომ ჯვარი დაესვას ჩვენს წინსვლას. ხოლო იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს, ჩვენ გვესაჭიროება თვითკრიტიკა, — არა ის კრიტიკა, ღვარძლიანი და არსებითად კონტრრევოლუციური, რომელსაც ოპოზიცია ატარებდა, — არამედ პატიოსანი, აშკარა კრიტიკა, ბოლშევიკური თვითკრიტიკა.

ჩვენი პარტიის XV ყრილობამ გაითვალისწინა ეს გარემოება და თვითკრიტიკის ლოზუნგი წამოაყენა. მას შემდეგ თვითკრიტიკის ტალღა იზრდება და იგი თავის ბეჭედს ასვამს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმის მუშაობასაც.

უცნაური იქნებოდა იმის შიში, რომ ჩვენი მტრები, შინაური მტრები, ისევე როგორც გარეშე მტრებიც, გამოიყენებენ ჩვენი ნაკლოვანებების კრიტიკას და ატეხენ ხმაურს: შეხეთ, მათ, ბოლშევიკებს, ყველაფერი რიგზე როდი აქვთო. უცნაური იქნებოდა ყოველივე ამისი გვშინებოდა ჩვენ, ბოლშევიკებს. ბოლშევიზმის ძალა სწორედ იმაში

მდგომარეობს, რომ მას არ ეშინია თავისი შეცდომების აღიარებისა. დაე პარტიამ, დაე ბოლშევიკებმა, დაე ჩვენი ქვეყნის ყველა პატიოსანმა მუშამ და მშრომელმა ელემენტებმა გამოააშკარაონ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი, ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებანი, დაე დასახონ ჩვენი ნაკლოვანებების ლიკვიდაციის გზები, რათა ჩვენს მუშაობაში და ჩვენს მშენებლობაში არ იყოს უძრაობა, ჭაობი, ლპობა, რათა მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი მშენებლობა დღითი-დღე უმჯობესდებოდეს და ზედიზედ აღწევდეს წარმატებას. ახლა ეს არის მთავარი. ჩვენმა მტრებმა კი დაე იყბედონ ჩვენს ნაკლოვანებებზე, — ასეთი წვრილმანები ვერ შეაკრთობენ, არ უნდა აკრთობდნენ ბოლშევიკებს.

ბოლოს, არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც თვითკრიტიკისაკენ გვიბიძგებს. მე მხედველობაში მაქვს მასებისა და ხელმძღვანელების საკითხი: უკანასკნელ ხანს ჩვენში დაიწყო ხელმძღვანელებსა და მასებს შორის ერთგვარი თავისებური ურთიერთობის ჩამოყალიბება. ერთი მხრივ, ჩვენში გამოიყო, ისტორიულად შეიქმნა ხელმძღვანელთა ჯგუფი, რომელთა ავტორიტეტი სულ უფრო მაღლდება და რომელიც მასებისათვის თითქმის მიუწვდომელი ხდება. მეორე მხრივ, უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის მასები, საერთოდ მშრომელთა მასები მაღლდებიან მეტისმეტად ნელა, ისინი ხელმძღვანელებს ქვევიდან ზევით, თვალებმოჭუტულნი უწყებენ ცქერას და ხშირად ეშინიათ გააკრიტიკონ თავიანთი ხელმძღვანელები.

რა თქმა უნდა, ის ფაქტი, რომ ჩვენში შეიქმნა ჯგუფი ხელმძღვანელებისა, რომლებიც მეტისმეტად ამაღლდნენ და რომელთაც დიდი ავტორიტეტი აქვთ, — ეს ფაქტი თავისთავად ჩვენი პარტიის დიდი მიღწევაა. ცხადია, ხელმძღვანელთა ასეთი ავტორიტეტული ჯგუფი თუ არ იქნა, წარმოუდგენელია დიდი ქვეყნის ხელმძღვანელობა. მაგრამ იმ ფაქტმა, რომ ხელმძღვანელები, როცა მაღლდებიან, შორდებიან

მასებს, ხოლო მასები მათ ქვემოდან ზევით უწყებენ ყურებას და ვერ ბედავენ მათს გაკრიტიკებას, — ამ ფაქტმა არ შეიძლება არ შექმნას მასებისაგან ბელადების მოწყვეტისა და ბელადებისაგან მასების დაშორების ერთგვარი საფრთხე.

ამ საფრთხემ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ბელადები გამედიდურდნენ და თავი უცოდველად სცნონ. ხოლო რა შეიძლება კარგი იყოს იმაში, თუ ხელმძღვანელი ზედაფენები გამედიდურდებიან და მასებს ზევიდან ქვევით დაუწყებენ ცქერას? ცხადია, აქედან ვერაფერი გამოვა, გარდა პარტიის დაღუპვისა. ჩვენ კი წინსვლა და ჩვენი მუშაობის გაუმჯობესება გვინდა, და არა პარტიის დაღუპვა. და სწორედ იმისათვის, რომ წინ მივდიოდეთ და ვაუმჯობესებდეთ ურთიერთობას მასებსა და ბელადებს შორის, მუდამ ღია უნდა გვქონდეს თვითკრიტიკის სარქველი, საბჭოთა ადამიანებს შესაძლებლობა უნდა მივცეთ «დატუქსონ» თავიანთი ბელადები, გააკრიტიკონ ისინი შეცდომებისათვის, რომ ბელადები არ გამედიდურდნენ, ხოლო მასები ბელადებს არ დაშორდნენ.

ზოგჯერ მასებისა და ბელადების საკითხს დაწინაურების საკითხში ურევენ. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. საქმე ეხება არა ახალი ბელადების დაწინაურებას, თუმცა ეს საქმე პარტიის უსერიოზულესი ყურადღების ღირსია. საქმე ეხება იმას, რომ შევინარჩუნოთ უკვე დაწინაურებული და უაღრესად ავტორიტეტული ბელადები, მოვაწყოთ მუდმივი და ურღვევი კონტაქტი მათსა და მასებს შორის. საქმე ეხება იმას, რომ თვითკრიტიკისა და ჩვენი ნაკლოვანებების კრიტიკის წესით შევქმნათ პარტიის ფართო საზოგადოებრივი აზრი, მუშათა კლასის ფართო საზოგადოებრივი აზრი, როგორც ცოცხალი და ფხიზელი მორალური კონტროლი, რომლის ხმასაც გულისხმიერად უნდა მიუგდონ ყური უაღრესად ავტორიტეტულმა ბელადებმა, თუ

მათ სურთ შეინარჩუნონ პარტიის ნდობა, მუშათა კლასის ნდობა.

ამ აზრით პრესის, ჩვენი პარტიულ-საბჭოთა პრესის მნიშვნელობა ჭეშმარიტად ფასდაუდებელია. ამ აზრით არ შეიძლება არ მივესალმოთ «პრავდის» ინიციატივას «მუშურ-გლეხური ინსპექციის ფურცლის» [10] შემოღების საქმეში, რომელიც ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა სისტემატურ კრიტიკას ეწევა. ოღონდ საჭიროა ვეცადოთ, რომ კრიტიკა სერიოზული, ღრმა იყოს, და არა ზერელე. ამ აზრით მისასალმებელია აგრეთვე ინიციატივა «კომსომოლსკაია პრავდისა» [11], რომელსაც მძაფრად და ფიცხად მიაქვს იერიშები ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებზე.

ზოგჯერ კრიტიკოსებს ლანძღავენ იმისათვის, რომ მათი კრიტიკა სრულყოფილი არ არის, იმისათვის, რომ კრიტიკა ზოგჯერ მთელი 100 პროცენტით სწორი როდი აღმოჩნდება ხოლმე. ხშირად მოითხოვენ, რომ კრიტიკა სწორი იყოს ყველა პუნქტში, ხოლო თუ იგი ყველაფერში სწორი არ არის, იწყებენ მის ლანძღვას, ძაგებას.

ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ეს სახიფათო შეცდომაა. მხოლოდ სცადეთ წამოაყენოთ ასეთი მოთხოვნა, და თქვენ პირს აუკრავთ ასობით და ათასობით მუშებს, მუშკორებს, სოფლკორებს, რომლებსაც სურთ გამოასწოროთ ჩვენი ნაკლოვანებანი, მაგრამ ზოგჯერ არ იციან თავიანთი აზრების სწორად ჩამოყალიბება. ეს სამარე იქნებოდა, და არა თვითკრიტიკა.

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მუშებს ზოგჯერ ეშინიათ სიმართლე თქვან ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებზე. ეშინიათ არა მარტო იმიტომ, რომ მათ ამისათვის შეიძლება «მოხვდეთ», არამედ იმიტომაც, რომ ისინი შეიძლება «სასაცილოდ აიგდონ» არასრულყოფილი კრიტიკისათვის. აბა როგორ შეუძლია უბრალო მუშას ან უბრალო გლეხს, რომელიც საკუთარ ზურგზე გრძნობს ჩვენი მუშაობის და

ჩვენი დაგეგმვის ნაკლოვანებებს, როგორ შეუძლიათ მათ ხელოვნების ყველა წესის მიხედვით დაასაბუთონ თავიანთი კრიტიკა? თუ თქვენ მათ მოსთხოვთ მთელი 100 პროცენტით სწორ კრიტიკას, ამით თქვენ მოსპობთ ქვევიდან ყოველგვარი კრიტიკის შესაძლებლობას, ყოველგვარი თვითკრიტიკის შესაძლებლობას. აი რატომ ვფიქრობ, რომ თუ კრიტიკა სიმართლის თუნდაც 5 — 10 პროცენტს შეიცავს, ასეთ კრიტიკასაც უნდა მივესალმოთ, ყურადღებით მოვისმინოთ და ჯანსაღი მარცვალი მხედველობაში მივიღოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებ, ჩვენ პირს ავუკრავდით საბჭოების საქმის ერთგულ ყველა იმ ასობით და ათასობით ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ არ არიან დახელოვნებულნი თავიანთ კრიტიკულ მუშაობაში, მაგრამ რომელთა პირითაც თვით სიმართლე მეტყველებს.

და სწორედ იმისათვის, რომ კი არ ჩავახშოთ თვითკრიტიკა, არამედ განვავითაროთ იგი, სწორედ ამიტომ საჭიროა ყურადღებით მოვისმინოთ საბჭოთა ადამიანების ყოველგვარი კრიტიკა, თუნდაც იგი ზოგჯერ არა სავსებით და არა თავის ყველა ნაწილში იყოს სწორი. მხოლოდ ამ პირობით შეუძლიათ მასებს დარწმუნდნენ, რომ მათ არ «მოხვდებათ» არასრულყოფილი კრიტიკისათვის და რომ მათ «სასაცილოდ არ აიგდებენ» მათი კრიტიკის ზოგიერთი შეცდომისათვის. თვითკრიტიკამ მხოლოდ ამ პირობით შეიძლება მიიღოს ნამდვილად მასობრივი ხასიათი და პოვოს ნამდვილად მასობრივი გამოხმაურება.

თავისთავად გასაგებია, რომ აქ ლაპარაკია არა «ყოველგვარ» კრიტიკაზე. კონტრრევოლუციონერის კრიტიკაც კრიტიკაა. მაგრამ იგი მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების სახელის გატეხას, ჩვენი მრეწველობისათვის ძირის გამოთხრას, ჩვენი პარტიული მუშაობის ჩაშლას. ცხადია, აქ ლაპარაკი გვაქვს არა ასეთ კრიტიკაზე. მე ვლაპარაკობ არა ასეთ კრიტიკაზე, არამედ კრიტიკაზე, რომელიც საბ-

ჭოთა ადამიანებისაგან მომდინარეობს, კრიტიკაზე, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების გაუმჯობესებას, ჩვენი მრეწველობის გაუმჯობესებას, ჩვენი პარტიული და პროფკავშირული მუშაობის გაუმჯობესებას. კრიტიკა გვესაჭიროება საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად და არა მის დასასუსტებლად. და სწორედ იმიტომ, რომ განვამტკიცოთ და გავაუმჯობესოთ ჩვენი საქმე, სწორედ ამიტომ პარტია აცხადებს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ლოზუნგს.

რას ველით ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, თვითკრიტიკის ლოზუნგისაგან, რა შედეგი შეიძლება მოგვცეს მან, თუ იგი სწორად და პატიოსნად იქნება განხორციელებული? მან ყოველ შემთხვევაში ორი შედეგი უნდა მოგვცეს. მან, ჯერ ერთი, უნდა გააძლიეროს მუშათა კლასის სიფხიზლე, გააამახვილოს მისი ყურადღება ჩვენი ნაკლოვანებებისადმი, გააადვილოს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება და შეუძლებელი გახადოს ყოველგვარი «მოულოდნელობანი» ჩვენს აღმშენებლობით მუშაობაში. მეორეც, მან უნდა აამაღლოს მუშათა კლასის პოლიტიკური კულტურულობა, განუვითაროს მას ქვეყნის პატრონის გრძნობა და გააადვილოს ქვეყნის მართვის საქმის სწავლება მუშათა კლასისათვის.

მიაქციეთ თუ არა ყურადღება იმას, რომ არა მარტო შახტის საქმე, არამედ დამზადებათა საქმეში 1928 წლის იანვრისათვის შექმნილი კრიზისიც ბევრი ჩვენგანისათვის «მოულოდნელი» აღმოჩნდა? ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია შახტის საქმე. ხუთ წელიწადს მუშაობდა ბურჟუაზიული სპეცების კონტრრევოლუციური ჯგუფი, რომელიც დირექტივებს საერთაშორისო კაპიტალის ანტისაბჭოთა ორგანიზაციებისაგან იღებდა. ხუთ წელიწადს იწერებოდა და ჩვენს ორგანიზაციებს ეგზავნებოდათ ყოველგვარი რეზოლუციები და დადგენილებანი. ქვანახშირის მრეწველობის საქმე ჩვენში, რა თქმა უნდა, მაინც ვითარდებოდა,

რადგან მეურნეობის საბჭოთა სისტემა იმდენად სიცოცხლისუნარიანი და მძლავრია, რომ იგი მაინც იმარჯვებდა, მიუხედავად ჩვენი უთაურობისა და ჩვენი შეცდომებისა, მიუხედავად სპეცების ძირგამომთხრელი მუშაობისა. სპეცების ეს კონტრრევოლუციური ჯგუფი ხუთ წელიწადს ეწეოდა მავნებლობას ჩვენს მრეწველობაში, აფეთქებდა ქვაბებს, ანგრევდა ტურბინებს და სხვ.. ჩვენ კი ვისხედით, თითქოს აქ არაფერი ამბავიაო. და «უეცრად», მოულოდნელად დაგვატყდა თავს შახტის საქმე.

ნორმალურია ეს, ამხანაგებო? მე ვფიქრობ, რომ არანორმალურზე უარესია. საჭეს უჯდე, იყურებოდე და ვერაფერს ხედავდე, სანამ გარემოება ცხვირს არ წაგაყოფინებს რაიმე უბედურებაში, — ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელმძღვანელობას. ბოლშევიზმს ასე როდი ესმის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობისათვის საჭიროა წინასწარჭვრეტა. ხოლო წინასწარჭვრეტა ყოველთვის ადვილი როდია, ამხანაგებო.

ერთი საქმეა, როცა ერთი-ორი ათეული ხელმძღვანელი მუშაკები უყურებენ და ამჩნევენ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს, ხოლო მუშათა მასებს არ სურთ ან არ შეუძლიათ არც ყურება, არც ნაკლოვანებათა შემჩნევა. აქ იმის ყველა შანსია, რომ დანამდვილებით გამოგეპარება რამე, ყველაფერს ვერ შეამჩნევ. სხვა საქმეა, როცა ერთ-ორ ათეულ ხელმძღვანელ ამხანაგთან ერთად უყურებენ და ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს ამჩნევენ ასეულათასობით და მილიონობით მუშები, ააშკარავებენ ჩვენს შეცდომებს, ებმებიან მშენებლობის საერთო საქმეში და სახავენ გზებს საქმის გასაუმჯობესებლად. აქ უფრო მეტი იქნება იმის საწინდარი, რომ მოულოდნელობანი არ იქნება, რომ უარყოფითი მოვლენები დროზე იქნება შემჩნეული და დროზე იქნება მიღებული ზომები ამ მოვლენათა ლიკვიდაციისათვის.

საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ მუშათა კლასის სიფხიზლე ვითარდებოდეს, და არა იხშობოდეს, რომ ასეულათასობით და მილიონობით მუშები ებმებოდნენ სოციალისტური მშენებლობის საერთო საქმეში, რომ ასეულათასობით და მილიონობით მუშები და გლეხები, და არა მარტო ათეული ხელმძღვანელი, ფხიზლად უყურებდნენ ჩვენი მშენებლობის მიმდინარეობას, აღნიშნავდნენ ჩვენს შეცდომებს და მზის სინათლეზე გამოჰქონდეთ ისინი. მხოლოდ ამ პირობით არ იქნება ჩვენში «მოულოდნელობანი». მაგრამ ამას რომ მივაღწიოთ, ამისათვის საჭიროა განვავითაროთ ჩვენი ნაკლოვანებების კრიტიკა ქვემოდან, საჭიროა კრიტიკა მასობრივი გავხადოთ, საჭიროა ავითვისოთ და განვახორციელოთ თვითკრიტიკის ლოზუნგი.

დასასრულ, მუშათა კლასის კულტურული ძალების აღმავლობის შესახებ, თვითკრიტიკის ლოზუნგის განხორციელებასთან დაკავშირებით მასში ქვეყნის მართვის ჩვევების გამომუშავების შესახებ. ლენინი ამბობდა:

«მთავარი, რაც ჩვენ გვაკლია, — ეს არის კულტურულობა, მართვის ცოდნა... ეკონომიურად და პოლიტიკურად **ნ ე პ ი** სავსებით უზრუნველყოფს ჩვენთვის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების შესაძლებლობას. საქმე «მხოლოდ» პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის კულტურულ ძალებშია»[12].

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მუშათა კლასში ქვეყნის მართვის, მეურნეობის მართვის, მრეწველობის მართვის ჩვევებისა და ცოდნის გამომუშავება.

განა შეიძლება მუშათა კლასში გამომუშავდეს ეს ჩვევები და ეს ცოდნა, თუ გასაქანს არ მივცემთ მუშათა ძალებსა და უნარს, მუშათა კლასის საუკეთესო ადამიანთა ძალებსა და უნარს იმისათვის, რომ გააკრიტიკონ ჩვენი შეცდომები, აღნიშნონ ჩვენი ნაკლოვანებანი და წინ წასწიონ ჩვენი მუშაობა? ცხადია, არ შეიძლება.

ხოლო რა არის საჭირო იმისათვის, რომ გასაქანი მივცეთ მუშათა კლასის და საერთოდ მშრომელთა ძალებსა და უნარს და შესაძლებლობა მივცეთ მათ შეიძინონ ქვეყნის მართვის ჩვევები? ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, თვითკრიტიკის ლოზუნგის პატიოსნად და ბოლშევიკურად განხორციელება, ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებისა და შეცდომების ქვემოდან კრიტიკის ლოზუნგის პატიოსნად და ბოლშევიკურად განხორციელება. რას ნიშნავს, თუ მუშები იყენებენ მუშაობის ნაკლოვანებათა აშკარა და პირდაპირი კრიტიკის, ჩვენი მუშაობის გაუმჯობესებისა და მისი წინწაწევის შესაძლებლობას? ეს ნიშნავს, რომ მუშები ქვეყნის, მეურნეობის, მრეწველობის ხელმძღვანელობის საქმის აქტიური მონაწილენი ხდებიან. ამან კი მუშებს არ შეიძლება არ გაუძლიეროს თავისი ქვეყნის პატრონის გრძნობა, არ გააძლიეროს მათი აქტივობა, მათი სიფხიზლე, მათი კულტურულობა.

მუშათა კლასის კულტურული ძალების საკითხი ერთერთი გადამწყვეტი საკითხია. რატომ? იმიტომ, რომ დღემდე არსებულ ყველა გაბატონებულ კლასთა შორის მუშათა კლასს, როგორც გაბატონებულ კლასს, ისტორიაში რამდენადმე განსაკუთრებული და არა სავსებით ხელსაყრელი მდგომარეობა უკავია. დღემდე გაბატონებული ყველა კლასები — მონათმფლობელები, მემამულეები, კაპიტალისტები — ამასთანავე მდიდარი კლასები იყვნენ. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ თავიანთი შვილებისათვის ესწავლებინათ მმართველობისათვის საჭირო ცოდნა და ჩვევები. მუშათა კლასი მათგან, სხვათა შორის, იმით განსხვავდება, რომ იგი მდიდარი კლასი არ არის, მას წინათ შესაძლებლობა არ ჰქონდა თავისი შვილებისათვის ესწავლებინა მართვის ცოდნა და ჩვევები და მან ეს შესაძლებლობა მიიღო მხოლოდ ახლა, მას შემდეგ, რაც სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას.

სხვათა შორის, სწორედ ეს შეადგენს ჩვენში კულტურული რევოლუციის საკითხის სიმწვავეს. მართალია, თავისი ბატონობის ათი წლის განმავლობაში სსრ კავშირის მუშათა კლასმა ამ მხრივ გაცილებით უფრო მეტს მიაღწია, ვიდრე მემამულეებმა და კაპიტალისტებმა ასეული წლების განმავლობაში. მაგრამ საერთაშორისო და შინაგანი ვითარება ისეთია, რომ მიღწეული შედეგები ჯერ კიდევ სრულებითაც არ არის საკმარისი. ამიტომ ყოველი საშუალება, რომელსაც შეუძლია აამაღლოს მუშათა კლასის კულტურული ძალების განვითარების დონე, ყოველი საშუალება, რომელსაც შეუძლია გააადვილოს მუშათა კლასში ქვეყნის, მრეწველობის მართვის ჩვევებისა და ცოდნის გამომუშავების საქმე, — ყოველი ასეთი საშუალება ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ.

მაგრამ ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა პროლეტარიატის კულტურული ძალების განვითარების საქმეში, მუშათა კლასში მართვის ჩვევების გამომუშავების საქმეში. აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი საფუძველი, რომელიც იმას მოწმობს, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგის განხორციელება ჩვენი სასიცოცხლო ამოცანაა.

ასეთია, ზოგადად, საფუძვლები, რომლებიც თვითკრიტიკის ლოზუნგს გვიკარნახებენ, როგორც სადღეისო ლოზუნგს.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმის მუშაობამ თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა.

ახლა გადავიდეთ პურის დამზადების საკითხზე.

II

პურის დამზადების საკითხი

უწინარეს ყოვლისა რამდენიმე სიტყვა პურის დამზადების იმ კრიზისის არსის შესახებ, რომელიც ჩვენში ამა წლის იანვრისათვის დადგა. საქმის არსი ის არის, რომ გასული წლის ოქტომბრიდან დამზადებამ ჩვენში კლება იწყო, დეკემბერში იგი უდაბლეს წერტილამდე მივიდა, ხოლო ამა წლის იანვრისათვის პურის დამზადებაში 130 მილიონი ფუთი დეფიციტი გვქონდა. წელს მოსავალი ჩვენში, შეიძლება ითქვას, შარშანდელზე უარესი არ არის, იგი შარშანდელ მოსავალზე იქნებ ცოტათი ნაკლები იყო. ძველი მოსავლებიდან დარჩენილი მარაგი წელს მეტი იყო, ვიდრე შარშან, და საერთოდ ითვლებოდა, რომ წელს ჩვენს ქვეყანაში სასაქონლო პური შარშანდელზე ნაკლები კი არა, უფრო მეტიც იყო.

სწორედ ამის შესაბამისად იქნა შედგენილი დამზადების წლიური გეგმა შარშანდელი გეგმის ერთგვარი გადამეტებით. მაგრამ მიუხედავად ამისა, დამზადებამ იკლო, და 1928 წლის იანვრისათვის გვქონდა 130 მილიონი ფუთი დეფიციტი. შეიქმნა «ორიგინალური» მდგომარეობა: ჩვენს ქვეყანაში პური ბევრია, პურის დამზადება კი კლებულობს და ქალაქებსა და წითელ არმიაში შიმშილის საფრთხეს ქმნის.

რით აიხსნება მდგომარეობის ეს «ორიგინალურობა»? აქ რაიმე შემთხვევითობა ხომ არ არის? ბევრნი მიდრეკილებას იჩენენ ეს იმით ახსნან, რომ უყურადღებობა გამოვიჩინეთ, ოპოზიციასთან ბრძოლის გამო არ გვეცალა და ზოგი რამ გამოგვეპარა. უყურადღებობას რომ მართლაც ჰქონდა ადგილი, ეს, რა თქმა უნდა, მართალია. მაგრამ აქ ყველაფრის ახსნა უყურადღებობით უაღრესად უხეში შეცდომის დაშვებას ნიშნავს. მით უმეტეს არ შეიძლება დამ-

ზადების კრიზისი შემთხვევითობით აიხსნას. ასეთი რამ შემთხვევით არ ხდება. ეს მეტად იოლი ახსნა იქნებოდა.

მაშ როგორი იყო, ასეთ შემთხვევაში, პირობები, რომლებმაც დამზადების კრიზისი გამოიწვიეს?

ვფიქრობ, რომ ასეთი პირობა ჩვენში სამი მაინც იყო.

პირველი. ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სიძნელენი ჩვენი საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის ვითარებაში. მე მხედველობაში მაქვს, უწინარეს ყოვლ სა, ქალაქის ინდუსტრიის განვითარების სიძნელენი. კარგი იქნებოდა, სოფელი აგვევსო ყოველგვარი საქონლით ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სოფლიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მაქსიმუმის ამოღება. ამისათვის საჭიროა ჩვენი ინდუსტრიის უფრო სწრაფი განვითარება, ვიდრე ეს ახლა არის. მაგრამ ინდუსტრია უფრო ძლიერ რომ განვავითაროთ, ამისათვის საჭიროა სოციალისტური დაგროვების უფრო სწრაფი ტემპი. დაგროვების ასეთი ტემპის მიღწევა კი არც ისე ადვილია, ამხანაგებო. აქედან წარმოსდგება სოფლისათვის საჭირო საქონლის ნაკლებობა.

მხედველობაში მაქვს, შემდეგ, სოფლად ჩვენი მშენებლობის სიძნელენი. სოფლის მეურნეობა ნელა იზრდება, ამხანაგებო. კარგი იქნებოდა, რომ სოფლის მეურნეობა გოლიათური ნაბიჯებით ვითარდებოდეს, რომ პური იაფდებოდეს, რომ მოსავალი დიდდებოდეს, რომ სასუქის გამოყენება ფართო მასშტაბით ხდებოდეს, რომ პურის მანქანური წარმოება დაჩქარებული ტემპით ვითარდებოდეს. მაგრამ ეს არა გვაქვს და არც მალე გვექნება, ამხანაგებო.

რატომ?

იმიტომ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა წვრილგლეხური მეურნეობაა, რომელშიც ძნელია სერიოზულ გაუმჯობესებათა შეტანა. სტატისტიკა ამბობს, რომ ომამდე მთელ ჩვენს ქვეყანაში 16 მილიონამდე ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა გვქონდა. ახლა 25 მილიონამდე ინდივიდუა-

ლური გლეხური მეურნეობა გვაქვს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უაღრესად წვრილგლეხური მეურნეობის ქვეყანა ვართ. ხოლო რა არის წვრილგლეხური მეურნეობა? ეს არის ყველაზე არაუზრუნველყოფილი, ყველაზე პრიმიტიული, ყველაზე განუვითარებელი და ყველაზე არასასაქონლო მეურნეობა. ამაშია საქმის მთელი არსი, ამხანაგებო. სასუქი, მანქანები, აგრონომიული ცოდნა და სხვა გაუმჯობესებანი — ეს ისეთი რამ არის, რის წარმატებით გამოყენება შეიძლება მსხვილ მეურნეობებში, მაგრამ რასაც არ იყენებენ ან თითქმის არ იყენებენ წვრილგლეხურ მეურნეობაში. აი რა შეადგენს წვრილი მეურნეობის სისუსტეს და აი რატომ ვერ უძლებს იგი კონკურენციას მსხვილ კულაკურ მეურნეობებთან.

საერთოდ არის თუ არა ჩვენში სოფლად მსხვილი მეურნეობები, რომლებიც იყენებენ მანქანებს, სასუქს, აგრონომიულ ცოდნას და სხვ.? დიახ, არის. ესენი არიან, ჯერ ერთი, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მაგრამ ასეთი მეურნეობა ჩვენში ცოტაა, ამხანაგებო. მეორეც, ესენი არიან მსხვილი კულაკური (კაპიტალისტური) მეურნეობები. ეს მეურნეობები ჩვენს ქვეყანაში არც ისე ცოტაა, და ისინი სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავადგეთ სოფლად კერძო მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობების წაქეზების გზას? ცხადია, არ შეგვიძლია. აქედან — დასკვნა: მთელი ძალით შევუდგეთ სოფლად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტიპის მსხვილი მეურნეობების განვითარებას, ვეცადოთ გადავაქციოთ ისინი თანამედროვე მეცნიერების საფუძველზე მოწყობილ პურის ფაბრიკებად ჩვენი ქვეყნისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჩვენი პარტიის XV ყრილობამ წამოაყენა ლოზუნგი კოლმეურნეობებისა და საბ-

ჭოთა მეურნეობების მშენებლობის ყოველმხრივ განვითარების შესახებ.

შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ კოლმეურნეობები მხოლოდ ღარიბი გლეხობის ფენებიდან უნდა შენდებოდეს. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ჩვენი კოლმეურნეობები უნდა შესდგებოდნენ ღარიბი და საშუალო გლეხობისაგან, ისინი უნდა მოიცავდნენ არა მარტო ცალკეულ მცირე და უმცირეს ჯგუფებს, არამედ მთელ სოფლებსაც. საშუალო გლეხს პერსპექტივა უნდა მივცეთ და მივუთითოთ, რომ მეურნეობის საუკეთესოდ და უსწრაფესად განვითარება მას შეუძლია კოლმეურნეობების საშუალებით. თუ საშუალო გლეხს არ შეუძლია ავიდეს მაღლა, კულაკურ ჯგუფში, ხოლო დაბლა დაშვება უგუნურება იქნებოდა, მას უნდა მივცეთ პერსპექტივა, რომ მეურნეობის გაუმჯობესება შეეძლება საკოლმეურნეო მშენებლობის საშუალებით.

მაგრამ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩვენში ჯერჯერობით ცოტაა, წარმოუდგენლად ცოტაა. აქედანაა სოფლად ჩვენი მშენებლობის სიძნელენი. აქედანაა პურის წარმოების ნაკლებობა.

მეორე. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენი მშენებლობის სიძნელენი ქალაქად და სოფლად წარმოადგენენ იმ ბაზას, რომლის საფუძველზეც შეიძლება წარმოიშვას დამზადების კრიზისი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ დამზადების კრიზისი მაინცდამაინც წელს უნდა მომხდარიყო. ცნობილია, რომ ეს სიძნელენი არსებობდნენ არა მარტო წელს, არამედ შარშანაც, — მაშ დამზადების კრიზისი რატომ სწორედ წელს მოხდა? რაშია აქ საიდუმლოება?

საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ კულაკს წელს შესაძლებლობა მიეცა გამოეყენებინა ეს სიძნელეები იმისათვის, რომ უზომოდ აეწია პურის ფასები, იერიში მიეტანა ფასების საბჭოთა პოლიტიკაზე და ამით შეეფერხებინა ჩვენი მუშაობა დამზადების დარგში. ხოლო ამ

სიძნელეების გამოყენება მან შესძლო ყოველ შემთხვევაში ორი მიზეზის გამო:

ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ სამი წლის მოსავალს ფუჭად როდი ჩაუვლია, ამ ხნის განმავლობაში კულაკი გაიზარდა, ამ ხნის განმავლობაში საერთოდ სოფლად და განსაკუთრებით კულაკის ხელში დაგროვდა პურის მარაგი, და კულაკს შესაძლებლობა მიეცა — ცდილიყო ეკარნახა ფასები;

მეორეც, იმიტომ, რომ კულაკს მხარს უჭერდნენ ქალაქის სპეკულანტები, რომლებიც თამაშს ეწევიან პურის ფასების მომატებაზე და, ამრიგად, ბერავენ ფასებს.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ კულაკი პურის მთავარი მჭონებელია. მთავარი და ძირითადი მასა, რომელსაც პურის უმეტესი წილი აქვს, საშუალო გლეხია. მაგრამ კულაკი სოფლად ერთგვარი სამეურნეო ავტორიტეტით სარგებლობს, და ფასების საკითხში მას ზოგჯერ შეუძლია გაიყოლიოს საშუალო გლეხი. აქედან წარმოსდგება იმის შესაძლებლობა, რომ სოფლის კულაკურმა ელემენტებმა ჩვენი მშენებლობის სიძნელეები პურის ფასების სპეკულაციური გაბერვისათვის გამოიყენონ.

მაგრამ რას ნიშნავს პურის ფასების გაბერვა, ვთქვათ, 40 — 50 პროცენტით, როგორც ამას სჩადიოდნენ, მაგალითად, კულაკურ-სპეკულანტური ელემენტები? ეს ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, მუშათა რეალური ხელფასისათვის ძირის გამოთხრას. დავუშვათ, რომ ჩვენ მაშინ ხელფასს გავუდიდებდით მუშებს. მაგრამ ამ შემთხვევაში იძულებული ვიქნებოდით გაგვედიდებინა სამრეწველო საქონლის ფასები, რითაც ზიანს მივაყენებდით როგორც მუშათა კლასის, ისე ღარიბი და საშუალო გლეხობის მატერიალურ მდგომარეობას. ამას კი რა მოჰყვებოდა? ამას მოჰყვებოდა მთელი ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისათვის პირდაპირ და უეჭველად ძირის გამოთხრა.

მაგრამ საქმე ამით როდი თავდება. ვთქვათ, პურის ფასები გაგვედიდებინა 40 — 50 პროცენტით ამა წლის იანვარში ან გაზაფხულზე, თესვისათვის მზადების წინ. რას გამოიწვევდა ეს? მაშინ მოვშლიდით ჩვენი მრეწველობის ნედლეულის ბაზას. მებამბეები მიატოვებდნენ ბამბას და გადავიდოდნენ პურზე, როგორც უფრო ხელსაყრელ საქმეზე. მესელეები მიატოვებდნენ სელს და აგრეთვე პურზე გადავიდოდნენ. მეჭარხლეები ასევე მოიქცეოდნენ. და ასე შემდეგ და ამგვარად. მოკლედ: ჩვენ ძირს გამოვუთხრიდით ჩვენი მრეწველობის ნედლეულის ბაზას სოფლის კაპიტალისტური ელემენტების სპეკულანტური მადის გულისათვის.

მაგრამ ესეც ყველაფერი როდია. ჩვენ რომ გაგვედიდებინა პურის ფასები, ვთქვათ, ამა წლის გაზაფხულზე, დანამდვილებით ყელს გამოვჭრიდით ღარიბ გლეხობას, რომელიც გაზაფხულზე პურს ყიდულობს როგორც საჭმელად, ისე მინდვრების დასათესავად. ღარიბ გლეხობას და საშუალო გლეხობის დაბალ ფენებს სრული უფლება ექნებოდათ უთქვათ ჩვენთვის: თქვენ მოგვატყუეთ, რადგან ჩვენ პური მოგყიდეთ გასული წლის შემოდგომაზე დაბალ ფასებში, ახლა კი გვაიძულებთ ვიყიდოთ პური მაღალ ფასებში, — განა ვის იცავთ თქვენ, ბატონო საბჭოთა ადამიანებო, — ხელმოკლეებს თუ კულაკებს?

აი რატომ იყო, რომ პურის ფასების გაბერვის ხაზით კულაკების სპეკულანტური დარტყმისათვის პარტიას ისეთი კონტრდარტყმით უნდა ეპასუხნა, რომელიც კულაკებსა და სპეკულანტებს ხალისს დაუკარგავდა — შიმშილობის საფრთხე შეექმნათ მუშათა კლასისა და ჩვენი წითელი არმიისათვის.

მესამე. უეჭველია, რომ სოფლის კაპიტალისტური ელემენტები ვერ შესძლებდნენ ჩვენი მშენებლობის სიძნელეების იმ ზომით გამოყენებას, რა ზომითაც მათ ისინი ნამდვილად გამოიყენეს, და დამზადების კრიზისი ასეთ საშიშ

ხასიათს ვერ მიიღებდა, მათ ამ საქმეში კიდევ ერთი გარემოება რომ არ დახმარებოდა. რაში მდგომარეობს ეს გარემოება?

იგი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი დამამზადებელი ორგანოები მოდუნებული არიან, მათ შორის არ არის ერთიანი ფრონტი, ისინი კონკურენციას უწევენ ერთიმეორეს, მათ არ სურთ გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ პურის ფასების გასადიდებლად წარმოებული თამაშის წინააღმდეგ.

ბოლოს, იგი მდგომარეობს იმაში, რომ პურის დამზადების რაიონებში ჩვენი პარტიული ორგანიზაციები უმოქმედობას იჩენენ, მათ არ სურთ ჩაერიონ როგორც საჭიროა პურის დამზადების კამპანიაში, მათ არ სურთ ჩაერიონ საქმეში და ბოლო მოუღონ საერთო მოდუნებულობას დამზადების ფრონტზე.

ჩვენმა დამამზადებელმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც შარშანდელი დამზადების კამპანიის წარმატებებმა თავბრუ დაახვიეს და რომლებიც ფიქრობდნენ— წელს დამზადება თვითდინებით წავაო, ყველაფერი «ღვთის ნებას» მიანდეს და ასპარეზი დაუცალეს კულაკურ-სპეკულანტურ ელემენტებს. კულაკებიც სწორედ ამას ელოდნენ. არა მგონია საეჭვო იყოს, ეს გარემოება რომ არა, დამზადების კრიზისი ასეთ სიმწვავეს ხასიათს ვერ მიიღებდა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ, ე. ი. ჩვენს როგორც დამამზადებელ, ისე სხვა ორგანიზაციებს, ხელში გვიჭირავს სამრეწველო საქონლით სოფლის მომარაგების თითქმის 80 პროცენტი და სოფლად მთელი დამზადების თითქმის 90 პროცენტი. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს ვუკარნახოთ სოფლად კულაკს, იმ პირობით, თუ ჩვენი ორგანიზაციები შესძლებენ გამოიყენონ ეს ხელსაყრელი მდგომარეობა. ჩვენ კი, ნაცვლად იმისა, რომ გამოვიყენოთ ეს ხელსაყრელი მდგომარეობა, ყველაფერი თვითდინებას მივანდეთ და ამით გავუადვილეთ,—

რა თქმა უნდა, ჩვენდა უნებლიეთ, — სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებს ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ასეთია, ამხანაგებო, პირობები, რომლებმაც განსაზღვრეს გასული წლის დამლევს დამზადების კრიზისი.

ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ დამზადების კრიზისი არ შეიძლება შემთხვევითობად ჩაითვალოს.

თქვენ ხედავთ, რომ დამზადების კრიზისი გამოხატავს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სოფლის კაპიტალისტური ელემენტების პირველ, ნეპის პირობებში პირველ, სერიოზულ გამოსვლას ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხში, პურის დამზადების საკითხში.

აი რაში მდგომარეობს, ამხანაგებო, პურის დამზადების დარგში კრიზისის კლასობრივი სარჩული.

თქვენ იცით, რომ დამზადების კრიზისის მოსასპობად და კულაკობის სპეკულანტური მადის ასალაგმავად პარტია და საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდნენ მიეღოთ მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. ამ ღონისძიებებზე საკმაოდ ბევრი ლაპარაკი იყო ჩვენს პრესაში. მათ შესახებ საკმაოდ დაწვრილებით არის ნათქვამი ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის რეზოლუციაში. ამიტომ ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის აქ ეს გავიმეოროთ.

მინდა მხოლოდ ვთქვა ზოგიერთი საგანგებო ღონისძიების შესახებ, რომლებიც მიღებულ იქნა განსაკუთრებული პირობების გამო და რომლებიც, რა თქმა უნდა, ზედმეტი გახდება, რამდენადაც აღარ იქნება ეს განსაკუთრებული პირობები. მხედველობაში მაქვს კანონის 107 მუხლის გამოყენება სპეკულაციის წინააღმდეგ. ეს მუხლი ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1926 წელს მიიღო. ეს მუხლი შარშან არ გამოგვიყენებია. რატომ? იმიტომ, რომ პურის დამზადება, როგორც იტყვიან, ნორმალურად მიმ-

დინარეობდა, და საფუძველი არ იყო ამ მუხლის გამოყენებისათვის. ეს მუხლი მხოლოდ წელს, 1928 წლის დამდეგისათვის გაგვახსენდა. ხოლო იგი იმიტომ გაგვახსენდა, რომ ჩვენ გვქონდა კულაკობის სპეკულანტური მახინაციებით შექმნილი მთელი რიგი განსაკუთრებული გარემოებანი, რომლებიც შიმშილობის საფრთხეს ქმნიდნენ. ცხადია, თუ მომავალ დამზადების წელს განსაკუთრებული გარემოებანი არ იქნება და დამზადება ნორმალურად იწარმოებს, 107 მუხლი არ იქნება გამოყენებული. და პირიქით, თუ დადგება საგანგებო გარემოებანი და კაპიტალისტური ელემენტები ისევ დაიწყებენ «ოინბაზობას», 107 მუხლი კვლავ გამოჩნდება სცენაზე.

სისულელე იქნებოდა ამის საფუძველზე გველაპარაკნა ნეპის «გაუქმების» შესახებ, სასურსათო გაწერის «დაბრუნების» შესახებ და სხვ.. ნეპის გაუქმებაზე ახლა ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მტრებს. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ახლა არავისთვის არ არის ისე ხელსაყრელი, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ნეპი ნიშნავს არა კაპიტალისტური ელემენტების, მათ შორის აგრეთვე კულაკობის, წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას მათი დაძლევისათვის, არამედ კულაკობისა და სხვა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ასეთ ადამიანებს საერთო არა აქვთ რა ლენინიზმთან, ვინაიდან ასეთ ადამიანებს ადგილი არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ადგილი ჩვენს პარტიაში.

სასურსათო კრიზისის მოსასპობად პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგები თქვენთვის აგრეთვე ცნობილია. ეს შედეგები მოკლედ ასეთია.

ჯერ-ერთი, ჩვენ ავინაზღაურეთ დანაკარგი და დავამზადეთ პური, ამასთან დავეწიეთ, ხოლო ზოგგან კიდევაც გავუსწარით, დამზადების შარშანდელ ტემპს. ცნობილია, რომ სამი თვის განმავლობაში, იანვარ-მარტში, ჩვენ შევძელით დაგვემზადებინა 270 მილიონზე მეტი ფუთი პური. ეს, რა თქმა უნდა, ყველაფერი როდია, რაც ჩვენ გვესაჭიროება. კიდევ უნდა დავამზადოთ 100 მილიონზე მეტი ფუთი. მაგრამ ეს მაინც ის აუცილებელი მიღწევაა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა **მოგვესპო** დამზადების კრიზისი. ახლა ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ ამ ფრონტზე უდიდესი წარმატებები მოიპოვეს.

მეორეც, ჩვენ გავაჯანსაღეთ, ცოტად თუ ბევრად გავაჯანსაღეთ, ჩვენი დამამზადებელი და პარტიული ორგანიზაციები ადგილებზე, შევამოწმეთ რა საქმით მათი საბრძოლო მზადყოფნა და გავწმინდეთ ისინი აშკარად გახრწნილი ელემენტებისაგან, რომლებიც არ ცნობდნენ კლასებს სოფლად და არ სურდათ «მოემდურებინათ» კულაკი.

მესამეც, ჩვენ გავაუმჯობესეთ მუშაობა სოფლად, უფრო დავიახლოეთ ღარიბი გლეხობა და მტკიცედ მოვიმხრეთ საშუალო გლეხების დიდი უმრავლესობა, მოვახდინეთ **კულაკობის** იზოლაცია და რამდენადმე ვაწყენინეთ საშუალო გლეხების შეძლებულ ზედაფენას. ამით ჩვენ განვახორციელეთ ჩვენი ძველი ბოლშევიკური ლოზუნგი, რომელიც ლენინმა მოგვცა ჩვენი პარტიის ჯერ კიდევ VIII ყრილობაზე [13]: დაეყრდენი ღარიბ გლეხობას, გქონდეს საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის მოწყობის უნარი, ერთი წუთითაც ნუ შეწყვეტ ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ.

მე ვიცი, რომ ზოგიერთი ამხანაგი სრული ხალისით როდი იღებს ამ ლოზუნგს. უცნაური იქნებოდა გვეფიქრა, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი პროლეტარიატის განმტკიცე-

ბული დიქტატურის პირობებში ნიშნავს მუშების კავშირს მთელ გლეხობასთან, მათ შორის კულაკობასთანაც. არა, ამხანაგებო, ასეთ კავშირს ჩვენ არ ვქადაგებთ და ვერც ვიქადაგებთ. პროლეტარიატის დიქტატურის ვითარებაში, მუშათა კლასის ხელისუფლების განმტკიცების პირობით, გლეხობასთან მუშათა კლასის კავშირი ნიშნავს ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობას, საშუალო გლეხობასთან კავშირს, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლას. ვინც ფიქრობს, რომ გლეხობასთან კავშირი ჩვენს პირობებში კულაკთან კავშირს ნიშნავს, მას საერთო არა აქვს რა ლენინიზმთან. ვინც ფიქრობს სოფლად ისეთი პოლიტიკის წარმოებას, რომელიც ყველას მოეწონება, მდიდრებსაც და ღარიბებსაც, ის მარქსისტი კი არა, რეგვენია, ვინაიდან ასეთი პოლიტიკა ბუნებაში არ არსებობს, ამხანაგებო. (ს ი ც ი ლ ი, ტ ა შ ი). ჩვენი პოლიტიკა კლასობრივი პოლიტიკაა.

ასეთია საერთოდ შედეგები ჩვენი ღონისძიებებისა პურის დამზადების გაძლიერების დარგში.

უეჭველია, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელებისას ჩვენ გვქონდა ჩვენს პრაქტიკაში მთელი რიგი გადახრები და პარტიული ხაზის დამახინჯებანი. ჩვენი პოლიტიკის დამახინჯების მთელი რიგი შემთხვევები, რომლებიც, ჩვენი უთაურობის გამო, ზიანს აყენებენ უწინარეს ყოვლისა ღარიბ გლეხობასა და საშუალო გლეხებს, 107 მუხლის არასწორად გამოყენება და სხვ., — ეს შემთხვევები ყველასათვის ცნობილია. ჩვენ მთელი სიმკაცრით ვსჯით და დავსჯით მათ, ვისაც ბრალი მიუძღვის ამ დამახინჯებებში. მაგრამ უცნაური იქნებოდა ამ დამახინჯებათა გამო არ დაგვენახა პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებათა ის საკეთილო და ჭეშმარიტად სერიოზული შედეგები, ურომლისოდაც თავს ვერ დავაღწევდით დამზადების კრიზისს. ასე მოქცევა იმას ნიშნავს, რომ ვერ ვამჩნევდეთ მთავარს და პირველ ადგილზე ვაყენებდეთ კერძოსა და შემთხვევითს. ასე მოქცევა

იმას ნიშნავს, რომ წყალი გადაასხა დამზადების კამპანიის უალრესად სერიოზულ წარმატებებს ჩვენი ხაზის დამაბინძურების ცალკეულ შემთხვევათა გამო, რომელნიც სრულიადაც არ გამომდინარეობენ პარტიის მიერ მიღებულ ღონისძიებათაგან.

იყო თუ არა ჩვენში ისეთი გარემოებანი, რომლებმაც გააადვილეს ჩვენი წარმატებანი დამზადების დარგში და ჩვენი ბრძოლა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შემოტევის წინააღმდეგ?

დიახ, იყო. შეიძლებოდა აღგვენიშნა ყოველ შემთხვევაში ორი ასეთი გარემოება.

ეს იყო, ჯერ-ერთი, ის ფაქტი, რომ ჩვენ მოვაწყეთ პარტიის ჩარევა დამზადების კამპანიაში და დავცხეთ კულაკურ-სპეკულანტურ ელემენტებს ჩვენი პარტიის XV ყრილობის შემდეგ, ოპოზიციის ლიკვიდაციის შემდეგ, მას შემდეგ, რაც პარტიამ მიაღწია მაქსიმალურ ერთიანობას, გაანადგურა რა თავისი პარტიული მტრები. კულაკობასთან ბრძოლა უბრალო საქმედ ვერ ჩაითვლება. კულაკურ-სპეკულანტური მახინაციების აღსაკვეთად ისე, რომ ამან ჩვენს ქვეყანაში არავითარი გართულება არ გამოიწვიოს, უნდა გვქონდეს აბსოლუტურად შემჭიდროებული პარტია, აბსოლუტურად მტკიცე ზურგი და სავსებით მტკიცე ხელისუფლება. არა მგონია საეჭვო იყოს, რომ ასეთი პირობების არსებობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაში, რომ კულაკობა იძულებული გახდა ერთბაშად დაეხია უკან.

მეორეც, ეს იყო ის ფაქტი, რომ ჩვენ შევძელით კულაკურ-სპეკულანტური ელემენტების ალაგმვისაკენ მიმართული ჩვენი პრაქტიკული ღონისძიებანი დაგვეკავშირებინა მუშათა კლასის, წითელი არმიისა და სოფლის ხელმოკლე ფენების უმრავლესობის საარსებო ინტერესებთან. იმ გარემოებას, რომ კულაკურ-სპეკულანტურმა ელემენტებმა ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების წინა-

შე შიმშილის აჩრდილი დააყენეს და ამასთან არღვევდნენ საბჭოთა ხელისუფლების კანონებს (107 მუხლი), ამ გარემოებას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ის, რომ სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენს მხარეზე გვყავდა სოფლის უმრავლესობა. კულაკი უღმერთოდ ეწეოდა პურის სპეკულაციას, იგი ამით უდიდეს სიძნელეებს ქმნიდა როგორც ქალაქში, ისე სოფლად, ამასთან იგი არღვევდა საბჭოთა ხელისუფლების კანონებს, ე. ი. მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებას, — განა ცხადი არ არის, რომ ამ გარემოებას უნდა გაეადვილებინა კულაკობის იზოლაციის საქმე?

მივიღეთ ერთგვარად ისეთივე კომბინაცია (რა თქმა უნდა, სათანადო შენიშვნებით), როგორიც იყო 1921 წელს, როცა პარტიამ ლენინის მეთაურობით, ჩვენს ქვეყანაში შიმშილობის გამო, დააყენა საკითხი ეკლესიებიდან ფასეულობათა ამოღებისა დამშეული რაიონებისათვის პურის შესაძენად, ააგო რა ამაზე უფართოესი ანტირელიგიური კამპანია, და როცა ხუცებმა, ჩაებღაუჭნენ რა ფასეულობებს, ნამდვილად გაილაშქრეს დამშეული მასების წინააღმდეგ და ამით გამოიწვიეს მასების გაბოროტება საერთოდ ეკლესიის წინააღმდეგ, კერძოდ რელიგიურ ცრურწმენათა წინააღმდეგ, განსაკუთრებით ხუცესთა და მათ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. მაშინ იყვნენ ისეთი უცნაური ადამიანები ჩვენს პარტიაში, რომლებსაც ეგონათ, რომ ლენინი ეკლესიასთან ბრძოლის საჭიროებას მიხვდა მხოლოდ 1921 წელს (ს ი ც ი ლი), მანამდე კი მას ეს თითქოს არ ესმოდა. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, ამხანაგებო. ლენინს, რასაკვირველია, ეკლესიასთან ბრძოლის საჭიროება 1921 წლამდეც ესმოდა. მაგრამ საქმე ეს კი არ არის, — სულაც არა. საქმე ის არის, რომ ფართო მასობრივი ანტირელიგიური კამპანია დავუკავშიროთ ხალხის მასების საარსებო

ინტერესებისათვის ბრძოლას და ისე წარვმართოთ, რომ იგი, ეს კამპანია, გასაგები იყოს მასებისათვის, რომ მას, ამ კამპანიას, მხარი დაუჭირონ მასებმა.

იგივე უნდა ითქვას იმ მანევრის შესახებ, რომელსაც პარტიამ ამა წლის დამდეგს მიმართა პურის დამზადების კამპანიასთან დაკავშირებით. არიან ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ პარტია მხოლოდ ახლა მიხვდა კულაკური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებას. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, ამხანაგებო. პარტიას მუდამ ესმოდა ასეთი ბრძოლის საჭიროება და ეწეოდა მას, ამ ბრძოლას, არა სიტყვით, არამედ საქმით. პარტიის მიერ ამა წლის დამდეგს წამოწყებული მანევრის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ წელს პარტიას შესაძლებლობა მიეცა სოფლის კულაკურ-სპეკულანტური ელემენტების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა დაეკავშირებინა მშრომელთა ფართო მასების საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლასთან და, დააკავშირა რა ისინი, შესძლო გაეყოლიებინა სოფლის მშრომელი მასების უმრავლესობა და მოეხდინა კულაკის იზოლაცია.

ბოლშევიკური პოლიტიკის ხელოვნება სრულებითაც ის არ არის, რომ ყველა ფრონტს განურჩევლად უშენდე ყველა ზარბაზანს, ანგარიშს არ უწევდე დროისა და ადგილის პირობებს, ანგარიშს არ უწევდე იმას, მზად არიან თუ არა მასები მხარი დაუჭირონ ხელმძღვანელობის ამა თუ იმ ნაბიჯს. ბოლშევიკური პოლიტიკის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ ვიცოდეთ დროისა და ადგილის შერჩევა და მხედველობაში ვიღებდეთ საქმის ყველა გარემოებას, რათა მთავარი ცეცხლი მივმართოთ იმ ფრონტისაკენ, სადაც ყველაზე უფრო შეიძლება მაქსიმალური შედეგების მიღწევა.

მართლაც, რა შედეგები გვექნებოდა ახლა, კულაკობისათვის უალრესად სერიოზულად რომ დაგვერტყა სამი წლის წინათ, როცა ჩვენ ჯერ კიდევ მტკიცედ არ გვყავდნენ

მომხრობილნი საშუალო გლეხები, როცა საშუალო გლეხი გაბოროტებული იყო და სასტიკად ილაშქრებდა ჩვენი სათემო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების წინააღმდეგ, როცა ღარიბი გლეხობა გაბრუებული იყო ნეპის შედეგებით, როცა ჩვენ ომამდელი ნათესი ფართობის მხოლოდ 75 პროცენტი გვქონდა, როცა ჩვენს წინაშე იდგა სოფლად სასურსათო და ნედლეული პროდუქტების წარმოების გაფართოების ძირითადი საკითხი, როცა ჩვენ ჯერ კიდევ არ გვქონდა სურსათისა და ნედლეულის სერიოზული ბაზა ინდუსტრიისათვის?

არ მეეჭვება, რომ მაშინ ჩვენ წავაგებდით ბრძოლას, ვერ შევძლებდით ნათესი ფართობის გადიდებას იმ ნორმამდე, რა ნორმამდეც შევძელით მისი აყვანა ახლა, ჩავშლიდით მრეწველობისათვის სურსათისა და ნედლეულის ბაზის შექმნის შესაძლებლობას, გავაადვილებდით კულაკობის გაძლიერების საქმეს, ზურგს შემოვაქცევინებდით საშუალო გლეხს და, შესაძლოა, ახლა გვექნებოდა უაღრესად სერიოზული პოლიტიკური გართულებანი ჩვენს ქვეყანაში.

რა გვქონდა სოფლად ამა წლის დამდეგისათვის? ომამდელ ნორმამდე გადიდებული სათესი ფართობი, ნედლეულისა და სურსათის განმტკიცებული ბაზა მრეწველობისათვის, საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე მტკიცედ გადმოსული საშუალო გლეხთა უმრავლესობა, ცოტად თუ ბევრად დარაზმული ღარიბი გლეხობა, გაუმჯობესებული და განმტკიცებული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სოფლად. განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ამ პირობებში შეიძლებოდა გვქონოდა იმედი სერიოზული წარმატებისა კულაკურ-სპეკულანტური ელემენტების წინააღმდეგ დარტყმის მოწყობის საქმეში? განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ შეშლილები თუ ვერ მიხვდებიან მთელ განსხვავებას ამ ორ გარემოებას შორის სოფლის კაპიტალისტური ელე-

მენტების წინააღმდეგ ფართო მასობრივი ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში?

აი იმის მაგალითი, თუ რა უგუნურებაა — განურჩევლად დაუშინო ყველა ზარბაზანი ყველა ფრონტს, დროისა და ადგილის პირობებისათვის ანგარიშის გაუწევლად, მებრძოლ ძალთა თანაფარდობისათვის ანგარიშის გაუწევლად.

ასეთია, ამხანაგებო, საქმის ვითარება პურის დამზადების საკითხის მხრივ.

ახლა გადავიდეთ შახტის საქმის საკითხზე.

III

შახტის საქმე

როგორია შახტის საქმის კლასობრივი სარჩული, სად იფარება შახტის საქმის ფესვები და კლასობრივი ხასიათის რა საფუძველზე შეიძლებოდა წარმოშობილიყო ეს ეკონომიური კონტრრევოლუცია?

არიან ამხანაგები, რომლებსაც შახტის საქმე შემთხვევითობად მიაჩნიათ. ისინი ჩვეულებრივ ამბობენ: აქ ჩვენ საკმაოდ დიდი უყურადღებობა გამოვიჩინეთ, თვალი ვერ მივადევნეთ, მაგრამ უყურადღებობა რომ არ გამოგვეჩინა, არავითარი შახტის საქმე არ გვექნებოდაო. აქ რომ დაშვებულია უყურადღებობა და საკმაოდ დიდი უყურადღებობაც, — ეს სავსებით უეჭველია. მაგრამ ყველაფერი რომ უყურადღებობით ავხსნათ, ეს საქმის არსის გაუგებლობა იქნება.

რას მოწმობენ ფაქტები, შახტის საქმის მასალები?

ფაქტები მოწმობენ, რომ შახტის საქმე ეკონომიური კონტრრევოლუციაა, რაც წამოიწყო იმ ბურჟუაზიული სპეცების ნაწილმა, რომლებიც წინათ ქვანახშირის მრეწველობას ფლობდნენ.

შემდეგ, ფაქტები მოწმობენ, რომ ეს სპეცები, რომლებიც ფარულ ჯგუფად იყვნენ ორგანიზებული, მავნებლობისათვის ფულს იღებდნენ ყოფილი მეპატრონეებისაგან, რომლებიც ახლა ემიგრაციაში სხედან, და დასავლეთის კონტრრევოლუციური ანტისაბჭოთა კაპიტალისტური ორგანიზაციებისაგან.

ბოლოს, ფაქტები მოწმობენ, რომ ბურჟუაზიული სპეცების ეს ჯგუფი მოქმედებდა და ჩვენს მრეწველობას ანგრევდა დასავლეთის კაპიტალისტური ორგანიზაციების მითითებებით.

რას მოწმობს ყოველივე ეს?

იმას, რომ აქ საქმე გვაქვს დასავლეთ ევროპის ანტისაბჭოთა კაპიტალისტური ორგანიზაციების ეკონომიურ ინტერვენციასთან ჩვენი მრეწველობის საქმეებში. თავის დროზე იყო სამხედრო-პოლიტიკური ინტერვენცია, რომლის ლიკვიდაცია ჩვენ შევძელით ძლევამოსილი სამოქალაქო ომის გზით. ახლა ჩვენ გვაქვს ცდა ეკონომიური ინტერვენციისა, რომლის ლიკვიდაციისათვის სამოქალაქო ომი არ დაგვჭირდება, მაგრამ რომლის ლიკვიდაცია ჩვენ მაინც უნდა მოვახდინოთ და რომლის ლიკვიდაციასაც მოვახდენთ ჩვენთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით.

სისულელე იქნებოდა გვეფიქრა, რომ საერთაშორისო კაპიტალი ჩამოგვეხსნება და მოგვისვენებს. არა, ამხანაგებო, ეს სწორი არ არის. კლასები არსებობენ, საერთაშორისო კაპიტალი არსებობს, და მას არ შეუძლია დამშვიდებული უყურებდეს სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის განვითარებას. წინათ იგი, საერთაშორისო კაპიტალი, ფიქრობდა დაემხო საბჭოთა ხელისუფლება პირდაპირი სამხედრო ინტერვენციის გზით. ეს ცდა ჩაიფუშა. ახლა იგი ცდილობს, და კვლავაც ეცდება, შეასუსტოს ჩვენი სამეურნეო ძლიერება უხილავი, არა ყოველთვის შესამჩნევი, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ეკონომიური ინტერვენციის გზით, მოაწყობს

მავნებლობას, მოამზადებს ყოველგვარ «კრიზისებს» მრეწველობის ამა თუ იმ დარგში, რათა ამით გაიადვილოს მომავალი სამხედრო ინტერვენციის შესაძლებლობა. აქ ყველაფერი შეკრულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო კაპიტალის კლასობრივი ბრძოლის კვანძად, და არავითარ შემთხვევითობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ორში ერთი:

ან ჩვენ მომავალშიც განვახორციელებთ რევოლუციურ პოლიტიკას, სსრ კავშირის მუშათა კლასის გარშემო დავრაზმავთ ყველა ქვეყნის პროლეტარებსა და ჩაგრულებს, — და მაშინ საერთაშორისო კაპიტალი ყოველნაირად ეცდება ხელი შეგვიშალოს ჩვენს წინსვლაში;

ან ჩვენ ხელს ავიღებთ ჩვენს რევოლუციურ პოლიტიკაზე, წავალთ საერთაშორისო კაპიტალისადმი მთელ რიგ პრინციპულ დათმობებზე, — და მაშინ საერთაშორისო კაპიტალს, ალბათ, საწინააღმდეგო არა ექნება რა «დაგვეხმაროს» ჩვენი სოციალისტური ქვეყნის «კარგ» ბურჟუაზიულ რესპუბლიკად გადაქცევის საქმეში.

არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ განმათავისუფლებელი საგარეო პოლიტიკა და ამასთან ერთად მივაღწიოთ იმას, რომ ამისათვის გვაქებდნენ ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტები. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ ასეთ გულუბრყვილო ადამიანებს ჩვენს პარტიასთან საერთო არა აქვთ რა და არც შეიძლება ჰქონდეთ.

ინგლისი, მაგალითად, მოითხოვს ჩვენგან, რომ დავამყაროთ მასთან დაპყრობითი გავლენის სფეროები სადმე, ვთქვათ, სპარსეთში, ავღანეთში ან თურქეთში, ამასთან იგი გვარწმუნებს, რომ მზად არის დაამყაროს ჩვენთან «მეგობრობა», თუ ამ დათმობაზე წავალთ. რას იტყვით, ამხანაგებო, ხომ არ წავიდეთ ამ დათმობაზე? (*საერთო შეძახილი:* «არა!»).

ამერიკა მოითხოვს, რომ ჩვენ პრინციპულად ვთქვათ უარი სხვა ქვეყნების მუშათა კლასის განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერის პოლიტიკაზე, რომ ყველაფერი კარგად წარიმართებოდა, თუ ჩვენ ასეთ დათმობაზე წავიდოდით. რას იტყვით, ამხანაგებო, ხომ არ წავიდეთ ამ დათმობაზე? (ს ა ე რ თ ო შ ე ძ ა ხ ი ლ ი: «არა!»).

ჩვენ შეგვეძლო «მეგობრული» ურთიერთობა დაგვემყარებინა იაპონიასთან, თუ დავთანხმდებოდით გაგვენაწილებინა მასთან მანჯურია. შეგვიძლია თუ არა წავიდეთ ამ დათმობაზე? (ს ა ე რ თ ო შ ე ძ ა ხ ი ლ ი: «არა!»).

ან, მაგალითად, ჩვენგან მოითხოვენ, რომ «შევარბილოთ» საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და დავთანხმდეთ ომისდროინდელი და ომამდელი ყველა ვალის გადახდაზე. ხომ არ დავთანხმდეთ ამაზე, ამხანაგებო? (ს ა ე რ თ ო შ ე ძ ა ხ ი ლ ი: «არა!»).

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ვერ წავალთ ამ და მათ მსგავს დათმობებზე, თუ საკუთარ თავზე არ ვთქვით უარი, — სწორედ ამიტომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ საერთაშორისო კაპიტალი კვლავაც მოგვიწყობს ყველა და ყოველგვარ სისაძაგლეს, სულ ერთია, იქნება ეს შახტის საქმე თუ მისი მსგავსი სხვა რამ.

აი რაშია შახტის საქმის კლასობრივი ფესვები.

რატომ მოხერხდა ჩვენში საერთაშორისო კაპიტალის სამხედრო ინტერვენცია? იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობდნენ მთელი ჯგუფები სამხედრო სპეციალისტებისა, გენერლებისა და ოფიცრებისა, ბურჟუაზიისა და მემამულეების შვილებისა, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ საფუძველი გამოეთხარათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. განა შეეძლოთ ამ ოფიცრებსა და გენერლებს მოეწყოთ სერიოზული ომი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საერთაშორისო კაპიტალის ფინანსური, სამხედრო და ყოველგვარი სხვა დახმარება რომ არ ჰქონოდათ? რა თქმა

უნდა, არ შეეძლოთ. განა შეეძლო საერთაშორისო კაპიტალს თეთრგვარდიელ ოფიცერთა და გენერალთა ამ ჯგუფის დაუხმარებლად მოეწყო სერიოზული ინტერვენცია? მე ვფიქრობ, რომ არ შეეძლო.

ჩვენში მაშინ იყვნენ ამხანაგები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სამხედრო ინტერვენცია შემთხვევითობა იყო, და ჩვენ რომ საპყრობილიდან არ გაგვეთავისუფლებინა კრასნოვი, მამონტოვი და სხვ., ინტერვენცია არ იქნებოდა. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. მამონტოვის, კრასნოვისა და სხვა თეთრგვარდიელი გენერლების განთავისუფლებამ რომ თავისი როლი შეასრულა სამოქალაქო ომის განვითარების საქმეში, — ეს უეჭველია. მაგრამ სამხედრო ინტერვენციის ფესვები რომ ამაში კი არ არის, არამედ იმ კლასობრივ წინააღმდეგობაშია, რაც არსებობს, ერთი მხრივ, საბჭოთა ხელისუფლებასა და, მეორე მხრივ, საერთაშორისო კაპიტალსა და რუსეთში მის მაჩანჩალა გენერლებს შორის, — ესეც სრულიად უეჭველია.

განა შეეძლოთ ჩვენში შახტის საქმე მოეწყოთ ზოგიერთ ბურჟუაზიულ სპეცებს, ყოფილ შახტმფლობელებს, მათ რომ არ ჰქონოდათ საერთაშორისო კაპიტალის ფინანსური და მორალური დახმარება, არ ჰქონოდათ იმის პერსპექტივა, რომ საერთაშორისო კაპიტალს შეუძლია დაეხმაროს მათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის საქმეში? რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ. განა შეეძლო საერთაშორისო კაპიტალს მოეწყო ჩვენში შახტის საქმის მსგავსი ეკონომიური ინტერვენცია, ჩვენში რომ არ ყოფილიყო ბურჟუაზია, მათ შორის ერთგვარი ჯგუფი ბურჟუაზიული სპეცებისა ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც მზად არიან კოვზ წყალში ჩაახრჩონ საბჭოთა ხელისუფლება? ცხადია, არ შეეძლო. საერთოდ არიან თუ არა ჩვენში ბურჟუაზიული სპეციალისტების ასეთი ჯგუფები, რომლებიც მზად არიან მოაწყონ ეკონომიური ინტერვენცია, ძირი გამოუთხარონ საბ-

ჭოთა ხელისუფლებას? ვფიქრობ, რომ არიან. არა მგონია, რომ ისინი ბევრნი შეიძლება იყვნენ. მაგრამ ჩვენში რომ არსებობენ ბურჟუაზიული კონტრრევოლუციური სპეციალისტების ერთგვარი უმნიშვნელო ჯგუფები, გაცილებით უფრო მცირერიცხოვანნი, ვიდრე ეს სამხედრო ინტერვენციის დროს იყო, — ეს სავსებით უეჭველია.

სწორედ ამ ორი ძალის შეერთება იძლევა ნიადაგს ეკონომიური ინტერვენციისათვის სსრ კავშირში.

აი სწორედ ამაში მდგომარეობს შახტის საქმის კლასობრივი სარჩული.

ახლა გადავიდეთ შახტის საქმიდან გამომდინარე პრაქტიკულ დასკვნებზე.

მინდა შევჩერდე ოთხ პრაქტიკულ დასკვნაზე, რომელთა შესახებაც სიგნალს გვაძლევს შახტის საქმე.

ლენინი ამბობდა, ადამიანთა შერჩევის საკითხი სოციალიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხიაო. შახტის საქმე გვიჩვენებს, რომ ჩვენ ცუდად ვარჩევდით ჩვენს სამეურნეო კადრებს, და არა მარტო ცუდად ვარჩევდით, არამედ ამავე კადრებს ისეთ პირობებშიც ვაყენებდით, რომლებიც მათს ზრდას აძნელებდნენ. ლაპარაკობენ № 33 ბრძანებაზე, განსაკუთრებით კი «ტიპობრივ დებულებაზე», რომელიც ამ ბრძანებას ჰქონდა დართული [14]. ამ ტიპობრივი დებულების დამახასიათებელ თავისებურებას ის შეადგენს, რომ იგი თითქმის ყველა უფლებას ტექნიკურ დირექტორს ანიჭებს, მთავარ დირექტორს კი იმის უფლებას უტოვებს, რომ მოაწესრიგოს კონფლიქტები, «წარმომადგენლობდეს» და ფანდური უკრას. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ჩვენი სამეურნეო კადრები საკმაოდ ვერ განვითარდებოდნენ.

თავის დროზე ეს ბრძანება აბსოლუტურად აუცილებელი იყო, ვინაიდან იგი იმ მომენტში გამოიცა, როცა ჩვენ სრულებით არ გვყავდა ჩვენი სამეურნეო კადრები, როცა

ჩვენ არ ვიცოდით მრეწველობის მართვა და ძალაუნებურად გვიხდებოდა ძირითადი უფლებები ტექნიკური დირექტორისათვის გადაგვეცა. მაგრამ ახლა ეს ბრძანება ბორკილად გადაიქცა. ახლა ჩვენ გვყავს საკუთარი სამეურნეო კადრები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება და შეუძლიათ განვითარდნენ ჩვენი მრეწველობის ნამდვილ ხელმძღვანელებად. და სწორედ ამიტომ დროა გავაუქმოთ მოძველებული ტიპობრივი დებულება და იგი ახლით შევცვალოთ.

ამბობენ, შეუძლებელია, რომ კომუნისტები, განსაკუთრებით კი მუშა კომუნისტები — სამეურნეო მუშაკები, ქიმიურ ფორმულებსა და საერთოდ ტექნიკურ ცოდნას დაეუფლონო. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. მსოფლიოში არ არის ისეთი ციხე-სიმაგრეები, რომელთა აღება არ შეეძლოთ მშრომელებს, ბოლშევიკებს. (ტ ა შ ი). განა ასეთი ციხე-სიმაგრეები აგვიღია ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში? მთელი საქმე ის არის, რომ სურვილი გვქონდეს დავეუფლოთ ტექნიკურ ცოდნას და შევიარაღდეთ სიმტკიცით და ბოლშევიკური მოთმინებით. მაგრამ იმისათვის, რომ შევცვალოთ ჩვენი სამეურნეო კადრების მუშაობის პირობები და დავეხმაროთ მათ გახდნენ საქმის ნამდვილი და სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები, საჭიროა გავაუქმოთ ძველი ტიპობრივი დებულება და იგი ახლით შევცვალოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგველის იმის საშიშროება, რომ დავამახინჯებთ ჩვენს ადამიანებს.

განა ზოგიერთი ჩვენი დაქვეითებული სამეურნეო მუშაკი რომელიმე ჩვენგანზე უარესი იყო? რით უნდა აიხსნას, რომ ასეთმა და მათმა მსგავსმა ამხანაგებმა დაქვეითება და გახრწნა იწყეს და თავიანთ ყოფაცხოვრებაში ბურჟუაზიულ სპეცებს ემსგავსებოდნენ? ეს აიხსნება ჩვენი არასწორი სამეურნეო პრაქტიკით, ეს აიხსნება ჩვენი სამეურნეო მუშაკების შერჩევისა და მუშაობის იმ პირობებით, რომლებიც აძნელებენ მათს განვითარებას, რომლებიც მათ ბურჟუაზიუ-

ლი სპეციების კუდად აქცევენ. ასეთი პრაქტიკა უნდა აღვკვეთოთ, ამხანაგებო.

მეორე დასკვნა, რომლის შესახებაც სიგნალს გვაძლევს შახტის საქმე, ის არის, რომ ჩვენ ცუდად ვასწავლით კადრებს ჩვენს უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში, ცუდად ვამზადებთ ჩვენს წითელ სპეციებს. ეს ისეთი დასკვნაა, რომლის უარყოფა არასგზით არ შეიძლება. რატომ არის, მაგალითად, რომ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა სპეციალისტი გამოუყენებელი რჩება, მრეწველობისათვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა? იმიტომ, რომ ისინი წიგნით სწავლობდნენ, ისინი წიგნით ნასწავლი სპეციები არიან, მათ არ აქვთ პრაქტიკული გამოცდილება, ისინი მოწყვეტილი არიან წარმოებას, და ისინი, ბუნებრივია, მარცხდებიან. განა ჩვენ ასეთი სპეციები გვესაჭიროება? არა, ჩვენ ასეთი სპეციები როდი გვესაჭიროება, თუნდაც ისინი სამგზის ახალგაზრდა სპეციები იყვნენ. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი სპეციალისტები, სულ ერთია, კომუნისტები არიან ისინი თუ არა კომუნისტები, რომლებიც ძლიერი იქნებიან არა მარტო თეორიულად, არამედ თავიანთი პრაქტიკული გამოცდილებითაც, წარმოებასთან თავიანთი კავშირითაც.

ახალგაზრდა სპეცი, რომელსაც შახტი არ უნახავს და შახტში ჩასვლა არ უნდა, ახალგაზრდა სპეცი, რომელსაც ქარხანა არ უნახავს და ქარხანაში ხელის დასვრა არ უნდა, ასეთი სპეცი ვერასოდეს ვერ აჯობებს ძველ, პრაქტიკულ გამოცდილებაში გამობრძმედილ, მაგრამ ჩვენი საქმისადმი მტრულად განწყობილ სპეციალისტებს. ამიტომ ადვილი ასახსნელია, რომ არა მარტო ძველი სპეციალისტები, და არა მარტო ჩვენი სამეურნეო მუშაკები, არამედ მუშებიც ასეთ ახალგაზრდა სპეციალისტებს ხშირად მტრულად ხვდებიან. მაგრამ ახალგაზრდა სპეცებს ასეთი მოულოდნელობა რომ არ შეემთხვეთ, ამისათვის საჭიროა შევცვალოთ მათი სწავლება, ამასთან შევცვალოთ ისე, რომ ახალგაზრდა სპეცებს

უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლის პირველივე წლებიდან განუყრელი კავშირი ჰქონდეთ წარმოებასთან, ფაბრიკასთან, შახტთან და სხვ.

მესამე დასკვნა ეხება მრეწველობის მართვის საქმეში მუშათა ფართო მასების ჩაბმას. როგორია ამ მხრივ საქმის ვითარება შახტის მასალების მიხედვით? ძალიან ცუდი. საშინლად ცუდი, ამხანაგებო. დამტკიცებულია, რომ არღვევენ შრომის კანონთა კოდექსს, ყოველთვის არ იცავენ მიწის ქვეშ 6-საათიან სამუშაო დღეს, არ ასრულებენ შრომის დაცვის პირობებს. მუშები კი ითმენენ. პროფკავშირები კი დუმან. პარტორგანიზაციები კი ზომებს არ იღებენ ამ უმსგავსობის აღმოსაფხვრელად.

ერთი ამხანაგი, რომელიც ამას წინათ დონბასში იყო, იქ შახტებში ჩადიოდა და მეშახტეებს ეკითხებოდა მათი მუშაობის პირობების შესახებ. საგულისხმოა, რომ არც ერთმა მეშახტემ საჭიროდ არ ჩათვალა მისთვის პირობების გაშო შეეჩივლა. «როგორ ცხოვრობთ, ამხანაგებო?» — ეკითხება მათ ეს ამხანაგი. «არა უშავს რა, ამხანაგო, ცუდად არ ვცხოვრობთ», — უპასუხებენ მეშახტეები. «მოსკოვში მივდივარ, მითხარით, რა უნდა გადავცე ცენტრს?» — ეკითხება იგი. «უთხარით იქ, რომ ცუდად არ ვცხოვრობთ», — უპასუხებენ მეშახტეები. «ყური მიგდეთ, ამხანაგებო, მე ხომ უცხოელი არა ვარ, რუსი ვარ და აქ იმისთვის ჩამოვედი, რომ თქვენგან სიმართლე შევიტყო», — ეუბნება მათ ამხანაგი. «ჩვენთვის სულ ერთია, ამხანაგო, ჩვენ მხოლოდ სიმართლეს ვეუბნებით უცხოელებსაც და ჩვენებსაც», — უპასუხებენ მას მეშახტეები.

აი ჩვენი მეშახტეების სახე. ესენი მხოლოდ მუშები კი არა, გმირები არიან. სწორედ ამაში მდგომარეობს იმ მორალური კაპიტალის სიმდიდრე, რომლის დაგროვებაც ჩვენ შევძელით მუშების გულში. და ფიქრიც კი ძნელია იმაზე, რომ ასეთ უძვირფასეს მორალურ კაპიტალს ვფლანგავთ

ასე უღმერთოდ და დანაშაულებრივად, როგორც ოქტომბრის რევოლუციის უდიდესი მემკვიდრეობის ცუდი და უქნარა მემკვიდრეები! მაგრამ, ამხანაგებო, ძველი მორალური კაპიტალით დიდხანს არსებობა და მისი ასე უგუნურად ფლანგვა არ შეიძლება. დროა ბოლო მოვუღოთ ამას. დიდი ხანია დროა!

ბოლოს, მეოთხე დასკვნა, რომელიც შესრულების შემოწმების საკითხს ეხება. შახტის საქმემ გვიჩვენა, რომ შესრულების შემოწმების საქმე ჩვენში ძალიან ცუდად არის დაყენებული მმართველობის ყველა დარგში, პარტიულ დარგშიც, სამრეწველო და პროფკავშირულ დარგშიც. იწერება რეზოლუციები, იგზავნება დირექტივები, მაგრამ არავის სურს იზრუნოს იმისათვის, რომ შეეკითხოს თავის თავს: რა მდგომარეობაა ამ რეზოლუციებისა და დირექტივების შესრულების მხრივ, ნამდვილად ასრულებენ მათ თუ მაუდქვეშ სდებენ?

ილიჩი ამბობდა, ქვეყნის მართვის საქმეში ერთ-ერთი სერიოზული საკითხი შესრულების შემოწმების საკითხიაო. მაგრამ სწორედ ამ საკითხში ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს. ხელმძღვანელობა იმას როდი ნიშნავს, რომ რეზოლუციები სწერო და დირექტივები გზავნო. ხელმძღვანელობა — ეს ნიშნავს შეამოწმო დირექტივების შესრულება, და არა მარტო დირექტივების შესრულება, არამედ თვით დირექტივებიც, მათი სისწორე ან მათი მცდარობა ცოცხალი პრაქტიკული მუშაობის თვალსაზრისით. სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ყველა ჩვენი დირექტივა მთელი 100 პროცენტით სწორია. ეს არ არის ხოლმე და არც შეიძლება იყოს, ამხანაგებო. შესრულების შემოწმება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი მუშაკები პრაქტიკული გამოცდილების ცეცხლში ამოწმებდნენ არა მარტო ჩვენი დირექტივების შესრულებას, არამედ თვით დირექტივების

სისწორესაც. ამიტომ ნაკლოვანებანი ამ დარგში ნიშნავს ნაკლოვანებებს მთელ ჩვენს ხელმძღვანელობაში.

ავიღოთ, მაგალითად, შესრულების შემოწმება წმინდა პარტიული ხაზით. ჩვეულებრივ ჩვენ გამოვიწვევთ ხოლმე საოლქო და საგუბერნიო კომიტეტების მდივნებს ცენტრალურ კომიტეტში მოხსენებისათვის და ვამოწმებთ ცენტრალური კომიტეტის დირექტივების შესრულებას. მდივნები კითხულობენ მოხსენებას, აღიარებენ თავიანთი მუშაობის ნაკლოვანებებს. ცენტრალური კომიტეტი ამხილებს მათ და გამოაქვს ტრაფარეტული რეზოლუციები მითითებით — გააღრმავონ და გააფართოონ მუშაობა, ხაზგასმით აღნიშნონ ესა და ეს, სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამას და ამას და სხვ.. მდივნები მიდიან ადგილებზე და თან მიაქვთ ეს რეზოლუციები. შემდეგ მათ კვლავ გამოვიწვევთ ხოლმე, და კვლავ იგივე მეორდება გაღრმავების, გაფართოების შესახებ და სხვ. და სხვ.. მე არ ვამბობ, რომ მთელი ეს მუშაობა უსარგებლოდ რჩება. არა, ამხანაგებო, ამ საქმეს აქვს თავისი კარგი მხარეები ორგანიზაციების აღზრდისა და მათი გამოცოცხლების აზრით. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ შესრულების შემოწმების ეს მეთოდი საკმარისი ალარ არის. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მეთოდი უნდა შეივსოს სხვა მეთოდით, სახელდობრ ადგილებზე სამუშაოდ ჩვენი პარტიულ-საბჭოთა ზედაფენის წევრების გაგზავნის მეთოდით. (ხმა: «ეს კარგი საქმეა!»). მე ვლაპარაკობ ადგილებზე დროებით სამუშაოდ ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგების გაგზავნის შესახებ არა მეთაურებად, არამედ ჩვეულებრივ მუშაკებად, რომლებიც ადგილობრივი ორგანიზაციების განკარგულებაში იქნებიან. მე ვფიქრობ, რომ ამ საქმეს დიდი მომავალი აქვს და მას შეუძლია გააუმჯობესოს შესრულების შემოწმების საქმე, თუ მას პატიოსნად და კეთილსინდისიერად შევასრულებთ.

თუ ცენტრალური კომიტეტის წევრები, ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრები, სახალხო კომისრები და მათი მოადგილეები, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტების პრეზიდიუმების წევრები, თუ ისინი სისტემატურად წავლენ ადგილებზე და იქ იმუშავებენ იმისათვის, რომ დააკვირდნენ მუშაობას, შეისწავლონ ყველა სიძნელე, ყველა მინუსი და პლუსი, — გარწმუნებთ, რომ ეს იქნება შესრულების ყველაზე ნამდვილი და ყველაზე ეფექტიანი შემოწმება. ეს იქნება ჩვენი პატივცემული ხელმძღვანელების გამოცდილების გამდიდრების საუკეთესო საშუალება. და ეს რომ სისტემად გადაიქცეს, — ეს კი აუცილებლად უნდა გადაიქცეს სისტემად, — გარწმუნებთ, რომ კანონები, რომლებსაც აქ ვწერთ, და დირექტივები, რომლებსაც გამოვიმუშავებთ ხოლმე, ბევრად უფრო სასიცოცხლო და სწორი იქნებოდა, ვიდრე ახლა არის.

ასეთია, ამხანაგებო, ვითარება შახტის საქმის ირგვლივ.

IV

საერთო დასკვნა

ჩვენ გვყავს შინაური მტრები. ჩვენ გვყავს გარეშე მტრები. ეს ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ, ამხანაგებო.

ჩვენ გვქონდა დამზადების კრიზისი, რომელიც უკვე ლიკვიდირებულია. დამზადების კრიზისი ნიშნავდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ სოფლის კაპიტალისტური ელემენტების პირველ სერიოზულ გამოსვლას ნეპის პირობებში.

ჩვენ გვაქვს შახტის საქმე, რომლის ლიკვიდაცია უკვე ხდება და რომელიც უეჭველად იქნება ლიკვიდირებული.

შახტის საქმე ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო კაპიტალისა და ჩვენს ქვეყანაში მისი აგენტების ახალ სერიოზულ გამოსვლას. ეს არის ეკონომიური ინტერვენცია ჩვენს საშინაო საქმეებში.

ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ეს და მისი მსგავსი გამოსვლები როგორც საშინაო ხაზით, ისე საგარეო ხაზითაც შეიძლება განმეორდეს და, ალბათ, განმეორდება. ჩვენი ამოცანაა მაქსიმალური სიფხიზლე და მზადყოფნა. და თუ ჩვენ, ამხანაგებო, ფხიზლად ვიქნებით, მომავალშიც დანამდვილებით დავამარცხებთ ჩვენს მტრებს ისევე, როგორც ახლა ვამარცხებთ მათ და წარსულში ვამარცხებდით. (მ ქ უ ხ ა რ ე ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

«პრავდა» № 90,
1928 წ. 18 აპრილი.

მისალმება კოსტრომის მუშებს

ძმური სალამი კოსტრომის მუშებს პირველი მაისის დღეს, ჩვენი პარტიის დამაარსებელ ლენინისათვის კოსტრომაში ძეგლის გახსნის დღეს!

გაუმარჯოს კოსტრომის მუშებს!

გაუმარჯოს პირველ მაისს!

მარად ცოცხლობდეს ლენინის ხსოვნა მუშათა კლასის გულში!

ი. სტალინი

1928 წ. 30 აპრილი.

გაზეთი «სევერნაია პრავდა» (კოსტრომა) № 102, 1928 წ. 4 მაისი.

სიტყვა საკავშირო ალკა VIII ყრილობაზე [15]

1928 წ. 16 მაისი

ამხანაგებო! ჩვეულებრივ მიღებულია ყრილობებზე მიღწევათა შესახებ ლაპარაკი. უეჭველია, ჩვენ მიღწევები გვაქვს. ისინი, ეს მიღწევები, რა თქმა უნდა, მცირე როდია, და მათი მიჩქმალვა საჭირო არ არის. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენში უკანასკნელ ხანს მიღწევებზე ისე ბევრს და ზოგჯერ ისე მოთაფლული სიტყვებით ლაპარაკობენ, რომ ნათქვამის გამეორების ყოველგვარი ხალისი გეკარგება. ამიტომ ნება მომეცით დავარღვიო საერთო წესი და ორიოდე სიტყვა გითხრათ არა ჩვენს მიღწევებზე, არამედ ჩვენს სუსტ მხარეებზე და ჩვენს ამოცანებზე ამ სუსტ მხარეებთან დაკავშირებით.

მე მხედველობაში მაქვს, ამხანაგებო, ის ამოცანები, რომლებიც ჩვენი საშინაო მშენებლობის საკითხებს მოიცავენ.

ეს ამოცანები ეხება სამ საკითხს: ჩვენი პოლიტიკური მუშაობის ხაზის საკითხს, საერთოდ ხალხის ფართო მასების, განსაკუთრებით კი მუშათა კლასის აქტივობის გაძლიე-

რებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხს და, ბოლოს, ჩვენი სამეურნეო მშენებლობის ახალი კადრების მომზადების საკითხს.

I

განამტკიცეთ მუშათა კლასის საბრძოლო მზადყოფნა

დავიწყოთ პირველი საკითხით. ახლანდელი მომენტის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ჩვენ უკვე ხუთი წელიწადია ვაშენებთ მშვიდობიანი განვითარების პირობებში. მე ვლაპარაკობ მშვიდობიან განვითარებაზე არა მარტო იმ აზრით, რომ გარეშე მტრებთან ომი არა გვაქვს, არამედ იმ აზრითაც, რომ ჩვენი ქვეყნის შიგნით არ არსებობენ სამოქალაქო ომის ელემენტები. სწორედ ამას ეწოდება ჩვენში ჩვენი მშენებლობის მშვიდობიანი განვითარების პირობები.

თქვენ იცით, რომ ჩვენ სამ წელიწადს ვეომებოდით მთელი ქვეყნიერების კაპიტალისტებს, რათა მოგვეპოვებინა მშვიდობიანი განვითარების ეს პირობები. თქვენ იცით, რომ ეს პირობები მოვიპოვეთ, და ეს ჩვენს უდიდეს მიღწევად მიგვაჩნია. მაგრამ, ამხანაგებო, ყოველგვარ მონაპოვარს, მათ შორის ამ მონაპოვარსაც, თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს. მშვიდობიანი მშენებლობის პირობებს ჩვენთვის ფუჭად როდი ჩაუვლია. ამ პირობებმა თავისი დაღი დაასვეს ჩვენს მუშაობას, ჩვენს მუშაკებს, მათს ფსიქოლოგიას. ამ ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ წინ მივდიოდით შეუფერხებლად, როგორც რელსებზე. ამასთან დაკავშირებით მთელ რიგ ჩვენს მუშაკებს ისეთი განწყობილება შეექმნათ, თითქოს ყველაფერი მწყობრად წავა, ჩვენ თითქოს საგანგებო მატარებელში ვზივართ და მივექანებით რელსებზე პირდაპირ, გადაუჯდომლად, სოციალიზმისაკენ.

ამ ნიადაგზე წარმოიშვა «თვითდინების» თეორია, «ეგებ-როგორმე»-ს თეორია, იმის თეორია, რომ «ყველაფერი მოგვარდება» თავისთავად, რომ ჩვენში კლასები აღარ არიან, ჩვენი მტრები მიწყნარდნენ და ჩვენში ყველაფერი წყალივით წავა. აქედან წარმოიშვა უმოქმედობის, მძინარების ერთგვარი მიდრეკილება. აი მძინარების სწორედ ეს ფსიქოლოგია, მუშაობაში «თვითდინების» ეს ფსიქოლოგია, შეადგენს მშვიდობიანი განვითარების პერიოდის უარყოფითს მხარეს.

რაში მდგომარეობს ასეთი განწყობილების საშიშროება? იმაში, რომ ეს განწყობილება თვალს უბნელებს მუშათა კლასს, ხელს უშლის გაარჩიოს თავისი მტრები, აძინებს მას ტრაბახა სიტყვებით ჩვენი მტრების სისუსტის შესახებ და ძირს უთხრის მის საბრძოლო მზადყოფნას.

არ შეიძლება თავი ვინუგეშოთ იმით, რომ ჩვენს პარტიას ჰყავს მილიონი წევრი, კომკავშირს — ორი მილიონი, პროფკავშირებს — ათი მილიონი, რომ ამით ყველაფერი უზრუნველყოფილია მტრებზე საბოლოო გამარჯვებისათვის. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ისტორია გვეუბნება, რომ უდიდესი არმიები დაღუპულან იმის გამო, რომ გაამპარტავნებულან, საკუთარი ძალების გადამეტებული რწმენა ჰქონიათ, ძალიან ნაკლებად გაუწევიათ ანგარიში მტრების ძალისათვის, ძილს მისცემიან, დაუკარგავთ საბრძოლო მზადყოფნა და კრიტიკულ მომენტში მოუმზადებელი შეხვედრიან უეცარ თავდასხმას.

უდიდეს პარტიასაც შეიძლება უეცრად დაესხან თავს, უდიდესი პარტიაც შეიძლება დაიღუპოს, თუ იგი მხედველობაში არ მიიღებს ისტორიის გაკვეთილებს, თუ იგი დღითი-დღე არ გამოჭედავს თავისი კლასის საბრძოლო მზადყოფნას. უეცრად რომ დაგესხან თავს — ეს ფრიად საშიში საქმეა, ამხანაგებო. უეცრად რომ დაგესხან თავს — ეს იმას ნიშნავს, რომ გახდე «მოულოდნელობათა» მსხვერპლი,

მტრის წინაშე პანიკის მსხვერპლი. პანიკას კი რღვევა, დამარცხება, დაღუპვა მოსდევს.

მე შემეძლო მომეყვანა თქვენთვის ბევრი მაგალითი ჩვენი არმიების ცხოვრებიდან სამოქალაქო ომის ხანაში, როცა მცირე რაზმები სასტიკად ამარცხებდნენ ჯარის დიდ შენაერთებს, თუ ჯარის ამ შენაერთების საბრძოლო მზადყოფნა საკმაო არ იყო. მე შემეძლო მეამბნა თქვენთვის, თუ როგორ მოხდა, რომ 1920 წელს სამი ცხენოსანი დივიზია, რომლებშიც 5 ათას მხედარზე ნაკლები არ იყო, დაამარცხა და უწესრიგოდ გააქცია ქვეითი ჯარის ერთმა ათასეულმა მხოლოდ იმიტომ, რომ ცხენოსანი დივიზიები, რომლებსაც უეცრად დაესხნენ თავს, მოიცვა პანიკამ მტრის წინაშე, რომელსაც ისინი არ იცნობდნენ, რომელიც უაღრესად მცირერიცხოვანი იყო და რომლის გაცამტვერებაც ერთი დარტყმით შეიძლებოდა, რომ ეს დივიზიები ძილის მდგომარეობაში არ ყოფილიყვნენ, ხოლო შემდეგ პანიკასა და დაბნეულობას არ მოეცვა ისინი.

იგივე უნდა ითქვას ჩვენს პარტიაზე, ჩვენს კომკავშირზე, ჩვენს პროფკავშირებზე, საერთოდ ჩვენს ძალებზე. არ არის მართალი, თითქოს ჩვენ აღარ გვყავდეს კლასობრივი მტრები, თითქოს ისინი დამარცხებული და ლიკვიდირებული იყვნენ. არა, ამხანაგებო, ჩვენი კლასობრივი მტრები არსებობენ. და არა მარტო არსებობენ, არამედ იზრდებიან და ცდილობენ გამოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამას მოწმობენ სიძნელენი, რაც დამზადების დარგში გვქონდა ამა წლის ზამთარში, როცა სოფლის კაპიტალისტური ელემენტები შეეცადნენ ძირი გამოეთხარათ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკისათვის.

ამას მოწმობს შახტის საქმე, რომელიც გამოხატავს საერთაშორისო კაპიტალისა და ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიის

ერთობლივ გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამას მოწმობს მრავალი ფაქტი საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროდან, რომლებსაც თქვენ იცნობთ და რომლებზეც აქ ბევრი ლაპარაკი არა ღირს.

მუშათა კლასის ამ მტრებზე გაჩუმება არ შეიძლება. მუშათა კლასის კლასობრივი მტრების ძალების შემცირებულად წარმოდგენა დანაშაულია. ყოველივე ამაზე დუმილი არ შეიძლება განსაკუთრებით ახლა, ჩვენი მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, როცა მძინარებისა და «თვითდინების» თეორიას, რომელიც ძირს უთხრის მუშათა კლასის საბრძოლო მზადყოფნას, ერთგვარი ხელსაყრელი ნიადაგი აქვს.

დამზადების კრიზისისა და შახტის საქმის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ის არის, რომ მათ აამოძრავეს ყველა ჩვენი ორგანიზაცია, ძირი გამოუთხარეს «თვითდინების» თეორიას და ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ ჩვენ გვყავს კლასობრივი მტრები, რომლებიც არსებობენ, რომლებსაც არ სძინავთ და რომელთა წინააღმდეგაც საჭიროა განვამტკიცოთ მუშათა კლასის ძალები, მისი სიფხიზლე, მისი რევოლუციურობა, მისი საბრძოლო მზადყოფნა.

აქედან გამომდინარეობს პარტიის მორიგი ამოცანა, მისი ყოველდღიური მუშაობის პოლიტიკური ხაზი: **გავაძლიეროთ მუშათა კლასის საბრძოლო მზადყოფნა მისი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ.**

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კომკავშირის ახლანდელი ყრილობა, განსაკუთრებით კი «კომსომოლსკაია პრავდა», ამ ამოცანას ახლა უფრო მიუახლოვდნენ, ვიდრე ოდესმე. თქვენ იცით, რომ ორატორების სიტყვებში, ისევე როგორც «კომსომოლსკაია პრავდის» სტატიებში, აღნიშ-

ნულია ამ ამოცანის დიდი მნიშვნელობა. ეს ძალიან კარგია, ამხანაგებო. ოღონდ საჭიროა, რომ ეს ამოცანა არ მიიჩნიოთ დროებით და სწრაფწარმავალ ამოცანად, რადგან პროლეტარიატის საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერების ამოცანა ის ამოცანაა, რომლითაც გამსჭვალული უნდა იყოს მთელი ჩვენი მუშაობა, სანამ ჩვენს ქვეყანაში კლასები არიან და სანამ ჩვენ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვიმყოფებით.

II

მოაწყეთ მასობრივი კრიტიკა ქვევიდან

მეორე საკითხი შეეხება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამოცანას, ჩვენი ნაკლოვანებების მასობრივი კრიტიკის მოწყობის ამოცანას, ქვემოდან მასობრივი კონტროლის მოწყობის ამოცანას.

ჩვენი წინსვლის ერთ-ერთი უსასტიკესი მტერია ბიუროკრატიზმი. იგი ცოცხლობს ყველა ჩვენს ორგანიზაციაში: პარტიულშიც, კომკავშირულშიც, პროფკავშირულშიც და სამეურნეოშიც. როდესაც ბიუროკრატებზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივად მიუთითებენ ძველ უპარტიო მოხელეებზე, რომლებსაც კარიკატურებში ჩვეულებრივად სათვალეებიან ადამიანებად გვიხატავენ. (ს ი ც ი ლ ი). ეს სავსებით მართებული როდია, ამხანაგებო. საქმე მარტო ძველ ბიუროკრატებს რომ ეხებოდეს, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა ყველაზე იოლი საქმე იქნებოდა. უბედურება ის არის, რომ საქმე ძველ ბიუროკრატებში როდია. საქმე, ამხანაგებო, ახალ ბიუროკრატებშია, საქმე იმ ბიუროკრატებშია, რომლებიც თანაუგრძნობენ საბჭოთა ხელისუფლებას, ბოლოს, საქმე კომუნისტებიდან გამოსულ ბიუროკრატებშია. კომუნისტი-ბიუროკრატი ბიუროკრატის ყველაზე საშიში ტიპია. რატომ? იმიტომ, რომ თავის ბიუროკრატიზმს იგი

პარტიის წევრის სახელწოდებით ნიღბავს. ხოლო ასეთი კომუნისტი-ბიუროკრატები ჩვენში, სამწუხაროდ, ცოტა როდია.

აიღეთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები. თქვენ, ალბათ, წაკითხული გექნებათ სმოლენსკის საქმე, არტემოვსკის საქმე და სხვ.. რა არის ეს — შემთხვევითობა? რით აიხსნება ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთ რგოლში ზნეჩვეულების რღვევისა და გახრწნის ეს სამარცხვინო ფაქტები? იმით, რომ პარტიის მონოპოლია აბსურდამდე მიიყვანეს, ქვედაფენებს ხმა ჩაუკმინდეს, შინაპარტიული დემოკრატია მოსპეს, ბიუროკრატიზმი დანერგეს. როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ ბოროტებას? მე ვფიქრობ, რომ ამ ბოროტების წინააღმდეგ არავითარი სხვა საშუალება, გარდა ქვევიდან პარტიული მასების კონტროლის მოწყობისა, გარდა შინაპარტიული დემოკრატიის დანერგვისა, არ არის და არც შეიძლება იყოს. რა შეიძლება ითქვას იმის წინააღმდეგ, რომ გავაღვივოთ პარტიული მასების მრისხანება ამ გახრწნილი ელემენტების წინააღმდეგ და შესაძლებლობა მივცეთ მასებს კინწისკვრით გააგდონ ასეთი ელემენტები? არა მგონია ამის წინააღმდეგ რისიმე თქმა შეიძლებოდეს.

ან ავიღოთ, მაგალითად, კომკავშირი. თქვენ, რა თქმა უნდა, არ დაიწყებთ იმის უარყოფას, რომ კომკავშირში აქა-იქ მოიპოვებიან სავსებით გახრწნილი ელემენტები, რომელთა წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლა აბსოლუტურად აუცილებელია. მაგრამ თავი დავანებოთ გახრწნილებს. ავიღოთ უკანასკნელი ფაქტი კომკავშირის შიგნით პიროვნებათა ირგვლივ უპრინციპო ჯგუფური ბრძოლისა, რაც შხამავს ატმოსფეროს კომკავშირში. რით აიხსნება, რომ კომკავშირში «კოსარეველები» და «სობოლეველები» რამდენიც გნებავთ, იმდენი მოიპოვებიან, ხოლო მარქსისტები სანთლით საძებარი არიან? (ტ ა შ ი). რას მოწმობს ეს ფაქტი,

თუ არა იმას, რომ კომკავშირის ზედაფენის ზოგიერთ რგოლში ბიუროკრატიული გაქვავების პროცესი ხდება?

პროფკავშირებში როგორღა არის საქმე? ვინ დაიწყებს იმის უარყოფას, რომ პროფკავშირებში ბიუროკრატიზმი ჭარბად არის? საწარმოებში ჩვენ გვაქვს საწარმოო თათბირები. პროფკავშირებთან ჩვენ გვაქვს დროებითი საკონტროლო კომისიები. ამ ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ გააღვიძონ მასები, გამოააშკარაონ ჩვენი ნაკლოვანებანი და დასახონ ჩვენი მშენებლობის გაუმჯობესების გზები. რატომ არ ვითარდებიან ეს ორგანიზაციები ჩვენში? რატომ არ დუღს იქ სიცოცხლე? განა ცხადი არ არის, რომ ბიუროკრატიზმი პროფკავშირებში პლუს ბიუროკრატიზმი პარტორგანიზაციებში განვითარების საშუალებას არ აძლევენ მუშათა კლასის ამ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციებს?

ბოლოს, ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციები. ვინ დაიწყებს იმის უარყოფას, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანოები ბიუროკრატიზმით არიან დასნეულებული? აიღეთ თუნდაც შახტის საქმე. განა შახტის საქმე არ მოწმობს იმას, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანოები წინ კი არ მიდიან, არამედ მიჩოჩავენ, მიღოღავენ?

როგორ მოვუღოთ ბოლო ბიუროკრატიზმს ყველა ამ ორგანიზაციაში?

ამისათვის მხოლოდ ერთადერთი გზაა: ორგანიზაცია კონტროლისა ქვევიდან, ორგანიზაცია მუშათა კლასის მილიონიანი მასების კრიტიკისა ჩვენი დაწესებულებების ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, მათი ნაკლოვანებების წინააღმდეგ, მათი შეცდომების წინააღმდეგ.

მე ვიცი, რომ, როცა ჩვენი ორგანიზაციების ბიუროკრატიულ დამახინჯებათა წინააღმდეგ მშრომელი მასების მრისხანებას ვაღვივებთ, ზოგჯერ გვიხდება წყენინება ზოგიერთი ჩვენი ამხანაგისა, რომელსაც წარსულში დამსახურება მიუძღვის, მაგრამ რომელიც ახლა ბიუროკრატიული

სენით არის შეპყრობილი. მაგრამ ნუთუ ამას შეუძლია შეაჩეროს ჩვენი მუშაობა ქვევიდან კონტროლის მოწყობის დარგში? მე ვფიქრობ, რომ არ შეუძლია შეაჩეროს და არც უნდა შეაჩეროს. ძველი დამსახურებისათვის მათ დაბლა უნდა დავუკრათ თავი, ხოლო ახალი შეცდომებისა და ბიუროკრატიზმისათვის შეიძლებოდა მათთვის ზურგში მოგვეცხო. (სიცილი, ტაში). მაშ როგორ გნებავთ? რატომ არ უნდა მოვიქცეთ ასე, თუ ამას საქმის ინტერესები მოითხოვენ?

ლაპარაკობენ კრიტიკაზე ზევიდან, კრიტიკაზე მუშგლეხინის მხრივ, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მხრივ და სხვ.. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის საკმარისი. უფრო მეტიც, **მთავარი** ახლა ეს როდია. ახლა მთავარი ის არის, რომ ავაზვირთოთ უფართოესი ტალღა კრიტიკისა ქვევიდან საერთოდ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი — ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გვქონდეს წარმატებითი ბრძოლისა და ბიუროკრატიზმის აღმოფხვრის იმედი, თუ მოვაწყობთ ორმაგ წნეხს — ზევიდანაც და ქვევიდანაც, თუ სიმძიმის ცენტრს გადავიტანთ კრიტიკაზე ქვევიდან.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მშენებლობის გამოცდილება მხოლოდ ხელმძღვანელებს აქვთ. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. მუშათა მილიონიანი მასები, რომლებიც ჩვენს მრეწველობას აშენებენ, დღითი-დღე იძენენ მშენებლობის უდიდეს გამოცდილებას, რომელიც ჩვენთვის სრულებითაც არ არის ნაკლებ ძვირფასი, ვიდრე ხელმძღვანელთა გამოცდილება. მასობრივი კრიტიკა ქვევიდან, კონტროლი ქვევიდან, სხვათა შორის, იმისათვის გვესაჭიროება, რომ მილიონიანი მასების ამ გამოცდილებამ ფუჭად არ ჩაიაროს, რომ იგი მხედველობაში მიღებულ და განხორციელებულ იქნას.

აქედან გამომდინარეობს პარტიის მორიგი ამოცანა: **ულმობელი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, მოწყობა მასობრივი კრიტიკისა ქვევიდან, ამ კრიტიკის მხედველობაში მიღება ჩვენი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა მიღების დროს.**

არ შეიძლება ითქვას, რომ კომკავშირი, განსაკუთრებით კი «კომსომოლსკაია პრავდა», მხედველობაში არ იღებდნენ ამ ამოცანის დიდ მნიშვნელობას. აქ ნაკლოვანება ის არის, რომ ამ ამოცანის შესრულება ხშირად ბოლომდე არ მიჰყავთ. ხოლო იმისათვის, რომ იგი ბოლომდე მივიყვანოთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო კრიტიკა, არამედ კრიტიკის შედეგებიც და ის გაუმჯობესებანიც, რაც კრიტიკის შედეგად ხორციელდება.

III

ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს მეცნიერებას

მესამე ამოცანა ეხება სოციალისტური მშენებლობის ახალი კადრების შექმნის საკითხს.

ჩვენს წინაშე, ამხანაგებო, დგას მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის უდიდესი ამოცანები. სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენ საძირკველი უნდა ჩავუყაროთ მსხვილ გაერთიანებულ საზოგადოებრივ მეურნეობას. ამხ. მოლოტოვის დღევანდელი მიმართვიდან [15] თქვენ ალბათ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დაისახა უძნელესი ამოცანა: კოლექტივებად გააერთიანოს წვრილი, დაქსაქსული გლეხური მეურნეობანი და შექმნას პურეულის ახალი დიდი საბჭოთა მეურნეობანი. ეს ისეთი ამოცანებია, რომელთა გადაუჭრელადაც შეუძლებელია სერიოზული და სწრაფი წინსვლა.

თუ ინდუსტრიაში საბჭოთა ხელისუფლება ეყრდნობა ყველაზე მსხვილ და კონცენტრირებულ წარმოებას, სოფ-

ლის მეურნეობაში იგი ეყრდნობა უაღრესად დაქსაქსულ და წვრილ გლეხურ მეურნეობას, რომელიც ნახევრად-სასაქონლოა და გაცილებით უფრო ნაკლებ სასაქონლო პურს იძლევა, ვიდრე ომამდელი მეურნეობა, მიუხედავად იმისა, რომ მიღწეულია სათესი ფართობების ომამდელი ნორმები. ეს არის საფუძველი პურის დამზადების დარგში ყველა შესაძლო სიძნელისა მომავალში. ასეთ მდგომარეობას რომ თავი დავაღწიოთ, უშუალოდ უნდა შევუდგეთ სოფლის მეურნეობაში მსხვილი საზოგადოებრივი წარმოების მოწყობას. მაგრამ მსხვილი მეურნეობა რომ მოვაწყოთ, საჭიროა ვიცოდეთ სოფლის მეურნეობის მეცნიერება. ხოლო იმისათვის, რომ ვიცოდეთ, საჭიროა ვისწავლოთ. სოფლის მეურნეობის მეცნიერების მცოდნე ადამიანები კი საშინლად ცოტა გვყავს. აქედან გამომდინარეობს ახალი, საზოგადოებრივი სოფლის მეურნეობის მშენებელთა ახალი, ახალგაზრდა კადრების შექმნის ამოცანა.

მრეწველობის დარგში ბევრად უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. მაგრამ მშენებელთა ახალი კადრების ნაკლებობა აქაც აფერხებს ჩვენს წინსვლას. საკმარისია გავიხსენოთ შახტის საქმე, რომ შევიგნოთ სოციალისტური ინდუსტრიის მშენებელთა ახალი კადრების საკითხის მთელი სიმწვავე. რასაკვირველია, ჩვენ გვყავს ძველი სპეციალისტები მრეწველობის მშენებლობის დარგში. მაგრამ, ჯერ-ერთი, ისინი ცოტანი არიან, მეორეც, ყველა მათგანს როდი სურს აშენოს ახალი მრეწველობა, მესამეც, ბევრ მათგანს არ ესმის მშენებლობის ახალი ამოცანები, მეოთხეც, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე დაბერდა და წყობილებიდან გადის. საქმე წინ რომ წავწიოთ, საჭიროა დაჩქარებული ტემპით შევქმნათ სპეციალისტთა ახალი კადრები მუშათა კლასის ადამიანებისაგან, კომუნისტებისაგან, კომკავშირელებისაგან.

როგორც სოფლის მეურნეობის დარგში, ისე მრეწველობის დარგში შენებისა და მშენებლობის ხელმძღვანელო-

ბის მსურველი ჩვენში ძალიან ბევრია. ისეთი ადამიანები კი, რომლებსაც შენებისა და ხელმძღვანელობის უნარი აქვთ, საშინლად ცოტა გვყავს. და პირიქით, ამ დარგში უმეცრება ბევრზე ბევრია. უფრო მეტიც, ჩვენში მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც მზად არიან ქება-დიდება შეასხან ჩვენს უკულტურობას. თუ შენ წერა-კითხვის უცოდინარი ხარ ან არასწორად სწერ და თავი მოგაქვს შენი ჩამორჩენილობით, — შენ «დაზგის» მუშა ხარ, სახელი და პატივისცემა გეკუთვნის. თუ უკულტურობისათვის თავი დაგიღწევია, წერა-კითხვა გისწავლია, მეცნიერებას დაუფლებიხარ, — შენ უცხო ხარ, მასებს «მოსწყვეტიხარ», მუშა აღარა ხარ.

მე ვფიქრობ, რომ ერთი ნაბიჯითაც ვერ წავიწევთ წინ, ვიდრე არ აღმოვფხვრით ამ ბარბაროსობასა და ველურობას, ამ ბარბაროსულ დამოკიდებულებას მეცნიერებისადმი და კულტურული ადამიანებისადმი. მუშათა კლასი თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრონი ვერ გახდება, თუ თავს ვერ დააღწევს უკულტურობას, თუ ვერ შესძლებს შექმნას თავისი საკუთარი ინტელიგენცია, თუ ვერ დაეუფლება მეცნიერებას და ვერ შესძლებს გაუძღვეს მეურნეობას მეცნიერების საფუძველზე.

უნდა შევიგნოთ, ამხანაგებო, რომ ბრძოლის პირობები ახლა სხვაა, ვიდრე სამოქალაქო ომის პერიოდში იყო. სამოქალაქო ომის პერიოდში შესაძლებელი იყო მტრის პოზიციები აგვეღო მედგარი შეტევით, სიმამაცით, სიყოჩაღით, ცხენოსნური თავდასხმით. ახლა, მშვიდობიანი სამეურნეო მშენებლობის პირობებში, ცხენოსნური თავდასხმით საქმის მხოლოდ წახდენა შეიძლება. სიმამაცე და სიყოჩაღე ახლაც წინანდებურად საჭიროა. მაგრამ მარტო სიმამაცითა და სიყოჩაღით შორს ვერ წახვალ. ახლა მტერი რომ დაამარცხო, უნდა შეგეძლოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის შენება, ხელი უნდა აიღო ვაჭ-

რობისადმი ბატონკაცურ და ქედმაღლურ დამოკიდებულებაზე.

შენება რომ შესძლო, საჭიროა ცოდნა, საჭიროა მეცნიერების დაუფლება. ხოლო თუ ცოდნა გინდა, უნდა ისწავლო. ისწავლო შეუპოვრად, მოთმინებით. ისწავლო ყველასაგან — მტრებისაგანაც და მეგობრებისაგანაც, განსაკუთრებით მტრებისაგან. ისწავლო დაძაბულად და არ შეუშინდე იმას, რომ მტრები დაგცინებენ, დასცინებენ ჩვენს უმეცრებას, ჩვენს ჩამორჩენილობას.

ჩვენს წინაშე ციხე-სიმაგრეა. მას, ამ ციხე-სიმაგრეს, ეწოდება მეცნიერება ცოდნის მრავალრიცხოვანი დარგებით. ეს ციხე-სიმაგრე უნდა ავიღოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს. ეს ციხე-სიმაგრე უნდა აიღოს ახალგაზრდობამ, თუ მას სურს იყოს ახალი ცხოვრების მშენებელი, თუ მას სურს ძველი გვარდიის ნამდვილი შემცვლელი გახდეს.

ჩვენ ახლა ვერ დავჯერდებით იმას, რომ მოვამზადოთ კომუნისტური კადრები **საზოგადოდ**, ბოლშევიკური კადრები **საზოგადოდ**, რომლებსაც შეეძლებათ ყველაფერზე ცოტ-ცოტა ილაყბონ. დილეტანტობა და ყოვლისმცოდნეობა ახლა ჩვენთვის ბორკილია. ახლა ჩვენ გვესაჭიროება ბოლშევიკი-**სპეციალისტები** ლითონის, საფეიქრო მრეწველობის, სათბობის, ქიმიის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, ბუხჰალტერიის და სხვა დარგებში. ჩვენ ახლა გვესაჭიროება მთელი ჯგუფები, ასობითა და ათასობით ახალი კადრები ბოლშევიკების რიგებიდან, რომლებსაც შეეძლებათ იყვნენ საქმის ბატონ-პატრონნი ცოდნის სულ სხვადასხვაგვარ დარგში. უამისოდ ლაპარაკიც ზედმეტია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის სწრაფ ტემპზე. უამისოდ ლაპარაკიც ზედმეტია იმაზე, რომ ჩვენ შევძლებთ დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

დაიბეჭდოთ მეცნიერებას. დაბეჭდოთ ბოლშევიკური სპეციალისტია ანბანში კლდეებზე ლოდნის ცვენა დაბეჭდოთ, ვისწავლოთ, ვისწავლოთ, ვისწავლოთ ცხოვრება მეცნიერება. — ასეთია ახლა ამოცანა.

რევოლუციური ახალგაზრდობის მასობრივი ჩაბმა მეცნიერების დასაუფლებლად, — ეს არის გენერალური ლია, ამხანაგებო. მეცნიერი. მეცნიერება «ცოდნა», «გაიცოდნოს». ცოდნა მეცნიერება ბია).

«პრავდა» № 113,
1928 წ. 17 მაისი.

7 ი. ბ. სტალინი, ტომი

«კომსომოლსკაია პრავდას»

სამი წლის იუბილეს გამო

მეგობრული სალამი «კომსომოლსკაია პრავდას», ჩვენი მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მებრძოლ ორგანოს!

ვუსურვებ მას წარმატებას მუშათა კლასის მტრებთან შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის ძნელ ფრონტზე!

დაე «კომსომოლსკაია პრავდა» იყოს მომწოდებელი ზარი, რომელიც აღვიძებს მძინარეთ, ამხნევებს დაღლილთ, წინ ეწევა ჩამორჩენილთ, ამათრახებს ჩვენი დაწესებულებების ბიუროკრატიზმს, ამჟღავნებს ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებს, ააშკარავებს ჩვენი მშენებლობის წარმატებებს და, ამრიგად, აადვილებს ახალი ადამიანების, სოციალიზმის ახალი მშენებლების, ჭაბუკთა და ქალიშვილთა ახალი თაობის შექმნას, რომლებსაც შეეძლებათ შეცვალონ ბოლშევიკთა ძველი გვარდია!

ჩვენი რევოლუციის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენში არ არის განხეთქილება რევოლუციონერთა ძველსა და ახალ თაობას შორის. ჩვენ ვიმარჯვებთ იმიტომ, რომ ჩვენში ძველი და ახალგაზრდა გვარდია მიდიან ერთად, ერ-

თიანი ფრონტით, ერთ მწყობრად შინაური მტრების წინააღმდეგ ისევე, როგორც გარეშე მტრების წინააღმდეგ.

ამოცანა ის არის, რომ შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ ეს ერთიანობა.

დაე «კომსომოლსკაია პრავდა» იყოს ბოლშევიკთა ძველი და ახალგაზრდა გვარდიის ერთიანობის იდეის დაუღალავი მქადაგებელი!

ი. სტალინი

1928 წ. 26 მაისი.

«კომსომოლსკაია პრავდა», № 122,
1928 წ. 27 მაისი.

სვერდლოვის უნივერსიტეტს

ათი წლის იუბილეს გამო

სვერდლოვის უნივერსიტეტის[17] ათი წლისთავი პარტიის უდიდესი მიღწევაა ახალი ლენინური კადრების შექმნისათვის ბრძოლის ფრონტზე.

10 წლის განმავლობაში სვერდლოვიამ პარტიას მისცა კომუნიზმის საქმის ერთგული ასობით და ათასობით ახალგაზრდა მუშაკი, რომლებმაც ბოლშევიკების ძველი გვარდია შეცვალეს.

თავისი არსებობის 10 წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება, ცხადყო, რომ ტყუილად როდი ატარებს თავისი დამაარსებლის, კომუნიზმისათვის მოწინავე მებრძოლის, ი. მ. სვერდლოვის სახელს.

ასწავლოს მუშა-პარტიელებს დაეუფლონ მარქსისა და ლენინის მეცნიერულ მეთოდს და სწორად გამოიყენონ იგი სოციალისტური მშენებლობის საქმეში, — ასეთია ამოცანა, რომელსაც ღირსეულად ასრულებდა, ასრულებს და შეასრულებს სვერდლოვის უნივერსიტეტი.

სალამი ყოფილ და ახლანდელ სვერდლოველებს ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის მეათე წლისთავზე!

სალამი სვერდლოველთა საიუბილეო გამოშვებას — სოციალიზმის მშენებელთა ახალ რაზმს!

ი. სტალინი

«პრავდა» № 122,
1928 წ. 27 მაისი.

პურის ფრონტზე

საუბრიდან წითელი პროფესურის ინსტიტუტის, კომუნისტური აკადემიისა და სვერდლოვის უნივერსიტეტის სტუდენტებთან 1928 წ. 28 მაისს

კითხვა. რა უნდა ჩაითვალოს ძირითადად იმ სიძნელეებში, რაც პურის საქმეში გვაქვს? რაში მდგომარეობს გამოსავალი ამ სიძნელეებიდან? როგორი უნდა იყოს დასკვნები ამ სიძნელეებთან დაკავშირებით საერთოდ ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპის მხრივ, განსაკუთრებით მსუბუქი და მძიმე ინდუსტრიის თანაფარდობის თვალსაზრისით?

პასუხი. ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ სიძნელეები, რაც პურის საქმეში გვაქვს, შემთხვევითია, მხოლოდ ცუდი დაგეგმვის შედეგია, მხოლოდ შედეგია მთელი რიგი შეცდომებისა სამეურნეო დაბალანსების საქმეში.

მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ ერთი შეხედვით გვეჩვენოს. ნამდვილად კი სიძნელეთა მიზეზები აქ გაცილებით უფრო ღრმაა. უხეირო დაგეგმვამ და სამეურნეო დაბალანსების შეცდომებმა აქ მნიშვნელოვანი როლი რომ შეასრულეს, — ეს სრულიად უეჭველია. მაგრამ ყველაფრის ახსნა უხეირო დაგეგმვით და შემთხვევითი შეცდომე-

ბით, — ნიშნავს მეტად უხეში შეცდომის დაშვებას. შეცდომა იქნებოდა შეგვემცირებინა დაგეგმვის როლი და მნიშვნელობა. მაგრამ უფრო მეტი შეცდომა იქნებოდა გეგმიანი საწყისის როლი გაგვეზვიადებინა იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ განვითარების იმ დონეს, როცა შესაძლებლობა გვაქვს ყველაფერი და ყოველივე ვგეგმოთ და ვაწესრიგოთ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ ელემენტებს გარდა, რომლებიც ჩვენს გეგმიან ზემოქმედებას ემორჩილებიან, ჩვენი სახალხო მეურნეობის შემადგენლობაში არიან სხვა ელემენტებიც, რომლებიც ჯერჯერობით არ ემორჩილებიან დაგეგმვას, ბოლოს, არიან ჩვენდამი მტრულად განწყობილი კლასები, რომელთა დაძლევა არ შეიძლება სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოებული უბრალო დაგეგმვის წესით.

აი რატომ ვფიქრობ, რომ არ შეიძლება ყველაფერი მივაწეროთ უბრალო შემთხვევითობას, დაგეგმვის შეცდომებს და სხვ.

მაშ რა არის საფუძველი იმ სიძნელეებისა, რაც პურის ფრონტზე გვაქვს?

პურის საქმეში ჩვენი სიძნელეების საფუძველი ის არის, რომ სასაქონლო პურის წარმოების ზრდა ჩვენში უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე პურის მოთხოვნილების ზრდა.

იზრდება მრეწველობა. იზრდება მუშების რაოდენობა. იზრდება ქალაქები. იზრდება, ბოლოს, ტექნიკური ნედლეულის (ბამბა, სელი, ჭარხალი და სხვ.) წარმოების რაიონები, რომლებიც აყენებენ მოთხოვნილებას სასაქონლო პურზე. ყოველივე ეს იწვევს პურის, სასაქონლო პურის მოთხოვნილების სწრაფ ზრდას. ხოლო სასაქონლო პურის წარმოება საშინლად ნელი ტემპით იზრდება.

არ შეიძლება ითქვას, რომ დამზადებული პური, რომელიც სახელმწიფოს განკარგულებაშია, წელს უფრო ცოტა გვქონოდეს, ვიდრე შარშან ან შარშანწინ გვქონდა. პირიქით, წელს ჩვენს სახელმწიფოს ბევრად უფრო მეტი პური ჰქონდა, ვიდრე წარსულ წლებში. მაგრამ ჩვენს წინაშე მაინც სიძნელეებია პურის მხრივ.

აი ზოგიერთი ციფრი. 1925/26 წელს 1 აპრილისათვის ჩვენ შევძელით დაგვემზადებინა 434 მილიონი ფუთი პური. აქედან საზღვარგარეთ გავიტანეთ 123 მილიონი ფუთი. მაშასადამე, ჩვენს ქვეყანაში დარჩა 311 მილიონი ფუთი დამზადებული პური. 1926/27 წელს 1 აპრილისათვის დამზადებული გვქონდა 596 მილიონი ფუთი პური. აქედან საზღვარგარეთ გავიტანეთ 153 მილიონი ფუთი. ჩვენს ქვეყანაში დარჩა 443 მილიონი ფუთი დამზადებული პური. 1927/28 წელს 1 აპრილისათვის დამზადებული გვქონდა 576 მილიონი ფუთი პური. აქედან საზღვარგარეთ გავიტანეთ 27 მილიონი ფუთი. ჩვენს ქვეყანაში დარჩა 549 მილიონი ფუთი დამზადებული პური.

სხვანაირად რომ ვთქვათ, წელს 1 აპრილისათვის ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებისათვის დამზადებული გვქონდა 100 მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე შარშან, და 230 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე შარშანწინ. და წელს ჩვენ მაინც სიძნელეები გვაქვს პურის ფრონტზე.

ჩემს ერთ-ერთ მოხსენებაში უკვე ვთქვი, რომ ეს სიძნელეები სოფლის კაპიტალისტურმა ელემენტებმა და, უწინარეს ყოვლისა, კულაკებმა იმისათვის გამოიყენეს, რომ ჩაეშალათ საბჭოთა სამეურნეო პოლიტიკა. თქვენ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო მთელი რიგი ზომები, რომელთა მიზანია კულაკობის ანტისაბჭოთა გამოსვლის ლიკვიდაცია. ამიტომ ამაზე აქ ბევრს აღარ ვილაპარაკებ. ამ შემთხვევაში მეორე საკითხი მაინტერესებს. მხედველობაში მაქვს სასაქონლო პურის წარმოების ნელი ტემპით ზრდის

მიზეზების საკითხი, საკითხი იმის შესახებ, რომ სასაქონლო პურის წარმოება ჩვენში უფრო ნელი ტემპით იზრდება, ვიდრე მოთხოვნილება პურზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ სათესი ფართობებისა და პურის საერთო პროდუქციის ომამდელ ნორმებს.

მართლაც, განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ სათესი ფართობების ომამდელ ნორმებს? დიახ, ფაქტია. განა ფაქტი არ არის, რომ პურის საერთო პროდუქცია უკვე შარშან უდრიდა წარმოების ომამდელ ნორმას, ე. ი. აღწევდა 5 მილიარდ ფუთამდე? დიახ, ფაქტია. მაშ, თუ ასეა, რით უნდა აიხსნას, რომ, მიუხედავად ამ გარემოებებისა, სასაქონლო პური მოგვყავს ორჯერ ნაკლები, ხოლო საზღვარგარეთ პური გაგვაქვს ოცჯერ ნაკლები, ვიდრე ომამდე?

ეს, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, იმით აიხსნება, რომ ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შეიცვალა ჩვენი სოფლის მეურნეობის აგებულება, მსხვილი მემამულური და მსხვილი კულაკური მეურნეობიდან, რომელიც სასაქონლო პურის ყველაზე მეტ რაოდენობას იძლეოდა, გადავედით წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობაზე, რომელიც სასაქონლო პურის ყველაზე ნაკლებ რაოდენობას იძლევა. უკვე მარტო ის გარემოება, რომ ომამდე ჩვენში იყო 15 — 16 მილიონი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა, ახლა კი 24 — 25 მილიონი გლეხური მეურნეობაა, — უკვე მარტო ეს მოწმობს, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის ძირითად ბაზას ახლა წარმოადგენს წვრილი გლეხური მეურნეობა, რომელიც სასაქონლო პურის მინიმუმს იძლევა.

მიწათმოქმედებაში მსხვილი მეურნეობის ძალა, იქნება ეს მემამულური, კულაკური თუ კოლექტიური მეურნეობა, იმაში მდგომარეობს, რომ მას, ამ მსხვილ მეურნეობას, შეუძლებლობა აქვს გამოიყენოს მანქანები, გამოიყენოს მეცნიერების მიღწევები, გამოიყენოს სასუქი, გაადიდოს შრო-

მის ნაყოფიერება და, ამრიგად, მოგვცეს სასაქონლო პურის ყველაზე მეტი რაოდენობა. და პირიქით, წვრილი გლეხური მეურნეობის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოკლებულია, ან თითქმის მოკლებულია ამ შესაძლებლობებს, რის გამო იგი ნახევრად-მომხმარებელ, მცირესაქონლიან მეურნეობას წარმოადგენს.

ავიღოთ, მაგალითად, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ისინი სასაქონლო პურს გვაძლევენ მთელი თავიანთი საერთო წარმოების 47,2 პროცენტის რაოდენობით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი შედარებით მეტ სასაქონლო პურს გვაძლევენ, ვიდრე მემამულური მეურნეობა ომამდე იძლეოდა. წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობანი კი? ისინი სასაქონლო პურს გვაძლევენ მთელი თავიანთი პროდუქციის მხოლოდ 11,2 პროცენტის რაოდენობით. განსხვავება, როგორც ხედავთ, საკმაოდ მჭევრმეტყველურია.

აი რამდენიმე ციფრი, რომლებიც ააშკარავებენ პურის წარმოების აგებულების სურათს წარსულში, ომამდელ პერიოდში, და ახლა, ოქტომბრისშემდგომ პერიოდში. ეს ციფრები მოგვაწოდა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კოლეგიის წევრმა ამხ. ნემჩინოვმა. მათ, ამ ციფრებს, არა აქვთ სიზუსტის პრეტენზია, როგორც აღნიშნავს თავის ბარათში ამხ. ნემჩინოვი, — ისინი მხოლოდ დაახლოებითი გაანგარიშების შესაძლებლობას გვაძლევენ. მაგრამ ეს ციფრები სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ გავიგოთ განსხვავება ომამდელ პერიოდსა და ოქტომბრისშემდგომ პერიოდს შორის საერთოდ პურის წარმოების, განსაკუთრებით კი სასაქონლო პურის წარმოების აგებულების თვალსაზრისით.

ომამდე:	პურის საერთო პროდუქცია მლნ. ფუთ.	%	სასაქონლო პური (არასასოფლო) მლნ. ფუთ.	%	საქონლიანობის %
1. მემამულეები .	600	12,0	281,6	21,6	47,0
2 კულაკები .	1 900	38,0	650,0	50,0	34,0
3. საშუალო და ღარიბი გლეხები .	2 500	50,0	369,0	28,4	14,7
სულ . .	5 000	100	1 300,6	100	26,0
ომის შემდეგ (1926/27 წელს):					
1. საბჭ. მეურნ. და კოლექტ. მეურნ.	80,0	1,7	37,8	6,0	47,2
2. კულაკები . . .	617,0	13,0	126,0	20,0	20,0
3. საშუალო და ღარიბი გლეხები . .	4 052,0	85,3	466,2	74,0	11,2
სულ .	4 749,0	100	630,0	100	13,3

რას მოწმობს ეს ცხრილი?

იგი მოწმობს, ჯერ-ერთი, იმას, რომ პურის პროდუქტების უდიდესი მასის წარმოება მემამულეებიდან და კულაკებიდან გადავიდა წვრილი და საშუალო გლეხების ხელში. ეს ნიშნავს, რომ წვრილსა და საშუალო გლეხებს, რომლებმაც სავსებით დააღწიეს თავი მემამულეთა უღელს და ძირითადად შეარყიეს კულაკობის ძალა, შესაძლებლობა მიეცათ ფრიად სერიოზულად გაეუმჯობესებინათ თავიანთი მატერიალური მდგომარეობა. ეს ოქტომბრის რევოლუციის შედეგია. ამაში თავს იჩენს, უწინარეს ყოვლისა, ის გადამწყვეტი მოგება, რაც გლეხობის ძირითადმა მასებმა ოქტომბრის რევოლუციისაგან მიიღეს.

მეორეც, იგი მოწმობს იმას, რომ ჩვენში სასაქონლო პური ძირითადად აქვთ წვრილ და, უწინარეს ყოვლისა,

საშუალო გლეხებს. ეს იმას ნიშნავს, რომ არა მარტო პურის საერთო პროდუქციის თვალსაზრისით, არამედ სასაქონლო პურის წარმოების თვალსაზრისითაც სსრ კავშირი, ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, გახდა წვრილგლეხური მეურნეობის ქვეყნად, ხოლო საშუალო გლეხი — მიწათმოქმედების «ცენტრალურ ფიგურად».

მესამეც, იგი მოწმობს იმას, რომ მემამულური (მსხვილი) მეურნეობის ლიკვიდაციას, კულაკური (მსხვილი) მეურნეობის ერთისამად და უფრო მეტად შემცირებას და წვრილ გლეხურ მეურნეობაზე გადასვლას, რომელიც საქონლიანობის მხოლოდ 11 პროცენტს იძლევა, ისეთ პირობებში, როცა არ არსებობს რამდენადმე განვითარებული მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობა პურის წარმოების დარგში (კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები), — უნდა გამოეწვია და მართლაც გამოიწვია სასაქონლო პურის წარმოების მკვეთრი შემცირება ომამდელ დროსთან შედარებით. ფაქტია, რომ ჩვენ ახლა ორჯერ ნაკლები სასაქონლო პური გვაქვს, მიუხედავად პურის საერთო პროდუქციის ომამდელი ნორმის არსებობისა.

აი სად არის საფუძველი იმ სიძნელეებისა, რაც პურის ფრონტზე გვაქვს.

აი რატომ არ შეიძლება უბრალო შემთხვევითობად ჩაითვალოს ჩვენი სიძნელენი პურის დამზადების დარგში.

უეჭველია, აქ ერთგვარი უარყოფითი როლი შეასრულა აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ჩვენმა სავაჭრო ორგანიზაციებმა იკისრეს ზედმეტი მოვალეობა — პურით მოემარაგებინათ მთელი რიგი პატარა და საშუალო ქალაქები, რასაც არ შეეძლო რამდენადმე არ შეემცირებინა სახელმწიფოს პურის მარაგი. მაგრამ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ პურის ფრონტზე ჩვენი სიძნელეების საფუძველია არა ეს გარემოება, არამედ ჩვენი სოფლის მეურნეობის საქონლიანობის ნელი განვითარების ფაქ-

ტი იმ დროს, როცა სწრაფად იზრდება მოთხოვნილება სასაქონლო პურზე.

სად არის გამოსავალი მდგომარეობიდან?

არიან ადამიანები, რომლებიც მდგომარეობიდან გამოსავალს ხედავენ კულაკური მეურნეობისაკენ დაბრუნებაში, კულაკური მეურნეობის განვითარებასა და გაშლაში. ეს ადამიანები ვერ ბედავენ ლაპარაკს მემამულური მეურნეობისაკენ დაბრუნებაზე, ვინაიდან, როგორც ჩანს, ესმით, რომ ასეთ რამეებზე ლაყბობა ჩვენს დროში სახიფათოა. მაგრამ ისინი მით უფრო მეტი ხალისით ლაპარაკობენ იმაზე, რომ აუცილებელია კულაკური მეურნეობის ყოველნაირად განვითარება... საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია ერთსა და იმავე დროს დაეყრდნოს ორ მოპირდაპირე კლასს, — კულაკების კლასს, რომელთა საშეურნეო პრინციპია მუშათა კლასის ექსპლოატაცია, და მუშების კლასს, რომელთა სამეურნეო პრინციპია ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობა. ეს რეაქციონერების შესაფერისი ოინია.

იმის მტკიცებაც კი არ ღირს, რომ ამ რეაქციულ «გეგმებს» საერთო არა აქვთ რა მუშათა კლასის ინტერესებთან, მარქსიზმის პრინციპებთან, ლენინიზმის ამოცანებთან. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კულაკი ქალაქის კაპიტალისტზე «უარესი არ არის», რომ კულაკი ქალაქის ნეპმანზე უფრო მეტ საფრთხეს არ წარმოადგენს და რომ ამიტომ ახლა არ უნდა «გვეშინოდეს» კულაკობისა, — ასეთი ლაპარაკი ფუჭი ლიბერალური ლაყბობაა, რომელიც ადუნებს მუშათა კლასის და გლეხობის ძირითადი მასების სიფხიზლეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ინდუსტრიაში ჩვენ შეგვიძლია წვრილ კაპიტალისტს ქალაქში დავუპირდაპიროთ მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, რომელიც სამრეწველო საქონლის მთელი მასის $^{9}/_{10}$-ს იძლევა, მსხვილ კულა-

კურ წარმოებას სოფლად შეგვიძლია წარმოების ხაზით დავუპირდაპიროთ მხოლოდ ჯერ კიდევ მოუმაგრებელი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებსაც კულაკურ მეურნეობებთან შედარებით 8-ჯერ ნაკლები პური მოჰყავთ. სოფლად მსხვილი კულაკური მეურნეობის მნიშვნელობის გაუგებლობა, იმის გაუგებლობა, რომ კულაკობის ხვედრითი წონა სოფლად ასჯერ მეტია, ვიდრე წვრილი კაპიტალისტების ხვედრითი წონა ქალაქის მრეწველობაში, — ეს ნიშნავს ჭკუაზე შეშლას, ლენინიზმთან კავშირის გაწყვეტას, მუშათა კლასის მტრების მხარეზე გადასვლას.

ამრიგად, სად არის გამოსავალი მდგომარეობიდან?

1) გამოსავალი, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ წვრილი, ჩამორჩენილი და დაქსაქსული გლეხური მეურნეობებიდან გადავიდეთ გაერთიანებულ, მსხვილ, საზოგადოებრივ მეურნეობებზე, რომლებიც მომარაგებული იქნებიან მანქანებით, აღჭურვილი იქნებიან მეცნიერების მიღწევებით და რომლებსაც შეეძლებათ მოიყვანონ სასაქონლო პურის ყველაზე მეტი რაოდენობა. გამოსავალს წარმოადგენს გადასვლა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობიდან კოლექტიურ, საზოგადოებრივ მეურნეობაზე მიწათმოქმედებაში.

ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდან მოუწოდებდა პარტიას კოლმეურნეობების მოწყობისაკენ. მას შემდეგ ჩვენს პარტიაში არ შეწყვეტილა კოლმეურნეობების იდეის პროპაგანდა. მაგრამ მოწოდებამ კოლმეურნეობების მშენებლობისაკენ მხოლოდ უკანასკნელ დროს პოვა მასობრივი გამოძახილი. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ კოოპერაციული საზოგადოებრიობის ფართო განვითარებამ სოფლად მოამზადა გარდატეხა გლეხობის განწყობილებაში კოლმეურნეობების სასარგებლოდ, ხოლო მთელი რიგი კოლმეურნეობების არსებობამ, რომლებიც უკვე ახლა იძლევიან 150 — 200 ფუთ-

მოსავალს დესეტინაზე და თავიანთი მოსავლის 30 — 40 პროცენტ სასაქონლო პროდუქციას, — შექმნა ღარიბი გლეხობისა და საშუალო გლეხობის ქვედა ფენების სერიოზული სწრაფვა კოლმეურნეობებისაკენ.

აქ მცირე მნიშვნელობა როდი აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს მიეცა სახელმწიფოს შესაძლებლობა სერიოზულად დააფინანსოს საკოლმეურნეო მოძრაობა. ცნობილია, რომ წელს სახელმწიფომ კოლმეურნეობების დასახმარებლად შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი თანხა გაიღო (60 მილიონ მანეთზე მეტი). პარტიის XV ყრილობა სავსებით მართალი იყო, როცა აღიარა, რომ პირობები მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობისათვის უკვე მომწიფდა, რომ საკოლმეურნეო მოძრაობის გაძლიერება ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული საშუალებაა ჩვენს ქვეყანაში პურის წარმოების საქონლიანობის გასადიდებლად.

პურის საერთო პროდუქცია კოლმეურნეობებში 1927 წელს, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით, შეადგენდა სულ მცირე 55 მილიონ ფუთს 30 პროცენტი საერთო საშუალო საქონლიანობით. ახალი კოლმეურნეობების შექმნის ფართო ტალღამ და ძველი კოლმეურნეობების გაფართოებამ მიმდინარე წლის დამდეგს საგრძნობლად უნდა გაადიდოს პურის წარმოება კოლმეურნეობებში წლის დამლევისათვის. ამოცანა ის არის, რომ შევინარჩუნოთ საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების ახლანდელი ტემპი, გავამსხვილოთ კოლმეურნეობები, უკუვაგდოთ ცრუ კოლმეურნეობები, შევცვალოთ ისინი ნამდვილი კოლმეურნეობებით და დავამყაროთ ისეთი რეჟიმი, რომ კოლმეურნეობები მთელ თავიანთ სასაქონლო პურს აბარებდნენ სახელმწიფო და კოოპერაციულ ორგანიზაციებს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო მოუსპობს მათ სუბსიდიებსა და კრედიტებს. მე ვფიქრობ, რომ

ამ პირობების დაცვით ჩვენ შევძლებდით იმის მიღწევას, რომ 3 — 4 წლის შემდეგ კოლმეურნეობებმა მოგვცენ ასეულ მილიონამდე ფუთი სასაქონლო პური.

ზოგჯერ საკოლმეურნეო მოძრაობას უპირდაპირებენ კოოპერაციულ მოძრაობას; როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ კოლმეურნეობები ერთია, ხოლო კოოპერაცია — მეორე. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ზოგიერთი იქამდეც კი მიდის, რომ კოლმეურნეობებს უპირდაპირებს ლენინის კოოპერაციულ გეგმას. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ ასეთ დაპირისპირებას საერთო არა აქვს რა ჭეშმარიტებასთან. ნამდვილად კოლმეურნეობები წარმოადგენენ კოოპერაციის სახეს, საწარმოო კოოპერაციის ყველაზე მკაფიო სახეს. არის კოოპერაცია გამსაღებელი, არის მომმარაგებელი, არის საწარმოოც. კოლმეურნეობები წარმოადგენენ საერთოდ კოოპერაციული მოძრაობის, კერძოდ ლენინის კოოპერაციული გეგმის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს. ლენინის კოოპერაციული გეგმის გატარება იმას ნიშნავს, რომ გამსაღებელი და მომმარაგებელი კოოპერაციიდან გლეხობა ავამაღლოთ საწარმოო კოოპერაციამდე, ასე ვთქვათ, საკოლმეურნეო კოოპერაციამდე. სხვათა შორის, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობებმა ჩვენში წარმოშობა და განვითარება იწყეს მხოლოდ გამსაღებელი და მომმარაგებელი კოოპერაციის განვითარებისა და გაძლიერების შედეგად.

2) მეორეც, გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ გავაფართოოთ და განვამტკიცოთ ძველი საბჭოთა მეურნეობები, მოვაწყოთ და განვავითაროთ ახალი მსხვილი საბჭოთა მეურნეობები. პურის საერთო პროდუქცია ახლანდელ საბჭოთა მეურნეობებში 1927 წელს, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით, შეადგენდა სულ მცირე 45 მილიონ ფუთს 65 პროცენტი საქონლიანობით. უეჭველია, რომ სახელმწიფოს მხრივ გარკვეული დახმარებით

საბჭოთა მეურნეობები შესძლებენ პურის წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებას.

მაგრამ ამოცანა ამით როდი ამოიწურება. არსებობს საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომლის თანახმად იმ რაიონებში, სადაც გლეხებს არ უჭირავთ მიწის ნაკვეთები, ეწყობა ახალი მსხვილი საბჭოთა მეურნეობები (თვითეული 10 ათასი დესეტინიდან 30 ათას დესეტინამდე), რომლებმაც 5 — 6 წლის შემდეგ უნდა მოგვცენ 100 მილიონი ფუთი სასაქონლო პური. ამ საბჭოთა მეურნეობების შექმნა უკვე დაიწყო. ამოცანა ის არის, რომ აუცილებლად განვახორციელოთ საბჭოთა ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება. მე ვფიქრობ, თუ ამ ამოცანებს განვახორციელებთ, ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ იმას, რომ 3 — 4 წლის შემდეგ ძველი და ახალი საბჭოთა მეურნეობებიდან მივიღოთ 80 — 100 მილიონი ფუთი სასაქონლო პური.

3) ბოლოს, გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ სისტემატურად გავადიდოთ წვრილ და საშუალო ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა მოსავლიანობა. ჩვენ ვერ გავუწევთ და არ უნდა ვუწევდეთ დახმარებას ინდივიდუალურ მსხვილ კულაკურ მეურნეობას. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა გავუწიოთ დახმარება ინდივიდუალურ წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობას, — გავადიდოთ მისი მოსავლიანობა და მოვაქციოთ იგი კოოპერაციული ორგანიზებულობის კალაპოტში. ეს ძველი ამოცანაა, იგი ჩვენში განსაკუთრებული სიძლიერით წამოყენებულ იქნა ჯერ კიდევ 1921 წელს სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის დროს. ეს ამოცანა დადასტურებულია ჩვენი პარტიის მიერ XIV [18] და XV ყრილობებზე. ამ ამოცანის დიდ მნიშვნელობას ცხადყოფენ ახლა სიძნელეები პურის ფრონტზე. ამიტომ იგი, ეს ამოცანა, ისეთივე სიმტკიცით უნდა სრულდებოდეს, როგორითაც შესრულდება პირველი ორი ამოცანა, — ამოცანა კოლმე-

ურნეობების შესახებ და ამოცანა საბჭოთა მეურნეობების შესახებ.

ყველა მონაცემი მოწმობს, რომ გლეხური მეურნეობის მოსავლიანობა რამდენიმე წლის განმავლობაში შეიძლება გადიდებულ იქნას 15 — 20 პროცენტით. ჩვენში ამჟამად ხმარებაშია სულ მცირე 5 მილიონი კავი. მარტო მათი შეცვლა გუთნებით უაღრესად სერიოზულად გაზრდიდა პურის წარმოებას ჩვენს ქვეყანაში. აღარაფერს ვამბობ გლეხურ მეურნეობათა მომარაგებაზე სასუქის ერთგვარი მინიმუმით, გაწმენდილი თესლეულით, წვრილი ტიპის მანქანებითა და სხვ.. მეთოდი კონტრაქტაციისა, მეთოდი მთელ სოფლებთან ხელშეკრულებათა დადებისა მათ მოსამარაგებლად თესლეულით და სხვ. იმ აუცილებელი პირობით, რომ მათგან მივიღებთ პურის პროდუქტებს სათანადო რაოდენობით, — ეს მეთოდი წარმოადგენს გლეხურ მეურნეობათა მოსავლიანობის გადიდებისა და კოოპერაციაში გლეხების ჩაბმის საუკეთესო საშუალებას. მე ვფიქრობ, რომ თუ სერიოზულად ვიმუშავებთ ამ მიმართულებით, 3 — 4 წლის შემდეგ შევძლებთ წვრილ და საშუალო ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათაგან მივიღოთ სულ მცირე 100 მილიონი ფუთი ახალი სასაქონლო პური.

ამრიგად, თუ ყველა ამ ამოცანას შევასრულებთ, 3 — 4 წლის შემდეგ შეიძლება გვქონდეს სახელმწიფოს განკარგულებაში დამატებით ახალი 250 — 300 მილიონი ფუთი სასაქონლო პური, რაც ცოტად თუ ბევრად საკმაო იქნება სათანადო მანევრირებისათვის როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

ასეთია, ძირითადად, ის ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ სიძნელეებს პურის ფრონტზე.

ამ ძირითად ღონისძიებათა შეერთება იმ მიმდინარე ღონისძიებებთან, რომელთა დანიშნულებაა დაგეგმვის გაუმ-

ჯობესება საქონლით სოფლის მომარაგების დარგში, და ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების განთავისუფლება მთელი რიგი პატარა და საშუალო ქალაქების პურით მომარაგების მოვალეობისაგან, — ასეთია ამჟამად ამოცანა.

საჭირო ხომ არ არის ამ ღონისძიებებთან ერთად მივიღოთ კიდევ მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, ვთქვათ, ღონისძიებანი ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპის შესანელებლად, ვინაიდან ინდუსტრიის ზრდა ქმნის პურის მოთხოვნილების გაძლიერებულ ზრდას, რაც ჯერჯერობით წინ უსწრებს სასაქონლო პურის წარმოების ზრდას? არა, არ არის საჭირო. არავითარ შემთხვევაში! ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელება ნიშნავს მუშათა კლასის დასუსტებას, ვინაიდან თვითეული ნაბიჯის წინ გადადგმა ინდუსტრიის განვითარების საქმეში, თვითეული ახალი ფაბრიკა, თვითეული ახალი ქარხანა წარმოადგენს, ლენინის თქმით, მუშათა კლასის «ახალ ციხე-სიმაგრეს», რომელიც აძლიერებს მის პოზიციებს წვრილბურჟუაზიულ სტიქიასთან ბრძოლაში, ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლაში. პირიქით, უნდა შევინარჩუნოთ ინდუსტრიის განვითარების ახლანდელი ტემპი, პირველი შესაძლებლობისთანავე კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ იგი, რათა სოფელი საქონლით ავავსოთ და მეტი პური გამოვიტანოთ იქიდან, რათა სოფლის მეურნეობა და, უწინარეს ყოვლისა, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოვამარაგოთ მანქანებით, რათა მოვახდინოთ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია და გავადიდოთ მისი პროდუქციის საქონლიანობა.

იქნებ საჭირო იყოს მეტი «სიფრთხილისათვის» მძიმე მრეწველობის განვითარების შენელება იმ მიზნით, რომ მსუბუქი მრეწველობა, რომელიც, უმთავრესად, გლეხური ბაზრისათვის მუშაობს, ჩვენი ინდუსტრიის ბაზად გავხადოთ? არავითარ შემთხვევაში! ეს იქნებოდა თვითმკვლელობა, ძი-

რის გამოთხრა მთელი ჩვენი მრეწველობისათვის, მათ შორის მსუბუქი მრეწველობისათვისაც. ეს იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგზე ხელის აღება, ჩვენი ქვეყნის გადაქცევა მეურნეობის მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დანამატად.

ჩვენ აქ ვემყარებით ლენინის ცნობილ სახელმძღვანელო დებულებებს, რომლებიც მან მოგვცა კომინტერნის IV კონგრესზე [19] და რომლებიც უთუოდ სავალდებულოა მთელი ჩვენი პარტიისათვის. აი რას ამბობდა ლენინი ამის შესახებ კომინტერნის IV კონგრესზე:

«რუსეთის ხსნას წარმოადგენს არა მარტო კარგი მოსავალი გლეხურ მეურნეობაში — ეს კიდევ ცოტაა, — და არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც მოხმარების საგნებს აწვდის გლეხობას, — ესეც კიდევ ცოტაა, — ჩვენთვის აუცილებელია აგრეთვე **მძიმე** ინდუსტრია».

ან კიდევ:

«ჩვენ მომჭირნეობას ვეწევით ყველაფერზე, სკოლებზეც კი. ეს უნდა იყოს, რადგან ვიცით, რომ თუ არ ვიხსენით მძიმე მრეწველობა, თუ არ აღვადგინეთ იგი, ისე ჩვენ ვერავითარ მრეწველობას ვერ შევქმნით, უიმისოდ კი ჩვენ საერთოდ დავიღუპებით, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა» (ტ. XXVII, გვ. 349).

ლენინის ამ მითითებათა დავიწყება არ შეიძლება.

როგორ იქნება მუშათა და გლეხთა კავშირის საქმე დასახულ ღონისძიებებთან დაკავშირებით? მე ვფიქრობ, რომ ამ ღონისძიებებს შეუძლიათ მხოლოდ გააადვილონ მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების საქმე.

მართლაც: თუ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აჩქარებული ტემპით განვითარდებიან; თუ წვრილი და საშუალო გლეხობისათვის პირდაპირი დახმარების გაწევის შედეგად მათი მეურნეობების მოსავლიანობა გაიზრდება, ხოლო კოოპერაცია გლეხობის სულ უფრო ფართო მასებს მოიცავს; თუ სახელმწიფო მიიღებს რამდენიმე

ახალ ასეულ მილიონ ფუთ სასაქონლო პურს, რაც საჭიროა მანევრირებისათვის; თუ ამ და მსგავს ღონისძიებათა შედეგად კულაკობა აილაგმება და იგი თანდათან იქნება დაძლეული, — მაშინ განა ცხადი არ არის, რომ წინააღმდეგობანი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის მუშათა და გლეხთა კავშირის შიგნით ამ დროს სულ უფრო და უფრო შესუსტდება, პურის დამზადების საქმეში საგანგებო ზომები საჭირო აღარ იქნება, გლეხობის ფართო მასები სულ უფრო მეტად მობრუნდებიან მეურნეობის კოლექტიური ფორმებისაკენ, ხოლო ბრძოლა კაპიტალისტური ელემენტების დაძლევისათვის სოფლად სულ უფრო მასობრივ და ორგანიზებულ ხასიათს მიიღებს.

განა ცხადი არ არის, რომ მუშათა და გლეხთა კავშირის საქმე მხოლოდ მოიგებს ასეთ ღონისძიებათა გატარებით?

ოღონდ საჭიროა მხედველობაში გვქონდეს, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში უბრალო კავშირად არ შეიძლება მივიჩნიოთ. ეს კავშირი არის მუშათა კლასისა და გლეხობის მშრომელი მასების კლასობრივი კავშირის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს: ა) მუშათა კლასის პოზიციების გაძლიერებას, ბ) მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფას ამ კავშირის შიგნით, გ) კლასებისა და კლასობრივი საზოგადოების მოსპობას. მუშათა და გლეხთა კავშირის ყოველი სხვაგვარი გაგება არის ოპორტუნიზმი, მენშევიზმი, ესერობა, — ყველაფერი, რაც გნებავთ, ოღონდ არა მარქსიზმი, ოღონდ არა ლენინიზმი.

როგორ შევათავსოთ მუშათა და გლეხთა კავშირის იდეა ლენინის ცნობილ დებულებასთან იმის შესახებ, რომ გლეხობა «უკანასკნელი კაპიტალისტური კლასია»? აქ წინააღმდეგობა ხომ არ არის? წინააღმდეგობა აქ მხოლოდ გარეგნულია, მოჩვენებითი. ნამდვილად აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის. იმავე მოხსენებაში კომინტერნის

III კონგრესზე [20], სადაც ლენინი გლეხობას ახასიათებს როგორც «უკანასკნელ კაპიტალისტურ კლასს», ამავე მოხსენებაში ლენინი კიდევ და კიდევ ასაბუთებს მუშათა და გლეხთა კავშირის აუცილებლობას და აცხადებს, რომ «დიქტატურის უმაღლესი პრინციპია გლეხობასთან პროლეტარიატის კავშირის უზრუნველყოფა, რათა პროლეტარიატმა შესძლოს ხელმძღვანელი როლისა და სახელმწიფო ძალაუფლების შენარჩუნება». ცხადია, რომ ლენინი, ყოველ შემთხვევაში, აქ არ ხედავს არავითარ წინააღმდეგობას.

როგორ უნდა გვესმოდეს ლენინის დებულება იმის შესახებ, რომ გლეხობა «უკანასკნელი კაპიტალისტური კლასია»? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გლეხობა კაპიტალისტებისაგან შესდგება? არა, არ ნიშნავს.

ჯერ-ერთი, ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდუალური გლეხობა განსაკუთრებული კლასია, რომელიც მეურნეობას აშენებს წარმოების იარაღებისა და საშუალებების კერძო საკუთრების საფუძველზე და რომელიც, ამის გამო, განსხვავდება პროლეტარების კლასისაგან, რომლებიც მეურნეობას აშენებენ წარმოების იარაღებისა და საშუალებების კოლექტიური საკუთრების საფუძველზე.

მეორეც, ეს იმას ნიშნავს, რომ ინდივიდუალური გლეხობა ისეთი კლასია, რომელიც თავისი წრიდან გამოყოფს, წარმოშობს და ასაზრდოებს კაპიტალისტებს, კულაკებს და საერთოდ სხვადასხვაგვარ ექსპლოატატორებს.

ეს გარემოება დაუძლეველ დაბრკოლებას ხომ არ წარმოადგენს მუშათა და გლეხთა კავშირის ორგანიზაციის საქმისათვის? არა, არ წარმოადგენს. პროლეტარიატის კავშირი გლეხობასთან პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მთელ გლეხობასთან კავშირი. პროლეტარიატის კავშირი გლეხობასთან არის მუშათა კლასის კავშირი გლეხობის მშრომელ მასებთან. ასეთი კავშირი ვერ განხორციელდება გლეხობის კაპი-

ტალისტურ ელემენტებთან უბრძოლველად, კულაკობასთან უბრძოლველად. ასეთი კავშირი მტკიცე ვერ იქნება, თუ ორგანიზებული არ იქნა ღარიბი გლეხობა, როგორც მუშათა კლასის დასაყრდენი სოფლად. ამიტომ მუშათა და გლეხთა კავშირი პროლეტარიატის დიქტატურის ახლანდელ პირობებში შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ლენინის ცნობილი ლოზუნგით: დაეყრდენი ღარიბ გლეხობას, მოაწყე მტკიცე კავშირი საშუალო გლეხთან, ერთი წუთითაც ნუ შეწყვეტ ბრძოლას კულაკობასთან. ვინაიდან მხოლოდ ამ ლოზუნგის გატარებით შეიძლება განხორციელდეს სოციალისტური მშენებლობის კალაპოტში გლეხობის ძირითადი მასების მოქცევის საქმე.

ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ წინააღმდეგობა ლენინის ორ ფორმულას შორის მხოლოდ მოჩვენებითი, გარეგნული წინააღმდეგობაა. ნამდვილად კი მათ შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არის.

«პრავდა» № 127,
1928 წ. 2 ივნისი.

წერილი კომუნისტურ აკადემიასთან არსებული პარტმუშაობლობის წრის წევრებს

დღეს მივიღე სლეპკოვის თეზისები თვითკრიტიკის შესახებ. ეს თეზისები, თურმე, თქვენს წრეში განგიხილავთ. წრის წევრებმა მითხრეს, რომ ეს თეზისები გამოყენებული ყოფილა როგორც დოკუმენტი, რომლის მიზანია არა ცენტრალური კომიტეტის ხაზის კრიტიკა, არამედ მისი დასაბუთება.

უმართებულო იქნებოდა არ ვცნობდეთ პარტიის წევრების უფლებას — გააკრიტიკონ ცენტრალური კომიტეტის ხაზი. უფრო მეტიც: მე მიმაჩნია, რომ თქვენი წრის წევრებს იმის უფლებაც კი აქვთ, რომ თავიანთ ვიწრო წრეში ცენტრალური კომიტეტის პოზიციას დაუპირდაპირონ თავიანთი განსაკუთრებული თეზისები. მაგრამ, ცხადია, სლეპკოვის თეზისებს მიზნად აქვთ არა ცენტრალური კომიტეტის ხაზის კრიტიკა ან მისთვის რაიმე ახლის დაპირდაპირება, არამედ მათი ამოცანაა განმარტონ და დაასაბუთონ ცენტრალური კომიტეტის პოზიცია. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება, რომ სლეპკოვის თეზისები რამდენადმე გავრცელდა მოსკოვის პარტიულ წრეებში.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ან სწორედ ამიტომ, ჩემ მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ სლეპკოვის თეზისები

ა) არ ემთხვევიან ცენტრალური კომიტეტის პოზიციას თვითკრიტიკის ლოზუნგის საკითხში,

ბ) ისინი «ასწორებენ», «ავსებენ» და, ბუნებრივია, აუარესებენ ამ პოზიციას ჩვენი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბიუროკრატიული ელემენტების საამებლად.

1) უწინარეს ყოვლისა, სწორი არ არის სლეპკოვის თეზისების გეზი. სლეპკოვის თეზისები მხოლოდ გარეგნულად მოგვაგონებენ თეზისებს თვითკრიტიკის ლოზუნგის შესახებ. ნამდვილად ისინი წარმოადგენენ თეზისებს თვითკრიტიკის ლოზუნგის **საშიშროებათა** შესახებ. თქმა არ უნდა, ყოველ რევოლუციურ ლოზუნგში არის გარკვეული შესაძლებლობა მისი დამახინჯებისა პრაქტიკაში. ასეთ შესაძლებლობას შეიცავს, რა თქმა უნდა, თვითკრიტიკის ლოზუნგიც. მაგრამ ასეთი შესაძლებლობის დასახვა საკითხის ცენტრად, თვითკრიტიკაზე თეზისების საფუძვლად, — ნიშნავს ყველაფრის თავდაყირა დაყენებას, თვითკრიტიკის რევოლუციური მნიშვნელობისათვის ძირის გამოთხრას, ბიუროკრატებისათვის ხელშეწყობას, რომლებიც ცდილობენ აიცილონ თვითკრიტიკა მასთან დაკავშირებულ «საშიშროებათა» გამო. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ბიუროკრატიული ელემენტები სლეპკოვის თეზისებს წაიკითხავენ ერთგვარი კმაყოფილების გრძნობით.

აქვს თუ არა ასეთ გეზს საერთო რამ ცენტრალური კომიტეტის გეზთან თვითკრიტიკის საკითხში, ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმის რეზოლუციასთან შახტის საქმის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის ივნისის მიმართვასთან თვითკრიტიკის საკითხზე [221]?

მე ვფიქრობ, რომ არა აქვს.

2) სლეპკოვის თეზისები სწორი არ არის თავისი შინაგანი შინაარსითაც. ერთ-ერთი უაღრესად სერიოზული ფაქტორი, რომელიც აუცილებელს ხდის თვითკრიტიკას, და, ამასთან ერთად, თვითკრიტიკის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ობიექტი არის ჩვენი ორგანიზაციების ბიუროკრატიზმი.

განა შეიძლება წინსვლა, თუ არ ვიბრძოლებთ ჩვენი პარტიული და საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიზმთან?

არ შეიძლება!

განა შეიძლება მასების კონტროლის მოწყობა, მასების ინიციატივისა და თვითმოქმედების გაძლიერება, მილიონიანი მასების ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში, თუ გადამწყვეტ ბრძოლას არ ვაწარმოებთ ჩვენი ორგანიზაციების ბიუროკრატიზმთან?

არ შეიძლება!

განა შეიძლება ბიუროკრატიზმისათვის ძირის გამოთხრა, მისი დასუსტება, სააშკარაოზე გამოტანა, თუ არ გავატარებთ თვითკრიტიკის ლოზუნგს?

არ შეიძლება!

განა შეიძლება თვითკრიტიკის ლოზუნგისადმი მიძღვნილ თეზისებში გვერდი ავუაროთ ბიუროკრატიზმის, როგორც ჩვენი სოციალისტური მშენებლობის უარყოფითი ფაქტორის და როგორც თვითკრიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის, საკითხის გაშუქებას?

ცხადია, არ შეიძლება.

მაშ, თუ ასეა, რით უნდა ავხსნათ, რომ სლეპკოვმა თავის თეზისებში მოახერხა და დუმილით აუარა გვერდი ამ საჭირბოროტო საკითხს? როგორ შეიძლება თეზისებში თვითკრიტიკის შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავენ ცენტრალური კომიტეტის პოზიციის დასაბუთებას, დაივიწყო თვითკრიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა? ეს ხომ ფაქტია, რომ სლეპკოვის თეზი-

სებში ერთი სიტყვაც (პირდაპირ ერთი სიტყვაც!) არ არის ნათქვამი ჩვენი ორგანიზაციების ბიუროკრატიზმზე, ბიუროკრატიულ ელემენტებზე ამ ორგანიზაციების შიგნით, ბიუროკრატიულ დამახინჯებებზე ჩვენი პარტიული და საბჭოთა აპარატის მუშაობაში.

განა შეიძლება ეს მეტად ჭარაფშუტული დამოკიდებულება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი შევათავსოთ ცენტრალური კომიტეტის პოზიციასთან თვითკრიტიკის საკითხში, პარტიის ისეთ დოკუმენტებთან, როგორიცაა ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმის რეზოლუცია შახტის საქმის შესახებ, ან ცენტრალური კომიტეტის ივნისის მიმართვა თვითკრიტიკის შესახებ?

მე ვფიქრობ, რომ არ შეიძლება.

კომუნისტური სალამით **ი. სტალინი**

1928 წ. 8 ივნისი.

«კომსომოლსკაია პრავდა» № 90.
1929 წ. 19 აპრილი.

ლენინი და საშუალო გლეხთან კავშირის საკითხი *

პასუხი ამხ. ს.-ს

ამხანაგო ს.!

მართალი არ არის, ვითომ ლენინის ლოზუნგი: «შეგვეძლოს შეთანხმების მიღწევა საშუალო გლეხთან — ამავე დროს კი ერთი წუთითაც არ ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას», მოცემული მის ცნობილ სტატიაში პიტირიმ სოროკინის შესახებ, — წარმოადგენდეს «ღარიბთა კომიტეტების პერიოდის» ლოზუნგს, «საშუალო გლეხობის ეგრეთწოდებული ნეიტრალიზაციის პერიოდის დასასრულის» ლოზუნგს. **ეს სრულიად არ არის მართალი.**

ღარიბთა კომიტეტები დაარსდა 1918 წლის ივნისში. 1918 წლის ოქტომბრის დამლევისათვის ჩვენი ძალები სოფლად უკვე სჭარბობდნენ კულაკობას და მოხდა საშუალო გლეხის **მობრუნება** საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. სწორედ ამ მობრუნების საფუძველზე წარმოიშვა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საბჭოებსა და ღარიბთა კომიტეტებს შორის ორხელისუფლებიანობის მოსპო-

* იბეჭდება ერთგვარი შემოკლებით. ი. სტ.

ბის შესახებ, სათემო და სასოფლო საბჭოების ხელახალი არჩევნების, ახლად არჩეულ საბჭოებში ღარიბთა კომიტეტების გათქვეფისა და, მაშასადამე, ღარიბთა კომიტეტების ლიკვიდაციის შესახებ. ამ გადაწყვეტილების გაფორმება საბჭოთა ხაზით, როგორც ვიცით, მიღებულ იქნა 1918 წ. 9 ნოემბერს საბჭოების VI ყრილობაზე. მე მხედველობაში მაქვს საბჭოების VI ყრილობის 1918 წლის 9 ნოემბრის დადგენილება სასოფლო და სათემო საბჭოების ხელახალი არჩევნებისა და საბჭოებში ღარიბთა კომიტეტების გათქვეფის შესახებ.

ხოლო როდის გამოქვეყნდა ლენინის სტატია «პიტირიმ სოროკინის საგულისხმო აღიარება», სადაც მან საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის ლოზუნგის ნაცვლად წამოაყენა საშუალო გლეხთან შეთანხმების ლოზუნგი? ეს სტატია გამოქვეყნდა 1918 წლის 21 ნოემბერს, ე. ი. საბჭოების VI ყრილობის მიერ ამ დადგენილების გამოტანიდან თითქმის ორი კვირის **შემდეგ**. ამ სტატიაში ლენინი პირდაპირ ამბობს, რომ საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკას გვიკარნახებს საშუალო გლეხის **მობრუნება** ჩვენსკენ.

აი ლენინის სიტყვები:

«სოფლად ჩვენი ამოცანაა — მოვსპოთ მემამულე, დავძლიოთ ექსპლოატატორისა და სპეკულანტ-კულაკის წინააღმდეგობა; ამისათვის ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ დავეყრდნოთ **მხოლოდ** ნახევრად-პროლეტარებს, «ღარიბ გლეხობას». მაგრამ საშუალო გლეხი ჩვენი მტერი არ არის. იგი მერყეობდა, მერყეობს და მომავალშიც განაგრძობს მერყეობას: მერყეობაზე ზემოქმედების ამოცანა და ექსპლოატატორის დამხობისა და აქტიურ მტერზე გამარჯვების ამოცანა **ერთი და იგივე არ არის**. შეგვიძლოს შეთანხმების მიღწევა საშუალო გლეხთან — ამავე დროს კი ერთი წუთითაც არ ავიღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას — ეს არის მომენტის ამოცანა, ვინაიდან ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო სწორედ **ახლა**

აუცილებელი საშუალო გლეხობის მობრუნება ჩვენსკენ * (ტ. XXIII, გვ. 294).

რა გამომდინარეობს აქედან?

აქედან ის გამომდინარეობს, რომ ლენინის ლოზუნგი ეხება არა **ძველ** პერიოდს, არა ღარიბთა კომიტეტებისა და საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პერიოდს, არამედ **ახალ** პერიოდს, საშუალო გლეხთან შეთანხმების პერიოდს. ამრიგად, ის გამოხატავს არა ძველი პერიოდის **დასასრულს**, არამედ ახალი პერიოდის **დასაწყისს**.

მაგრამ თქვენი მტკიცება ლენინის ლოზუნგის შესახებ სწორი არ არის არა მარტო ფორმალურად, არა მარტო, ასე ვთქვათ, ქრონოლოგიური მხრივ, — იგი სწორი არ არის არსებითადაც.

ცნობილია, რომ ლენინის ლოზუნგმა საშუალო გლეხთან შეთანხმების შესახებ, როგორც ახალმა ლოზუნგმა, საერთო პარტიული აღიარება პოვა ჩვენი პარტიის VIII ყრილობაზე (1919 წ. მარტი). ცნობილია, რომ პარტიის VIII ყრილობა არის სწორედ ის ყრილობა, რომელმაც დაადგინა საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის ჩვენი პოლიტიკის საფუძვლები. ცნობილია, რომ ჩვენი პროგრამა, საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამა, მიღებულია პარტიის VIII ყრილობაზევე. ცნობილია, რომ ამ პროგრამაში არის სპეციალური პუნქტები, რომლებიც ეხება პარტიის დამოკიდებულებას სოფლად არსებული სხვადასხვა დაჯგუფებებისადმი: ღარიბი გლეხობისა, საშუალო გლეხებისა და კულაკობისადმი. რა არის ნათქვამი საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამის ამ პუნქტებში სოფლის სოციალურ დაჯგუფებათა და მათთან პარტიის დამოკიდებულების შესახებ? მოისმინეთ:

«რუსეთის კომუნისტური პარტია მთელ თავის მუშაობაში სოფლად წინანდებურად **ეყრდნობა სოფლის პროლეტარულ და ნახევრად-**

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

პროლეტარულ ფენებს, რაზმავს მათ, უწინარეს ყოვლისა, დამოუკიდებელ ძალად, რისთვისაც ქმნის პარტიულ უჯრედებს სოფლად, ღარიბი გლეხობის ორგანიზაციებს, სოფლის პროლეტარებისა და ნახევრად-პროლეტარების განსაკუთრებული ტიპის პროფესიულ კავშირებს და სხვ., ყოველნაირად აახლოებს მათ ქალაქის პროლეტარიატთან და ათავისუფლებს მათ სოფლის ბურჟუაზიისა და წვრილმესაკუთრული ინტერესების გავლენისაგან.

კულაკობის მიმართ, სოფლის ბურჟუაზიის მიმართ, რუსეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მდგომარეობს **მათი ექსპლოატატორული ზრახვების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში, საბჭოთა პოლიტიკისადმი მათი წინააღმდეგობის დათრგუნვაში.**

საშუალო გლეხობის მიმართ რუსეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ იგი თანდათან და გეგმაშეზომილად ჩაბმულ იქნას სოციალისტური მშენებლობის მუშაობაში. პარტია ამოცანად ისახავს ჩამოაშოროს საშუალო გლეხობა კულაკებს, მიიზიდოს იგი მუშათა კლასის მხარეზე და ამ მიზნით ყურადღებით მოეპყროს მის საჭიროებებს, ებრძოლოს მის ჩამორჩენილობას იდეური ზეგავლენის ზომებით და სრულიადაც არა დათრგუნვის ზომებით, შეეცადოს ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა საქმე მის საარსებო ინტერესებს ეხება, **მასთან პრაქტიკულ შეთანხმებას,** წავიდეს დათმობებზე მის მიმართ სოციალისტურ გარდაქმნათა გატარების საშუალებათა განსაზღვრის დროს» * («რკპ(ბ) VIII ყრილობა», სტენოგრაფ. ანგარიში, გვ. 351 [23]).

აბა სცადეთ იპოვოთ თუნდაც მცირეოდენი, თუნდაც სიტყვიერი განსხვავება პროგრამის ამ პუნქტებსა და ლენინის ლოზუნგს შორის! თქვენ ვერ იპოვით ამ განსხვავებას, ვინაიდან იგი არ არსებობს ბუნებაში. უფრო მეტიც. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ლენინის ლოზუნგი არა თუ არ ეწინააღმდეგება VIII ყრილობის გადაწყვეტილებებს საშუალო გლეხის შესახებ, არამედ პირიქით, — წარმოადგენს ამ გადაწყვეტილებათა უაღრესად ზუსტ და უაღრესად მოხდენილ ფორმულირებას. ხომ ფაქტია, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამა მიღებულია 1919 წლის მარტში პარტიის

* ხაზგასმა ყველგან ჩემია. ი. სტ.

VIII ყრილობაზე, რომელმაც სპეციალურად განიხილა საშუალო გლეხის საკითხი, ხოლო ლენინის სტატია პიტირიმ სოროკინის წინააღმდეგ, რომელშიც წამოყენებულ იქნა საშუალო გლეხთან შეთანხმების ლოზუნგი, პრესაში გამოქვეყნდა 1918 წლის ნოემბერში, ოთხი თვით ადრე პარტიის VIII ყრილობამდე.

განა ცხადი არ არის, რომ პარტიის VIII ყრილობამ **მთლიანად და სავსებით დაადასტურა** ლენინის ლოზუნგი, რომელიც წამოყენებული იყო მის სტატიაში პიტირიმ სოროკინის წინააღმდეგ, როგორც ისეთი ლოზუნგი, რომლითაც პარტია ვალდებულია **იხელმძღვანელოს** თავის მუშაობაში სოფლად **სოციალისტური მშენებლობის მთელ ახლანდელ პერიოდში?**

რაში მდგომარეობს ლენინის ლოზუნგის არსი?

ლენინის ლოზუნგის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი შესანიშნავი მოხდენილობით ასახავს სოფლად პარტიული მუშაობის **სამერთოვან** ამოცანას, რომელიც გამოთქმულია ერთ სხარტ ფორმულაში: ა) **დაეყრდენი** ღარიბ გლეხობას, ბ) მოაწყე **შეთანხმება** საშუალო გლეხთან, გ) ერთი წუთითაც ნუ შეწყვეტ **ბრძოლას** კულაკთან. სცადეთ და ამოიღეთ ამ ფორმულიდან ერთ-ერთი მისი ნაწილი, როგორც ბაზა სოფლად მუშაობისათვის ახლანდელ მომენტში, ხოლო ამ ფორმულის სხვა ნაწილები დაივიწყეთ, — და თქვენ აუცილებლად ჩიხში მოექცევით.

შეიძლება თუ არა სოციალისტური მშენებლობის ახლანდელი ფაზის პირობებში მივაღწიოთ ნამდვილ და მტკიცე შეთანხმებას საშუალო გლეხთან ისე, თუ არ დავეყრდნობით ღარიბ გლეხობას და არ ვაწარმოებთ ბრძოლას კულაკის წინააღმდეგ?

არ შეიძლება.

შეიძლება თუ არა ახლანდელი განვითარების პირობებში წარმატებით ვიბრძოლოთ კულაკის წინააღმდეგ ისე, თუ

არ დავეყრდნობით ღარიბ გლეხობას და არ შევუთანხმდებით საშუალო გლეხს?

არ შეიძლება.

როგორ შეიძლება ყველაზე უფრო მოხერხებულად გამოიხატოს ერთ განმაზოგადებელ ლოზუნგში სოფლად პარტიული მუშაობის ეს სამერთოვანი ამოცანა? მე ვფიქრობ, რომ ლენინის ლოზუნგი ამ ამოცანის ყველაზე უფრო მოხერხებული გამოხატულებაა. უნდა ვაღიაროთ, რომ ლენინზე უფრო მოხერხებულად ვერ იტყვი....

რატომ უნდა გაესვას ხაზი ლენინის ლოზუნგის მიზანშეწონილობას **სწორედ ახლა,** სოფლად მუშაობის სწორედ **ახლანდელ პირობებში?**

იმიტომ, რომ სწორედ ახლა ემჩნევა ზოგიერთ ამხანაგს ტენდენცია — ნაწილებად დაშალოს სოფლად პარტიული მუშაობის **სამერთოვანი** ამოცანა და დააშოროს ერთმანეთს ეს ნაწილები. ეს სავსებით დაადასტურა პურის დამზადების ჩვენი კამპანიის პრაქტიკამ ამა წლის იანვარ-თებერვალში.

საშუალო გლეხთან რომ შეთანხმების მიღწევაა საჭირო — ეს ყველა ბოლშევიკმა იცის. მაგრამ როგორ უნდა მივაღწიოთ ამ შეთანხმებას — ეს ყველას როდი ესმის. ერთნი საშუალო გლეხთან შეთანხმების მიღწევას ფიქრობენ კულაკობასთან ბრძოლაზე ხელის აღების გზით ან ამ ბრძოლის შესუსტების გზით: აქაო-და, კულაკობასთან ბრძოლამ შეიძლება დააფრთხოს საშუალო გლეხობის ნაწილი, მისი შეძლებული ნაწილიო.

მეორენი საშუალო გლეხთან შეთანხმების მიღწევას ფიქრობენ ღარიბი გლეხობის დარაზმვისათვის საჭირო მუშაობაზე ხელის აღების გზით ან ამ მუშაობის შესუსტების გზით: აქაო-და, ღარიბი გლეხობის დარაზმვა იწვევს ღარიბი გლეხობის განკერძოებას, განკერძოებამ კი შეიძლება საშუალო გლეხები შემოგვიფრთხოსო.

სწორი ხაზიდან ასეთ გადახვევებს შედეგად მოსდევს იმ მარქსისტული დებულების დავიწყება, რომ საშუალო გლეხი არის მერყევი კლასი, რომ საშუალო გლეხთან შეთანხმება შეიძლება მტკიცე იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ იწარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ და გაძლიერდება მუშაობა ღარიბ გლეხობაში, და რომ ამ პირობების გარეშე საშუალო გლეხი შეიძლება გადაიხაროს კულაკობისაკენ, როგორც ძალისაკენ.

გაიხსენეთ ლენინის სიტყვები, რაც მან თქვა პარტიის VIII ყრილობაზე:

«აუცილებელია განისაზღვროს დამოკიდებულება იმ კლასისადმი, რომელსაც **არა აქვს გარკვეული მტკიცე მდგომარეობა** *. პროლეტარიატი თავისი მასით სოციალიზმის მომხრეა, ბურჟუაზია თავისი მასით სოციალიზმის წინააღმდეგია, — ამ ორი კლასის ურთიერთობის გარკვევა ადვილია. ხოლო როდესაც გადავდივართ ისეთ ფენაზე, როგორიც არის საშუალო გლეხობა, ირკვევა, რომ **ეს ისეთი კლასია, რომელიც მერყეობს.** ის ნაწილობრივ მესაკუთრეა, ნაწილობრივ მშრომელი. ის არ ეწევა მშრომელთა სხვა წარმომადგენლების ექსპლოატაციას. მას ათეული წლების განმავლობაში უდიდესი გაჭირვებით უხდებოდა თავისი მდგომარეობის დაცვა, მან გამოსცადა მემამულეებისა და კაპიტალისტების ექსპლოატაცია, მან ყველაფერი გადაიტანა, და ამავე დროს ის მესაკუთრეა. ამიტომ ჩვენი დამოკიდებულება ამ მერყევი კლასისადმი უდიდეს სიძნელეებს წარმოადგენს» («რკპ(ბ) VIII ყრილობა», სტენოგრაფ. ანგარიში, გვ. 300 [24]).

მაგრამ არის ხოლმე სხვანაირი გადახვევებიც სწორი ხაზიდან, რომლებიც არა ნაკლებ სახიფათოა, ვიდრე წინა გადახვევები. ხდება ხოლმე, რომ ეწევიან ბრძოლას კულაკობის წინააღმდეგ, მაგრამ ისე მოუხეშავად და უაზროდ, რომ მახვილი ხვდება საშუალო გლეხსა და ღარიბ გლეხს. ამის შედეგად კულაკი უვნებელი რჩება, საშუალო გლეხთან კავშირი რღვევას იწყებს, ხოლო ღარიბი გლეხობის

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ნაწილი დროებით უვარდება ბრჭყალებში კულაკს, რომელიც ძირგამომთხრელ ბრძოლას ეწევა საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ სურთ გადააქციონ განკულაკებად, ხოლო მუშაობა პურის დამზადების დარგში — სასურსათო გაწერად, ამასთან ივიწყებენ, რომ განკულაკება ჩვენს პირობებში სისულელეა, ხოლო სასურსათო გაწერა ნიშნავს არა კავშირს, არამედ ბრძოლას საშუალო გლეხთან.

საიდან წარმოსდგება ეს გადახვევები პარტიული ხაზიდან?

იმის გაუგებლობიდან, რომ სოფლად პარტიული მუშაობის **სამშაგი ამოცანა** წარმოადგენს **ერთიან** და **განუყოფელ** ამოცანას. იმის გაუგებლობიდან, რომ **არ შეიძლება ჩამოვაშოროთ** კულაკობასთან ბრძოლის ამოცანა საშუალო გლეხთან შეთანხმების ამოცანას, ხოლო ორივე ეს ამოცანა — სოფლად პარტიის დასაყრდენად ღარიბი გლეხობის გადაქცევის ამოცანას *.

---

* აქედან გამომდინარეობს, რომ გადახვევანი სწორი ხაზიდან ქმნიან ორგვარ საფრთხეს მუშებისა და გლეხების კავშირის საქმისათვის: საფრთხეს იმათი მხრით, ვინც ფიქრობს, ვთქვათ, გადააქციოს დროებითი საგანგებო ზომები პურის დამზადების საქმეში პარტიის მუდმივ ან ხანგრძლივ კურსად, და საფრთხეს იმათი მხრით, ვინც ფიქრობს გამოიყენოს საგანგებო ზომების გაუქმება კულაკისათვის ხელფეხის გასახსნელად, ვაჭრობის სრული თავისუფლების გამოსაცხადებლად, სახელმწიფოს ორგანოების მიერ ვაჭრობის მოუწესრიგებლად. ამიტომ სწორი ხაზის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ბრძოლა ორ ფრონტზე.

ვსარგებლობ შემთხვევით აღვნიშნო, რომ ჩვენი პრესა ყოველთვის როდი იცავს ამ წესს და ზოგჯერ ერთგვარ ცალმხრივობას იჩენს. ხდება, მაგალითად, რომ ამხილებენ იმათ, ვისაც სურს პურის დამზადების ხაზით დროებითი ხასიათის საგანგებო ზომები გადააქციოს ჩვენი პოლიტიკის მუდმივ კურსად, რაც საფრთხეს უმზადებს მუშებისა და

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს ამოცანები არ დასცილდეს ერთმანეთს სოფლად ჩვენი მიმდინარე მუშაობის მსვლელობაში?

ამისათვის საჭიროა, ყოველ შემთხვევაში, ისეთი სახელმძღვანელო ლოზუნგის წამოყენება, რომელიც გააერთიანებდა ყველა ამ ამოცანას ერთ საერთო ფორმულად და რომელიც, მაშასადამე, არ დაუშვებდა ამ ამოცანების ერთმანეთისაგან დაცილებას.

მოიპოვება თუ არა ჩვენს პარტიულ არსენალში ასეთი ფორმულა, ასეთი ლოზუნგი?

დიახ, მოიპოვება. ასეთ ფორმულას წარმოადგენს ლენინის ლოზუნგი: «შეგვეძლოს შეთანხმების მიღწევა საშუალო გლეხთან, ამავე დროს კი ერთი წუთითაც არ ავი-

---

გლეხების კავშირს. ეს ძალიან კარგია. მაგრამ არ ვარგა და არც სწორია, როცა ამავე დროს საკმაო ყურადღებას არ აქცევენ და როგორც საჭიროა არ ამხილებენ იმათ, ვინც მუშებისა და გლეხების კავშირს ემუქრება მეორე მხრიდან, არ ამხილებენ იმათ, ვინც მიჰყვება წვრილბურჟუაზიულ სტიქიას და მოითხოვს სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას და ვაჭრობის სრული თავისუფლების დაწესებას, სახელმწიფოს მომწესრიგებელი როლის გარეშე, რაც, ამგვარად, მეორე მხრიდან უთხრის ძირს მუშებისა და გლეხების კავშირს. ეს უკვე არ ვარგა. ეს ცალმხრივობაა.

ხდება ისიც, რომ ამხილებენ იმათ, ვინც, ვთქვათ, უარყოფს ინდივიდუალურ წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა განვითარების შესაძლებლობას და მიზანშეწონილობას, იმ მეურნეობათა, რომელნიც ახლანდელ სტადიაში სოფლის მეურნეობის ბაზას წარმოადგენენ. ეს ძალიან კარგია. მაგრამ არ ვარგა და არც სწორია, როცა ამავე დროს არ ამხილებენ იმათ, ვინც ამცირებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელობას და ვერ ხედავს იმას, რომ ინდივიდუალური წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობის განვითარების ამოცანა პრაქტიკულად უნდა შეივსოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის განვითარების ამოცანით. ეს უკვე ცალმხრივობაა.

სწორი ხაზის უზრუნველსაყოფად საჭიროა **ორ ფრონტზე** ბრძოლის წარმოება და ყოველგვარი ცალმხრივობის უკუგდება.

ღოთ ხელი კულაკთან ბრძოლაზე და მტკიცედ დავეყრდნოთ მხოლოდ ღარიბ გლეხობას».

აი რატომ ვფიქრობ, რომ ეს ლოზუნგი ყველაზე უფრო მიზანშეწონილი და ყოვლისშემცველი ლოზუნგია, რომ საჭიროა ამ ლოზუნგის პირველ რიგში წამოყენება **სწორედ ახლა**, სოფლად მუშაობის **სწორედ ახლანდელ პირობებში.**

თქვენ ლენინის ლოზუნგი «ოპოზიციურ» ლოზუნგად მიგაჩნიათ და თქვენს წერილში აყენებთ კითხვას: **«როგორ მოხდა, რომ... ეს ოპოზიციური ლოზუნგი დაიბეჭდა 1928 წლის 1 მაისისათვის «პრავდაში»... რით შეიძლება ავხსნათ ამ ლოზუნგის გამოქვეყნება საკავშირო კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ორგანოს «პრავდის» ფურცლებზე, ეს მხოლოდ ტექნიკური შეცდომაა თუ კომპრომისი ოპოზიციის მიმართ საშუალო გლეხის საკითხში»**

მრისხანედ არის ნათქვამი, — ლაპარაკი არ უნდა! მაინც, ფრთხილად იყავით «მოსახვევებში», ამხ. ს.: თქვენი სიფიცხით იმ დასკვნამდე არ მიხვიდეთ, რომ უნდა **აიკრძალოს** ჩვენი პროგრამის დაბეჭდვა, რომელიც სავსებით ადასტურებს ლენინის ლოზუნგს (ფაქტია!), პროგრამისა, რომელიც ძირითადად შეიმუშავა ლენინმა (სრულიადაც არა ოპოზიციონერმა!) და მიიღო პარტიის VIII ყრილობამ (არც ის ყოფილა ოპოზიციური!). მეტი პატივისცემა ჩვენი პროგრამის ცნობილი პუნქტებისადმი სოფლად სოციალურ დაჯგუფებათა შესახებ! მეტი პატივისცემა პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი საშუალო გლეხობის შესახებ!..

რაც შეეხება თქვენს ფრაზას «საშუალო გლეხის საკითხში ოპოზიციის მიმართ კომპრომისის» შესახებ, — ვფიქრობ, იგი, ეს ფრაზა, არ ღირს იმად, რომ მის გაბათილებას შევუდგეთ: იგი, ალბათ, გაცხარების დროს წამოგცდათ.

თქვენ, მგონი, საგონებელში გაგდებთ ის გარემოება, რომ ლენინის ლოზუნგში და VIII ყრილობის მიერ მიღებულ საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამაში ლაპარაკია საშუალო გლეხთან **შეთანხმებაზე**, მაშინ როცა VIII ყრილობის გახსნის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ლენინი ლაპარაკობდა **მტკიცე კავშირზე** საშუალო გლეხთან. თქვენ, ალბათ, რაღაც წინააღმდეგობის მაგვარს ხედავთ ამაში. თქვენ, შეიძლება, იმასაც კი ფიქრობთ, რომ საშუალო გლეხთან **შეთანხმების** პოლიტიკა მოასწავებს ერთგვარ დაშორებას მასთან **კავშირის** პოლიტიკისაგან. ეს სწორი არ არის, ამხ. ს.. ეს დიდი შეცდომაა. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც იციან ლოზუნგის ასოების წაკითხვა, მაგრამ არ ძალუძთ ლოზუნგის აზრის გაგება. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც არ იცნობენ საშუალო გლეხთან კავშირის, შეთანხმების ლოზუნგის ისტორიას. ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც წარმოუდგენიათ, რომ ლენინი, რომელმაც პარტიის VIII ყრილობაზე თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა საშუალო გლეხთან «მტკიცე კავშირის» პოლიტიკის საჭიროება, **დაშორდა** ლენინს, როცა **იმავე** ყრილობაზე თავის მეორე სიტყვაში და VIII ყრილობაზე მიღებულ პარტიულ პროგრამაში თქვა, ჩვენთვის ახლა საჭიროა საშუალო გლეხთან «შეთანხმების» პოლიტიკაო.

რაშია აქ საქმე? საქმე იმაშია, რომ ლენინი და პარტია VIII ყრილობის სახით **არავითარ განსხვავებას** არ ხედავენ «შეთანხმების» ცნებასა და «კავშირის» ცნებას შორის. საქმე იმაშია, რომ ლენინი ყოველთვის, VIII ყრილობაზე წარმოთქმულ ყველა თავის სიტყვაში **ტოლობის ნიშანს** ავლებს «კავშირის» და «შეთანხმების» ცნებათა შორის. იგივე უნდა ითქვას VIII ყრილობის რეზოლუციაზე «საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ», სადაც «შეთანხმების» და «კავშირის» ცნებათა შორის გავლებუ-

ლია **ტოლობის ნიშანი.** და რადგანაც ლენინი და პარტია საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკას თვლიან არა შემთხვევით და სწრაფწარმავალ, არამედ **ხანგრძლივ** პოლიტიკად, ამიტომ მათ ყველა საფუძველი ჰქონდათ და აქვთ უწოდონ საშუალო გლეხთან შეთანხმების პოლიტიკას მასთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა და, პირიქით, საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პოლიტიკას — მასთან შეთანხმების პოლიტიკა. საკმარისია გავეცნოთ პარტიის VIII ყრილობის სტენოგრაფიულ ანგარიშს და იმავე ყრილობის რეზოლუციას საშუალო გლეხის შესახებ, რომ დავრწმუნდეთ ამაში.

აი ამონაწერი ლენინის სიტყვიდან პარტიის VIII ყრილობაზე:

«ხშირად, საბჭოთა მუშაკების გამოუცდელობის, საკითხის სიძნელის გამო, ის მახვილი, რომელიც გათვალისწინებული იყო კულაკების წინააღმდეგ, ხვდებოდა საშუალო გლეხობას. აქ ჩვენ მეტისმეტად შევცოდეთ. ამ მხრივ დაგროვილი გამოცდილება დაგვეხმარება ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ მომავალში ეს თავიდან ავიცილოთ. აი ამოცანა, რომელიც დგას ჩვენს წინაშე არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულად. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს ძნელი ამოცანაა. ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი სიკეთენი, რომელთა მიცემაც შეგვეძლოს საშუალო გლეხისათვის, ის კი მატერიალისტია, პრაქტიკოსია და მოითხოვს კონკრეტულ მატერიალურ სიკეთეს, რის მიცემაც ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია და ურომლისოდაც ჩვენმა ქვეყანამ უნდა გასძლოს, შესაძლოა, მძიმე ბრძოლის კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში, ბრძოლისა, რომელიც ახლა სრული გამარჯვების იმედს იძლევა. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ გავაკეთოთ ჩვენს ადმინისტრაციულ პრაქტიკაში: გავაუმჯობესოთ ჩვენი აპარატი, აღმოვფხვრათ უამრავი ბიროტმოქმედება. ჩვენ შეგვიძლია ჩვენი პარტიის ხაზი, რომელიც საკმაოდ არ იყო მიმართული საშუალო გლეხობასთან **ბლოკისაკენ, კავშირისაკენ, შეთანხმებისაკენ** *, — ჩვენ ეს ხაზი შეგვიძლია გამოვასწოროთ და კიდევაც უნდა გამოვასწოროთ» («რკპ(ბ) VIII ყრილობა», სტენოგრაფ. ანგარიში, გვ. 20 [25]).

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

თქვენ ხედავთ, რომ ლენინი არ განასხვავებს ერთმანეთისაგან «შეთანხმებას» და «კავშირს».

აი ამონაწერებიც VIII ყრილობის რეზოლუციიდან «საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ»:

«საშუალო გლეხების არევა კულაკობაში და მათზე იმ ზომების ასე თუ ისე გავრცელება, რომლებიც მიმართულია კულაკობის წინააღმდეგ, ნიშნავს იმას, რომ უაღრესად უხეშად იქნას დარღვეული არა მარტო საბჭოთა ხელისუფლების ყველა დეკრეტი და მთელი მისი პოლიტიკა, არამედ კომუნიზმის ყველა ძირითადი პრინციპიც, რომლებიც მიგვითითებენ, რომ ერთ-ერთ პირობას ყოველგვარი ექსპლოატაციის აღმოფხვრაზე უმტკივნეულო გადასვლისათვის წარმოადგენს საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატის **შეთანხმება** იმ პერიოდში, როდესაც პროლეტარიატი გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს ბურჟუაზიის დასამხობად.

საშუალო გლეხობა, რომელსაც შედარებით მაგარი ეკონომიური ფესვები აქვს, საკმაოდ ხანგრძლივად გასძლებს პროლეტარული რევოლუციის დაწყების შემდეგ იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ჩამორჩენილია სამრეწველო ტექნიკისაგან მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი, რუსეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ამიტომ სოფლად საბჭოთა მუშაკების, აგრეთვე პარტიის მოღვაწეების **ტაქტიკა** ნავარაუდევი უნდა იყოს საშუალო გლეხობასთან **თანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდისათვის...**

...ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების სავსებით სწორი პოლიტიკა სოფლად უზრუნველყოფს ძლევამოსილი პროლეტარიატის **კავშირსა და შეთანხმებას** საშუალო გლეხობასთან...

...მუშურ-გლეხური მთავრობისა და კომუნისტური პარტიის პოლიტიკა კვლავაც უნდა წარიმართოს ამ გზით — საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის **შეთანხმების გზით**» * («რკპ(ბ) VIII ყრილობა», სტენოგრაფ. ანგარიში, გვ. 370 — 372 [28]).

როგორც ხედავთ, არც რეზოლუცია განასხვავებს ერთმანეთისაგან «შეთანხმებასა» და «კავშირს».

ზედმეტი არ იქნება შევნიშნოთ, რომ VIII ყრილობის ამ რეზოლუციაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი სა-

* ხაზგასმა ყველგან ჩემია. **ი. სტ.**

შუალო გლეხთან «მტკიცე კავშირის» შესახებ. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ რეზოლუცია ამით **შორდება** საშუალო გლეხთან «მტკიცე კავშირის» პოლიტიკას? არა, არ ნიშნავს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ რეზოლუცია ტოლობის ნიშანს ავლებს «შეთანხმების», «თანამშრომლობის» ცნებასა და «მტკიცე კავშირის» ცნებას შორის. ეს გასაგებიც არის: შეუძლებელია საშუალო გლეხთან «კავშირი», თუ მასთან «შეთანხმება» არ მოხდება, ხოლო კავშირი საშუალო გლეხთან «მტკიცე» ვერ იქნება, თუ მასთან «ხანგრძლივი» შეთანხმება და თანამშრომლობა არ არსებობს.

ასეთია ფაქტები.

ორში ერთი: **ან** ლენინი და პარტიის VIII ყრილობა **დაშორდნენ** ლენინის განცხადებას საშუალო გლეხთან «მტკიცე კავშირის» შესახებ, **ან** უნდა უკუვაგდოთ ეს არასერიოზული მოსაზრება და ვაღიაროთ, რომ ლენინი და პარტიის VIII ყრილობა **არავითარ** განსხვავებას არ ხედავენ «შეთანხმებისა» და «მტკიცე კავშირის» ცნებებს შორის.

ამრიგად, ვისაც არ სურს უბრალო ასოჩაკირკიტების მსხვერპლი გახდეს, ვისაც სურს ჩასწვდეს ლენინის იმ ლოზუნგის აზრს, რომელიც ლაპარაკობს ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობის, საშუალო გლეხთან შეთანხმებისა და კულაკობასთან ბრძოლის შესახებ, მას არ შეუძლია არ გაიგოს, რომ საშუალო გლეხთან **შეთანხმების** პოლიტიკა არის მასთან **მტკიცე კავშირის** პოლიტიკა.

თქვენი შეცდომა ის არის, რომ თქვენ ვერ გაიგეთ ოპოზიციის თაღლითური ხერხი და წამოეგეთ მისი პროვოკაციის ანკესზე, გაებით რა მოწინააღმდეგის მიერ თქვენთვის დაგებულ მახეში. ოპოზიციონერი თაღლითები გაჰყვირიან და ხმაურობენ, ირწმუნებიან, რომ ისინი მხარს უჭერენ ლენინის ლოზუნგს საშუალო გლეხთან შეთანხმების შესახებ, ამასთან ისინი პროვოკატორულად გადაკვრით შენიშნავენ, რომ საშუალო გლეხთან «შეთანხმება» ერთია,

ხოლო მასთან «მტკიცე კავშირი» — რაღაც სხვაო. ამით მათ სურთ ორი კურდღელი დაიჭიროს: ჯერ-ერთი, — დამალონ საშუალო გლეხობის საკითხში თავიანთი ნამდვილი პოზიცია, რომელიც მდგომარეობს საშუალო გლეხთან **არა** შეთანხმებაში, არამედ «საშუალო გლეხთან **განხეთქილებაში**» (იხ. ოპოზიციონერ სმირნოვის ცნობილი სიტყვა, რომლიდანაც ციტატები მოვიყვანე მოსკოვის XVI საგუბერნიო პარტკონფერენციაზე [27]); მეორეც, — დაიჭიროს ზოგიერთი მიამიტი ბოლშევიკი **მოჩვენებითს** განსხვავებაზე «შეთანხმებასა» და «კავშირს» შორის, საბოლოოდ აუბნიონ მათ თავგზა და ჩამოაშორონ ლენინს.

ხოლო რას აკეთებს ამის საპასუხოდ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი? ნაცვლად იმისა, რომ ნიღაბი ჩამოჰგლიჯონ ოპოზიციონერ გაიძვერებს, ნაცვლად იმისა, რომ ამხილონ ისინი პარტიის მოტყუებაში მათი ნამდვილი პოზიციის შესახებ, — ნაცვლად ამისა ისინი ეგებიან ანკესზე, ებმებიან მახეში და აშორებინებენ თავიანთ თავს ლენინისაგან. ოპოზიცია ხმაურობს ლენინის ლოზუნგის გამო, ოპოზიციონერებს თავიანთი თავი ლენინური ლოზუნგის მომხრეებად გამოჰყავთ, — მაშასადამე, მე უნდა გავიმიჯნო ამ ლოზუნგისაგან, რომ არ გამრიონ ოპოზიციაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ბრალი დამდონ «ოპოზიციის მიმართ კომპრომისში», — ასეთია ამ ამხანაგების ლოგიკა!

და ეს ოპოზიციის თაღლითური ხერხების ერთადერთი მაგალითი როდია. აიღეთ, მაგალითად, თვითკრიტიკის ლოზუნგი. ბოლშევიკებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი წარმოადგენს ჩვენი პარტიული მოქმედების საფუძველს, პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების საშუალებას, კადრების აღზრდის ბოლშევიკური მეთოდის არსს. ოპოზიცია განგაშს სტეხს და ირწმუნება, რომ მან, ოპოზიციამ, გამოიგონა თვითკრიტიკის ლოზუნგი, რომ პარტიამ წაართვა მას ეს ლოზუნგი და, ამრი-

გად, იარაღი დაყარა ოპოზიციის წინაშე. ასეთი საქციელით ოპოზიციას სურს მიაღწიოს ორ რამეს მაინც:

ჯერ-ერთი, — დაუმალოს მუშათა კლასს და მოატყუოს იგი, რომ ოპოზიციურ «თვითკრიტიკასა», რომელიც მიზნად ისახავს პარტიულობის **დარღვევას,** და ბოლშევიკურ თვითკრიტიკას შორის, რომლის მიზანია პარტიულობის **განმტკიცება,** უფსკრულია;

მეორეც, — ანკესზე წამოაგოს ზოგიერთი მიამიტი და აიძულოს ისინი გაემიჯნონ პარტიულ ლოზუნგს თვითკრიტიკის შესახებ.

ხოლო როგორ უპასუხებს ამას ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი? იმის მაგიერ, რომ ნიღაბი ჩამოჰგლიჯონ ოპოზიციის გაიძვერებს და დაიცვან ბოლშევიკური თვითკრიტიკის ლოზუნგი, — ისინი ებმებიან მახეში, შორდებიან თვითკრიტიკის ლოზუნგს, ცეკვავენ ოპოზიციის სტვირის ხმაზე და... იარაღს ყრიან ოპოზიციის წინაშე, შეცდომით ფიქრობენ რა, რომ ემიჯნებიან ოპოზიციას.

შეიძლებოდა მრავალი ასეთი მაგალითის მოყვანა.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენს მუშაობაში ვისიმე სტვირის ხმას ავყვეთ. მით უმეტეს არ შეგვიძლია ჩვენს მუშაობაში ვიხელმძღვანელოთ იმით, თუ რას ლაპარაკობენ ჩვენზე ოპოზიციონერები. ჩვენ უნდა ვიაროთ ჩვენი გზით და უკუვაგდოთ როგორც ოპოზიციის თაღლითური ოინები, ისე იმ ზოგიერთი ჩვენი ბოლშევიკის შეცდომები, რომლებიც ეგებიან ოპოზიციონერთა პროვოკაციის ანკესზე. მოიგონეთ მარქსის სიტყვები: «იარე საკუთარი გზით, და დაე ხალხმა ილაპარაკოს რაც უნდა!» [28].

დაწერილია 1928 წ. 12 ივნისს.
გამოქვეყნებულია გაზეთ
«პრავდაში» № 152,
1928 წ. 3 ივლისს.
ხელმოწერა: ი. სტალინი.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს

პასუხი ფრუმკინს

(ფრუმკინის 1928 წ. 15 ივნისის წერილის გამო)

ფრუმკინის 1928 წლის 15 ივნისის წერილი იმის ღირსია, რომ მას ყურადღებით მოვეკიდოთ.

განვიხილოთ იგი პუნქტობრივ.

1. ფრუმკინი, უწინარეს ყოვლისა, არასწორად აფასებს სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას. პარტიაში არის საყოველთაოდ მიღებული აზრი, რომ სსრ კავშირსა და მის კაპიტალისტურ გარემოცვას შორის წინააღმდეგობის ზრდის მიზეზი, სსრ კავშირის წინააღმდეგ კაპიტალისტური სახელმწიფოების შემოტევის მიზეზი არის სოციალისტური ელემენტების ზრდა სსრ კავშირში, ყველა ქვეყნის მუშათა კლასზე სსრ კავშირის გავლენის ზრდა, მაშასადამე, — საშიშროება, რომელსაც მზარდი სსრ კავშირი კაპიტალიზმისათვის წარმოადგენს. სწორედ ასეც ესმის საქმე ჩვენი პარტიის XV ყრილობას, როცა იგი ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო მიღებულ თავის რეზოლუციაში ამბობს: «გამწვავდა წინააღმდეგობა ბურჟუაზიული გარემოცვის ქვეყნებსა და სსრ კავშირს შორის, რომელიც, თავისი ძლევამოსილი განვითარებით ძირს უთხრის მსოფ-

ლიო კაპიტალიზმს. სოციალისტური ელემენტების **ზრდა** სსრ კავშირში, **დალუპვა ბურჟუაზიული იმედისა, რომ პროლეტარული დიქტატურა გადაგვარდებოდა,** ამასთან სსრ კავშირის საერთაშორისო-რევოლუციური გავლენის **გაძლიერება** ამ გამწვავების უმთავრესი ფაქტორებია» * [29].

ცნობილია, რომ პარტიამ თავისი ეს დებულება შეიმუშავა არა სხვათა შორის, არა შემთხვევით, არამედ სასტიკ ბრძოლაში ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელიც აშკარად ამტკიცებდა, რომ სსრ კავშირის წინააღმდეგ იმპერიალიზმის შემოტევის მიზეზია სსრ კავშირის **დასუსტება,** რაც მისი **გადაგვარების** პროცესით აიხსნებაო.

მაგრამ ფრუმკინი გადაჭრით არ ეთანხმება ამ პარტიულ დებულებას. ფრუმკინი, პირიქით, გვარწმუნებს, «სსრ კავშირის წინააღმდეგ კაპიტალისტური სამყაროს შემოტევის ძირითადი და გადამწყვეტი ფაქტორია ჩვენი ძალების პოლიტიკური და ეკონომიური **დასუსტებაო».**

რა საერთო შეიძლება იყოს ამ ორ საწინააღმდეგო შეფასებას შორის, რომელთაგან ერთი შეფასება ფრუმკინს ეკუთვნის, ხოლო მეორე — ჩვენი პარტიის XV ყრილობას?

2. ფრუმკინი კიდევ უფრო არასწორად აფასებს სსრ კავშირის საშინაო მდგომარეობას. ფრუმკინის წერილს რომ კითხულობ, შეიძლება იფიქრო, რომ საბჭოთა ხელისუფლება უკანასკნელ დღეებს ბოგინობს, ჩვენი ქვეყანა უფსკრულის წინაშე დგას და სსრ კავშირის დაღუპვა რამდენიმე თვის საქმეა, თუ რამდენიმე დღისა არა. ისღა აკლია, რომ დასძინოს: «გუგულმა უკვე დაიძახაო».

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ სსრ კავშირის «დაღუპვის» შესახებ ინტელიგენტური გოდების მოსმენას ოპოზიციონერებისაგან. მაგრამ განა შეჰფერის ფრუმკინს ოპოზიციისაგან აიღოს მაგალითები?

---

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა ჯეროვნად არ შეგვეფასებინა ჩვენი სიძნელეების მნიშვნელობა. მაგრამ კიდევ უფრო არასწორი იქნებოდა გაგვეზვიადებინა მათი მნიშვნელობა, დაგვეკარგა წონასწორობა და მივცემოდით პანიკას. უეჭველია, რომ კულაკი გაბოროტებულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ: უცნაური იქნებოდა კულაკისათვის მოგვეთხოვა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მეგობრული დამოკიდებულება. უეჭველია, რომ კულაკს გავლენა აქვს ღარიბი და საშუალო გლეხობის გარკვეულ ნაწილში. მაგრამ ამის საფუძველზე იმ დასკვნის გამოტანა, რომ ღარიბი და საშუალო გლეხობის უმრავლესობა განწყობილია საბჭოთა ხელისუფლების **წინააღმდეგ**, რომ «ეს განწყობილება უკვე გადადის **მუშათა ცენტრებში**» — იმას ნიშნავს, რომ გონება დაკარგო და პანიკას მიეცე. ტყუილად კი არ არის ნათქვამი, «შიშს დიდი თვალები აქვსო».

შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა დაემართებოდა ფრუმკინს, ჩვენ რომ ამჟამად გვქონდეს არა ახლანდელი სიძნელეები, არამედ უფრო სერიოზული სიძნელეები, ვთქვათ, ომი, როცა ყოველგვარი მერყეობისათვის ფართო «სამოქმედო ასპარეზი» იშლება.

3. სრულიადაც არ არის მართალი ფრუმკინი, როცა აცხადებს, რომ «ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება **გაძლიერდა** სოფლის მიმართ იმ ახალი პოლიტიკური გეზის გამო, რომელიც XV ყრილობის შემდეგ იქნა მიღებული». ჩანს, აქ ლაპარაკია იმ ღონისძიებებზე **პურის** დამზადების გაუმჯობესების დარგში, რაც პარტიამ ამა წლის დამდეგს მიიღო. ფრუმკინს ეს ღონისძიებანი მიაჩნია **მავნე** ღონისძიებებად, რომლებმაც ჩვენი მდგომარეობა «გააუარესეს».

გამოდის, რომ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმი **მართალი არ იყო,** როცა დაადგინა, რომ

ა) «სიძნელეები პურის დამზადების დარგში დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის **ინდუსტრიალიზაციის იმ სწრაფი ტემპის სიძნელეებთან,** რომელსაც პროლეტარულ სახელმწიფოს უკარნახებს მთელი საერთაშორისო და საშინაო ვითარება, და **გეგმიანი სამეურნეო ხელმძღვანელობის შეცდომებთან»,** რომ

ბ) «დისპროპორციის **გამწვავება** საბაზრო ურთიერთობაში (ერთი მხრივ, სოფლის გადამხდელუნარიანი მოთხოვნილება, მეორე მხრივ — სამრეწველო საქონლის მიწოდება) აიხსნება სოფლის, განსაკუთრებით მისი **შეძლებული და კულაკური** ფენების, **შემოსავლიანობის გადიდებით»** (და არა პარტიის ღონისძიებებით. **ი. სტ.**), რომ

გ) «სიძნელეები **გაღრმავებულ** და **გართულებულ** იქნა სოფლის **კულაკური** ნაწილისა და **სპეკულანტების** მისწრაფებით — გამოეყენებინათ ეს სიძნელენი, აეწიათ პურის ფასები და ჩაეშალათ ფასების საბჭოთა პოლიტიკა»* (და არა პარტიის ღონისძიებებით. **ი. სტ.**).

გამოდის, რომ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმი **მართალი არ იყო,** როცა პურის დამზადების შესახებ მიღებულ თავის რეზოლუციაში განაცხადა, რომ **«პარტიის** აღნიშნულმა **ღონისძიებებმა,** რომელთა გარკვეულ ნაწილს **საგანგებო** ხასიათი ჰქონდა, **უზრუნველყვეს უდიდესი წარმატებანი** პურის დამზადების გაძლიერების საქმეში» [10].

ამრიგად, გამოდის, რომ ფრუმკინი **მართალია,** ხოლო ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმი **მართალი არ არის!**

---

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ბოლოს და ბოლოს, ვინ არის აქ მართალი, — ფრუმკინი თუ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი?

მივმართოთ ფაქტებს.

რა გვქონდა ჩვენ ამა წლის იანვრის დამდეგს? ჩვენ გვქონდა 128 მილიონი ფუთი პურის დეფიციტი შარშანდელთან შედარებით.

როგორ წარმოებდა მაშინ დამზადება? თვითდინების გზით, პარტიის მხრივ ყოველგვარ საგანგებო ღონისძიებათა მიუღებლად, დამზადებაში პარტიის აქტიური ჩარევის გარეშე.

რა მოგვცა მაშინ თვითდინებამ და რამე მტკიცე ზომების მიუღებლობამ? 128 მილიონი ფუთი პურის დეფიციტი.

რა შედეგი გვექნებოდა ახლა, პარტიას ფრუმკინის რჩევა რომ მიეღო და მაშინ საქმეში არ ჩარეულიყო, 128 მილიონი ფუთი პურის დეფიციტი ლიკვიდირებული რომ არ ყოფილიყო ჯერ კიდევ **გაზაფხულამდე, საგაზაფხულო თესვამდე?** ჩვენ ახლა გვექნებოდა შიმშილობა მუშებში, შიმშილობა სამრეწველო ცენტრებში, ჩვენი მშენებლობის ჩაფუშვა, შიმშილობა წითელ არმიაში.

განა შეეძლო პარტიას არ ჩარეულიყო საქმეში, მორიდებოდა საგანგებო ზომების მიღებას? ცხადია, იგი სხვანაირად ვერ მოიქცეოდა.

რა გამომდინარეობს აქედან? აქედან ის გამომდინარეობს, რომ ახლა ჩვენ გვექნებოდა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის უაღრესად საშიში კრიზისი, **დროზე** რომ არ ჩავრეულიყავით პურის დამზადების საქმეში.

დასკვნა ერთია: ფრუმკინი **სრულებით არ არის მართალი,** როცა გამოდის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმის **გა-**

დაწყვეტილებათა **წინააღმდეგ** და მოითხოვს მათს **რევიზიას.**

4. ფრუმკინი სრულებით არ არის მართალი, როცა ამბობს: «XIV და XV პარტყრილობებს უნდა **დავუბრუნდეთო**». ჩვენთვის სრულებითაც არ არის საჭირო დავუბრუნდეთ XV ყრილობას, ვინაიდან პარტია მთლიანად და სავსებით დგას XV ყრილობის გადაწყვეტილებათა ბაზაზე. მაგრამ ფრუმკინი მოითხოვს დავუბრუნდეთ XIV ყრილობას. რას ნიშნავს ეს? განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ **წავშალოთ** მთელი განვლილი გზა და ვიაროთ **უკან,** და არა წინ?

პარტიის XV ყრილობა «სოფლად მუშაობის შესახებ» თავის რეზოლუციაში ამბობს, რომ სოფლის სოციალისტური განვითარების სასარგებლოდ საჭიროა ვაწარმოოთ **«უფრო მტკიცე შეტევა კულაკის წინააღმდეგ»** [31]. პარტიის XIV ყრილობას ეს არ უთქვამს და ვერც იტყოდა იმდროინდელი პირობების მიხედვით. რას შეიძლება ნიშნავდეს, ამასთან დაკავშირებით, ფრუმკინის მოთხოვნა «დავუბრუნდეთ XIV ყრილობას»? იგი შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთ რამეს: ხელი ავიღოთ «კულაკის წინააღმდეგ უფრო მტკიცე შეტევის» პოლიტიკაზე.

გამოდის, რომ ფრუმკინის მოთხოვნა XIV ყრილობისაკენ დაბრუნების შესახებ იწვევს **ხელის აღებას** პარტიის XV ყრილობის გადაწყვეტილებებზე.

პარტიის XV ყრილობა «სოფლად მუშაობის შესახებ» თავის რეზოლუციაში ამბობს, რომ «ახლანდელ პერიოდში წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების მსხვილ კოლექტივებად გაერთიანებისა და გარდაქმნის ამოცანა დაყენებულ უნდა იქნას როგორც პარტიის **ძირითადი ამოცანა** სოფლად» [32]. პარტიის XIV ყრილობას ეს არ უთქვამს და ვერც იტყოდა იმდროინდელი პირობების მიხედვით. ამაზე ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ XV ყრი-

ლობის მომენტისათვის, როცა, ინდივიდუალური წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობის განვითარების ძველ და ჩვენთვის უთუოდ სავალდებულო ამოცანასთან ერთად, ჩვენს წინაშე დაისახა **კოლმეურნეობების,** როგორც მსხვილი სასაქონლო მეურნეობების, განვითარების ახალი **პრაქტიკული** ამოცანა.

რას შეიძლება ნიშნავდეს, ამასთან დაკავშირებით, ფრუმკინის მოთხოვნა «დავუბრუნდეთ XIV ყრილობას»? იგი შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთ რამეს: ხელი ავიღოთ კოლმეურნეობების განვითარების ახალ **პრაქტიკულ** ამოცანაზე. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კოლექტივების განვითარების **პრაქტიკულ** ამოცანას ფრუმკინი ცვლის «კოლექტივებში მიმავალი დარიბი გლეხობისადმი მაქსიმალური დახმარების» **ოსტატური** ამოცანით.

მაშასადამე, გამოდის, რომ ფრუმკინის მოთხოვნას XIV ყრილობისაკენ დაბრუნების შესახებ მოსდევს **ხელის აღება** XV ყრილობის გადაწყვეტილებებზე.

პარტიის XV ყრილობა «სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის შედგენის დირექტივების შესახებ» თავის რეზოლუციაში ამბობს, რომ «ამჟამად საჭიროა უმეტესი დახმარება გაეწიოს **საწარმოო** კოოპერირების ყველა სიცოცხლისუნარიან ფორმას (კომუნები, კოლმეურნეობები, არტელები, საწარმოო ამხანაგობები, კოოპერაციული ქარხნები და სხვ.), აგრეთვე **საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც აყვანილ უნდა იქნან უფრო მაღალ საფეხურზე»** * [33]. პარტიის XIV ყრილობას ეს არ უთქვამს და ვერც იტყოდა იმდროინდელი პირობების მიხედვით. ამაზე ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ XV ყრილობისათვის, როცა, ერთი მხრივ, ინდივიდუალური წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობის განვითარების და, მეორე მხრივ, კოლმეურ-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ნეობების განვითარების ამოცანებთან ერთად, ჩვენს წინაშე დაისახა კიდევ ერთი ახალი **პრაქტიკული** ამოცანა — **საბჭოთა მეურნეობების**, როგორც ყველაზე უფრო სასაქონლო ერთეულების, განვითარების ამოცანა.

რას შეიძლება ნიშნავდეს, ამასთან დაკავშირებით, ფრუმკინის მოთხოვნა «დავუბრუნდეთ XIV ყრილობას»? იგი შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთ რამეს: ხელი ავიღოთ «საბჭოთა მეურნეობების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის» პოლიტიკაზე. სწორედ ამით აიხსნება, რომ საბჭოთა მეურნეობების განვითარების **დადებითს** ამოცანას, რომელიც XV ყრილობამ მოგვცა, ფრუმკინი ცვლის **უარყოფითი** ამოცანით — «არ ვაწარმოოთ საბჭოთა მეურნეობების გაფართოება დაკვრითი და ზედაკვრითი წესით», თუმცა ფრუმკინმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ პარტიას აქ არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს «ზედამკვრელობის» ამოცანა, ვინაიდან ჩვენ **მხოლოდ** ეს-არის **ვიწყებთ** სერიოზულად **მიდგომას** ახალი საბჭოთა მეურნეობების მოწყობის საკითხისადმი.

კვლავ გამოდის, რომ ფრუმკინის მოთხოვნა XIV ყრილობისადმი დაბრუნების შესახებ იწვევს **ხელის აღებას** XV ყრილობის გადაწყვეტილებებზე.

რა ფასი აქვს ყოველივე ნათქვამის შემდეგ ფრუმკინის განცხადებას იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტი «ჩამოშორდა» XV ყრილობის გადაწყვეტილებებს? განა უფრო სწორი არ იქნება ვთქვათ, რომ ფრუმკინის მთელი წერილი წარმოადგენს ცუდად შენიღბულ ცდას — **გააბათილოს** XV ყრილობის მიერ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებანი?

ამით ხომ არ აიხსნება ფრუმკინის მტკიცება, რომ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმის რეზოლუცია პურის დამზადების შესახებ თითქოს **«ნახევრული და ორჭოფულია»?** განა

უფრო მართებული არ იქნება ვთქვათ, რომ პლენუმის რეზოლუცია სწორია, ხოლო ფრუმკინს მართლაც ყველაფერი «ერთიორად ეჩვენება» მისი პოზიციის ერთგვარი «ნახევრულობის» გამო?

ფრუმკინის ძირითადი შეცდომა ის არის, რომ იგი თავის წინ ხედავს მხოლოდ **ერთ** ამოცანას, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარების ამოცანას, ფიქრობს რა, რომ ძირითადად ამით **განისაზღვრება** ჩვენი დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი.

მისი შეცდომა ის არის, რომ მას არ ესმის ის **ახალი** რამ, რაც პარტიამ მოგვცა თავის XV ყრილობაზე, მას არ ესმის ის, რომ საქმე ახლა არ შეიძლება **განისაზღვროს** მხოლოდ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარების ამოცანით, რომ **ამ** ამოცანას საჭიროა **დაემატოს** ორი ახალი **პრაქტიკული** ამოცანა: საბჭოთა მეურნეობების განვითარების ამოცანა და კოლმეურნეობების განვითარების ამოცანა.

ფრუმკინს არ ესმის, რომ ორ უკანასკნელ ამოცანასთან პირველი ამოცანის შეუერთებლად ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ მდგომარეობას ვერც სასაქონლო პურით სახელმწიფოს მომარაგების აზრით, ვერც სოციალიზმის საფუძვლებზე მთელი სახალხო მეურნეობის მოწყობის აზრით.

განა ეს იმას ნიშნავს, რომ სიმძიმის ცენტრი უკვე ახლა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებზე გადაგვაქვს? არა, არ ნიშნავს. ახლანდელ სტადიაში სიმძიმის ცენტრი რჩება ინდივიდუალური წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობის შემდგომი განვითარების სფეროში. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ეს ამოცანა **ახლა საკმარისი აღარ არის.** ეს ნიშნავს, რომ დადგა დრო, როცა ეს ამოცანა უნდა **პრაქტიკულად შევავსოთ** ორი ახალი ამოცანით — კოლმეურნეობების განვითარებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების შესახებ.

5. სრულიად არ არის მართალი ფრუმკინის შენიშვნა იმის შესახებ, რომ «კულაკის კანონგარეშე გამოცხადებამ გამოიწვია უკანონობა მთელი გლეხობის მიმართ».

ჯერ-ერთი, მართალი არ არის, რომ კულაკი «კანონგარეშეა» გამოცხადებული.

მეორეც, თუ ფრუმკინის ამ სიტყვებში არის რაიმე აზრი, იგი შეიძლება მხოლოდ იმაში მდგომარეობდეს, რომ ფრუმკინი პარტიისაგან მოითხოვს კულაკობის აღდგენას «მოქალაქეობის უფლებებში», კულაკისათვის პოლიტიკური უფლებების (ვთქვათ, საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის უფლების და სხვ.) დაბრუნებას.

ნუთუ ფრუმკინი ფიქრობს, რომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მოიგებდნენ, თუ გააუქმებდნენ გარკვეულ შეზღუდვებს კულაკების მიმართ? როგორ შევუთანხმოთ ფრუმკინის ეს «განწყობილება» XV ყრილობის გადაწყვეტილებას «კულაკის წინააღმდეგ უფრო მტკიცე შეტევის» შესახებ?

ნუთუ ფრუმკინი ფიქრობს, რომ კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება განამტკიცებს ჩვენს კავშირს საშუალო გლეხთან? ნუთუ ფრუმკინი ვერ ხვდება, რომ კულაკობისათვის უფლებების დაბრუნებას შეუძლია მხოლოდ გაუადვილოს კულაკობას მუშაობა ჩვენგან საშუალო გლეხის ჩამოშორების მხრივ?

რა ფასი აქვს ყოველივე ამის შემდეგ ფრუმკინის ლაპარაკს საშუალო გლეხთან კავშირის შესახებ?

რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა უარგვეყო, რომ სოფლად ჩვენი მუშაკების გარკვეული ნაწილი კანონებს არღვევს. კიდევ უფრო არასწორი იქნებოდა უარგვეყო ის ფაქტი, რომ ჩვენი მუშაკების გარკვეული ნაწილის მიერ კულაკის წინააღმდეგ ბრძოლის უხეიროდ წარმოების გამო, კულაკისათვის გათვალისწინებული მახვილი ზოგჯერ საშუალო გლეხებს და ღარიბ გლეხებსაც კი ხვდებათ. უეჭ-

ველია, რომ საჭიროა უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა პარტიული ხაზის ამ დამახინჯებებთან. მაგრამ როგორ შეიძლება ამის საფუძველზე იმ დასკვნის გამოყვანა, რომ საჭიროა შევასუსტოთ კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლა, ხელი ავიღოთ კულაკობის პოლიტიკური უფლებების შეზღუდვაზე და სხვ.?

6. ფრუმკინი მართალია, როცა ამტკიცებს, რომ კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება განკულაკების გზით, როგორც ამას ზოგჯერ აკეთებს ზოგიერთი ჩვენი მუშაკი ადგილებზე. მაგრამ იგი ცდება, როცა ფიქრობს, რომ ამით ახალი სიტყვა თქვა. ამ დამახინჯებებში ბრალის დადება ამხ. მოლოტოვისა ან ამხ. კუბიაკისათვის, როგორც ამას ფრუმკინი სჩადის, და იმის მტკიცება, რომ პარტია ბრძოლას არ ეწევა ასეთ დამახინჯებათა წინააღმდეგ, — ნიშნავს უდიდესი უსამართლობის დაშვებას და შეუწყნარებელი სიფიცხის გამოჩენას.

7. ფრუმკინი მართალია, როცა ამტკიცებს, რომ საჭიროა გაიხსნას ბაზრები, პურის ბაზარი. მაგრამ იგი ცდება, თუ ფიქრობს, რომ ამით ახალი რამ თქვა. ჯერ-ერთი, პარტია არასოდეს არ ყოფილა ბაზრების დახურვის მომხრე. მეორეც, ფრუმკინმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ, რამდენადაც ზოგიერთ რაიონში იყო ბაზრების დახურვის შემთხვევები, ცენტრმა სასწრაფოდ გაუგზავნა მიწერილობა ადგილობრივ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ გაეხსნათ ბაზრები და აღმოეფხვრათ ასეთი დამახინჯებანი. ცნობილია, რომ ცენტრის ეს გადაწყვეტილება ადგილებზე დაიგზავნა ჯერ კიდევ მაისის დამლევს (26 მაისს), ე. ი. ორი კვირით ადრე, სანამ ფრუმკინის წერილი გამოჩნდებოდა. არ შეიძლებოდა ეს არ სცოდნოდა ფრუმკინს. განა ღირდა ამის შემდეგ «ღობე-ყორეს მოსდებოდა»?

8. ფრუმკინი მართალია, როცა ამტკიცებს, რომ საჭიროა პურის ფასების გადიდება და არაყის ფარულად გამო-

ხდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. მაგრამ კვლავ უცნაური იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ფრუმკინმა ამით ამერიკა აღმოაჩინა. არაყის ფარულად გამოხდის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენში ამა წლის იანვრიდან წარმოებს. ბრძოლა უნდა გაძლიერდეს, და იგი გაძლიერებული იქნება, თუმცა ფრუნკინმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ სოფელი ამით უკმაყოფილო იქნება. რაც შეეხება პურის ფასების გადიდებას, ფრუმკინმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ პოლიტბიუროში წინასწარ გადაწყვეტილი გვაქვს ფასების გადიდება დამზადების ახალი წლის დამდეგისათვის ჯერ კიდევ ამა წლის თებერვალში, ე. ი. ოთხი თვით ადრე, სანამ ფრუმკინის წერილი გამოჩნდებოდა. ერთხელ კიდევ: განა ღირდა «ღობე-ყორეს მოსდებოდა» ფასების გადიდების შესახებ?

9. ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენოს, რომ ფრუმკინის წერილი შედგენილია საშუალო გლეხთან კავშირის საქმის დაცვის ალმით. მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ გვეჩვენოს. ნამდვილად ფრუმკინის წერილი შუამდგომლობაა კულაკის მდგომარეობის **შესამსუბუქებლად**, შუამდგომლობაა კულაკის მიმართ **შეზღუდვათა გასაუქმებლად**. ვისაც სურს განამტკიცოს საშუალო გლეხთან კავშირის საქმე, მას არ შეუძლია მოითხოვოს კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტება.

საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის უზრუნველყოფა ჩვენი პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მაგრამ ასეთი კავშირის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ გადამწყვეტ ბრძოლას ვაწარმოებთ კულაკობის წინააღმდეგ, იმ პირობით, თუ სოფლად ღარიბ გლეხობას გადავაქცევთ პროლეტარიატის დასაყრდენად, ბოლოს, თუ მზად ვიქნებით და უნარი გვექნება დავამყაროთ საშუალო გლეხთან ხანგრძლივი შეთანხმება, რასაც შეეძლება განამტკიცოს მასთან კავშირი და გაამაგროს პროლეტარია-

ტის პოზიციები სოციალისტური მშენებლობისათვის ბრძოლაში.

ჩვენი პოლიტიკა ამ დარგში ნავარაუდევი უნდა იყოს არა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებისათვის, არამედ «საშუალო გლეხობასთან პროლეტარიატის **შეთანხმებისათვის**», «საშუალო გლეხობასთან **თანამშრომლობის ხანგრძლივი პერიოდისათვის**», «საშუალო გლეხობასთან ძლევამოსილი პროლეტარიატის **კავშირისა და შეთანხმებისათვის**» (იხ. პარტიის VIII ყრილობის რეზოლუცია «საშუალო გლეხობისადმი დამოკიდებულების შესახებ» [31]).

ი. სტალინი

1928 წ. 20 ივნისი.

იბეჭდება პირველად.

თვითკრიტიკის ლოზუნგის გაუხამსების წინააღმდეგ

თვითკრიტიკის ლოზუნგი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც წუთიერი და სწრაფწარმავალი რამ. თვითკრიტიკა არის განსაკუთრებული მეთოდი, ბოლშევიკური მეთოდი პარტიის კადრების და საერთოდ მუშათა კლასის აღზრდისა რევოლუციური განვითარების სულისკვეთებით. ჯერ კიდევ მარქსი ლაპარაკობდა თვითკრიტიკაზე, როგორც პროლეტარული რევოლუციის განმტკიცების მეთოდზე [35]. რაც შეეხება თვითკრიტიკას ჩვენს პარტიაში, თვითკრიტიკის დასაწყისი მიეკუთვნება ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიზმის გაჩენის დასაწყისს, ბოლშევიზმის, როგორც მუშათა მოძრაობაში განსაკუთრებული რევოლუციური მიმდინარეობის, ჩასახვის პირველსავე დღეებს.

ცნობილია, რომ ლენინი ჯერ კიდევ 1904 წლის გაზაფხულზე, როცა ბოლშევიზმი ჯერ კიდევ არ იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია, არამედ მენშევიკებთან ერთად მუშაობდა ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში, — ცნობილია, რომ ლენინი უკვე მაშინ მოუწოდებდა პარტიას «თვითკრიტიკისაკენ და საკუთარი მინუსების ულმობელი მხილებისაკენ». აი რას წერდა მაშინ ლენინი თავის ბროშურაში «ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან»:

«ისინი (ე. ი. მარქსისტთა მოწინააღმდეგეები. **ი. სტ.**) ღვარძლიანად ხარობენ და იმანჭებიან, ჩვენს დავას რომ ხედავენ; ისინი, რა თქმა უნდა, შეეცდებიან ამოგლიჯონ თავიანთი მიზნებისათვის ცალკე ადგილები ჩემი ბროშურიდან, რომელიც ჩვენი პარტიის ნაკლოვანებებსა და შეცდომებს ეხება. რუსი სოციალ-დემოკრატები უკვე საკმაოდ გამობრძმედილი არიან ბრძოლებში, ამიტომ მათ ვერ შეაკრთობს ეს წკიპურტები და, მიუხედავად ამ წკიპურტებისა, ისინი განაგრძობენ მუშაობას **თვითკრიტიკისა და იმ თავიანთი მინუსების ულმობელი მხილების** * ხაზით, რომლებიც უთუოდ და აუცილებლად დაძლეული იქნება მუშათა მოძრაობის ზრდით. ბატონმა მოწინააღმდეგეებმა კი აბა სცადონ და წარმოგვიდგინონ მათს «პარტიებში» საქმის **ნამდვილი** ვითარების სურათი, თუნდაც ოდნავ მიახლოებული იმ სურათთან, რომელსაც **ჩვენი** მეორე ყრილობის ოქმები იძლევიან!» (ტ. VI, გვ. 161 [3ო]).

ამიტომ სრულიად არ არიან მართალი ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ თვითკრიტიკა წუთიერი მოვლენაა, მოდაა, რომელიც მალე ტირაჟში უნდა გავიდეს ისევე, როგორც ჩვეულებრივ გადის ტირაჟში ყოველგვარი მოდა. ნამდვილად თვითკრიტიკა ბოლშევიზმის არსენალში აუცილებელი და მუდმივ მოქმედი იარაღია, რომელიც განუყრელად არის დაკავშირებული ბოლშევიზმის თვით ბუნებასთან, მის რევოლუციურ სულისკვეთებასთან.

ზოგჯერ ამბობენ, თვითკრიტიკა კარგი რამ არის იმ პარტიისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუპყრია ძალაუფლება და «დასაკარგავი არაფერი აქვს», მაგრამ თვითკრიტიკა სახიფათო და საზიანოა იმ პარტიისათვის, რომელმაც ძალაუფლება უკვე დაიპყრო, რომელსაც გარემოცვაში მტრული ძალები ჰყავს და რომლის წინააღმდეგაც მტრებმა შეიძლება გამოიყენონ მისი სუსტი მხარეების მხილებაო.

ეს მართალი არ არის. ეს სრულიად არ არის მართალი! პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიზმმა ძალაუფლება დაიპყრო, სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიკები შე-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

იძლება გამედიდურდნენ ჩვენი მშენებლობის წარმატებათა გამო, სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიკებმა შეიძლება ვერ შეამჩნიონ თავიანთი სუსტი მხარეები და ამით საქმე გაუადვილონ თავიანთ მტრებს, — სწორედ ამიტომ არის საჭირო თვითკრიტიკა განსაკუთრებით ახლა, განსაკუთრებით ძალაუფლების აღების შემდეგ.

თვითკრიტიკის მიზანია ჩვენი შეცდომების, ჩვენი სუსტი მხარეების გამოაშკარავება და ლიკვიდაცია, — განა ცხადი არ არის, რომ თვითკრიტიკას პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში შეუძლია მხოლოდ გააადვილოს მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ ბოლშევიზმის ბრძოლის საქმე? ლენინი ითვალისწინებდა მდგომარეობის ამ თავისებურებებს ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების აღების შემდეგ, როცა თავის ბროშურაში ««მემარცხენეობის» სენი კომუნიზმში» წერდა 1920 წლის აპრილ-მაისში:

«პოლიტიკური პარტიის დამოკიდებულება თავისი შეცდომებისადმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უაღრესად უტყუარი კრიტერიუმია იმისა, თუ რამდენად სერიოზულია პარტია, რამდენად **საქმით** ასრულებს ის თავის მოვალეობებს საკუთარი **კლასისა** და მშრომელი **მასების** მიმართ. **შეცდომის გულახდილად აღიარება** *, მისი მიზეზების გამორკვევა, მისი წარმომშობი ვითარების ანალიზი, შეცდომის გამოსწორების საშუალებათა გულდასმით განხილვა — აი ეს არის სერიოზული პარტიის ნიშანი, აი ეს არის მის მიერ თავის მოვალეობათა შესრულება, აი ეს არის აღზრდა და სწავლება **კლასისა** და შემდეგ **მასისაც**» (ტ. XXV, გვ. 200).

ლენინი ათასჯერ მართალი იყო, როცა პარტიის XI ყრილობაზე 1922 წლის მარტში ამბობდა:

«პროლეტარიატს არ ეშინია აღიაროს, რომ რევოლუციაში მას ესა და ეს ჩინებულად გამოუვიდა, ხოლო ესა და ეს ვერ გამოუვიდა. ყველა რევოლუციური პარტიები, რომლებიც აქამდე იღუპებოდნენ, — იღუპებოდნენ იმის გამო, რომ **გამედიდურდებოდნენ** ხოლმე და ვერ

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ხედავდნენ, თუ რა შეადგენდა მათს ძალას, და **ეშინოდათ ელაპარაკნათ თავიანთ სუსტ მხარეებზე** *. ჩვენ კი არ დავიღუპებით, იმიტომ რომ არ გვეშინია ჩვენს სუსტ მხარეებზე ლაპარაკისა, და ვისწავლით ამ სუსტ მხარეთა დაძლევას» (ტ. XXVII, გვ. 260 — 261).

დასკვნა ერთია: თვითკრიტიკის გარეშე არ არის პარტიის, კლასის, მასების სწორი აღზრდა; პარტიის, კლასის, მასების სწორი აღზრდის გარეშე არ არის ბოლშევიზმი.

რატომ მიეცა თვითკრიტიკის ლოზუნგს განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა სწორედ ახლა, სწორედ მოცემულ ისტორიულ წუთს, სწორედ 1928 წელს?

იმიტომ რომ ახლა უფრო მკაფიოდ, ვიდრე ერთი თუ ორი წლის წინათ, გამომჟღავნდა გამწვავება კლასობრივი ურთიერთობისა როგორც შინაგანი ხაზით, ისე საგარეო ხაზითაც.

იმიტომ რომ ახლა უფრო მკაფიოდ, ვიდრე ერთი თუ ორი წლის წინათ, გამოაშკარავდა ძირგამომთხრელი მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების მტრებისა, რომლებიც ჩვენს სუსტ მხარეებს, ჩვენს შეცდომებს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის წინააღმდეგ იყენებენ.

იმიტომ რომ გაკვეთილები შახტის საქმისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების «მანევრებისა დამზადების საქმეში» პლუს ჩვენს მიერ გეგმიანობის დარგში დაშვებული შეცდომები უკვალოდ ვერ ჩაგვივლიან და არც უნდა ჩაგვიაროს.

საჭიროა **რაც შეიძლება მალე განვთავისუფლდეთ** შახტის საქმითა და პურის დამზადების სიძნელეებით გამოაშკარავებული ჩვენი შეცდომებისა და სუსტი მხარეებისაგან, თუ გვინდა, რომ განვამტკიცოთ რევოლუცია და მტრებს სავსებით შეიარაღებული შევხვდეთ.

საჭიროა **რაც შეიძლება მალე გამოვააშკარაოთ** ჩვენი სუსტი მხარეები და შეცდომები, რომლებიც **ჯერ კიდევ:**

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

არ არის გამოაშკარავებული, მაგრამ რომლებიც უეჭველად არსებობენ, თუ არ გვინდა, რომ ყოველგვარმა «მოულოდნელობამ» და «შემთხვევითობამ» მოუმზადებელს მოგვისწროს მუშათა კლასის მტრების გასახარად.

აქ დაყოვნება იმას ნიშნავს, რომ გავუადვილოთ საქმე ჩვენს მტრებს, გავაღრმავოთ ჩვენი სუსტი მხარეები და შეცდომები. მაგრამ ყოველივე ამას ვერ გავაკეთებთ, თუ არ გავშლით თვითკრიტიკას, თუ არ გავაძლიერებთ თვითკრიტიკას, თუ ჩვენი სუსტი მხარეების, ჩვენი შეცდომების გამოვლინებისა და ლიკვიდაციის საქმეში არ ჩავაბამთ მუშათა კლასისა და გლეხობის მილიონიან მასებს.

ამიტომ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმი სავსებით მართალი იყო, როცა შახტის საქმეზე მიღებულ თავის რეზოლუციაში თქვა, რომ:

«ყველა დასახული ღონისძიების წარმატებით გატარების უზრუნველყოფის **უმთავრესი პირობა** უნდა იყოს **ნამდვილი განხორციელება** XV ყრილობის ლოზუნგისა თვითკრიტიკის შესახებ» * [37].

მაგრამ თვითკრიტიკა რომ გავშალოთ, ამისათვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა დავძლიოთ პარტიის წინაშე მდგომი მთელი რიგი დაბრკოლებანი. ამას მიეკუთვნება მასების კულტურული ჩამორჩენილობა, პროლეტარული ავანგარდის კულტურული ძალების ნაკლებობა, ჩვენი უძრაობა, ჩვენი «კომყოყოჩობა» და სხვ.. მაგრამ ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ დაბრკოლებას, თუ ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებას არა, წარმოადგენს ჩვენი აპარატების **ბიუროკრატიზმი.** საქმე ეხება ბიუროკრატიული ელემენტების არსებობას ჩვენი პარტიული, სახელმწიფოებრივი, პროფესიული, კოოპერაციული და ყოველგვარი სხვა ორ-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

განიზაციების შემადგენლობაში. საქმე ეხება ბიუროკრატიულ ელემენტებს, რომლებიც ცოცხლობენ ჩვენი სუსტი მხარეებითა და შეცდომებით, რომლებსაც, როგორც ცეცხლისა, ისე ეშინიათ მასების კრიტიკისა, მასების კონტროლისა და რომლებიც ხელს გვიშლიან თვითკრიტიკის გაშლაში, ხელს გვიშლიან ჩვენი სუსტი მხარეებისაგან, ჩვენი შეცდომებისაგან განთავისუფლებაში. ბიუროკრატიზმი ჩვენს ორგანიზაციებში არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ საქმის გაჭიანურებად და კანცელარიულ უსულგულობად. ბიუროკრატიზმი არის ჩვენს ორგანიზაციებზე ბურჟუაზიული გავლენის გამოვლინება. ლენინი მართალი იყო, როცა ამბობდა:

«...საჭიროა შევიგნოთ, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა **აბსოლუტურად აუცილებელი** ბრძოლაა, და რომ იგი ისევე რთულია, როგორც წვრილბურჟუაზიული სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა. ბიუროკრატიზმმა ჩვენს სახელმწიფო წყობილებაში ისეთი სატკივრის მნიშვნელობა მიიღო, რომ მის შესახებ ლაპარაკობს ჩვენი პარტიული პროგრამა, და ეს იმიტომ, რომ **იგი დაკავშირებულია ამ წვრილბურჟუაზიულ სტიქიასთან და მის დაქსაქსულობასთან»** * (ტ. XXVI, გვ. 220).

მით უფრო მეტი სიმტკიცით უნდა წარმოებდეს ბრძოლა ჩვენი ორგანიზაციების ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, თუ მართლა გვინდა გავშალოთ თვითკრიტიკა და განვთავისუფლდეთ ჩვენი მშენებლობის წყლულებისაგან.

მით უფრო მეტი სიმტკიცით უნდა დავრაზმოთ მუშათა და გლეხთა მილიონიანი მასები **ქვევიდან** კრიტიკის საქმისათვის, **ქვევიდან** კონტროლის საქმისათვის, როგორც ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი საშუალებისათვის.

ლენინი მართალი იყო, როცა ამბობდა:

«თუ გვინდა ბიუროკრატიზმს ვებრძოლოთ, **ამისათვის ქვედაფენები** უნდა **მოვიზიდოთ»**... ვინაიდან «სხვა რა საშუალებით შეგვიძლია

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

მოვსპოთ ბიუროკრატიზმი, თუ არა **მუშებისა და გლეხების მოზიდვით?»** * (ტ. XXV, გვ. 496, 495).

მაგრამ იმისათვის, რომ «მოვიზიდოთ» მილიონიანი მასები, საჭიროა გავშალოთ პროლეტარული დემოკრატია მუშათა კლასის ყველა მასობრივ ორგანიზაციაში და უწინარეს ყოვლისა თვით პარტიის შიგნით. ეს პირობა თუ არ იქნა დაცული, თვითკრიტიკა ნულია, ცარიელი ფრაზაა.

ჩვენ **ყოველგვარი** თვითკრიტიკა როდი გვესაჭიროება. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი თვითკრიტიკა, რომელიც მაღლა სწევს მუშათა კლასის კულტურულობას, ავითარებს მის მებრძოლ სულს, განუმტკიცებს მას გამარჯვების რწმენას, ამრავლებს მის ძალებს და ეხმარება მას გახდეს თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრონი.

ზოგი ამბობს, თუ თვითკრიტიკა არის, საჭირო არ არის **შრომის დისციპლინა**, შეიძლება თავი მივანებოთ მუშაობას და ყველაფრის შესახებ ცოტ-ცოტა ლაყბობას მივყოთ ხელიო. ეს თვითკრიტიკა კი არა, მუშათა კლასის აბუჩად აგდებაა. თვითკრიტიკა საჭიროა არა შრომის დისციპლინის დასანგრევად, არამედ მის **განსამტკიცებლად**, საჭიროა იმისათვის, რომ შრომის დისციპლინა გახდეს **შეგნებული**, იმის უნარის მქონე, რომ გაუმკლავდეს წვრილბურჟუაზიულ მოდუნებულობას.

სხვები ამბობენ, თუ თვითკრიტიკა არის, საჭირო აღარ არის **ხელმძღვანელობა**, შეიძლება საქმეს მოვშორდეთ და ყველაფერი «მოვლენათა ბუნებრივ მიმდინარეობას» მივანებოთო. ეს თვითკრიტიკა კი არა, სამარცხვინო რამ არის. თვითკრიტიკა საჭიროა არა ხელმძღვანელობის შესასუსტებლად, არამედ მის **გასაძლიერებლად**, საჭიროა იმისათვის, რომ იგი ქაღალდის საშუალებით გაწეული და ნაკლებავტორიტეტული ხელმძღვანელობიდან გადავაქციოთ **ცოცხალ** და ნამდვილად **ავტორიტეტულ** ხელმძღვანელობად.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

მაგრამ არის სხვაგვარი «თვითკრიტიკაც», რომელიც იწვევს პარტიულობის **რღვევას,** საბჭოთა ხელისუფლებისათვის **სახელის გატეხას,** ჩვენი მშენებლობის **შესუსტებას,** სამეურნეო კადრების **გახრწნას,** მუშათა კლასის **განიარაღებას, გადაგვარების** შესახებ ლაყბობას. სწორედ ასეთი «თვითკრიტიკისაკენ» მოგვიწოდებდა გუშინ ტროცკისტული ოპოზიცია. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ პარტიას საერთო არა აქვს რა ასეთ «თვითკრიტიკასთან». ლაპარაკიც ზედმეტია, რომ პარტია მთელი ძალღონით, ყველა საშუალებით იბრძოლებს ასეთი «თვითკრიტიკის» წინააღმდეგ.

მკაცრად უნდა განვასხვავებდეთ ამ, ჩვენთვის **უცხო,** დამარღვეველ ანტიბოლშევიკურ «თვითკრიტიკას» **ჩვენი,** ბოლშევიკური თვითკრიტიკისაგან, რომლის მიზანია პარტიულობის **დანერგვა,** საბჭოთა ხელისუფლების **განმტკიცება,** ჩვენი მშენებლობის **გაუმჯობესება,** ჩვენი სამეურნეო კადრების **განმტკიცება,** მუშათა კლასის **შეიარაღება.**

ჩვენში კამპანია თვითკრიტიკის გაძლიერებისათვის სულ რამდენიმე თვის წინათ დაიწყო. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ცნობები, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ შევაჯამოთ კამპანიის პირველი შედეგები. მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ კამპანია უკვე იძლევა თავის კარგ შედეგებს.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ თვითკრიტიკის ტალღა იწყებს ზრდასა და გაფართოებას, ედება მუშათა კლასის სულ უფრო ფართო ფენებს და აბამს მათ სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ამას მოწმობენ თუნდაც ისეთი ფაქტები, როგორიცაა საწარმოო თათბირებისა და დროებითი საკონტროლო კომისიების გამოცოცხლება.

მართალია, ჯერ კიდევ არის ცდები მაუდქვეშ ამოსდონ საწარმოო თათბირებისა და დროებითი საკონტროლო კომისიების დასაბუთებული და შემოწმებული მითითებანი, რის წინააღმდეგაც საჭიროა უაღრესად გადამწყვეტი ბრძოლა, ვინაიდან ასეთი ცდების მიზანია დაუკარგონ მუშებს

თვითკრიტიკის ხალისი. მაგრამ არა მგონია საფუძველი გვქონდეს დავეჭვდეთ იმაში, რომ ასეთ ბიუროკრატიულ ცდებს პირწმინდად გადარეცხავს თვითკრიტიკის მზარდი ტალღა.

არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ თვითკრიტიკის შედეგად ჩვენი სამეურნეო კადრები იწყებენ ბეჯითად მუშაობას, უფრო ფხიზელნი ხდებიან, იწყებენ უფრო სერიოზულად მიდგომას მეურნეობის ხელმძღვანელობის საკითხებისადმი, ხოლო ჩვენი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და ყოველგვარი სხვა კადრები მასების მოთხოვნილებათადმი უფრო ყურადღებიანი, უფრო გულისხმიერნი ხდებიან.

მართალია, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ შინაპარტიული და საერთოდ მუშათა დემოკრატია უკვე მთლიანად გატარებულია მუშათა კლასის მასობრივ ორგანიზაციებში. მაგრამ საფუძველი არა გვაქვს დავეჭვდეთ იმაში, რომ ეს საქმე წინ წავა კამპანიის შემდგომ გაშლასთან ერთად.

არ შეიძლება აგრეთვე იმის უარყოფა, რომ თვითკრიტიკის შედეგად ჩვენი პრესა უფრო ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი გახდა, ხოლო ჩვენი გაზეთების მუშაკთა ისეთი რაზმები, როგორიც მუშსოფლკორთა ორგანიზაციებია, უკვე იწყებენ გადაქცევას უაღრესად სერიოზულ პოლიტიკურ ძალად.

მართალია, ჩვენი პრესა ხანდახან კვლავ ზედაპირზე სრიალებს, მან ჯერ კიდევ ვერ ისწავლა გადასვლა ცალკეული კრიტიკული შენიშვნებიდან უფრო ღრმა კრიტიკაზე, ხოლო ღრმა კრიტიკიდან — კრიტიკის შედეგების განზოგადებაზე, იმის გამოვლინებაზე, თუ კრიტიკის შედეგად რა **მიღწევებია** მოპოვებული ჩვენი მშენებლობის დარგში. მაგრამ არა მგონია შეიძლებოდეს დავეჭვდეთ იმაში, რომ ეს საქმე წინ წავა შემდგომი კამპანიის მსვლელობაში.

ოღონდ საჭიროა ამ პლუსებთან ერთად აღინიშნოს ჩვენი კამპანიის მინუსები. საქმე ეხება თვითკრიტიკის ლოზუნგის იმ დამახინჯებებს, რომლებსაც ადგილი აქვთ უკვე ახლა, კამპანიის დასაწყისში, და რომლებიც ქმნიან თვითკრიტიკის გაუხამსების საშიშროებას, თუ ისინი ახლავე არ აღვკვეთეთ.

1) საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნოთ, რომ პრესის მთელ რიგ ორგანოებში დაისახა ტენდენცია კამპანიის გადაყვანისა ჩვენი **სოციალისტური მშენებლობის** ნაკლოვანებათა საქმიანი კრიტიკის ნიადაგიდან **პირადი ცხოვრების** უკიდურესობათა წინააღმდეგ სარეკლამო შეძახილების ნიადაგზე. ეს შეიძლება დაუჯერებლად გვეჩვენოს. მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ფაქტია.

აიღეთ, მაგალითად, გაზეთი «ვლასტ ტრუდა», ირკუტსკის საოკრუგო კომიტეტისა და საოკრუგო აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო (№ 128). იქ ნახავთ მთელ გვერდს, აჭრელებულს სარეკლამო «ლოზუნგებით»: «თავშეუკავებლობა სქესობრივ ცხოვრებაში — ბურჟუაზიულია», «ერთ ჰიქას მეორე მოსდევს», «სკუთარ სახლს საკუთარი ძროხა უყვარს», «ორფა საწოლის ბანდიტები», «გასროლა, რომელიც არ მომხდარა» და სხვ. და ა. შ.. საკითხავია, რა შეიძლება იყოს საერთო «ბირჟოვკის»[38] შესაფერ ამ «კრიტიკულ» შეძახილებსა და ბოლშევიკურ თვითკრიტიკას შორის, რომელსაც მიზნად აქვს ჩვენი **სოციალისტური მშენებლობის** გაუმჯობესება? სავსებით შესაძლებელია, რომ ამ სარეკლამო შენიშვნების ავტორი კომუნისტია. შესაძლებელია, რომ იგი გამსჭვალულია მტრობით საბჭოთა ხელისუფლების «კლასობრივი მტრებისადმი». მაგრამ აქ რომ იგი უხვევს სწორი გზიდან, აუხამსებს თვითკრიტიკის ლოზუნგს და ლაპარაკობს **არა ჩვენი** კლასის ხმით, — ეს უეჭველია.

2) შემდეგ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ პრესის ის ორგანოებიც, რომლებიც, საერთოდ რომ ვთქვათ, მოკლებული არ არიან სწორი კრიტიკის უნარს, — ისინიც კი ზოგჯერ გადადიან კრიტიკაზე **კრიტიკისათვის,** კრიტიკას აქცევენ **სპორტად,** რომლის მიზანია **სენსაცია.** ავიღოთ, მაგალითად, «კომსომოლსკაია პრავდა». ყველასათვის ცნობილია «კომსომოლსკაია პრავდის» დამსახურება თვითკრიტიკის გაშლის საქმეში. მაგრამ აიღეთ ამ გაზეთის უკანასკნელი ნომრები და გადასინჯეთ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელების «გაკრიტიკება», მთელი რიგი შეუწყნარებელი კარიკატურები ამ თემაზე. საკითხავია, ვის ესაჭიროება ასეთი «კრიტიკა» და რის მოცემა შეუძლია მას, გარდა თვითკრიტიკის ლოზუნგის კომპრომეტაციისა? რისთვის გახდა საჭირო ასეთი «კრიტიკა», თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვექნება ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ინტერესები, და არა იმისათვის ნავარაუდევი იაფფასიანი სენსაცია, რომ ობივატელს ხითხითის შესაძლებლობა მივცეთ? რა თქმა უნდა, თვითკრიტიკისათვის საჭიროა ყველა გვარეობის იარაღი, მათ შორის «მსუბუქი კავალერიაც». მაგრამ განა აქედან ის გამომდინარეობს, რომ მსუბუქი კავალერია **ჭკუამსუბუქი** კავალერია უნდა გახდეს?

3) ბოლოს, საჭიროა **აღვნიშნოთ** მთელი რიგი ჩვენი ორგანიზაციების გარკვეული მიდრეკილება — გადააქციონ თვითკრიტიკა ჩვენი სამეურნეო მუშაკების **დევნად,** მუშათა კლასის თვალში მათთვის **სახელის გატეხად.** ფაქტია, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ უკრაინაში და ცენტრალურ რუსეთში დაიწყო პირდაპირი **დევნა** ჩვენი **საუკეთესო** სამეურნეო მუშაკებისა, რომელთა მთელი დანაშაული ის არის, რომ ისინი მთელი 100 პროცენტით არ არიან გარანტირებული შეცდომებისაგან. სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ადგილობრივი ორგანიზაციების დადგე-

ნილებანი ამ სამეურნეო მუშაკების პოსტებიდან მოხსნის შესახებ, დადგენილებანი, რომელთაც არავითარი სავალდებულო ძალა არა აქვთ, მაგრამ აშკარად ნავარაუდევი არიან იმისათვის, რომ სახელი გაუტეხონ ამ მუშაკებს? სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ, რომ სამეურნეო მუშაკებს გაკრიტიკებით აკრიტიკებენ, მაგრამ კრიტიკაზე პასუხის გაცემის საშუალებას არ აძლევენ? განა რა დროიდან დაიწყო ჩვენში «შემიაკას სამართლის» გასაღება თვითკრიტიკად?

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ მოვითხოვთ, რომ კრიტიკა სწორი იყოს მთელი 100 პროცენტით. თუ კრიტიკა ქვევიდან მომდინარეობს, ჩვენ არ უნდა უგულებელვყოთ ისეთი კრიტიკაც, რომელიც სწორია მხოლოდ 5 — 10 პროცენტით. ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ განა აქედან ის გამომდინარეობს, რომ სამეურნეო მუშაკებს უნდა მოვთხოვოთ გარანტია შეცდომებისაგან მთელი 100 პროცენტით? განა ქვეყნად არიან შეცდომებისაგან მთელი 100 პროცენტით დაზღვეული ადამიანები? განა ძნელი გასაგებია, რომ სამეურნეო კადრების გამოსაზრდელად საჭიროა მრავალი წელი, რომ სამეურნეო მუშაკებისადმი დამოკიდებულება ჩვენში უაღრესად სათუთი და მზრუნველი უნდა იყოს? განა ძნელი გასაგებია, რომ თვითკრიტიკა გვესაჭიროება არა სამეურნეო კადრების დევნისათვის, არამედ მათი გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის?

გააკრიტიკეთ ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებანი, მაგრამ ნუ გააუხამსებთ თვითკრიტიკის ლოზუნგს და ნუ გადააქცევთ მას სარეკლამო ვარჯიშის იარაღად თემაზე: «ორფა საწოლის ბანდიტები», «გასროლა, რომელიც არ მომხდარა» და სხვ.

გააკრიტიკეთ ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებანი, მაგრამ სახელს ნუ გაუტეხთ თვითკრიტიკის ლოზუნგს და ნუ

გადააქცევთ მას იაფფასიანი სენსაციების მოსამზადებელ სამზარეულოდ.

გააკრიტიკეთ ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებანი, მაგრამ ნუ დაამახინჯებთ თვითკრიტიკის ლოზუნგს და ნუ გადააქცევთ მას ჩვენი სამეურნეო და ყოველი სხვა მუშაკების დევნის იარაღად.

და რაც მთავარია: **ქვევიდან** მასობრივ კრიტიკას ნუ შეცვლით **ზევიდან** «კრიტიკული» რახარუხით, საშუალება მიეცით მუშათა კლასის მასებს ჩაებან საქმეში და გამოიჩინონ თავიანთი შემოქმედებითი ინიციატივა ჩვენი ნაკლოვანებების გამოსწორების საქმეში, ჩვენი მშენებლობის გაუმჯობესების საქმეში.

«პრავდა» № 146,
1928 წ. 26 ივნისი.
ხელმოწერა: ი. სტალინი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი[39]

1928 წ. 4 — 12 ივლისი

იბეჭდება პირველად.

კომინტერნის პროგრამის შესახებ

სიტყვა 1928 წ. 6 ივლისს

უწინარეს ყოვლისა, ამხანაგებო, უნდა განვიხილოთ კომინტერნის პროგრამის პროექტის **მოცულობის** საკითხი [40].

ამბობენ, პროგრამის პროექტი მეტად დიდია, ვეებერთელააო. მოითხოვენ მის ერთიორად, ერთისამად შემცირებას. მოითხოვენ პროგრამაში მოვიყვანოთ რამდენიმე ზოგადი ფორმულა, დავჯერდეთ ამას და პროგრამა ვუწოდოთ ამ ფორმულებს.

მე ვფიქრობ, რომ ეს მოთხოვნები უსაფუძვლოა. მათ, ვინც პროგრამის ერთიორად ან ერთისამადაც შემცირებას მოითხოვს, არ ესმით ის ამოცანები, რომლებიც პროგრამის პროექტის შემდგენლების წინაშე იდგა. საქმე ის არის, რომ კომინტერნის პროგრამა არ შეიძლება იყოს ერთი რომელიმე ნაციონალური პარტიის პროგრამა, ან, ვთქვათ, პროგრამა მხოლოდ «ცივილიზებული» ერებისათვის. პროგრამა უნდა მოიცავდეს მსოფლიოს ყველა კომუნისტურ პარტიას, ყველა ერს, ყველა ხალხს, როგორც თეთრებს, ისე შავებს. ეს არის პროგრამის პროექტის ძირითადი და უაღრესად დამახასიათებელი ნიშანი. მაგრამ როგორ შეიძლება შევეხოთ კომინტერნის ყველა — როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის — სექციების ძირითად საჭიროებებსა და მუშაო-

ბის ძირითად ხაზებს, თუ პროგრამას ერთიორად ან ერთისამად შევამცირებთ? დაე სინჯონ ამხანაგებმა ამ გადაუწყვეტელი ამოცანის გადაწყვეტა. აი რატომ ვფიქრობ, რომ პროგრამის ერთიორად ან ერთისამად შემცირება ნიშნავს მის გადაქცევას პროგრამიდან აბსტრაქტული ფორმულების ფუჭ სიად, რომელიც არაფერს მისცემს კომინტერნის სექციებს.

პროგრამის შემდგენელთა წინაშე ორნაირი ამოცანა იდგა: ერთი მხრივ — მოეცათ ის, რაც მთავარი და ძირითადია მსოფლიოს ყველა კომპარტიაში, მეორე მხრივ — ეს მთავარი და ძირითადი მოეცათ ისე, რომ პროგრამის ცალკე დებულებანი ფუჭი ფორმულები კი არ იყვნენ, არამედ იძლეოდნენ პრაქტიკულ სახელმძღვანელო საწყისებს სულ სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხებისათვის, სულ სხვადასხვა კომუნისტური პარტიებისა და კომუნისტური ჯგუფებისათვის. დამეთანხმეთ, რომ ამ ორნაირი ამოცანის გადაწყვეტა სრულიად შეუძლებელია პროგრამის მოკლე და შეკვეცილ პროექტში.

ყველაზე კურიოზული ის არის, რომ იმავე ამხანაგებს, რომლებიც წინადადებას იძლევიან — პროგრამა ერთიორად ან ერთისსამადაც კი შევამციროთ, ისეთი წინადადებანი შემოაქვთ, რომლებსაც პროგრამის ახლანდელი პროექტის ერთიორად, თუ ერთისამად არა, გაფართოების ტენდენცია აქვთ. მართლაცდა, თუ პროგრამის პროექტში მოვიყვანთ ვრცელ ფორმულირებებს პროფკავშირებზე, კოოპერაციაზე, კულტურაზე, ნაციონალურ უმცირესობებზე ევროპაში და სხვ., განა ცხადი არ არის, რომ აქედან პროგრამის არავითარი შემცირება არ გამოგვივა? საჭირო გახდებოდა პროგრამის ახლანდელი პროექტის ერთიორად გაფართოება, თუ ერთისამად არა.

იგივე უნდა ითქვას იმ ამხანაგებზე, რომლებიც მოითხოვენ ან იმას, რომ პროგრამა იყოს კონკრეტული ინსტრუქ-

ცია კომუნისტური პარტიებისათვის, ან იმას, რომ პროგრამა განმარტავდეს ყველაფერს და ყოველივეს, მის ცალკე დებულებებსაც კი. ჯერ-ერთი, არ შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა მხოლოდ ინსტრუქცია ან უმთავრესად ინსტრუქცია უნდა იყოს. ეს სწორი არ არის. ასეთი მოთხოვნა არ შეიძლება წარედგინოს პროგრამას, იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ ასეთი მოთხოვნის შესრულება პროგრამის მოცულობას არაჩვეულებრივად გააფართოებდა. მეორეც, პროგრამა არ შეიძლება განმარტავდეს ყველაფერს და ყოველივეს, მის ცალკე დეკლარაციულ თუ თეორიულ დებულებებსაც კი. ამისათვის არსებობს პროგრამის კომენტარი. არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ პროგრამა და კომენტარი.

მეორე საკითხი ეხება **პროგრამის სტრუქტურას და** პროგრამის პროექტის შიგნით ცალკე თავების **განლაგების წესს.**

ზოგიერთი ამხანაგი მოითხოვს, რომ თავი მოძრაობის საბოლოო მიზნის შესახებ, კომუნიზმის შესახებ, გადავიტანოთ პროგრამის ბოლოში. მე ვფიქრობ, რომ ეს მოთხოვნაც უსაფუძვლოა. კაპიტალიზმის კრიზისის შესახებ თავსა და გარდამავალი პერიოდის შესახებ თავს შუა პროგრამის პროექტში არის თავი კომუნიზმის შესახებ, მეურნეობის კომუნისტური სისტემის შესახებ. სწორია თუ არა თავების ასეთი განლაგება? მე ვფიქრობ, რომ სავსებით სწორია. არ შეიძლება ლაპარაკი გარდამავალ პერიოდზე, თუ წინასწარ არ ვიტყვით მეურნეობის იმ სისტემაზე, ამ შემთხვევაში, მეურნეობის კომუნისტურ სისტემაზე, რომელზე **გადასვლასაც** პროგრამა მოითხოვს. ლაპარაკობენ გარდამავალი პერიოდის შესახებ, კაპიტალიზმიდან მეურნეობის სხვა სისტემაზე გადასვლის შესახებ. მაგრამ რაზე, სახელდობრ რა სისტემაზე გადასვლა, — აი რის შესახებ უნდა იყოს ლაპარაკი მანამდე, სანამ თვით გარდამავალ პერიოდს დავახასიათებ-

დეთ. პროგრამას უნდა მივყავდეთ უცნობიდან ცნობილისაკენ, ნაკლებ ცნობილიდან უფრო ცნობილისაკენ. კაპიტალიზმის კრიზისზე და შემდეგ გარდამავალ პერიოდზე ლაპარაკი, როცა წინასწარ არ გვითქვამს, თუ რა სისტემაზე უნდა მოხდეს გადასვლა, — ნიშნავს მკითხველის დაბნევას და პედაგოგიკის იმ ელემენტარული მოთხოვნის დარღვევას, რომელიც ამასთანავე პროგრამის აგების მოთხოვნაა. პროგრამა კი უნდა აადვილებდეს მკითხველის მდგომარეობას ნაკლებ ცნობილიდან უფრო ცნობილამდე მისი მიყვანის საქმეში, და არა პირიქით — აძნელებდეს მას.

სხვა ამხანაგები ფიქრობენ, რომ აბზაცი სოციალ-დემოკრატიის შესახებ არ უნდა შედიოდეს პროგრამის პროექტის მეორე თავის შემადგენლობაში, სადაც ლაპარაკია პროლეტარული რევოლუციის პირველ ფაზაზე და კაპიტალიზმის ნაწილობრივ სტაბილიზაციაზე. ისინი ფიქრობენ, რომ ამით აყენებენ პროგრამის სტრუქტურის საკითხს. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ნამდვილად აქ საქმე გვაქვს პოლიტიკურ საკითხთან. მეორე თავიდან რომ ამოვიღოთ აბზაცი სოციალ-დემოკრატიის შესახებ — ეს ნიშნავს პოლიტიკური შეცდომის დაშვებას კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის მიზეზების ერთ-ერთ ძირითად საკითხში. აქ საქმე პროგრამის სტრუქტურა კი არ არის, არამედ შეფასება პოლიტიკური მდგომარეობისა ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდში, შეფასება სოციალ-დემოკრატიის, როგორც ამ სტაბილიზაციის ერთ-ერთი ფაქტორის, კონტრრევოლუციური როლისა. ამ ამხანაგებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა შევიტანოთ აბზაცი სოციალ-დემოკრატიის შესახებ იმ თავში, სადაც ლაპარაკია კაპიტალიზმის ნაწილობრივი სტაბილიზაციის შესახებ, ვინაიდან თვით ამ სტაბილიზაციას ვერ ავხსნით ისე, თუ არ დავახასიათეთ როლი სოციალ-დემოკრატიისა, როგორც სტაბილიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორისა. წინააღმდეგ

შემთხვევაში საჭირო გახდებოდა ამ თავიდან ამოგველო აგრეთვე აბზაცი ფაშიზმის შესახებ და ეს აბზაცი ისევე, როგორც აბზაცი სოციალ-დემოკრატიის შესახებ, გადაგვეტანა იმ თავში, სადაც ლაპარაკია პარტიებზე. მაგრამ ფაშიზმისა და სოციალ-დემოკრატიის შესახებ ორივე ამ აბზაცის ამოღება იმ თავიდან, სადაც ლაპარაკია კაპიტალიზმის ნაწილობრივ სტაბილიზაციაზე, იმას ნიშნავს, რომ განვიარაღდეთ და კაპიტალისტური სტაბილიზაციის ახსნის ყოველგვარი შესაძლებლობა მოვისპოთ. ცხადია, ამას ჩვენ ვერ დავეთანხმებით.

ნეპისა და სამხედრო კომუნიზმის საკითხი. ნეპი არის პროლეტარული დიქტატურის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია კაპიტალისტური ელემენტების დაძლევისა და სოციალისტური მეურნეობის აშენებისაკენ ბაზრის გამოყენების წესით, ბაზრის საშუალებით, და არა პროდუქტების პირდაპირი გაცვლის წესით, უბაზროდ და ბაზრის გარეშე. განა შეუძლიათ უნეპოდ იოლად წასვლა კაპიტალისტურ ქვეყნებს, მათგან თუნდაც ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის დროს? მე ვფიქრობ, რომ არ შეუძლიათ. ამა თუ იმ სახით ახალი ეკონომიური პოლიტიკა მისი საბაზრო კავშირურთიერთობითა და ამ საბაზრო კავშირურთიერთობის გამოყენებით აბსოლუტურად აუცილებელია თვითეული კაპიტალისტური ქვეყნისათვის პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში.

ჩვენში არიან ამხანაგები, რომლებიც უარყოფენ ამ დებულებას. მაგრამ რას ნიშნავს ამ დებულების უარყოფა?

ეს ნიშნავს, ჯერ-ერთი, იმის ვარაუდს, რომ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღებისთანავე გვექნება უკვე ასი პროცენტით მზა განმანაწილებელი და მომმარაგებელი აპარატები ქალაქსა და სოფელს შორის, ინდუსტრიასა და წვრილ წარმოებას შორის, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ ერთბაშად შემოვიღოთ პროდუქ-

ტების პირდაპირი გაცვლა, უბაზროდ, საქონელბრუნვის გარეშე, ფულადი მეურნეობის გარეშე. საკმარისია დავაყენოთ ეს საკითხი, რომ მივხვდეთ ასეთი ვარაუდის მთელ შეუსაბამობას.

მეორეც, ეს ნიშნავს იმის ვარაუდს, რომ პროლეტარული რევოლუცია პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ უნდა დადგეს საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის ნიადაგზე, იკისროს ხელოვნურად შექმნილ მრავალ მილიონ ახალ უმუშევართა სამუშაოზე მოწყობისა და საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფის უზომო ტვირთი. საკმარისია დავაყენოთ ეს საკითხი, რომ მივხვდეთ პროლეტარული დიქტატურის ასეთი პოლიტიკის მთელ შეუსაბამობასა და სისულელეს. ნეპი, სხვათა შორის, იმით არის კარგი, რომ იგი პროლეტარულ დიქტატურას ათავისუფლებს ასეთ და მათ მსგავს სიძნელეთაგან.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ნეპი სოციალისტური რევოლუციის გარდუვალი ფაზაა ყველა ქვეყანაში.

შეიძლება თუ არა იგივე ითქვას სამხედრო კომუნიზმის შესახებ? შეიძლება თუ არა ითქვას, რომ იგი, სამხედრო კომუნიზმი, პროლეტარული რევოლუციის გარდუვალი ფაზაა? არა, არ შეიძლება. სამხედრო კომუნიზმი არის საომარი ვითარებითა და ინტერვენციით თავსმოხვეული პოლიტიკა პროლეტარული დიქტატურისა, პოლიტიკა, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ შემოღებულ იქნას პროდუქტების პირდაპირი გაცვლა ქალაქსა და სოფელს შორის არა ბაზრის საშუალებით, არამედ ბაზრის გარეშე, უმთავრესად გარეეკონომიური და ნაწილობრივ სამხედრო ხასიათის ღონისძიებებით, და რომლის მიზანია პროდუქტების ისეთი განაწილების მოწყობა, რაც უზრუნველყოფდა ფრონტზე რევოლუციური არმიებისა და ზურგში მუშების

მომარაგებას. ცხადია, საომარი ვითარება და ინტერვენცია რომ არ ყოფილიყო, არც სამხედრო კომუნიზმი იქნებოდა. ამიტომ არ შეიძლება მტკიცება, რომ სამხედრო კომუნიზმი პროლეტარული რევოლუციის განვითარების ეკონომიურად გარდუვალი ფაზაა.

უმართებულო იქნებოდა ფიქრი, რომ სსრ კავშირში პროლეტარულმა დიქტატურამ თავისი ეკონომიური მუშაობა სამხედრო კომუნიზმით დაიწყო. ზოგიერთი ამხანაგი ამ პოზიციას ადგება. მაგრამ ეს პოზიცია სწორი არ არის. პირიქით, პროლეტარულმა დიქტატურამ ჩვენში თავისი აღმშენებლობითი მუშაობა დაიწყო არა სამხედრო კომუნიზმით, არამედ ეგრეთწოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლების გამოცხადებით. ყველასათვის ცნობილია ლენინის 1918 წლის დამდეგს გამოცემული ბროშურა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების» [41] შესახებ, სადაც ლენინმა მოგვცა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპების პირველი დასაბუთება. მართალია, იგი, ეს პოლიტიკა, დროებით შეწყვეტილ იქნა ინტერვენციის ვითარებით, და საჭირო გახდა დავბრუნებოდით მას მხოლოდ სამი წლის შემდეგ, როცა ბოლო მოვუღეთ ომსა და ინტერვენციას. მაგრამ ის, რომ პროლეტარული დიქტატურისათვის სსრ კავშირში საჭირო გახდა დაბრუნებოდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრინციპებს, რომლებიც ჯერ კიდევ 1918 წლის დამდეგს გამოცხადდა, — ეს გარემოება ცხადად მოწმობს იმას, თუ რით უნდა დაიწყოს პროლეტარულმა დიქტატურამ თავისი აღმშენებლობითი მუშაობა რევოლუციის მეორე დღეს და რაზე უნდა დაამყაროს თავისი აღმშენებლობითი მუშაობა, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში მივიღებთ **ეკონომიური** ხასიათის მოსაზრებებს.

ზოგჯერ ერთმანეთში ურევენ სამხედრო კომუნიზმსა და სამოქალაქო ომს, პირველს აიგივებენ მეორესთან. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. პროლეტარიატის მიერ 1917

წლის ოქტომბერში ძალაუფლების ხელში აღება უთუოდ სამოქალაქო ომის ფორმა იყო. მაგრამ სწორი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სამხედრო კომუნიზმის გამოყენება ჩვენში 1917 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. სავსებით შეიძლება წარმოვიდგინოთ სამოქალაქო ომის მდგომარეობა სამხედრო კომუნიზმის მეთოდების გამოუყენებლად, ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლებზე უარის უთქმელად, როგორც ეს იყო ჩვენში 1918 წლის დამდეგს, ინტერვენციამდე.

ამბობენ, პროლეტარული რევოლუციები იზოლირებულ გარემოებაში ჩაივლიან, რის გამო არც ერთი პროლეტარული რევოლუცია არ მოხდება ისე, რომ მას ინტერვენცია და, მაშასადამე, სამხედრო კომუნიზმი არ მოჰყვესო. ეს სწორი არ არის. მას შემდეგ, რაც ჩვენ მივაღწიეთ სსრ კავშირში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, კაპიტალიზმის ძირითად ქვეყნებში კომუნისტური პარტიების ზრდასა და კომინტერნის განმტკიცებას, იზოლირებული პროლეტარული რევოლუციები უკვე არ შეიძლება იყოს და არ უნდა იყოს. არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ისეთი ფაქტორები, როგორიც არის მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისი, რაც თანდათან მწვავდება, საბჭოთა კავშირის არსებობა და ყველა ქვეყანაში კომუნიზმის ზრდა. (ხმა: «მაგრამ უნგრეთში რევოლუცია იზოლირებული იყო»). ეს იყო 1919 წელს [42]. ახლა კი 1928 წელი გვაქვს. საკმარისია გავიხსენოთ რევოლუცია გერმანიაში 1923 წელს [43], როცა პროლეტარული დიქტატურა სსრ კავშირში ემზადებოდა პირდაპირი დახმარება გაეწია გერმანიის რევოლუციისათვის, რომ მივხვდეთ, თუ რამდენად შედარებითი და პირობითია ზოგიერთი ამხანაგის არგუმენტაცია. (ხმა: «იზოლირებული რევოლუცია გერმანიაში, იზოლირებულობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის»). თქვენ ერთმანეთში ურევთ სივრცით დაშორებასა და პოლიტიკურ იზოლირე-

ბულობას. რა თქმა უნდა, სივრცით დაშორებას მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მაინც არ შეიძლება მისი არევა პოლიტიკურ იზოლირებულობაში.

ხოლო მუშები ინტერვენტთა ქვეყნებში, — ხომ არა გგონიათ, რომ ისინი გაჩუმებული იქნებიან, ვთქვათ, გერმანიის რევოლუციის საქმეებში ინტერვენციის დროს და ზურგში არ დაარტყამენ ინტერვენტებს?

ხოლო სსრ კავშირი და მისი პროლეტარიატი, — ხომ არა გგონიათ, რომ პროლეტარული რევოლუცია სსრ კავშირში დამშვიდებული დაუწყებს ყურებას ინტერვენტთა უწესოებას?

ინტერვენტებისათვის ზიანის მისაყენებლად სრულებითაც არ არის აუცილებელი რევოლუციის ქვეყანასთან სივრცითი დაკავშირება. ამისათვის საკმარისია ვავნოთ ინტერვენტებს მათი საკუთარი ტერიტორიის იმ პუნქტებში, რომლებიც ყველაზე ადვილი სავნებია, რათა ინტერვენტებმა საშიშროება იგრძნონ და პროლეტარული სოლიდარობის მთელი რეალობა შეიგნონ. ვთქვათ, ჩვენ ვაწყენინეთ ბურჟუაზიულ ინგლისს ლენინგრადის რაიონში იმით, რომ სერიოზული ზარალი მივაყენეთ. განა აქედან ის გამომდინარეობს, რომ ინგლისმა სამაგიერო აუცილებლად ლენინგრადში უნდა გადაგვიხადოს? არა, არ გამომდინარეობს. მას შეეძლო სამაგიერო გადაეხადა ჩვენთვის სადმე ბათუმში, ოდესაში, ბაქოში ან, ვთქვათ, ვლადივოსტოკში. იგივე უნდა ითქვას იმ დახმარებისა და მხარდაჭერის ფორმების შესახებ, რასაც პროლეტარული დიქტატურა იმპერიალისტ ინტერვენტთა წინააღმდეგ გაუწევს პროლეტარულ რევოლუციას, ვთქვათ, ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში.

მაგრამ თუ არ შეიძლება ინტერვენცია და, მაშასადამე, სამხედრო კომუნიზმი მივიჩნიოთ **აუცილებელ** მოვლენად ყველა ქვეყნისათვის, მაინც შეიძლება მივიჩნიოთ და უნდა მივიჩნიოთ, რომ ისინი ცოტად თუ ბევრად მოსალოდნელია.

ამიტომ, თუმცა არ ვეთანხმები ამ ამხანაგების არგუმენტაციას, მაგრამ ვეთანხმები მათს დასკვნას იმის შესახებ, რომ პროგრამის პროექტში ფორმულა პროლეტარული რევოლუციის ქვეყნებისათვის სამხედრო კომუნიზმის **შესაძლებლობის** შესახებ, გარკვეული საერთაშორისო ვითარების დროს, შეიძლებოდა შეგვეცვალა ფორმულით ინტერვენციისა და სამხედრო კომუნიზმის ცოტად თუ ბევრად **მოსალოდნელობის** შესახებ.

მიწის ნაციონალიზაციის საკითხი. მე არ ვეთანხმები იმ ამხანაგებს, რომლებიც წინადადებას იძლევიან შეიცვალოს მიწის ნაციონალიზაციის ფორმულა კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნებისათვის და მოითხოვენ, რომ ასეთ ქვეყნებში **მთელი** მიწის ნაციონალიზაცია პროლეტარული რევოლუციის პირველსავე დღეს გამოცხადდეს.

მე არ ვეთანხმები აგრეთვე იმ ამხანაგებს, რომლებიც წინადადებას იძლევიან სრულიად არაფერი ვთქვათ კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებში **მთელი** მიწის ნაციონალიზაციის შესახებ. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა გვეთქვა **მთელი** მიწის შემდგომი ნაციონალიზაციის შესახებ, როგორც ეს კიდევაც არის ნათქვამი პროგრამის პროექტში, და დამატებით გვეთქვა, რომ წვრილი და საშუალო გლეხებისათვის უზრუნველყოფილი იქნება მიწათსარგებლობის უფლება.

მართალი არ არიან ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ, რაც უფრო განვითარებულია კაპიტალისტური ქვეყანა, მით უფრო ადვილია იქ **მთელი** მიწის ნაციონალიზაციის გატარება. პირიქით, კაპიტალისტურად რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, მით უფრო ძნელია **მთელი** მიწის ნაციონალიზაციის გატარება, ვინაიდან იქ მით უფრო ძლიერია მიწის კერძო საკუთრების ტრადიციები და, მაშასადამე, მით უფრო ძნელია ამ ტრადიციებთან ბრძოლა.

წაიკითხეთ ლენინის თეზისები აგრარული საკითხის შესახებ კომინტერნის II კონგრესზე [44], სადაც იგი პირდაპირ გვაფრთხილებს წინდაუხედავი და გაუფრთხილებელი ნაბიჯების გადადგმისაგან ამ მიმართულებით, — და თქვენ მიხვდებით, რომ სრულიად არასწორია ამ ამხანაგების მტკიცება. კაპიტალისტურად განვითარებულ ქვეყნებში მიწის კერძო საკუთრება ასეულწლობით არსებობს, რის თქმაც არ შეიძლება კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებზე, სადაც მიწის კერძო საკუთრების პრინციპი გლეხობას ჯერ კიდევ არ შეუსისხლხორცებია. ჩვენში, რუსეთში, გლეხები ერთ დროს იმასაც კი ამბობდნენ, მიწა არავისია, მიწა ღვთისააო. სწორედ ამით აიხსნება, რომ ლენინმა ჯერ კიდევ 1906 წელს, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მოლოდინში, წამოაყენა ჩვენში **მთელი** მიწის ნაციონალიზაციის ლოზუნგი იმ პირობით, რომ წვრილი და საშუალო გლეხებისათვის უზრუნველყოფილი იქნებოდა მიწათსარგებლობა, ფიქრობდა რა, რომ გლეხობა ამას მიხვდებოდა და შეურიგდებოდა.

განა დამახასიათებელი არ არის, რომ იგივე ლენინი 1919 წელს კომინტერნის II კონგრესზე კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს აფრთხილებდა — ერთბაშად არ წამოეყენებინათ **მთელი** მიწის ნაციონალიზაციის ლოზუნგი, ვინაიდან მესაკუთრული ინსტინქტით გამსჭვალული ამ ქვეყნების გლეხობა ერთბაშად ვერ მოინელებს ამ ლოზუნგს. განა შეგვიძლია ჩვენ არ გავითვალისწინოთ ეს განსხვავება და მხედველობაში არ მივიღოთ ლენინის მითითებანი? ცხადია, არ შეგვიძლია.

პროგრამის პროექტის **შინაგანი შინაარსის** საკითხი. თურმე, ზოგიერთ ამხანაგს პროგრამის პროექტი თავისი შინაგანი შინაარსის მიხედვით მიაჩნია არა სავსებით ინტერნაციონალურ პროექტად, იმის გამო, რომ, როგორც

ამბობენ, მას «მეტად რუსული» ხასიათი აქვს. ასეთი მოსაზრებანი აქ არ მსმენია. მაგრამ ასეთ მოსაზრებებს, თურმე, გამოთქვამენ ზოგიერთ წრეში კომინტერნის ახლო.

რა შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი ლაპარაკის საბაბი?

იქნებ, ის გარემოება, რომ პროგრამის პროექტში არის სპეციალური თავი სსრ კავშირის შესახებ? მერე რა არის ამაში ცუდი? განა ჩვენი რევოლუცია თავისი **ხასიათით** ნაციონალური და მხოლოდ ნაციონალური რევოლუციაა, და არა უმთავრესად ინტერნაციონალური რევოლუცია? მაშ რატომ ვუწოდებთ მას ასეთ შემთხვევაში მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის **ბაზას**, ყველა ქვეყნის რევოლუციური განვითარების **ბერკეტს**, მსოფლიო პროლეტარიატის **სამშობლოს?**

ჩვენში იყვნენ ადამიანები, მაგალითად, ჩვენი ოპოზიციონერები, რომლებსაც რევოლუცია სსრ კავშირში მხოლოდ და მხოლოდ ან უმთავრესად ნაციონალურ რევოლუციად მიაჩნდათ. მათ ამაზე კისერი მოიტეხეს. უცნაურია, რომ კომინტერნის ახლო არიან თურმე ადამიანები, რომლებიც მზად არიან ოპოზიციონერების კვალს გაჰყვნენ.

იქნებ, თავისი **ტიპით** ჩვენი რევოლუცია ნაციონალური და მხოლოდ ნაციონალური რევოლუციაა? მაგრამ ჩვენი რევოლუცია არის საბჭოთა რევოლუცია, ხოლო პროლეტარული სახელმწიფოს საბჭოთა ფორმა ცოტად თუ ბევრად სავალდებულო ფორმაა პროლეტარიატის დიქტატურისათვის სხვა ქვეყნებში. ლენინი ტყუილად კი არ ამბობდა, რომ სსრ კავშირში რევოლუციით დაიწყო ახალი ერა განვითარების ისტორიაში, საბჭოების ერა. განა აქედან ის არ გამომდინარეობს, რომ არა მარტო თავისი ხასიათის თვალსაზრისით, არამედ რევოლუციის ტიპის თვალსაზრისითაც ჩვენი რევოლუცია უმთავრესად ინტერნაციონალური რევოლუციაა, რომელიც იმის სურათს იძლევა, თუ ძირითა-

დად როგორი უნდა იყოს პროლეტარული რევოლუცია ყოველ ქვეყანაში?

უეჭველია, რომ ჩვენი რევოლუციის ინტერნაციონალური ხასიათი პროლეტარულ დიქტატურას სსრ კავშირში აკისრებს გარკვეულ მოვალეობებს მთელი მსოფლიოს პროლეტარებისა და ჩაგრული მასების მიმართ. ლენინი ამ დებულებას ემყარებოდა, როცა ამბობდა, სსრ კავშირში პროლეტარული დიქტატურის არსებობის აზრი ის არის, რომ ყოველივე შესაძლებელი გააკეთოს სხვა ქვეყნებში პროლეტარული რევოლუციის განვითარებისა და გამარჯვებისთვისო. მაგრამ რა გამომდინარეობს აქედან? აქედან, ყოველ შემთხვევაში, ის გამომდინარეობს, რომ ჩვენი რევოლუცია მსოფლიო რევოლუციის ნაწილია, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ბაზა და იარაღია.

უეჭველია აგრეთვე, რომ არა მარტო რევოლუციას სსრ კავშირში აქვს თავისი მოვალეობანი და ახორციელებს მათ ყველა ქვეყნის პროლეტარების მიმართ, არამედ ყველა ქვეყნის პროლეტარებსაც აქვთ ერთგვარი საკმაოდ სერიოზული მოვალეობანი სსრ კავშირში პროლეტარული დიქტატურის მიმართ. ეს მოვალეობებია სსრ კავშირის პროლეტარიატისათვის მხარდაჭერა მის ბრძოლაში შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ, ომი იმ ომის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია პროლეტარული დიქტატურის ჩახშობისაკენ სსრ კავშირში, ქადაგება იმპერიალიზმის არმიების პირდაპირი გადასვლისა პროლეტარული დიქტატურის მხარეზე სსრ კავშირში იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სსრ კავშირზე თავდასხმა. განა აქედან არ გამომდინარეობს, რომ რევოლუცია სსრ კავშირში განუყოფელია რევოლუციური მოძრაობისაგან სხვა ქვეყნებში, რომ რევოლუციის გამარჯვება სსრ კავშირში რევოლუციის გამარჯვებაა მთელ მსოფლიოში?

განა ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ლაპარაკი რევოლუციაზე სსრ კავშირში, როგორც მხოლოდ ნაციონალურ, იზოლირებულ, მთელ მსოფლიოში რევოლუციურ მოძრაობასთან დაუკავშირებლად აღებულ რევოლუციაზე?

და პირიქით, განა ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება გავიგოთ რაიმე მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობაში, თუ მას სსრ კავშირში პროლეტარულ რევოლუციას არ დავუკავშირებთ?

რა ფასი ექნებოდა კომინტერნის პროგრამას, რომელშიც ლაპარაკი იქნებოდა მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაზე, თუ იგი **გვერდს აუვლიდა** ძირითად საკითხს სსრ კავშირში პროლეტარული რევოლუციის **ხასიათისა და ამოცანების შესახებ,** ყველა ქვეყნის პროლეტარების მიმართ **მის მოვალეობათა შესახებ,** სსრ კავშირში პროლეტარული დიქტატურის მიმართ **ყველა ქვეყნის პროლეტარების მოვალეობათა შესახებ?**

აი რატომ ვფიქრობ, რომ ლაპარაკს კომინტერნის პროგრამის პროექტის «რუსული ხასიათის» შესახებ, უფრო რბილად როგორ ვთქვა..., ცუდი, არასასიამოვნო გემო დაჰკრავს.

გადავიდეთ ცალკე შენიშვნებზე.

მე ვფიქრობ, რომ მართალი არიან ის ამხანაგები, რომლებიც წინადადებას იძლევიან — პროგრამის პროექტის 55-ე გვერდზე შეიცვალოს ფრაზა სოფლის მშრომელი ფენების შესახებ, რომლებიც «პროლეტარიატის დიქტატურას მიჰყვებიან». ეს ფრაზა აშკარა გაუგებრობაა ან, იქნებ, კორექტურული შეცდომაა. იგი უნდა შეიცვალოს.

მაგრამ ეს ამხანაგები სრულიად არ არიან მართალი, როცა წინადადებას იძლევიან, რომ პროგრამის პროექტში შევიტანოთ პროლეტარიატის დიქტატურის ყველა განსაზღვრა, რაც კი ლენინს მოუცია. (ს ი ც ი ლ ი). 52-ე გვერდზე არის პროლეტარიატის დიქტატურის შემდეგი განსაზღვრა, რომელიც ძირითადად ლენინის მიხედვით არის აღებული:

«პროლეტარიატის დიქტატურა არის მისი კლასობრივი ბრძოლის განგრძობა ახალ პირობებში. პროლეტარიატის დიქტატურა არის შეუპოვარი ბრძოლა, სისხლიანი და უსისხლო, ძალდატანებითი და მშვიდობიანი, სამხედრო და სამეურნეო, პედაგოგიური და ადმინისტრაციული, ძველი საზოგადოების ძალებისა და ტრადიციების წინააღმდეგ, გარეშე კაპიტალისტური მტრების წინააღმდეგ, ქვეყნის შიგნით ექსპლოატატორული კლასების ნაშთების წინააღმდეგ, ახალი ბურჟუაზიის ყლორტების წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ დაუძლეველი სასაქონლო წარმოების საფუძველზე ჩნდებიან» [45].

პროგრამის პროექტში არის კიდევ დიქტატურის მთელი რიგი სხვა განსაზღვრები პროლეტარული რევოლუციის სხვადასხვა სტადიაზე დიქტატურის ამა თუ იმ ამოცანების შესაბამისად. მე ვფიქრობ, რომ ეს სავსებით საკმარისია. (ხ მ ა: «გამოტოვებულია ლენინის ერთ-ერთი ფორმულირება»). ლენინს მთელი გვერდები აქვს დაწერილი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ყველაფერი ეს პროგრამის პროექტში რომ შევიტანოთ, ვშიშობ, რომ მისი მოცულობა, ყოველ შემთხვევაში, ერთისამად გადიდდება.

სწორი არ არის აგრეთვე, რომ ზოგიერთი ამხანაგი არ ეთანხმება თეზისს საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციის შესახებ. ლენინი თავის თეზისებში კომინტერნის II კონგრესზე პირდაპირ ამბობს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ძალაუფლების დაპყრობის წინ და პროლეტარიატის დიქტატურის პირველ სტადიაზე კომუნისტურ პარტიებს არ შეუძლიათ მეტის იმედი ჰქონდეთ, ვიდრე საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციაა. ლენინი პირდაპირ ამბობს, რომ მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების შემდეგ შეუძლიათ კომუნისტურ პარტიებს ჰქონდეთ საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის მოწყობის იმედი. ცხადია, პროგრამის პროექტის შედგენისას არ შეგვეძლო ანგარიში არ გაგვეწია ლენინის ამ მითითებისათვის, რომ ალარა ვთქვათ რა იმაზე, რომ ეს მითითება ზუსტად შეესაბამება ჩვენი რევოლუციის გამოცდილებას.

სწორი არ არის აგრეთვე მთელი რიგი ამხანაგების შენიშვნა ნაციონალური საკითხის შესახებ. ამ ამხანაგებს საფუძველი არა აქვთ ამტკიცონ, რომ პროგრამის პროექტი არ ითვალისწინებს რევოლუციური მოძრაობის ნაციონალურ მომენტებს. კოლონიების საკითხი ძირითადად ნაციონალური საკითხია. პროგრამის პროექტში საკმაოდ მკაფიოდ არის ნათქვამი იმპერიალისტური ჩაგვრის შესახებ, კოლონიებში ჩაგვრის შესახებ, ნაციონალური თვითგამორკვევის შესახებ, ერებისა და კოლონიების გამოყოფის უფლების შესახებ და სხვ.

თუ ამ ამხანაგებს მხედველობაში აქვთ ნაციონალური უმცირესობანი შუა ევროპაში, ეს შეიძლება მოვიხსენიოთ პროგრამის პროექტში, მაგრამ მე იმის წინააღმდეგი ვარ, რომ პროგრამის პროექტში შევიტანოთ სპეციალური განმარტება ნაციონალური საკითხისა შუა ევროპაში.

ბოლოს, ვილაპარაკებ მთელი რიგი ამხანაგების შენიშვნებზე პოლონეთის, როგორც ისეთი ქვეყნის, შესახებ, რომელიც პროლეტარული დიქტატურისაკენ განვითარების მეორე ტიპს წარმოადგენს. ეს ამხანაგები ფიქრობენ, რომ ქვეყნების კლასიფიკაცია სამ ტიპად, დიდად განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებად (ამერიკა, გერმანია, ინგლისი), საშუალოდ განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებად (პოლონეთი, რუსეთი თებერვლის რევოლუციამდე და სხვ.) და კოლონიურ ქვეყნებად, — სწორი არ არის. ისინი ამტკიცებენ, რომ პოლონეთი უნდა მიეკუთვნოს ქვეყნების პირველ ტიპს, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ორი ტიპის ქვეყნებზე, კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებზე.

ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. გარდა კაპიტალისტურად განვითარებული ქვეყნებისა, სადაც რევოლუციის გამარჯვებას ერთბაშად მოჰყვება პროლეტარული დიქტატურა, არსებობენ აგრეთვე კაპიტალისტურად ნაკლებ განვითარებული ქვეყნები ფეოდალური გადმონაშთებით, ანტიფეო-

დალური ტიპის სპეციალური აგრარული საკითხით (პოლონეთი, რუმინეთი და სხვ.), სადაც წვრილი ბურჟუაზია, განსაკუთრებით გლეხობა, აუცილებლად იტყვის თავის მტკიცე სიტყვას რევოლუციური აფეთქების შემთხვევაში, და სადაც რევოლუციის გამარჯვებამ, იმისათვის, რომ მას პროლეტარული დიქტატურა მოჰყვეს, შეიძლება მოითხოვოს და აუცილებლად მოითხოვს ზოგიერთ შუალედ საფეხურს, ვთქვათ, პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის სახით.

ჩვენშიც იყვნენ ადამიანები, ტროცკის მსგავსნი, რომლებიც თებერვლის რევოლუციის წინ ამბობდნენ, რომ გლეხობას სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს, რომ მომენტის ლოზუნგია ლოზუნგი «უმეფოდ, ხოლო მთავრობა მუშური». თქვენ იცით, რომ ლენინი გადაჭრით ემიჯნებოდა ასეთ ლოზუნგს, წინააღმდეგი იყო წვრილი ბურჟუაზიის, განსაკუთრებით გლეხობის, როლისა და ხვედრითი წონის შეუფასებლობისა. მაშინ ჩვენში ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ცარიზმის დამხობის შემდეგ პროლეტარიატი ერთბაშად დაიკავებდა გაბატონებულ მდგომარეობას. ნამდვილად კი რა მოხდა? მოხდა ის, რომ თებერვლის რევოლუციისთანავე სცენაზე გამოვიდნენ მილიონიანი წვრილბურჟუაზიული მასები, რომლებმაც უპირატესობა მოაპოვებინეს წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, ესერებსა და მენშევიკებს. ესერები და მენშევიკები, რომლებიც მანამდე უმნიშვნელო პარტიებს წარმოადგენდნენ, «უცებ» გახდნენ გაბატონებულ ძალად ჩვენს ქვეყანაში. რის მეოხებით? იმის მეოხებით, რომ წვრილი ბურჟუაზიის მილიონიანმა მასებმა პირველ ხანებში მხარი დაუჭირეს ესერებსა და მენშევიკებს.

სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ჩვენში პროლეტარული დიქტატურა დამყარდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად ცოტად თუ ბევრად სწრაფი გადაზრდის შედეგად.

არა მგონია საფუძველი გვქონდეს დავეჭვდეთ იმაში, რომ პოლონეთი და რუმინეთი ეკუთვნიან იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებმაც ცოტად თუ ბევრად სწრაფად უნდა გაიარონ ზოგიერთი შუალედი საფეხური პროლეტარიატის დიქტატურისაკენ მიმავალ გზაზე.

აი რატომ ვფიქრობ, რომ ეს ამხანაგები მართალი არ არიან, როცა უარყოფენ რევოლუციური მოძრაობის სამი ტიპის არსებობას პროლეტარიატის დიქტატურისაკენ მიმავალ გზაზე. პოლონეთი და რუმინეთი მეორე ტიპს წარმოადგენენ.

ასეთია, ამხანაგებო, ჩემი შენიშვნები კომინტერნის პროგრამის პროექტის საკითხზე.

რაც შეეხება პროგრამის პროექტის სტილს ან ზოგიერთ ცალკე ფორმულირებას, არ შემიძლია ვამტკიცო, რომ პროგრამის პროექტი ამ მხრივ სრულყოფილია. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მოგვიხდება გაუმჯობესების, სიზუსტის შეტანა, შესაძლოა, სტილის გამარტივება და სხვ.. მაგრამ ეს კომინტერნის VI კონგრესის [49] საპროგრამო კომისიის საქმეა.

ინდუსტრიალიზაციისა და პურის პრობლემის შესახებ

სიტყვა 1928 წ. 9 ივლისს

ამხანაგებო! სანამ ჩვენს პურის ფრონტზე არსებული სიძნელეების კონკრეტულ საკითხზე გადავიდოდე, ნება მომეცით შევეხო ზოგიერთ ზოგად საკითხს, რომლებსაც თეორიული ინტერესი აქვთ და რომლებიც აქ წამოიჭრნენ პლენუმზე კამათის დროს.

უწინარეს ყოვლისა, ზოგადი საკითხი **ჩვენი ინდუსტრიის განვითარების მთავარი წყაროების შესახებ**, ინდუსტრიალიზაციის ახლანდელი ტემპის უზრუნველყოფის გზების შესახებ.

ამ საკითხს შეეხნენ, იქნებ, თავისდა შეუცნობლად, ოსინსკი და მის შემდეგ სოკოლნიკოვი. ეს საკითხი უპირველესი მნიშვნელობის საკითხია.

მე ვფიქრობ, რომ მთავარი წყარო, რომელიც ჩვენს ინდუსტრიას ასაზრდოებს, ჩვენში ორია: ჯერ-ერთი, მუშათა კლასი და, მეორეც, — გლეხობა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაცია ჩვეულებრივ წარმოებდა, უმთავრესად, უცხო ქვეყნების გაძარცვის ხარჯზე, კოლონიების ანდა დამარცხებული ქვეყნების

გაძარცვის ხარჯზე, ანდა გარედან მიღებულ სერიოზულ ცოტად თუ ბევრად კაბალურ სესხთა ხარჯზე.

თქვენ იცით, რომ ინგლისი ასეული წლების მანძილზე აგროვებდა კაპიტალებს ყველა კოლონიიდან, მსოფლიოს ყველა ნაწილიდან და, ამრიგად, დამატებითს სახსრებს აბანდებდა თავის მრეწველობაში. სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება, რომ ინგლისი ერთ დროს «მსოფლიოს ფაბრიკად» გადაიქცა.

თქვენ იცით აგრეთვე, რომ გერმანიამ თავისი ინდუსტრია განავითარა, სხვათა შორის, იმ ხუთმილიარდიანი კონტრიბუციის ხარჯზე, რაც საფრანგეთს გამოართვა საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ.

ჩვენი ქვეყანა, სხვათა შორის, სწორედ იმით განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნებისაგან, რომ მას არ შეუძლია დაადგეს, არ უნდა დაადგეს კოლონიების ძარცვისა და საერთოდ უცხო ქვეყნების გაძარცვის გზას. მაშასადამე, ეს გზა ჩვენთვის დახურულია.

მაგრამ ჩვენს ქვეყანას აგრეთვე არა აქვს და არც სურს ჰქონდეს კაბალური საგარეო სესხები. მაშასადამე, ჩვენთვის დახურულია ეს გზაც.

რაღა გვრჩება ასეთ შემთხვევაში? გვრჩება ერთი რამ: განვავითაროთ მრეწველობა, მოვახდინოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია **შინაგანი** დაგროვების ხარჯზე.

ბურჟუაზიული წესწყობილების დროს ჩვენს ქვეყანაში მრეწველობა, ტრანსპორტი და სხვ. ჩვეულებრივ ვითარდებოდა სესხთა ხარჯზე. აიღებთ ახალი ქარხნების აშენებას თუ ძველების აღჭურვას ახალი მოწყობილობით, აიღებთ ახალი რკინიგზების გაყვანას თუ დიდი ელექტროსადგურების აშენებას, — არც ერთი ასეთი წამოწყება არ მოხერხდებოდა საგარეო სესხთა მიუღებლად. მაგრამ ეს სესხები კაბალური სესხები იყო.

სულ სხვა ვითარებაა ჩვენში საბჭოთა წესწყობილების დროს. ჩვენ გაგვყავს თურქესტანის 1400 ვერსის სიგრძის რკინიგზა, რომელიც ასეულმილიონობით მანეთს მოითხოვს. ჩვენ ვაშენებთ დნეპრმშენს, რომელიც აგრეთვე ასეულ მილიონებს მოითხოვს. გვაქვს თუ არა აქ რაიმე კაბალური სესხი? არა, არა გვაქვს. ყველაფერი ეს ჩვენში შინაგანი დაგროვების ხარჯზე კეთდება.

მაგრამ სად არის ამ დაგროვების მთავარი წყაროები? ისინი, ეს წყაროები, როგორც უკვე ვთქვი, ორია: ჯერ-ერთი, მუშათა კლასი, რომელიც ქმნის ფასეულობებს და წინ ეწევა მრეწველობას; მეორეც — გლეხობა.

გლეხობის მდგომარეობა ჩვენში ამ შემთხვევაში ასეთია: იგი სახელმწიფოს უხდის არა მარტო ჩვეულებრივ გადასახადებს, პირდაპირსა და არაპირდაპირ გადასახადებს, არამედ ამასთანავე იგი, ჯერ-ერთი, **ზედმეტს იხდის** სამრეწველო საქონლის შედარებით მაღალი ფასების გამო და, მეორეც, ცოტად თუ ბევრად **ზარალობს** სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასებზე.

ეს არის გლეხობის დამატებითი გადასახადი ინდუსტრიის განვითარების სასარგებლოდ, ინდუსტრიისა, რომელიც ემსახურება მთელ ჩვენს ქვეყანას, გლეხობის ჩათვლით. ეს არის «ხარკის» მაგვარი, ზეგადასახადის მაგვარი რამ, რაც იძულებული ვართ დროებით ვახდევინოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ და შემდგომ განვავითაროთ ინდუსტრიის განვითარების ახლანდელი ტემპი, უზრუნველვყოთ ინდუსტრია მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, შემდგომ გავაუმჯობესოთ სოფლის კეთილდღეობა და მერე სულაც მოვსპოთ ეს დამატებითი გადასახადი, ეს «მაკრატელი» ქალაქსა და სოფელს შორის.

ეს საქმე, თქმა არ უნდა, არასასიამოვნოა. მაგრამ ჩვენ ბოლშევიკები არ ვიქნებოდით, ამ ფაქტს რომ ვჩქმალავდეთ და თვალს ვარიდებდეთ იმას, რომ გლეხობის ამ და-

მატებითი გადასახადის გარეშე ჩვენი მრეწველობა და ჩვენი ქვეყანა, სამწუხაროდ, **ჯერჯერობით** იოლად ვერ წავლენ.

რატომ ვლაპარაკობ ამაზე? იმიტომ, რომ ზოგიერთ ამხანაგს, როგორც ჩანს, არ ესმის ეს უდავო რამ. მათ თავიანთი სიტყვები იმაზე ააგეს, რომ გლეხობა ზედმეტს იხდის საქონელში, რაც აბსოლუტურად სწორია, და რომ გლეხობას სრულ ფასს არ უხდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში, რაც აგრეთვე სწორია. რას მოითხოვენ ისინი? ისინი მოითხოვენ იმას, რომ პურზე შემოღებულ იქნას აღდგენითი ფასები, რომ ეს «მაკრატელი», ეს სრული ფასის გადაუხდელობა და ზედმეტის გადახდევინება მოისპოს **ახლავე**. მაგრამ რას ნიშნავს «მაკრატლის» მოსპობა, ვთქვათ, მიმდინარე წელს ან მომავალ წელს? ეს ნიშნავს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ამავე დროს აგრეთვე სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის შეფერხებას, ჩვენი ჯერ კიდევ მოუმაგრებელი ახალგაზრდა მრეწველობისათვის ძირის გამოთხრას და, ამრიგად, მთელი სახალხო მეურნეობისათვის ლახვრის ჩაცემას. შეგვიძლია თუ არა გავაკეთოთ ეს? ცხადია, არ შეგვიძლია. საჭიროა თუ არა მოვსპოთ «მაკრატელი» ქალაქსა და სოფელს შორის, ყოველი ეს სრული ფასის გადაუხდელობა და ზედმეტის გადახდევინება? დიახ, უთუოდ საჭიროა მოვსპოთ. შეგვიძლია თუ არა მოვსპოთ ისინი ახლავე ისე, რომ არ დავასუსტოთ ჩვენი მრეწველობა და, მაშასადამე, ჩვენი სახალხო მეურნეობაც? არა, არ შეგვიძლია.

რაში უნდა მდგომარეობდეს, ასეთ შემთხვევაში, ჩვენი პოლიტიკა? იგი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ თანდათანობით შევასუსტოთ ეს «მაკრატელი», წლითი-წლობით ვაახლოებდეთ მის პირებს, შევამციროთ სამრეწველო საქონლის ფასები და განვავითაროთ მიწათმოქმედების ტექნიკა, რამაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს პურის წარმოების

გაიაფება, რათა მერე, მთელი რიგი წლების შემდეგ, სულაც მოვსპოთ გლეხობის ეს დამატებითი გადასახადი.

შეუძლია თუ არა გლეხობას ამ სიმძიმის ატანა? უთუოდ შეუძლია: ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ეს სიმძიმე წლითი-წლობით შესუსტდება, მეორეც, იმიტომ, რომ ამ დამატებითი გადასახადის გადახდევინება წარმოებს არა კაპიტალისტური განვითარების პირობებში, სადაც გლეხობის მასები გაღატაკებისა და ექსპლოატაციისათვის არიან განწირული, არამედ საბჭოთა წესწყობილების პირობებში, სადაც გლეხობის ექსპლოატაცია გამორიცხულია სოციალისტური სახელმწიფოს მხრივ და სადაც ამ დამატებითი გადასახადის გადახდა წარმოებს გლეხობის მატერიალური მდგომარეობის განუწყვეტელი გაუმჯობესების პირობებში.

ასეთია საქმის ვითარება ახლანდელ მომენტში ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარების ძირითადი წყაროების საკითხის მხრივ.

მეორე საკითხი ეხება **საშუალო გლეხთან კავშირის** პრობლემას, ამ კავშირის მიზნებისა და საშუალებების პრობლემას.

ზოგ ამხანაგს ისე გამოუდის, რომ ქალაქსა და სოფელს შორის, მუშათა კლასსა და გლეხობის ძირითად მასებს შორის კავშირი მიმდინარეობს **მხოლოდ და მხოლოდ** საფეიქრო ნაწარმის ხაზით, გლეხობის **პირადი** მოხმარების დაკმაყოფილების ხაზით. სწორია ეს თუ არა? ეს სრულიად არ არის სწორი, ამხანაგებო. რა თქმა უნდა, საფეიქრო ნაწარმის ხაზით გლეხობის პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ამით დავიწყეთ კიდევაც გლეხობასთან კავშირის შენება ახალ პირობებში. მაგრამ ამის საფუძველზე იმის თქმა, საფეიქრო ნაწარმის ხაზით კავშირი მთელ საქმეს ამოწურავს, გლეხობის პირად მოთხოვნილებათა ხაზით კავშირი მუშათა კლასისა და გლეხობის სამეურნეო კავშირის ამომწურავი ან მთავარი საფუძ-

ველიაო, — უაღრესად სერიოზული შეცდომის დაშვებას ნიშნავს. ნამდვილად ქალაქსა და სოფელს შორის კავშირი მიმდინარეობს არა მარტო გლეხობის **პირად** მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხაზით, არა მარტო საფეიქრო ნაწარმის ხაზით, არამედ გლეხობის, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების **მწარმოებლის, სამეურნეო** მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხაზითაც.

გლეხობას ჩვენ მარტო ჩითს როდი ვაძლევთ. ჩვენ მას ვაძლევთ კიდევ ყოველგვარ მანქანებს, თესლს, გუთნებს, სასუქს და სხვ., რასაც ფრიად სერიოზული მნიშვნელობა აქვს გლეხური მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტური გარდაქმნის საქმეში.

მუშათა და გლეხთა კავშირს, ამრიგად, საფუძვლად აქვს არა მარტო საფეიქრო ნაწარმი, არამედ ლითონიც. უამისოდ გლეხობასთან კავშირი მტკიცე ვერ იქნებოდა.

რით განსხვავდება საფეიქრო ნაწარმის ხაზით კავშირი ლითონის ხაზით კავშირისაგან? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ საფეიქრო ნაწარმის ხაზით კავშირი ეხება, უმთავრესად, გლეხობის პირად მოთხოვნილებებს და არ ეხება ან შედარებით ნაკლებად ეხება გლეხური მეურნეობის საწარმოო მხარეს, მაშინ როცა ლითონის ხაზით კავშირი ეხება, უმთავრესად, გლეხური მეურნეობის საწარმოო მხარეს, აუმჯობესებს ამ მეურნეობას, ახდენს მის მექანიზაციას, ამაღლებს მის რენტაბელობას და ამზადებს ნიადაგს დაქსაქსული და წვრილი გლეხური მეურნეობების მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობებად გაერთიანებისათვის.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მუშათა და გლეხთა კავშირის მიზანია კლასების შენარჩუნება, კერძოდ, გლეხთა კლასის შენარჩუნება. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ამ კავშირის მიზანი სულაც არ არის ეს. ამ კავშირის მიზანი ის არის, რომ დაუახლოოს გლეხობა მუშათა კლასს, როგორც მთელი ჩვენი განვითარების ხელმძღვანელს, გან-

ტკიცოს გლეხობის კავშირი მუშათა კლასთან, როგორც ამ კავშირის ხელმძღვანელ ძალასთან, თანდათანობით **გარდაქმნას** გლეხობა, მისი ფსიქოლოგია, მისი წარმოება **კოლექტივიზმის სულისკვეთებით** და, ამრიგად, მოამზადოს პირობები კლასების მოსპობისათვის.

მუშათა და გლეხთა კავშირის მიზანია არა კლასების შენარჩუნება, არამედ მათი მოსპობა. თუ საფეიქრო ნაწარმის ხაზით კავშირი ნაკლებად ეხება გლეხური მეურნეობის საწარმოო მხარეს და ამიტომ მას, საერთოდ რომ ითქვას, არ შეიძლება შედეგად ჰქონდეს გლეხობის გარდაქმნა კოლექტივიზმის სულისკვეთებით და კლასების მოსპობა, ლითონის ხაზით კავშირი, პირიქით, ეხება, უწინარეს ყოვლისა, გლეხური მეურნეობის საწარმოო მხარეს, მის მექანიზაციას, მის კოლექტივიზაციას, და სწორედ ამიტომ მას შედეგად უნდა ჰქონდეს გლეხობის თანდათანობითი გარდაქმნა, კლასების თანდათანობითი ლიკვიდაცია, მათ შორის გლეხთა კლასისაც.

საერთოდ როგორ შეიძლება გლეხის, მისი ფსიქოლოგიის, მისი წარმოების გადამუშავება, გარდაქმნა მუშათა კლასის ფსიქოლოგიასთან დაახლოების სულისკვეთებით, წარმოების სოციალისტური პრინციპის სულისკვეთებით? რა არის ამისათვის საჭირო?

ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, უფართოესი აგიტაცია გლეხობის მასებში კოლექტივიზმის სულისკვეთებით.

მეორეც, ამისათვის საჭიროა კოოპერაციული საზოგადოებრიობის დანერგვა და მილიონობით გლეხური მეურნეობების სულ უფრო ფართოდ ჩაბმა ჩვენს მომმარაგებელ-გამსაღებელ კოოპერაციულ ორგანიზაციებში. უეჭველია, რომ ჩვენი კოოპერაციის ფართოდ განუვითარებლად არ გვექნებოდა ის გარდატეხა გლეხობაში საკოლმეურნეო მოძრაობის სასარგებლოდ, რასაც ამჟამად ვხედავთ, ვინაიდან ჩვენს

პირობებში მომმარაგებელ-გამსაღებელი კოოპერაციის განვითარება კოლექტივიზმზე გლეხობის გადასვლის მომზადებაა.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის საკმარისი გლეხობის გარდასაქმნელად. სოციალიზმის სულისკვეთებით გლეხობის გარდაქმნის საქმეში ძირითადი ძალაა ახალი ტექნიკა მიწათმოქმედებაში, მიწათმოქმედების მექანიზაცია, გლეხის კოლექტიური შრომა, ქვეყნის ელექტროფიკაცია.

აქ იმოწმებენ ლენინს, მოჰყავთ ცნობილი ადგილი ლენინის თხზულებებიდან გლეხურ მეურნეობასთან კავშირის შესახებ. მაგრამ ლენინს რომ მიმართო ერთ ნაწილში და არ გსურდეს მისი მოძღვრების მთლიანად აღება — ეს ნიშნავს ლენინის დამახინჯებას. ლენინს სავსებით ესმოდა, რომ გლეხობასთან კავშირი მანუფაქტურული საქონლის ხაზით მეტად მნიშვნელოვანი რამ არის. მაგრამ იგი ამაზე როდი ჩერდებოდა, ვინაიდან ამასთან ერთად იგი მოითხოვდა, რომ გლეხობასთან კავშირი გაგვეტარებინა აგრეთვე ლითონის ხაზით, მანქანებით გლეხობის მომარაგების ხაზით, ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ხაზით, ე. ი. ყველა იმ ხაზით, რომლებიც ხელს უწყობენ გლეხური **მეურნეობის** კოლექტივიზმის სულისკვეთებით გარდაქმნასა და გადამუშავებას.

აი, მაგალითად, მოისმინეთ შემდეგი ციტატა ლენინის ნაწარმოებიდან:

«წვრილი მიწათმოქმედის გარდაქმნის, მთელი მისი ფსიქოლოგიისა და ჩვევების გარდაქმნის საქმე ისეთი საქმეა, რომელსაც თაობები ესაჭიროება. ამ საკითხის გადაჭრა წვრილი მიწათმოქმედის მიმართ, მთელი მისი ფსიქოლოგიის, ასე ვთქვათ, გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბაზას, ტექნიკას, მიწათმოქმედებაში ტრაქტორებისა და მანქანების გამოყენებას მასობრივი მასშტაბით, ელექტროფიკაციას მასობრივი მასშტაბით. აი რა გარდაქმნიდა წვრილ მიწათმოქმედს ძირფესვიანად და უდიდესი სისწრაფით» (ტ. XXVI, გვ. 239).

ცხადია: მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი მტკიცე და ხანგრძლივი ვერ იქნება, ეს კავშირი მტკიცე და ხანგრძლივი ვერ იქნება და იგი ვერ მიაღწევს თავის მიზანს — გლეხის თანდათანობით გარდაქმნას, მის მიახლოებას მუშათა კლასთან და მის გადაყვანას კოლექტივიზმის რელსებზე, თუ საფეიქრო ნაწარმის ხაზით კავშირს არ დაემატება ლითონის ხაზით კავშირი.

აი როგორ ესმოდა ამხანაგ ლენინს მუშებისა და გლეხების კავშირი.

მესამე საკითხი ეხება საკითხს **ახალი ეკონომიური პოლიტიკის (ნეპის) შესახებ და ნეპის პირობებში კლასობრივი ბრძოლის შესახებ.**

საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნოთ, რომ ნეპის საფუძვლები ჩვენმა პარტიამ მოგვცა არა სამხედრო კომუნიზმის შემდეგ, როგორც ზოგჯერ ამტკიცებს ზოგიერთი ამხანაგი, არამედ მანამდე, ჯერ კიდევ 1918 წლის დამდეგს, როცა ჩვენ პირველად მოგვეცა შესაძლებლობა დაგვეწყო ახალი, სოციალისტური ეკონომიკის შენება. მე შემეძლო დამემოწმებინა ილიჩის ცნობილი ბროშურა «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების» შესახებ, რომელიც 1918 წლის დამდეგს გამოიცა, სადაც ჩამოყალიბებულია ნეპის საფუძვლები. როცა ინტერვენციის დამთავრების შემდეგ პარტიამ ნეპი შემოიღო, იგი მას განიხილავდა, როგორც ახალ ეკონომიურ პოლიტიკას იმიტომ, რომ იგი, ეს პოლიტიკა, შეწყვეტილ იქნა ინტერვენციით და ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გაგვეტარებინა იგი მხოლოდ ინტერვენციის შემდეგ, სამხედრო კომუნიზმის შემდეგ, რომელთან შედარებითაც ნეპი, მართლაც, ახალი ეკონომიური პოლიტიკა იყო. ამის დასადასტურებლად საჭიროდ მიმაჩნია დავიმოწმო საბჭოების IX ყრილობაზე მიღებული ცნობილი რეზოლუცია, სადაც შავით თეთრზე ნათქვამია, რომ ახალი ეკო-

ნომიური პოლიტიკის საფუძვლები ჩამოყალიბებული იყო ჯერ კიდევ სამხედრო კომუნიზმამდე. ამ რეზოლუციაში «ახალი ეკონომიური პოლიტიკის წინასწარი შედეგების შესახებ» ნათქვამია შემდეგი:

«ეგრეთწოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომლის ძირითადი პრინციპები ზუსტად განსაზღვრული იყო **ჯერ კიდევ პირველი შესვენების დროს, 1918 წ. გაზაფხულზე** *, ემყარება საბჭოთა რუსეთის ეკონომიური ძალების ზუსტ გათვალისწინებას. ამ პოლიტიკის განხორციელება, რაც შეწყვიტა მუშურ-გლეხურ სახელმწიფოზე რუსეთის მემამულეებისა და ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ძალებისა და ევროპის იმპერიალიზმის კომბინირებულმა თავდასხმამ, შესაძლებელი გახდა მხოლოდ კონტრრევოლუციის ცდების სამხედრო ლიკვიდაციის შემდეგ, 1921 წ. დამდეგისათვის» (იხ. «საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის დადგენილებანი», გვ. 16 [47]).

ამრიგად, თქვენ ხედავთ, რომ სრულიად არ არის მართალი ზოგიერთი ამხანაგი, რომელიც ამტკიცებს, რომ პარტია ბაზრისა და ფულადი მეურნეობის პირობებში, ესე იგი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებშიც სოციალიზმის მშენებლობის საჭიროებას თითქოს მხოლოდ სამხედრო კომუნიზმის შემდეგ მიხვდა.

აქედან კი რა გამომდინარეობს?

აქედან, უწინარეს ყოვლისა, ის გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება განვიხილავდეთ ნეპს, როგორც მხოლოდ უკანდახევას.

აქედან, შემდეგ, ის გამომდინარეობს, რომ ნეპი გულისხმობს სოციალიზმის ძლევამოსილ და სისტემატურ შეტევას ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე.

ოპოზიცია ტროცკის სახით ფიქრობს, რომ რახან შემოღებულია ნეპი, ჩვენ ერთი რამ-და დაგვრჩენია — თანდათანობით დავიხიოთ უკან, როგორც ნეპის დასაწყისში ვიხევდით, «გავაფართოოთ» ნეპი და დავთმოთ პოზიციები.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ნეპის სწორედ ამ უმართებულო გაგებაზეა დამყარებული ტროცკის მტკიცება იმის შესახებ, რომ პარტიამ თითქოს «გააფართოვა» ნეპი და უკან დაიხია ლენინის პოზიციიდან, როცა სოფლად დაუშვა მიწის იჯარა და დაქირავებული შრომა. ხომ არ ინებებთ მოისმინოთ ტროცკის სიტყვები:

«ხოლო რა არის საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელი ღონისძიებანი სოფლად — მიწის იჯარით აღების, სამუშაო ძალის დაქირავების ნების დართვა, — ყოველივე ის, რასაც ჩვენ სასოფლო ნეპის **გაფართოებას** ვუწოდებთ... მაგრამ განა შეიძლებოდა **არ გაგვეფართოებინა** ნეპი სოფლად? არა, იმიტომ რომ მაშინ დაჩიავდებოდა გლეხური მეურნეობა, დავიწროვდებოდა ბაზარი, შეფერხდებოდა მრეწველობა» (ტროცკი. «8 წელიწადი», გვ. 16 — 17).

აი რის თქმამდე შეიძლება მივიდეს კაცი, თუ თავში ჩაიჭედავს არასწორ აზრს, რომ ნეპი უკანდახევა და მხოლოდ უკანდახევაა.

განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ სოფლად დაქირავებული შრომისა და მიწის იჯარის დაშვებით პარტიამ «გააფართოვა» ნეპი, «განუდგა» ლენინს და სხვ.? რა თქმა უნდა, არ შეიძლება! იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთ სისულელეს ამტკიცებენ, საერთო არა აქვთ რა ლენინთან და ლენინიზმთან.

მე შემეძლო აქ დამემოწმებინა ლენინის 1922 წლის 1 აპრილის ცნობილი წერილი ოსინსკის სახელზე, სადაც იგი პირდაპირ ლაპარაკობს სოფლად დაქირავებული შრომისა და მიწის იჯარის გამოყენების საჭიროებაზე. ეს იყო მაშინ, როცა მთავრდებოდა პარტიის XI ყრილობა, სადაც დელეგატებს შორის ფართოდ იქნა განხილული საკითხი სოფლად მუშაობის შესახებ, ნეპის და მისი შედეგების შესახებ.

აი ციტატა ამ წერილიდან, რომელიც პარტიული ყრილობის დელეგატებისათვის რეზოლუციის პროექტს წარმოადგენს:

«სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენებისა და მიწის იჯარის პირობების საკითხზე პარტიული ყრილობა ამ დარგის ყველა მუშაკს ურჩევს — ზედმეტი ფორმალობებით არ შეზღუდონ არც ერთი, არც მეორე მოვლენა და დასჯერდნენ საბჭოების უკანასკნელი ყრილობის გადაწყვეტილების განხორციელებას, აგრეთვე იმის შესწავლას, სახელდობრ რა პრაქტიკული ღონისძიებებით იქნებოდა მიზანშეწონილი შეგვეზღუდა უკიდურესობანი და მავნე გადაჭარბება აღნიშნული მიმართულებებით» (იხ. ლენინის კრებული IV, გვ. 396 [48]).

თქვენ ხედავთ, რაოდენ სულელური და უშინაარსოა ლაპარაკი ნეპის «გაფართოებაზე», ლენინისაგან «დაშორებაზე» სოფლად მიწის იჯარისა და დაქირავებული შრომის შემოღების დროს და სხვ.

რატომ ვლაპარაკობ ამაზე?

იმიტომ, რომ ადამიანები, რომლებიც ნეპის «გაფართოებაზე» ლაყბობენ, ამ ლაყბობაში ეძებენ თავიანთ გამართლებას სოფლად კაპიტალისტური ელემენტების წინაშე უკანდახევისათვის.

იმიტომ, რომ ჩვენში პარტიის შიგნით და პარტიის ახლო გაჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ნეპის «გაფართოებაში» ხედავენ მუშათა და გლეხთა კავშირის «ხსნას», რომლებიც, საგანგებო ღონისძიებათა მოხსნის გამო, მოითხოვენ კულაკობის შეზღუდვაზე ხელის აღებას, მოითხოვენ კაპიტალისტური ელემენტებისათვის ხელ-ფეხის გახსნას სოფლად... მუშათა და გლეხთა კავშირის სასარგებლოდ.

იმიტომ, რომ საჭიროა მთელი ძალებით, ყველა საშუალებით დავაზღვიოთ პარტია ასეთ ანტიპროლეტარულ განწყობილებათა წინააღმდეგ.

შორს რომ არ წავიდეთ, დავიმოწმებ ერთი ამხანაგის, «ბედნოტის» [49] თანამშრომლის, ოსიპ ჩერნოვის ბარათს, სადაც იგი მოითხოვს კულაკობისათვის მთელ რიგ შეღავათებს, რომლებიც სხვას არას ნიშნავენ, თუ არა ნეპის ნამდვილ და შეულამაზებელ «გაფართოებას». მე არ ვიცი, კომუნისტია ის თუ უპარტიო. და აი ეს ამხანაგი, ოსიპ ჩერნოვი,

რომელიც ემხრობა საბჭოთა ხელისუფლებას და მუშათა და გლეხთა კავშირს, იმდენად დაიბნა გლეხობის საკითხში, რომ ძნელია მისი გარჩევა სოფლის ბურჟუაზიის იდეოლოგისაგან. რაში ხედავს იგი პურის ფრონტზე ჩვენი სიძნელეების მიზეზებს? «პირველი მიზეზი, — ამბობს იგი, — უთუოდ არის პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადის სისტემა... მეორე მიზეზი — ეს არის საარჩევნო ინსტრუქციის უფლებრივი ცვლილებანი, გაურკვევლობა ინსტრუქციაში, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს კულაკად».

რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სიძნელენი? «პირველ რიგში, — ამბობს იგი, — საჭიროა **გავაუქმოთ საშემოსავლო-პროგრესიული გადასახადის სისტემა,** ისე, როგორც იგი ახლა არის, და შევცვალოთ მიწის მიხედვით დაბეგვრის სისტემით, ცოტათი დავბეგროთ მუშა-პირუტყვი და მსხვილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები... მეორე, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, ღონისძიებაა — **გადავსინჯოთ არჩევნების ინსტრუქცია,** უფრო მკვეთრი გავხადოთ ნიშნები, თუ საიდან იწყება ექსპლოატატორული, კულაკური მეურნეობა».

აი ეს გახლავთ ნეპის «გაფართოება». როგორც ხედავთ, ტროცკის მიერ გადასროლილი თესლი ფუჭად არ დაკარგულა. ნეპის უმართებულო გაგება წარმოშობს ლაყბობას ნეპის «გაფართოებაზე», ხოლო ლაყბობა ნეპის «გაფართოებაზე» ქმნის ყოველგვარ ბარათებს, სტატიებს, წერილებსა და წინადადებებს იმის შესახებ, რომ თავის ნებაზე მივუშვათ კულაკი, გავათავისუფლოთ იგი შეზღუდვათაგან და მივცეთ მას თავისუფლად გამდიდრების შესაძლებლობა.

ამავე ხაზით, ნეპის საკითხისა და ნეპის პირობებში კლასობრივი ბრძოლის საკითხის ხაზით, მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი ფაქტი. მხედველობაში მაქვს ერთ-ერთი ამხანაგის განცხადება იმის შესახებ, რომ ნეპის პირობებში კლასობრივ ბრძოლას პურის დამზადებასთან დაკავშირებით თით-

ქოს მხოლოდ მესამეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, რომ მას, ამ კლასობრივ ბრძოლას, არა აქვს და არც შეიძლება თითქოს ჰქონდეს რამდენადმე სერიოზული მნიშვნელობა პურის დამზადების ხაზით ჩვენი სიძნელეების საქმეში.

უნდა ვთქვა, ამხანაგებო, რომ არასგზით არ შემიძლია დავეთანხმო ამ განცხადებას. მე ვფიქრობ, რომ ჩვენში არ არის და პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში არც შეიძლება იყოს არც ერთი რამდენადმე სერიოზული პოლიტიკური ან ეკონომიური ფაქტი, რომელიც არ ასახავდეს კლასობრივი ბრძოლის არსებობას ქალაქად თუ სოფლად. განა ნეპი აუქმებს პროლეტარიატის დიქტატურას? რა თქმა უნდა, არა! პირიქით, ნეპი პროლეტარიატის დიქტატურის თავისებური გამოხატულება და იარაღია. მერე პროლეტარიატის დიქტატურა განა კლასობრივი ბრძოლის განგრძობა არ არის? (ხმები: «სწორია!»). ამის შემდეგ როგორ შეიძლება ლაპარაკი, რომ კლასობრივი ბრძოლა მესამეხარისხოვან როლს ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამეურნეო ფაქტებში, როგორიცაა კულაკობის გამოსვლა საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ პურის დამზადების დროს, საბჭოთა ხელისუფლების კონტრრონისძიებანი და შეტევითი მოქმედება კულაკებისა და სპეკულანტების წინააღმდეგ პურის დამზადებასთან დაკავშირებით?

განა ფაქტი არ არის, რომ პურის დამზადებაში კრიზისის დროს ჩვენ გვქონდა ნეპის პირობებში პირველი სერიოზული გამოსვლა სოფლის კაპიტალისტური ელემენტებისა საბჭოთა პოლიტიკის წინააღმდეგ?

განა სოფლად აღარ არიან კლასები და აღარ არის კლასობრივი ბრძოლა?

განა სწორი არ არის, რომ ლენინის ლოზუნგი ღარიბ გლეხობაზე **დაყრდნობის**, საშუალო გლეხთან **კავშირისა** და კულაკების წინააღმდეგ **ბრძოლის** შესახებ ახლანდელ პირობებში სოფლად ჩვენი მუშაობის ძირითადი ლოზუნგია?

ხოლო რა არის ეს ლოზუნგი, თუ არა გამოხატულება კლასობრივი ბრძოლისა სოფლად?

რა თქმა უნდა, ჩვენი პოლიტიკა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს კლასობრივი ბრძოლის გაღვივების პოლიტიკად. რატომ? იმიტომ, რომ კლასობრივი ბრძოლის გაღვივება სამოქალაქო ომს იწვევს. იმიტომ, რომ, რამდენადაც ჩვენ ხელისუფლების სათავეში ვდგავართ, რამდენადაც ჩვენ ეს ხელისუფლება განვამტკიცეთ და მბრძანებელი მწვერვალები მუშათა კლასის ხელშია თავმოყრილი, ჩვენ დაინტერესებული არა ვართ იმით, რომ კლასობრივი ბრძოლა სამოქალაქო ომის ფორმებს იღებდეს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ამით გაუქმებულია კლასობრივი ბრძოლა ან რომ იგი, ეს კლასობრივი ბრძოლა, არ გამწვავდება. ეს მით უმეტეს არ ნიშნავს იმას, რომ კლასობრივი ბრძოლა თითქოს არ იყოს ჩვენი წინსვლის გადამწყვეტი ძალა. არა, არ ნიშნავს.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ვავითარებთ მეურნეობის სოციალისტურ ფორმებს ვაჭრობის დარგში. ეს კი რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ამით ვაჭრობიდან ვდევნით ათასობით წვრილ და საშუალო ვაჭრებს. განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბრუნვის სფეროდან განდევნილი ეს ვაჭრები ჩუმად ისხდებიან და არ შეეცდებიან წინააღმდეგობა მოაწყონ? ცხადია, არ შეიძლება.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ვავითარებთ მეურნეობის სოციალისტურ ფორმებს მრეწველობის დარგში. ეს კი რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ სოციალიზმისაკენ ჩვენი წინსვლით ვდევნით და ვაღატაკებთ, იქნებ, ჩვენდა შეუმჩნევლადაც, ათასობით წვრილ და საშუალო კაპიტალისტ-მრეწველებს. განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს გაღატაკებული ადამიანები ჩუმად ისხდებიან და არ შეეცდებიან წინააღმდეგობა მოაწყონ? რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ საჭიროა შევზღუდოთ სოფლად კულაკობის ექსპლოატატორული ზრახვები, რომ საჭიროა დავადოთ კულაკობას დიდი გადასახადები, რომ საჭიროა შევზღუდოთ იჯარის უფლება, არ დავუშვათ საბჭოებში კულაკების არჩევის უფლება და სხვ., და ა. შ.. ეს კი რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თანდათანობით ვთრგუნავთ და ვავიწროებთ სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებს, ზოგჯერ ისინი გაღატაკებამდე მიგვყავს. განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ კულაკები ამისათვის მადლობელი დაგვრჩებიან, და რომ ისინი არ შეეცდებიან ღარიბი გლეხობის ან საშუალო გლეხების ნაწილი დარაზმონ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ? რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

განა ცხადი არ არის, რომ მთელი ჩვენი წინსვლა, ჩვენი ყოველი რამდენადმე სერიოზული წარმატება სოციალისტური მშენებლობის დარგში ჩვენს ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლის გამოხატულება და შედეგია?

მაგრამ ყოველივე ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენს წინსვლასთან ერთად კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობა გაიზრდება, კლასობრივი ბრძოლა გამწვავდება, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება, რომლის ძალებიც სულ უფრო და უფრო გაიზრდება, განახორციელებს ამ ელემენტების იზოლაციის პოლიტიკას, მუშათა კლასის მტრებში რღვევის შეტანის პოლიტიკას, ბოლოს, ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის პოლიტიკას, შექმნის ბაზას მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების შემდგომი წინსვლისათვის.

არ შეიძლება საქმე წარმოვიდგინოთ ისე, რომ სოციალისტური ფორმები განვითარდებიან და განდევნიან მუშათა კლასის მტრებს, ხოლო მტრები მდუმარედ დაიხევენ უკან და გზას დაუთმობენ ჩვენს წინსვლას, რომ შემდეგ ჩვენ კვლავ წინ ვივლით, ხოლო ისინი კვლავ უკან დაიხევენ,

შემდეგ კი «მოულოდნელად» უკლებლივ ყველა სოციალური ჯგუფები, როგორც კულაკები, ისე ღარიბი გლეხობა, როგორც მუშები, ისე კაპიტალისტები, «ერთბაშად», «შეუმჩნევლად», უბრძოლველად და უშფოთველად, აღმოჩნდებიან სოციალისტური საზოგადოების წიაღში. ასეთი ზღაპრები არ არის ხოლმე და საერთოდ არც შეიძლება იყოს, პროლეტარიატის დიქტატურის ვითარებაში კი — განსაკუთრებით.

არ ყოფილა და არც იქნება, რომ მომაკვდავი კლასები ნებაყოფლობით თმობდნენ თავიანთ პოზიციებს, არ ცდილობდნენ წინააღმდეგობის მოწყობას. არ ყოფილა და არც იქნება, რომ მუშათა კლასის წინსვლა სოციალიზმისაკენ კლასობრივი საზოგადოების დროს უბრძოლველად და უშფოთველად ხდებოდეს. პირიქით, სოციალიზმისაკენ წინსვლამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს ექსპლოატატორული ელემენტების წინააღმდეგობა ამ წინსვლისადმი, ხოლო ექსპლოატატორების წინააღმდეგობამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს კლასობრივი ბრძოლის გარდუვალი გამწვავება.

აი რატომ არ შეიძლება მუშათა კლასის სიფხიზლის მოდუნება ლაპარაკით კლასობრივი ბრძოლის მეორეხარისხოვანი როლის შესახებ.

მეოთხე საკითხი ეხება კულაკებისა და სპეკულანტების მიმართ **საგანგებო ზომების** პრობლემას.

არ შეიძლება საგანგებო ზომები მივიჩნიოთ რაღაც აბსოლუტურ და ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ რამედ. საგანგებო ზომები საჭირო და მიზანშეწონილია გარკვეული, განსაკუთრებული, პირობების დროს, როცა მანევრირებისათვის სხვა ზომები არ მოგვეპოვება. საგანგებო ზომები საჭირო არ არის და მავნეა სხვა პირობების დროს, როცა ბაზარზე მანევრირებისათვის სხვა, მოქნილი ზომები მოგვეპოვება. მართალი არ არიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ საგანგებო ზომები ცუდია ყოველგვარი პირობების დროს. ასეთი

ადამიანების წინააღმდეგ სისტემატურ ბრძოლას უნდა ვეწეოდეთ. მაგრამ მართალი არ არიან ისინიც, ვინც ფიქრობს, რომ საგანგებო ზომები მუდამ საჭირო და მიზანშეწონილია. ასეთი ადამიანების წინააღმდეგ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა.

შეცდომა იყო თუ არა საგანგებო ზომების გამოყენება პურის დამზადების კრიზისის პირობებში? ახლა ყველა აღიარებს, რომ შეცდომა არ იყო, რომ, პირიქით, საგანგებო ზომებმა იხსნეს ჩვენი ქვეყანა საერთო სამეურნეო კრიზისისაგან. რამ გვაიძულა გამოგვეყენებინა ეს ზომები? 128 მილიონი ფუთი პურის დეფიციტმა ამა წლის იანვრისათვის, რაც გაზაფხულის უგზოობამდე უნდა დაგვეფარა და ამასთან ერთად შეგვექმნა პურის დამზადების ნორმალური ტემპი. განა შეგვეძლო არ მიგვეღო საგანგებო ზომები, როცა გვაკლდა ასიოდე მილიონი ფუთი პურის რეზერვები, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ დრო შეგვერჩია და მოგვეხდინა ინტერვენცია ბაზარზე, პურის ფასების შემცირების აზრით, ან როცა გვაკლდა საკმაო სავალუტო რეზერვები, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ საზღვარგარეთიდან დიდი პარტიობით შემოგვეზიდნა პური? ცხადია, არ შეგვეძლო. ხოლო რა იქნებოდა, ეს დეფიციტი რომ არ დაგვეფარა? ახლა გვექნებოდა მთელი სახალხო მეურნეობის უსერიოზულესი კრიზისი, შიმშილობა ქალაქებში, შიმშილობა არმიაში.

ჩვენ რომ გვქონოდა ასიოდე მილიონი ფუთი პურის რეზერვი იმისათვის, რომ დავლოდებოდით და შემდეგ ქანცი გაგვეწყვიტა კულაკისათვის, მოგვეხდინა ინტერვენცია ბაზარზე პურის ფასების შემცირების მიზნით, ჩვენ, რა თქმა უნდა, საგანგებო ზომებს არ მივიღებდით. მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ ასეთი რეზერვი არ გვქონია.

მაშინ რომ გვქონოდა 100 — 150 მილიონი მანეთი სავალუტო რეზერვი იმისათვის, რომ პური საზღვარგარეთიდან

შემოგვეტანა, ჩვენ, ალბათ, საგანგებო ზომებს არ მივმართავდით. მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ ეს რეზერვი არ გვქონია.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ კვლავაც ურეზერვოდ უნდა დავრჩეთ და ხელახლა მოვიშველიოთ საგანგებო ზომები? არა, არ ნიშნავს. პირიქით, ყველა ზომა უნდა მივიღოთ, რაც კი ჩვენზეა დამოკიდებული, რათა დავაგროვოთ რეზერვები და ზედმეტი გავხადოთ ყოველგვარი საგანგებო ზომების გამოყენება. ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ გადააქციონ საგანგებო ზომები ჩვენი პარტიის მუდმივ ან ხანგრძლივ კურსად, საშიში ადამიანები არიან, ვინაიდან ისინი ცეცხლს ეთამაშებიან და საფრთხეს უქმნიან მუშათა და გლეხთა კავშირს.

აქედან ის ხომ არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ავიღოთ ხელი საგანგებო ზომების გამოყენებაზე? არა, არ გამომდინარეობს. საფუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ, რომ როდისმე არ განმეორდება განსაკუთრებული პირობები, რომლებიც მოითხოვენ საგანგებო ზომების გამოყენებას. ასეთი მტკიცება ფუჭი მარჩიელობა იქნებოდა.

ლენინს, რომელმაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა დაასაბუთა, მაინც შესაძლებლად არ მიაჩნდა ნეპის პირობებში ხელი აგვეღო ღარიბკომულ მეთოდებზეც კი გარკვეული პირობების დროს და გარკვეულ ვითარებაში. მით უფრო არ შეგვიძლია ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ავიღოთ ხელი საგანგებო ზომების გამოყენებაზე, რომლებიც არ შეიძლება გავუთანაბროთ კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის ისეთ მკაცრ ზომას, როგორიც ღარიბკომული მეთოდები იყო.

იქნებ ზედმეტი არ იყოს გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი, რომელიც პრეობრაჟენსკის შეემთხვა ჩვენი პარტიის XI ყრილობაზე და რომელსაც ამ საქმესთან პირდაპირი დამოკიდებულება აქვს. ცნობილია, რომ პრეობრაჟენსკი XI

ყრილობაზე თავის თეზისებში სოფლად მუშაობის შესახებ შეეცადა «ერთხელ და სამუდამოდ» უარეყო ნეპის პირობებში კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლის ღარიბკომული მეთოდების პოლიტიკა. პრეობრაჟენსკი თავის თეზისებში წერდა: «ამ ფენის (კულაკობისა და შეძლებული გლეხობის) მიუღებლობისა და მისი 1918 წლის ღარიბკომული საშუალებებით უხეში გარეეკონომიური დათრგუნვის პოლიტიკა უაღრესად მავნე შეცდომა იქნებოდა» (§ 2).

ცნობილია, რომ ლენინმა ამაზე შემდეგნაირად უპასუხა:

«მეორე პარაგრაფის მეორე ფრაზა («ღარიბკომული საშუალებების» წინააღმდეგ) მავნე და არასწორია, ვინაიდან ომმა, მაგალითად, **შეიძლება გვაიძულოს მივმართოთ ღარიბკომულ საშუალებებს.** ამის შესახებ სულ სხვანაირად უნდა ითქვას, მაგალითად, ასე: სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მისი პროდუქტების გადიდების უპირატესი მნიშვნელობის გამო, **ამჟამად** * პროლეტარიატის პოლიტიკა კულაკობისა და შეძლებული გლეხობისადმი მიმართული უნდა იყოს, უმთავრესად, მისი ექსპლოატატორული მისწრაფების **შ ე ზ ღ უ დ ვ ი ს ა კ ე ნ** და სხვ.. მთელი საქმე ის არის, როგორ უნდა შეზღუდოს ჩვენმა სახელმწიფომ ეს მისწრაფება, როგორ უნდა დაიცვას ღარიბი გლეხობა და როგორ შეუძლია გააკეთოს ეს. ეს უნდა შევისწავლოთ და შევასწავლოთ პრაქტიკულად, ზოგადი ფრაზები კი **ფ უ ჭ ი ა»** (იხ. ლენინის კრებული IV, გვ. 391 [50]).

ცხადია, საგანგებო ზომებს უნდა განვიხილავდეთ დიალექტიკურად, ვინაიდან ყველაფერი დამოკიდებულია დროისა და ადგილის პირობებზე.

ასეთია, ამხანაგებო, საქმის ვითარება ზოგადი ხასიათის საკითხების მხრივ, რომლებიც კამათის დროს წამოიჭრა.

ახლა ნება მომეცით გადავიდე საკითხზე **მარცვლეულის პრობლემის შესახებ და პურის ფრონტზე ჩვენი სიძნელეების საფუძვლების შესახებ.**

მე ვფიქრობ, რომ მთელმა რიგმა ამხანაგებმა შეცდომა დაუშვეს იმ მხრივ, რომ ერთ გროვაში მოაქციეს პურის

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ფრონტზე ჩვენი სიძნელეების სხვადასხვა მიზეზები, დროებითი და კონიუნქტურული (სპეციფიკური) მიზეზები აურიეს ხანგრძლივ და ძირითად მიზეზებში. პურის ფრონტზე სიძნელეთა მიზეზები ორგვარი ხასიათისა არსებობს: ხანგრძლივი, ძირითადი მიზეზები, რომელთა აღმოსაფხვრელად საჭიროა მთელი რიგი წლები, და სპეციფიკური, კონიუნქტურული მიზეზები, რომელთა აღმოფხვრა ახლავე შეიძლება, თუ მივიღებთ და გავატარებთ მთელ რიგ საჭირო ზომებს. ყველა ამ მიზეზის ერთ გროვაში მოქცევა მთელი საკითხის არევდარევას ნიშნავს.

რაში მდგომარეობს პურის ფრონტზე ჩვენი სიძნელეების ძირითადი აზრი და ძირითადი მნიშვნელობა? იმაში, რომ ეს სიძნელენი ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით აყენებენ პურის პრობლემას, პურის წარმოების პრობლემას, საერთოდ სოფლის მეურნეობის პრობლემას და განსაკუთრებით მარცვლეულის წარმოების პრობლემას.

გვაქვს თუ არა ჩვენ საერთოდ მარცვლეულის პრობლემა, როგორც აქტუალური საკითხი? უთუოდ გვაქვს. მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ დაეჭვდნენ იმაში, რომ მარცვლეულის პრობლემა ახლა საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგს ეხება. ჩვენ არ შეგვიძლია ბოშებივით ვიცხოვროთ ისე, რომ არ გვექნეს პურის რეზერვები, ერთგვარი რეზერვები მოუსავლობის შემთხვევისათვის, რეზერვები ბაზარზე მანევრირებისათვის, რეზერვები ომის შემთხვევისათვის, დასასრულ, ერთგვარი რეზერვები ექსპორტისათვის. წვრილი გლეხიც კი, მისი მეურნეობის მთელი სიღატაკის მიუხედავად, იოლად ვერ მიდის ისე, რომ არ ჰქონდეს რეზერვები, ერთგვარი მარაგი. განა ცხადი არ არის, რომ დიდი სახელმწიფო, რომელსაც ხმელეთის მეექვსედი ნაწილი უჭირავს, იოლად ვერ წავა, თუ არ ექნა პურის რეზერვები საშინაო და საგარეო საჭიროებისათვის?

ვთქვათ, უკრაინაში შემოდგომის ნათესები არ დაგვღუპოდა და პურის დამზადების წელი «ასე თუ ისე» დაგვემთავრებინა, — შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ ეს საკმარისი იქნებოდა ჩვენთვის? არა, არ შეიძლება. ჩვენ ამიერიდან არ შეგვიძლია ვიცხოვროთ «ასე თუ ისე». ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენს განკარგულებაში რეზერვების ერთგვარი მინიმუმი, თუ გვსურს დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლების პოზიციები შინაგანი ხაზით, ისევე, როგორც საგარეო ხაზით.

ჯერ-ერთი, ჩვენ გარანტირებული არა ვართ სამხედრო თავდასხმისაგან. როგორ გგონიათ, შეიძლება ქვეყნის დაცვა ისე, რომ არმიისათვის პურის არავითარი რეზერვი არ გვექნეს? აქ გამოსული ამხანაგები სავსებით მართალი იყვნენ, როცა ამბობდნენ, რომ ახლანდელი გლეხი ის აღარ არის, რაც ექვსი წლის წინათ იყო, როცა მას ეშინოდა არ დაეკარგა მიწა მემამულის სასარგებლოდ. მემამულეს გლეხი უკვე ივიწყებს. ახლა ის ცხოვრების ახალ, უკეთეს პირობებს მოითხოვს. განა შეგვიძლია მტრების თავდასხმის შემთხვევაში ვაწარმოოთ ომი ფრონტზე გარეშე მტერთანაც და ზურგში გლეხთანაც არმიისათვის პურის საჩქაროდ მისაღებად? არა, არ შეგვიძლია და ეს არც უნდა ვქნათ. ქვეყანა რომ დავიცვათ, უნდა გვქონდეს ერთგვარი რეზერვი არმიის მოსამარაგებლად, თუნდაც პირველი ექვსი თვის სამყოფი. რისთვის არის საჭირო ეს ექვსი თვე სულის მოთქმა? იმისათვის, რომ საშუალება მივცეთ გლეხს გონს მოვიდეს, შეიგნოს ომის საშიშროება, გაერკვეს მოვლენებში და ფეხზე დადგეს ქვეყნის დაცვის საერთო საქმისათვის. თუ იმით დავკმაყოფილდით, რომ «ასე თუ ისე» იოლად წავიდეთ, არასოდეს არავითარი რეზერვი არ გვექნება ომის შემთხვევისათვის.

მეორეც, ჩვენ გარანტირებული არა ვართ გართულებებისაგან პურის ბაზარზე. ჩვენ უთუოდ გვესაჭიროება ერთ-

გვარი რეზერვი პურის ბაზრის საქმეებში ინტერვენციისათვის, ფასების ჩვენი პოლიტიკის გატარებისათვის. ეს იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია და არც უნდა მივმართოთ თვითეულ შემთხვევაში საგანგებო ზომებს. მაგრამ ჩვენ არასოდეს არ გვექნება ასეთი რეზერვები, თუ თვითეულ შემთხვევაში ხრამის პირას ვიარეთ და იმით დავკმაყოფილდით, რომ შესაძლებლობა გვაქვს «ასე თუ ისე» დავამთავროთ დამზადების წელი.

მესამეც, ჩვენ გარანტირებული არა ვართ მოუსავლობისაგან. ჩვენთვის აბსოლუტურად აუცილებელია პურის ერთგვარი რეზერვი იმისათვის, რომ მოუსავლობის შემთხვევაში უზრუნველვყოთ დამშეული რაიონები, თუნდაც რამდენადმე, თუნდაც ერთხანს. მაგრამ ჩვენ ასეთი რეზერვი არ გვექნება, თუ სასაქონლო პურის წარმოება არ გავადიდეთ და მტკიცედ და გადაჭრით არ ავიღეთ ხელი უმარაგოდ ცხოვრების ძველ ჩვეულებაზე.

დასასრულ, ჩვენთვის აბსოლუტურად აუცილებელია რეზერვი პურის ექსპორტისათვის. ჩვენ უნდა შემოვიტანოთ მოწყობილობა ინდუსტრიისათვის. ჩვენ უნდა შემოვიტანოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ტრაქტორები, მათი სათადარიგო ნაწილები. მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებელია, თუ პური არ გავიტანეთ, თუ არ დავაგროვეთ ვალუტის ერთგვარი რეზერვები პურის ექსპორტის ხარჯზე. ომამდე ყოველწლიურად გაჰქონდათ 500-დან 600-მდე მილიონი ფუთი პური. ამდენი იმიტომ გაჰქონდათ, რომ თვითონ საჭმელს იკლებდნენ. ეს მართალია. მაგრამ უნდა გავიგოთ, რომ ომამდე სასაქონლო პური ჩვენში მაინც **ერთიორად** მეტი იყო, ვიდრე ახლა. და სწორედ იმიტომ, რომ ახლა სასაქონლო პური ერთიორად ნაკლები გვაქვს, — სწორედ ამიტომ პური ახლა ექსპორტიდან გამორიცხულია. მერე რას ნიშნავს ექსპორტიდან პურის გამორიცხვა? ეს ნიშნავს იმ წყაროს დაკარგვას, რომლის საშუალებითაც შემოდიოდა

ჩვენში და უნდა შემოვიდეს მოწყობილობა მრეწველობისათვის, ტრაქტორები და მანქანები სოფლის მეურნეობისათვის. შეიძლება თუ არა კვლავ ასე ვიცხოვროთ, თუ არ დავაგროვეთ პურის რეზერვები ექსპორტისათვის? არა, არ შეიძლება.

აი რამდენად ნაკლებუზრუნველყოფილი და მერყევია ჩვენი პურის რეზერვების მდგომარეობა.

აღარას ვამბობ იმაზე, რომ ჩვენ არა თუ პურის რეზერვები არა გვაქვს ოთხივე ამ ხაზით, არამედ მარაგის ერთგვარი მინიმუმიც არა გვყოფნის იმისათვის, რომ უმტკივნეულოდ გადავიდეთ დამზადების ერთი წლიდან დამზადების მეორე წელზე და შეუფერხებლად მოვამარაგოთ ქალაქები ისეთ მძიმე თვეებში, როგორიცაა იენისი — ივლისი.

შეიძლება თუ არა ამის შემდეგ უარვყოთ მარცვლეულის პრობლემის სიმწვავე და პურის ფრონტზე ჩვენი სიძნელეების სერიოზულობა?

მაგრამ პურის მხრივ სიძნელეებთან დაკავშირებით ჩვენში წამოიჭრა აგრეთვე პოლიტიკური ხასიათის სიძნელეები. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავივიწყოთ, ამხანაგებო. მე მხედველობაში მაქვს ის უკმაყოფილება გლეხობის განსაზღვრულ ნაწილში, ღარიბი გლეხობის, ისევე როგორც საშუალო გლეხთა განსაზღვრულ ნაწილში, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენში და რამაც ერთგვარი საფრთხე შეუქმნა მუშათა და გლეხთა კავშირს.

რა თქმა უნდა, სრულიად არასწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ ჩვენ უკვე გვაქვს გათიშვა, როგორც ამას ამბობს თავის ბარათში ფრუმკინი. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. გათიშვა სერიოზული საქმეა. გათიშვა სამოქალაქო ომის დასაწყისია, თუ თვით სამოქალაქო ომი არა. არ უნდა დავიფრთხოთ თავი «საშინელი» სიტყვებით. არ უნდა შეგვიპყროს პანიკამ. ეს არ შეჰშვენით ბოლშევიკებს. გათიშვა ნიშნავს გლეხობის მიერ საბჭოთა ხელისუფლებასთან კავშირის გაწ-

ყველას. მაგრამ თუ გლეხმა მართლაც კავშირი გაწყვიტა საბჭოთა ხელისუფლებასთან, რომელიც **გლეხური პურის ძირითადი დამამზადებელია**, გლეხი ნათესებს როდიღა გაგიფართოებთ. ამავე დროს კი ჩვენ ვხედავთ, რომ წელს გაზაფხულის ნათესი ფართობი პურის **უკლებლივ ყველა** რაიონში გადიდდა. ეს რა გათიშვაა? განა შეიძლება ასეთ მდგომარეობას გლეხური მეურნეობის «უპერსპექტივობა» ეწოდოს, როგორც ამას ამბობს, მაგალითად, ფრუმკინი? ეს რა «უპერსპექტივობაა»?

რაში მდგომარეობს პურის მხრივ ჩვენი სიძნელეების **საფუძველი**, თუ მხედველობაში ვიქონიებთ სიძნელეთა **ხანგრძლივ** და **ძირითად** მიზეზებს და არა დროებითს, კონიუნქტურულ მიზეზებს?

პურის მხრივ ჩვენი სიძნელეების საფუძველი სოფლის მეურნეობის მზარდ დაჭაჭსულობასა და დაჭუცმაცებაშია. ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობა წვრილდება, განსაკუთრებით მარცვლეულის მეურნეობა, და სულ უფრო ნაკლებად რენტაბელური და ნაკლებსასაქონლო ხდება. თუ რევოლუციამდე ჩვენში დაახლოებით 15—16 მილიონი გლეხური მეურნეობა იყო, ახლა ასეთი მეურნეობა 24—25 მილიონამდეა, ამასთან დაჭუცმაცების პროცესს შემდგომი გაძლიერების ტენდენცია აქვს.

მართალია, რომ ჩვენ ახლა გვაქვს ნათესები, რაც ბევრად როდი ჩამოუვარდება ომამდელი ნათესების ოდენობას, ხოლო პურის **საერთო** წარმოება სულ რაღაც 5 პროცენტით ნაკლებია ომამდელ წარმოებაზე. მაგრამ უბედურება ის არის, რომ, ყოველივე ამის მიუხედავად, **სასაქონლო** პურის წარმოება ჩვენში **ერთიორად**, ე. ი. 50 პროცენტით ჩამორჩება ომამდელ წარმოებას. აი სად არის საკითხის არსი.

მაშ რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ წვრილი მეურნეობა ნაკლებ რენტაბელურია, ნაკლებ სასაქონლო და ნაკლებ მტკიცეა, ვიდრე მსხვილი მეურნეობა. მარქსიზმის

ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ წვრილი წარმოება ნაკლებ ხელსაყრელია, ვიდრე მსხვილი, სავსებით ინარჩუნებს ძალას სოფლის მეურნეობაშიც. ამიტომ წვრილი გლეხური მეურნეობა მიწის იმავე ფართობზე გაცილებით ნაკლებ სასაქონლო მარცვლეულს იძლევა, ვიდრე მსხვილი.

სად არის გამოსავალი მდგომარეობიდან?

გამოსავალი სამი გვაქვს, როგორც ეს ნათქვამია პოლიტბიუროს რეზოლუციაში.

1. გამოსავალი ის არის, რომ შეძლებისდაგვარად ავამაღლოთ წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობის ნაყოფიერება, შევცვალოთ კავი გუთნით, მივცეთ გლეხობას წვრილი და საშუალო ტიპის მანქანა, მივცეთ სასუქი, მივაწოდოთ თესლეული, გავუწიოთ აგრონომიული დახმარება, მოვახდინოთ გლეხობის კოოპერირება, დავდოთ კონტრაქტები მთელ სოფლებთან, მივცეთ მათ სესხად საუკეთესო თესლეული და უზრუნველვყოთ, ამრიგად, გლეხობის კოლექტიური დაკრედიტება, დასასრულ, მივაჭირაოთ მათ დიდი მანქანები გასაქირავებელი პუნქტების მეშვეობით.

მართალი არ არიან ის ამხანაგები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ წვრილმა გლეხურმა მეურნეობამ ამოწურა თავისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობანი და რომ, მაშასადამე, აღარ ღირს მისთვის დახმარების გაწევა. ეს სრულებით არ არის სწორი. განვითარების შესაძლებლობანი ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას ჯერ კიდევ ცოტა როდი აქვს. ოღონდ უნარი უნდა გვქონდეს დავეხმაროთ მას ამ შესაძლებლობათა რეალიზაციაში.

მართალი არ არის აგრეთვე «კრასნაია გაზეტა» [81], რომელიც ამტკიცებს, რომ გასაღებისა და მომარაგების ხაზით ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა კოოპერირების პოლიტიკამ თავისი დანიშნულება ვერ გაამართლა. ეს სრულებით არ არის სწორი, ამხანაგებო. პირიქით, მომარაგებისა და გასაღების ხაზით კოოპერირების პოლიტიკამ სავსებით

გაამართლა თავისი დანიშნულება, შექმნა რა რეალური ბაზა იმისათვის, რომ გლეხობაში მომხდარიყო გარდატეხა საკოლმეურნეო მოძრაობისაკენ. უეჭველია, რომ მომმარაგებელ-გამსაღებელი კოოპერაციის განუვითარებლად ჩვენ არ გვექნებოდა ის გარდატეხა გლეხობის დამოკიდებულებაში კოლმეურნეობებისადმი, როგორიც გვაქვს ახლა, და რომელიც ხელს გვიწყობს საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომ განვითარებაში.

2. შემდეგ, გამოსავალი ის არის, რომ დავეხმაროთ ღარიბ და საშუალო გლეხებს თანდათანობით გააერთიანონ თავიანთი დაქსაქსული წვრილი მეურნეობანი ახალი ტექნიკისა და კოლექტიური შრომის ბაზაზე მოწყობილ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად, რომელნიც უფრო ხელსაყრელი და უფრო სასაქონლო არიან. მხედველობაში მაქვს წვრილი მეურნეობების მსხვილ, საზოგადოებრივ მეურნეობებად გაერთიანების ყველა ფორმა, უბრალო ამხანაგობებიდან არტელებამდე, რომლებიც გაცილებით უფრო სასაქონლო და ნაყოფიერი არიან, ვიდრე დაქსაქსული წვრილი გლეხური მეურნეობანი.

ამაშია პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი.

მართალი არ არიან ამხანაგები, როცა ისინი, იბრძვიან რა კოლმეურნეობებისათვის, ბრალს გვდებენ წვრილი გლეხური მეურნეობის «რეაბილიტაციაში». ისინი ალბათ ფიქრობენ, რომ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობისადმი დამოკიდებულება ბრძოლისა და მოსპობის დამოკიდებულება უნდა იყოს და არა დახმარებისა და ჩვენსკენ მოზიდვისა. ეს სრულებით არ არის სწორი, ამხანაგებო. ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას სრულებითაც არ ესაჭიროება «რეაბილიტაცია». იგი ნაკლებად რენტაბელურია, ეს მართალია. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი სრულიად არახელსაყრელია. ჩვენ დავარღვევდით მუშათა და გლეხთა კავშირს, ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობასთან ბრძო-

ლისა და მისი მოსპობის თვალსაზრისზე რომ დავმდგარიყავით, კოლმეურნეობების მხრივ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათათვის ყოველდღიური დახმარებისა და ხელშეწყობის ლენინური პოზიციიდან რომ გადაგვეხვია.

კიდევ უფრო ნაკლებად მართალი არიან ისინი, ვინც ხოტბას ასხამს რა კოლმეურნეობებს, ჩვენს «უბედურებად» აცხადებს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას. ამას უკვე გლეხურ მეურნეობასთან პირდაპირი ომის სუნი ასდის. საიდან წარმოსდგა ეს? თუ გლეხური მეურნეობა «უბედურებაა», როგორღა ავხსნათ მუშათა კლასის კავშირი გლეხობის ძირითად მასებთან? მუშათა კლასის კავშირი «უბედურებასთან», — განა არსებობენ ქვეყნად ასეთი შეუსაბამობანი? როგორ შეიძლება ასეთ რამეს ამბობდე, ამავე დროს კი მუშათა და გლეხთა კავშირს ქადაგებდე? იხსენებენ ლენინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ჩვენ თანდათანობით უნდა გადავჯდეთ გლეხური გაძვალტყავებული ცხენიდან მრეწველობის ფოლადის რაშზე. ეს ძალიან კარგია. მაგრამ განა ასე ხდება ერთი ცხენიდან მეორეზე გადაჯდომა? გლეხური მეურნეობა «უბედურებად» რომ გამოაცხადო, ხოლო წინასწარ არ შექმნა ფართო და მძლავრი ბაზა კოლმეურნეობათა განშტოებული ქსელის სახით,—განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სრულიად უცხენოდ, სრულიად უბაზოდ დარჩე? (ხმები: «სწორია, სწორია!»). ამ ამხანაგების შეცდომა ის არის, რომ ისინი კოლმეურნეობებს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებს **უპირდაპირებენ**. ჩვენ კი გვინდა, რომ მეურნეობის ეს ორი ფორმა ერთმანეთს კი არ უპირდაპირდებოდეს, არამედ ერთმანეთს **უკავშირდებოდეს**, რომ ამ კავშირში კოლმეურნეობა დახმარებას უწევდეს ინდივიდუალურ გლეხს და ეხმარებოდეს მას კოლექტივიზმის რელსებზე თანდათანობით გადასვლაში. დიახ, ჩვენ გვინდა, რომ კოლმეურნეობებს გლეხობა უყურებდეს არა როგორც თავის მტერს, არამედ როგორც თავის მეგობარს,

რომელიც ეხმარება მას და დაეხმარება სიღატაკისაგან განთავისუფლებაში. (ხ მ ე ბ ი: «სწორია!»). თუ ეს სწორია, მაშინ საჭირო არ არის ლაპარაკი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის «რეაბილიტაციაზე», ან იმაზე, რომ გლეხური მეურნეობა ჩვენთვის «უბედურებას» წარმოადგენს.

უნდა გეთქვათ, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა ნაკლებად ხელსაყრელია, ან ყველაზე ნაკლებადაც კია ხელსაყრელი მსხვილ კოლექტიურ მეურნეობასთან შედარებით, მაგრამ მაინც მოკლებული არ არის ერთგვარ საკმაოდ მნიშვნელოვან ხელსაყრელობას. თქვენებურად კი ისე გამოდის, რომ წვრილი გლეხური მეურნეობა საერთოდ არახელსაყრელია და, შესაძლოა, მავნეც კი იყოს.

ასე როდი უყურებდა ლენინი წვრილ გლეხურ მეურნეობას. აი რას ამბობდა იგი ამ საკითხზე თავის სიტყვაში «სასურსათო გადასახადის შესახებ»:

«თუ გლეხურ მეურნეობას შეუძლია კვლავაც განვითარდეს, საჭიროა მტკიცედ უზრუნველვყოთ შემდგომი გადასვლაც, ხოლო შემდგომი გადასვლა აუცილებლად იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელი და ყველაზე მეტად ჩამორჩენილი, წვრილი, განკერძოებული გლეხური მეურნეობა თანდათანობით გაერთიანდეს და მოაწყოს საზოგადოებრივი, მსხვილი სამიწათმოქმედო მეურნეობა. ყოველთვის ასე ჰქონდათ წარმოდგენილი ყოველივე ეს სოციალისტებს. სწორედ ასე უყურებს ამას ჩვენი კომუნისტური პარტიაც» (ტ. XXVI, გვ. 299).

გამოდის, რომ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა მაინც იძლევა ერთგვარ სარგებლობას.

ერთია, როცა მეურნეობის უმაღლესი ფორმა, მსხვილი მეურნეობა, ებრძვის დაბალს და აჩანაგებს, კლავს მას. ასეთია საქმის ვითარება კაპიტალიზმის დროს. და სულ სხვაა, როცა მეურნეობის უმაღლესი ფორმა კი არ აჩანაგებს, არამედ ეხმარება დაბალს იმაში, რომ ამაღლდეს, კოლექტივიზმის რელსებზე გადავიდეს. ასეთია საქმის ვითარება საბჭოთა წყობილების დროს.

აი რას ამბობს ლენინი კოლმეურნეობათა და ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა ურთიერთობაზე:

«განსაკუთრებით უნდა ვცდილობდეთ იმის მიღწევას, რომ ნამდვილად და თანაც სრულად ხორციელდებოდეს საბჭოთა ხელისუფლების კანონი (კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესახებ. ი. სტ.), რომელიც საბჭოთა მეურნეობებისა, სასოფლო-სამეურნეო კომუნებისა და ყველა მსგავსი გაერთიანებისაგან მოითხოვს **დაუყოვნებლივ და ყოველმხრივ გაუწიონ დახმარება გარშემო მყოფ და საშუალო გლეხებს.** მხოლოდ ასეთი, **ფაქტიურად გაწეული დახმარების საფუძველზეა შესაძლებელი განხორციელდეს შეთანხმება საშუალო გლეხობასთან** *. მხოლოდ ასე შეიძლება მოვიპოვოთ და უნდა მოვიპოვოთ მისი ნდობა» (ტ. XXIV, გვ. 175).

ამრიგად, გამოდის, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უნდა ეხმარებოდნენ გლეხურ მეურნეობებს სწორედ როგორც ინდივიდუალურ მეურნეობებს.

დასასრულ, მესამე ციტატა ლენინიდან:

«მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ საქმით ვუჩვენოთ გლეხებს მიწის საზოგადოებრივი, კოლექტიური, ამხანაგური, არტელური დამუშავების უპირატესობანი, მხოლოდ მაშინ, თუ შევძლებთ დავეხმაროთ გლეხს, ამხანაგური, არტელური მეურნეობის შემწეობით, მხოლოდ მაშინ მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება, ნამდვილად დაუმტკიცებს გლეხს თავის სიმართლეს, ნამდვილად მიიმხრობს მტკიცედ და ჯეროვნად გლეხობის მრავალმილიონიან მასას» (ტ. XXIV, გვ. 579).

აი რა დიდად აფასებდა ლენინი საკოლმეურნეო მოძრაობის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში.

მეტად უცნაურია, რომ ზოგიერთმა ამხანაგებმა თავიანთ ვრცელ სიტყვებში მთელი ყურადღება მიაპყრეს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა საკითხს, ხოლო ერთი სიტ-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ყვაც არ უთქვამთ, კრინტიც არ დაუძრავთ კოლმეურნეობათა განვითარების ამოცანაზე, როგორც ჩვენი პარტიის აქტუალურ და გადამწყვეტ ამოცანაზე.

3. დასასრულ, გამოსავალი ის არის, რომ განვამტკიცოთ ძველი საბჭოთა მეურნეობები და შევქმნათ ახალი, მსხვილი საბჭოთა მეურნეობები, როგორც ყველაზე რენტაბელური და სასაქონლო სამეურნეო ერთეულები.

ასეთია სამი ძირითადი ამოცანა, რომელთა შესრულებაც შესაძლებლობას გვაძლევს გადავჭრათ მარცვლეულის პრობლემა და, ამრიგად, მოვსპოთ თვით საფუძველი ჩვენი სიძნელეებისა პურის ფრონტზე.

მიმდინარე მომენტის თავისებურება ის არის, რომ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის გაძლიერების პირველი ამოცანა, რომელიც ჩვენი მუშაობის ჯერ კიდევ მთავარი ამოცანაა, **საკმარისი აღარ არის** მარცვლეულის პრობლემის გადასაჭრელად.

მიმდინარე მომენტის თავისებურება ის არის, რომ პირველი ამოცანა პრაქტიკულად **შევავსოთ** ორი ახალი ამოცანით — კოლმეურნეობათა განვითარების და საბჭოთა მეურნეობების განვითარების ამოცანებით.

ამ ამოცანების შეუხამებლად, სამივე ამ მიმართულებით ბეჯითი მუშაობის გაუჩაღებლად არ შეიძლება მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა არც სასაქონლო პურით ქვეყნის მომარაგების მხრივ და არც იმ მხრივ, რომ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა გარდაიქმნას სოციალიზმის საფუძვლებზე.

როგორ უყურებდა ამ საქმეს ლენინი? ჩვენ გვაქვს ცნობილი დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ პოლიტბიუროს რეზოლუცია, რომელიც წარმოდგენილია პლენუმის საყურადღებოდ, მთლიანად ემთხვევა სოფლის მეურნეობის განვითარების იმ პრაქტიკულ გეგმას, რომელიც ამ დოკუმენტში ლენინმა მოხაზა. მხედველობაში მაქვს «შრომისა და თავ-

დაცვის საბჭოს განაწესი», რომელიც დაწერილია ლენინის ხელით. იგი გამოცემულია 1921 წლის მაისში. ამ დოკუმენტში ლენინი არჩევს პრაქტიკული საკითხების სამ ჯგუფს: პირველი ჯგუფი ეხება საქონელბრუნვისა და მრეწველობის საკითხებს, მეორე ჯგუფი — სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხებს, მესამე ჯგუფი — ყოველნაირ ეკონომთათბირებსა[53] და საოლქო თათბირებს მეურნეობის მოსაწესრიგებლად.

რა არის ნათქვამი იქ, ამ დოკუმენტში, სოფლის მეურნეობის შესახებ? აი ციტატა «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესიდან»:

«საკითხთა მეორე ჯგუფი. სოფლის მეურნეობის აღმავლობა: ა) გლეხური მეურნეობა, ბ) საბჭოთა მეურნეობები, გ) კომუნები, დ) არტელები, ე) ამხანაგობანი, ვ) საზოგადოებრივი მეურნეობის სხვა სახეები» (იხ. ტ. XXVI, გვ. 374).

თქვენ ხედავთ, რომ პოლიტბიუროს რეზოლუციის პრაქტიკული დასკვნები პურის პრობლემის და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო პრობლემის გადაჭრის დარგში მთლიანად ემთხვევიან ლენინის გეგმას, რომელიც ჩამოყალიბებულია «შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესში» 1921 წელს.

ძალიან საინტერესოა აღინიშნოს ის ნამდვილი ჭაბუკური სიხარული, რომლითაც ლენინი, ეს ბუმბერაზი, რომელიც მთებს სძრავდა და ერთმანეთს აჯახებდა, ხვდებოდა ყოველ ცნობას ერთი-ორი კოლმეურნეობის დაარსების ან ამა თუ იმ საბჭოთა მეურნეობისათვის ტრაქტორების გაგზავნის შესახებ. აი, მაგალითად, ამონაწერი «საბჭოთა რუსეთისადმი ტექნიკური დახმარების საზოგადოებისათვის» გაგზავნილი წერილიდან:

«ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენს გაზეთებში დაიბეჭდა უაღრესად სასიამოვნო ცნობები თქვენი საზოგადოების წევრთა მუშაობის შესახებ ტამბოვის გუბერნიის კირსანოვის მაზრის საბჭოთა მეურნეობებში და ოდესის გუბერნიის სადგურ მიტინოსთან, აგრეთვე დონეცის აუზის

მეშახტეთა ჯგუფის მუშაობის შესახებ... სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში შუამდგომლობა შემაქვს იმის შესახებ, რომ ყველაზე შესანიშნავი მეურნეობანი ცნობილ იქნან სანიმუშო მეურნეობებად და გაეწიოთ მათ სპეციალური და ექსტრაორდინარული დახმარება, რაც აუცილებელია მათი მუშაობის ხელსაყრელად განვითარებისათვის. ერთხელ კიდევ გიცხადებთ ჩვენი რესპუბლიკის სახელით დიდ მადლობას და გთხოვთ მხედველობაში იქონიოთ, რომ ტრაქტორებით მიწის დამუშავების საქმეში თქვენი დახმარება განსაკუთრებით დროული და მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ შესაძლებლობა მაქვს მოგილოცოთ თქვენს მიერ ნავარაუდევი 200 სასოფლო-სამეურნეო კომუნის მოწყობა» (ტ. XXVII, გვ. 309).

აი კიდევ ამონაწერი წერილიდან «საბჭოთა რუსეთის მეგობართა საზოგადოებისადმი» ამერიკაში:

«ძვირფასო ამხანაგებო! ეს-არის ახლა შევამოწმე პერმის საგუბერნიო აღმასკომისადმი სპეციალური შეკითხვით ის უაღრესად სასიამოვნო ცნობები, რომლებიც გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთებში, იმ მუშაობის შესახებ, რასაც ეწევიან თქვენი საზოგადოების წევრები, ჰაროლდ ვერის მეთაურობით, პერმის გუბერნიის სატრაქტორო რაზმთან ერთად **საბჭოთა მეურნეობა** * «ტოიკინოში»... სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში შუამდგომლობა შემაქვს იმის შესახებ, რომ ეს საბჭოთა მეურნეობა ცნობილ იქნას სანიმუშო მეურნეობად და გაეწიოს მას სპეციალური და ექსტრაორდინარული დახმარება როგორც სამშენებლო სამუშაოებში, ისე ბენზინით, ლითონითა და სხვა მასალებით მომარაგებაში, რომლებიც აუცილებელია სარემონტო სახელოსნოს მოსაწყობად. ერთხელ კიდევ გიცხადებთ ჩვენი რესპუბლიკის სახელით დიდ მადლობას და გთხოვთ მხედველობაში იქონიოთ, რომ არც ერთი სახის დახმარება არ არის ჩვენთვის იმდენად დროული და იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც თქვენს მიერ გაწეული დახმარება» (ტ. XXVII, გვ. 308).

აი რა სიხარულით ხვდებოდა ლენინი ყოველ მცირეოდენ ცნობას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების შესახებ.

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

დაე ეს გახდეს გაკვეთილი იმათთვის, ვინც ფიქრობს მოატყუოს ისტორია და გვერდი აუხვიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის საქმეში.

მე ვამთავრებ, ამხანაგებო. მე ვფიქრობ, რომ დაბრკოლებანი პურის დარგში ფუჭად არ ჩაგვივლიან. ჩვენი პარტია სწავლობდა და წინ მიიწევდა სიძნელეებისა და ყოველგვარი კრიზისების გადალახვით. მე ვფიქრობ, რომ ახლანდელი სიძნელენი გამოაწრთობენ ჩვენს ბოლშევიკურ რიგებს და აიძულებენ მათ უშუალოდ მოჰკიდონ ხელი პურის პრობლემის გადაჭრას. ხოლო ამ პრობლემის გადაჭრა ნიშნავს იმას, რომ მოვიშოროთ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის გზაზე მდგომი ერთ-ერთი უაღრესად დიდი სიძნელე.

მუშათა და გლეხთა კავშირისა და საბჭოთა მეურნეობების შესახებ

1928 წ. 11 ივლისის სიტყვიდან

ზოგიერთი ამხანაგები თავიანთ გამოსვლებში საბჭოთა მეურნეობების შესახებ დაუბრუნდნენ გუშინდელ დავას პურის დამზადების საკითხზე. კარგი, დავუბრუნდეთ გუშინდელ დავას.

რაზე გვქონდა დავა გუშინ? უწინარეს ყოვლისა «მაკრატელზე» ქალაქსა და სოფელს შორის. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ გლეხი ჯერ კიდევ ზედმეტს იხდის სამრეწველო საქონელში და ნაკლებს იღებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებში. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ეს ზედმეტის გადახდა და ნაკლების მიღება შეადგენს გლეხობის ზეგადასახადს, რაღაც «ხარკის» მსგავს რამეს, ინდუსტრიალიზაციის სასარგებლოდ შეტანილ დამატებითს გადასახადს, რაც ჩვენ აუცილებლად უნდა მოვსპოთ, მაგრამ რის მოსპობაც ჩვენ **ახლავე** არ შეგვიძლია, თუ არ ვფიქრობთ ძირი გამოვუთხაროთ ჩვენს ინდუსტრიას, ძირი გამოვუთხაროთ ჩვენი ინდუსტრიის განვითარების განსაზღვრულ ტემპს, ინდუსტრიისა, რომელიც მთელი ჩვენი ქვეყნისათვის მუშაობს და რომელსაც ჩვენი სახალხო მეურნეობა სოციალიზმისაკენ მიჰყავს.

ზოგს ეს არ მოეწონა. ამ ამხანაგებს, ეტყობა, ეშინიათ აღიარონ სიმართლე. რას იზამ, ეს გემოვნების საქმეა. ზოგი

ფიქრობს, რომ მთელი სიმართლე არ უნდა ითქვას ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. მე კი ვფიქრობ, რომ ჩვენ ვალდებული ვართ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მთელი სიმართლე ვუთხრათ ჩვენს პარტიას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი არ შეიძლება მივიჩნიოთ მასობრივ მიტინგად. რა თქმა უნდა, სიტყვები «ზეგადასახადი», «დამატებითი გადასახადი» არასასიამოვნო სიტყვებია, ვინაიდან ისინი გულში გვხვდებიან. მაგრამ, ჯერ-ერთი, საქმე სიტყვებში როდია. მეორეც, სიტყვები სავსებით შეესაბამებიან სინამდვილეს. მესამეც, მათი, ამ არასასიამოვნო სიტყვების, დანიშნულება სწორედ ის არის, რომ გულში მოხვდნენ და აიძულონ ბოლშევიკები უაღრესად სერიოზულად მოჰკიდონ ხელი მუშაობას ამ «ზეგადასახადის» **ლიკვიდაციისათვის,** «მაკრატლის» **ლიკვიდაციისათვის.**

ხოლო როგორ შეიძლება ამ არასასიამოვნო რამეების ლიკვიდაცია? ჩვენი მრეწველობის სისტემატური რაციონალიზაციისა და სამრეწველო საქონლის ფასების შემცირების გზით. სოფლის მეურნეობის ტექნიკისა და მოსავლიანობის სისტემატური ამაღლებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თანდათანობით გაიაფების გზით. ჩვენი სავაჭრო და დამამზადებელი აპარატების სისტემატური რაციონალიზაციის გზით. და სხვ., და ა. შ.

ყოველივე ამას, რასაკვირველია, ერთ-ორ წელიწადში ვერ გააკეთებ. მაგრამ ჩვენ ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ რამდენიმე წლის განმავლობაში, თუ გვსურს თავი დავაღწიოთ ყოველგვარ არასასიამოვნო რამეებს და ისეთ მოვლენებს, რომლებიც გულში გვხვდებიან.

ნაწილი ამხანაგებისა გუშინ აქ იმ ხაზს ადგა, რომ «მაკრატელი» **ახლავე** მოისპოს, და არსებითად მოითხოვდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების **აღდგენითი ფასების** შემოღებას. მე სხვა ამხანაგებთან ერთად ამის წინააღმდეგი ვი-

ყავი და ვამბობდი, რომ ეს მოთხოვნა ეწინააღმდეგება **ამჟამად** ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ინტერესებს, მაშასადამე, ეწინააღმდეგება ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს.

აი რაზე გვქონდა გუშინ დავა, ამხანაგებო.

დღეს ეს ამხანაგები აღიარებენ, რომ ისინი ხელს იღებენ აღდგენითი ფასების პოლიტიკაზე. ეს ძალიან კარგია. გამოდის, რომ გუშინდელ კრიტიკას ფუჭად არ ჩაუვლია ამ ამხანაგებისათვის.

მეორე საკითხი ეხება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. მე ჩემს სიტყვაში აღვნიშნე, რამდენად არაბუნებრივი და უცნაურია ის გარემოება, რომ ნაწილი ამხანაგებისა თავის გამოსვლებში სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ პურის დამზადებასთან დაკავშირებით ერთი სიტყვითაც არ შეხებია ისეთ სერიოზულ ღონისძიებებს, როგორიცაა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარება. როგორ შეიძლება ისეთი სერიოზული რამეების «დავიწყება», როგორიცაა სოფლის მეურნეობაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების ამოცანა? ნუთუ ცნობილი არ არის, რომ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარების ამოცანა ამჟამად მთელი მისი მნიშვნელობის მიუხედავად, უკვე **არასაკმარისი** გახდა, რომ თუ ეს ამოცანა პრაქტიკულად **არ შევავსეთ** კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების ახალი ამოცანებით, ჩვენ **ვერ გადავჭრით** მარცვლეულის მეურნეობის პრობლემას და **თავს ვერ დავაღწევთ** სიძნელეებს ვერც მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის (და მაშასადამე აგრეთვე გლეხური მეურნეობის) სოციალისტური გარდაქმნის მხრივ და ვერც სასაქონლო პურის ერთგვარი რეზერვებით ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფის მხრივ.

როგორ შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ «დაივიწყო» კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განვითარების საკითხი და დუმილით აუარო მას გვერდი?

გადავიდეთ ახლა მსხვილი საბჭოთა მეურნეობების საკითხზე. მართალი არ არიან ის ამხანაგები, რომლებიც ამტკიცებენ, ჩრდილოეთ ამერიკაში მარცვლეულის მსხვილი მეურნეობები არ არსებობენო. ნამდვილად ასეთი მეურნეობანი ჩრდილოეთ ამერიკაშიც არსებობენ და სამხრეთ ამერიკაშიც. მე შემიძლია დავასახელო ისეთი მოწმე, როგორიცაა პროფესორი ტულაიკოვი, რომელმაც მის მიერ ამერიკის სოფლის მეურნეობის გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა ჟურნალ «ნიუნეე პოვოლჟიეში»[52] (№ 9).

ნება მომეცით მოვიყვანო ციტატა ტულაიკოვის სტატიიდან.

«ხორბლის მეურნეობა მონტანაში საზოგადოება «კემბელ ფარმინგ კორპორეშონს» ეკუთვნის. მისი ფართობი 95 000 აკრია, ანუ დაახლოებით 32 000 დესეტინა. მეურნეობა ერთ მიჯნაშია მოქცეული და ოპერაციებისათვის იყოფა 4 სექციად, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ხუტორებად, რომლებიც ცალკე ხელმძღვანელის გამგებლობაში იმყოფებიან, ხოლო მთელ მეურნეობას უძღვება ერთი პიროვნება — ამ კორპორაციის დირექტორი თომას კემბელი.

წელს გაზეთების ინფორმაციის მიხედვით, რომელიც, რა თქმა უნდა, ამავე მეურნეობიდან არის გადაცემული, მთელი მიწის ფართობიდან დათესილია დაახლოებით ნახევარი, ამასთან მოელიან აიღონ დაახლოებით 410 000 ბუშელი (დაახლოებით 800 000 ფუთი) ხორბალი, 20 000 ბუშელი შვრია და 70 000 ბუშელი სელის თესლი. საწარმოსაგან მოელიან 500 000 დოლარ საერთო შემოსავალს.

ცხენები და ჯორები ამ მეურნეობაში თითქმის მთლიანად შეცვლილი არიან ტრაქტორებით, სატვირთო მანქანებითა და ავტომობილებით. ხვნა, თესვა და საერთოდ მინდვრის ყველა სამუშაო, განსაკუთრებით კი პურის მოსავლის აღება დღედაღამ წარმოებს, ამასთან ღამით მანქანები მინდვრად პროჟექტორების შუქზე მუშაობენ. ნათესის უზარმაზარი ფართობები შესაძლებლობას აძლევს მანქანებს ძალიან დიდ შანძილზე იმუშაონ მოუბრუნებლად. მაგალითად, სამკალ-სალეწი მან-

ჭანები, თუ მათი გამოყენება მცენარის მდგომარეობის მიხედვით შეიძლება, 24 ფუტი სიგანით გადიან 20 მილ მანძილს, ე. ი. 30 ვერსზე ცოტა მეტს. წინათ ამ სამუშაოსათვის საჭირო იყო 40 ცხენი და კაცი. ძნის საკონავი მანქანები ტრაქტორს 4 ერთად მიჰყვება, ერთბაშად შიაქვს 40 ფუტი სიგანისა და 28 მილი სიგრძის ზოლი, ე. ი. დაახლოებით 42 ვერსის მანძილზე. ძნის საკონავი მანქანებით მოსავლის აღება იმ შემთხვევაში ხდება, თუ პური საკმაოდ მშრალი არ არის იმისათვის, რომ მკის ერთდროულად მისი გალეწვაც შეიძლებოდეს. მაშინ ძნის საკონავ მანქანას საკონავ აპარატს მოხსნიან და მომკილ პურს განსაკუთრებული კონვეიერის საშუალებით რიგებად აწყობენ. ამნაირად დაწყობილი პური მინდვრად რჩება 24 და 48 საათს, ამ ხნის განმავლობაში შრება, ხოლო ერთდროულად მოჭრილი სარეველა ბალახების თესლი მიწაზე ცვივა. შემდეგ გაუშვებენ სამკალ-სალეწ მანქანას; მას დანის ნაცვლად გაკეთებული აქვს თვითმიმწოდებელი, რომელიც გამშრალ პურს მიწიდან პირდაპირ აწვდის სალეწის დოლში. ამასთან მანქანაზე მუშაობს მხოლოდ ერთი ტრაქტორისტი და ერთი კაცი სალეწზე. მანქანაზე მეტი არავინ არის. სალეწიდან მარცვალი უშუალოდ იყრება 6 ტონის ტევადობის ვაგონ-საზიდრებში და ტრაქტორებით, რომლებსაც 10 ასეთი ვაგონი მიჰყავთ, გადაიზიდება ჩასაყრელ პუნქტებში. წერილში აღნიშნულია, რომ ასეთი მუშაობისას ყოველდღე ილეწება 16-დან 20 ათასამდე ბუშელი მარცვლეული» (იხ. «ნიჟნეე პოვოლჟიე» № 9, 1927 წ. სექტემბერი, გვ. 38 — 39).

აი ხორბლეულის კაპიტალისტური ტიპის ერთ-ერთი გიგანტი-მეურნეობის აღწერილობა. ასეთი გიგანტი-მეურნეობანი არსებობენ ჩრდილოეთ ამერიკაშიც და სამხრეთ ამერიკაშიც.

აქ ზოგი ამხანაგი ამბობდა, რომ პირობები ასეთ გიგანტურ მეურნეობათა განვითარებისათვის კაპიტალისტურ ქვეყნებში ყოველთვის როდია ხელსაყრელი, ან სავსებით როდია ხელსაყრელი, რის გამო ასეთი მეურნეობანი ზოგჯერ ქუცმაცდებიან უფრო ნაკლებად მსხვილ ერთეულებად 1 ათასიდან 5 ათას დესეტინამდე თვითეული. ეს სრული სიმართლეა.

ამის საფუძველზე ეს ამხანაგები ფიქრობენ, რომ მარცულეულის მსხვილ მეურნეობებს არც საბჭოთა პირობებში აქვთ მომავალი. ეს კი სრულებით არ არის მართალი.

ამ ამხანაგებს, ეტყობა, არ ესმით, ანდა ისინი ვერ ხედავენ განსხვავებას კაპიტალისტური წესწყობილებისა და საბჭოთა წესწყობილების პირობებს შორის. კაპიტალიზმის დროს არსებობს მიწის კერძო საკუთრება, მაშასადამე, მიწის აბსოლუტური რენტაც, რაც აძვირებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების თვითღირებულებას და გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნის მის სერიოზულ პროგრესს. საბჭოთა წესწყობილების დროს კი არც მიწის კერძო საკუთრება არსებობს და არც მიწის აბსოლუტური რენტა, რამაც არ შეიძლება არ გააიაფოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და, მაშასადამე, არ შეიძლება არ გააადვილოს გამსხვილერთეულებული სოფლის მეურნეობის წინსვლითი მოძრაობა ტექნიკური და ყოველი სხვა პროგრესის გზით.

შემდეგ, კაპიტალიზმის დროს მარცვლეულის მსხვილ მეურნეობებს მიზნად აქვთ მიიღონ მაქსიმუმი მოგება, ანდ, ყოველ შემთხვევაში, კაპიტალის ისეთი მოგება, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს მოგების ეგრეთწოდებულ საშუალო ნორმას, ურომლისოდაც მათ, საერთოდ რომ ვთქვათ, არ შეუძლიათ არსებობა შეინარჩუნონ. ამ გარემოებამ არ შეიძლება არ გააძვიროს წარმოება, რითაც იგი უაღრესად სერიოზულ დაბრკოლებებს ქმნის მარცვლეულის მსხვილ მეურნეობათა განვითარების გზაზე. საბჭოთა წესწყობილების დროს კი მარცვლეულის მსხვილ მეურნეობებს, რომლებიც ამავე დროს სახელმწიფო მეურნეობები არიან, სრულებითაც არ ესაჭიროებათ თავიანთი განვითარებისათვის არც მაქსიმუმი მოგება და არც საშუალო მოგება, არამედ შეუძლიათ დასჯერდნენ მხოლოდ მინიმუმ მოგებას (ხოლო ზოგჯერ შეუძლიათ ისეც წავიდნენ იოლად, რომ არავითარი მოგება არ მიიღონ), რაც მიწის

აბსოლუტური რენტის არარსებობასთან ერთად განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის მარცვლეულის მსხვილ მეურნეობათა განვითარებისათვის.

დასასრულ, კაპიტალიზმის დროს მარცვლეულის მსხვილი მეურნეობებისათვის არც შეღავათიანი კრედიტები არსებობს და არც შეღავათიანი გადასახადები, მაშინ როცა საბჭოთა წესწყობილების დროს, რომელიც სოციალისტური მეურნეობისათვის ყოველმხრივ დახმარებას გულისხმობს, ასეთი შეღავათები არსებობს და იარსებებს.

ყველა ეს და მათი მსგავსი პირობები ქმნიან საბჭოთა წესწყობილების დროს (კაპიტალისტური წესწყობილებისაგან განსხვავებით) ფრიად ხელსაყრელ ვითარებას, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ წინ წავწიოთ საბჭოთა მეურნეობების, როგორც მარცვლეულის მსხვილი მეურნეობების, განვითარების საქმე.

დასასრულ, საკითხი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, როგორც მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების დასაყრდენი პუნქტების, როგორც მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფისათვის საჭირო დასაყრდენი პუნქტების, შესახებ. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ჩვენი პერსპექტიული გეგმები. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გვესაჭიროება კიდევ იმისათვის, რომ სოფლად **უკვე ახლა** გვქონდეს სოციალისტური სამეურნეო დასაყრდენი პუნქტები, რომლებიც აუცილებელია მუშათა და გლეხთა კავშირის განსამტკიცებლად, აუცილებელია ამ კავშირში მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის უზრუნველსაყოფად. შეგვიძლია თუ არა უკვე ახლა ვიქონიოთ ასეთი დასაყრდენი პუნქტების შექმნისა და განვითარების იმედი? მე ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ და უნდა ვიქონიოთ ამის იმედი. «ხლებოცენტრი» [84]

იუწყება, რომ მას კოლმეურნეობებთან, არტელებთან და ამხანაგობებთან აქვს ხელშეკრულებანი, რომელთა მიხედვით უნდა მიიღოს მათგან 40 — 50 მილიონი ფუთი პური. რაც შეეხება საბჭოთა მეურნეობებს, ცნობები მოწმობენ, რომ ჩვენმა ძველმა და ახალმა საბჭოთა მეურნეობებმა წელს აგრეთვე უნდა მოგვცენ 25 — 30 მილიონი ფუთი სასაქონლო პური.

თუ ამას დავუმატებთ 30 — 35 მილიონ ფუთს, რაც უნდა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობებისაგან, რომლებიც მასთან დაკავშირებული არიან კონტრაქტაციის წესით, — ჩვენ გვექნება 100 მილიონ ფუთზე მეტი სავსებით უზრუნველყოფილი პური, რაც შეიძლება გამოვიყენოთ ერთგვარ რეზერვად საშინაო ბაზარზე მაინც. ეს ცოტა რამ მაინც არის.

აი სოფლად ჩვენი სოციალისტური სამეურნეო დასაყრდენი პუნქტების **პირველი შედეგები.**

აქედან კი რა გამოდის? აქედან ის გამოდის, რომ მართალი არ არიან ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ მუშათა კლასი სოფლად უმწეოა თავისი სოციალისტური პოზიციების დაცვის საქმეში, რომ მას თითქოს დარჩენია მხოლოდ ერთი რამ: დაუსრულებლად უთმობდეს და განუწყვეტლივ აბარებდეს თავის პოზიციებს კაპიტალისტურ ელემენტებს. არა, ამხანაგებო, ეს მართალი არ არის. მუშათა კლასი არც ისე სუსტია სოფლად, როგორც ეს შეიძლება ეჩვენოს ზერელე დამკვირვებელს. ამ უნუგეშო ფილოსოფიას ბოლშევიზმთან საერთო არა აქვს რა. მუშათა კლასს სოფლად აქვს მთელი რიგი **სამეურნეო** დასაყრდენი პუნქტები საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, მომმარაგებელ-გამსაღებელი კოოპერაციის სახით, რომლებზე დაყრდნობითაც მას შეუძლია განამტკიცოს კავშირი სოფელთან, მოახდინოს კულაკის იზოლაცია და უზრუნველყოს თავისი ხელმძღვანელობა. მუშათა კლასს, დასასრულ, სოფ-

ლად აქვს მთელი რიგი **პოლიტიკური** დასაყრდენი პუნქტები საბჭოების სახით, ორგანიზებული ღარიბი გლეხობის სახით და სხვ., რომლებზე დაყრდნობითაც მას შეუძლია განამტკიცოს თავისი პოზიციები სოფლად.

სოფლად ამ სამეურნეო და პოლიტიკურ ბაზებზე დაყრდნობით და პროლეტარული დიქტატურის განკარგულებაში არსებული მთელი საშუალებებისა და ძალების (მბრძანებელი მაღლობები და სხვ.) გამოყენებით პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლიათ მტკიცე რწმენით წარმართონ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის საქმე, თანდათანობით განამტკიცებენ რა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, თანდათანობით განამტკიცებენ რა მუშათა კლასის ხელმძღვანელობას ამ კავშირში.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ გლეხობაში მუშაობას. წესად უნდა მივიღოთ, რომ რაც უკეთესად და უფრო წარმატებით წარმოებს ჩვენი მუშაობა ღარიბ გლეხობაში, მით უფრო დიდია საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი სოფლად, და პირიქით, რაც უფრო ცუდად გვაქვს საქმე ღარიბ გლეხობასთან, მით უფრო მცირეა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ საშუალო გლეხთან კავშირზე. მაგრამ ჩვენს პირობებში ეს კავშირი რომ განვამტკიცოთ, საჭიროა ვაწარმოოთ გადამწყვეტი ბრძოლა კულაკობასთან, სოფლად კაპიტალისტურ ელემენტებთან. ამიტომ ჩვენი პარტიის XV ყრილობა სავსებით მართალი იყო, როცა მოგვცა კულაკობაზე შეტევის გაძლიერების ლოზუნგი. მაგრამ განა შეიძლება წარმატებით ვაწარმოოთ ბრძოლა კულაკობასთან, თუ გაძლიერებული მუშაობა არ ვაწარმოეთ ღარიბ გლეხობაში, თუ ღარიბი გლეხობა არ ავამხედრეთ კულაკობის წინააღმდეგ, თუ სისტემატური დახმარება არ გავუწიეთ ღარიბ გლეხობას? ცხადია, არ შეიძლება! საშუალო გლეხი მერყევი კლასია. თუ ღარიბ გლეხობასთან საქმე ცუდად

გვაქვს, თუ ღარიბი გლეხობა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზებულ დასაყრდენს, — კულაკი ძლიერად გრძნობს თავს, საშუალო გლეხი კულაკისაკენ იხრება. და პირიქით: თუ ღარიბ გლეხობასთან საქმე კარგად გვაქვს, თუ ღარიბი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზებულ დასაყრდენს წარმოადგენს, — კულაკი ალყაშემორტყმულად გრძნობს თავს, საშუალო გლეხი მუშათა კლასისაკენ იხრება.

აი რატომ ვფიქრობ მე, რომ ღარიბ გლეხობაში მუშაობის გაძლიერება, ღარიბი გლეხობისათვის სისტემატური დახმარების მოწყობა, დასასრულ, თვით ღარიბი გლეხობის გადაქცევა სოფლად მუშათა კლასის ორგანიზებულ დასაყრდენად, — ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უალრესად არსებითი მორიგი ამოცანაა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ

მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე

1928 წ. 13 ივლისი

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ეს-არის ახლა დამთავრდა, თავის მუშაობას ეწეოდა საკითხთა ორი ჯგუფის ხაზით.

საკითხთა პირველ ჯგუფს შეადგენენ საკითხები, რომლებიც ეხებიან კომუნისტური ინტერნაციონალის ძირითად პრობლემებს მომავალ VI კონგრესთან დაკავშირებით.

მეორე ჯგუფს — საკითხები, რომლებიც ეხებიან სსრ კავშირში ჩვენი მშენებლობის საქმეს სასოფლო-სამეურნეო ხაზით, — პურის პრობლემა და პურის დამზადება, — და ჩვენი მრეწველობის ტექნიკური ინტელიგენციით, მუშათა კლასიდან გამოსული ინტელიგენციის კადრებით უზრუნველყოფის ხაზით.

დავიწყოთ საკითხთა პირველი ჯგუფით.

I

კომინტერნის საკითხები

1. კომინტერნის VI კონგრესის ძირითადი პრობლემები

რა ძირითადი პრობლემები დგას ამჟამად კომინტერნის VI კონგრესის წინაშე?

თუ მხედველობაში მივიღებთ მეხუთე კონგრესსა და მეექვსე კონგრესს შორის განვლილ ეტაპს, მაშინ, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ იმ წინააღმდეგობებზე, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში იმპერიალისტთა ბანაკში მომწიფდა.

რა წინააღმდეგობებია ეს?

მაშინ, მეხუთე კონგრესის წინ, ჩვენში ჯერ კიდევ ცოტას ლაპარაკობდნენ ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობაზე, როგორც ძირითად წინააღმდეგობაზე. მაშინ ჩვეულებრივ ლაპარაკობდნენ ინგლის-ამერიკის კავშირზეც კი. მაგრამ სამაგიეროდ მით უფრო ხალისით ლაპარაკობდნენ წინააღმდეგობებზე ინგლისსა და საფრანგეთს შორის, ამერიკასა და იაპონიას შორის, გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს შორის. განსხვავება მაშინდელ პერიოდსა და ახლანდელ პერიოდს შორის ის არის, რომ კაპიტალისტთა ბანაკში არსებულ მთელ რიგ წინააღმდეგობათაგან ძირითადი წინააღმდეგობა გახდა წინააღმდეგობა ამერიკის კაპიტალიზმსა და ინგლისის კაპიტალიზმს შორის. აიღებთ ნავთის საკითხს, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც კაპიტალისტური მეურნეობის მშენებლობისათვის, ისე ომისათვის; აიღებთ საკითხს საქონლის გასაღების ბაზრების შესახებ, რომლებსაც უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა აქვთ მსოფლიო კაპიტალიზმის არსებობისა და განვითარებისათვის, ვინაიდან არ შეიძლება საქონლის წარმოება, თუ უზრუნველყოფილი არ არის ამ საქონლის გასაღება; აიღებთ ბაზრების საკითხს კაპიტალის გატანისათვის, რაც იმპერია-

ლისტური ეტაპის ყველაზე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს; თუ, ბოლოს, აიღებთ გასაღების ბაზრებისაკენ ან ნედლეულის ბაზრებისაკენ მიმავალი გზების საკითხს, — ყველა ამ ძირითად საკითხს მივყავართ ერთი ძირითადი პრობლემისაკენ, მსოფლიო ჰეგემონიისათვის ინგლისსა და ამერიკას შორის ბრძოლის პრობლემისაკენ. სადაც უნდა შეჰყოს ცხვირი ამერიკამ, ამ გიგანტურად მზარდი კაპიტალიზმის ქვეყანამ, ჩინეთში, კოლონიებში, სამხრეთ ამერიკასა თუ აფრიკაში, — იგი ყველგან აწყდება უდიდეს დაბრკოლებებს ინგლისის წინასწარ გამაგრებული პოზიციების სახით.

ამით, რა თქმა უნდა, არ ისპობა დანარჩენი წინააღმდეგობანი კაპიტალიზმის ბანაკში: ამერიკასა და იაპონიას, ინგლისსა და საფრანგეთს, საფრანგეთსა და იტალიას, გერმანიასა და საფრანგეთს შორის და ა. შ.. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ეს წინააღმდეგობანი ასე თუ ისე ეხებიან ძირითად წინააღმდეგობას, რაც არსებობს კაპიტალისტურ ინგლისსა და კაპიტალისტურ ამერიკას შორის, რომელთაგან პირველის ვარსკვლავი ჩადის, მეორისა კი ამოდის.

რა მოჰყვება ამ ძირითად წინააღმდეგობას? მას, ალბათ, ომი მოჰყვება. როცა ორი გიგანტი ერთმანეთს ეჯახება, როცა ისინი ვიწროდ გრძნობენ თავს დედამიწაზე, ისინი ცდილობენ ერთმანეთს შეეჭიდონ იმისათვის, რომ ომის გზით გადაჭრან სადავო საკითხი მსოფლიო ჰეგემონიის შესახებ.

ეს არის პირველი, რაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ.

მეორე წინააღმდეგობაა წინააღმდეგობა იმპერიალიზმსა და კოლონიებს შორის. ეს წინააღმდეგობა V კონგრესის დროისთვისაც არსებობდა. მაგრამ მან მხოლოდ ახლა მიიღო მწვავე ხასიათი. მაშინ კიდევ ისე მძლავრად განვითარებული არ იყო ჩინეთის რევოლუციური მოძრაობა, ისე მძლავრად ამოძრავებული არ იყვნენ ჩინელ მუშათა და

გლეხთა მილიონიანი მასები, როგორც ეს იყო ერთი წლის წინათ და არის ახლა. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. მაშინ, კომინტერნის V კონგრესის დროს, აგრეთვე ისე ძლიერ გაცხოველებული არ იყო მუშათა მოძრაობა და ნაციონალური განმათავისუფლებელი ბრძოლა ინდოეთში, როგორც ახლაა. ეს ორი ძირითადი ფაქტი მკვეთრად აყენებს კოლონიებისა და ნახევრად-კოლონიების საკითხს.

რა მოჰყვება ამ წინააღმდეგობის ზრდას? მას მოჰყვება განმათავისუფლებელი ნაციონალური ომები კოლონიებში და ინტერვენცია იმპერიალიზმის მხრივ.

ეს გარემოებაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ.

დასასრულ, მესამე წინააღმდეგობაა წინააღმდეგობა კაპიტალისტურ სამყაროსა და სსრ კავშირს შორის, წინააღმდეგობა, რომელიც კი არ სუსტდება, არამედ ძლიერდება. თუ კომინტერნის V კონგრესის დროს შეიძლებოდა თქმა, რომ დამყარდა ერთგვარი, მართალია, მერყევი, მაგრამ ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი წონასწორობა ორ სამყაროს, ორ ანტიპოდს შორის, საბჭოების სამყაროსა და კაპიტალიზმის სამყაროს შორის, ახლა ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცებდეთ, რომ ამ წონასწორობის ვადები დასასრულს უახლოვდება.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ამ წინააღმდეგობის ზრდა არ შეიძლება არ შეიცავდეს სამხედრო ინტერვენციის საფრთხეს.

უნდა ვიფიქროთ, რომ VI კონგრესი მხედველობაში მიიღებს ამ გარემოებასაც.

ამრიგად, ყველა ამ წინააღმდეგობას გარდუვალად მივყავართ ერთი ძირითადი საფრთხისაკენ, — ახალი იმპერიალისტური ომებისა და ინტერვენციების საფრთხისაკენ.

ამიტომ ახალი იმპერიალისტური ომებისა და ინტერვენციების საფრთხე თანამედროვეობის ძირითადი საკითხია.

მუშათა კლასის მიძინებისა და ომის საფრთხესთან ბრძოლისაგან მისი ყურადღების ჩამოშორების ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ახლანდელი ბურჟუაზიული პაციფიზმი თავისი ერთა ლიგით, «მშვიდობის» ქადაგებით, ომის «აკრძალვით», «განიარაღებაზე» ლაყბობით და სხვ.

ბევრს ჰგონია, რომ იმპერიალისტური პაციფიზმი მშვიდობის ინსტრუმენტია. ეს სრულებით არ არის სწორი. იმპერიალისტური პაციფიზმი არის ინსტრუმენტი ომის მომზადებისა და ამ მომზადების დაფარვისა ფარისევლური ფრაზებით მშვიდობის შესახებ. ასეთი პაციფიზმის და მისი ინსტრუმენტის, ერთა ლიგის გარეშე ომების მომზადება ახლანდელ პირობებში შეუძლებელია.

არიან გულუბრყვილო ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რაკი არსებობს იმპერიალისტური პაციფიზმი, ეს იმას ნიშნავს, რომ ომი აღარ იქნება. ეს სრულებით არ არის სწორი. პირიქით, ვისაც სურს სიმართლე გაიგოს, მან უნდა შეაბრუნოს ეს დებულება და თქვას: ვინაიდან იფურჩქნება იმპერიალისტური პაციფიზმი თავისი ერთა ლიგით, უეჭველად იქნება ახალი იმპერიალისტური ომები და ინტერვენციები.

და ყოველივე ამაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სოციალ-დემოკრატია იმპერიალისტური პაციფიზმის მთავარი გამტარებელია მუშათა კლასში, — მაშასადამე, ის არის კაპიტალიზმის ძირითადი დასაყრდენი მუშათა კლასში ახალი ომებისა და ინტერვენციების მომზადების საქმეში.

მაგრამ ახალი ომების მოსამზადებლად მარტო პაციფიზმი არ კმარა, მაშინაც კი, თუ მას, ამ პაციფიზმს, მხარს უჭერს ისეთი სერიოზული ძალა, როგორიც არის სოციალ-დემოკრატია. ამისათვის საჭიროა კიდევ ზოგიერთი საშუალება იმპერიალიზმის ცენტრებში მასების დასათრგუნავად. არ შეიძლება იმპერიალიზმისათვის ომის წარმოება იმპერია-

ლიზმის ზურგის გაუმაგრებლად. არ შეიძლება იმპერიალიზმის ზურგის გამაგრება მუშების დაუთრგუნავად. სწორედ ამისთვის არსებობს ფაშიზმი.

აქედან გამომდინარეობს კაპიტალიზმის ქვეყნებში შინაგან წინააღმდეგობათა, შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობათა გამწვავება.

ერთი მხრივ, სოციალ-დემოკრატიის პირით იქადაგონ პაციფიზმი, რათა მით უფრო წარმატებით ემზადონ ახალი ომებისათვის; მეორე მხრივ, ფაშისტური მეთოდების გამოყენებით დათრგუნონ მუშათა კლასი ზურგში, კომუნისტური პარტიები ზურგში, რათა მით უფრო წარმატებით აწარმოონ შემდეგ ომი, ინტერვენცია, — ასეთია ახალი ომების მომზადების გზა.

აქედან გამომდინარეობს კომუნისტური პარტიების ამოცანები:

ჯერ-ერთი, დაუღალავად იბრძოლონ სოციალ-დემოკრატიზმის წინააღმდეგ ყველა ხაზით, ეკონომიური ხაზითაც, პოლიტიკური ხაზითაც, ბურჟუაზიული პაციფიზმის მხილების ჩათვლით, ამასთან ამოცანად დაისახონ კომუნიზმის მხარეზე მუშათა კლასის უმრავლესობის გადაყვანა.

მეორეც, შექმნან მოწინავე ქვეყნების მუშებისა და კოლონიების მშრომელი მასების ერთიანი ფრონტი იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ ომის საფრთხე, ან, როცა ომი დაიწყება, გადააქციონ იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად, გაანადგურონ ფაშიზმი, დაამხონ კაპიტალიზმი, დაამყარონ საბჭოთა ხელისუფლება, გაათავისუფლონ კოლონიები მონობისაგან, მოაწყონ მსოფლიოში პირველი საბჭოთა რესპუბლიკის დაცვა ყველა ღონისძიებით.

ასეთია VI კონგრესის წინაშე მდგომი ძირითადი პრობლემები და ამოცანები.

ეს პრობლემები და ამოცანები გათვალისწინებული აქვს კომინტერნის აღმასკომს, რაშიაც ადვილად დარწმუნდებით,

თუ გადაათვალიერებთ კომინტერნის VI კონგრესის დღის წესრიგს.

2. კომინტერნის პროგრამა

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ძირითადი პრობლემების საკითხთან მჭიდროდ დაკავშირებულია კომინტერნის პროგრამის საკითხი.

კომინტერნის პროგრამის უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი მეცნიერულად აყალიბებს კომუნისტური მოძრაობის ძირითად ამოცანებს, სახავს ამ ამოცანების გადაჭრის ძირითად გზებს და, ამრიგად, ქმნის კომინტერნის სექციებისათვის მიზნებისა და საშუალებების იმ სიცხადეს, ურომლისოდაც შეუძლებელია რწმენით წინსვლა.

რამდენიმე სიტყვა კომინტერნის პროგრამის იმ პროექტის თავისებურებათა შესახებ, რომელიც წარმოადგინა კომინტერნის აღმასკომის საპროგრამო კომისიამ. შეიძლება აღინიშნოს, სულ ცოტა, შვიდი ასეთი თავისებურება.

1) პროექტი იძლევა პროგრამას არა ამა თუ იმ ცალკეული ნაციონალური კომპარტიებისათვის, არამედ ყველა კომპარტიისათვის ერთად და შეიცავს მათთვის საერთოსა და ძირითადს. აქედან გამომდინარეობს მისი პრინციპულ-თეორიული ხასიათი.

2) წინათ პროგრამას ჩვეულებრივად «ცივილიზებული» ერებისათვის ადგენდნენ. ამისაგან განსხვავებით პროგრამის პროექტს მხედველობაში ჰყავს მსოფლიოს ყველა ერი, თეთრკანიანებიც და შავკანიანებიც, მეტროპოლიებიც და კოლონიებიც. აქედან გამომდინარეობს მისი ყოვლისმომცველი, ღრმა ინტერნაციონალური ხასიათი.

3) პროექტს გამოსავალ პუნქტად აღებული აქვს არა ამა თუ იმ ქვეყნის ან დედამიწის ნაწილის ესა თუ ის კაპიტა-

ლიზმი, არამედ კაპიტალიზმის მთელი მსოფლიო სისტემა, და ამ სისტემას უპირდაპირებს სოციალისტური მეურნეობის მსოფლიო სისტემას. აქედან გამომდინარეობს ამ პროგრამის განსხვავება დღემდე არსებული ყველა პროგრამისაგან.

4) პროექტი ემყარება კაპიტალიზმის ქვეყნების განვითარების უთანაბრობას და ის დასკვნა გამოჰყავს, რომ შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ ქვეყნებში, მიდის რა იმ პერსპექტივამდე, რომ შეიქმნება მიზიდულობის ორი პარალელური ცენტრი — მსოფლიო კაპიტალიზმის ცენტრი და მსოფლიო სოციალიზმის ცენტრი.

5) ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის ნაცვლად პროექტი აყენებს იმპერიალისტური სისტემისაგან ჩამოშორებული და ჩამოშორების პროცესში მყოფი განვითარებული ქვეყნებისა და კოლონიების საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის ლოზუნგს, ფედერაციისა, რომელიც თავის ბრძოლაში მსოფლიო სოციალიზმისათვის დაუპირდაპირდება მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემას.

6) პროექტი ყურადღებას ამახვილებს სოციალ-დემოკრატიის, როგორც მუშათა კლასში კაპიტალიზმის ძირითადი დასაყრდენისა და როგორც კომუნიზმის მთავარი მტრის, წინააღმდეგ, ვინაიდან თვლის, რომ ყველა დანარჩენი მიმდინარეობანი მუშათა კლასში (ანარქიზმი, ანარქო-სინდიკალიზმი, გილდიური სოციალიზმი[55] და სხვ.) არსებითად იმავე სოციალ-დემოკრატიზმის ნაირსახეობას წარმოადგენენ.

7) პროექტი პირველ რიგში აყენებს კომუნისტური პარტიების განმტკიცებას როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, როგორც პროლეტარიატის ჰეგემონიის, შემდეგ კი პროლეტარიატის დიქტატურის უზრუნველყოფის წინასწარ პირობას.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ძირითადად მოიწონა კომინტერნის პროგრამის პროექტი და დაავალა იმ ამხანა-

გებს, რომლებსაც პროექტის ცალკეული შესწორებანი აქვთ, წარუდგინონ ისინი VI კონგრესის საპროგრამო კომისიას.

ასეთია საქმის ვითარება კომინტერნის საკითხების მხრივ.

ახლა გადავიდეთ ჩვენი სამინაო მშენებლობის საკითხებზე.

II

სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის საკითხები

1. პურის დამზადების პოლიტიკის საკითხი

ნება მიბოძეთ მოვიყვანო პატარა ისტორიული ცნობა.

რა გვქონდა ჩვენ მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის? პარტიული დოკუმენტებიდან თქვენ იცით, რომ მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის გასულ წელთან შედარებით ჩვენ 128 მილიონი ფუთი პურის დეფიციტი გვქონდა. ამ მოვლენის მიზეზების შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებ: ისინი მოყვანილია ცნობილ პარტიულ დოკუმენტებში, რომლებიც პრესაში გამოქვეყნდა. ჩვენთვის ახლა მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ გვქონდა 128 მილიონი ფუთი პურის დეფიციტი. ამავე დროს გაზაფხულის უგზოობამდე სულ 2 — 3 თვეღა რჩებოდა. ამრიგად, ჩვენ ვიდექით ასეთი არჩევანის წინაშე: ან აგვენაზღაურებინა დაკარგული და მომავლისათვის შეგვექმნა პურის დამზადების ნორმალური ტემპი, ან დავმდგარიყავით მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის სერიოზული კრიზისის გარდუვალობის წინაშე.

რა უნდა გაგვეკეთებინა იმისათვის, რომ აგვენაზღაურებინა დაკარგული? საჭირო იყო, უწინარეს ყოვლისა, იერიში მიგვეტანა კულაკებსა და სპეკულანტებზე, რომლებიც პურის ფასებს ბერავდნენ და დამშევით ემუქრებოდნენ ქვეყა-

ნას. საჭირო იყო, მეორე მხრივ, რაც შეიძლება მეტი საქონელი შეგვეტანა პურის რაიონებში. ბოლოს, საჭირო იყო ფეხზე დაგვეყენებინა ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, შეგვექმნა გარდატეხა მთელ ჩვენს მუშაობაში პურის დამზადების ხაზით, პრაქტიკიდან განგვედევნა თვითდინება. ამრიგად, ჩვენ იძულებული ვიყავით მიგვემართა საგანგებო ზომებისათვის. მიღებულმა ზომებმა თავისი გავლენა იქონიეს, ჩვენ შევძელით მარტის დამლევისათვის 275 მილიონი ფუთი პურის შეგროვება. ჩვენ არა მარტო ავანაზღაურეთ დაკარგული, არა მარტო თავიდან ავიცილეთ საერთო-სამეურნეო კრიზისი, არა მარტო მივაღწიეთ პურის დამზადების შარშანდელ ტემპს, არამედ ყველა შესაძლებლობა გვქონდა უმტკივნეულოდ დაგვეღწია თავი დამზადების კრიზისისათვის, შემდეგ თვეებში (აპრილი, მაისი, ივნისი) რომ შეგვენარჩუნებინა პურის დამზადების რამდენადმე მაინც ნორმალური ტემპი.

მაგრამ უკრაინის სამხრეთ ნაწილში და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიაში შემოდგომის ნათესების დაღუპვის შედეგად, უკრაინა მთლიანად, ხოლო ჩრდილოეთი კავკასია ნაწილობრივ გამოაკლდნენ პურის მომწოდებელი რაიონების რიცხვს, რითაც რესპუბლიკამ 2 — 3 ათეული მილიონი ფუთი პური დაკარგა. ამ გარემოებამ, იმასთან ერთად, რომ ჩვენ დავუშვით პურის გადახარჯვა, დაგვაყენა იმის აუცილებლობის წინაშე, რომ უფრო მაგრად მოგვეკიდა ხელი დანარჩენი რაიონებისათვის და, ამრიგად, შევხებოდით გლეხობის დასაზღვევ ფონდებს, რასაც არ შეიძლებოდა არ გაეუარესებინა მდგომარეობა.

თუ იანვარ-მარტში შევძელით თითქმის 300 მილიონი ფუთი პურის შეგროვება, როცა საქმე გვქონდა გლეხობის **სამანევრო** მარაგთან, სამაგიეროდ აპრილ-ივნისში ასი მილიონი ფუთიც კი ვერ შევაგროვეთ იმის გამო, რომ აქ იძულებული გავხდით შევხებოდით გლეხობის **დასაზღვევ** მა-

რაგს, ისეთ პირობებში, როცა ჯერ კიდევ გამორკვეული არ იყო, თუ როგორი მოსავალი იქნებოდა. პურის შეგროვება კი მაინც საჭირო იყო. აქედან გამომდინარეობს საგანგებო ზომების განმეორებითი რეციდივები, ადმინისტრაციული თვითნებობა, რევოლუციური კანონიერების დარღვევა, კომლთა ჩამოვლა, უკანონო ჩხრეკა და სხვ., რამაც გააუარესა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა და საფრთხე შეუქმნა მუშათა და გლეხთა კავშირს.

იყო თუ არა ეს გათიშვა? არა, ეს არ იყო გათიშვა. იქნებ ეს სრულიად უმნიშვნელო რამ იყო? არა, ეს არ ყოფილა უმნიშვნელო რამ. ეს იყო საფრთხე მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ ჩვენი პარტიის ზოგიერთ მუშაკს არ ეყო სიმშვიდე და სიმტკიცე იმისათვის, რომ ფხიზლად და გადაუჭარბებლად შეეფასებინა შექმნილი მდგომარეობა.

შემდეგში იმ გარემოებამ, რომ მოსავალს კარგი პირი უჩანდა და საგანგებო ზომები ნაწილობრივ მოიხსნა, გამოიწვია დამშვიდება და გააუმჯობესა მდგომარეობა.

რაში მდგომარეობს პურის ფრონტზე ჩვენი სიძნელეების არსი? სად არის ამ სიძნელეთა საფუძველი? განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენ ახლა მარცვლეული პურის ნათესი ფართობები თითქმის ისეთივე გვაქვს, როგორიც ომამდე იყო (სულ 5 პროცენტით ნაკლები)? განა ფაქტი არ არის, რომ ჩვენ ახლა თითქმის იმდენივე პური მოგვყავს, რამდენიც ომამდე მოგვყავდა (5 მილიარდამდე, სულ 200 — 300 მილიონით ნაკლები)? რით აიხსნება, რომ, მიუხედავად ამ გარემოებისა, ჩვენ ერთიორად ნაკლები სასაქონლო პური მოგვყავს, ვიდრე ომამდე?

ეს აიხსნება ჩვენი სოფლის მეურნეობის დაქუცმაცებით. თუ ომამდე 16 მილიონამდე გლეხური მეურნეობა იყო, ახლა სულ ცოტა 24 მილიონია, ამასთან ყველაფრიდან ჩანს, რომ გლეხური მეურნეობების და გლეხთა მიწის ნაკვეთე-

ბის შემდგომი დაჭუცმაცება არ წყდება. ხოლო რა არის წვრილი გლეხური მეურნეობა? ეს არის ყველაზე ნაკლებად სასაქონლო, ყველაზე ნაკლებად რენტაბელური და ყველაზე მეტად ნატურალური, სამომხმარებლო მეურნეობა, რომელიც საქონლიანობის სულ რაღაც 12 — 15 პროცენტს იძლევა. ამავე დროს კი ქალაქები და მრეწველობა ჩვენში სწრაფად იზრდებიან, მშენებლობა ვითარდება და სასაქონლო პურზე მოთხოვნილება წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდება. აი სად არის პურის ფრონტზე არსებული ჩვენი სიძნელეების საფუძველი.

აი რას ამბობს ამ საკითხზე ლენინი თავის სიტყვაში «სასურსათო გადასახადის შესახებ»:

«თუ გლეხურ მეურნეობას შეუძლია კვლავაც განვითარდეს, საჭიროა მტკიცედ უზრუნველვყოთ შემდგომი გადასვლაც, ხოლო შემდგომი გადასვლა აუცილებლად იმაში მდგომარეობს, რომ ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელი და ყველაზე მეტად ჩამორჩენილი, წვრილი, განკერძოებული გლეხური მეურნეობა თანდათანობით გაერთიანდეს და მოაწყოს საზოგადოებრივი მსხვილი სამიწათმოქმედო მეურნეობა. ყოველთვის ასე ჰქონდათ წარმოდგენილი ყოველივე ეს სოციალისტებს. სწორედ ასე უყურებს ამას ჩვენი კომუნისტური პარტიაც» (ტ. XXVI, გვ. 299).

აი, თურმე, რაში მდგომარეობს პურის ფრონტზე არსებული ჩვენი სიძნელეების საფუძველი.

სად არის გამოსავალი მდგომარეობიდან?

გამოსავალია, ჯერ-ერთი, ის, რომ წინ წავწიოთ წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობა, რისთვისაც გავუწიოთ მას ყოველგვარი დახმარება მისი მოსავლიანობის, მისი ნაყოფიერების განვითარების საქმეში. შევცვალოთ კავი გუთნით, მივცეთ გლეხს წმინდა ჯიშის თესლი, მოვამარაგოთ სასუქით, მოვამარაგოთ წვრილი ტიპის მანქანებით, ჩავაბათ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობანი კოოპერაციის ფართო ქსელში, დავდოთ ხელშეკრულებანი (კონტრაქტა-

ციები) მთელ სოფლებთან, — ასეთია ამოცანა. არსებობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციასა და მთელ სოფლებს შორის ხელშეკრულებათა დადების ასეთი წესი, რომლის მიზანია გლეხობის მომარაგება თესლეულით, ამრიგად, უფრო მეტი შედეგის მიღება მოსავლიანობის ხაზით, გლეხების მხრივ სახელმწიფოსათვის პურის თავის დროზე მიწოდების უზრუნველყოფა, ამაში მათთვის პრემიის მიცემა საკონვენციო ფასზე ერთგვარი დამატების სახით და სახელმწიფოსა და გლეხობას შორის მტკიცე ურთიერთობის შექმნა. გამოცდილება მოწმობს, რომ ეს მეთოდი საგრძნობ ეფექტს იძლევა.

არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ინდივიდუალურმა გლეხურმა მეურნეობამ თავისი დრო მოჭამა, რომ არ ღირს ხელი შევუწყოთ მას. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ამ ადამიანებს ჩვენი პარტიის ხაზთან საერთო არა აქვთ რა.

არიან, მეორე მხრივ, ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა საერთოდ სოფლის მეურნეობის თავი და ბოლოა. არც ეს არის სწორი. უფრო მეტიც, ასეთი ადამიანები აშკარად სცოდავენ ლენინიზმის საფუძვლების წინააღმდეგ.

ჩვენ არ გვესაჭიროება ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის არც მძაგებელნი და არც ხოტბის შემსხმელნი. ჩვენ გვესაჭიროება ფხიზელი პოლიტიკოსები, რომლებსაც უნარი აქვთ მიიღონ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობისაგან იმის მაქსიმუმი, რის მიღებაც შეიძლება, და ამასთანავე უნარი აქვთ თანდათანობით გადაიყვანონ ინდივიდუალური მეურნეობა კოლექტივიზმის რელსებზე.

მეორეც, გამოსავალი ის არის, რომ განკერძოებული წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობანი თანდათან გავაერთიანოთ მსხვილ კოლექტივებად და ამხანაგობებად, როგორც სრულიად ნებაყოფლობით გაერთიანებებად,

რომლებიც იმუშავებენ ახალი ტექნიკის ბაზაზე, ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების ბაზაზე.

რაში მდგომარეობს კოლმეურნეობათა უპირატესობა წვრილი მეურნეობების წინაშე? იმაში, რომ ისინი მსხვილი მეურნეობები არიან და ამიტომ შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევა, ისინი უფრო რენტაბელური და გამძლე არიან, ისინი უფრო ნაყოფიერი და სასაქონლო არიან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ კოლმეურნეობათა საქონლიანობა 30-დან 35-მდე პროცენტია, ხოლო მათი მოსავლიანობა დესეტინაზე ზოგჯერ აღწევს 200 ფუთს და მეტსაც.

ბოლოს, გამოსავალი ის არის, რომ გავაუმჯობესოთ ძველი საბჭოთა მეურნეობანი და მოვაწყოთ ახალი მსხვილი საბჭოთა მეურნეობანი. უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა მეურნეობანი ყველაზე უფრო სასაქონლო სამეურნეო ერთეულებს წარმოადგენენ. ჩვენში არიან საბჭოთა მეურნეობანი, რომლებიც სულ ცოტა 60 პროცენტ საქონლიანობას იძლევიან.

ამოცანა ის არის, რომ სწორად შევახამოთ სამივე ეს ამოცანა და გავაჩაღოთ გაძლიერებული მუშაობა სამივე ამ მიმართულებით.

ახლანდელი მომენტის თავისებურება ის არის, რომ პირველი ამოცანის შესრულება — ინდივიდუალური წვრილი და საშუალო გლეხური მეურნეობისათვის ხელის შეწყობა, რაც სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენი მუშაობის ჯერ კიდევ მთავარ ამოცანას წარმოადგენს, აღარ კმარა საერთო ამოცანის მთლიანად გადაჭრისათვის.

ახლანდელი მომენტის თავისებურება ის არის, რომ პირველ ამოცანას დავუმატოთ ორი ახალი პრაქტიკული ამოცანა: კოლმეურნეობათა განვითარებისა და საბჭოთა მეურნეობების საქმის გაუმჯობესების ამოცანები.

მაგრამ, ძირითად მიზეზებს გარდა, არსებობს კიდევ სპეციფიკური მიზეზები, დროებითი მიზეზები, რომლებმაც დამზადების დარგში ჩვენი სიძნელენი დამზადების კრიზისად აქციეს. რა მიზეზებია ეს? ასეთ მიზეზებად ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციას მიაჩნია:

ა) საბაზრო წონასწორობის დარღვევა და ამ დარღვევის გამწვავება სამრეწველო საქონლის მიწოდებასთან შედარებით გლეხობის გადამხდელუნარიანი მოთხოვნილების უფრო სწრაფი ზრდის გამო, რაც გამოწვეულია იმით, რომ რამდენიმე კარგი მოსავლის მეოხებით გადიდდა სოფლის შემოსავლიანობა, განსაკუთრებით გადიდდა სოფლის შეძლებული და კულაკური ფენების შემოსავლიანობა;

ბ) პურის ფასების არახელსაყრელი შეფარდება სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ფასებთან შედარებით, რაც ასუსტებდა გარდამეტი პურის რეალიზაციის სტიმულს, მაგრამ რის შეცვლაც პარტიას წლევანდელ გაზაფხულზე არ შეეძლო, სოფლის ხელმოკლე ფენების ინტერესების შეულახავად;

გ) გეგმიანი ხელმძღვანელობის შეცდომები, უმთავრესად თავის დროზე საქონლის შეტანისა და გადასახადით დაბეგვრის ხაზით (სოფლის შეძლებული ფენების მცირე გადასახადით დაბეგვრა), აგრეთვე პურის არასწორად ხარჯვის ხაზით;

დ) დამამზადებელი, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ნაკლოვანებანი (ერთიანი ფრონტის უქონლობა, აქტივობის უქონლობა, თვითდინებაზე დანდობა);

ე) რევოლუციური კანონიერების დარღვევა, ადმინისტრაციული თვითნებობა, კომლთა ჩამოვლა, ადგილობრივი ბაზრების ნაწილობრივ დახურვა და სხვ.;

ვ) ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების მიერ (კულაკები, სპეკულანტები) მთელი ამ მინუსების გამოყენება პურის დამზადებისათვის ძირის გამოსათხრელად

და ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური მდგომარეობის გასაუარესებლად.

თუ ზოგადი ხასიათის მიზეზების ლიკვიდაციისათვის საჭიროა მთელი რიგი წლები, სპეციფიკური, დროებითი ხასიათის მიზეზების აღმოფხვრა სავსებით შესაძლებელია ახლავე, იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ პურის დამზადების კრიზისის განმეორების შესაძლებლობა.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ეს სპეციფიკური მიზეზები?

ამისათვის აუცილებელია:

ა) დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას კომლთა ჩამოვლის, უკანონო ჩხრეკისა და რევოლუციური კანონიერების ყოველგვარი დარღვევის პრაქტიკა;

ბ) დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას სასურსათო გაწერის ყველა და ყოველგვარი რეციდივები და ბაზრების დახურვის ყოველგვარი ცდები, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს მხრივ ვაჭრობის რეგულირების მოქნილი ფორმები;

გ) რამდენადმე გადიდდეს პურის ფასები, მეტ-ნაკლებად რაიონებისა და მარცვლეული კულტურების მიხედვით;

დ) მოეწყოს პურის დამამზადებელ რაიონებში საქონლის სწორად შეტანა;

ე) სწორად მოეწყოს პურის მომარაგების საქმე, არ იქნას დაშვებული გადახარჯვა;

ვ) აუცილებლად შეიქმნას პურის სახელმწიფო რეზერვი.

ამ ღონისძიებების პატიოსნად და სისტემატურად გატარებამ წლევანდელი კარგი მოსავლის პირობებში უნდა შექმნას ისეთი ვითარება, რომელიც გამორიცხავს პურის დამზადების მომავალ კამპანიაში რაიმე საგანგებო ზომების გამოყენების საჭიროებას.

პარტიის მორიგი ამოცანა ის არის, რომ თვალყური ადევნოს ამ ღონისძიებათა ზუსტად გატარებას.

პურის მხრივ შექმნილ სიძნელეებთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე წამოიჭრა საკითხი მუშათა და გლეხთა კავშირის, მისი მომავალი ბედის, ამ კავშირის განმტკიცების საშუალებათა შესახებ. ამბობენ, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი აღარა გვაქვს, რომ კავშირი გათიშვამ შეცვალა. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, რომელიც პანიკიორებს შეეფერება. როცა კავშირი არ არის, გლეხი კარგავს ხვალინდელი დღის რწმენას, ექცევა თავის ნაჭუჭში, აღარ სჯერა სიმტკიცე საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც გლეხური პურის ძირითადი დამამზადებელია, იწყებს თავისი ნათესების შემცირებას და ყოველ შემთხვევაში აღარ აფართოებს მათ იმის შიშით, რომ კვლავ დაიწყება კომლთა ჩამოვლა, ჩხრეკა და სხვ. და პურს ჩამოართმევენ.

ხოლო რას ვხედავთ სინამდვილეში? ჩვენ ვხედავთ, რომ გაზაფხულის ნათესი გაფართოებულია ყველა რაიონში. ფაქტია, რომ პურის წარმოების ძირითად რაიონებში გლეხმა გაზაფხულის ნათესი 2-დან 15 და 20 პროცენტამდე გააფართოვა. განა ცხადი არ არის, რომ გლეხს არა სწყამს საგანგებო ზომების მუდმივობა, და მას სრული საფუძველი აქვს იქონიოს პურის ფასების აწევის იმედი. ეს რა გათიშვაა? ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჩვენში არ არსებობს ან არ არსებობდა საფრთხე მუშათა და გლეხთა კავშირისათვის. მაგრამ აქედან რომ გათიშვის შესახებ დასკვნა გამოიყვანო — ეს ნიშნავს თავგზა აგებნეს და სტიქიას დაემონო.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ კავშირის განმტკიცებისათვის აუცილებელია სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ მძიმე ინდუსტრიიდან მსუბუქ ინდუსტრიაზე (საფეიქრო მრეწველობაზე), ჰგონიათ, რომ საფეიქრო მრეწველობა ძირითადი და ამომწურავი «შემაკავშირებელი» მრეწველობაა. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ეს სრულებითაც არ არის სწორი!

რა თქმა უნდა, საფეიქრო მრეწველობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ დამყარდეს საქონელბრუნვა სოციალისტურ ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის. მაგრამ ამ საფუძველზე იმის ფიქრი, რომ საფეიქრო საქონელი ამომწურავი ბაზაა მუშათა და გლეხთა კავშირისათვის — ნიშნავს ყოვლად უხეში შეცდომის დაშვებას. სინამდვილეში კავშირი ინდუსტრიასა და გლეხურ მეურნეობას შორის ხორციელდება არა მარტო ჩითის ხაზით, რომელიც საჭიროა გლეხის პირადი მოხმარებისათვის, არამედ ლითონის ხაზითაც, თესლეულის, სასუქების, ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო მანქანების ხაზითაც, რომლებიც სჭირდება გლეხს, როგორც პურის მომყვანს. აღარას ვამბობ იმაზე, რომ თვით საფეიქრო მრეწველობას არ შეუძლია განვითარდეს და იარსებოს მძიმე ინდუსტრიის, მანქანათმშენებლობის განუვითარებლად.

მუშათა და გლეხთა კავშირი საჭიროა არა იმისათვის, რომ სამუდამოდ განვამტკიცოთ კლასების არსებობა. კავშირი გვესაჭიროება იმისათვის, რომ გლეხობა დავუახლოოთ მუშათა კლასს, გარდავქმნათ გლეხობა, გარდავქმნათ მისი, როგორც ინდივიდუალისტის ფსიქოლოგია, გადავამუშაოთ იგი კოლექტივიზმის სულისკვეთებით და, ამრიგად, მოვამზადოთ კლასების ლიკვიდაცია, მოსპობა სოციალისტური საზოგადოების ბაზაზე. ვისაც ეს არ ესმის ან არ სურს აღიაროს, ის არ არის მარქსისტი, არ არის ლენინელი, არამედ არის «გლეხური ფილოსოფოსი», რომელიც უკან იყურება და არა წინ.

ხოლო როგორ უნდა გადავამუშაოთ, გარდავქმნათ გლეხი? მისი გარდაქმნა შეიძლება, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, მხოლოდ ახალი ტექნიკის ბაზაზე, კოლექტიური შრომის ბაზაზე.

აი რას ამბობს ამის შესახებ ლენინი:

«წვრილი მიწათმოქმედის გარდაქმნის, მთელი მისი ფსიქოლოგიისა და ჩვევების გარდაქმნის საქმე ისეთი საქმეა, რომელსაც თაობები ესაჭიროება. ამ საკითხის გადაჭრა წვრილი მიწათმოქმედის მიმართ, მთელი მისი ფსიქოლოგიის, ასე ვთქვათ, გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბაზას, ტექნიკას, მიწათმოქმედებაში ტრაქტორებისა და მანქანების გამოყენებას მასობრივი მასშტაბით, ელექტროფიკაციას მასობრივი მასშტაბით. აი რა გარდაქმნიდა წვრილ მიწათმოქმედს ძირფესვიანად და უდიდესი სისწრაფით» (ტ. XXVI, გვ. 239).

საკითხი ნათელია: ვინც ფიქრობს უზრუნველყოს მუშათა და გლეხთა კავშირი მხოლოდ საფეიქრო საქონლის ხაზით, ხოლო ივიწყებს ლითონსა და მანქანებს, რომლებიც გარდაქმნიან გლეხურ მეურნეობას კოლექტიური შრომის ბაზაზე, იგი სამუდამოდ განამტკიცებს კლასების არსებობას, იგი პროლეტარული რევოლუციონერი კი არ არის, არამედ «გლეხური ფილოსოფოსია».

აი კიდევ რას ამბობს ლენინი სხვა ადგილას:

«მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ საქმით ვუჩვენოთ გლეხებს მიწის საზოგადოებრივი, კოლექტიური, ამხანაგური, არტელური დამუშავების უპირატესობანი, მხოლოდ მაშინ, თუ შევძლებთ დავეხმაროთ გლეხს ამხანაგური, არტელური მეურნეობის შემწეობით, მხოლოდ მაშინ მუშათა კლასი, რომელსაც ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალაუფლება, ნამდვილად დაუმტკიცებს გლეხს თავის სიმართლეს, ნამდვილად მიიმხრობს მტკიცედ და ჯეროვნად გლეხობის მრავალმილიონიან მასას» (ტ. XXIV, გვ. 579).

აი როგორ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას გლეხობის მილიონიანი მასების ნამდვილად და მტკიცედ გადაყვანა მუშათა კლასის მხარეზე, სოციალიზმის მხარეზე.

ზოგჯერ ამბობენ, რომ მუშათა და გლეხთა კავშირის უზრუნველსაყოფად ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი რეზერვი, გლეხობისადმი დათმობათა რეზერვი. ეყრდნობიან რა ამას, ზოგჯერ ქმნიან განუწყვეტელ დათმობათა თეორიას, ფიქრობენ, რომ განუწყვეტელი დათმობებით მუშათა კლასს

შეუძლია გააძლიეროს თავისი თავი. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. ეს სრულებითაც არ არის სწორი! ასეთ თეორიას შეუძლია მხოლოდ დაღუპოს მთელი საქმე. ეს უიმედობის თეორიაა.

მუშათა და გლეხთა კავშირი რომ განვამტკიცოთ, ამისათვის, გარდა დათმობათა რეზერვისა, ჩვენს განკარგულებაში უნდა გვქონდეს მთელი რიგი სხვა რეზერვები სოფლად სამეურნეო დასაყრდენი პუნქტების სახით (განვითარებული კოოპერატივები, კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი), ისევე როგორც პოლიტიკური დასაყრდენი პუნქტების სახით (გაძლიერებული მუშაობა ღარიბ გლეხობაში და უზრუნველყოფილი მხარდაჭერა ღარიბი გლეხობის მხრივ).

საშუალო გლეხი მერყევი კლასია. თუ ღარიბი გლეხობა არ გვიჭერს მხარს, თუ საბჭოთა ხელისუფლება მოისუსტებს სოფლად, მაშინ საშუალო გლეხი შეიძლება კულაკისაკენ გადაიხაროს. და, პირიქით, თუ ღარიბი გლეხობის მხარდაჭერა უზრუნველყოფილია, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საშუალო გლეხი საბჭოთა ხელისუფლებისაკენ გადმოიხრება. ამიტომ ღარიბ გლეხობაში სისტემატური მუშაობა და ღარიბი გლეხობის როგორც თესლეულით, ისე იაფი პურით უზრუნველყოფა პარტიის მორიგი ამოცანაა.

2. სამრეწველო მშენებლობისათვის კადრების შექმნის საკითხი

გადავიდეთ ახლა ტექნიკური ინტელიგენციის ახალი კადრებით ჩვენი მრეწველობის უზრუნველყოფის საკითხზე.

საქმე ეხება ჩვენს სიძნელეებს მრეწველობის ხაზით, სიძნელეებს, რომლებიც გამომჟღავნდა შახტის საქმესთან დაკავშირებით.

რაში მდგომარეობს შახტის საქმის არსი მრეწველობის გაუმჯობესების თვალსაზრისით? შახტის საქმის არსი და

აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ თითქმის უიარაღონი და სრულიად ჩამორჩენილნი, უმსგავსოდ ჩამორჩენილნი აღმოვჩნდით მუშათა კლასის საქმისადმი ერთგულ სპეციალისტთა ერთგვარი მინიმუმით ჩვენი მრეწველობის უზრუნველყოფის საქმეში. გაკვეთილი, რომელიც გამომდინარეობს შახტის საქმიდან, ის არის, რომ დავაჩქაროთ ტემპი ახალი ტექნიკური ინტელიგენციის ჩამოყალიბებისა, შექმნისა მუშათა კლასის წრიდან გამოსული, სოციალიზმის საქმისადმი ერთგული ადამიანებისაგან, რომლებსაც უნარი ექნებათ ტექნიკურად უხელმძღვანელონ ჩვენს სოციალისტურ მრეწველობას.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ უკუვაგდებთ იმ სპეციალისტებს, რომლებიც არასაბჭოურად აზროვნებენ ან რომლებიც კომუნისტები არ არიან, მაგრამ თანახმა არიან ითანამშრომლონ საბჭოთა ხელისუფლებასთან. არა, არ ნიშნავს. ჩვენ ყოველნაირად, მთელი ძალღონით ვეცდებით კვლავაც მოვიზიდოთ უპარტიო სპეციალისტები, უპარტიო ტექნიკოსები, რომლებიც მზად არიან საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელიხელჩაკიდებულად იარონ ჩვენი მრეწველობის მშენებლობის საქმეში. ჩვენ სრულებითაც არ მოვითხოვთ, რომ მათ ახლავე უარყონ თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი ან დაუყოვნებლივ გამოიცვალონ ეს შეხედულებანი. ჩვენ მხოლოდ ერთს მოვითხოვთ — რომ მათ პატიოსნად ითანამშრომლონ საბჭოთა ხელისუფლებასთან, რაკი ნებაყოფლობით დათანხმდნენ ამაზე.

მაგრამ საქმე ის არის, რომ რიცხვი ასეთი ადამიანებისა ძველი სპეციალისტებიდან, რომლებიც მზად არიან საბჭოთა ხელისუფლებასთან ხელიხელჩაკიდებულად იარონ, შედარებით უფრო და უფრო კლებულობს. საქმე ის არის, რომ აბსოლუტურად აუცილებელია მათთვის ახალი ცვლა ახალგაზრდა სპეციალისტებისაგან. და აი პარტია იმ აზრისაა, რომ ახალი ცვლის შექმნა საჭიროა დაჩქარებული ტემპით,

თუ არ გვინდა აღმოვჩნდეთ ახალ მოულოდნელობათა წინაშე, და ეს ცვლა უნდა შეიქმნას მუშათა კლასიდან გამოსული, მშრომელთა წრიდან გამოსული ადამიანებისაგან. სწორედ ეს ნიშნავს იმას, რომ შეიქმნას ახალი ტექნიკური ინტელიგენცია, რომელსაც უნარი ექნება დააკმაყოფილოს ჩვენი მრეწველობის საჭიროებანი.

ფაქტებმა დაგვანახეს, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა თავი ვერ გაართვა ამ დიდმნიშვნელოვან ამოცანას. ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ განათლების სახალხო კომისარიატი, საკუთარი ძალების ამარა მიტოვებული და თანაც წარმოებასთან ნაკლებად დაკავშირებული, მისი ინერტულობისა და კონსერვატიზმის პირობებში, ახლო მომავალში გაართმევს თავს ამ ამოცანას. ამიტომ პარტია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭიროა ახალი ტექნიკური ინტელიგენციის სწრაფი ტემპით მომზადებისათვის შრომა განაწილდეს სამ სახალხო კომისარიატს შორის — განათლების სახალხო კომისარიატსა, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და გზათა სახალხო კომისარიატს შორის. პარტიას მიაჩნია, რომ ეს გზა ყველაზე მიზანშეწონილი გზაა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ამ მნიშვნელოვან საქმეში მუშაობის აუცილებელი ტემპი. ამით აიხსნება რამდენიმე უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გადაცემა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსა და გზათა სახალხო კომისარიატისათვის.

ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების გადაცემით ამოიწურება ტექნიკური ინტელიგენციის ახალი კადრების დაჩქარებული ტემპით ჩამოყალიბების ამოცანა. უეჭველია, მოსწავლეთა მატერიალურად უზრუნველყოფამ აქ უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი კადრების შექმნისათვის საჭირო ხარჯები თავისი ხვედრითი წონით მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის ხარჯებს

გაუთანაბრა და გადაწყვიტა დამატებით გამოყოს ამ საქმისათვის ყოველწლიურად 40 მილიონ მანეთზე მეტი.

III

დასკვნა

უნდა ვაღიაროთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ ყოველთვის ვსწავლობდით ჩვენს სიძნელეებსა და შეცდომებზე. ყოველ შემთხვევაში, დღემდე საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ ისტორია გვასწავლიდა ჩვენ და აკაჟებდა ჩვენს პარტიას სიძნელეებზე, ამა თუ იმ კრიზისზე, ჩვენს ამა თუ იმ შეცდომებზე.

ასე იყო 1918 წელს, როცა ჩვენ, აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილ სიძნელეებთან დაკავშირებით, კოლჩაკთან ბრძოლაში წარუმატებლობებთან დაკავშირებით, ბოლოს შევიგნეთ, რომ აუცილებელი იყო რეგულარული ქვეითი ჯარის შექმნა და კიდევაც შევქმენით იგი.

ასე იყო 1919 წელს, როცა ჩვენ, დენიკინის ფრონტზე შექმნილ სიძნელეებთან დაკავშირებით, ჩვენი არმიების ზურგში მამონტოვის რეიდთან დაკავშირებით, ბოლოს, შევიგნეთ, რომ აუცილებელი იყო ძლიერი რეგულარული კავალერიის შექმნა და კიდევაც შევქმენით იგი.

მე ვფიქრობ, რომ დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა გვაქვს ახლა. პურის მხრივ არსებული სიძნელენი ჩვენთვის ფუჭად არ ჩაივლიან. ეს სიძნელენი აამოძრავებენ ბოლშევიკებს და აიძულებენ მათ უშუალოდ მოჰკიდონ ხელი სოფლის მეურნეობის განვითარებას, განსაკუთრებით მარცვლეული მეურნეობის განვითარებას. ეს სიძნელეები რომ არა, საეჭვოა, რომ ბოლშევიკებს სერიოზულად მოეკიდნათ ხელი მარცვლეულის პრობლემისათვის.

იგივე უნდა ითქვას შახტის საქმეზე და მასთან დაკავშირებულ სიძნელეებზე. შახტის საქმის გაკვეთილები ფუჭად

არ ჩაივლიან და ვერც ჩაივლიან ჩვენი პარტიისათვის. მე ვფიქრობ, რომ ეს გაკვეთილები გვაიძულებენ პირდაპირ დავაყენოთ საკითხი ახალი ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის შესახებ, რომელსაც უნარი ექნება მოემსახუროს ჩვენს სოციალისტურ მრეწველობას.

ესეც კია, თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ უკვე გადავდგით პირველი სერიოზული ნაბიჯი ახალი ტექნიკური ინტელიგენციის შექმნის პრობლემის გადაჭრის საქმეში. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ნაბიჯი უკანასკნელი არ იქნება. (მ ქ უ ხ ა რ ე ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ ა შ ი).

«ლენინგრადსკაია პრავდა» № 162,
1928 წ. 14 ივლისი.

ლენინგრადის თავდაცვა-ავიაქიმს [56]

საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საქმე ყველა მშრომელთა საქმეა.

ლენინგრადის პროლეტარები პირველნი იყვნენ სამოქალაქო ომის ბრძოლებში.

ლენინგრადის პროლეტარებმა ახლაც უნდა გვიჩვენონ მაგალითი ორგანიზებულობისა, დისციპლინისა და დარაზმულობისა მუშათა კლასის მტრებისაგან საბჭოთა კავშირის თავდაცვის მომზადებაში.

ეჭვი არ მეპარება, რომ ლენინგრადის თავდაცვა-ავიაქიმი, რომელიც ლენინგრადელ პროლეტართა მასობრივ ორგანიზაციას წარმოადგენს, — შეასრულებს თავის მოვალეობას პროლეტარული დიქტატურის ქვეყნის წინაშე.

ი. სტალინი

«კრასნაია გაზეტა» (ლენინგრადი)
№ 163, 1928 წ. 15 ივლისი.

წერილი ამხ. კუიბიშევს

გამარჯობა, ამხ. კუიბიშევ!

კუპერი დღეს ჩამოვიდა. საუბარი ხვალ შესდგება. ვნახოთ, რას იტყვის კუპერი ამერიკის გეგმებზე.

წავიკითხე კუპერის მე-6 საანგარიშო წერილი დნეპრშენის შესახებ. რა თქმა უნდა, საჭიროა მეორე მხარესაც მოვუსმინოთ. მე მაინც მგონია (ჩემი პირველი შთაბეჭდილება ასეთია), რომ **კუპერი მართალია,** ხოლო ვინტერი მართალი არ არის. უკვე ის საერთოდ აღიარებული ფაქტი, რომ კუპერის ტიპის კაშხალი (რომლის წინააღმდეგაც დავობდა ვინტერი) ერთადერთი მიზანშეწონილი აღმოჩნდა, — უკვე ეს ფაქტი მოწმობს, რომ კუპერის ხმას აუცილებლად უნდა დავუგდოთ ყური. კარგი იქნება განვიხილოთ, სადაც ჯერ არს, კუპერის მე-6 წერილი და მივიღოთ იგი **ძირითადად.**

როგორაა შენი საქმე? გავიგე, რომ ტომსკი აპირებს გაწყენინოს. ბოროტი კაცია და არც თუ ყოველთვის სუფთა. მე მგონია, რომ ის მართალი არ არის. წავიკითხე შენი მოხსენება რაციონალიზაციის შესახებ. მოხსენება შესაფერია. რაღას მოითხოვს შენგან ტომსკი?

როგორაა ცარიცინის სატრაქტორო ქარხნისა და პიტერის სატრაქტორო სახელოსნოების საქმე? შეგვიძლია თუ არა წარმატების იმედი ვიქონიოთ?

ხელს გართმევ.

სტალინი

1928 წ. 31 აგვისტო.

იბეჭდება პირველად.

ამხ. ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის ხსოვნას

სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოჰგლიჯა მტკიცე და მედგარი ლენინელი, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ამხ. სკვორცოვ-სტეპანოვი.

ათეული წლების მანძილზე იბრძოდა ამხ. სკვორცოვ-სტეპანოვი ჩვენს რიგებში და განიცადა პროფესიონალი რევოლუციონერის ცხოვრების ყველა გაჭირვება. მრავალი ათასი ამხანაგი იცნობს მას როგორც ერთ-ერთ უხუცეს და ერთ-ერთ უაღრესად პოპულარულ ლიტერატორ-მარქსისტს. იცნობენ მას როგორც ოქტომბრის დღეების უაღრესად აქტიურ მონაწილესაც. ბოლოს, მას იცნობენ როგორც პარტიის ლენინური ერთიანობისა და მისი რკინისებური დარაზმულობისათვის უერთგულეს მებრძოლსაც.

პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების საქმეს მოახმარა ამხ. სკვორცოვ-სტეპანოვმა მთელი თავისი შესანიშნავი შრომითი ცხოვრება.

დაე იცოცხლოს მუშათა კლასის გულში ამხ. სკვორცოვ-სტეპანოვის ხსოვნამ.

ი. სტალინი

«პრავდა» № 235,
1928 წ. 9 ოქტომბერი.

მემარჯვენე საფრთხის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)

სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე

1928 წ. 19 ოქტომბერი

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ უწინარეს ყოვლისა გვერდი უნდა ავუხვიოთ წვრილმანებს, პირად მომენტებს და სხვ., რათა გადავჭრათ მემარჯვენე გადახრის საკითხი, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს.

არის თუ არა ჩვენს პარტიაში მემარჯვენე, ოპორტუნისტული საფრთხე; არსებობენ თუ არა ასეთი საფრთხის ხელშემწყობი ობიექტური პირობები; როგორ ვებრძოლოთ ამ საფრთხეს, — აი რა საკითხები დგას ახლა ჩვენს წინაშე.

მაგრამ ჩვენ ვერ გადავჭრით მემარჯვენე გადახრის ამ საკითხს, თუ არ ჩამოვაშორეთ მას მთელი ის წვრილმანები და გარედან მოტანილი ელემენტები, რომლებიც გარს შემოჰკვრიან მას და რომლებიც ხელს გვიშლიან გავიგოთ საკითხის არსი.

მართალი არ არის ზაპოლსკი, როცა ფიქრობს, რომ მემარჯვენე გადახრის საკითხი შემთხვევითი საკითხია. იგი ამტკიცებს, რომ მთელი საქმე აქ მემარჯვენე გადახრაში კი არ არის, არამედ კინკლაობაშია, პირად ინტრიგებში და სხვ.. დავუშვათ ერთი წუთით, რომ კინკლაობა და პირადი ინტრი-

გები აქ ერთგვარ როლს ასრულებენ, ისევე როგორც ყოველ ბრძოლაში. მაგრამ ყველაფერი კინკლაობით რომ ახსნა და კინკლაობას იქით საკითხის არსი ვერ დაინახო, — ეს ნიშნავს ასცდე სწორ, მარქსისტულ გზას.

შეუძლებელია, რომ ისეთი დიდი, ძველი, მჭიდროდ შეკავშირებული ორგანიზაცია, როგორიც უეჭველად არის მოსკოვის ორგანიზაცია, თავიდან ბოლომდე აეფორიაქებინა და აემოძრავებინა რამდენიმე მოკინკლავის ან ინტრიგანის ცდებს. არა, ამხანაგებო, ასეთი სასწაულები ქვეყნად არ ხდება. აღარას ვამბობ იმაზე, რომ არ შეიძლება ასე მჩატედ შევაფასოთ მოსკოვის ორგანიზაციის ძალა და ძლიერება. ცხადია, აქ მოქმედებდნენ უფრო ღრმა მიზეზები, რომლებსაც არც კინკლაობასთან და არც ინტრიგასთან საერთო არა აქვთ რა.

მართალი არ არის აგრეთვე ფრუნტოვი, რომელიც თუმცა აღიარებს მემარჯვენე საფრთხის არსებობას, მაგრამ არ მიაჩნია იგი იმის ღირსად, რომ მას სერიოზული ყურადღება მიაქციონ სერიოზულმა საქმიანმა ადამიანებმა. მისი აზრით ისე გამოდის, რომ მემარჯვენე გადახრის საკითხი ყბედების ყურადღების საგანია და არა საქმიანი ადამიანებისა. ჩემთვის სავსებით გასაგებია, ფრუნტოვი ასე რომ ფიქრობს: იგი იმდენად გართულია ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობით, რომ არ სცალია იფიქროს ჩვენი განვითარების პერსპექტივებზე. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ ზოგიერთი პარტიული მუშაკის ვიწრო და საქმიანი პრაქტიციზმი ჩვენი მშენებლობის დოგმატად უნდა გადავაქციოთ. საღი საქმოსნობა კარგი რამ არის, მაგრამ თუ ის მუშაობაში პერსპექტივებს კარგავს და თავის მუშაობას პარტიის ძირითად ხაზს არ უმორჩილებს, — იგი მინუსად იქცევა. ამავე დროს კი ძნელი არ არის იმის გაგება, რომ მემარჯვენე გადახრის საკითხი არის ჩვენი პარტიის ძირითადი ხაზის საკითხი, არის საკითხი იმის შესახებ, სწორია თუ არ არის სწორი განვითა-

რების ის პერსპექტივა, რომელიც ჩვენმა პარტიამ მოგვცა XV ყრილობაზე.

მართალი არ არიან ის ამხანაგებიც, რომლებიც მემარჯვენე გადახრის პრობლემის განხილვის დროს საკითხს ამახვილებენ მემარჯვენე გადახრის გამომხატველ პიროვნებებზე. გვიჩვენეთ მემარჯვენეები ან შემარიგებლები, ამბობენ ისინი, დაგვისახელეთ პიროვნებანი, რომ შეგვეძლოს მათ გავუსწორდეთო. ეს საკითხის არასწორი დაყენებაა. პიროვნებანი, რასაკვირველია, ერთგვარ როლს ასრულებენ. მაგრამ აქ საქმე პიროვნებებში კი არაა, არამედ იმ პირობებში, იმ ვითარებაში, რომლებიც წარმოშობენ მემარჯვენე საფრთხეს პარტიაში. შეიძლება მოვიცილოთ პიროვნებანი, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ამით ნიადაგი გამოვაცალეთ მემარჯვენე საფრთხეს ჩვენს პარტიაში. ამიტომ პიროვნებათა საკითხი არ წყვეტს საქმეს, თუმცა უეჭველად საინტერესო საკითხია.

არ შეიძლება, ამასთან დაკავშირებით, არ გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი, რომელიც მოხდა ოდესაში 1919 წლის ბოლოს და 1920 წლის დამდეგს, როცა ჩვენი ჯარები, უკრაინიდან დენიკინელების განდევნის შემდეგ, საბოლოოდ სპობდნენ დენიკინის ჯარების უკანასკნელ ნაშთებს ოდესის რაიონში. წითელარმიელთა ერთი ნაწილი მაშინ გააფთრებით ეძებდა ოდესაში ანტანტას, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ თუ ისინი დაიჭერდნენ მას, ანტანტას, ომს ბოლო მოეღებოდა. (საერთო სიცილი). შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ წითელარმიელებს მოეხერხებინათ ოდესაში ანტანტის რომელიმე წარმომადგენლის დაჭერა. მაგრამ ამით, რასაკვირველია, არ გადაწყდებოდა ანტანტის საკითხი, ვინაიდან ანტანტის ფესვები ოდესაში კი არ არის, თუმცა ოდესა მაშინ დენიკინელების უკანასკნელი ტერიტორია იყო, არამედ მსოფლიო კაპიტალიზმშია.

იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ ჩვენს ამხანაგზე, რომლებიც მემარჯვენე გადახრის საკითხში ყურადღებას ამახვილებენ მემარჯვენე გადახრის გამომხატველ პიროვნებებზე, ხოლო ივიწყებენ იმ პირობებს, რომლებიც ამ გადახრას წარმოშობენ.

ამიტომ ჩვენ აქ უწინარეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ საკითხი ლენინური ხაზიდან მემარჯვენე, აგრეთვე «მემარცხენე» (ტროცკისტული) გადახრის აღმოცენების პირობების შესახებ.

კომუნიზმში მემარჯვენე გადახრა **კაპიტალიზმის პირობებში** ნიშნავს კომუნისტთა ერთი ნაწილის ტენდენციას, მიდრეკილებას, მართალია, ჯერ ჩამოუყალიბებელს და, თუ გნებავთ, ჯერ შეუცნობელ მიდრეკილებას, მაგრამ მაინც მიდრეკილებას იმისაკენ, რომ მარქსიზმის რევოლუციური ხაზიდან სოციალ-დემოკრატიისაკენ გადაიხარონ. როცა კომუნისტების გარკვეული წრეები უარყოფენ საარჩევნო ბრძოლაში ლოზუნგის «კლასი კლასის წინააღმდეგ» მიზანშეწონილობას (საფრანგეთი), ან გამოდიან კომპარტიის მიერ დამოუკიდებელი კანდიდატურების წამოყენების წინააღმდეგ (ინგლისი), ან არ სურთ გაამახვილონ «მემარცხენე» სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლის საკითხი (გერმანია) და სხვ. და ა. შ., — ეს იმას ნიშნავს, რომ კომპარტიების შიგნით მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ შეუგუონ კომუნიზმი სოციალ-დემოკრატიზმს.

კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიებში მემარჯვენე გადახრის გამარჯვება კომპარტიების იდეური განადგურებისა და სოციალ-დემოკრატიზმის უდიდესი გაძლიერების მომასწავებელი იქნებოდა. ხოლო რა არის სოციალ-დემოკრატიზმის უდიდესი გაძლიერება? ეს არის კაპიტალიზმის გაძლიერება და განმტკიცება, ვინაიდან სოციალ-დემოკრატია წარმოადგენს კაპიტალიზმის მთავარ დასაყრდენს მუშათა კლასში.

მაშასადამე, კაპიტალისტური ქვეყნების კომპარტიებში მემარჯვენე გადახრის გამარჯვება იწვევს კაპიტალიზმის **შენარჩუნებისათვის** აუცილებელი პირობების ზრდას.

კომუნიზმში მემარჯვენე გადახრა **საბჭოთა განვითარების პირობებში,** სადაც კაპიტალიზმი უკვე დამხობილია, მაგრამ სადაც ჯერ კიდევ ამოგლეჯილი არ არის მისი ფესვები, ნიშნავს კომუნისტთა ერთი ნაწილის ტენდენციას, მიდრეკილებას, მართალია, ჯერ ჩამოუყალიბებელს და, თუ გნებავთ, ჯერ შეუცნობელ მიდრეკილებას, მაგრამ მაინც მიდრეკილებას იმისაკენ, რომ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზიდან ბურჟუაზიული იდეოლოგიისაკენ გადაიხარონ. როცა ჩვენი კომუნისტების ზოგიერთი წრეები უკან ეწევიან პარტიას XV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, უარყოფენ რა სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის აუცილებლობას; ან მოითხოვენ ჩვენი ინდუსტრიის შეკვეცას, თვლიან რა მისი სწრაფი განვითარების ახლანდელ ტემპს ქვეყნისათვის დამღუპველად; ან უარყოფენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის თანხების გაღების მიზანშეწონილობას, თვლიან რა ამას (თანხების გაღებას) ფულის წყალში გადაყრად; ან უარყოფენ თვითკრიტიკის ბაზაზე ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანშეწონილობას, ფიქრობენ რა, რომ თვითკრიტიკა არ ყევს ჩვენს აპარატს; ან მოითხოვენ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შერბილებას და სხვ. და ა. შ., — ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პარტიის რიგებში მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, შესაძლოა თავისდა შეუმჩნევლად, შეუგუონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმე «საბჭოთა» ბურჟუაზიის გემოვნებასა და მოთხოვნილებებს.

ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტების უდიდესი გაძლიერების მომასწავებელი იქნებოდა. ხოლო რას ნიშნავს ჩვენს

ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერება? ეს ნიშნავს პროლეტარული დიქტატურის შესუსტებას და კაპიტალიზმის აღდგენის შანსების გაძლიერებას.

მაშასადამე, ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრის გამარჯვება იმ პირობების ზრდის მომასწავებელი იქნებოდა, რომლებიც აუცილებელია ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის **აღსადგენად**.

არსებობენ თუ არა ჩვენში, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, პირობები, რომლებიც **შესაძლებელს** ხდიან კაპიტალიზმის აღდგენას (რესტავრაციას)? დიახ, არსებობენ. ეს, შეიძლება, უცნაურად გვეჩვენოს, მაგრამ ეს ფაქტია, ამხანაგებო. ჩვენ დავამხეთ კაპიტალიზმი, დავამყარეთ პროლეტარიატის დიქტატურა და გაძლიერებული ტემპით ვავითარებთ ჩვენს სოციალისტურ მრეწველობას, ვაკავშირებთ რა მასთან გლეხურ მეურნეობას. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ამოგვიგლეჯია კაპიტალიზმის ფესვები. სად ბუდობენ ისინი, ეს ფესვები? ეს ფესვები ბუდობენ სასაქონლო წარმოებაში, ქალაქის და განსაკუთრებით სოფლის წვრილ წარმოებაში.

კაპიტალიზმის **ძალა** მდგომარეობს, როგორც ლენინი ამბობს, «**წვრილი წარმოების** ძალაში. ვინაიდან წვრილი წარმოება, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მეტისმეტად ბევრია დარჩენილი ქვეყნად, ხოლო წვრილი წარმოება **წარმოშობს** კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას განუწყვეტლივ, ყოველდღე, ყოველ საათს, სტიქიურად და მასობრივი მასშტაბით» (იხ. ტ. XXV, გვ. 173).

ცხადია, რომ რამდენადაც წვრილ წარმოებას ჩვენში მასობრივი ხასიათი აქვს და კიდევაც ჭარბობს და რამდენადაც ის **წარმოშობს** კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას, განსაკუთრებით ნეპის პირობებში, განუწყვეტლივ და მასობრივი მასშტაბით, — იმდენად ჩვენში არსებობენ პირობები, რომლებიც **შესაძლებელს ხდიან** კაპიტალიზმის აღდგენას.

არსებობენ თუ არა ჩვენში, ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში, საშუალებანი და ძალები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ მოვსპოთ, აღმოვფხვრათ კაპიტალიზმის აღდგენის **შესაძლებლობა?** დიახ, არსებობენ. სწორედ ამაზეა დაფუძნებული სისწორე ლენინის თეზისისა სსრ კავშირში სრული სოციალისტური საზოგადოების აშენების **შესაძლებლობის** შესახებ. ამისათვის აუცილებელია პროლეტარული დიქტატურის გამაგრება, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება, ჩვენი მბრძანებელი მაღლობების განვითარება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის თვალსაზრისით, ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი, ქვეყნის ელექტროფიკაცია, მთელი სახალხო მეურნეობის გადაყვანა ახალ ტექნიკურ ბაზაზე, გლეხობის მასობრივი კოოპერირება და მისი მეურნეობის მოსავლიანობის გადიდება, ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა თანდათანობით გაერთიანება საზოგადოებრივ, კოლექტიურ მეურნეობებად, საბჭოთა მეურნეობების განვითარება, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვა და დაძლევა და სხვ. და ა. შ.

აი რას ამბობს ამის შესახებ ლენინი:

«სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის. ეს აუცილებლად უნდა დავიხსომოთ. ყველამ, ვინც კი ყურადღებით დაჰკვირვებია სოფლის ცხოვრებას და ის ქალაქის ცხოვრებისათვის შეუდარებია, იცის, რომ ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ ამოგვიგლეჯია და შინაური მტრისათვის საძირკველი, საფუძველი არ გამოგვიცლია. შინაური მტერი წვრილ მეურნეობას ეყრდნობა, და მას რომ ძირი გამოვუთხაროთ, ამისათვის არსებობს ერთი საშუალება — გადავიყვანოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, მასთან მიწათმოქმედებაც, ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე. ასეთ ბაზას წარმოადგენს მხოლოდ ელექტრობა. კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა წვრილგლეხურ ქვეყნად რჩე-

ბა, და საჭიროა, რომ ეს ნათლად შევიგნოთ. ჩვენ უფრო სუსტნი ვართ, ვიდრე კაპიტალიზმი, არა მარტო მსოფლიო მასშტაბით, არამედ ჩვენი ქვეყნის შიგნითაც. ეს ყველამ იცის. ეს ჩვენ შეგნებული გვაქვს, და საქმეს იქამდე მივიყვანთ, რომ სამეურნეო ბაზა წვრილგლეხურიდან მსხვილ-სამრეწველო ბაზად გადაიქცეს. მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანა ელექტროფიცირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტს თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას შევუქმნით, — მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ საბოლოოდ» (ტ. XXVI, გვ. 46 — 47).

გამოდის, ჯერ-ერთი, რომ, სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, სანამ ჯერ კიდევ არ ამოგვიგლეჯია კაპიტალიზმის ფესვები, მანამდე კაპიტალიზმისათვის უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის. ხდება ხოლმე, რომ ხეს მოჭრიან, მაგრამ ფესვებს ვეღარ ამოგლეჯენ: ძალა აღარ ეყოთ. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის **შესაძლებლობა.**

მეორეც, გამოდის, რომ კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობის გარდა ჩვენში არსებობს **სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობაც,** ვინაიდან ჩვენ **შეგვიძლია** მოვსპოთ კაპიტალიზმის აღდგენის **შესაძლებლობა,** შეგვიძლია ამოვგლიჯოთ კაპიტალიზმის ფესვები და მივაღწიოთ ჩვენს ქვეყანაში საბოლოო გამარჯვებას კაპიტალიზმზე, თუ გაძლიერებულ მუშაობას გავაჩაღებთ ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის, თუ მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტს შევუქმნით თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას. სწორედ აქედან გამომდინარეობს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების **შესაძლებლობა.**

ბოლოს, გამოდის, **რომ არ** შეიძლება სოციალიზმის შენება მარტო მრეწველობაში, ხოლო სოფლის მეურნეობის მიტოვება სტიქიური განვითარების ამარა, იმ მოსაზრებით, რომ სოფელი «თვითონ გაჰყვება» ქალაქს. ქალაქში სოციალისტური მრეწველობის არსებობა სოფლის სოცია-

ლისტური გარდაქმნის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს ფაქტორი სავსებით საკმარისი იყოს. სოციალისტურმა ქალაქმა ბოლომდე რომ გაიყოლიოს გლეხური სოფელი, ამისათვის აუცილებელია, როგორც ლენინი ამბობს, «გადავიყვანოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, **მასთან მიწათმოქმედებაც** *, ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე».

ხომ არ ეწინააღმდეგება ლენინის ეს ციტატა მის მეორე ციტატას იმის შესახებ, რომ «ნეპი სავსებით უზრუნველყოფს ჩვენთვის სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების **შესაძლებლობას**» *? არა, არ ეწინააღმდეგება. პირიქით, ეს ორი ციტატა სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. ლენინი სრულებითაც არ ამბობს, ვითომც ნეპი სოციალიზმს მზამზარეულად გვაძლევდეს. ლენინი მხოლოდ იმას ამბობს, რომ ნეპი ჩვენთვის უზრუნველყოფს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აშენების **შესაძლებლობას**. სოციალიზმის აშენების **შესაძლებლობასა** და **მის ნამდვილად აშენებას** შორის დიდი განსხვავება არსებობს. არ შეიძლება ერთმანეთში ავრიოთ შესაძლებლობა და სინამდვილე. სწორედ იმისათვის, რომ ეს შესაძლებლობა სინამდვილედ ვაქციოთ, სწორედ ამისათვის ლენინი საჭიროდ ცნობს ქვეყნის ელექტროფიკაციას და მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტისათვის თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკური ბაზის შექმნას, როგორც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების პირობას.

მაგრამ სოციალიზმის აშენების ამ პირობის ერთ-ორ წელიწადში განხორციელება შეუძლებელია. არ შეიძლება ერთ-ორ წელიწადში განვახორციელოთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ავაშენოთ მძლავრი მრეწველობა, მოვახდინოთ გლეხობის მილიონიანი მასების კოოპერირება, შე-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ვუქმნათ მიწათმოქმედებას ახალი ტექნიკური ბაზა, გავაერთიანოთ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობანი მსხვილ კოლექტივებად, განვავითაროთ საბჭოთა მეურნეობები, შევზღუდოთ და დავძლიოთ ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტები. ამისათვის საჭიროა პროლეტარული დიქტატურის გაძლიერებული აღმშენებლობითი მუშაობის წლები და კიდევ წლები. და სანამ ეს არ გაკეთებულა, — ამას კი ერთბაშად ვერ გააკეთებ, — ჩვენ ისევ ვრჩებით წვრილგლეხურ ქვეყნად, სადაც წვრილი წარმოება წარმოშობს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას განუწყვეტლივ და მასობრივი მასშტაბით და სადაც კაპიტალიზმის აღდგენის საფრთხე ძალაში რჩება.

და რადგან ჩვენი პროლეტარიატი ცხოვრობს არა უჰაერო სივრცეში, არამედ სავსებით ნამდვილ და რეალურ ცხოვრებაში მთელი მისი მრავალფეროვნებით, ამიტომ წვრილი წარმოების ბაზაზე წარმოშობილ ბურჟუაზიულ ელემენტებს «პროლეტარიატი ყოველი მხრიდან გარემოცული ჰყავთ წვრილბურჟუაზიული სტიქიით, ჟღენთავენ მას ამ სტიქიით, რყვნიან მას ამ სტიქიით, მუდამ იწვევენ პროლეტარიატის შიგნით წვრილბურჟუაზიული უხერხემლობის, დაქსაქსულობის, ინდივიდუალიზმის, გატაცებიდან სასოწარკვეთილებაში გადასვლის რეციდივებს» (**ლენინი**, ტ. XXV, გვ. 189) და, ამრიგად, პროლეტარიატსა და მის პარტიაში შეაქვთ ერთგვარი მერყეობა, ერთგვარი ქანაობა.

აი სად არის ფესვი და საფუძველი ყოველგვარი რყევისა და გადახრებისა ლენინური ხაზიდან ჩვენი პარტიის რიგებში.

აი რატომ არის, რომ საკითხი მემარჯვენე ან «მემარცხენე» გადახრისა ჩვენს პარტიაში არ შეიძლება ჩაითვალოს უმნიშვნელო საკითხად.

რაში მდგომარეობს ჩვენს პარტიაში **მემარჯვენე,** აშკარა ოპორტუნისტული გადახრის საფრთხე? იმაში, რომ იგი **სათანადოდ ვერ აფასებს** ჩვენი მტრების ძალას, კაპიტალიზმის ძალას, ვერ ხედავს კაპიტალიზმის აღდგენის საფრთხეს, არ ესმის პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში კლასობრივი ბრძოლის მექანიკა და ამიტომ ასე ადვილად მიდის დათმობებზე კაპიტალიზმის მიმართ, მოითხოვს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელებას, მოითხოვს სოფლისა და ქალაქის კაპიტალისტური ელემენტებისათვის მდგომარეობის შემსუბუქებას, მოითხოვს უკან გადავწიოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკითხი, მოითხოვს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შერბილებას და სხვ. და ა. შ.

უეჭველია, რომ ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრის გამარჯვება ხელ-ფეხს გაუხსნიდა კაპიტალიზმის ძალებს, ძირს გამოუთხრიდა პროლეტარიატის რევოლუციურ პოზიციებს და გააძლიერებდა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის შანსებს.

რაში მდგომარეობს ჩვენს პარტიაში **«მემარცხენე»** (ტროცკისტული) გადახრის საფრთხე? იმაში, რომ იგი **გადაჭარბებით აფასებს** ჩვენი მტრების ძალას, კაპიტალიზმის ძალას, ხედავს მხოლოდ კაპიტალიზმის აღდგენის შესაძლებლობას, მაგრამ ვერ ხედავს ჩვენი ქვეყნის ძალებით სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას, სასოწარკვეთილებაში ვარდება და იძულებულია თავი ინუგეშოს ლაყბობით ჩვენ პარტიაში თერმიდორელობის შესახებ.

ლენინის სიტყვებიდან იმის შესახებ, რომ «სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის», — ლენინის ამ სიტყვებიდან «მემარცხენე» გადახრას ის არასწორი დასკვნა გამოჰყავს, რომ სსრ კავშირში სოციალიზმის აშენება საერ-

თოდ შეუძლებელია, რომ გლეხობასთან ვერაფერს გააწყობ, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეა დრომოჭმული იდეაა, რომ თუ არ მოგვისწრო დახმარებაშ დასავლეთში გამარჯვებული რევოლუციის მხრივ, სსრ კავშირში პროლეტარიატის დიქტატურა უთუოდ დაეცემა ან გადაგვარდება, რომ თუ მიღებულ არ იქნა ზეინდუსტრიალიზაციის ფანტასტიკური გეგმა, რომელიც უნდა გატარდეს თუნდაც გლეხობასთან განხეთქილების საფასურით, სსრ კავშირში სოციალიზმის საქმე დაღუპულად უნდა ჩაითვალოს.

აქედანაა ავანტიურიზმი «მემარცხენე» გადახრის პოლიტიკაში. აქედანაა «ზეადამიანური» ნახტომები პოლიტიკაში.

უეჭველია, რომ ჩვენს პარტიაში «მემარცხენე» გადახრის გამარჯვება გამოიწვევდა მუშათა კლასის მოწყვეტას მისი გლეხური ბაზისაგან, მუშათა კლასის ავანგარდის მოწყვეტას მუშათა დანარჩენი მასისაგან, — მაშასადამე, გამოიწვევდა პროლეტარიატის დამარცხებას და კაპიტალიზმის აღდგენის პირობების გაადვილებას.

როგორც ხედავთ, ამ ორივე საფრთხეს, «მემარცხენესაც» და მემარჯვენესაც, ორივე ამ გადახრას ლენინური ხაზიდან, მემარჯვენესაც და «მემარცხენესაც», მივყავართ ერთ და იმავე შედეგამდე, თუმცა სხვადასხვა მხრიდან.

ამ საფრთხეთაგან რომელია უარესი? მე ვფიქრობ, რომ ორივე უარესია.

განსხვავება ამ გადახრებს შორის მათთან წარმატებითი ბრძოლის თვალსაზრისით ის არის, რომ ახლანდელ მომენტში «მემარცხენე» გადახრის საფრთხე უფრო ნათელია პარტიისათვის, ვიდრე მემარჯვენე გადახრის საფრთხე. ის გარემოება, რომ «მემარცხენე» გადახრასთან ჩვენში უკვე რამდენიმე წელია წარმოებს გაძლიერებული ბრძოლა, ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ფუჭად ვერ ჩაივლიდა პარტიისათვის. ცხადია, რომ «მემარცხენე», ტროცკისტულ გა-

დახრასთან ბრძოლის წლებში პარტიამ ბევრი რამ ისწავლა და უკვე ადვილი როდია მისი მოტყუება «მემარცხენე» ფრაზებით.

რაც შეეხება მემარჯვენე საფრთხეს, რომელიც წინათაც არსებობდა და რომელიც დღეს უფრო გამოკვეთილად გვევლინება გასული წლის დამზადებათა კრიზისთან დაკავშირებით წვრილბურჟუაზიული სტიქიის გაძლიერების გამო, მე ვფიქრობ, რომ იგი ისე ნათელი არ არის ჩვენი პარტიის გარკვეული ფენებისათვის. ამიტომ ამოცანა ის არის, რომ, ოდნავაც არ შევასუსტოთ რა ბრძოლა «მემარცხენე», ტროცკისტულ საფრთხესთან, მთავარი ყურადღება მივაქციოთ ბრძოლას მემარჯვენე გადახრასთან და ყველა ზომა მივიღოთ იმისათვის, რომ ამ გადახრის საფრთხე ისევე ცხადი გახდეს პარტიისათვის, როგორც ცხადია მისთვის ტროცკისტული საფრთხე.

შესაძლოა, მემარჯვენე გადახრის საკითხი ჩვენში ისე მწვავედ არ მდგარიყო, როგორც დგას ამჟამად, იგი რომ ჩვენი განვითარების **სიძნელეთა** საკითხთან არ იყოს დაკავშირებული. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მემარჯვენე გადახრის არსებობა ართულებს ჩვენი განვითარების სიძნელეებს და აფერხებს ამ სიძნელეთა დაძლევის საქმეს. და სწორედ იმიტომ, რომ მემარჯვენე საფრთხე აბრკოლებს ბრძოლას ამ სიძნელეთა დაძლევისათვის, სწორედ ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მემარჯვენე საფრთხის დაძლევის საკითხს.

ორიოდე სიტყვა ჩვენი სიძნელეების ხასიათზე. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი სიძნელეები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს შეჩერების ან დაცემის სიძნელეებად. არსებობენ სიძნელენი მეურნეობის დაცემის ან მისი შეჩერების დროს, და ადამიანები ცდილობენ ნაკლებად მტკივნეული გახადონ მეურნეობის შეჩერება ან ნაკლებად ღრმა გახადონ მისი დაცემა. ჩვენს

სიძნელეებს ასეთ სიძნელეებთან საერთო არა აქვთ რა. ჩვენი სიძნელეების დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ისინი **აღმავლობის** სიძნელენი, ზრდის სიძნელენი არიან. როდესაც ჩვენში სიძნელეებზე ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ გულისხმობენ იმას, თუ რამდენი პროცენტით **გავზარდოთ** მრეწველობა, რამდენი პროცენტით **გავადიდოთ** ნათესი ფართობები, რამდენი ფუთით **გავზარდოთ** მოსავლიანობა და სხვ. და სხვ.. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენი სიძნელენი არიან არა დაცემის ან შეჩერების, არამედ აღმავლობის სიძნელენი, სწორედ ამიტომ ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ პარტიისათვის განსაკუთრებით საშიშ რამეს.

მაგრამ სიძნელეები მაინც სიძნელეებია. და ვინაიდან სიძნელეთა დასაძლევად აუცილებელია მთელი ძალღონის დაძაბვა, აუცილებელია სიმტკიცე და გამძლეობა, ხოლო სიმტკიცე და გამძლეობა ყველას როდი ჰყოფნის, შესაძლოა, იმიტომ, რომ ზოგნი დაღლილნი და მოტეხილნი არიან, ან იმიტომ, რომ ამჯობინებენ უფრო მშვიდად, უბრძოლველად და უშფოთველად იცხოვრონ, — აი სწორედ აქ იწყება რყევა და ქანაობა, მიბრუნებანი ნაკლები წინააღმდეგობის მიმართულებით, ლაპარაკი ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელებაზე, კაპიტალისტური ელემენტებისათვის მდგომარეობის შემსუბუქებაზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების და საერთოდ ყოველივე იმის უარყოფაზე, რაც სცილდება ყოველდღიური მუშაობის ჩვეულებრივი და დამშვიდებული ვითარების ფარგლებს.

მაგრამ ჩვენ წინ ვერ წავალთ, თუ არ გადავლახეთ ჩვენს წინაშე მდგომი სიძნელენი. ხოლო სიძნელეები რომ გადავლახოთ, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დავძლიოთ მემარჯვენე საფრთხე, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დავძლიოთ მემარჯვენე გადახრა, რომელიც აფერხებს სიძნე-

ლეებთან ბრძოლის საქმეს და ცდილობს გატეხოს ჩვენი პარტიის ნებისყოფა სიძნელეების გადალახვისათვის ბრძოლაში.

საქმე ეხება, რა თქმა უნდა, არა სიტყვიერ, ფორმალურ ბრძოლას, არამედ ნამდვილ ბრძოლას მემარჯვენე გადახრასთან. ჩვენს პარტიაში მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მზად არიან, სინდისის დასამშვიდებლად, გამოაცხადონ ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან, იმის მსგავსად, როგორც ზოგჯერ ხუცები «ალილუია, ალილუიას» გაიძახიან ხოლმე, მაგრამ არავითარ, სრულიად არავითარ პრაქტიკულ ზომას არ იღებენ იმისათვის, რომ მტკიცედ დააყენონ ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან და ნამდვილად დასძლიონ იგი, ეს მემარჯვენე გადახრა. ასეთ მიმდინარეობას ჩვენში ეწოდება მემარჯვენე, აშკარად ოპორტუნისტული გადახრის მიმართ **შემარიგებელი** მიმდინარეობა. ძნელი გასაგები არ არის, რომ ამგვარ შემარიგებლობასთან ბრძოლა წარმოადგენს მემარჯვენე გადახრასთან, მემარჯვენე საფრთხესთან საერთო ბრძოლის შემადგენელ ნაწილს. ვინაიდან შეუძლებელია მემარჯვენე, ოპორტუნისტული გადახრის დაძლევა, თუ არ ვაწარმოეთ სისტემატური ბრძოლა შემარიგებლობასთან, რომელიც თავის კალთას აფარებს ოპორტუნისტებს.

მემარჯვენე გადახრის მატარებელთა საკითხი უეჭველად საინტერესოა, თუმცა იგი არა წყვეტს საქმეს. ჩვენ შემთხვევები გვქონდა შევხვედროდით მემარჯვენე საფრთხის მატარებლებს ჩვენი პარტიის ძირეულ ორგანიზაციებში შარშან პურის დამზადების კრიზისის დროს, როდესაც მთელი რიგი კომუნისტები თემებსა და სოფლებში გამოდიოდნენ პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ, ხელს უწყობდნენ კულაკურ ელემენტებთან დაკავშირებას. თქვენ იცით, რომ ამგვარი ელემენტებისაგან გავწმინდეთ ჩვენი პარტია მიმდინარე წლის გაზაფხულზე, რაც სპეციალურად მოხსენიებულია ჩვე-

ნი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამა წლის თებერვლის ცნობილ დოკუმენტში.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ ასეთი ელემენტები აღარ დარჩენილან ჩვენს პარტიაში. თუ ახვალთ უფრო მაღლა, სამაზრო, საგუბერნიო პარტორგანიზაციებში, და რიგიანად მოჩხრეკთ საბჭოთა და კოოპერაციულ აპარატს, ადვილად შეხვდებით აქ მემარჯვენე საფრთხისა და მასთან შემარიგებლობის მატარებლებს. ცნობილია ჩვენი პარტიული და საბჭოთა აპარატის მთელ რიგ მუშაკთა «წერილები», «განცხადებები» და სხვა დოკუმენტები, სადაც მემარჯვენე გადახრისაკენ მიდრეკილებამ სრულიად გარკვეულად იჩინა თავი. თქვენ იცით, რომ ეს წერილები და დოკუმენტები მოხსენიებული იყო ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის სტენოგრამაში.

თუ კიდევ უფრო მაღლა ავალთ და დავსვამთ საკითხს ცენტრალური კომიტეტის წევრების შესახებ, უნდა ვაღიაროთ, რომ ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაშიც მოიპოვებიან ზოგიერთი, მართალია, სრულიად უმნიშვნელო ელემენტები, რომლებიც შემარიგებლურ დამოკიდებულებას იჩენენ მემარჯვენე საფრთხისადმი. ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის სტენოგრამა ამის პირდაპირ დამამტკიცებელია.

ხოლო რა მდგომარეობაა პოლიტბიუროში? არის თუ არა პოლიტბიუროში რაიმე გადახრა? პოლიტბიუროში ჩვენ არ გვყვანან არც მემარჯვენენი, არც «მემარცხენენი», არც მათთან შემარიგებელნი. ეს აქ სრულიად კატეგორიულად უნდა ითქვას. დროა დავანებოთ თავი იმ ჭორებს, რომლებსაც ავრცელებენ ჩვენი პარტიის არაკეთილმოსურნენი და ყოველგვარი ოპოზიციონერები, თითქოს ჩვენი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში იყოს მემარჯვენე გადახრა ან მასთან შემარიგებელი დამოკიდებულება.

იყო თუ არა მერყეობა და ქანაობა მოსკოვის ორგანიზაციაში ან მის ზედაფენაში, მოსკოვის კომიტეტში? დიახ, იყო. სისულელე იქნებოდა ახლა იმის მტკიცება, რომ იქ ქანაობა, მერყეობა არ ყოფილა. პენკოვის გულახდილი სიტყვა ამის პირდაპირ დამამტკიცებელია. პენკოვი უკანასკნელი კაცი როდია მოსკოვის ორგანიზაციასა და მოსკოვის კომიტეტში. თქვენ მოისმინეთ, რომ მან პირდაპირ და გულახდილად აღიარა თავისი შეცდომები ჩვენი პარტიული პოლიტიკის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში. ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ მოსკოვის კომიტეტი მთლიანად მერყეობას იჩენდა. არა, არ ნიშნავს. ისეთი დოკუმენტი, როგორიც არის მოსკოვის კომიტეტის მიმართვა მოსკოვის ორგანიზაციის წევრებისადმი ამა წლის ოქტომბერში, უეჭველად მოწმობს იმას, რომ მოსკოვის კომიტეტმა შესძლო ზოგიერთი თავისი წევრის მერყეობის დაძლევა. მე ეჭვი არ მეპარება, რომ მოსკოვის კომიტეტის ხელმძღვანელი ბირთვი შესძლებს საბოლოოდ გამოასწოროს მდგომარეობა.

ზოგიერთი ამხანაგი უკმაყოფილოა იმით, რომ ამ საქმეში ჩაერიენ რაიონული ორგანიზაციები, დააყენეს რა მოსკოვის ორგანიზაციის ამა თუ იმ ხელმძღვანელთა შეცდომებისა და მერყეობის ლიკვიდაციის საკითხი. არ ვიცი, რით შეიძლება ასეთი უკმაყოფილების გამართლება. რა უნდა იყოს ცუდი იმაში, რომ მოსკოვის ორგანიზაციის რაიონულმა აქტივებმა ხმა აღიმაღლეს და მოითხოვეს შეცდომებისა და მერყეობის ლიკვიდაცია? განა ჩვენი მუშაობა ქვემოდან მომდინარე თვითკრიტიკის ნიშნით არ წარმოებს? განა ფაქტი არ არის, რომ თვითკრიტიკა აძლიერებს პარტიული და საერთოდ პროლეტარული ქვედაფენების აქტივობას? რა არის აქ ცუდი ან საშიში, თუ რაიონული აქტივები თავისი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ?

სწორად მოიქცა თუ არა ცენტრალური კომიტეტი, ამ საქმეში რომ ჩაერია? მე ვფიქრობ, რომ ცენტრალური კომიტეტი სწორად მოიქცა. ბერზინს ჰგონია, რომ ცენტრალური კომიტეტი მკაცრად იქცევა, როცა აყენებს საკითხს ერთერთი იმ რაიონული ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ, რომლის წინააღმდეგაც რაიონული ორგანიზაცია ამხედრდა. ეს სრულებით არ არის სწორი. მე შემეძლო გამეხსენებინა ბერზინისათვის 1919 თუ 1920 წლის ზოგიერთი ეპიზოდი, როცა ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი წევრი, რომელმაც დაუშვა ზოგიერთი, ჩემი აზრით, არც იმდენად სერიოზული, შეცდომა პარტიული ხაზის მიმართ, ლენინის წინადადებით სამაგალითოდ დაისაჯა, ამასთან ერთ-ერთი მათგანი თურქესტანში გაიგზავნა, ხოლო მეორე კინაღამ გარიცხულ იქნა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან.

მართალი იყო თუ არა ლენინი, ასე რომ მოიქცა? მე ვფიქრობ, სავსებით მართალი იყო. ცენტრალურ კომიტეტში მაშინ ისეთი მდგომარეობა როდი იყო, როგორიც ახლა არის. ცენტრალური კომიტეტის ნახევარი მაშინ ტროცკის მიჰყვებოდა, ხოლო თვით ცენტრალურ კომიტეტში მტკიცე მდგომარეობა არ იყო. ახლა ცენტრალური კომიტეტი შეუდარებლად უფრო რბილად იქცევა. რატომ? იქნებ ჩვენ გვინდა ლენინზე უფრო გულკეთილი ვიყოთ? არა, ამაში როდია საქმე. საქმე იმაშია, რომ ცენტრალური კომიტეტის მდგომარეობა ახლა უფრო მტკიცეა, ვიდრე მაშინ იყო, და ცენტრალურ კომიტეტს ახლა საშუალება აქვს უფრო რბილად მოიქცეს.

მართალი არ არის სახაროვიც, როცა ამტკიცებს, ცენტრალურმა კომიტეტმა საქმეში ჩარევა დააგვიანაო. მართალი არ არის, ვინაიდან, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ცენტრალური კომიტეტის ჩარევა არსებითად მიმდინარე წლის თებერვლიდან დაიწყო. სახაროვს შეუძლია დარწმუნდეს ამაში, თუ სურვილი აქვს. მართალია, ცენტრალური კომიტე-

ტის ჩარევამ ერთბაშად ვერ გამოიღო დადებითი შედეგები. მაგრამ უცნაური იქნებოდა, რომ ამაში ცენტრალური კომიტეტისათვის დაგვედო ბრალი.

დასკვნები:

1) მემარჯვენე საფრთხე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენს პარტიაში, ვინაიდან მას ფესვი აქვს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ვითარებაში;

2) მემარჯვენე გადახრის საფრთხეს აძლიერებს იმ სიძნელეთა არსებობა, რომელთა დაძლევა შეუძლებელია, თუ დაძლეულ არ იქნა მემარჯვენე გადახრა და მასთან შემარიგებლობა;

3) მოსკოვის ორგანიზაციაში იყო ყოყმანი და ქანაობა, იყო მერყეობის ელემენტები;

4) მოსკოვის კომიტეტის ბირთვმა ცენტრალური კომიტეტისა და რაიონული აქტივების დახმარებით ყველა ზომა მიიღო მერყეობის ლიკვიდაციისათვის;

5) ეჭვს გარეშეა, რომ მოსკოვის კომიტეტი შესძლებს დასძლიოს შეცდომები, რომლებმაც წინათ იჩინეს თავი;

6) ამოცანა ის არის, რომ ბოლო მოვუღოთ შინაგან ბრძოლას, მჭიდროდ შევაკავშიროთ მოსკოვის ორგანიზაცია და წარმატებით ჩავატაროთ უჯრედების გადარჩევა გაშლილი თვითკრიტიკის ბაზაზე. (ტ ა შ ი).

«პრავდა» № 247,
1928 წ. 23 ოქტომბერი.

პასუხი ამხ. შ—ს

ამხ. შ.!

მივიღე თქვენი წერილი და უნდა გითხრათ, რომ ვერასგზით ვერ დაგეთანხმებით.

1) ლენინის ციტატიდან ცხადია, რომ სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყნად ვრჩებით, ჩვენში კაპიტალიზმის რესტავრაციის საფრთხე იარსებებს. თქვენ ამბობთ, რომ ლენინის ეს აზრი «არ შეიძლება შევუფარდოთ ახლანდელ პერიოდს სსრ კავშირში». იბადება კითხვა, რატომ? განა ჩვენ ჯერ კიდევ წვრილგლეხურ ქვეყნად არ ვრჩებით?

რა თქმა უნდა, რამდენადაც ჩვენში სოციალისტური მრეწველობა ვითარდება და სოფლად მეურნეობის კოლექტიური ფორმები ინერგება, კაპიტალიზმის რესტავრაციის შანსები მცირდება. ეს ფაქტია. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ უკვე აღარა ვართ წვრილგლეხური ქვეყანა? ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენში სოციალისტური ფორმები იმდენად განვითარდნენ, რომ სსრ კავშირი აღარ შეიძლება წვრილგლეხურ ქვეყნად ჩაითვალოს? ცხადია, არ ნიშნავს.

ხოლო რა გამოდის აქედან? აქედან გამოდის მხოლოდ ერთი რამ — რომ ჩვენში კაპიტალიზმის რესტავრაციის

საფრთხე არსებობს. როგორ შეიძლება დავა ამ აშკარა ფაქტის წინააღმდეგ?

2) თქვენს წერილში მწერთ: «როცა მემარჯვენე და «მემარცხენე» გადახრაზე ლაპარაკობდით, თქვენ ისე გამოგივიდათ, რომ მემარჯვენეებთანაც და «მემარცხენეებთანაც» ჩვენ უთანხმოება გვაქვს მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის ტემპის საკითხში. ხოლო გლეხობის საკითხი ტროცკისტული პოზიციის შეფასებაში გაკვრით გაქვთ დასმული. ეს თქვენი სიტყვის მეტად ცუდ გაგებას იწვევს».

ადვილი შესაძლებელია, რომ ჩემს სიტყვას * სხვადასხვანაირად განმარტავენ. ეს გემოვნების საკითხია. მაგრამ თქვენს წერილში გამოთქმული აზრები სინამდვილეს რომ არ შეესაბამება, — ეს ჩემთვის აშკარაა. მე პირდაპირ ვამბობ ჩემს სიტყვაში, რომ მემარჯვენე გადახრა «სათანადოდ ვერ აფასებს კაპიტალიზმის ძალას» ჩვენში, «ვერ ხედავს კაპიტალიზმის აღდგენის საფრთხეს», «არ ესმის კლასობრივი ბრძოლის მექანიკა» «და ამიტომ ასე ადვილად მიდის დათმობებზე კაპიტალიზმის მიმართ». მე პირდაპირ ვამბობ ჩემს სიტყვაში, რომ «ჩვენს პარტიაში მემარჯვენე გადახრის გამარჯვება» «გააძლიერებდა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის აღდგენის შანსებს». თქვენ, რა თქმა უნდა, გაიგებთ, რომ აქ ლაპარაკია არა მარტო ინდუსტრიალიზაციის ტემპზე.

კიდევ რალა უნდა ვთქვათ მემარჯვენე გადახრაზე, რომ თქვენ დაგაკმაყოფილოთ?

რაც შეეხება «მემარცხენე», ტროცკისტულ გადახრას, მე პირდაპირ ვამბობ ჩემს სიტყვაში, რომ იგი უარყოფს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობას, უარყოფს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის იდეას და მზად არის გლეხობასთან განხეთქილების საფასურით გაატაროს ინდუსტრიალიზაციის თავისი ფანტასტიკური გეგმა.

* იხ. ეს ტომი, გვ. 244 — 262. რ ე დ.

ჩემს სიტყვაში ნათქვამია (თუ თქვენ ის წაიკითხეთ), რომ «ჩვენს პარტიაში «მემარცხენე» გადახრის გამარჯვება გამოიწვევდა მუშათა კლასის მოწყვეტას მისი გლეხური ბაზისაგან, მუშათა კლასის ავანგარდის მოწყვეტას მუშათა დანარჩენი მასისაგან, — მაშასადამე, გამოიწვევდა პროლეტარიატის დამარცხებას და კაპიტალიზმის აღდგენის პირობების გაადვილებას». თქვენ, რა თქმა უნდა, გაიგებთ, რომ აქ ლაპარაკია არა მარტო ინდუსტრიალიზაციის ტემპზე.

მე ვფიქრობ, რომ აქ ნათქვამია ყოველივე ძირითადი, რაც საერთოდ თქმულა ჩვენში ტროცკიზმის წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ჩემს სიტყვაში «მემარცხენე» გადახრაზე ნაკლებია ნათქვამი, ვიდრე მემარჯვენე გადახრაზე. მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჩემი სიტყვის თემა იყო მემარჯვენე გადახრის საკითხი, რაც კიდევაც ნათქვამი მაქვს ჩემი სიტყვის დასაწყისში და რაც სავსებით შეესაბამება მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის დღის წესრიგს. მაგრამ ერთი რამ არ შეიძლება უარყოფილ იქნას, — რომ, მიუხედავად ამისა, ტროცკიზმის შესახებ ჩემს სიტყვაში ნათქვამია ყოველივე ის ძირითადი, რითაც საერთოდ განსხვავდება ტროცკიზმი ერთი მხრივ ლენინიზმისაგან და მეორე მხრივ მემარჯვენე გადახრისაგან.

კიდევ რაღა უნდა ვთქვათ ტროცკიზმზე მემარჯვენე გადახრისადმი მიძღვნილ სიტყვაში, რომ თქვენ დაგაკმაყოფილოთ?

3) თქვენ არ გაკმაყოფილებთ ჩემი განცხადება იმის შესახებ, რომ პოლიტბიუროში ჩვენ არა გვაქვს არც მემარჯვენე და არც «მემარცხენე» გადახრა ან მათთან შემარიგებლობა. მქონდა თუ არა მე საფუძველი ასეთი განცხადებისთვის? დიახ, მქონდა. რატომ? იმიტომ, რომ **როცა პოლიტბიურო იღებდა მოსკოვის ორგანიზაციის წევრებისადმი ცენტრალური კომიტეტის მიმართვის ტექსტს, პო-**

ლიტბიუროს ახლანდელ წევრებს შორის არც ერთი საწინააღმდეგო ხმა არ ალმოჩნდა. კარგია ეს თუ ცუდი? მე ვფიქრობ, კარგია. შეიძლება თუ არა გვერდი ავუხვიოთ ასეთ ფაქტს **1928 წლის ოქტომბერში პოლიტბიუროს დახასიათებისას?** ცხადია, არ შეიძლება.

კომ. სალამით **ი. სტალინი**

1928 წ. 27 ოქტომბერი.

•ბეჭდება პირველად.

ლენინურ კომკავშირს

მისალმება საკავშირო ალკკ ათი წლის იუბილეს დღეს

სალამი ლენინურ კომკავშირს მისი 10 წლის იუბილეს დღეს!

ლენინური კომკავშირი იყო და კვლავ არის ჩვენი რევოლუციის ახალგაზრდა რეზერვი. ახალგაზრდა მუშურ-გლეხური თაობის ათეული და ასეული ათასობით საუკეთესო წარმომადგენელნი აღიზარდნენ კომკავშირის რიგებში, მიიღეს რევოლუციური წრთობა და ჩაებნენ ჩვენს პარტიაში, ჩვენს საბჭოებში, ჩვენს პროფკავშირებში, ჩვენს წითელ არმიაში, ჩვენს წითელ ფლოტში, ჩვენს კოოპერაციაში, ჩვენს კულტურულ ორგანიზაციებში — ბოლშევიკთა ძველი გვარდიის შესაცვლელად.

კომკავშირი იმიტომ ახერხებდა ამ ძნელი ამოცანის შესრულებას, რომ თავის მუშაობას იგი ეწეოდა პარტიის ხელმძღვანელობით, მას უნარი შესწევდა თავის მოღვაწეობაში საერთოდ სწავლა, განსაკუთრებით კი ლენინური სწავლა, შეეხამებინა ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობასთან, უნარი შესწევდა აღეზარდა მუშებისა და მუშა ქალების და გლეხებისა და გლეხი ქალების ახალგაზრდა თაობა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, უნარი შესწევდა გამოენახა საერთო ენა ძველ და ახალგაზრდა ლენინელებს შორის, ძველ და ახალგაზრდა გვარდიას შორის, უნარი

შესწევდა დაემორჩილებინა მთელი თავისი მუშაობა პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური მშენებლობის გამარჯვების ინტერესებისადმი.

მხოლოდ ამიტომ შესძლო კომკავშირმა მაღლა სჭეროდა ლენინის დროშა.

იმედი ვიქონიოთ, რომ კომკავშირი შესძლებს კვლავაც შეასრულოს თავისი მოვალეობა ჩვენი და საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე.

ჩვენი პარტიის ორმილიონიან რეზერვს, ლენინურ კომკავშირს — სალამი!

გაუმარჯოს კომკავშირულ მოდგმას!

ი. სტალინი

«პრავდა» № 252,
1928 წ. 28 ოქტომბერი.

მუშა და გლეხ ქალთა პირველი ყრილობის ათი წლისთავისათვის[57]

ძმური სალამი ქალაქისა და სოფლის მუშა-ქალებსა და ყველა მშრომელ ქალს!

ვუსურვებ მათ წარმატებას ექსპლოატაციის, ჩაგვრის, უთანასწორობის, სიბნელის, უკულტურობის მოსპობისათვის ბრძოლაში!

ყველა მშრომელთან ერთიანი ფრონტით მუშათა კლასის ხელმძღვანელობით — წინ კაპიტალიზმის მოსპობისათვის, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის, ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის!

ი. სტალინი

«პრავდა» № 267,
1928 წ. 17 ნოემბერი.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) მემარჯვენე გადახრის შესახებ

სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე [69]
1928 წ. 19 ნოემბერი

მე ვილაპარაკებ, ამხანაგებო, სამ ძირითად საკითხზე, რომლებიც დასმულია პოლიტბიუროს თეზისებში.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხზე და იმაზე, რომ მბრძანებელი ფაქტორი ინდუსტრიალიზაციის საქმეში არის წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარება ამ განვითარების რაც შეიძლება სწრაფი ტემპის უზრუნველყოფასთან ერთად.

შემდეგ იმ საკითხზე, რომ ჩვენში სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი მეტად ჩამორჩება ინდუსტრიის განვითარების ტემპს და რომ ამიტომ თანამედროვეობის ყველაზე მწვავე საკითხს ჩვენს საშინაო პოლიტიკაში წარმოადგენს სოფლის მეურნეობის საკითხი და განსაკუთრებით მარცვლეულის პრობლემის საკითხი, ის საკითხი, თუ როგორ წამოვწიოთ სოფლის მეურნეობა, მოვახდინოთ მისი რეკონსტრუქცია ახალი ტექნიკის ბაზაზე.

და, ბოლოს, მესამე საკითხი — საკითხი პარტიის ხაზიდან გადახრების შესახებ, ორ ფრონტზე ბრძოლისა და იმის

შესახებ, რომ ამჟამად ჩვენში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მემარჯვენე საფრთხე, მემარჯვენე გადახრა.

I

ინდუსტრიის განვითარების ტემპის საკითხი

ჩვენი თეზისების გამოსავალ პუნქტს წარმოადგენს დებულება იმის შესახებ, რომ საერთოდ ინდუსტრიის და განსაკუთრებით წარმოების საშუალებათა წარმოების განვითარების სწრაფი ტემპი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ძირითად საწყისსა და გასაღებს, სოციალისტური განვითარების ბაზაზე მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის გარდაქმნის ძირითად საწყისსა და გასაღებს.

მაგრამ რას ნიშნავს ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი? ეს ნიშნავს რაც შეიძლება მეტ კაპიტალურ დაბანდებებს მრეწველობაში. ეს კი იწვევს მთელი ჩვენი გეგმების, როგორც საბიუჯეტო, ისე ბიუჯეტგარეშე გეგმების დაძაბულობას. და მართლაც, ჩვენი საკონტროლო ციფრების დამახასიათებელი ნიშანი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, რეკონსტრუქციის პერიოდში, ის არის, რომ ამ ციფრების შედგენა და განხორციელება დაძაბულობის ნიშნით ხდება. ჩვენს საკონტროლო ციფრებს აიღებთ, ჩვენს საბიუჯეტო მონახაზებს გადაათვალიერებთ თუ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს ესაუბრებით — როგორც იმათ, ვინც პარტიული ორგანიზაციების ხაზით მუშაობს, ისე იმათ, ვინც ჩვენს საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერაციულ მშენებლობას ხელმძღვანელობს, — ყველგან და ყველაფერში გამოსჭვივის ერთი დამახასიათებელი ნიშანი — ჩვენი გეგმების დაძაბულობა.

იბადება კითხვა, გვესაჭიროება თუ არა საერთოდ გეგმების ეს დაძაბულობა? ხომ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ დაძაბულობას? განა არ შეიძლება ვაწარმოოთ მუშაობა უფ-

რო ნელი ტემპით, უფრო «მშვიდ» ვითარებაში? ჩვენს მიერ აღებული სწრაფი ტემპი ინდუსტრიის განვითარებისა პოლიტბიუროს და სახკომსაბჭოს წევრების მოუსვენარი ხასიათით ხომ არ აიხსნება?

რა თქმა უნდა, არა! პოლიტბიუროსა და სახკომსაბჭოში ფხიზელი და მშვიდი ადამიანები სხედან. აბსტრაქტულად, საშინაო და საგარეო ვითარების გაუთვალისწინებლად რომ ვილაპარაკოთ, ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგვეძლო უფრო ნელი ტემპით წაგვეყვანა საქმე. მაგრამ საქმე ის არის, რომ, ჯერ-ერთი, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საგარეო და საშინაო ვითარებას და, მეორეც, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს გარშემო არსებულ ვითარებას, არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ სწორედ იგი, ეს ვითარება, გვიკარნახებს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპს.

ნება მიბოძეთ გადავიდე ამ ვითარების, ამ საგარეო და საშინაო ხასიათის პირობების განხილვაზე, რომლებიც გვიკარნახებენ ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპს.

საგარეო პირობები. ჩვენ ძალაუფლება მოვიპოვეთ ისეთ ქვეყანაში, რომლის ტექნიკა საშინლად ჩამორჩენილია. მცირერიცხოვან მსხვილ სამრეწველო ერთეულებთან ერთად, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ეყრდნობიან ახალ ტექნიკას, ჩვენ ასობით და ათასობით გვაქვს ისეთი ფაბრიკები და ქარხნები, რომელთა ტექნიკა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს თანამედროვე მიღწევების თვალსაზრისით. ამავე დროს ჩვენ გარს გვარტყიან მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნები, რომლებსაც გაცილებით უფრო განვითარებული და თანამედროვე სამრეწველო ტექნიკა აქვთ, ვიდრე ჩვენს ქვეყანას. შეხედეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, და დაინახავთ, რომ იქ ტექნიკა არა თუ მიდის წინ, არამედ პირდაპირ გარბის, უსწრებს სამრეწველო ტექნიკის ძველ ფორმებს. და აი გამოდის, რომ ჩვენს ქვეყანაში, ერთი მხრივ, გვაქვს მთელ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე წყობილება, საბჭოთა წყო-

ბილება, და ყველაზე მოწინავე ხელისუფლება, საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო, მეორე მხრივ, გვაქვს უზომოდ ჩამორჩენილი ტექნიკა მრეწველობისა, რომელიც სოციალიზმის და საბჭოთა ხელისუფლების ბაზას უნდა წარმოადგენდეს. ნუთუ ფიქრობთ, რომ შეიძლება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების მიღწევა ამ წინააღმდეგობის არსებობისას?

რა უნდა გავაკეთოთ, რომ აღმოვფხვრათ ეს წინააღმდეგობა? ამისათვის საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მოწინავე ტექნიკას. მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ჩვენ დავეწიეთ და გავუსწარით ახალი პოლიტიკური წყობილების, საბჭოთა წყობილების დამყარებით. ეს კარგია. მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას რომ მივაღწიოთ, ამისათვის საჭიროა აგრეთვე დავეწიოთ და გავუსწროთ ამ ქვეყნებს ტექნიკურ-ეკონომიურადაც. ჩვენ ან მივაღწევთ ამას, ან გაგვსრესენ.

ეს სწორია არა მარტო სოციალიზმის აშენების თვალსაზრისით. ეს სწორია კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის თვალსაზრისითაც. შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვა ისე, თუ არ გვექნა საკმაო სამრეწველო ბაზა თავდაცვისათვის. შეუძლებელია ასეთი სამრეწველო ბაზის შექმნა ისე, თუ არ გვექნა უმაღლესი ტექნიკა მრეწველობაში.

აი რისთვის გვესაჭიროება ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი და აი რა გვიკარნახებს ასეთ ტემპს.

ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა ჩვენს მიერ როდია გამოგონილი. ეს ჩამორჩენილობა საუკუნეობრივი ჩამორჩენილობაა, რომელიც მემკვიდრეობით დაგვიტოვა ჩვენი ქვეყნის მთელმა ისტორიამ. მას, ამ ჩამორჩენილობას, ვგრძნობდით როგორც ბოროტებას წინათაც, რევოლუციამდელ პერიოდში, და შემდეგაც, რევოლუციის-

შემდგომ პერიოდში. როცა პეტრე დიდი, რომელსაც საქმე ჰქონდა დასავლეთის უფრო განვითარებულ ქვეყნებთან, გამალებით აშენებდა ქარხნებსა და ფაბრიკებს არმიის მოსამარაგებლად და ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად, ეს იყო ჩამორჩენილობის ფარგლებიდან ამოხტომის თავისებური ცდა. მაგრამ სავსებით გასაგებია, რომ არც ერთ ძველ კლასს, არც ფეოდალურ არისტოკრატიას და არც ბურჟუაზიას, არ შეეძლო გადაეჭრა ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ამოცანა. უფრო მეტიც, ამ კლასებს არა თუ არ შეეძლოთ ამ ამოცანის გადაჭრა, არამედ იმის უნარიც კი არ შესწევდათ, რომ რამდენადმე დამაკმაყოფილებელი ფორმით დაეყენებინათ იგი, ეს ამოცანა. ჩვენი ქვეყნის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ წარმატებითი სოციალისტური მშენებლობის ბაზაზე. ამ ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია კი შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს, რომელმაც შექმნა თავისი დიქტატურა და რომელსაც ხელთ უპყრია ქვეყნის ხელმძღვანელობა.

სისულელე იქნებოდა თავი გვენუგეშებინა იმით, რომ ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობა ჩვენს მიერ არ არის გამოგონილი, არამედ მემკვიდრეობით არის გადმოცემული ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორიით, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია და არ უნდა ვაგოთ პასუხი ამ ჩამორჩენილობისათვის. ეს სწორი არ არის, ამხანაგებო. რაკი ჩვენ ჩავდექით ხელისუფლების სათავეში და ვიკისრეთ ამოცანა — გარდავქმნათ ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის საფუძველზე, ჩვენ პასუხისმგებელი ვართ და უნდა ვაგოთ კიდევაც პასუხი ყველაფრისათვის, ცუდისთვისაც და კარგისთვისაც. და სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ პასუხს ვაგებთ ყველაფრისათვის, ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ ჩვენი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა. ჩვენ ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ, თუ მართლა გვინდა დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამის გაკეთება კი შეგვიძლია

მხოლოდ ჩვენ, ბოლშევიკებს. და სწორედ იმისათვის, რომ გადავჭრათ ეს ამოცანა, ჩვენ სისტემატურად უნდა ვახორციელებდეთ ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპს. ხოლო ჩვენ რომ უკვე ვახორციელებთ ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპს, ამას ახლა ყველა ხედავს.

საკითხი იმის შესახებ, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ტექნიკურ-ეკონომიურად,—ეს საკითხი ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, არაფერს ახალს ან მოულოდნელს არ წარმოადგენს. ეს საკითხი ჩვენში დაისვა ჯერ კიდევ 1917 წელს, ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში. იგი დააყენა ლენინმა ჯერ კიდევ 1917 წლის სექტემბერში, ოქტომბრის რევოლუციის წინ, იმპერიალისტური ომის პერიოდში, თავის ბროშურაში «მოსალოდნელი კატასტროფა და როგორ ვებრძოლოთ მას».

აი რას ამბობდა ლენინი ამის შესახებ:

«რევოლუციამ გააკეთა ის, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში რუსეთი თავისი **პოლიტიკური** წყობილებით დაეწია მოწინავე ქვეყნებს. მაგრამ ეს არ კმარა. ომი ულმობელია, იგი დაუნდობელი სიმკვეთრით აყენებს საკითხს: ან დავიღუპოთ, ან დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე ქვეყნებს აგრეთვე **ეკონომიურადაც**... ან დავიღუპოთ, ან მთელი სისწრაფით გავეშუროთ წინ. ასეა დაყენებული საკითხი ისტორიის მიერ» (ტ. XXI, გვ. 191).

აი რა მკვეთრად აყენებდა ლენინი ჩვენი ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის საკითხს.

ლენინი ყოველივე ამას წერდა ოქტომბრის რევოლუციის წინ, პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების აღებამდე, როცა ბოლშევიკებს ჯერ არც ძალაუფლება ჰქონდათ, არც სოციალიზებული მრეწველობა, არც კოოპერაციის ფართოდ განშტოებული ქსელი, რომელიც მილიონობით გლეხებს მოიცავს, არც კოლმეურნეობები და არც საბჭოთა მეურნეობები. ახლა, როცა ჩვენ უკვე გვაქვს ზოგი რამ არსებითი იმისათვის, რომ ძირფესვიანად აღმოვფხვრათ ჩვენი ტექ-

ნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით ასე გადავაკეთოთ ლენინის სიტყვები:

«ჩვენ დავეწიეთ და **გავუსწარით** მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს **პოლიტიკურად**, დავამყარეთ რა პროლეტარიატის დიქტატურა. მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ პროლეტარიატის დიქტატურა, ჩვენი სოციალიზებული მრეწველობა, ტრანსპორტი, საკრედიტო სისტემა და სხვ., კოოპერაცია, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვ. იმისათვის, რომ **ეკონომიურადაც** დავეწიოთ და **გავუსწროთ** მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს».

ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპის საკითხი ჩვენში ისე მწვავედ არ იდგებოდა, როგორც ახლა დგას, ისეთივე განვითარებული მრეწველობა და ისეთივე განვითარებული ტექნიკა რომ გვქონდეს, როგორიც აქვს, ვთქვათ, გერმანიას, ჩვენი ინდუსტრიის ხვედრითი წონა მთელ სახალხო მეურნეობაში ისევე მაღლა რომ იდგეს, როგორც დგას იგი, მაგალითად, გერმანიაში. **ამ პირობებში** ჩვენ შეგვეძლო უფრო ნაკლებად სწრაფი ტემპით განგვევითარებინა ინდუსტრია ისე, რომ კაპიტალისტური ქვეყნებისაგან ჩამორჩენის შიში არ გვქონოდა, რადგან გვეცოდინებოდა, რომ შეგვიძლია ერთი დაკვრით გავუსწროთ მათ. მაგრამ მაშინ ჩვენ აღარ გვექნებოდა ის სერიოზული ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, რომელიც ახლა გვაქვს. საქმეც ის არის, რომ ჩვენ ამ მხრივ გერმანიაზე უკან ვდგავართ და ჯერ კიდევ ბევრი გვაკლია, რომ დავეწიოთ მას ტექნიკურ-ეკონომიურად.

ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპის საკითხი ასე მწვავედ არ იდგებოდა იმ შემთხვევაში, ჩვენ რომ წარმოვადგენდეთ პროლეტარიატის დიქტატურის არა **ერთადერთ** ქვეყანას, არამედ პროლეტარული დიქტატურის **ერთ-ერთ ქვეყანას,** რომ პროლეტარული დიქტატურა იყოს არა მარ-

ტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ სხვა, უფრო მოწინავე ქვეყნებშიც, ვთქვათ, გერმანიასა და საფრანგეთში.

ამ პირობებში კაპიტალისტური გარემოცვა ველარ იქნებოდა ჩვენთვის ისეთი სერიოზული საფრთხე, როგორიც ახლაა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობის საკითხი, ბუნებრივია, უკან გადაიწევდა, ჩვენ შეგვეძლებოდა შევსულიყავით უფრო განვითარებული პროლეტარული სახელმწიფოების სისტემაში, შეგვეძლებოდა მიგვეღო მათგან მანქანები ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გასანაყოფიერებლად, ხოლო მათთვის მიგვეწოდებინა ნედლეული და სასურსათო პროდუქტები, მაშასადამე, შეგვეძლებოდა უფრო ნაკლებად სწრაფი ტემპით განგვევითარებინა ჩვენი ინდუსტრია. მაგრამ თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს ეს პირობები და ჩვენ ჯერჯერობით ვართ პროლეტარული დიქტატურის **ერთადერთი** ქვეყანა, გარემოცული კაპიტალისტური ქვეყნებით, რომელთაგან ბევრი ტექნიკურ-ეკონომიურად ჩვენზე გაცილებით წინ დგას.

სწორედ ამიტომ იმ საკითხს, რომ ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე ქვეყნებს, ლენინი აყენებდა როგორც ჩვენი განვითარების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს.

ასეთია **საგარეო** პირობები, რომლებიც გვიკარნახებენ ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპს.

საშინაო პირობები. მაგრამ გარდა საგარეო პირობებისა არის კიდევ საშინაო პირობები, რომლებიც გვიკარნახებენ სწრაფი ტემპით განვავითაროთ ჩვენი ინდუსტრია, როგორც მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის წამყვანი საწყისი. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი მიწათმოქმედების, მისი ტექნიკის, მისი კულტურის უზომო ჩამორჩენილობა. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდ უმრავლესობას შეადგენენ წვრილი საქონელმწარმოებლები თა-

ვიანთი დაქუცმაცებული და სრულიად ჩამორჩენილი წარმოებით, რომელთან შედარებითაც ჩვენი მსხვილი სოციალისტური მრეწველობა ისე მოჩანს, როგორც კუნძული ზღვაში, კუნძული, რომლის ბაზა დღითი-დღე ფართოვდება, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ მაინც კუნძულს წარმოადგენს ზღვაში.

ჩვენში ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ინდუსტრია მთელი სახალხო მეურნეობის, მასთან სოფლის მეურნეობის, წამყვანი საწყისია, რომ ინდუსტრია არის ის გასაღები, რომლის საშუალებითაც შეიძლება ჩამორჩენილი და დაქუცმაცებული მიწათმოქმედების გარდაქმნა კოლექტივიზმის ბაზაზე. ეს სრული სიმართლეა. და ამას ერთ წუთსაც არ უნდა გადავუხვიოთ. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ინდუსტრია წამყვანი საწყისია, სამაგიეროდ სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ინდუსტრიის განვითარების ბაზას როგორც ბაზარიც, რომელიც ინდუსტრიის პროდუქციას ასაღებს, როგორც ნედლეულისა და სურსათის მიმწოდებელიც და როგორც იმ საექსპორტო რეზერვების წყაროც, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ შემოვიტანოთ მოწყობილობა სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის. განა შეიძლება წინ წავწიოთ ინდუსტრია, თუ სოფლის მეურნეობა დავტოვეთ სრულიად ჩამორჩენილი ტექნიკის პირობებში, თუ არ უზრუნველვყავით ინდუსტრიისათვის სასოფლო-სამეურნეო ბაზა, თუ არ მოვახდინეთ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია და არ შევუფარდეთ იგი ინდუსტრიას? არა, არ შეიძლება.

აქედან გამომდინარეობს ამოცანა — მაქსიმალურად უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობა წარმოების იარაღებითა და საშუალებებით, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ დავაჩქაროთ და წინ წავწიოთ ახალ ტექნიკურ ბაზაზე მისი რეკონსტრუქციის საქმე. მაგრამ ამ ამოცანის განხორციელებას რომ მივაღწიოთ, ამისათვის საჭიროა

ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი. რასაკვირველია, დაქუცმაცებული და დაქსაქსული სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია გაცილებით უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე გაერთიანებული და ცენტრალიზებული სოციალისტური მრეწველობის რეკონსტრუქცია. მაგრამ ეს ამოცანა ჩვენს წინაშე დგას, და იგი უნდა გადავჭრათ. მისი გადაჭრა კი შეიძლება მხოლოდ მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპის ბაზაზე.

არ შეიძლება დაუსრულებლად, ე. ი. მეტისმეტად დიდი ხნის განმავლობაში, დავამყაროთ საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური მშენებლობა ორ **სხვადასხვა** საფუძველზე, ყველაზე მსხვილი და გაერთიანებული სოციალისტური მრეწველობის საფუძველზე და ყველაზე დაქუცმაცებული და ჩამორჩენილი წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის საფუძველზე. საჭიროა თანდათან, მაგრამ სისტემატურად და მტკიცედ გადავიყვანოთ სოფლის მეურნეობა ახალ ტექნიკურ ბაზაზე, მსხვილი წარმოების ბაზაზე, რათა იგი დავუახლოოთ სოციალისტურ მრეწველობას. ჩვენ ან გადავჭრით ამ ამოცანას, — და მაშინ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება უზრუნველყოფილია, ან თავს დავანებებთ ამ ამოცანას, ვერ გადავჭრით მას, — და მაშინ კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება შეიძლება გარდუვალი გახდეს.

აი რას ამბობს ამის შესახებ ლენინი:

«სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის. ეს აუცილებლად უნდა დავიხსომოთ. ყველამ, ვინც კი ყურადღებით დაკვირვებია სოფლის ცხოვრებას და ის ქალაქის ცხოვრებისათვის შეუდარებია, იცის, რომ ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ ამოგვიგლეჯია და შინაური მტრისათვის საძირკველი, საფუძველი არ გამოგვიცლია. შინაური მტერი წვრილ მეურნეობას ეყრდნობა, და მას რომ ძირი გამოვუთხაროთ, ამისათვის არსებობს ერთი საშუალება — გადავიყვანოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, მასთან

მიწათმოქმედებაც, ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე. ასეთ ბაზას წარმოადგენს მხოლოდ ელექტრობა. კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია» (ტ. XXVI, გვ. 46).

როგორც ხედავთ, ქვეყნის ელექტროფიკაციად ლენინი გულისხმობს არა ცალკეული ელექტროსადგურების იზოლირებულად აგებას, არამედ იმას, რომ თანდათანობით «გადავიყვანოთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა, **მასთან მიწათმოქმედებაც** *, ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე», რომელიც ასე თუ ისე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დაკავშირებულია ელექტროფიკაციის საქმესთან.

ეს სიტყვა ლენინმა წარმოთქვა საბჭოების VIII ყრილობაზე 1920 წლის დეკემბერში, სწორედ ნეპის შემოღების წინ, როცა იგი ასაბუთებდა ეგრეთწოდებულ ელექტროფიკაციის გეგმას, ე. ი. «გოელროს» გეგმას. ზოგიერთი ამხანაგი ამის საფუძველზე ამბობს, ლენინის ამ ციტატაში გამოთქმული დებულებანი ახლანდელ სინამდვილეს აღარ შეეფერებიანო. საკითხავია, რატომ? იმიტომ, რომ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარაო. ეს, რა თქმა უნდა, მართალია, რომ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჩვენ ახლა გვაქვს განვითარებული სოციალისტური მრეწველობა, გვაქვს კოლმეურნეობები, როგორც მასობრივი მოვლენა, გვაქვს ძველი და ახალი საბჭოთა მეურნეობები, გვაქვს განვითარებული კოოპერაციული ორგანიზაციების მდიდარი ქსელი, გვაქვს გასაქირავებელი პუნქტები გლეხურ მეურნეობათა მომსახურებისათვის, ჩვენ ახლა ვიყენებთ კონტრაქტაციის მეთოდს, როგორც მუშათა და გლეხთა კავშირის ახალ ფორმას, და შეგვიძლია ყველა ეს და მრავალი სხვა ბერკეტი ავამოქმედოთ იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა თანდათანობით გადავიყვანოთ ახალი ტექ-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

ნიკის ბაზაზე. ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ ისიც მართალია, რომ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ კიდევ ვრჩებით წვრილგლეხურ ქვეყნად, რომელშიც წვრილი წარმოება ჭარბობს. ეს კი ძირითადია. და სანამ ეს ძირითადი რჩება, ძალაში რჩება ლენინის თეზისიც იმის შესახებ, რომ «სანამ ჩვენ წვრილგლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, კაპიტალიზმისათვის რუსეთში უფრო მტკიცე ეკონომიური ბაზა არსებობს, ვიდრე კომუნიზმისათვის», რომ, მაშასადამე, კაპიტალიზმის რესტავრაციის საფრთხე ლიტონი ფრაზა როდია.

ამასვე ამბობს ლენინი, მაგრამ უფრო მკვეთრი ფორმით, თავის ბროშურის «სასურსათო გადასახადის შესახებ» გეგმაში, რომელიც დაწერილია უკვე ნეპის შემოღების **შემდეგ** (1921 წლის მარტი — აპრილი):

«თ უ იქნება ელექტროფიკაცია 10 — 20 წლის შემდეგ, ოდნავადაც არ არის საშიში წვრილი მიწათმოქმედის ინდივიდუალიზმი და **მ ი ს ი** თავისუფალი ვაჭრობა ადგილობრივ ბრუნვაში. თ უ ელექტროფიკაცია არ იქნება, **ს უ ლ ე რ თ ი ა** კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება გარდუვალია».

და შემდეგ იქვე:

«10 — 20 წელი სწორი ურთიერთობისა გლეხობასთან — და უზრუნველყოფილია გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით (თუნდაც რომ მოაგვიანდეთ პროლეტარულ რევოლუციებს, რომლებიც მწიფდება), წინააღმდეგ შემთხვევაში მოგველის თეთრგვარდიული ტერორით 20 — 40 წელიწადს ტანჯვა» (ტ. XXVI, გვ. 313).

აი რა მკვეთრად აყენებს საკითხს ლენინი: ან ელექტროფიკაცია, ე. ი. «ჩვენი ქვეყნის მეურნეობის, მასთან მიწათმოქმედების, გადაყვანა ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე», ან კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება.

აი როგორ ესმის ლენინს «გლეხობასთან სწორი ურთიერთობის» საკითხი.

აქ საქმე ის კი არ არის, რომ ეფერებოდე გლეხს და ამაში ხედავდე გლეხთან სწორი ურთიერთობის გეზს, ვინაიდან მოფერებით შორს ვერ წახვალ, არამედ საქმე ის არის, რომ დაეხმარო გლეხს გადაიყვანოს თავისი მეურნეობა «ახალ ტექნიკურ ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტექნიკურ ბაზაზე», ვინაიდან ამაშია სიღატაკისაგან გლეხობის ხსნის ძირითადი გზა.

ხოლო ჩვენი ქვეყნის მეურნეობის გადაყვანა ახალ ტექნიკურ ბაზაზე შეუძლებელია ისე, თუ სწრაფი ტემპით არ განვითარდა ჩვენი ინდუსტრია და, უწინარეს ყოვლისა, წარმოების საშუალებათა წარმოება.

ასეთია საქმის ვითარება საშინაო პირობების მხრივ, რომლებიც გვიკარნახებენ ინდუსტრიის განვითარების სწრაფ ტემპს.

აი საგარეო და საშინაო ხასიათის რა პირობებს ეყრდნობა ჩვენი სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების დაძაბულობა.

აი სად არის იმის საფუძველი, რომ ჩვენი სამეურნეო გეგმები, საბიუჯეტოც და ბიუჯეტგარეშეც, ხორციელდება დაძაბულობის ნიშნით, კაპიტალური მშენებლობის საქმეში სერიოზულ დაბანდებათა ნიშნით, რომელთა მიზანია ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპის შენარჩუნება.

შეიძლება იკითხონ, — სად არის ეს ნათქვამი თეზისებში, თეზისების რა ადგილასო? (ხმა: «დიახ, სად არის ეს ნათქვამი?»). თეზისებში ამას მეტყველებს 1928/29 წლისათვის მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა თანხა. თეზისებს ხომ ჩვენში ეწოდება თეზისები საკონტროლო ციფრების შესახებ. ვგონებ, ასეა, ამხანაგებო? (ხმა: «დიახ»). მაშ აი ამ თეზისებში ნათქვამია, რომ 1928/29 წელს მრეწველობაში კაპიტალურ სამუშაოებზე ვაბანდებთ 1 650 მილიონ მანეთს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ

წელს მრეწველობაში ვაბანდებთ 330 მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე შარშან.

ამრიგად, გამოდის, რომ ჩვენ არა მარტო ვინარჩუნებთ ინდუსტრიის განვითარების ტემპს, არამედ ვდგამთ კიდევ ნაბიჯს წინ, მრეწველობაში უფრო მეტს რომ ვაბანდებთ, ვიდრე შარშან, ე. ი. მრეწველობაში კაპიტალურ სამუშაოებს აბსოლუტურადაც რომ ვადიდებთ და შედარებითაც.

ეს არის მთავარი ღერძი თეზისებისა სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ. ზოგიერთმა ამხანაგმა კი სწორედ სპილო ვერ შეამჩნია. წვრილმანებში წალმა-უკუღმა აკრიტიკებდნენ თეზისებს საკონტროლო ციფრების შესახებ, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ვერ შეამჩნიეს.

II

მარცვლეულის პრობლემა

აქამდე მე ვლაპარაკობდი თეზისების პირველ ძირითად საკითხზე, ინდუსტრიის განვითარების ტემპზე. ახლა გადავიდეთ მეორე ძირითად საკითხზე, მარცვლეულის პრობლემის საკითხზე. თეზისების დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საერთოდ სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მარცვლეულის მეურნეობის განვითარების პრობლემას. სწორია თუ არა თეზისების ასეთი გეზი? მე ვფიქრობ, რომ სწორია. ჯერ კიდევ ივლისის პლენუმზე ითქვა, რომ ყველაზე ვიწრო ადგილს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაში წარმოადგენს საერთოდ სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მარცვლეულის მეურნეობის **მეტისმეტი** ჩამორჩენილობა.

როცა ამბობენ, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა მრეწველობას ჩამორჩება, და ამ გარემოების გამო ჩივიან, ეს,

რა თქმა უნდა, არასერიოზულია. სოფლის მეურნეობა ყოველთვის ჩამორჩენილი იყო და კვლავაც ჩამორჩენილი იქნება მრეწველობისაგან. ეს განსაკუთრებით სწორია ჩვენს პირობებში, სადაც მრეწველობა მაქსიმალურად კონცენტრირებულია, სოფლის მეურნეობა კი მაქსიმალურად დაქსაქსული. გასაგებია, რომ გაერთიანებული მრეწველობა უფრო სწრაფად განვითარდება, ვიდრე დაქსაქსული სოფლის მეურნეობა. სხვათა შორის, სწორედ აქედან გამომდინარეობს მრეწველობის წამყვანი როლი სოფლის მეურნეობის მიმართ. ამიტომ მრეწველობისაგან სოფლის მეურნეობის ჩვეულებრივი ჩამორჩენა კიდევ არ იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ დაისვას მარცვლეულის პრობლემა.

სოფლის მეურნეობის და, კერძოდ, მარცვლეულის მეურნეობის პრობლემა მხოლოდ მაშინ წამოიჭრება ხოლმე, როცა ინდუსტრიისაგან სოფლის მეურნეობის ჩვეულებრივი ჩამორჩენა მისი განვითარების ტემპის **მეტისმეტ** ჩამორჩენილობად იქცევა. სახალხო მეურნეობის ახლანდელი მდგომარეობის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ჩვენს წინაშეა ინდუსტრიის განვითარების ტემპისაგან მარცვლეულის მეურნეობის განვითარების ტემპის **მეტისმეტი** ჩამორჩენა, როგორც ფაქტი, მაშინ როცა კოლოსალურად გაიზარდა სასაქონლო პურის მოთხოვნილება მზარდი ქალაქებისა და სამრეწველო პუნქტების მხრივ. ამასთან ამოცანა ის კი არ არის, რომ ინდუსტრიის განვითარების ტემპი **შევანელოთ** მარცვლეულის მეურნეობის განვითარების დონემდე (ეს არევდა ყველაფერს და უკუღმა დაატრიალებდა განვითარებას), არამედ ის, რომ მარცვლეულის მეურნეობის განვითარება შევუფარდოთ ინდუსტრიის განვითარების ტემპს და მარცვლეულის მეურნეობის განვითარების ტემპი **გავაძლიეროთ** იმ დონემდე, რომელიც უზ-

რუნველყოფს მთელი სახალხო მეურნეობის, როგორც მრეწველობის, ისე მიწათმოქმედების, სწრაფ წინსვლას.

ჩვენ ან გადავჭრით ამ ამოცანას, და ამით გადაწყდება მარცვლეულის პრობლემა, ან ვერ გადავჭრით მას, და მაშინ გარდუვალია გათიშვა სოციალისტურ ქალაქსა და წვრილგლეხურ სოფელს შორის.

ასე დგას ჩვენში საკითხი, ამხანაგებო. ასეთია მარცვლეულის პრობლემის არსი.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ ახლა ჩვენ საქმე გვაქვს «შეჩერებასთან» მარცვლეულის მეურნეობის განვითარებაში ან მის «დეგრადაციასთანაც» კი? ფრუმკინი სწორედ ასე აყენებს საკითხს თავის მეორე წერილში, რომელიც მისი მოთხოვნით დღეს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრებს დავურიგეთ. ამ წერილში იგი პირდაპირ ამბობს, რომ სოფლის მეურნეობაში ჩვენს წინაშეა «შეჩერება». «ჩვენ არ შეგვიძლია, — ამბობს იგი, — და არც უნდა ვწეროთ პრესაში დეგრადაციის შესახებ, მაგრამ პარტიის შიგნით არ უნდა დავმალოთ, რომ ეს ჩამორჩენილობა დეგრადაციას უდრის».

სწორია თუ არა ფრუმკინის ეს მტკიცება? რა თქმა უნდა, არ არის სწორი! ჩვენ, პოლიტბიუროს წევრები, სრულებით არ ვეთანხმებით ასეთ მტკიცებას, ხოლო პოლიტბიუროს თეზისები ძირეულად ეწინააღმდეგებიან მარცვლეულის მეურნეობის მდგომარეობის საკითხის ასეთ გაშუქებას.

მართლაც, რა არის დეგრადაცია და რით უნდა გამოიხატოს იგი სოფლის მეურნეობაში? ის, ალბათ, უნდა გამოიხატოს სოფლის მეურნეობის უკუსვლით, ჩამოქვეითებით, სამეურნეო მუშაობის ახალი ფორმებიდან ძველი, შუასაუკუნეობრივი ფორმებისაკენ სვლით. ის უნდა გამოიხატოს გლეხობის გადასვლით, ვთქვათ, სამმინდვროვანი სისტემი-

დან ნასვენის მეურნეობაზე, გუთნიდან და მანქანებიდან კავზე, გაწმენდილი და წმინდა ჯიშის თესლიდან გაუწმენდავ და უჯიშო თესლზე, მიწათმოქმედების თანამედროვე კულტურიდან დაბალ კულტურაზე და სხვ. და ა. შ.. მაგრამ განა ჩვენ ვხედავთ ახლა ამის მსგავს ფაქტებს? განა ყველამ და თვითეულმა არ იცის, რომ გლეხობა ყოველ წელს ათეულ და ასეულ ათას კომლობით გადადის სამმინდვროვანი სისტემიდან ოთხ და მრავალმინდვროვან სისტემაზე, უჯიშო თესლიდან წმინდა ჯიშის თესლზე, კავიდან გუთანსა და მანქანებზე, მიწათმოქმედების დაბალი კულტურიდან მის მაღალ კულტურაზე? განა ეს დეგრადაციაა?

ფრუმკინს საერთოდ უყვარს პოლიტბიუროს ამა თუ იმ წევრისათვის კალთაში ხელის ჩავლება თავისი თვალსაზრისის დასასაბუთებლად. სავსებით შესაძლოა, რომ იგი ამ შემთხვევაშიც შეეცდება კალთაში ჩაავლოს ხელი ბუხარინს, რათა დაამტკიცოს, რომ ბუხარინი «ამასვე» ამბობს თავის სტატიაში «ეკონომისტის შენიშვნები». მაგრამ ბუხარინი სრულებითაც არ ამბობს «ამასვე». ბუხარინმა თავის სტატიაში დასვა განყენებული, თეორიული საკითხი დეგრადაციის შესაძლებლობის ან საშიშროების შესახებ. თუ განყენებულად ვილაპარაკებთ, საკითხის ასეთი დაყენება სავსებით შესაძლოა და კანონზომიერია. ხოლო როგორ იქცევა ფრუმკინი? იგი აბსტრაქტულ საკითხს დეგრადაციის შესაძლებლობის შესახებ აქცევს სოფლის მეურნეობის დეგრადაციის **ფაქტად**. და ამას უწოდებს იგი მარცვლეულის მეურნეობის მდგომარეობის ანალიზს! განა ეს სასაცილო არ არის, ამხანაგებო?

კარგი რამეც იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლება, მას რომ დეგრადაციამდე მიეყვანა სოფლის მეურნეობა თავისი არსებობის მეთერთმეტე წელს! ასეთი ხელისუფლება გაძევების ღირსი იქნებოდა და არა მხარდაჭერისა. და მუშები დიდი ხანია გააძევებდნენ ასეთ ხელისუფლებას, მას რომ

დეგრადაციამდე მიეყვანა სოფლის მეურნეობა. დეგრადაციაზე მღერიან ყველა ჯურის ბურჟუაზიული სპეცები, რომლებსაც ძილშიც ელანდებათ, რომ სოფლის მეურნეობა დეგრადაციას განიცდის. დეგრადაციაზე მღეროდა ერთ დროს ტროცკი. მე არ მოველოდი, რომ ფრუმკინი ამ საეჭვო გზას დაადგებოდა.

რაზე ამყარებს ფრუმკინი თავის მტკიცებას დეგრადაციის შესახებ? უწინარეს ყოვლისა, იმაზე, რომ წელს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობი ჩვენში უფრო ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე შარშან. რით აიხსნება ეს ფაქტი? იქნებ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით? რა თქმა უნდა, არა. ეს აიხსნება შემოდგომის ნათესების დაღუპვით უკრაინის ველიან ზოლში და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიაში და მიმდინარე წლის ზაფხულის გვალვით უკრაინის იმავე ზოლში. რომ არ ყოფილიყო ეს არახელსაყრელი კლიმატური პირობები, რომლებზეც სოფლის მეურნეობა დამოკიდებულია მთლიანად და სავსებით, წელს ჩვენ მარცვლეული კულტურების ნათესის ფართობი გვექნებოდა სულ ცოტა ერთი მილიონი დესეტინით მეტი, ვიდრე შარშან.

შემდეგ, იგი თავის მტკიცებას ამყარებს იმაზე, რომ წელს მარცვლეულის საერთო პროდუქცია მხოლოდ ცოტათი აღემატება შარშანდელს (70 მილიონი ფუთით), ხოლო ხორბალი და ჭვავი 200 მილიონი ფუთით ნაკლებია. მერე რით აიხსნება ყოველივე ეს? იმავე მოვლენებით — გვალვით და ყინვებისაგან შემოდგომის ნათესების დაღუპვით. ეს არახელსაყრელი კლიმატური პირობები რომ არ ყოფილიყო, პურის საერთო პროდუქცია წელს 300 მილიონი ფუთით მეტი გვექნებოდა, ვიდრე შარშან. როგორ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა გვალვა, ყინვები და სხვა, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მოსავლისათვის ამა თუ იმ რაიონში?

ჩვენ ახლა ამოცანად ვისახავთ გავადიდოთ ნათესების ფართობი 7 პროცენტით, ავამაღლოთ მოსავლიანობა 3 პროცენტით და გავადიდოთ მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქცია, ვგონებ, 10 პროცენტით. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ მივიღებთ ყველა ზომას ამ ამოცანების შესასრულებლად. მაგრამ გამორიცხული არ არის იმის შესაძლებლობა, რომ, ჩვენს მიერ მიღებულ ღონისძიებათა მიუხედავად, კვლავ წავაწყდეთ ნაწილობრივ მოუსავლობას, ყინვებს თუ გვალვას ამა თუ იმ რაიონში, ამასთან შესაძლებელია, რომ ამ გარემოებებმა გამოიწვიონ მარცვლეული კულტურების საერთო პროდუქციის ერთგვარი შემცირება ჩვენს გეგმებთან შედარებით ან მიმდინარე წლის საერთო პროდუქციასთან შედარებითაც კი. განა ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ სოფლის მეურნეობა «დეგრადაციას განიცდის», რომ ამ «დეგრადაციაში» ბრალი მიუძღვის საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას, რომ ჩვენ «წავართვით» გლეხს სამეურნეო სტიმული, რომ ჩვენ «მოვუსპეთ» მას სამეურნეო პერსპექტივა?

რამდენიმე წლის წინათ ამავე შეცდომას სჩადიოდა ტროცკი, როცა ამტკიცებდა, «წვიმას» სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელობა არა აქვსო. მის წინააღმდეგ გამოვიდა რიკოვი, რომელსაც მხარს უჭერდა ცენტრალური კომიტეტის წევრთა უდიდესი უმრავლესობა. ახლა ამავე შეცდომას სჩადის ფრუმკინი, როცა ანგარიშს არ უწევს კლიმატურ პირობებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობისათვის, და ცდილობს ყველაფერი ჩვენი პარტიის პოლიტიკას დააბრალოს.

როგორია ის გზები და საშუალებები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ გავაძლიეროთ საერთოდ სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მარცვლეულის მეურნეობის განვითარების ტემპი?

ასეთი გზა თუ მიმართულება სამია:

ა) ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების მოსავლიანობის ამაღლება და ნათესი ფართობების გადიდება;

ბ) კოლმეურნეობათა შემდგომი განვითარება;

გ) ძველი საბჭოთა მეურნეობების გაფართოება და ახლების განვითარება.

ამაზე ლაპარაკი იყო ჯერ კიდევ ივლისის პლენუმის რეზოლუციაში. თეზისები იმეორებენ ივლისის პლენუმზე ნათქვამს, მაგრამ საკითხს უფრო კონკრეტულად აყენებენ, აძლევენ მას ციფრობრივ გამოხატულებას ამ საქმეზე განსაზღვრულ დაბანდებათა მნიშვნელობით. ფრუმკინმა აქაც იპოვა საბაბი შარის მოსადებად. იგი ფიქრობს, რომ თუ პირველ ადგილზე დაყენებულია ინდივიდუალური მეურნეობა, ხოლო მეორესა და მესამეზე — კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ეს ნიშნავს სწორედ მისი თვალსაზრისის გამარჯვებას. ეს სასაცილოა, ამხანაგებო. გასაგებია, რომ თუ საქმეს მივუდგებით სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ ფორმის ხვედრითი წონის თვალსაზრისით, პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ ინდივიდუალური მეურნეობა, ვინაიდან იგი იძლევა თითქმის ექვსჯერ შეტ სასაქონლო პურს, ვიდრე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მაგრამ თუ საქმეს მივუდგებით მეურნეობის ტიპის თვალსაზრისით, იმ თვალსაზრისით, თუ მეურნეობის რომელი ფორმაა ჩვენთვის ყველაზე მახლობელი, მაშინ პირველ ადგილზე უნდა დავაყენოთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის უმაღლეს ტიპს ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობასთან შედარებით. ნუთუ კიდევ საჭიროა იმის მტკიცება, რომ ორივე თვალსაზრისი ერთნაირად მისაღებია ჩვენთვის?

რა არის საჭირო იმისათვის, რომ მუშაობა გავაცხოველოთ სამივე ამ მიმართულებით, რომ პრაქტიკულად მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის და, უწინარეს ყოვლისა, მარც-

ვლეულის მეურნეობის განვითარების ტემპის გაძლიერებას?

ამისათვის აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი პარტიული კადრების ყურადღება მივაპყროთ სოფლის მეურნეობას და გავამახვილოთ იგი მარცვლეულის პრობლემის კონკრეტულ საკითხებზე. თავი უნდა დავანებოთ ზოგად ფრაზებს და ლაყბობას სოფლის მეურნეობის შესახებ **საერთოდ** და, ბოლოს და ბოლოს, შევუდგეთ **პრაქტიკულ** ღონისძიებათა შემუშავებას მარცვლეულის მეურნეობის განვითარებისათვის სხვადასხვა რაიონების სხვადასხვა პირობებთან შეფარდებით. დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ და, ბოლოს და ბოლოს, ხელი მოვკიდოთ კონკრეტულ საკითხს იმის შესახებ, თუ **როგორ** ავამაღლოთ ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების მოსავლიანობა და გავადიდოთ მათი ნათესი ფართობები, **როგორ** გავაუმჯობესოთ და შემდგომ განვავითაროთ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, **როგორ** მოვაწყოთ გლეხებისათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მხრივ დახმარების გაწევა უკეთესი თესლით, უკეთესი ჯიშის პირუტყვით მომარაგების ხაზით, **როგორ** მოვაწყოთ გლეხებისათვის დახმარება მანქანებითა და სხვა იარაღებით გასაქირავებელი პუნქტების მეშვეობით, **როგორ** გავაფართოოთ და გავაუმჯობესოთ კონტრაქტაციის და საერთოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქმე და სხვ. და ა. შ. (ხმა: «ეს პრაქტიციზმია»). ასეთი პრაქტიციზმი ჩვენთვის აბსოლუტურად აუცილებელია, ვინაიდან უამისოდ ჩვენ გვემუქრება იმის საფრთხე, რომ მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის უაღრესად სერიოზული ამოცანა ჩავახრჩოთ ფუჭ ლაყბობაში სოფლის მეურნეობაზე საერთოდ.

ცენტრალურმა კომიტეტმა ამოცანად დაისახა მოაწყოს სახალხო კომისართა საბჭოში და პოლიტბიუროში პურის დამამზადებელი მთავარი რაიონების ჩვენი ძირითადი მუშა-

კების კონკრეტული მოხსენებანი სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხების შესახებ. ამ პლენუმზე თქვენ მოისმენთ ამხ. ანდრეევის მოხსენებას ჩრდილოეთ კავკასიაში მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ. მე ვფიქრობ, რომ შემდეგში ჩვენ მოგვიხდება რიგრიგობით მოვისმინოთ ასეთივე მოხსენებანი უკრაინიდან, ცენტრალური შავნიადაგიანი ოლქიდან, ვოლგისპირეთიდან, ციმბირიდან და სხვ.. ეს აბსოლუტურად აუცილებელია იმისათვის, რომ პარტიის ყურადღება მივაპყროთ მარცვლეულის პრობლემას და, ბოლოს და ბოლოს, გადავიყვანოთ ჩვენი პარტიული კადრები მარცვლეულის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების კონკრეტულად დაყენების რელსებზე.

მეორე მხრივ, აუცილებელია მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენმა პარტიულმა მუშაკებმა სოფლად თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში ზუსტად გაარჩიონ საშუალო გლეხები კულაკებისაგან, ერთ გროვაში არ მოაქციონ ისინი და არ მოაზვედრონ საშუალო გლეხს, როცა საჭიროა ურტყამდნენ კულაკს. დროა, ბოლოს და ბოლოს, აღმოიფხვრას ეს, უკაცრავად პასუხია, შეცდომები. ავიღოთ, მაგალითად, ინდივიდუალური დაბეგვრის საკითხი. ჩვენ გვაქვს პოლიტბიუროს დადგენილება და სათანადო კანონი, რომლის თანახმადაც ინდივიდუალურად უნდა დაიბეგროს მეურნეობათა არა უმეტეს 2 — 3 პროცენტისა, ე. ი. კულაკობის ყველაზე მდიდარი ნაწილი. ხოლო რა ხდება სინამდვილეში? არის მთელი რიგი რაიონები, სადაც იბეგრება 10, 12 და ზოგჯერ მეტი პროცენტი და, ამრიგად, დაბეგვრა საშუალო გლეხებზეც ვრცელდება. განა დრო არ არის ბოლო მოეღოს ამ დანაშაულს?

და აი ნაცვლად იმისა, რომ დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ და სხვა ასეთ უმსგავსობათა ლიკვიდაციისათვის, ჩვენი ძვირფასი «კრიტიკოსები» სიტყვებით ვარჯიშობენ, წინადადებას იძლევიან, რომ სიტყვები «კულაკების ყვე-

ლაზე მდიდარი ნაწილი» შევცვალოთ სიტყვებით «კულაკების ყველაზე ძლიერი ნაწილი» ან «კულაკების ყველაზე ზედაფენური ნაწილი». თითქოს ეს ერთი და იგივე არ იყოს! დამტკიცებულია, რომ კულაკები ჩვენში 5 პროცენტამდეა. დამტკიცებულია, რომ კანონი ინდივიდუალური წესით ბეგრავს მეურნეობათა მხოლოდ 2—3 პროცენტს, ე. ი. კულაკების ყველაზე მდიდარ ნაწილს. დამტკიცებულია, რომ პრაქტიკაში ეს კანონი ირღვევა მთელ რიგ რაიონებში. ხოლო «კრიტიკოსები», ნაცვლად იმისა, რომ დასახონ ამ მოვლენათა ლიკვიდაციის კონკრეტული ღონისძიებანი, სიტყვიერ კრიტიკას აჩაღებენ, არ სურთ გაიგონ, რომ ამით იოტის ოდენადაც არ იცვლება საქმე. აი ნამდვილი წიგნის ჩრჩილები! (ხმა: «წინადადებას იძლევიან ინდივიდუალურად დაიბეგროს ყველა კულაკი»). აბა მაშინ უნდა მოითხოვონ, რომ გავაუქმოთ კანონი ინდივიდუალურად 2—3 პროცენტის დაბეგვრის შესახებ. მე კი ჯერჯერობით არ გამიგონია, რომ ვისმე მოეთხოვოს ინდივიდუალური დაბეგვრის კანონის გაუქმება. ამბობენ, ინდივიდუალური დაბეგვრის თვითნებური გაფართოება მიზნად ისახავს ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებასო. მაგრამ არ შეიძლება ადგილობრივი ბიუჯეტის შევსება კანონის დარღვევის გზით, პარტიის დირექტივის დარღვევის გზით. პარტია ჩვენში არსებობს, იგი ჯერ არ არის ლიკვიდირებული. საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, იგი ჯერ არ არის ლიკვიდირებული. და თუ არ გვყოფნის სახსრები ადგილობრივი ბიუჯეტისათვის, კანონები კი არ უნდა დავარღვიოთ, პარტიის მითითებანი კი არ უნდა გავაუქმოთ, არამედ უნდა დავაყენოთ საკითხი ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ.

შემდეგ, აუცილებლად საჭიროა შემდგომ განვავითაროთ ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათა სტიმულირება. უეჭველია, რომ პურის ფასების გადიდება, რაც უკვე მოხდა, რევოლუციური კანონიერების პრაქტიკულად

განხორციელება, პრაქტიკული დახმარება ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებისათვის კონტრაქტაციის წესით და სხვ., — ყოველივე ეს მნიშვნელოვნად გააძლიერებს გლეხის სამეურნეო სტიმულს. ფრუმკინი ფიქრობს, რომ ჩვენ ჩავკალით ან თითქმის ჩავკალით ეს სტიმული, წავართვით რა გლეხს სამეურნეო პერსპექტივა. ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა. ეს რომ მართალი იყოს, მაშინ გაუგებარია, რაღას ეყრდნობა მუშათა და გლეხთა კავშირი, მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების კავშირი? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს კავშირი მორალური კავშირია. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გავიგოთ, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი არის ანგარიშზე დამყარებული კავშირი, ორი კლასის ინტერესთა კავშირი, მუშებისა და გლეხობის ძირითადი მასების კლასობრივი კავშირი, რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთსარგებლობას. გასაგებია, ჩვენ რომ ჩაგვეკლა ან თითქმის ჩაგვეკლა გლეხობის სამეურნეო სტიმული, მოგვესპო გლეხებისათვის სამეურნეო პერსპექტივა, მაშინ აღარ გვექნებოდა მუშათა და გლეხთა კავშირი, აღარ გვექნებოდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. ცხადია, აქ ლაპარაკი შეიძლება არა ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების სამეურნეო სტიმულის «შექმნაზე» ან «აშვებაზე», არამედ იმაზე, რომ გავაძლიეროთ ეს სტიმული და შემდგომ განვავითაროთ იგი მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების ურთიერთ-სასარგებლოდ. სწორედ ამაზეა ლაპარაკი თეზისებში სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ.

დასასრულ, აუცილებელია გავაძლიეროთ სოფლის მომარაგება საქონლით. მხედველობაში მაქვს როგორც სამომხმარებლო საქონელი, ისე განსაკუთრებით საწარმოო ხასიათის საქონელი (მანქანები, სასუქები და სხვ.), რომელსაც შეუძლია გააძლიეროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ჩვენში ყველა-

ფერი რიგზე იყოს. თქვენ იცით, რომ საქონლის ნაკლებობის მოვლენები ჩვენში ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული და ალბათ არც მალე იქნება ლიკვიდირებული. ჩვენი პარტიის ზოგიერთ წრეებში არსებობს ილუზია, რომ ჩვენ ახლავე შეგვიძლია ბოლო მოვუღოთ საქონლის ნაკლებობას. ეს, სამწუხაროდ, მართალი არ არის. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საქონლის ნაკლებობის მოვლენები დაკავშირებულია, ჯერ-ერთი, მუშათა და გლეხთა კეთილდღეობის ზრდასთან და იმასთან, რომ კოლოსალურად იზრდება გადამხდელუნარიანი მოთხოვნილება საქონელზე, რომლის წარმოებაც ყოველწლიურად მატულობს, მაგრამ რომელიც მთელ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს, და, მეორეც, დაკავშირებულია მრეწველობის რეკონსტრუქციის დღევანდელ პერიოდთან.

მრეწველობის რეკონსტრუქცია ნიშნავს სახსრების გადაწევას მოხმარების საშუალებათა წარმოების დარგიდან წარმოების საშუალებათა წარმოების დარგში. უამისოდ არ ხდება და არც შეიძლება მოხდეს მრეწველობის სერიოზული რეკონსტრუქცია, განსაკუთრებით ჩვენს, საბჭოთა პირობებში. მაგრამ რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ფული ბანდდება ახალ საწარმოთა მშენებლობაში, იზრდება ქალაქებისა და ახალ მომხმარებელთა რაოდენობა, მაშინ როცა ახალ საწარმოებს საქონლის ახალი მასა შეუძლიათ მოგვცენ მხოლოდ 3—4 წლის შემდეგ. ადვილი გასაგებია, რომ ეს გარემოება ხელს ვერ შეუწყობს საქონლის ნაკლებობის ლიკვიდაციას.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ გულზე ხელი უნდა დავიკრიფოთ და ვაღიაროთ ჩვენი უძლურება საქონლის ნაკლებობის მოვლენების წინაშე? არა, არ ნიშნავს. საქმე ის არის, რომ ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ და უნდა მივიღოთ კონკრეტული ზომები იმისათვის, რომ შევასუსტოთ, შევანელოთ საქონლის ნაკლებობა. ამის გაკეთება შესაძლებე-

ლია და ეს ახლავე უნდა გავაკეთოთ. ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობასთან (სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა, ვორონეჟის ტრიერის ქარხანა და სხვ. და ა. შ.). შემდეგ, ამისათვის აუცილებელია შეძლებისდაგვარად გავაძლიეროთ მრეწველობის ის დარგები, რომლებიც დაკავშირებული არიან დეფიციტური ხასიათის საქონლის მასის (მაუდი, მინა, ლურსმანი და სხვ.) გადიდებასთან. და სხვ. და ა. შ. ...

კუბიაკი ამბობდა, სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების მიხედვით ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობას წელს ნაკლები სახსრები ეძლევა, ვიდრე შარშან მიეცაო. მე ვფიქრობ, რომ ეს მართალი არ არის. კუბიაკი, ეტყობა, მხედველობაში არ იღებს იმას, რომ კონტრაქტაციის წესით წელს ჩვენ გლეხებს ვაძლევთ 300 მილიონამდე მანეთ კრედიტს (თითქმის 100 მილიონით მეტს, ვიდრე შარშან). თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, — ხოლო იგი არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, — გამოდის, რომ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის განვითარებისათვის წელს მეტს ვხარჯავთ, ვიდრე შარშან. რაც შეეხება ძველ და ახალ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს, ამ საქმეში წელს ვაბანდებთ 300 მილიონამდე მანეთს (შარშანდელზე 150 მილიონი მანეთით მეტს).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და კონტრაქტაციის მეთოდს. ყოველივე ეს არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც საშუალება ჩვენი რესურსების გაძლიერებისა სასაქონლო პურის ხაზით. ყოველივე ეს ამავე დროს წარმოადგენს მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების **კავშირის ახალ ფორმას.**

კონტრაქტაციის მეთოდზე უკვე საკმაოდ ითქვა, და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ყველასათვის გასაგებია, რომ მასობრივი კონტრაქტაციის მეთოდი აადვილებს ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების ღონისძიებათა გაერთიანების საქმეს, მუდმივობის ელემენტი შეაქვს სახელმწიფოსა და გლეხობის ურთიერთობაში და, ამრიგად, განამტკიცებს კავშირს ქალაქსა და სოფელს შორის.

მე მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო კოლმეურნეობებს და განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებს, როგორც იმ ბერკეტებს, რომლებიც აადვილებენ ახალი ტექნიკის ბაზაზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეს, რევოლუციას ახდენენ გლეხების გონებაში და ეხმარებიან მათ განთავისუფლდნენ უძრაობისაგან, რუტინისაგან. ჩვენს პურის რაიონებში ტრაქტორების, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სატრაქტორო კოლონების გამოჩენამ არ შეიძლება ფუჭად ჩაიაროს მეზობელი გლეხების მეურნეობებისათვის. მეზობელი გლეხებისათვის თესლით, მანქანებით, ტრაქტორებით დახმარებას გლეხობა უეჭველად დააფასებს და მხედველობაში მიიღებს, როგორც იმის ნიშანს, რომ საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ცდილობს გამოიყვანოს გლეხობა სოფლის მეურნეობის სერიოზული აღმავლობის ფართო გზაზე, ძლიერი და მძლავრია. ამ გარემოებას ჩვენ აქამდე არ ვითვალისწინებდით და, შეიძლება ითქვას, ჯერაც საკმაოდ ვერ ვითვალისწინებთ. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს არის უმთავრესი იქიდან, რასაც კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი გვაძლევენ და რის მოცემაც მათ შეუძლიათ ამჟამად მარცვლეულის პრობლემის გადასაჭრელად და მუშათა და გლეხთა კავშირის განსამტკიცებლად ამ კავშირის ახალ ფორმებში.

ასეთია საერთოდ ის გზები და საშუალებები, რომელთა ხაზითაც უნდა წარიმართოს ჩვენი მუშაობა მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის საქმეში.

III

გადახრებთან და მათდამი შემარიგებლობასთან ბრძოლის შესახებ

გადავიდეთ ახლა ჩვენი თეზისების მესამე ძირითად საკითხზე, ლენინური ხაზიდან გადახრების საკითხზე.

გადახრების სოციალურ ბაზას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში ჭარბობს წვრილი წარმოება, ის ფაქტი, რომ წვრილი წარმოება წარმოშობს კაპიტალისტურ ელემენტებს, ის ფაქტი, რომ ჩვენი პარტია გარემოცულია წვრილბურჟუაზიული სტიქიით, დასასრულ, ის ფაქტი, რომ ეს სტიქია გადაედო ჩვენი პარტიის ზოგიერთ რგოლს.

აი ძირითადად გადახრების სოციალური ბაზა.

ისინი ყველანი, ეს გადახრები, წვრილბურჟუაზიულ ხასიათს ატარებენ.

რაში მდგომარეობს მემარჯვენე გადახრა, რომელზეც უმთავრესად ლაპარაკია აქ? საითკენ გვიწევა იგი? იგი გვიწევა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან შეგუების ხაზით, «საბჭოთა» ბურჟუაზიის გემოვნებასა და მოთხოვნილებებთან ჩვენი პოლიტიკის შეგუების ხაზით.

რას გვიქადის მემარჯვენე გადახრა, თუ მან გაიმარჯვა ჩვენს პარტიაში? ეს იქნება ჩვენი პარტიის იდეური განადგურება, კაპიტალისტური ელემენტების აშვება, კაპიტალიზმის რესტავრაციის ან, როგორც ლენინი ამბობდა, «კაპიტალიზმისაკენ დაბრუნების» შანსების გაძლიერება.

სად ბუდობენ უმთავრესად ტენდენციები მემარჯვენე გადახრისაკენ? ჩვენს საბჭოთა და სამეურნეო, კოოპერაციულ და პროფესიულ აპარატებში, აგრეთვე პარტიის აპარატში, განსაკუთრებით მის ძირეულ სასოფლო რგოლებში.

არიან თუ არა ჩვენი პარტიის წევრებს შორის ისეთი ადამიანები, რომლებიც მემარჯვენე გადახრას გამოხატავენ? უთუოდ არიან. რიკოვმა მაგალითისათვის დაასახელა შატუ-

ნოვსკი, რომელიც დნეპრმშენის მშენებლობის წინააღმდეგ გამოდიოდა. ეჭვს გარეშეა, რომ შატუნოვსკიმ დაუშვა მემარჯვენე გადახრა, გადახრა აშკარა ოპორტუნიზმისაკენ. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ შატუნოვსკი ტიპიური არ არის მემარჯვენე გადახრის დასახასიათებლად, მისი ფიზიონომიის დასახასიათებლად. მე ვფიქრობ, რომ აქ პირველობა ფრუმკინს უნდა მივაკუთვნოთ. (ს ი ც ი ლ ი). მხედველობაში მაქვს მისი პირველი წერილი (1928 წ. ივნისი) და შემდეგ მისი მეორე წერილი, რომელიც აქ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრებს დაურიგდათ (1928 წ. ნოემბერი).

გავარჩიოთ ორივე ეს წერილი. ავიღოთ პირველი წერილის «ძირითადი დებულებანი».

1) **«სოფელი, ღარიბი გლეხობის მცირე ნაწილის გამოკლებით, ჩვენს წინააღმდეგ არის განწყობილი»**. მართალია თუ არა ეს? ცხადია, არ არის მართალი. ეს რომ მართალი იყოს, მაშინ მუშათა და გლეხთა კავშირისაგან მოგონებაც აღარ დაგვრჩებოდა. ხოლო ივნისიდან (წერილი ივნისშია დაწერილი) უკვე თითქმის ნახევარი წელი გავიდა, და ყველა, ვინც არ დაბრმავებულა, ხედავს, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების კავშირი რჩება და მტკიცდება. რისთვის წერს ფრუმკინი ამ შეუსაბამობას? იმისათვის, რომ დააშინოს პარტია და დამთმობი გახადოს იგი მემარჯვენე გადახრის მიმართ.

2) **«უკანასკნელ ხანს აღებულმა გეზმა საშუალო გლეხობის ძირითადი მასები მიიყვანა უიმედობამდე, უპერსპექტივობამდე»**. მართალია თუ არა ეს? სრულიადაც არ არის მართალი. ცხადია, ამ წლის გაზაფხულზე საშუალო გლეხობის ძირითად მასებში სამეურნეო უიმედობა და უპერსპექტივობა რომ ყოფილიყო, მაშინ საშუალო გლეხი პურის წარმოების ყველა მთავარ რაიონში არ გააფართოებდა გაზაფხულის ნათესს. ჩვენში საგაზაფხულო თესვა აპრილ-

მაისში წარმოებს. ფრუმკინის წერილი კი დაწერილია ივნისში. ვინ არის ჩვენში, საბჭოთა ხელისუფლების დროს, პურის პროდუქტების ძირითადი დამამზადებელი? სახელმწიფო და მასთან დაკავშირებული კოოპერაცია. ცხადია, საშუალო გლეხობის მასები სამეურნეო უპერსპექტივობას რომ მოეცვა, ისინი რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან «გათიშვის» მდგომარეობაში ყოფილიყვნენ, მაშინ ისინი არ დაიწყებდნენ გაზაფხულის ნათესის გაფართოებას სახელმწიფოს, როგორც პურის ძირითადი დამამზადებლის, გულის მოსაგებად. ფრუმკინი აშკარა შეუსაბამობას ამბობს. აქაც ფრუმკინი ცდილობს დააშინოს პარტია უპერსპექტივობის «საშინელებით», რათა დამთმობი გახადოს იგი მისი, ფრუმკინის, თვალსაზრისის მიმართ.

3) **«უნდა დავუბრუნდეთ XIV და XV ყრილობებს».** XV ყრილობა აქ რომ არაფერ შუაშია, ეს უეჭველია. საქმე აქ XV ყრილობაში კი არ არის, არამედ ლოზუნგში: უკან XIV ყრილობისაკენ. ხოლო რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ხელი ავიღოთ «კულაკის წინააღმდეგ შეტევის გაძლიერებაზე» (იხ. XV ყრილობის რეზოლუცია). ამას იმისათვის როდი ვამბობ, რომ ავად მოვიხსენიოთ XIV ყრილობა. ამას იმისათვის ვამბობ, რომ როცა ფრუმკინი მოგვიწოდებს დავუბრუნდეთ XIV ყრილობას, ამით ის უარყოფს იმ ნაბიჯს, რომელიც წინ გადადგა პარტიამ XIV ყრილობიდან XV ყრილობამდე, და, უარყოფს რა ამ წინგადადგმულ ნაბიჯს, იგი უკან ეწევა პარტიას. ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა იმსჯელა ამ საკითხზე. პლენუმმა პირდაპირ განაცხადა თავის რეზოლუციაში, რომ ის ადამიანები, რომლებიც ცდილობენ გვერდი აუხვიონ XV ყრილობის გადაწყვეტილებას — «კულაკობაზე შეტევის შემდგომი განვითარების» შესახებ, — «ასახავენ ბურჟუაზიულ ტენდენციებს ჩვენს ქვეყანაში». პირდაპირ ვეტყვი ფრუმკინს, რომ როცა პოლიტბიურო აყალიბებდა ივლისის პლენუმის რეზოლუ-

ციის ამ პუნქტს, იგი გულისხმობდა ფრუმკინსა და მის პირველ წერილს.

4) **«მაქსიმალური დახმარება ღარიბ გლეხობას, რომელიც კოლექტივებში შედის».** ჩვენი ძალღონისა და შესაძლებლობის მიხედვით ჩვენ ყოველთვის ვუწევდით მაქსიმალურ დახმარებას ღარიბ გლეხობას, რომელიც კოლექტივებში შედის, და იმ ღარიბ გლეხობასაც კი, რომელიც იქ არ შედის. ამაში ახალი არაფერია. ახალი XV ყრილობის გადაწყვეტილებებში XIV ყრილობასთან შედარებით ეს კი არ არის, არამედ ის, რომ XV ყრილობამ საკოლმეურნეო მოძრაობის ყოველნაირად განვითარება დასახა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სადღეისო ამოცანად. როდესაც ფრუმკინი ლაპარაკობს კოლექტივებში შემავალი ღარიბი გლეხობისათვის მაქსიმალურ დახმარებაზე, ის არსებითად გვერდს უხვევს, უყურადღებოდ ტოვებს პარტიის ამოცანას საკოლმეურნეო მოძრაობის ყოველნაირად განვითარების შესახებ, რაც დასახა XV ყრილობამ. არსებითად ფრუმკინი იმის წინააღმდეგია, რომ გაჩაღდეს მუშაობა სოფლად სოციალისტური სექტორის გაძლიერებისათვის კოლმეურნეობათა ხაზით.

5) **«ნუ გავაფართოებთ საბჭოთა მეურნეობებს დაკვრითი და ზედაკვრითი წესით».** ფრუმკინმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ჩვენ მხოლოდ **ვიწყებთ** სერიოზულ მუშაობას ძველი საბჭოთა მეურნეობების გასაფართოებლად და ახლების შესაქმნელად. ფრუმკინმა არ შეიძლება არ იცოდეს, რომ ჩვენ ამ საქმისათვის იმაზე გაცილებით ნაკლებ სახსრებს ვიძლევით, ვიდრე საჭიროა ვიძლეოდეთ, საამისოდ რაიმე რეზერვები რომ მოგვეპოვებოდეს. სიტყვები «დაკვრითი და ზედაკვრითი წესით» აქ მოყვანილია იმისათვის, რომ «შიშის ზარი» დასცეს ადამიანებს და ამით დაფაროს ის გარემოება, რომ ფრუმკინს არ სურს საბჭოთა მეურნეობების რამდენადმე სერიოზული გაფართოება. ფრუმკინი აქ არსე-

ბითად იმის წინააღმდეგ ილაშქრებს, რომ სოფლად სოციალისტური სექტორი გაძლიერდეს საბჭოთა მეურნეობების ხაზით.

ახლა თავი მოუყარეთ ფრუმკინის ყველა ამ დებულებას, და თქვენ მიიღებთ თაიგულს, რომელიც ახასიათებს მემარჯვენე გადახრას.

გადავიდეთ ფრუმკინის მეორე წერილზე. რით განსხვავდება მეორე წერილი პირველისაგან? იმით, რომ ის აღრმავებს პირველი წერილის შეცდომებს. პირველ წერილში ლაპარაკი იყო საშუალო გლეხთა მეურნეობის უპერსპექტივობაზე. მეორეში კი ლაპარაკია სოფლის მეურნეობის «დეგრადაციაზე». პირველ წერილში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ დავუბრუნდეთ XIV ყრილობას კულაკის წინააღმდეგ შეტევის შესუსტების აზრით. მეორე წერილში კი ლაპარაკია იმაზე, რომ «ხელი არ უნდა შევუშალოთ კულაკურ მეურნეობათა წარმოებას». პირველ წერილში არაფერი არ არის ნათქვამი მრეწველობაზე. მეორე წერილი კი ავითარებს «ახალ» თეორიას იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება ნაკლები გავიღოთ სამრეწველო მშენებლობისათვის. მაგრამ არის ორი პუნქტი, რომელთა შესახებაც ორივე წერილში ერთნაირი აზრია გამოთქმული: კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკითხზე — იქაც და აქაც ფრუმკინი ილაშქრებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაშლის წინააღმდეგ. ცხადია, რომ მეორე წერილი პირველი წერილის შეცდომების გაღრმავებაა.

«დეგრადაციის» თეორიაზე უკვე ვილაპარაკე. უეჭველია, რომ ეს თეორია გამოგონილია ბურჟუაზიული სპეცების მიერ, რომლებიც მზად არიან გაჰყვიროდნენ, საბჭოთა ხელისუფლება იღუპებაო. ფრუმკინმა თავი დააშინებინა ფინსახკომის გარშემო მოკალათებულ ბურჟუაზიულ სპეცებს, ახლა კი თვითონ ცდილობს დააშინოს პარტია, სურს დამთმობი გახადოს იგი მემარჯვენე გადახრის მიმართ. კოლ-

მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესახებაც საკმაო ლაპარაკი იყო. ამიტომ არ ღირს ნათქვამის გამეორება. განვიხილოთ ორი დანარჩენი პუნქტი: კულაკური მეურნეობის შესახებ და მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა შესახებ.

კულაკური მეურნეობის შესახებ. ფრუმკინი ამბობს, **«ხელი არ უნდა შევუშალოთ კულაკურ მეურნეობათა წარმოებასო»**. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ ხელი არ შეუშალო კულაკს განავითაროს თავისი ექსპლოატატორული მეურნეობა. მაგრამ რას ნიშნავს ხელი არ შეუშალო კულაკს განავითაროს თავისი ექსპლოატატორული მეურნეობა? ეს ნიშნავს აუშვა კაპიტალიზმი სოფლად, თავის ნებაზე მიუშვა იგი, თავისუფლება მისცე. გამოდის საფრანგეთის ლიბერალების ძველი ლოზუნგი: «ლესე ფერ, ლესე პასე», ე. ი. ნუ უშლით ბურჟუაზიას აკეთოს თავისი საქმე, ნუ უშლით ბურჟუაზიას თავისუფლად იმოძრაოს.

ამ ლოზუნგს აყენებდნენ საფრანგეთის ძველი ლიბერალები საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, მაშინ, როცა ბრძოლა წარმოებდა ფეოდალურ ხელისუფლებასთან, რომელიც ავიწროებდა ბურჟუაზიას და არ აძლევდა მას განვითარების საშუალებას. გამოდის, რომ **სოციალისტური** ლოზუნგიდან «კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვის სულ უფრო და უფრო გაძლიერების» შესახებ (იხ. თეზისები საკონტროლო ციფრების შესახებ) ჩვენ ახლა უნდა გადავიდეთ **ბურჟუაზიულ-ლიბერალურ** ლოზუნგზე — არ შევავიწროოთ კაპიტალიზმის განვითარება სოფლად. როგორ, ნუთუ ჩვენ ვაპირებთ ბოლშევიკებიდან ბურჟუაზიულ ლიბერალებად ვიქცეთ? რა შეიძლება იყოს საერთო ფრუმკინის ამ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ლოზუნგსა და პარტიის ხაზს შორის?

(ფრუმკინი: «ამხ. სტალინ, სხვა პუნქტებიც წაიკითხეთ»). მე ვკითხულობ მთელ პუნქტს: «ჩვენ ხელი არ

უნდა შევუშალოთ არც კულაკურ მეურნეობათა წარმოებას, **ხოლო ამავე დროს** უნდა **ვებრძოლოთ მათს კაბალურ ექსპლოატაციას»**. როგორ, პატივცემულო ფრუმკინ, ნუთუ გგონიათ, რომ ფრაზის მეორე ნახევარი კი არ აუარესებს საქმეს, არამედ აუმჯობესებს მას? რას ნიშნავს ბრძოლა კაბალურ ექსპლოატაციასთან? კაბალურ ექსპლოატაციასთან ბრძოლის ლოზუნგი ხომ ლოზუნგია ბურჟუაზიული რევოლუციისა ექსპლოატაციის ფეოდალურ-ბატონყმური თუ ნახევრად-ფეოდალური მეთოდების წინააღმდეგ. ამ ლოზუნგს ჩვენ მართლაც ვაყენებდით, როცა ბურჟუაზიული რევოლუციისაკენ მივდიოდით, განვასხვავებდით რა ექსპლოატაციის კაბალურ ფორმას, რომლის მოსპობასაც ვცდილობდით, ექსპლოატაციის არაკაბალური, ეგრეთწოდებული «პროგრესული» ფორმისაგან, რომლის შეზღუდვა და მოსპობა ჩვენ მაშინ არ შეგვეძლო, რამდენადაც ბურჟუაზიული წესწყობილება ძალაში რჩებოდა. მაგრამ მაშინ ჩვენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ მივდიოდით. ახლა კი ჩვენში, თუ არ ვცდები, სოციალისტური რევოლუციაა, რომელსაც აღებული აქვს კურსი და არც შეიძლება არ ჰქონდეს აღებული კურსი ექსპლოატაციის ყველა ფორმის, მათ შორის ექსპლოატაციის «პროგრესული» ფორმების მოსპობისაკენ. როგორღა გინდათ თქვენ, რომ სოციალისტური რევოლუციიდან, რომელსაც ვავითარებთ და წინ ვწევთ, ჩვენ უკან დავიხიოთ და დავუბრუნდეთ ბურჟუაზიული რევოლუციის ლოზუნგებს? როგორ შეიძლება ასეთი სისულელის ჩმახვა?

შემდეგ. რას ნიშნავს ხელი არ შევუშალოთ კულაკურ მეურნეობას? ეს ნიშნავს მივუშვათ კულაკი თავის ნებაზე. ხოლო რას ნიშნავს მივუშვათ კულაკი თავის ნებაზე? ეს ნიშნავს მივცეთ მას ძალაუფლება. როცა საფრანგეთის ბურჟუაზიული ლიბერალები ფეოდალური ხელისუფლებისაგან მოითხოვდნენ ხელი არ შეეშალა ბურჟუაზიის განვი-

თარებისათვის, ამას ისინი გამოხატავდნენ კონკრეტული მოთხოვნებით იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიას ძალაუფლება მისცემოდა. და ისინი მართალი იყვნენ. სათანადოდ რომ ვითარდებოდეს, ამისათვის ბურჟუაზიას ძალაუფლება უნდა ჰქონდეს. მაშასადამე, თუ თანმიმდევრობას დაიცავთ, უნდა სთქვათ: მიუშვით კულაკი ძალაუფლებასთან. ვინაიდან ხომ უნდა გაიგოთ, რომ არ შეიძლება არ შეავიწროო კულაკური მეურნეობის განვითარება, როცა კულაკს ძალაუფლებას ართმევ და ამ ძალაუფლებას მუშათა კლასის ხელში აქცევ. აი რა დასკვნები გესახება, როცა კითხულობ ფრუმკინის მეორე წერილს.

მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის შესახებ. საკონტროლო ციფრების განხილვისას ჩვენ გვქონდა სამი ციფრი: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მოითხოვდა 825 მილიონ მანეთს, სახელმწიფო საგეგმო კომისია იძლეოდა 750 მილიონ მანეთს, ფინსახკომი კი თანხმდებოდა გაეცა მხოლოდ 650 მილიონი მანეთი. რა გადაწყვეტილება მიიღო ამ საკითხზე ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა? მან განსაზღვრა 800 მილიონი მანეთი, ე. ი. იმაზე სრული 150 მილიონი მანეთით მეტი, რასაც ფინსახკომი იძლეოდა. ფინსახკომი ნაკლებს რომ იძლეოდა, ეს, რა თქმა უნდა, სრულებით არ არის გასაკვირველი: ფინსახკომის სიძუნწე ყველასათვის ცნობილია, იგი არ შეიძლება არ იყოს ძუნწი. მაგრამ ახლა საქმე ეს როდია. საქმე ის არის, რომ ფრუმკინი იცავს ციფრს 650 მილიონ მანეთს არა სიძუნწის გამო, არამედ «შესაძლებლობათა შესახებ» ახლად გამომცხვარი თეორიის საფუძველზე, ამტკიცებს რა თავის მეორე წერილში და ფინსახკომის ბეჭდვითს ორგანოში მოთავსებულ სპეციალურ სტატიაში, რომ **ჩვენ უთუოდ გავაუარესებთ ჩვენი მეურნეობის საქმეს, თუ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კაპიტალური მშენებლობისათვის 650 მილიონ მანეთზე მეტი მივეცითო.** ეს კი რას ნიშნავს? ეს იმას

ნიშნავს, რომ ფრუმკინი ინდუსტრიის განვითარების ახლანდელი ტემპის შენარჩუნების წინააღმდეგია, მას, ეტყობა, არ ესმის, რომ ამ ტემპის შენელება ნამდვილად გააუარესებდა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის მდგომარეობას.

შეაერთეთ ახლა ფრუმკინის მეორე წერილის ეს ორი პუნქტი, პუნქტი კულაკური მეურნეობის შესახებ და პუნქტი მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის შესახებ, მიუმატეთ ამას «დეგრადაციის» თეორია, — და მიიღებთ მემარჯვენე გადახრის ფიზიონომიას.

თქვენ გსურთ იცოდეთ, რა არის მემარჯვენე გადახრა და როგორი სახე აქვს მას? წაიკითხეთ ფრუმკინის ორივე წერილი, შეისწავლეთ ისინი და გაიგებთ.

ასეთია საქმის ვითარება მემარჯვენე გადახრის ფიზიონომიის მხრივ.

მაგრამ თეზისებში ლაპარაკია არა მარტო მემარჯვენე გადახრაზე. იქ ლაპარაკია ეგრეთწოდებულ «მემარცხენე» გადახრაზეც. რა არის «მემარცხენე» გადახრა? არსებობს თუ არა ნამდვილად ეგრეთწოდებული «მემარცხენე» გადახრა ჩვენს პარტიაში? არსებობს თუ არა ჩვენს პარტიაში საშუალო გლეხობის წინააღმდეგ მიმართული ტენდენციები, როგორც ნათქვამია ჩვენს თეზისებში, ზეინდუსტრიალისტური ტენდენციები და სხვ.? დიახ, არსებობს. რით გამოიხატება ეს ტენდენციები? ეს ტენდენციები გამოიხატება ტროცკიზმისაკენ გადახრით. ამას ჯერ კიდევ ივლისის პლენუმი აღნიშნავდა. მხედველობაში მაქვს ივლისის პლენუმის ცნობილი რეზოლუცია პურის დამზადების პოლიტიკაზე, სადაც ლაპარაკია ორ ფრონტზე ბრძოლის შესახებ: იმათ წინააღმდეგ, ვინც პარტიას ეწევა უკან XV ყრილობიდან,— ესენი არიან მემარჯვენენი, — და იმათ წინააღმდეგ, ვისაც სურს საგანგებო ზომები გადააქციოს პარტიის მუდმივ კურ-

სად, — ესენი არიან «მემარცხენენი», ეს არის ტენდენცია ტროცკიზმისაკენ.

ცხადია, რომ ჩვენი პარტიის შიგნით არსებობენ ტროცკიზმის ელემენტები და ტენდენცია ტროცკისტული იდეოლოგიისაკენ. ვგონებ, ოთხი ათასამდე კაცმა მისცა ხმა ჩვენი პარტიის პლატფორმის წინააღმდეგ პარტიის XV ყრილობის წინ გამართული დისკუსიის დროს. (ხ მ ა: «ათი ათასმა»). მე ვფიქრობ, რომ თუ ათი ათასმა კაცმა წინააღმდეგ მისცა ხმა, ტროცკიზმის ორჯერ ათი ათასს თანამგრძნობს — პარტიის წევრს — სულ არ მიუღია მონაწილეობა ხმის მიცემაში, რადგან კრებებზე არ მოსულან. ეს სწორედ ის ტროცკისტული ელემენტები არიან, რომლებიც პარტიიდან არ გასულან და რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ტროცკისტული იდეოლოგიისაგან. გარდა ამისა, მე ვფიქრობ, რომ ტროცკისტების ნაწილი, რომელიც შემდეგ ტროცკისტულ ორგანიზაციას ჩამოშორდა და პარტიაში დაბრუნდა, ჯერ კიდევ ვერ გამოსთხოვებია ტროცკისტულ იდეოლოგიას და ისიც, ალბათ, უარს არ იტყვის გაავრცელოს თავისი შეხედულებანი პარტიის წევრთა შორის. ბოლოს, ჩვენ ვხედავთ ჩვენი პარტიის ზოგიერთ ორგანიზაციაში ტროცკისტული იდეოლოგიის ერთგვარი აღორძინების ფაქტს. შეაერთეთ ყოველივე ეს, და თქვენ მიიღებთ ყველა საჭირო ელემენტს იმისათვის, რომ პარტიაში ტროცკიზმისაკენ გადახრა არსებობდეს.

ეს გასაგებიცაა: შეუძლებელია, რომ როცა წვრილბურჟუაზიული სტიქია არსებობს და როცა ეს სტიქია ზემოქმედებას ახდენს ჩვენს პარტიაზე, არ იყოს ტროცკისტული ტენდენციები ჩვენს პარტიაში. ერთია — დააპატიმრო ან პარტიიდან გარიცხო ტროცკისტთა კადრები. სულ სხვაა — ბოლო მოუღო ტროცკიზმის იდეოლოგიას. ეს უფრო ძნელი იქნება. და ჩვენ ვამბობთ: სადაც მემარჯვენე გადახრაა, იქ «მემარცხენე» გადახრაც უნდა იყოს. «მემარცხენე» გადახრა

მემარჯვენე გადახრის ჩრდილია. ლენინი ამბობდა, გულისხმობდა რა ოტზოვისტებს, «მემარცხენეები» იგივე მენშევიკები არიან, მხოლოდ შებრუნებითო. ეს სრული სიმართლეა. იგივე უნდა ითქვას ახლანდელ «მემარცხენეებზე». ის ადამიანები, რომლებიც ტროცკიზმისაკენ იხრებიან, არსებითად იგივე მემარჯვენეები არიან, მხოლოდ შებრუნებით, მემარჯვენეები, რომლებიც «მემარცხენე» ფრაზას ეფარებიან.

აქედან გამომდინარეობს ბრძოლა ორ ფრონტზე, მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგაც და «მემარცხენე» გადახრის წინააღმდეგაც.

შეიძლება თქვან: თუ «მემარცხენე» გადახრა არსებითად იგივე მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრაა, მაშინ სადღაა მათ შორის განსხვავება და სად არის აქ, კაცმა რომ თქვას, ორი ფრონტიო? მართლაც, თუ მემარჯვენეთა გამარჯვება ნიშნავს კაპიტალიზმის რესტავრაციის შანსების გაძლიერებას, ხოლო «მემარცხენეთა» გამარჯვება იმავე შედეგებს გამოიწვევს, მაშინ რაღა განსხვავებაა მათ შორის და რატომ უწოდებენ ზოგს მემარჯვენეებს, ზოგს კი — «მემარცხენეებს»? და თუ მათ შორის განსხვავება არსებობს, რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? განა მართალი არ არის, რომ ორივე გადახრას ერთი სოციალური ფესვი აქვს, რომ ორივე გადახრა წვრილბურჟუაზიული გადახრაა? განა მართალი არ არის, რომ ორივე ამ გადახრას, თუ მათ გაიმარჯვეს, ერთსა და იმავე შედეგებამდე მივყავართ? მაშ რაღა განსხვავებაა მათ შორის?

განსხვავება ის არის, რომ მათ სხვადასხვა პლატფორმები, სხვადასხვა მოთხოვნები, სხვადასხვა მიდგომა და ხერხები აქვთ.

თუ, მაგალითად, მემარჯვენენი ამბობენ: **«საჭირო არ არის დნეპრმშენის აგება»**, ხოლო «მემარცხენენი», პირ-

იქით, გაიძახიან: **«რას გვეყოფა ერთი დნეპრმშენი, მოიტათ ყოველ წელიწადს თითო დნეპრმშენიო»** (სიცილი), — მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ განსხვავება, აშკარაა, არის.

თუ მემარჯვენენი ამბობენ: **«ხელს ნუ ახლებ კულაკს, მიეცი მას საშუალება თავისუფლად განვითარდესო»**, ხოლო «მემარცხენენი», პირიქით, გაიძახიან: **«დაჰკა არა მარტო კულაკს, არამედ საშუალო გლეხსაც, იმიტომ რომ ისიც ისეთივე კერძო მესაკუთრეა, როგორც კულაკიო»**, — მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ განსხვავება, აშკარაა, არის.

თუ მემარჯვენენი ამბობენ: **«სიძნელეები დაიწყო, ხომ არ არის დრო უკან დავიხიოთო»**, ხოლო «მემარცხენენი», პირიქით, გაიძახიან: **«რის სიძნელეები, რა სიძნელეები, რას გვიქვიან სიძნელეები, — მთელი სისწრაფით წინ გავექანოთო»** (სიცილი), — მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ განსხვავება, აშკარაა, არის.

აი «მემარცხენეთა» სპეციფიკური პლატფორმისა და სპეციფიკური ხერხების სურათი. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ხანდახან «მემარცხენეები» ახერხებენ მიიტყუონ მუშათა ერთი ნაწილი «მემარცხენე» მყვირალა ფრაზებით და გამოიყვანონ თავი მემარჯვენეთა ყველაზე სასტიკ მოწინააღმდეგეებად, თუმცა მთელმა ქვეყანამ იცის, რომ მათ, «მემარცხენეებს», იგივე სოციალური ფესვები აქვთ, რაც მემარჯვენეებს, და რომ ისინი ხშირად უთანხმდებიან მემარჯვენეებს, ბლოკს კრავენ მათთან ლენინური ხაზის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სწორედ ამიტომ ჩვენთვის, ლენინელებისათვის, სავალდებულოა ბრძოლა ორ ფრონტზე — როგორც მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, ისე «მემარცხენე» გადახრის წინააღმდეგ.

მაგრამ თუ ტროცკისტული ტენდენცია «მემარცხენე» გადახრას წარმოადგენს, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ «მემარ-

ცხენეები» ლენინელებზე უფრო მარცხნივ დგანან? არა, არ ნიშნავს. ლენინიზმი არის **ყველაზე მემარცხენე** (უბრჭყალებოდ) მიმდინარეობა მსოფლიო მუშათა მოძრაობაში. ჩვენ, ლენინელები, იმპერიალისტური ომის დაწყებამდე II ინტერნაციონალში შევდიოდით როგორც სოციალ-დემოკრატების უკიდურესი მემარცხენე ფრაქცია. ჩვენ არ დავრჩით II ინტერნაციონალში და ვქადაგებდით გათიშვას II ინტერნაციონალში იმიტომ, რომ ჩვენ სწორედ როგორც უკიდურეს მემარცხენე ფრაქციას არ გვსურდა ვყოფილიყავით მარქსიზმის წვრილბურჟუაზიულ მოღალატეებთან, სოციალ-პაციფისტებთან და სოციალ-შოვინისტებთან ერთ პარტიაში.

ეს ტაქტიკა და ეს იდეოლოგია შემდეგში საფუძვლად დაედო მთელი მსოფლიოს ბოლშევიკურ პარტიებს. ჩვენს პარტიაში ჩვენ, ლენინელები, ვართ **ერთადერთი** მემარცხენეები უბრჭყალებოდ. ამიტომ ჩვენ, ლენინელები, არც «მემარცხენეები» ვართ და არც მემარჯვენეები ჩვენს საკუთარ პარტიაში. ჩვენ მარქსისტ-ლენინელთა პარტია ვართ. და ჩვენს პარტიაში ვებრძვით არა მარტო იმათ, ვისაც აშკარა ოპორტუნისტ უკლონისტებს ვუწოდებთ, არამედ იმათაც, ვისაც სურს იყოს მარქსიზმზე უფრო «მემარცხენე», ლენინიზმზე უფრო «მემარცხენე», ვინც თავის მემარჯვენე, ოპორტუნისტულ ბუნებას ფარავს «მემარცხენე», მყვირალა ფრაზებით.

ყველა მიხვდება, რომ როცა იმ ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულან ტროცკისტული ტენდენციებისაგან, «მემარცხენეებს» უწოდებენ, ეს უნდა გავიგოთ ირონიულად. ლენინი «მემარცხენე კომუნისტებს» მემარცხენეებს უწოდებდა ხან ბრჭყალებში, ხან უბრჭყალებოდ. მაგრამ ყველა გაიგებს, რომ ლენინი მათ მემარცხენეებს უწოდებდა ირონიულად და ამით ხაზს უსვამდა იმას, რომ ისინი მემარცხენეები არიან მხოლოდ სიტყვით, მოსაჩ-

ვენებლად, საქმით კი წვრილბურჟუაზიულ მემარჯვენე ტენდენციებს გამოხატავენ.

ტროცკისტული ელემენტების რა მემარცხენეობაზე (უბრჭყალებოდ) შეიძლება ლაპარაკი, თუ ისინი ჯერ კიდევ გუშინ ერთიანდებოდნენ მთლიან ანტილენინურ ბლოკში აშკარა ოპორტუნისტულ ელემენტებთან, პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდებოდნენ ჩვენი ქვეყნის ანტისაბჭოთა ფენებს? განა ფაქტი არ არის, რომ ჯერ კიდევ გუშინ არსებობდა «მემარცხენეებისა» და მემარჯვენეების აშკარა ბლოკი ლენინური პარტიის წინააღმდეგ და ამ ბლოკს უეჭველად მხარს უჭერდნენ ბურჟუაზიული ელემენტები? და განა ეს იმას არ მოწმობს, რომ ისინი, «მემარცხენეები» და მემარჯვენეები, ერთ ბლოკში ვერ გაერთიანდებოდნენ, საერთო სოციალური ფესვები რომ არ ჰქონდეთ, საერთო ოპორტუნისტული ბუნება რომ არ ჰქონდეთ? ტროცკისტების ბლოკი ერთი წლის წინათ დაიშალა. მემარჯვენეთა ნაწილი, როგორც, მაგალითად, შატუნოვსკი, ბლოკს ჩამოშორდა. მაშასადამე, მემარჯვენე ბლოკისტები ამიერიდან გამოვლენ სწორედ როგორც მემარჯვენეები, ხოლო «მემარცხენეები» თავიანთ მემარჯვენეობას «მემარცხენე» ფრაზებით დაფარავენ. მაგრამ რა გარანტიაა, რომ «მემარცხენეები» და მემარჯვენეები კვლავ არ მოინახავენ ერთმანეთს? (სიცილი). ცხადია, აქ არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე გარანტია.

მაგრამ თუ ჩვენ მხარს ვუჭერთ ორ ფრონტზე ბრძოლის ლოზუნგს, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენ ვაცხადებთ ჩვენს პარტიაში **ცენტრიზმის** საჭიროებას? რას ნიშნავს ორ ფრონტზე ბრძოლა? ხომ არ არის ეს ცენტრიზმი? თქვენ იცით, რომ ტროცკისტები სწორედ ასე გვიხატავენ საქმეს: არიან «მემარცხენენი», ეს «ჩვენ» — ტროცკისტები, «ნამდვილი ლენინელები» ვართო; არიან «მემარჯვენენი», ეს ყველა დანარჩენიაო; არიან, ბოლოს, «ცენტრისტები», რომ-

ლებიც «მემარცხენეებსა» და მემარჯვენეებს შორის ქანაობენო. შეიძლება თუ არა სწორად ჩაითვალოს ასეთი შეხედულება ჩვენს პარტიაზე? ცხადია, არ შეიძლება. ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც ყველა ცნება არევიათ და რომლებსაც უკვე დიდი ხანია კავშირი გაუწყვეტიათ მარქსიზმთან. ასე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც ვერ დაუნახავთ და არ ესმით **პრინციპული განსხვავება** ომამდელი პერიოდის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა, რომელიც პროლეტარული და წვრილბურჟუაზიული ინტერესების **ბლოკის** პარტია იყო, და კომუნისტურ პარტიას შორის, რომელიც რევოლუციური პროლეტარიატის **მონოლითური** პარტიაა.

ცენტრიზმი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც სივრცითი ცნება: ერთ ადგილას, ვთქვათ, სხედან მემარჯვენეები, მეორე ადგილას — «მემარცხენეები», შუაში კი — ცენტრისტები. ცენტრიზმი პოლიტიკური ცნებაა. მისი იდეოლოგია არის შეგუების იდეოლოგია, **ერთი საერთო პარტიის შემადგენლობაში** წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებისადმი პროლეტარული ინტერესების დამორჩილების იდეოლოგია. ეს იდეოლოგია ლენინიზმისათვის უცხო და მიუღებელია.

ცენტრიზმი ბუნებრივი მოვლენაა ომამდელი პერიოდის II ინტერნაციონალისათვის. იქ იყვნენ მემარჯვენეები (უმრავლესობა), იყვნენ მემარცხენეები (უბრჭყალებოდ) და იყვნენ ცენტრისტები, რომელთა მთელი პოლიტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ მემარცხენე ფრაზებით შეელამაზებინათ მემარჯვენეთა ოპორტუნიზმი და დაემორჩილებინათ მემარცხენეები მემარჯვენეებისათვის.

რაში მდგომარეობდა მაშინ პოლიტიკა მემარცხენეებისა, რომელთა ბირთვს ბოლშევიკები შეადგენდნენ? ცენტრისტებთან გადამწყვეტ ბრძოლაში, მემარჯვენეებთან გათიშვისათვის ბრძოლაში (განსაკუთრებით იმპერიალისტუ-

რი ომის დაწყების შემდეგ) და ნამდვილად მემარცხენე, ნამდვილად პროლეტარული ელემენტებისაგან ახალი რევოლუციური ინტერნაციონალის მოწყობაში.

რატომ შეიძლებოდა მაშინ შექმნილიყო ძალთა ასეთი განლაგება II ინტერნაციონალის შიგნით და იქ ბოლშევიკების ასეთი პოლიტიკა? იმიტომ, რომ მაშინ II ინტერნაციონალი იყო პარტია პროლეტარული და წვრილბურჟუაზიული ინტერესების **ბლოკისა** წვრილბურჟუაზიული სოციალ-პაციფისტების, სოციალ-შოვინისტების სასარგებლოდ. იმიტომ, რომ ბოლშევიკებს მაშინ არ შეეძლოთ არ მიემართათ ცეცხლი ცენტრისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ დაემორჩილებინათ პროლეტარული ელემენტები წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებისათვის. იმიტომ, რომ ბოლშევიკები მაშინ ვალდებული იყვნენ ექადაგნათ გათიშვის იდეა, ვინაიდან უამისოდ პროლეტარები ვერ მოაწყობდნენ თავიანთ საკუთარ მონოლითურ რევოლუციურ-მარქსისტულ პარტიას.

შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ ჩვენს კომუნისტურ პარტიაში ძალთა ისეთივე განლაგებაა და რომ იქ უნდა ხორციელდებოდეს ისეთივე პოლიტიკა, როგორსაც ახორციელებდნენ ბოლშევიკები ომამდელი პერიოდის II ინტერნაციონალის პარტიებში? ცხადია, არ შეიძლება. არ შეიძლება, ვინაიდან ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ არ გვესმოდეს, თუ რა **პრინციპული განსხვავებაა** სოციალ-დემოკრატიასა, როგორც პროლეტარული და წვრილბურჟუაზიული ელემენტების **ბლოკის** პარტიასა, და რევოლუციური პროლეტარიატის **მონოლითურ** კომუნისტურ პარტიას შორის. იქ (სოციალ-დემოკრატიაში) პარტიის ერთი კლასობრივი ქვესაფუძველი იყო. აქ (კომუნისტებთან) პარტიის სულ სხვა ქვესაფუძველია. იქ (სოციალ-დემოკრატიაში) ცენტრიზმი ბუნებრივი მოვლენა იყო, ვინაიდან სხვა-

დასხვაგვარ ინტერესთა ბლოკის პარტია უცენტრისტებოდ ვერ იარსებებს, და ბოლშევიკები მოვალენი იყვნენ გაეტარებინათ გათიშვის ხაზი. აქ (კომუნისტებთან) ცენტრიზმი უსაგნოა და შეუთავსებელია ლენინურ პარტიულობასთან, ვინაიდან კომუნისტური პარტია პროლეტარიატის **მონოლითური** პარტიაა და არა სხვადასხვაგვარი კლასობრივი ელემენტების ბლოკის პარტია.

და ვინაიდან ჩვენი პარტიის გაბატონებულ ძალას წარმოადგენს მსოფლიო მუშათა მოძრაობის ყველაზე მემარცხენე მიმდინარეობა (ლენინელები), ამიტომ გათიშვის პოლიტიკას ჩვენს პარტიაში არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე გამართლება ლენინიზმის თვალსაზრისით. (ხ მ ა: «შესაძლოა თუ არა ჩვენს პარტიაში გათიშვა?»). საქმე ეხება არა გათიშვის შესაძლებლობას, არამედ იმას, რომ გათიშვის პოლიტიკა ჩვენს მონოლითურ ლენინურ პარტიაში არ შეიძლება გამართლებულ იქნას ლენინიზმის თვალსაზრისით.

ვისაც ეს პრინციპული განსხვავება არ ესმის, ის მიდის ლენინიზმის წინააღმდეგ, ის კავშირს წყვეტს ლენინიზმთან.

სწორედ ამიტომ მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ ჰკუაზე შეშლილ ადამიანებს და იმათ, ვისაც მარქსიზმის უკანასკნელი ნაშთები დაუკარგავს, შეუძლიათ სერიოზულად ამტკიცონ, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა, ორ ფრონტზე ბრძოლის პოლიტიკა, ცენტრიზმის პოლიტიკაა.

ლენინი ჩვენს პარტიაში ყოველთვის ეწეოდა ბრძოლას ორ ფრონტზე როგორც «მემარცხენე», ისე აშკარა მენშევიკური გადახრების წინააღმდეგ. გადაათვალიერეთ ლენინის ბროშურა ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში», გადაათვალიერეთ ჩვენი პარტიის ისტორია, და გაიგებთ, რომ ჩვენი პარტია იზრდებოდა და მტკიცდებოდა ორივე გადახრის — როგორც მემარჯვენე, ისე «მემარცხენე»

გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრძოლა, ერთი მხრივ, ოტზოვისტებთან და «მემარცხენე» კომუნისტებთან, ბრძოლა, მეორე მხრივ, აშკარა ოპორტუნისტულ გადახრასთან ოქტომბრის რევოლუციამდე, ოქტომბრის რევოლუციის დროს და მის შემდეგ, — აი რა ფაზები განვლო ჩვენმა პარტიამ თავის განვითარებაში. ყველასათვის ცნობილია ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა როგორც აშკარა ოპორტუნიზმის, ისე «მემარცხენე» დოქტრინიორების წინააღმდეგ.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ლენინი ცენტრისტი იყო, რომ იგი ცენტრიზმის პოლიტიკას ეწეოდა? ცხადია, არ ნიშნავს.

მაშ რას წარმოადგენენ ჩვენი მემარჯვენე და «მემარცხენე» უკლონისტები?

რაც შეეხება მემარჯვენე გადახრას, ეს, რა თქმა უნდა, ის არ არის, რაც ომამდელი პერიოდის სოციალ-დემოკრატების ოპორტუნიზმი იყო. ოპორტუნიზმისაკენ გადახრა ჯერ კიდევ არ არის ოპორტუნიზმი. ჩვენ ვიცით, თუ როგორ განმარტავდა ლენინი თავის დროზე გადახრის ცნებას. მარჯვნივ გადახრა არის ისეთი რამ, რაც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ოპორტუნიზმად და რაც შეიძლება გამოსწორდეს. ამიტომ არ შეიძლება მარჯვნივ გადახრა გავაიგივეოთ დამთავრებულ ოპორტუნიზმთან.

რაც შეეხება «მემარცხენე» გადახრას, იგი პირდაპირ საწინააღმდეგოა იმისა, რასაც წარმოადგენდნენ უკიდურესი მემარცხენეები ომამდელი პერიოდის II ინტერნაციონალში, ე. ი. ბოლშევიკები. «მემარცხენე» უკლონისტები არა თუ არ არიან მემარცხენეები უბრჭყალებოდ, არამედ არსებითად იგივე მემარჯვენე უკლონისტები არიან, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ისინი შეუგნებლად ფარავენ თავიანთ ნამდვილ ბუნებას «მემარცხენე» ფრაზებით. პარტიის წინაშე

დანაშაული იქნებოდა არ დაგვენახა იმ განსხვავების მთელი სიღრმე, რომელიც არსებობს «მემარცხენე» უკლონისტებსა და ნამდვილ ლენინელებს, **ერთადერთ** მემარცხენეებს (უბრჭყალებოდ) შორის ჩვენს პარტიაში. (ხ მ ა: «გადახრების ლეგალიზაცია?»). თუ გადახრებთან აშკარა ბრძოლა ლეგალიზაციაა, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ლენინმა დიდი ხანია მოახდინა მათი «ლეგალიზაცია».

ისინი, ეს უკლონისტები, მემარჯვენეებიც და «მემარცხენეებიც», გამოდიან არაპროლეტარული ფენების უალრესად სხვადასხვაგვარი ელემენტებიდან, იმ ელემენტებიდან, რომლებიც გამოხატავენ წვრილბურჟუაზიული სტიქიის ზემოქმედებას პარტიაზე და პარტიის ცალკეული რგოლების გახრწნას. სხვა პარტიებიდან გამოსულთა ნაწილი; ტროცკისტული ტენდენციების მქონე ადამიანები პარტიაში; პარტიაში წინათ არსებულ ფრაქციათა ნამსხვრევები; გაბიუროკრატების გზაზე მდგომი (და გაბიუროკრატებული) წევრები პარტიისა სახელმწიფო, სამეურნეო, კოოპერაციულ, პროფკავშირულ აპარატში, რომლებიც ამ აპარატების აშკარა ბურჟუაზიულ ელემენტებს უკავშირდებიან; პარტიის ის შეძლებული წევრები ჩვენს სასოფლო ორგანიზაციებში, რომლებიც კულაკობასთან შეზრდის გზაზე დგანან, და სხვ. და ა. შ., — ასეთია ის წრე, რომელიც ასაზრდოებს გადახრებს ლენინურ ხაზიდან. ცხადია, ეს ელემენტები ვერაფერს ნამდვილად მემარცხენესა და ლენინურს ვერ შეითვისებენ. მათ შეუძლიათ ასაზრდოონ მხოლოდ აშკარა ოპორტუნისტული გადახრა, ან ეგრეთწოდებული «მემარცხენე» გადახრა, რომელიც თავის ოპორტუნიზმს მემარცხენე ფრაზებით ნიღბავს.

აი რატომ არის ორ ფრონტზე ბრძოლა პარტიის ერთადერთი სწორი პოლიტიკა.

შემდეგ. სწორად არის თუ არა ნათქვამი თეზისებში, რომ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის **ძირითადი მეთოდი** ჩვენში უნდა იყოს გაშლილი იდეოლოგიური ბრძოლის მეთოდი? მე ვფიქრობ, რომ სწორად არის ნათქვამი. კარგი იქნება მოვიგონოთ აქ ტროცკიზმთან ბრძოლის გამოცდილება. რით დავიწყეთ მის წინააღმდეგ ბრძოლა? იქნებ ორგანიზაციული დასკვნებით? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ იგი დავიწყეთ იდეოლოგიური ბრძოლით. ეს ბრძოლა წარმოებდა 1918 წლიდან 1925 წლამდე. უკვე 1924 წელს ჩვენმა პარტიამ და კომინტერნის V კონგრესმა გამოიტანეს რეზოლუცია ტროცკიზმის, როგორც წვრილბურჟუაზიული გადახრის, შესახებ. მაგრამ ტროცკი მაინც იჯდა ჩვენს ცენტრალურ კომიტეტშიც და პოლიტბიუროშიც. ფაქტია თუ არა ეს? ფაქტია. მაშასადამე, ჩვენ «ვითმენდით» ტროცკისა და ტროცკისტებს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. რატომ ვურიგდებოდით მათს ყოფნას პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში? იმიტომ, რომ ტროცკისტები იმ დროს, მიუხედავად პარტიასთან უთანხმოებისა, ემორჩილებოდნენ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს და ლოიალური რჩებოდნენ. როდის დავიწყეთ ცოტად თუ ბევრად ფართო მასშტაბით ორგანიზაციული დასკვნების გამოყენება? მხოლოდ მას შემდეგ, როცა ტროცკისტები დაირაზმნენ ფრაქციად, შექმნეს თავიანთი ფრაქციული ცენტრი, გადააქციეს თავიანთი ფრაქცია ახალ პარტიად და მოუწოდებდნენ ადამიანებს ანტისაბჭოთა დემონსტრაციებისაკენ.

მე ვფიქრობ, რომ ამავე გზას უნდა დავადგეთ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლაში. მემარჯვენე გადახრა ჯერ კიდევ არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც რაღაც გაფორმებული და ჩამოყალიბებული, თუმცა იგი ძლიერდება პარტიაში. იგი მხოლოდ ფორმდება და ყალიბდება. აქვთ თუ არა მე-

მარჯვენე უკლონისტებს ფრაქცია? მე ვფიქრობ, რომ არა აქვთ. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ისინი არ ემორჩილებიან ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებებს? მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ჯერ არა გვაქვს საფუძველი დავდოთ მათ ბრალი ამაში. შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ მემარჯვენე უკლონისტები აუცილებლად დაირაზმებიან თავიანთ ფრაქციად? მე ეს მეეჭვება. აქედან დასკვნა: მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის ძირითადი მეთოდი **ახლანდელ სტადიაში** უნდა იყოს გაშლილი იდეოლოგიური ბრძოლის მეთოდი. ეს მით უფრო სწორია, რომ ჩვენი პარტიის ზოგიერთი წევრი იჩენს საწინააღმდეგო ტენდენციას — მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლა დაიწყოს არა იდეოლოგიური ბრძოლით, არამედ ორგანიზაციული დასკვნებით. ისინი პირდაპირ ამბობენ: მოგვეცით ხელში მემარჯვენეები — ათიოდე თუ ოციოდე კაცი, ჩვენ მათ მყისვე გავუსწორდებით და ამრიგად მემარჯვენე გადახრას ბოლოს მოვუღებთო. მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ასეთი განწყობილება არასწორი და საზიფათოა. სწორედ იმისათვის, რომ არ ავყვეთ ასეთ განწყობილებას, არამედ მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლა დავაყენოთ სწორ ნიადაგზე, სწორედ ამიტომ აუცილებელია აშკარად და გადაჭრით ვთქვათ, რომ მემარჯვენე გადახრასთან ჩვენი ბრძოლის ძირითად მეთოდს **ახლანდელ სტადიაში** წარმოადგენს იდეოლოგიური ბრძოლა.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ორგანიზაციულ დასკვნებს? არა, არ ნიშნავს. მაგრამ ეს, უეჭველია, ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაციული დასკვნები აქ დაქვემდებარებულ როლს უნდა ასრულებდნენ, და თუ მემარჯვენე უკლონისტების მხრივ არ არის პარტიულ გადაწყვეტილებათა დარღვევის ფაქტები, მაშინ არ უნდა გავაგდოთ ისინი ამა თუ იმ ხელმძღვანელი ორგა-

ნიზაციებიდან და დაწესებულებებიდან. (ხმა: «მოსკოვის პრაქტიკა?»).

მე ვფიქრობ, რომ მოსკოვის ხელმძღვანელ ამხანაგებს შორის ჩვენ მემარჯვენეები არ გვყოლია. იქ იყო არასწორი დამოკიდებულება მემარჯვენე განწყობილებებისადმი. უფრო შეიძლება ითქვას, რომ იქ შემარიგებლობის ტენდენცია იყო. მაგრამ მე ვერ ვიტყვი, რომ მოსკოვის კომიტეტში მემარჯვენე გადახრა არსებობდა. (ხმა: «ორგანიზაციული ბრძოლა ხომ იყო?»).

ორგანიზაციული ბრძოლა იყო, თუმცა მას დაქვემდებარებული ადგილი ეჭირა. იგი იყო იმიტომ, რომ მოსკოვში მიმდინარეობს ხელახალი არჩევნები თვითკრიტიკის ბაზაზე და რაიონულ აქტივებს უფლება აქვთ გადააყენონ თავიანთი მდივნები. (სიცილი). (ხმა: «განა მდივნების გადარჩევა ჩვენში გამოცხადებული იყო?»). მდივნების გადარჩევა არავის აუკრძალავს. არსებობს ცენტრალური კომიტეტის ივნისის მოწოდება, სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თვითკრიტიკის გაშლა შეიძლება ლიტონ სიტყვად გადაიქცეს, თუ ძირეულ ორგანიზაციებს არ ექნებათ უზრუნველყოფილი უფლება — გადააყენონ ყოველი მდივანი, ყოველი კომიტეტი. რა შეგიძლიათ სთქვათ ასეთი მოწოდების წინააღმდეგ? (ხმა: «პარტკონფერენციამდე?»). დიახ, თუნდაც პარტკონფერენციამდე.

მე ავგურის ღიმილს ვხედავ ზოგიერთი ამხანაგის სახეზე. ეს კარგი არ არის, ამხანაგებო. მე ვხედავ, რომ ზოგიერთ თქვენგანს შეუკავებელი სურვილი აქვს რაც შეიძლება მალე მოვხსნათ პოსტებიდან მემარჯვენე გადახრის ესა თუ ის გამომხატველნი. მაგრამ ეს საკითხის გადაჭრა არ არის, ძვირფასო ამხანაგებო. რა თქმა უნდა, პოსტებიდან მოხსნა უფრო იოლია, ვიდრე ფართო და მოფიქრებული ახსნა-განმარტებითი კამპანიის გაჩაღება მემარჯვენე გადახრის შესახებ, მემარჯვენე საფრთხისა და მასთან ბრძოლის შე-

სახებ. მაგრამ რაც ყველაზე იოლია, ის არ შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე უკეთესად. აბა გაისარჯეთ და მოაწყეთ ფართო ახსნაგანმარტებითი კამპანია მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ, გაისარჯეთ და ამისათვის დროს ნუ დაინანებთ, და მაშინ დაინახავთ, რომ რაც უფრო ფართო და ღრმაა კამპანია, მით უარესია მემარჯვენე გადახრისათვის. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის ცენტრი იდეოლოგიური ბრძოლა უნდა იყოს.

რაც შეეხება მოსკოვის კომიტეტს, მე არ ვიცი, რაღა შეიძლება დაემატოს იმას, რაც თქვა უგლანოვმა თავის საბოლოო სიტყვაში საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე. მან პირდაპირ განაცხადა:

«თუ ცოტაოდნად ისტორიას გავიხსენებთ, თუ გავიხსენებთ, როგორ ვებრძოდი მე 1921 წელს ლენინგრადში ზინოვიევს, დავინახავთ, რომ «ცემა-ტყეპა» ცოტა უფრო დიდი იყო. მაშინ ჩვენ აღმოვჩნდით გამარჯვებულნი, იმიტომ, რომ მართალი ვიყავით. ახლა ჩვენ დაგვამარცხეს, რადგან ჩვენ შევცდით. ეს სასარგებლო იქნება».

გამოდის, რომ უგლანოვი ახლა ისევე იბრძოდა, როგორც თავის დროზე იბრძოდა ზინოვიევის წინააღმდეგ. სახელდობრ, ვის წინააღმდეგ იბრძოდა იგი უკანასკნელ ხანს? ჩანს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის წინააღმდეგ. მაშ ვის წინააღმდეგ? რა ბაზაზე შეიძლებოდა ამ ბრძოლის წარმოება? აშკარაა, მემარჯვენე გადახრასთან შემარიგებლობის ბაზაზე.

ამიტომ თეზისები სავსებით სწორად აღნიშნავენ ხაზგასმით როგორც ჩვენი პარტიის ერთ-ერთ მორიგ ამოცანას, რომ საჭიროა ლენინური ხაზიდან გადახრებთან შემარიგებლობის წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებით კი მემარჯვენე გადახრასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ.

ბოლოს, უკანასკნელი საკითხი. თეზისებში ნათქვამია, რომ ჩვენ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ დღეისათვის მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის აუცილებლობა. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ მემარჯვენე საფრთხე ამჟამად მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ჩვენს პარტიაში. ტროცკისტულ ტენდენციებთან ბრძოლა, და თანაც მტკიცე ბრძოლა, უკვე ათეული წელიწადია წარმოებს ჩვენში. ამ ბრძოლის შედეგია ტროცკიზმის ძირითადი კადრების განადგურება. არ შეიძლება ითქვას, რომ აშკარა ოპორტუნისტულ გადახრასთან ბრძოლა უკანასკნელ ხანს ასევე ინტენსიურად წარმოებდა. ხოლო იგი განსაკუთრებით ინტენსიურად არ წარმოებდა იმიტომ, რომ მემარჯვენე გადახრა ჩვენში ჯერ კიდევ ჩამოყალიბებისა და კრისტალიზაციის პერიოდში იმყოფება, ძლიერდება და იზრდება იმის გამო, რომ გაძლიერდა წვრილბურჟუაზიული სტიქია, რომელიც აღმოცენდა პურის დამზადების სიძნელეებთან დაკავშირებით. ამიტომ მთავარი დარტყმა უნდა მივმართოთ მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ.

ვამთავრებ რა ჩემს სიტყვას, მე მინდა, ამხანაგებო, აღვნიშნო კიდევ ერთი ფაქტი, რომელზეც აქ არ ულაპარაკნიათ და რომელსაც, ჩემი აზრით, მცირე მნიშვნელობა როდი აქვს. ჩვენ, პოლიტბიუროს წევრებმა, წარმოგიდგინეთ ჩვენი თეზისები საკონტროლო ციფრების შესახებ. ჩემს სიტყვაში მე ვიცავდი ამ თეზისებს, როგორც უეჭველად სწორს. არაფერს ვამბობ ზოგიერთი შესწორების შესახებ, რომელიც შეიძლება შეტანილ იქნას ამ თეზისებში. მაგრამ თეზისები ძირითადად რომ სწორია და უზრუნველყოფს ლენინური ხაზის სწორად გატარებას, — ეს სრულიად უეჭველია. და აი მე უნდა განგიცხადოთ, რომ ეს თეზისები ჩვენ პოლიტბიუროში ერთხმად მივიღეთ. მე ვფიქრობ, რომ ამ ფაქტს ერთგვარი მნიშვნელობა აქვს იმ ხმების გამო, რომლებსაც ჩვენს რიგებში ზოგჯერ ავრცე-

ლებენ ჩვენი პარტიის ყოველგვარი არაკეთილმოსურნენი, მოწინააღმდეგენი და მტრები. მხედველობაში მაქვს ხმები იმის შესახებ, თითქოს ჩვენს შორის, პოლიტბიუროში, იყოს მემარჯვენე გადახრა. «მემარცხენე» გადახრა, შემარიგებლობა და ეშმაკმა უწყის კიდევ რა. დაე ეს თეზისები კიდევ ერთი, მეასე ან ასპირველი დამამტკიცებელი საბუთი იყოს იმისა, რომ პოლიტბიუროში ჩვენ ყველანი ერთსულოვანი ვართ.

მე ვისურვებდი, რომ ამ პლენუმმაც ერთსულოვნად მიიღოს ეს თეზისები საფუძვლად. (ტ ა შ ი).

«პრავდა» № 273,
1928 წ. 24 ნოემბერი.

«ქატუშკის» მუშებს, სმოლენსკის გუბერნიის იარცევოს ფაბრიკის მუშებს [59]

მივესალმები თქვენს თაოსნობას საბჭოების საარჩევნო კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებისათვის შეჯიბრების მოწყობის საქმეში.

საბჭოების — მუშათა კლასის დიქტატურის ორგანოების — არჩევნები თვით მუშების ღვიძლი საქმე უნდა იყოს.

საარჩევნო კამპანიაში თქვენი მონაწილეობა იმით როდი ამოიწურება, რომ ჯეროვნად, ბოლშევიკურად ჩაატაროთ საქალაქო საბჭოების არჩევნები თქვენს ქალაქში.

უფრო ძნელი, მაგრამ არა ნაკლებ საჭირო ამოცანაა სოფლად საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში უშუალო მონაწილეობის მიღების ამოცანა. საბჭოების არჩევნების შედეგი ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მიიღებენ მონაწილეობას კამპანიაში ქალაქის მუშათა კლასი, სოფლის მოჯამაგირენი, ღარიბი გლეხები, რამდენად მოახდენენ გავლენას მის მიმდინარეობაზე, რამდენად გაიყოლიებენ საშუალო გლეხებს, გარიყავენ კულაკებს და, ამრიგად, უზრუნველყოფენ სოფლად მუშათა კლასის ხელ-

მძღვანელობას. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ექნება თქვენს მიერ დაწყებულ მიტინგ-გამოძახებას, რომელიც რაზმავს მუშებს საარჩევნო კამპანიაში ფართო მონაწილეობისათვის.

გისურვებთ წარმატებას.

ი. სტალინი

«პრავდა» № 274,
1928 წ. 25 ნოემბერი.

ქარხანა «კრასნი პროფინტერნის» მუშებს

ქ. ბეჟიცა

ძმური სალამი ქარხანა «კრასნი პროფინტერნის» მუშებს. მოგესალმებით «კატუშკისა» და იარცევოს ფაბრიკის მუშების გამოწვევის მიღებასთან დაკავშირებით. გისურვებთ წარმატებას საბჭოების ხელახალი არჩევნების კამპანიის ჩატარებაში. მაპატიეთ, რომ შესაძლებლობა არა მაქვს ჩამოვიდე თქვენს ქარხანაში.

ი. სტალინი

1928 წ. 29 ნოემბერი.

«პრავდა» № 278,
1928 წ. 30 ნოემბერი.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის ათი წლისთავისათვის

გულითადი სალამი ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიას მისი ათი წლის იუბილეს დღეს.

ვუსურვებ მას წარმატებას და შემდგომ აყვავებას.

სტალინი

«პრავდა» № 286,
1928 წ. 9 დეკემბერი.

მემარჯვენე საფრთხის შესახებ გერმანიის კომპარტიაში

სიტყვა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე
1928 წ. 19 დეკემბერი

ამხანაგებო! ვინაიდან ამხ. მოლოტოვმა უკვე მოგახსენათ აქ საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის თვალსაზრისი, მე მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა დამრჩენია. მე ვფიქრობ შევეხო სამ საკითხს, რომლებმაც თავი იჩინეს კამათის პროცესში, და ისიც გაკვრით.

ეს საკითხებია: კაპიტალისტური სტაბილიზაციის პრობლემა, სტაბილიზაციის რყევასთან დაკავშირებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლების პრობლემა და გერმანიის კომპარტიის პრობლემა.

მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ სამივე ამ საკითხში ემბერ-დრო და სერა, — ორივენი ლაჩრული ოპორტუნიზმის ჭაობში მოექცნენ. მართალია, ემბერ-დრომ ჯერჯერობით აზრი გამოთქვა მხოლოდ ფორმალურ საკითხებზე. მაგრამ მე მხედველობაში მაქვს მისი პრინციპული სიტყვა კომინტერნის აღმასკომის პოლიტიკური სამდივნოს სხდომაზე, სადაც განხილულ იქნა გერმანიის კომპარტიაში მყოფი მემარჯვენეებისა და შემარიგებლების საკითხი. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ეს სიტყვა წარმოადგენს იმ პოზიციის იდეო-

ლოგიურ საფუძველს, რომელიც დაიკავა ამ სხდომაზე კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის უმცირესობამ. ამიტომ არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი ემბერ-დროს პრინციპულ სიტყვას კომინტერნის აღმასკომის პოლიტიკური სამდივნოს სხდომაზე.

მე ვთქვი, რომ ემბერ-დრო და სერა ლაჩრული ოპორტუნიზმის ჭაობში მოექცნენ. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ, გარდა აშკარა ოპორტუნიზმისა, არსებობს კიდევ ფარული ოპორტუნიზმი, რომელსაც ეშინია გამოაჩინოს თავისი ნამდვილი სახე. სწორედ ეს არის მემარჯვენე გადახრის მიმართ შემარიგებლობის ოპორტუნიზმი. შემარიგებლობა ლაჩრული ოპორტუნიზმია. ვიმეორებ, მწუხარებით უნდა აღვნიშნო, რომ ორივე ჩვენი ამხანაგი ლაჩრული ოპორტუნიზმის ჭაობში მოექცა.

ნება მიბოძეთ ცხადვყო ეს რამდენიმე ფაქტით.

I

კაპიტალისტური სტაბილიზაციის პრობლემა

კომინტერნი ემყარება იმას, რომ ახლანდელი კაპიტალისტური სტაბილიზაცია არის დროებითი, არამტკიცე, მერყევი, ძირმომპალი სტაბილიზაცია, რომელიც სულ უფრო და უფრო შეირყევა კაპიტალისტური კრიზისის შემდგომი განვითარების მსვლელობაში.

ეს ოდნავაც არ ეწინააღმდეგება იმ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ კაპიტალისტური ტექნიკა და რაციონალიზაცია იზრდება. უფრო მეტიც, სწორედ ამ ზრდის ბაზაზე ვითარდება სტაბილიზაციის შინაგანი სიდამპლე და უმწეობა.

ხოლო რა გვითხრა ემბერ-დრომ თავის სიტყვაში კომინტერნის აღმასკომის პოლიტიკური სამდივნოს სხდომაზე? იგი პირწმინდად უარყოფს იქ სტაბილიზაციის მერყეობასა

და არასიმტკიცეს. თავის სიტყვაში იგი პირდაპირ აცხადებს, რომ «VI მსოფლიო კონგრესმა ფაქტიურად დაგმო ზოგადი ბუნდოვანი ფორმულირება — ძირმომპალი, მერყევი და სხვ. სტაბილიზაციისა». იგი პირდაპირ აცხადებს, რომ VI კონგრესის ცნობილ თეზისში მესამე პერიოდის შესახებ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი სტაბილიზაციის მერყეობაზე. შეიძლება თუ არა სწორად ჩაითვალოს ემბერ-დროს ეს მტკიცება? არა, არ შეიძლება. არ შეიძლება, ვინაიდან კომინტერნის VI კონგრესი იმის პირდაპირ საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რაზედაც ლაპარაკობს თავის სიტყვაში ემბერ-დრო. კომინტერნის VI კონგრესი აბზაცში მესამე პერიოდის შესახებ პირდაპირ ამბობს, რომ

«ამ პერიოდს (ე. ი. მესამე პერიოდს. **ი. სტ.**) გარდუვალად მივყავართ კაპიტალისტური სტაბილიზაციის წინააღმდეგობათა შემდგომი განვითარების გზით კაპიტალისტური სტაბილიზაციის **შემდგომი მერყევისა** * და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მკვეთრი გამწვავებისაკენ» [10].

ყურადღება მიაქციეთ — «სტაბილიზაციის შემდგომი მერყევა»... რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ სტაბილიზაცია უკვე ახლა მერყევი და არამტკიცეა, რომ მესამე პერიოდის პირობებში იგი კიდევ უფრო შეირყევა. ხოლო ემბერ-დრო თავს ნებას აძლევს სასაცილოდ აიგდოს ყველა ისინი, მათ შორის გერმანიის კომპარტიაც, რომლებიც აცხადებენ, რომ სტაბილიზაცია მერყევი და ძირმომპალია, რომლებიც აცხადებენ, რომ მუშათა კლასის ახლანდელი ბრძოლა ძირს უთხრის და არყევს კაპიტალისტურ სტაბილიზაციას. ვის დასცინის ემბერ-დრო? ცხადია, VI კონგრესის გადაწყვეტილებებს.

გამოდის, რომ ემბერ-დრო კომინტერნის VI კონგრესის გადაწყვეტილებათა ვითომ დაცვის საბაბით სინამდვილეში

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ამ გადაწყვეტილებათა **რევიზიას ახდენს** და, ამრიგად, სტაბილიზაციის ოპორტუნისტულ გაგებამდე ეშვება.

ასეთია საქმის ვითარება საკითხის ფორმალური მხარის თვალსაზრისით.

ახლა გადავიდეთ საკითხის არსებითად გარჩევაზე. თუ ახლანდელ სტაბილიზაციას არ შეიძლება ეწოდოს არც მერყევი, არც ძირმომპალი, არც არამტკიცე, მაშ როგორია იგი ბოლოს და ბოლოს? დაგვრჩენია ერთი — ვაღიაროთ, რომ იგი მტკიცე სტაბილიზაციაა ან ყოველ შემთხვევაში მტკიცდება. მაგრამ თუ ჩვენ საქმე გვაქვს კაპიტალიზმის ისეთ სტაბილიზაციასთან, რომელიც მტკიცდება, მაშინ რაღაში მდგომარეობს მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის ეგრეთწოდებული გამწვავება და გაღრმავება? განა ცხადი არ არის, რომ კაპიტალისტური კრიზისის გაღრმავებისათვის აქ ადგილი აღარ რჩება? განა ცხადი არ არის, რომ ემბერ-დრო თავისსავე საკუთარ წინააღმდეგობებში გაიხლართა?

შემდეგ. ლენინი ამბობდა, რომ იმპერიალიზმის პირობებში კაპიტალიზმის განვითარება ორმხრივი პროცესია: ერთი მხრივ, ზოგიერთ ქვეყანაში კაპიტალიზმის ზრდა, მეორე მხრივ, სხვა ქვეყნებში კაპიტალიზმის **ლპობა**. სწორია თუ არა ლენინის ეს თეზისი? და, თუ იგი სწორია, განა ცხადი არ არის, რომ კაპიტალისტური სტაბილიზაცია არ შეიძლება ძირმომპალი არ იყოს?

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ყველასათვის ცნობილ მთელ რიგ ფაქტებზე.

ჩვენ გვაქვს ისეთი ფაქტები, როგორიცაა იმპერიალისტური ჯგუფების გააფთრებული შეტაკებანი საქონლის გასაღების ბაზრებისათვის, კაპიტალის გატანის ბაზრებისათვის.

ჩვენ გვაქვს ისეთი ფაქტები, როგორიცაა შეიარაღების გამალებული ზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებში, ახალი სამ-

ხედრო კავშირების ჩამოყალიბება და აშკარა მზადება ახალი იმპერიალისტური ომებისათვის.

ჩვენ გვაქვს ისეთი ფაქტები, როგორიცაა წინააღმდეგობათა გამწვავება იმპერიალიზმის ორ გიგანტს შორის, ამერიკასა და ინგლისს შორის, რომლებიც ცდილობენ თავიანთ ორბიტში ჩაითრიონ ყველა სხვა სახელმწიფო.

ბოლოს, ჩვენ გვაქვს ისეთი ფაქტები, როგორიცაა საბჭოთა კავშირის არსებობა, საბჭოთა კავშირის ზრდა და წარმატება მშენებლობის ყველა დარგში, ეკონომიურ დარგშიც და კულტურულ-პოლიტიკურ დარგშიც, — საბჭოთა კავშირისა, რომლის მარტო არსებობა, მის ზრდაზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, არყევს და არღვევს მსოფლიო კაპიტალიზმის თვით საფუძვლებს.

როგორ შეუძლიათ მარქსისტებს, ლენინელებს, კომუნისტებს ყოველივე ამის შემდეგ ამტკიცონ, რომ კაპიტალისტური სტაბილიზაცია მერყევი და ძირმომპალი არ არის, რომ იგი წლითი-წლობით, დღითი-დღე არ ირყევა თვით მოვლენათა მსვლელობით?

ხვდება თუ არა ემბერ-დრო, ხოლო მასთან ერთად სერაც, თუ რა ჭაობში ექცევიან ისინი?

ამ შეცდომასთან დაკავშირებულია ემბერ-დროს და სერას დანარჩენი შეცდომები.

II

პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლების პრობლემა

ასევე მცდარია ემბერ-დროს პოზიცია კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლების, მათი ხასიათის, მათი მნიშვნელობის საკითხში. პოლიტიკური სამდივნოს სხდომაზე ემბერ-დროს მიერ წარმოთქმული სიტყვიდან გამომდინარეობს, რომ მუშათა კლასის ბრძო-

ლას, კაპიტალისტებთან მის სტიქიურ შეტაკებებს ძირითადად მხოლოდ თავდაცვითი ხასიათი აქვს, რომ ამ ბრძოლის საქმეში კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობა მხოლოდ არსებული რეფორმისტული პროფკავშირების ფარგლებში უნდა მიმდინარეობდეს.

სწორია თუ არა ეს? არა, არ არის სწორი. ამის მტკიცება იმას ნიშნავს, რომ კუდში მისჩანჩალებდე მოვლენებს. ემბერ-დროს ავიწყდება, რომ მუშათა კლასის ბრძოლა ახლა წარმოებს **შერყევის პროცესში მყოფი** სტაბილიზაციის ბაზაზე, რომ მუშათა კლასის ბრძოლებს ხშირად აქვთ შემხვედრი ბრძოლების, კაპიტალისტებზე კონტრშეტევისა და პირდაპირი შეტევის ხასიათი. ემბერ-დრო ახალს ვერაფერს ხედავს მუშათა კლასის უკანასკნელი პერიოდის ბრძოლებში. იგი ვერ ხედავს ისეთ ფაქტებს, როგორიცაა ლოძის საყოველთაო გაფიცვა, ეკონომიური გაფიცვები შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, პროლეტარული ძალების მძლავრი მობილიზაცია გერმანიაში მელითონელთა ლოკაუტის წინააღმდეგ ბრძოლების დროს და სხვ. და ა. შ.

რას მოწმობენ ეს და ამის მსგავსი ფაქტები, რას გვანიშნებენ ისინი? იმას, რომ კაპიტალისტური ქვეყნების წიაღში იზრდება მუშათა მოძრაობის ახალი რევოლუციური აღმავლობის წინაპირობები. სწორედ ეს არის ის ახალი, რასაც ვერ ხედავენ, ვერ ამჩნევენ ემბერ-დრო და სერა და რასაც საერთოდ ვერასოდეს ვერ შეამჩნევენ ის ამხანაგები, რომლებიც მიჩვეული არიან უკან იცქირებოდნენ და არა წინ.

ხოლო რას ნიშნავს უკან ცქერა და არა წინ? ეს ნიშნავს იმას, რომ კუდში მისჩანჩალებდე მოვლენებს, ვერ ხედავდე ახალ რამეს მოვლენებში და მოვლენებმა მოუმზადებელს მოგისწრონ. ეს ნიშნავს იმას, რომ ხელი აიღო

მუშათა მოძრაობაში კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელ როლზე. სწორედ ამაში ჩაიჭრა გერმანიის კომპარტიის ხელმძღვანელობა 1923 წლის რევოლუციის დროს. ამიტომ, ვისაც არ სურს გაიმეოროს 1923 წლის შეცდომები, ის უნდა აღვიძებდეს კომუნისტების აზრს და მოუწოდებდეს მათ წინ, ის უნდა ამზადებდეს მასებს მოახლოებული ბრძოლებისათვის, მან ყველა ზომა უნდა მიიღოს, რომ კომუნისტური პარტიები მოვლენათა კუდში არ მოექცნენ და მუშათა კლასს მოვლენებმა მოუმზადებელს არ მოუსწრონ.

მეტად უცნაურია, რომ ემბერ-დრო და სერა ივიწყებენ ამას.

რურის ბრძოლების პერიოდში გერმანელმა კომუნისტებმა აღნიშნეს ცნობილი ფაქტი, რომ არაორგანიზებული მუშები პროფკავშირებში ორგანიზებულ მუშებზე უფრო რევოლუციური აღმოჩნდნენ. ემბერ-დრო აღშფოთებულია ამით და ამტკიცებს, ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყოო. უცნაურია! რატომ არ შეიძლებოდა მომხდარიყო? რურში დაახლოებით მილიონი მუშაა. მათგან პროფკავშირებში ორგანიზებულია დაახლოებით ორასი ათასი. პროფკავშირებს ხელმძღვანელობენ ბიუროკრატი რეფორმისტები, რომლებიც ყოველნაირად დაკავშირებული არიან კაპიტალისტთა კლასთან. რაღაა გასაკვირველი, რომ არაორგანიზებული მუშები ორგანიზებულებზე უფრო რევოლუციური აღმოჩნდნენ? განა შეიძლებოდა სხვანაირად მომხდარიყო?

მე შემეძლო მეამბნა თქვენთვის რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან უფრო «გასაკვირველი» ფაქტები. ჩვენში ხშირად მომხდარა, რომ მასები თავიანთ (ზოგიერთ) კომუნისტურ ბელადებზე უფრო რევოლუციური აღმოჩენილან. ეს კარგად იცის ყველა რუსმა ბოლშევიკმა. სწორედ ამას ემყარებოდა ლენინი, როცა ამბობდა, რომ საჭიროა არა მარტო ვასწავლიდეთ მასებს,

არამედ კიდევაც **ვსწავლობდეთ მასებისგანო.** უნდა გვაკვირვებდეს არა ეს ფაქტები, არამედ ის, რომ ემბერ-დროს არ ესმის ეს უბრალო რამეები რევოლუციური პრაქტიკის სფეროდან.

იგივე უნდა ითქვას სერაზე. იგი არ იწონებს იმას, რომ გერმანელი კომუნისტები ლოკაუტგამოცხადებულ მელითონეთა დარაზმვისათვის ბრძოლაში გასცილდნენ არსებული პროფკავშირების ფარგლებს და შეარყიეს ეს ფარგლები. სერა ამაში პროფინტერნის IV კონგრესის [61] დადგენილებათა დარღვევას ხედავს. იგი გვარწმუნებს, პროფინტერნმა კომუნისტებს მიუთითა, მხოლოდ პროფკავშირების შიგნით იმუშავეთო. ეს სისულელეა, ამხანაგებო! პროფინტერნს ამის მსგავსი არაფერი უთქვამს. ასე ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ კომპარტია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლების პასიური მაყურებლის როლისათვის განწირო. ასე ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ დაასამარო მუშათა მოძრაობაში კომპარტიის ხელმძღვანელი როლის იდეა.

გერმანიის კომუნისტების დამსახურება სწორედ ის არის, რომ მათ თავი არ დააშინებინეს ლაყბობით «პროფკავშირული ფარგლების» შესახებ და გადააბიჯეს ამ ფარგლებს, მოაწყეს არაორგანიზებული მუშების ბრძოლა პროფბიუროკრატების ნების საწინააღმდეგოდ. გერმანიის კომუნისტების დამსახურება სწორედ ის არის, რომ ისინი ეძებდნენ და მიაგნეს არაორგანიზებული მუშების ბრძოლისა და ორგანიზაციის ახალ ფორმებს. შესაძლოა, რომ მათ ამასთან ზოგიერთი არაარსებითი შეცდომა დაუშვეს. მაგრამ ახალი საქმე უშეცდომოდ არასოდეს არ კეთდება. ჩვენ რომ მუშაობას უნდა ვეწეოდეთ რეფორმისტულ პროფკავშირებში, თუ ეს პროფკავშირები მასობრივი ორგანიზაციები არიან, — აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ ჩვენ რეფორმისტულ პროფკავშირებში მუშაობით უნდა **შევ-**

ზღუდოთ ჩვენი მასობრივი მუშაობა, რომ ჩვენ ამ კავშირების ნორმებისა და მოთხოვნების მონები უნდა გავხდეთ. თუ ხდება რეფორმისტული ხელმძღვანელობის შეზრდა კაპიტალიზმთან (იხ. კომინტერნის VI კონგრესისა და პროფინტერნის IV კონგრესის რეზოლუციები), ხოლო მუშათა კლასი ბრძოლას ეწევა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ კომპარტიის ხელმძღვანელობით მოქმედი მუშათა კლასის ბრძოლამ შეიძლება გვერდი აუაროს პროფკავშირთა არსებული რეფორმისტული ფარგლების ერთგვარ გადალახვას? ცხადია, ამის მტკიცება არ შეიძლება ისე, რომ ოპორტუნიზმში არ მოექცე. ამიტომ სავსებით შესაძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი ვითარება, როცა შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს მუშათა კლასის პარალელურ მასობრივ გაერთიანებათა შექმნა, იმ პროფკავშირული ბონზების ნების წინააღმდეგ, რომელნიც კაპიტალისტებს მიეყიდნენ. ჩვენ უკვე გვაქვს ასეთი ვითარება ამერიკაში. სავსებით შესაძლებელია, რომ ასევე წარიმართოს საქმე გერმანიაშიც.

III

გერმანიის კომპარტიის პრობლემა

არსებობდეს თუ არ არსებობდეს გერმანიის კომპარტია, ორგანიზებული და მჭიდროდ დარაზმული, შინაგანი რკინისებური დისციპლინის მქონე, — ასე დგას საკითხი, ამხანაგებო. საქმე ეხება არა მარტო მემარჯვენეებს ან შემარიგებლებს, არამედ თვით გერმანიის კომპარტიის არსებობას. არსებობს გერმანიის კომპარტია. მაგრამ გერმანიის კომპარტიის გვერდით და მის შიგნით არსებობს ორი ძალა, რომლებიც შიგნიდან ხრწნიან პარტიას და საფრთხეს უქმნიან მის არსებობას. ეს არის, ჯერ-ერთი, მემარჯვენეთა ფრაქცია,

რომელიც კომპარტიის შიგნით აწყობს ახალ ანტილენინურ პარტიას თავისი ცენტრით, თავისი ბეჭდვითი ორგანოებით და დღითი-დღე არღვევს მის დისციპლინას. მეორეც, ეს არის შემარიგებელთა ჯგუფი, რომელიც თავისი მერყეობით აძლიერებს მემარჯვენეთა ფრაქციას.

მე არ შევუდგები იმის მტკიცებას, რომ მემარჯვენეთა ფრაქცია კავშირს წყვეტს მარქსიზმ-ლენინიზმთან და გააფთრებულ ბრძოლას ეწევა კომინტერნის წინააღმდეგ. ეს უკვე დიდი ხანია დამტკიცებულია. არც იმის მტკიცებას შევუდგები, რომ შემარიგებელთა ჯგუფი არღვევს VI კონგრესის ცნობილ დადგენილებას მემარჯვენეებთან სისტემატური ბრძოლის შესახებ. ესეც დიდი ხნის დამტკიცებულია. ახლა ლაპარაკია იმაზე, რომ აღარ შეიძლება მოვითმინოთ ასეთი მდგომარეობა გერმანიის კომპარტიაში. ლაპარაკია იმაზე, რომ ისეთი «წესების» კვლავ მოთმენა, როცა მემარჯვენენი ატმოსფეროს წამლავენ სოციალ-დემოკრატიული იდეური ნაგვით და სისტემატურად არღვევენ პარტიული დისციპლინის ელემენტარულ საფუძვლებს, ხოლო შემარიგებლები ხელს უწყობენ მემარჯვენეებს, — ნიშნავს იმას, რომ კომინტერნის წინააღმდეგ მიდიოდე და მარქსიზმ-ლენინიზმის ელემენტარულ მოთხოვნებს არღვევდე.

შეიქმნა ისეთი მდგომარეობა (თუ უარესი არა), როგორიც იყო საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ), ტროცკიზმთან ბრძოლის უკანასკნელ ფაზაში, როცა პარტია და კომინტერნი იძულებული აღმოჩნდნენ თავიანთი რიგებიდან განედევნათ ტროცკისტები. ახლა ამას ყველა ხედავს. ამას ვერ ხედავენ, ან ისე გვაჩვენებენ თავს, თითქოს ვერ ხედავენ, ემბერ-დრო და სერა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მზად არიან მხარი დაუჭირონ მემარჯვენეებსაც და შემარიგებლებსაც, თუნდაც გერმანიის კომპარტიის სრული დაშლის ფასად.

გამოდიან რა მემარჯვენეთა გარიცხვის წინააღმდეგ, ემბერ-დრო და სერა იმოწმებენ VI კონგრესის ცნობილ დადგენილებას იმის შესახებ, რომ მემარჯვენე გადახრები დაძლეულ უნდა იქნას იდეოლოგიური ბრძოლის გზით. ეს სავსებით სწორია. მაგრამ ეს ამხანაგები ივიწყებენ, რომ VI კონგრესის დადგენილებანი სრულებითაც არ ზღუდავენ კომუნისტური პარტიების ბრძოლას მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ იდეოლოგიური ხასიათის ღონისძიებებით. ლაპარაკობს რა ლენინური ხაზიდან გადახრებთან იდეოლოგიური ბრძოლის ღონისძიებებზე, კომინტერნის VI კონგრესი თავის რეზოლუციაში ბუხარინის მოხსენების გამო ამასთან ერთად აცხადებს, რომ

«ეს არა თუ არ გამორიცხავს, არამედ კიდევაც გულისხმობს **რკინისებური შინაპარტიული დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებას,** უმცირესობის **უთუოდ დამორჩილებას** უმრავლესობისადმი, **ქვემდგომი ორგანოების,** აგრეთვე სხვა პარტიული ორგანიზაციების (ფრაქციები პარლამენტში, ფრაქციები პროფკავშირებში, პრესა და სხვ.) **უთუოდ დამორჩილებას ხელმძღვანელი პარტიული ცენტრებისადმი»** * [02].

მეტად უცნაურია, რომ ემბერ-დრო და სერა ივიწყებენ კომინტერნის VI კონგრესის რეზოლუციის ამ თეზისს. მეტად უცნაურია, რომ ყველა შემარიგებელნი, ისინიც, რომლებიც თავს შემარიგებლად თვლიან, და ისინიც, რომლებიც ამ წოდებაზე უარს ამბობენ, სისტემატურად ივიწყებენ, როცა VI კონგრესის რეზოლუციას იმოწმებენ, კომუნისტური ინტერნაციონალის ამ დიდმნიშვნელოვან თეზისს.

როგორ მოვიქცეთ, თუ, ნაცვლად რკინისებური შინაპარტიული დისციპლინის ყოველნაირად განმტკიცებისა, გერმანიის კომპარტიაში ისეთი აღმაშფოთებელი ფაქტები გვაქვს, რომ როგორც მემარჯვენენი, ისე, ნაწილობრივ, ზო-

* ხაზგასმა ჩემია. ი. სტ.

გიერთი შემარიგებელნი სრულიად მოურიდებლად არღვევენ ყოველ დისციპლინას? შეიძლება თუ არა კვლავაც მოვითმინოთ ასეთი მდგომარეობა?

როგორ მოვიქცეთ, თუ, ნაცვლად იმისა, რომ ქვემდგომი ორგანოები, პროფკავშირების ფრაქციები და პარტიული პრესის ზოგიერთი ორგანოები უთუოდ ემორჩილებოდნენ ხელმძღვანელ პარტიულ ცენტრს, გერმანიის კომპარტიაში ისეთი აღმაშფოთებელი ფაქტები გვაქვს, რომ მემარჯვენენი და ნაწილობრივ ზოგიერთი შემარიგებელნი ყოვლად უხეშად არღვევენ კომინტერნის VI კონგრესის ამ მოთხოვნას? შეიძლება თუ არა კვლავაც მოვითმინოთ ასეთი მდგომარეობა?

თქვენ იცნობთ კომინტერნში მიღების პირობებს, რომლებიც დამტკიცებულია II კონგრესზე [83]. მე ვლაპარაკობ 21 პირობაზე. ამ პირობების პირველ პუნქტში ნათქვამია, რომ «პერიოდული და არაპერიოდული პრესა და ყველა პარტიული გამომცემლობა **მთლიანად უნდა ემორჩილებოდეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს** *, მიუხედავად იმისა, ამჟამად მთელი პარტია ლეგალურია თუ არალეგალური». თქვენ იცით, რომ მემარჯვენე ფრაქციას თავის განკარგულებაში აქვს ორი ბეჭდვითი ორგანო. თქვენ იცით, რომ ამ ბეჭდვითს ორგანოებს გაგონებაც კი არ სურთ, რომ გერმანიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს რამეში დაემორჩილონ. იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა კვლავაც მოვითმინოთ ასეთი უმსგავსობა?

21 პირობის მე-12 პუნქტში ლაპარაკია იმაზე, რომ პარტია «ორგანიზებული უნდა იყოს რაც შეიძლება უფრო ცენტრალისტურად», რომ იქ უნდა **«ბატონობდეს რკინისებური დისციპლინა, რომელიც სამხედრო დისციპლინას უნდა უდრიდეს»** *. თქვენ იცით, რომ მემარჯვენეებს გერმა-

* ხაზგასმა ჩემია. **ი. სტ.**

ნიის კომპარტიაში არ სურთ სცნონ არც რკინისებური და არც რაიმე სხვა დისციპლინა, გარდა თავიანთი საკუთარი, ფრაქციული დისციპლინისა. იბადება კითხვა, შეიძლება თუ არა კვლავაც მოვითმინოთ ეს უმსგავსობა?

ან, იქნებ, თქვენ სთქვათ, რომ კომინტერნის II კონგრესზე დამტკიცებული პირობები სავალდებულო არ არის მემარჯვენეთათვის?

ემბერ-დრო და სერა აქ გაჰყვირიან კომუნისტური ინტერნაციონალის გადაწყვეტილებათა მოჩვენებითს დამრღვევებზე. ახლა მემარჯვენეთა სახით ჩვენ გვყავს კომუნისტური ინტერნაციონალის თვით საფუძვლების ნამდვილი (და არა მოჩვენებითი) დამრღვევნი. მაშ რატომ დუმან ისინი? იმიტომ ხომ არა, რომ კომინტერნის გადაწყვეტილებათა სიტყვიერად დაცვის სამოსელით მათ სურთ გააპარონ მემარჯვენეთა დაცვა და ამ გადაწყვეტილებათა რევიზია?

განსაკუთრებით საინტერესოა სერას განცხადება. იგი ღმერთსა და ხატს იფიცავს, რომ მემარჯვენეთა წინააღმდეგია, შემარიგებელთა წინააღმდეგია და სხვ.. მაგრამ რა დასკვნა გამოჰყავს აქედან? თქვენ გგონიათ მემარჯვენეებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ? სულაც არა! აქედან მას გამოჰყავს მეტად უცნაური დასკვნა იმის შესახებ, რომ, მისი აზრით, საჭიროა რეორგანიზებულ იქნას გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არსებული პოლიტბიურო.

ერთი იფიქრეთ: გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო გადამწყვეტ ბრძოლას ეწევა მემარჯვენე საფრთხესთან და შემარიგებელთა მერყეობასთან; სერა მემარჯვენეებთან და შემარიგებლებთან ბრძოლის მომხრეა; **ამიტომ** სერა წინადადებას იძლევა ხელი არ ვახლოთ მემარჯვენეებსა და შემარიგებლებს, შევასუსტოთ მემარჯვენეებთან და შემარიგებლებთან ბრძოლა და შევცვალოთ

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობა შემარიგებლობის მიმართულებით. ამას ეწოდება «დასკვნა»!

მაპატიოს სერამ, თუ აქ პირდაპირ ვიტყვი, რომ მისი პოზიცია ამ საკითხში მოგვაგონებს იმ პროვინციელი ადვოკატების პოზიციას, რომლებიც ცდილობენ თეთრი შავად გაასაღონ და შავი თეთრად. სწორედ ამას ვეძახით ჩვენ ოპორტუნისტული ელემენტების ადვოკატურ დაცვას.

სერა წინადადებას იძლევა მოვახდინოთ გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს რეორგანიზაცია, ე. ი. გამოვიყვანოთ ვინმე იქიდან და შევიყვანოთ სხვები, შევცვალოთ ისინი სხვებით. რატომ არ ამბობს სერა პირდაპირ და გულახდილად — ვინ შევიყვანოთ მათ მაგიერ. (ს ე რ ა: «ისინი, ვინც კომინტერნის VI კონგრესს უნდოდა»). მაგრამ VI კონგრესი სრულებითაც არ იძლეოდა წინადადებას — მოგვეხდინა შემარიგებელთა რეაბილიტაცია. პირიქით, იგი გვავალებს სისტემატური ბრძოლა ვაწარმოოთ შემარიგებლობის წინააღმდეგ. და სწორედ იმიტომ, რომ შემარიგებლებმა ეს ვალდებულება არ შეასრულეს, სწორედ ამიტომ VI კონგრესის შემდეგ ჩვენ გვაქვს კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის 1928 წლის 6 ოქტომბრის ცნობილი გადაწყვეტილება მემარჯვენეებისა და შემარიგებლების შესახებ. სერა ფიქრობს VI კონგრესის გადაწყვეტილებათა ერთადერთი განმმარტებლის როლი იკისროს. სერას ახეთი პრეტენზია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს. VI კონგრესის გადაწყვეტილებათა განმმარტებელია კომინტერნის აღმასკომი და მისი პრეზიდიუმი. მე ვხედავ, რომ სერა არ ეთანხმება კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილებას, თუმცა ეს პირდაპირ არ განუცხადებია.

ხოლო როგორია დასკვნა? დასკვნა ერთია: ემბერ-დროს და სერას პოზიცია გერმანიის კომპარტიის საკითხში არის პოზიცია მემარჯვენეთა ლაჩრული, ადვოკატური დაცვისა გერმანიის კომპარტიის და კომინტერნის წინააღმდეგ.

IV

მემარჯვენენი გერმანიის კომპარტიაში და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)

დღეს ზოგიერთი ორატორის სიტყვებიდან შევიტყე, რომ ზოგიერთი გერმანელი შემარიგებელი თავის გასამართლებლად იმოწმებს ჩემს სიტყვას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე* მემარჯვენე ელემენტებთან ბრძოლის მეთოდების საკითხში. როგორც ცნობილია, ჩემს სიტყვაში (იგი გამოქვეყნებულია) მე ვამტკიცებდი, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) შიგნით მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის განვითარების **ახლანდელ სტადიაში** ბრძოლის ძირითადი მეთოდია იდეოლოგიური ბრძოლა, რაც არ გამორიცხავს ცალკეულ შემთხვევებში ორგანიზაციული დასკვნების გამოყენებას. ამ თეზისს იმით ვასაბუთებდი, რომ მემარჯვენენი საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულან, არ წარმოადგენენ დაჯგუფებას ან ფრაქციას და ჯერ კიდევ არ მოუციათ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა დარღვევის ან შეუსრულებლობის არც ერთი შემთხვევა. ჩემს სიტყვაში ვამტკიცებდი, რომ თუ მემარჯვენენი ფრაქციული ბრძოლის პოზიციაზე გადავლენ და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა დარღვევას დაიწყებენ, მათ ისევე მოვექცევით, როგორც მოვექეცით ტროცკისტებს 1927 წელს. ვგონებ, ნათელია. განა სისულელე არ

* იხ. ეს ტომი, გვ. 270—321. რ ე დ.

არის ამის შემდეგ დაიმოწმო ჩემი სიტყვა, როგორც არგუმენტი მემარჯვენეთა სასარგებლოდ **გერმანიაში**, სადაც მემარჯვენენი **უკვე გადავიდნენ** ბრძოლის ფრაქციულ მეთოდებზე და სისტემატურად არღვევენ გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, ან როგორც არგუმენტი შემარიგებელთა სასარგებლოდ **გერმანიაში**, სადაც მათ ჯერ კიდევ არ გაუწყვეტიათ და, ეტყობა, არც სურთ გაწყვიტონ კავშირი მემარჯვენეთა **ფრაქციასთან**? მე ვფიქრობ, ასეთ დამოწმებაზე უფრო სულელურს ვერაფერს წარმოიდგენ. მხოლოდ იმ **ადამიანებს**, რომლებსაც კავშირი გაუწყვეტიათ ლოგიკასთან, არ შეუძლიათ გაიგონ იმ განსხვავების მთელი სიღრმე, რომელიც არსებობს საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) მემარჯვენეთა მდგომარეობასა და გერმანიის კომპარტიაში მემარჯვენეთა მდგომარეობას შორის.

მართლაც. მემარჯვენენი საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ ფრაქციას, და ისინი, უდავოა, ლოიალურად ასრულებენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს. მემარჯვენეებს გერმანიაში, პირიქით, უკვე აქვთ ფრაქცია ფრაქციული ცენტრის მეთაურობით და სისტემატურად ფეხქვეშ თელავენ გერმანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს. განა ცხადი არ არის, რომ მემარჯვენეებთან ბრძოლის მეთოდები **ამჟამად** არ შეიძლება ერთნაირი იყოს ამ ორ პარტიაში?

შემდეგ. ჩვენში, სსრ კავშირში, არ არსებობს სოციალდემოკრატია, როგორც ორგანიზებული და სერიოზული **ძალა**, რომელსაც შეეძლოს ასაზრდოოს მემარჯვენე საფრთხე საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) და სტიმული მისცეს ამ საფრთხეს. გერმანიაში, პირიქით, კომპარტიის გვერდით არსებობს უფრო ძლიერი და საკმაოდ მტკიცედ ორგანიზე-

ბული სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც ასაზრდოებს მემარჯვენე გადახრას გერმანიის კომპარტიაში და ობიექტურად თავის აგენტურად აქცევს ამ გადახრას. განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ბრმებს შეუძლიათ ვერ შეამჩნიონ სსრ კავშირში არსებული სიტუაციისა და გერმანიაში არსებული სიტუაციის მთელი განსხვავება?

დასასრულ, კიდევ ერთი გარემოება. ჩვენი პარტია გაიზარდა და განმტკიცდა უსასტიკეს ბრძოლებში მენშევიკების წინააღმდეგ, ამასთან ამ ბრძოლებს რამდენიმე წლის განმავლობაში მათთან პირდაპირი სამოქალაქო ომის ფორმა ჰქონდა. ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ, ბოლშევიკებმა, ოქტომბერში მენშევიკები და ესერები დავამხეთ, როგორც კონტრრევოლუციური იმპერიალისტური ბურჟუაზიის მემარცხენე ფრთა. სხვათა შორის, სწორედ ამით აიხსნება, რომ აშკარა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ტრადიციები არსად, მსოფლიოს არც ერთ კომპარტიაში არ არის ისე ძლიერი, როგორც საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ). საკმარისია გავიხსენოთ მოსკოვის ორგანიზაცია, განსაკუთრებით მოსკოვის კომიტეტი, სადაც ერთგვარი შემარიგებლური მერყეობა იყო, საკმარისია გავიხსენოთ, რომ პარტიულმა მუშებმა მოსკოვში სულ რაღაც ორ თვეში ერთი დაკვრით გამოასწორეს მოსკოვის კომიტეტის ხაზი, — საკმარისია გავიხსენოთ ყოველივე ეს, რომ გავიგოთ, თუ რამდენად ძლიერია ჩვენს პარტიაში აშკარა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ტრადიციები.

შეიძლება თუ არა იგივე ითქვას გერმანიის კომპარტიაზე? თქვენ ალბათ დამეთანხმებით, რომ, სამწუხაროდ, ეს არ შეიძლება ითქვას. უფრო მეტიც, ჩვენ არ შეგვიძლია უარვყოთ, რომ კომპარტია გერმანიაში ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა სოციალ-დემოკრატიული ტრადიციებისა-

გან, რომლებიც ასაზრდოებენ მემარჯვენე საფრთხეს გერმანიის კომპარტიაში.

აი გერმანიაში არსებული პირობები და სსრ კავშირში არსებული პირობები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ პირობების განსხვავება გვიკარნახებს საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) და გერმანიის კომპარტიაში მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის მეთოდების განსხვავებას.

მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც მოკლებული არიან მარქსისტის ელემენტარულ ალღოს, ვერ გაუგიათ ეს უბრალო რამ.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე რეზოლუციის [84] შესამუშავებლად შექმნილ კომისიაში ამხანაგთა ერთმა ჯგუფმა წინადადება შემოიტანა გაგვევრცელებინა რეზოლუციის ძირითადი დებულებანი კომინტერნის სხვა სექციებზეც, მათ შორის გერმანიის სექციაზეც. ჩვენ უარვყავით ეს წინადადება და განვაცხადეთ, რომ გერმანიის კომპარტიაში მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლის პირობები კარდინალურად განსხვავდება საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) ბრძოლის პირობებისაგან.

V

დასკვნული და ღია წერილის პროექტების შესახებ

ორიოდე სიტყვა კომინტერნის აღმასკომის კომისიების მიერ შემოტანილი რეზოლუციების პროექტების შესახებ. სერას მიაჩნია, რომ ეს პროექტები პროვინციული რეზოლუციების ხასიათს ატარებენ. საკითხავია, რატომ? თურმე იმიტომ, რომ ღია წერილის პროექტში არ არის იმ პოლიტიკური ვითარების ანალიზი, რომელიც წარმოშობს მემარჯვენე საფრთხეს.

ეს სასაცილოა, ამხანაგებო. ასეთი ანალიზი ჩვენ გვაქვს VI კონგრესის გადაწყვეტილებებში. საჭიროა თუ არა მისი

გამეორება? მე ვფიქრობ, გამეორება საჭირო არ არის. ნამდვილად რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვეძლო დავჯერებოდით მოკლე რეზოლუციას მემარჯვენეების შესახებ, რომლებიც სისტემატურად არღვევენ VI კონგრესის გადაწყვეტილებებს და ამიტომ გასარიცხავი არიან, და შემარიგებლების შესახებ, რომლებიც არ ეწევიან ბრძოლას მემარჯვენეთა წინააღმდეგ და ამიტომ იმის ღირსი არიან, რომ მათ უაღრესად სერიოზული გაფრთხილება მივცეთ.

მაგრამ თუ ჩვენ მოკლე რეზოლუციას არ დავჯერდით, ეს იმისათვის გავაკეთეთ, რომ განგვემარტა მუშებისათვის მემარჯვენე გადახრის არსი, დაგვენახვებინა მათთვის ბრანდლერებისა და ტალჰეიმერების ნამდვილი სახე, დაგვენახვებინა, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი წარსულში და რას წარმოადგენენ ახლა, დაგვენახვებინა, თუ რა დიდხანს ზოგავდა მათ კომინტერნი იმ იმედით, რომ გამოესწორებინა ისინი, რა დიდხანს ითმენდნენ მათ თავიანთ წრეში კომუნისტები და რატომ აღარ შეიძლება მოვითმინოთ ასეთი ადამიანების არსებობა კომინტერნის შემადგენლობაში.

აი რატომ გამოვიდა რეზოლუციის პროექტი უფრო ვრცელი, ვიდრე შეიძლებოდა ერთი შეხედვით ამის მოლოდინი გვქონოდა.

ამხ. მოლოტოვმა აქ უკვე თქვა, რომ საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაცია უერთდება რეზოლუციის ამ პროექტებს. მე შემიძლია მხოლოდ გავიმეორო ამხ. მოლოტოვის განცხადება.

«ბოლშევიკ» № 23 — 24,
1928 წ.

პასუხი კუშტისევს

ამხ. კუშტისევ!

თქვენი 1928 წ. 11 დეკემბრის წერილი მივიღე.

თქვენი კითხვა ერთი შეხედვით კაცს შეიძლება სწორი ეჩვენოს. ნამდვილად იგი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ძნელი გასაგები არ არის, რომ როცა ლენინი ამბობს — «საბჭოთა ხელისუფლება პლუს ელექტროფიკაცია არის კომუნიზმიო» — ამით მას არც იმის თქმა სურს, რომ კომუნიზმის დროს რაიმე პოლიტიკური ხელისუფლება იქნება, და არც იმისა, რომ რაკი ჩვენ სერიოზულად მოვკიდეთ ხელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციას, ამით უკვე განვახორციელეთ კომუნიზმი.

მაშ რის თქმა სურდა ლენინს, ასეთ განცხადებას რომ აკეთებდა? მას სურდა, ჩემი აზრით, ეთქვა მხოლოდ ის, რომ მარტო საბჭოთა ხელისუფლება არ კმარა კომუნიზმისაკენ წინსვლისათვის, რომ კომუნიზმისაკენ წინსვლისათვის საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს ქვეყნის ელექტროფიკაცია, **გადაიყვანოს მთელი სახალხო მეურნეობა მსხვილ წარმოებაზე,** რომ საბჭოთა ხელისუფლება მზად არის წავიდეს ამ გზით, რათა კომუნიზმამდე მივიდეს. ლენინის სიტყვები ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ საბჭოთა ხელისუფ-

ლება **მზად** არის წავიდეს კომუნიზმისაკენ ელექტროფიკაციის გზით.

ჩვენ ხშირად ვამბობთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა სოციალისტურია. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ უკვე განვახორციელეთ სოციალიზმი, მოვსპეთ კლასები და გავაუქმეთ სახელმწიფო (ვინაიდან განხორციელებული სოციალიზმი სახელმწიფოს კვდომას ნიშნავს)? ან ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სოციალიზმის დროს კიდევ იარსებებენ კლასები, სახელმწიფო და სხვ.? ცხადია, არ ნიშნავს. გვაქვს თუ არა უფლება ასეთ შემთხვევაში ჩვენს რესპუბლიკას სოციალისტური ვუწოდოთ? რა თქმა უნდა, გვაქვს. რა თვალსაზრისით? ჩვენი **გადაწყვეტილებისა** და ჩვენი **მზადყოფნის** თვალსაზრისით, რომ განვახორციელოთ სოციალიზმი, მოვსპოთ კლასები და სხვ.

იქნებ დათანხმდებოდით, ამხ. კუშტისევ, მოგესმინათ ლენინის აზრი ამის თაობაზე? თუ თანახმა ხართ, ისმინეთ:

«ვგონებ, ჯერ არ ყოფილა ისეთი ადამიანი, რომელიც, დააყენებდა რა საკითხს რუსეთის ეკონომიკის შესახებ, უარყოფდა ამ ეკონომიკის გარდამავალ ხასიათს. ვგონებ, არც ერთ კომუნისტს არ უარუყვია ისიც, რომ გამოთქმა სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებას განახორციელოს სოციალიზმზე გადასვლა, და სრულებითაც არა იმას, რომ ახალ ეკონომიურ წესწყობილებას სოციალისტურ წესწყობილებად აღიარებდეს» (ტ. XXII, გვ. 513).

ვგონებ, ნათელია.

კომუნისტური სალამით **ი. სტალინი**

1928 წ. 28 დეკემბერი.

იბეჭდება პირველად.

აი სადამდე მივიდნენ

ტროცკისტული ფარული ორგანიზაციის საკითხის მთელი სიცხადით დასმის აუცილებლობა ნაკარნახევია ამ ორგანიზაციის მთელი ბოლოდროინდელი საქმიანობით, რაც აიძულებს პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას მოეპყროს ტროცკისტებს **პრინციპულად სხვანაირად,** ვიდრე მათ პარტია XV ყრილობამდე ეპყრობოდა.

1927 წლის 7 ნოემბერს ტროცკისტების აშკარა გამოსვლა ქუჩაში გარდატეხის ის მომენტი იყო, როცა ტროცკისტულმა ორგანიზაციამ დაგვანახა, რომ **იგი კავშირს წყვეტს არა მარტო პარტიულობასთან, არამედ საბჭოთა რეჟიმთანაც.**

ამ გამოსვლას წინ უძღოდნენ მთელი რიგი ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა მოქმედებანი: კრებისათვის სახელმწიფო შენობის (მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი) ძალით ხელში ჩაგდება, ფარული სტამბების მოწყობა და სხვ.. მაგრამ XV ყრილობამდე პარტია ტროცკისტული ორგანიზაციის მიმართ მაინც ისეთ ზომებს იღებდა, რომლებიც მოწმობდნენ პარტიის ხელმძღვანელობის სურვილს — მიეღწია ტროცკისტების გამოსწორებისათვის, მიეღწია იმისათვის, რომ მათ თვითონ ეღიარებინათ თავიანთი შეცდომები, მიეღწია იმისათვის, რომ ისინი პარტიულობის

გზაზე დაბრუნებულიყვნენ. რამდენიმე წლის განმავლობაში, 1923 წლის დისკუსიით დაწყებული, პარტია მოთმინებით ახორციელებდა ამ ხაზს, — უმთავრესად **იდეოლოგიური ბრძოლის** ხაზს. და პარტიის XV ყრილობაზეც კი ლაპარაკი იყო ტროცკისტული ორგანიზაციის წინააღმდეგ სწორედ ასეთი ზომების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ტროცკისტები «ტაქტიკური ხასიათის უთანხმოებიდან გადავიდნენ **საპროგრამო** ხასიათის უთანხმოებაზე, ახდენდნენ ლენინის შეხედულებათა რევიზიას და დაეშვნენ მენშევიზმის პოზიციამდე». (XV ყრილობის რეზოლუცია) [65].

XV ყრილობიდან გასულმა ერთმა წელმა ცხადყო, რომ სწორი იყო გადაწყვეტილებანი XV ყრილობისა, რომელმაც პარტიიდან გარიცხა ტროცკისტთა აქტიური მოღვაწენი. **1928 წლის განმავლობაში ტროცკისტებმა დაამთავრეს თავიანთი გადაქცევა ფარული ანტიპარტიული ჯგუფიდან ფარულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციად.** ეს არის **ის ახალი,** რამაც აიძულა 1928 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები მიეღოთ რეპრესიული ღონისძიებანი ამ ფარული ანტისაბჭოთა ორგანიზაციის მოღვაწეთა მიმართ.

პროლეტარული დიქტატურის ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ დაუშვან, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში არსებობდეს ფარული ანტისაბჭოთა ორგანიზაცია, რომელიც თუმცა უმნიშვნელოა თავის წევრთა რაოდენობით, მაგრამ მაინც აქვს თავისი სტამბები, ჰყავს თავისი კომიტეტები, ცდილობს მოაწყოს ანტისაბჭოთა გაფიცვები, იქამდე მიდის, რომ თავის მომხრეებს ამზადებს სამოქალაქო ომისათვის პროლეტარული დიქტატურის ორგანოების წინააღმდეგ. მაგრამ სწორედ აქამდე მივიდნენ ტროცკისტები, რომლებიც ოდესღაც წარმოადგენდნენ

ფრაქციას პარტიის შიგნით, ახლა კი ფარული ანტისაბჭოთა ორგანიზაცია გახდნენ.

გასაგებია, რომ ყოველივე, რაც კი ჩვენს ქვეყანაში ანტისაბჭოური, მენშევიკური მოიპოვება, ყოველივე ეს თანაგრძნობას უცხადებს ტროცკისტებს და თავს იყრის ახლა ტროცკისტების გარშემო.

ტროცკისტების ბრძოლას საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წინააღმდეგ თავისი ლოგიკა ჰქონდა, და ამ ლოგიკამ მიიყვანა ტროცკისტები ანტისაბჭოთა ბანაკში. ტროცკიმ იმით დაიწყო, რომ 1928 წლის იანვარში თავის თანამოაზრეებს ურჩევდა მიემართათ დარტყმები საკავშირო კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, ხოლო თავი არ დაეპირდაპირებინათ სსრ კავშირისათვის. მაგრამ ბრძოლის ლოგიკის გამო ტროცკი იქამდე მივიდა, რომ თავისი დარტყმები საკავშირო კ. პ. (ბ) ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, პროლეტარული დიქტატურის ხელმძღვანელი ძალის წინააღმდეგ, გარდუვალად მიმართა თვით პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ, სსრ კავშირის წინააღმდეგ, მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობის წინააღმდეგ.

ტროცკისტები ყოველნაირი გზით ცდილობდნენ მუშათა კლასის თვალში სახელი გაეტეხათ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისათვის. ტროცკი 1928 წლის 21 ოქტომბრის სადირექტივო წერილში, რომელიც საზღვარგარეთ გაიგზავნა და გამოქვეყნდა არა მარტო რენეგატ მასლოვის ბეჭდვით ორგანოში, არამედ თეთრგვარდიულ ორგანოებშიც («რულ» [66] და სხვ.), გამოვიდა ცილისმწამებლური ანტისაბჭოთა განცხადებებით იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში არსებული წყობილება «შებრუნებულ კერენშჩინას» წარმოადგენს, მოუწოდებს მოაწყონ გაფიცვები, ჩაშალონ კოლექტიურ ხელ-

შეკრულებათა კამპანია და თავის კადრებს არსებითად ახალი სამოქალაქო ომის შესაძლებლობისათვის ამზადებს.

სხვა ტროცკისტები პირდაპირ ამბობენ, რომ არ უნდა «მოვერიდოთ არაფერს, არავითარ დაწერილ და დაუწერელ წესდებებს» სამოქალაქო ომისათვის მზადებაშიო.

ცილისწამება წითელი არმიისა და მის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, რასაც ტროცკისტები ავრცელებენ არალეგალურ და უცხოეთის რენეგატულ პრესაში, ხოლო მისი მეშვეობით უცხოეთის თეთრგვარდიულ პრესაში, მოწმობს იმას, რომ ტროცკისტები არ ერიდებიან საერთაშორისო ბურჟუაზიის პირდაპირ წასისიანებას საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. წითელი არმია და მისი ხელმძღვანელები ამ დოკუმენტებში გამოხატული არიან როგორც მომავალი ბონაპარტისტული გადატრიალების არმია. ამასთან ტროცკისტული ორგანიზაცია ცდილობს, ერთი მხრივ, გათიშოს კომინტერნის სექციები, რღვევა შეიტანოს კომინტერნის რიგებში, ყველგან შექმნას თავისი ფრაქციები, ხოლო მეორე მხრივ — სსრ კავშირის წინააღმდეგ უსისიანებს საბჭოთა სახელმწიფოსადმი ისედაც მტრულ ელემენტებს.

ტროცკისტულ ნაწარმოებთა რევოლუციურ ფრაზას აღარ ძალუძს დაფაროს ტროცკისტულ მოწოდებათა კონტრრევოლუციური არსი. ლენინი პარტიის X ყრილობაზე აფრთხილებდა პარტიას, კრონშტადტის ამბოხებასთან დაკავშირებით, რომ «თეთრგვარდიელებიც კი ცდილობენ და ახერხებენ კომუნისტებისა და მათზე «მემარცხენეების» ფერიც კი მიიღონ, ოღონდ შეასუსტონ და დაამხონ რუსეთში პროლეტარული რევოლუციის დასაყრდენიო». ლენინს სწორედ მაშინ მოჰყავდა მაგალითი, თუ როგორ იყენებდნენ მენშევიკები უთანხმოებას რკპ (ბ) შიგნით, რათა ფაქტიურად ბიძგი მიეცათ და მხარი დაეჭირათ კრონშტადტელი მეამბოხეებისათვის, ესერებისა და თეთრგვარდიელებისათვის, ასა-

ღებდნენ რა თავს, თუ ვინიცობაა ამბოხება ჩაიშლებოდა, საბჭოთა ხელისუფლების მომხრეებად თითქოს მხოლოდ მცირეოდენი შესწორებებით [67]. ტროცკისტების ფარულმა ორგანიზაციამ სავსებით დაამტკიცა, რომ იგი იმგვარი შენიღბული ორგანიზაციაა, რომელიც ამჟამად თავის გარშემო იკრებს პროლეტარული დიქტატურისადმი მტრულ ყველა ელემენტებს. ტროცკისტული ორგანიზაცია სინამდვილეში ახლა იმავე როლს ასრულებს, რომელსაც თავის დროზე ასრულებდა სსრ კავშირში მეწშევიკების პარტია საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტროცკისტული ორგანიზაციის **ძირგამომთხრელი** მუშაობის გამო საჭიროა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ულმობელი ბრძოლა ამ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის წინააღმდეგ. ამით აიხსნება გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ის ღონისძიებანი, რომლებიც მან ბოლო დროს მიიღო ამ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ლიკვიდაციისათვის (დაპატიმრებანი და გადასახლება).

როგორც ეტყობა, პარტიის ყველა წევრს როდი აქვს ნათლად შეგნებული, რომ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) შიგნით ყოფილ ტროცკისტულ ოპოზიციასა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) გარეთ არსებულ ახლანდელ ანტისაბჭოთა ტროცკისტულ ფარულ ორგანიზაციას შორის **უკვე გაუვალი უფსკრული შეიქმნა.** დროკია გავიგოთ და შევითვისოთ ეს აშკარა ჭეშმარიტება. ამიტომ სრულიად შეუწყნარებელია ის «ლიბერალური» დამოკიდებულება ფარული ტროცკისტული ორგანიზაციის მოღვაწეებისადმი, რასაც ზოგჯერ იჩენენ პარტიის ცალკეული წევრები. ეს საჭიროა შეითვისოს პარტიის ყველა წევრმა. უფრო მეტიც, საჭიროა ავუხსნათ მთელ ჩვენს ქვეყანას, მუშათა და გლეხთა ფართო მასებს, რომ ტროცკისტული არალეგალური ორგანიზაცია ანტისაბჭოთა ორგანი-

ზაციაა, პროლეტარული დიქტატურისადმი მტრული ორგანიზაციაა.

დაე ის ტროცკისტებიც, რომლებიც შუაგზაზე დგანან, ჩაუფიქრდნენ ამ ახალ მდგომარეობას, რაც შექმნეს მათმა ლიდერებმა და ტროცკისტული ფარული ანტისაბჭოთა ორგანიზაციის საქმიანობამ.

ორში ერთი: ან ტროცკისტულ ფარულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციასთან ერთად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) წინააღმდეგ და სსრ კავშირში პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ, ან ტროცკისტების ანტისაბჭოთა ფარულ ორგანიზაციასთან კავშირის სრული გაწყვეტა და ამ ორგანიზაციისათვის რაიმე მხარის დაჭერაზე სავსებით ხელის აღება.

იბეჭდება პირველად.

ბუხარინის ჯგუფი და მემარჯვენე გადახრა ჩვენს პარტიაში

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე 1929 წლის იანვრის დამლევს და თებერვლის დამდეგს წარმოთქმული სიტყვებიდან

(მოკლე ჩანაწერი)

ამხანაგებო! ძალიან სამწუხაროა, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ჩვენს პარტიაში შეიქმნა ბუხარინის განსაკუთრებული ჯგუფი ბუხარინის, ტომსკის, რიკოვის შემადგენლობით. ამ ჯგუფის არსებობაზე წინათ პარტიამ არაფერი იცოდა, — ბუხარინელები გულმოდგინედ უმალავდნენ პარტიას ასეთი ჯგუფის არსებობის ფაქტს. მაგრამ ახლა ეს ცნობილი და აშკარა გახდა.

ამ ჯგუფს, როგორც მისი განცხადებიდან ჩანს, აქვს თავისი განსაკუთრებული პლატფორმა, რომელსაც უპირდაპირებს პარტიის პოლიტიკას. იგი მოითხოვს, ჯერ-ერთი, — წინააღმდეგ პარტიის არსებული პოლიტიკისა — ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელებას და გვარწმუნებს, ინდუსტრიის განვითარების ახლანდელი ტემპი «დამღუპველიაო». მეორეც, იგი მოითხოვს, — აგრეთვე წინა-

აღმდეგ პარტიის პოლიტიკისა — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის შეკვეცას და ამტკიცებს, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებაში სერიოზულ როლს ვერ ასრულებენ და არც შეუძლიათ შეასრულონო. მესამეც, იგი მოითხოვს, — აგრეთვე წინააღმდეგ პარტიის პოლიტიკისა — კერძო ვაჭრობის სრული თავისუფლების დამყარებას და ვაჭრობის დარგში სახელმწიფოს მარეგულირებელ როლზე ხელის აღებას და ამტკიცებს, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი ვაჭრობის განვითარებას შეუძლებელს ხდისო.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ბუხარინის ჯგუფი მემარჯვენე-უკლონისტური, კაპიტულანტური ჯგუფია, რომელიც ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის კი არ იბრძვის, არამედ მათი თავისუფალი განვითარებისათვის.

ამავე დროს ბუხარინის ჯგუფი გამოდის კულაკობის მიმართ საგანგებო ღონისძიებათა მიღებისა და გადასახადებით კულაკების «უზომოდ» დაბეგვრის წინააღმდეგ და უტიფრად ბრალსა სდებს პარტიას იმაში, რომ იგი, იყენებს რა ამ ღონისძიებებს, არსებითად თითქოს «გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის» პოლიტიკას ეწევა. ეს სასაცილო ბრალდება ბუხარინს იმისათვის დასჭირდა, რომ კალთა გადააფაროს კულაკებს, ამასთან ერთმანეთში აურიოს და ერთ გროვაში მოაქციოს მშრომელი გლეხობა და კულაკობა.

ბუხარინის ჯგუფი მოითხოვს, რომ პარტიამ ძირფესვიანად შეცვალოს თავისი პოლიტიკა ამ ჯგუფის პლატფორმის ჭიხედვით. შემდეგ იგი აცხადებს, თუ პარტიის პოლიტიკა არ შეიცვალა, ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი გადადგებიანო.

ასეთია ფაქტები, რომლებიც გამოირკვა კამათის მსვლელობაში ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის ამ გაერთიანებულ სხდომაზე.

გარდა ამისა, გამორკვეულია, რომ ბუხარინი ჯგუფის დავალებით ფარულ მოლაპარაკებას ეწეოდა კამენევთან იმისათვის, რომ მოეწყო ბუხარინელების ბლოკი ტროცკისტებთან პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის წინააღმდეგ. აშკარაა, რაკი იმედი არ ჰქონდათ თავიანთი პლატფორმის გამარჯვებისა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ბუხარინელებს საჭიროდ მიაჩნდათ მოეწყოთ ასეთი ბლოკი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზურგს უკან.

გვქონდა თუ არა წინათ უთანხმოება? დიახ, გვქონდა. პირველად ჩვენმა უთანხმოებამ თავი იჩინა ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის (1928 წ.) წინ. უთანხმოება ეხებოდა იმავე საკითხებს: ინდუსტრიის განვითარების ტემპის, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, კერძო ვაჭრობის სრული თავისუფლების, კულაკობის წინააღმდეგ საგანგებო ზომების საკითხებს. მაგრამ მაშინ პლენუმზე საქმე იმით დამთავრდა, რომ ყველა ამ საკითხზე მიღებულ იქნა ერთიანი და საერთო რეზოლუცია. ჩვენ მაშინ ყველანი ვფიქრობდით, რომ ბუხარინმა და მისმა მომხრეებმა ხელი აიღეს თავიანთ შეცდომებზე, და უთანხმოება დაფარულია საერთო რეზოლუციის მიღებით. სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა პოლიტბიუროს ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი ცნობილი განცხადება (1928 წ. ივლისში) იმის შესახებ, რომ პოლიტბიურო ერთიანია და იქ უთანხმოება **არ** არის.

მეორედ ჩვენმა უთანხმოებამ თავი იჩინა ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის წინ. ბუხარინის სტატია «ეკონომისტის შენიშვნები» აშკარად მოწმობდა, რომ პო-

ლიტბიუროში ყველაფერი რიგზე ვერ იყო, რომ, ყოველ შემთხვევაში, პოლიტბიუროს ერთ-ერთი წევრი ცდილობდა ცენტრალური კომიტეტის ხაზის გადასინჯვას ან «გასწორებას». ჩვენთვის, პოლიტბიუროს წევრთა უმრავლესობისათვის, ყოველ შემთხვევაში უეჭველი იყო, რომ «ეკონომისტის შენიშვნები» ანტიპარტიული ეკლექტიკური სტატიაა, რომელიც მიზნად ისახავს ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელებას და სოფლად ჩვენი პოლიტიკის შეცვლას ფრუმკინის ცნობილი წერილის მიმართულებით. ამას უნდა დაემატოს რიკოვის, ბუხარინისა და ტომსკის გადადგომის საკითხი. საქმე ის არის, რომ რიკოვი, ბუხარინი და ტომსკი მოვიდნენ მაშინ საკონტროლო ციფრების შესახებ რეზოლუციის შემმუშავებელ კომისიაში და განაცხადეს, უნდა გადავდგეთო. მაგრამ საკონტროლო ციფრების კომისიის მუშაობის მსვლელობაში მთელი უთანხმოება ასე თუ ისე ამოიწურა: ინდუსტრიის განვითარების ახლანდელი ტემპი შენარჩუნებულ იქნა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მშენებლობის შემდგომი გაჩაღება მოწონებულ იქნა, კულაკების მაქსიმალური დაბეგვრა შენარჩუნებულ იქნა, სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი ვაჭრობის დარგში აგრეთვე შენარჩუნებულ იქნა, პარტიის წინაალმდეგ მიმართული სასაცილო ბრალდებანი «გლეხობის სამხედრო-ფეოდალური ექსპლოატაციის» პოლიტიკის შესახებ უარყოფილ იქნა კომისიის წევრთა საერთო ხარხარში, სამთა გადადგომა უკან იქნა წაღებული. შედეგი — საერთო რეზოლუცია საკონტროლო ციფრების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა პოლიტბიუროს ყველა წევრის მიერ. შედეგი — პოლიტბიუროს ცნობილი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პოლიტბიუროს ყველა წევრს როგორც ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, ისე მის გარეთ

გამოეცხადებინა, რომ პოლიტბიუროს შიგნით ერთიანობაა და უთანხმოებას ადგილი არა აქვს.

შეგვეძლო თუ არა მაშინ გვცოდნოდა, რომ ბუხარინი, რიკოვი და ტომსკი ერთიან რეზოლუციას ხმას აძლევდნენ მხოლოდ მოსაჩვენებლად, რომ ისინი იტოვებდნენ პარტიასთან უთანხმოების თავიანთ განსაკუთრებულ პუნქტებს, რომ ბუხარინი და ტომსკი საქმით განახორციელებდნენ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში, კომინტერნში, «პრავდაში» მუშაობაზე ფაქტიურად ხელის აღებას, რომ კამენევის არქივშია ერთი «ჩანაწერი», საიდანაც ცხადად ჩანს, რომ ცენტრალური კომიტეტის შიგნით ჩვენ გვყავს თავისი პლატფორმის მქონე განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც ცდილობს ბლოკი შეკრას ტროცკისტებთან პარტიის წინააღმდეგ?

ცხადია, არ შეგვეძლო ეს გვცოდნოდა.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ უთანხმოება არსებობს და უთანხმოება სერიოზულია. ჩანს, ფრუმკინის სახელი მოსვენებას არ აძლევს ბუხარინს. ლენინი ათასგზის მართალი იყო, როცა ჯერ კიდევ 1916 წელს სწერდა შლიაპნიკოვს, ბუხარინი «მეტისმეტად მერყევია პოლიტიკაშიო» [98]. ახლა ეს მერყეობა ბუხარინისაგან მისი ჯგუფის წევრებს გადაედო.

ბუხარინელთა ძირითადი უბედურება ის არის, რომ მათ სწამთ, სჯერათ, რომ კულაკის მდგომარეობის შემსუბუქება და მისთვის ხელ-ფეხის გახსნა წარმოადგენს პურის დარგში ჩვენი სიძნელეებისა და ყოველგვარი სხვა სიძნელის გადაჭრის საშუალებას. ისინი ფიქრობენ, რომ თუ კულაკს მდგომარეობას შევუმსუბუქებთ, მის ექსპლოატატორულ ტენდენციებს არ შევზღუდავთ, მას თავისუფლებას მივცემთ და სხვ., სიძნელეები მოისპობა და ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ბუხარინელთა ეს გულუბრყვილო რწმენა, რომ

კულაკი მხსნელის როლს შეასრულებს, ისეთი სასაცილო უაზრობაა, რომლის გაკრიტიკება არც კი ღირს. ბუხარინელთა უბედურება ის არის, რომ მათ არ ესმით კლასობრივი ბრძოლის მექანიკა, არ ესმით, რომ კულაკი მშრომელთა დაუძინებელი მტერია, მთელი ჩვენი წყობილების დაუძინებელი მტერია. მათ არ ესმით, რომ კულაკის მდგომარეობის შემსუბუქებისა და მისთვის ხელ-ფეხის გახსნის პოლიტიკა ნიშნავს ჩვენი ქვეყნის მთელი პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებას, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური ელემენტების შანსების აწევას, ჩვენს მიერ ღარიბი გლეხობის დაკარგვას, საშუალო გლეხის დემორალიზაციას, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასთან კავშირის გაწყვეტას. მათ არ ესმით, რომ კულაკის არავითარ ხელ-ფეხის გახსნას არ ძალუძს შეამსუბუქოს ჩვენი სიძნელენი პურის დარგში, ვინაიდან კულაკი სულ ერთია ნებაყოფლობით არ მოგვცემს პურს დამზადების ფასებისა და სახელმწიფო ორგანოების მიერ პურის ბაზრის რეგულირების პოლიტიკის პირობებში, ხოლო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკაზე ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ, თუ არ გვსურს ძირი გამოვუთხაროთ საბჭოთა წყობილებას, პროლეტარიატის დიქტატურას. ბუხარინელთა უბედურება ის არის, რომ მათ არ ესმით ეს მარტივი და ელემენტარული რამეები. აღარას ვამბობ იმაზე, რომ კაპიტალისტური ელემენტებისათვის ხელ-ფეხის გახსნის პოლიტიკა თეორიულადაც და პოლიტიკურადაც აბსოლუტურად შეუთავსებელია ლენინური პოლიტიკისა და ლენინიზმის საფუძვლებთან.

კეთილი და პატიოსანი, შეიძლება თქვან ამხანაგებმა, მაგრამ სად არის გამოსავალი, როგორ უნდა მოვიქცეთ იმასთან დაკავშირებით, რომ ასპარეზზე ბუხარინის ჯგუფი გამოჩნდაო? შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის შესახებ მეტმა წილმა ამხანაგებმა უკვე გამოთქვეს აზრი. მეტი წილი ამხანაგები მოითხოვენ, რომ კრებამ სიმტკიცე

გამოიჩინოს და გადაჭრით უარყოს ბუხარინისა და ტომსკის გადადგომა (რიკოვმა უკვე უკან წაიღო განცხადება გადადგომის შესახებ). მეტი წილი ამხანაგები მოითხოვენ, რომ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებულმა სხდომამ დაგმოს ბუხარინის, ტომსკისა და რიკოვის მემარჯვენე-ოპორტუნისტული, კაპიტულანტური პლატფორმა, რომ მან დაგმოს ბუხარინისა და მისი ჯგუფის ცდა — შეაკოწიწონ ანტიპარტიული ბლოკი ტროცკისტებთან ერთად. მე მთლიანად ვუერთდები ამ წინადადებას.

ბუხარინელები არ ეთანხმებიან ასეთ გადაწყვეტილებას. მათ სურთ, რომ მათთვის უზრუნველყოფილი იყოს ფრაქციულ დაჯგუფებათა თავისუფლება — წინააღმდეგ პარტიის წესდებისა. მათ სურთ, რომ მათთვის უზრუნველყოფილი იყოს პარტიისა და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა დარღვევის თავისუფლება — წინააღმდეგ პარტიის სასიცოცხლო ინტერესებისა. საკითხავია — რა საფუძვლით?

მათ რომ ავყვეთ, ასე გამოდის: თუ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს არ ასრულებენ პარტიის რიგითი წევრები, ისინი უნდა დავსაჯოთ პარტიული კანონიერების მთელი სისასტიკით; ხოლო თუ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს არღვევენ ეგრეთწოდებული ლიდერები, ვთქვათ, პოლიტბიუროს წევრები, მათი არა თუ დასჯა, არამედ უბრალო გაკრიტიკებაც არ შეიძლება, ვინაიდან კრიტიკა ამ შემთხვევაში მათ «დამუშავებად» მიაჩნიათ.

გასაგებია, რომ პარტია ამ ყალბ თვალსაზრისს ვერ დაადგება. თუ ლიდერებისათვის ერთნაირი კანონები გამოვაცხადეთ, პარტიაში «მდაბიო ხალხისათვის» კი მეორენაირი, მაშინ აღარც პარტიისაგან შეგვრჩება რამე და აღარც პარტიული დისციპლინისაგან.

უჩივიან «დამუშავებას». მაგრამ ეს ჩივილი თეთრი ძაფითაა დაბლანდული. თუ ბუხარინს უფლება აქვს დაწეროს შეუსაბამო ანტიპარტიული სტატია, როგორიცაა «ეკონომისტის შენიშვნები», პარტიის წევრებს მით უფრო აქვთ უფლება — გააკრიტიკონ ასეთი სტატია. თუ ბუხარინი და ტომსკი თავს უფლებას აძლევენ დაარღვიონ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და დაჟინებით უარს ამბობენ იმუშაონ მათთვის მინდობილ პოსტებზე, პარტიის წევრებს მით უფრო აქვთ უფლება — გააკრიტიკონ მათი ასეთი საქციელი. თუ ამას «დამუშავება» ეწოდება, მაშინ აგვიხსნან, როგორ ესმით მათ თვითკრიტიკის, შინაპარტიული დემოკრატიის ლოზუნგი და სხვ.

ამბობენ, ლენინი უთუოდ უფრო ლმობიერად მოიქცეოდა, ვიდრე ახლა ცენტრალური კომიტეტი ტომსკისა და ბუხარინის მიმართ იქცევაო. ეს სრულებით არ არის მართალი. ახლა საქმის ვითარება ისეთია, რომ პოლიტბიუროს ორი წევრი სისტემატურად არღვევს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, დაჟინებით უარს ამბობს დარჩეს იმ პოსტებზე, რომლებიც მათ პარტიამ მიანდო, პარტიის ცენტრალური კომიტეტი კი, ნაცვლად იმისა, რომ დასაჯოს ისინი, აგერ უკვე ორი თვეა ცდილობს დააჯეროს ისინი დარჩნენ თავიანთ პოსტებზე. აბა გაიხსენეთ, როგორ იქცეოდა ასეთ შემთხვევებში ლენინი. განა არ გახსოვთ, რომ ტომსკის ერთი მცირე შეცდომისათვის ამხანაგმა ლენინმა იგი თურქესტანში გააგდო. (ტ ო მ ს კ ი: «ზინოვიევის და ნაწილობრივ შენი კეთილმოსურნე ხელშეწყობით»). თუ შენ გინდა სთქვა, რომ ლენინი შეიძლებოდა დაგერწმუნებინა ისეთ რამეში, რაშიც იგი თვითონ არ იყო დარწმუნებული, ამას შეუძლია მხოლოდ სიცილი გამოიწვიოს... აბა გაიხსენეთ მეორე ფაქტი, მაგალითად, შლიაპნიკოვის შესახებ, რომლის მიმართ ლენინი წინადადებას იძ-

ლეოდა, რომ იგი ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან გაგვერიცხა იმისათვის, რომ იგი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს უჯრედში სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს დადგენილების რომელიღაც პროექტს აკრიტიკებდა.

ვის შეუძლია უარყოს, რომ ახლანდელი დანაშაულობანი ბუხარინისა და ტომსკისა, რომლებიც უხეშად არღვევენ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს და აშკარად აყალიბებენ ახალ ოპორტუნისტულ პლატფორმას პარტიის წინააღმდეგ, ბევრად უარესია, ვიდრე ტომსკისა და შლიაპნიკოვის შეცდომები ზემოაღნიშნულ შემთხვევაში? ცენტრალური კომიტეტი კი არა თუ არ მოითხოვს ცენტრალური კომიტეტიდან რომელიმე მათგანის გაყვანას ან სადმე თურქესტანში გაგზავნას, არამედ სჯერდება იმას, რომ ცდილობს დაარწმუნოს ისინი დარჩნენ თავიანთ პოსტებზე, ამასთან გზადაგზა, რა თქმა უნდა, ამხილებს მათს არაპარტიულ, ხოლო ზოგჯერ აშკარა ანტიპარტიულ გეზს. როგორი ლმობიერება-ღა გნებავთ?

განა უფრო სწორი არ იქნება ვთქვათ, რომ ჩვენ, ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობა, ბუხარინელების მიმართ მეტისმეტად ლიბერალურად და მოთმინებით ვიქცევით, რომ ჩვენ ამით, შესაძლოა, უნებურად ვაქეზებთ მათს ფრაქციულ ანტიპარტიულ «მუშაობას»?

განა დრო არ დადგა ბოლო მოვუღოთ ამ ლიბერალიზმს?

მე წინადადება შემომაქვს მოვიწონოთ ამ კრების წევრთა უმრავლესობის წინადადება და გადავიდეთ მორიგ საქმეებზე.

იბეჭდება პირველად.

პასუხი ბილ-ბელოცერკოვსკის

ამხ. ბილ-ბელოცერკოვსკი!

გწერთ დიდი დაგვიანებით. მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს.

1) მე არასწორად მიმაჩნია თვით დაყენება საკითხისა «მემარჯვენეთა» და «მემარცხენეთა» შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში (და, მაშასადამე, თეატრშიც). ცნება «მემარჯვენე» თუ «მემარცხენე» ამჟამად ჩვენს ქვეყანაში პარტიული, უფრო ზუსტად — შინაპარტიული ცნებაა. «მემარჯვენენი» თუ «მემარცხენენი» ის ადამიანები არიან, რომლებიც წმინდა პარტიული ხაზიდან ამა თუ იმ მხარისაკენ იხრებიან. ამიტომ უცნაური იქნებოდა ამ ცნებების შეფარდება ისეთი **არა**პარტიული და გაცილებით უფრო ფართო დარგისადმი, როგორიცაა მხატვრული ლიტერატურა, თეატრი და სხვ.. ეს ცნებები კიდევ შეიძლება შევუფარდოთ ამა თუ იმ პარტიულ (კომუნისტურ) წრეს მხატვრულ ლიტერატურაში. ასეთი წრის შიგნით შეიძლება იყვნენ «მემარჯვენენი» და «მემარცხენენი». მაგრამ ამ ცნებების გამოყენება მხატვრულ ლიტერატურაში მისი განვითარების ახლანდელ ეტაპზე, სადაც ყველა და ყოველგვარი მიმდინარეობაა, თვით ანტისაბჭოთა და პირდაპირ კონტრრევოლუციურიც კი, — ნიშნავს ყველა ცნების თავდაყირა დაყენებას. ყველაზე

სწორი იქნებოდა გამოგვეყენებინა მხატვრულ ლიტერატურაში **კლასობრივი** ხასიათის ცნებები, ანდა ისეთი ცნებებიც კი, როგორც «საბჭოთა», «ანტისაბჭოთა», «რევოლუციური», «ანტირევოლუციური» და ა. შ.

2) ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ «გოლოვანოველობას» [69] მე ვერც «მემარჯვენე» საფრთხედ ჩავთვლი და ვერც «მემარცხენედ», — იგი პარტიულ მიმდინარეობათა ფარგლებს გარეთ მდებარეობს. «გოლოვანოველობა» ანტისაბჭოთა ხასიათის მოვლენაა. აქედან, რა თქმა უნდა, არ გამომდინარეობს, რომ თვით გოლოვანოვი არ შეიძლება გამოსწორდეს, რომ მას არ შეუძლია განთავისუფლდეს თავისი შეცდომებისაგან, რომ საჭიროა მისი დევნა მაშინაც კი, როცა იგი მზად არის გამოეთხოვოს თავის შეცდომებს, რომ ამრიგად იგი უნდა ვაიძულოთ საზღვარგარეთ წავიდეს.

ანდა, მაგალითად, ბულგაკოვის «სირბილი», რომელიც აგრეთვე არ შეიძლება ჩაითვალოს არც «მემარცხენე» და არც «მემარჯვენე» საფრთხის გამოვლინებად. «სირბილი» იმის ცდის გამოვლინებაა, რომ გამოიწვიოს შებრალება, თუ სიმპათია არა, ანტისაბჭოთა ემიგრანტობის ზოგიერთი ფენის მიმართ, — მაშასადამე, თეთრგვარდიული საქმის გამართლების ან ნახევრად გამართლების ცდაა. «სირბილი» იმ სახით, როგორც იგი ამჟამად არის, ანტისაბჭოთა მოვლენას წარმოადგენს.

თუმცაღა, მე არაფერი მექნებოდა იმის საწინააღმდეგო, რომ «სირბილი» დაიდგას, ბულგაკოვი თავის რვა სიზმარს კიდევ ერთ ან ორ სიზმარს რომ მიუმატებდეს და იქ გამოხატავდეს სსრ კავშირში სამოქალაქო ომის შინაგან სოციალურ მამოძრავებელ ძალებს, რათა მკითხველმა გაიგოს, რომ ყველა ეს, თავისებურად «პატიოსანი» სერაფიმები და ყოველნაირი პრივატ-დოცენტები, რუსეთიდან განდევნილნი აღმოჩნდნენ არა ბოლშევიკების ჟინიანობით, არამედ იმი-

ტომ, რომ ისინი ზურგზე ასხდნენ ხალხს (მიუხედავად თავიანთი «პატიოსნებისა»), რომ ბოლშევიკები, როცა ერეკებოდნენ ექსპლოატაციის ამ «პატიოსან» მომხრეებს, მუშათა და გლეხთა ნებას ახორციელებდნენ და ამიტომ სავსებით სწორად იქცეოდნენ.

3) რატომ დგამენ ასე ხშირად სცენაზე ბულგაკოვის პიესებს? ალბათ იმიტომ, რომ **ჩვენი** პიესები, რომლებიც დასადგმელად გამოსადეგი იყოს, არ გვყოფნის. სულ არარაობას «ტურბინთა დღეებიც» კი სჯობია. რა თქმა უნდა, ძალიან ცოლი საქმეა «გააკრიტიკო» არაპროლეტარული ლიტერატურა და მოითხოვო მისი აკრძალვა. მაგრამ ყველაზე ცოლი არ შეიძლება ყველაზე უკეთესად ჩაითვალოს. საქმე აკრძალვა კი არ არის, არამედ ის, რომ თანდათანობით გავაძევოთ სცენიდან ძველი და ახალი არაპროლეტარული მაკულატურა შეჯიბრების გზით, იმ გზით, რომ შევქმნათ საბჭოთა ხასიათის ნამდვილი, საინტერესო, მხატვრული პიესები, რომელთაც შეეძლებათ ამ მაკულატურის შეცვლა. შეჯიბრება კი დიდი და სერიოზული საქმეა, ვინაიდან მხოლოდ შეჯიბრების ვითარებაში იქნება შესაძლებელი მივაღწიოთ ჩვენი პროლეტარული მხატვრული ლიტერატურის ჩამოყალიბებასა და კრისტალიზაციას.

რაც შეეხება თვითონ პიესას «ტურბინთა დღეებს», იგი არც თუ ისე ცუდია, ვინაიდან სარგებლობას მეტს იძლევა, ვიდრე ზიანს. ნუ დავივიწყებთ, რომ ძირითადი შთაბეჭდილება, რომელიც ამ პიესის მაყურებელს რჩება, ბოლშევიკებისათვის ხელსაყრელი შთაბეჭდილებაა: «თუ ტურბინებისთანა ადამიანებიც კი იძულებული არიან იარაღი დაყარონ და ხალხის ნებას დაემორჩილონ, საბოლოოდ წაგებულად სცნონ თავიანთი საქმე, — ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკები უძლეველი არიან, მათ, ბოლშევიკებს, ვერაფერს უზა-

მო». «ტურბინთა დღეები» ბოლშევიზმის ყოვლისმძლე ძალის დემონსტრაციაა.

რა თქმა უნდა, ავტორს ოდნავაც «არ მიუძღვის ბრალი» ამ დემონსტრაციაში. მაგრამ ჩვენ რა გვესაქმება ამასთან?

4) მართალია, რომ ამხ. სვიდერსკი ძალიან ხშირად უშვებს ყოვლად წარმოუდგენელ შეცდომებსა და დამახინჯებებს. მაგრამ ისიც მართალია, რომ რეპერტკომი თავის მუშაობაში ნაკლებ შეცდომებს არ უშვებს, თუმცა სხვა მხრივ. გაიხსენეთ «მეწამული კუნძული», «თანასწორთა შეთქმულება» და მათი მსგავსი მაკულატურა, რომელსაც რატომღაც ხალისით რთავენ ნებას მართლაც ბურჟუაზიული კამერული თეატრისათვის.

5) რაც შეეხება «მითქმა-მოთქმას» «ლიბერალიზმის» შესახებ, ამაზე მოდი ნუ ვილაპარაკებთ, — «მითქმა-მოთქმა» მოსკოველ ვაჭართა ცოლებს დაუთმეთ.

ი. სტალინი

1929 წ. 2 თებერვალი.

იბეჭდება პირველად.

«ᲙᲠᲐᲡᲜᲘ ᲢᲠᲔᲣᲒᲝᲚᲜᲘᲙᲘᲡ» ᲛᲣᲨᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐ-ᲥᲐᲚᲔᲑᲡ

პატივცემულო ამხანაგებო, «კრასნი ტრეუგოლნიკის» მუშებო და მუშა-ქალებო! მიიღეთ ჩემი მეგობრული სალამი «კრასნი ტრეუგოლნიკის» 7-საათიან სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით.

კაპიტალისტურ ქვეყნებში თქვენი ძმები და დები 10 — 12 — 14 საათს მუშაობენ. ჩვენ, ჩვენი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მუშები — ქალები და კაცები, — ამიერიდან დღეში 7 საათს ვიმუშავებთ.

დაე იცოდეს ყველამ, რომ სსრ კავშირის მუშები მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის პირველ რიგებში დგანან!

დაე ჩვენი დროშა — სოციალიზმის მშენებლობის დროშა — ყველა ქვეყნის მუშათა დროშა გახდეს!

ბოდიშს ვიხდი, რომ შესაძლებლობა არა მაქვს თქვენთან ჩამოვიდე თქვენს ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.

Ი. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

1929 წ. 2 თებერვალი.

«ლენინგრადსკაია პრავდა» № 28,
1929 წ. 3 თებერვალი.

დეპეშა პროსკუროვში წითელ ყაზაყთა პირველი პოლკის წითელარმიელებს, უფროსთა შემადგენლობასა და პოლიტშემადგენლობას[70]

ძმური სალამი წითელი ცხენოსანი დივიზიის წითელ-ყაზაყთა პირველი პოლკის წითელარმიელებს, უფროსთა შემადგენლობასა და პოლიტშემადგენლობას. გისურვებთ მუშაობაში წარმატებას და მუშათა და გლეხთა მტრებზე გამარჯვებას.

სტალინი

1929 წ. 22 თებერვალი.

იბეჭდება პირველად.

მისალმება «სელსკოზოზიაისტვენნაია გაზეტას»

სალამი და საუკეთესო სურვილები «სელსკოხოზიაისტვენნაია გაზეტას» [71]! ვუსურვებ მას წარმატებას სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხების მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე დამუშავებისა და გაშუქების საქმეში.

იმედი ვიქონიოთ, რომ იგი შესძლებს გადაიქცეს იმ აქტიურ მშენებელ მუშაკთა მაორგანიზებელ ცენტრად, რომლებსაც წინ მიჰყავთ ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ძნელი საქმე.

ი. სტალინი

«სელსკოხოზიაისტვენნაია გაზეტა»
№ 1, 1929 წ. 1 მარტი.

ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი

პასუხი ამხანაგებს მეშკოვს, კოვალჩუკსა და სხვებს

თქვენი წერილები მივიღე. ისინი ანალოგიურია მთელი რიგი წერილებისა ამავე თემაზე, რომლებიც უკანასკნელ თვეებში სხვა ამხანაგებისაგან მომივიდა. მაგრამ მე გადავწყვიტე გიპასუხოთ სწორედ თქვენ იმიტომ, რომ თქვენ უფრო უხეშად აყენებთ საკითხებს და ამით ხელს უწყობთ სიცხადის მიღწევას. მართალია, თქვენს წერილებში თქვენ იძლევით დაყენებული საკითხების არასწორ გადაწყვეტას, მაგრამ ეს სხვა საქმეა, — ამაზე ქვემოთ ვილაპარაკოთ.

გადავიდეთ საქმეზე.

1. «ერის» ცნება

რუს მარქსისტებს უკვე დიდი ხანია აქვთ თავიანთი თეორია ერისა. ამ თეორიის მიხედვით ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ოთხი ძირითადი ნიშნის ერთობის ბაზაზე, სახელდობრ: ენის ერთობის, ტერიტორიის ერთობის, ეკონომიური ცხოვრების ერთობისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა ნაციონალური

კულტურის სპეციფიკურ თავისებურებათა ერთობა. როგორც ცნობილია, ამ თეორიამ საერთო აღიარება პოვა ჩვენს პარტიაში.

როგორც თქვენი წერილებიდან ჩანს, თქვენ ეს თეორია არასაკმარისად მიგაჩნიათ. ამიტომ წინადადებას იძლევით დაემატოს ერის ოთხ ნიშანს მეხუთე ნიშანი, სახელდობრ: თავისი საკუთარი განკერძოებული ეროვნული სახელმწიფოს არსებობა. თქვენი აზრით, თუ ეს მეხუთე ნიშანი არ არის, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ერი.

მე ვფიქრობ, რომ თქვენს მიერ წამოყენებული სქემა «ერის» ცნების მისი ახალი, მეხუთე ნიშნით — უაღრესად მცდარია და არ შეიძლება გამართლებულ იქნას არც თეორიულად, არც პრაქტიკულ-პოლიტიკურად.

თქვენი სქემის მიხედვით ერებად უნდა გვეცნო მხოლოდ ისეთი ერები, რომლებსაც თავიანთი საკუთარი, სხვებისაგან განცალკევებული, სახელმწიფო აქვთ, ხოლო ყველა ჩაგრული ერი, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას მოკლებული არიან, უნდა ამოგვეშალა ერების რიცხვიდან, ამასთან ჩაგრული ერების ბრძოლა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, კოლონიური ხალხების ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ უნდა გამოგვერიცხა «ნაციონალური მოძრაობის», «ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის» ცნებიდან.

უფრო მეტიც. თქვენი სქემის მიხედვით უნდა გვემტკიცებინა, რომ:

ა) ირლანდიელები ერი გახდნენ მხოლოდ «ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფოს» შექმნის შემდეგ, მანამდე კი ისინი ერს არ წარმოადგენდნენ;

ბ) ნორვეგიელები ერი არ იყვნენ მანამდე, სანამ ნორვეგია შვეციას არ გამოეყო, და ერი გახდნენ მხოლოდ ასეთი გამოყოფის შემდეგ;

გ) უკრაინელები ერი არ იყვნენ, როცა უკრაინა მეფის რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა, ისინი ერი გახდნენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთს გამოეყვნენ ცენტრალური რადისა და გეტმან სკოროპადსკის დროს, მაგრამ ისინი კვლავ აღარ არიან ერი მას შემდეგ, რაც თავიანთი უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან გააერთიანეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ასეთი მაგალითი შეიძლებოდა მრავალზე მრავალი მოგვეყვანა.

ცხადია, სქემა, რომელსაც ასეთ აბსურდულ დასკვნებამდე მივყავართ, არ შეიძლება მეცნიერულ სქემად ჩაითვალოს.

პრაქტიკულ-პოლიტიკურად თქვენს სქემას გარდუვალად მივყავართ იმ ეროვნული, იმპერიალისტური ჩაგვრის გამართლებამდე, რომლის მატარებელნიც სრულებით არ ცნობენ ნამდვილ ერებად ჩაგრულ და არასრულუფლებიან, თავიანთი ცალკე ეროვნული სახელმწიფოს არმქონე ერებს და მიაჩნიათ, რომ ეს გარემოება უფლებას აძლევს მათ ჩაგრონ ეს ერები.

აღარას ვამბობ იმაზე, რომ თქვენს სქემას მივყავართ იქამდე, რომ გავამართლოთ ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკებში ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ საბჭოთა ერები უკვე ერები აღარ არიან მას შემდეგ, რაც მათ თავიანთი ნაციონალური საბჭოთა რესპუბლიკები გააერთიანეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ასეთია საქმის ვითარება ერის რუსული მარქსისტული თეორიის «შევსებისა» და «გასწორების» საკითხში.

ერთი რამ დაგვრჩენია: ვაღიაროთ, რომ ერის რუსული მარქსისტული თეორია ერთადერთი სწორი თეორიაა.

2. ერების წარმოშობა და განვითარება

თქვენი ერთ-ერთი სერიოზული შეცდომა ის არის, რომ თქვენ ერთ გროვაში აქცევთ ამჟამად არსებულ ყველა ერს და ვერ ხედავთ პრინციპულ განსხვავებას მათ შორის.

ქვეყნად სხვადასხვა ერები არსებობენ. არიან ერები, რომლებიც განვითარდნენ აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში, როცა ბურჟუაზია, ანგრევდა რა ფეოდალიზმსა და ფეოდალურ დაქუცმაცებულობას, ერთ მთელად აერთიანებდა და მტკიცედ აკავშირებდა ერს. ესენი არიან ეგრეთწოდებული «თანამედროვე» ერები.

თქვენ ამტკიცებთ, ერები ჯერ კიდევ კაპიტალიზმამდე წარმოიშვნენ და არსებობდნენო. მაგრამ როგორ შეიძლებოდა ერების წარმოშობა და არსებობა კაპიტალიზმამდე, ფეოდალიზმის პერიოდში, როცა ქვეყნები დაქუცმაცებული იყვნენ ცალკე დამოუკიდებელ სამთავროებად, რომელთა შორის არა თუ ეროვნული კავშირი არ იყო, არამედ ისინი გადაჭრით უარყოფდნენ ასეთი კავშირის საჭიროებას? წინააღმდეგ თქვენი მცდარი მტკიცებისა ერები არ ყოფილან და არც შეიძლება ყოფილიყვნენ წინაკაპიტალისტურ პერიოდში, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო ნაციონალური ბაზრები, არ იყო არც ეკონომიური და არც კულტურული ნაციონალური ცენტრები, არ იყო, მაშასადამე, ის ფაქტორები, რომლებიც სპობენ ამა თუ იმ ხალხის სამეურნეო დაქუცმაცებულობას და ერთ ეროვნულ მთელად აკავშირებენ ამ ხალხის მანამდე გათიშულ ნაწილებს.

რა თქმა უნდა, ერის ელემენტები — ენა, ტერიტორია, კულტურული ერთობა და სხვ. — ციდან კი არ ჩამოცვენილან, არამედ იქმნებოდნენ თანდათანობით, ჯერ კიდევ წინაკაპიტალისტურ პერიოდში. მაგრამ ეს ელემენტები ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ პოტენციას წარმოადგენდნენ იმ მხრივ, რომ მომა-

ვალში, განსაზღვრულ ხელსაყრელ პირობებში შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო ერი. პოტენცია სინამდვილედ იქცა მხოლოდ აღმავალი კაპიტალიზმის პერიოდში, როცა შეიქმნა ნაციონალური ბაზარი, ეკონომიური და კულტურული ცენტრები.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს ლენინის ის შესანიშნავი სიტყვები ერების წარმოშობის შესახებ, რაც მას ნათქვამი აქვს ბროშურაში «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?». ეკამათება რა ნაროდნიკ მიხაილოვსკის, რომელსაც ნაციონალური კავშირისა და ნაციონალური ერთიანობის წარმოშობა გვაროვნული კავშირის განვითარებიდან გამოჰყავს, ლენინი ამბობს:

«ამრიგად, გამოდის, რომ ნაციონალური კავშირი გვაროვნული კავშირის გაგრძელება და განზოგადება ყოფილა! როგორც ჩანს, ბ-ნი მიხაილოვსკი თავის წარმოდგენებს საზოგადოების ისტორიის შესახებ იმ ბავშვური ზღაპრიდან სესხულობს, რომელსაც გიმნაზიელებს ასწავლიან. საზოგადოებრიობის ისტორიაო — ამბობს ეს გაცვეთილი დოქტრინა — იმაში მდგომარეობს, რომ თავდაპირველად იყო ოჯახი, ყოველი საზოგადოების ეს უჯრედი..., შემდეგ ოჯახი გაიზარდა და ტომად იქცა, ხოლო ტომი — სახელმწიფოდო. თუ ბ-ნი მიხაილოვსკი სერიოზული სახით იმეორებს ამ ბავშვურ აბდაუბდას, ეს — სხვას რომ თავი დავანებოთ — მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მას მცირეოდენი წარმოდგენაც არა აქვს თუნდ მხოლოდ რუსეთის ისტორიის მსვლელობაზე. თუ შეიძლებოდა ლაპარაკი ძველი რუსეთის გვაროვნულ წყობილებაზე, უეჭველია, რომ უკვე საშუალო საუკუნეებში, მოსკოვის სამეფოს ეპოქაში, ეს გვაროვნული კავშირი უკვე აღარ არსებობდა, ე. ი. სახელმწიფო დამყარებული იყო სრულიადაც არა გვაროვნულ, არამედ ადგილობრივ კავშირებზე: მემამულეები და მონასტრები გლეხებს სხვადასხვა ადგილებიდან ღებულობდნენ, და თემები, რომელნიც ამრიგად იქმნებოდნენ, წმინდა-ტერიტორიულ კავშირებს წარმოადგენდნენ. მაგრამ იმ დროს არც კი შეიძლებოდა ლაპარაკი ნაციონალურ კავშირზე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: სახელმწიფო იყოფოდა ცალკეულ «მიწებად», ნაწილობრივ სამთავროებადაც, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ წინანდელი ავტონომიის ცოცხალი ნიშნები, მართვა-

გამგეობის თავისებურებანი, ხანდახან თავიანთი განსაკუთრებული ჯარები (ადგილობრივი ბოიარები ომში თავიანთი ლაშქრით მიდიოდნენ), განსაკუთრებული საბაჟო საზღვრები და სხვ.. ნამდვილად რუსეთის ისტორიის მხოლოდ ახალ პერიოდს (დაახლოებით XVII საუკუნიდან) ახასიათებს ფაქტიური შეერთება ყველა ასეთი ოლქისა, მიწებისა და სამთავროებისა ერთ მთელად. ეს შეერთება, უპატივცემულესო ბ-ნო მიხაილოვსკი, გამოწვეული იყო არა გვაროვნული კავშირით და არა თუნდაც მისი განგრძობითა და განზოგადებით: ეს გამოწვეული იყო ოლქებს შორის გაცვლა-გამოცვლის გაძლიერებით, საქონლის თანდათან მზარდი მიმოქცევით, მცირე ადგილობრივი ბაზრების კონცენტრაციით ერთ სრულიად რუსეთის ბაზრად. რადგანაც ამ პროცესის ხელმძღვანელნი და განმგებელნი კაპიტალისტი-ვაჭრები იყვნენ, ამ ნაციონალური კავშირის შექმნაც ბურჟუაზიული კავშირის შექმნა იყო და მეტი არაფერი» (იხ. ტ. I, გვ. 72 — 73 [72]).

ასეთია საქმის ვითარება ეგრეთწოდებული «თანამედროვე» ერების წარმოშობის მხრივ.

ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური პარტიები ამ პერიოდში ასეთი ერების მთავარი ხელმძღვანელი ძალა იყვნენ და არიან. კლასობრივი მშვიდობა ერის შიგნით «ერის ერთიანობის» გულისთვის; თავისი ერის ტერიტორიის გაფართოება სხვისი ნაციონალური ტერიტორიების დაპყრობის გზით; სხვა ერებისადმი უნდობლობა და სიძულვილი; ნაციონალურ უმცირესობათა ჩახშობა; იმპერიალიზმთან ერთიანი ფრონტი, — ასეთია ამ ერების იდეური და სოციალურ-პოლიტიკური ავლადიდება.

ასეთი ერები ბურჟუაზიულ ერებად უნდა მივიჩნიოთ. ასეთნი არიან, მაგალითად, ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი, ჩრდილო-ამერიკელი და სხვა, მათი მსგავსი, ერები. ასეთივე ბურჟუაზიული ერები იყვნენ რუსი, უკრაინელი, თათარი, სომეხი, ქართველი და სხვა ერები რუსეთში მანამდე, სანამ ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა და საბჭოთა წყობილება დამყარდებოდა.

გასაგებია, რომ ასეთი ერების ბედი დაკავშირებულია კაპიტალიზმის ბედთან, რომ ასეთი ერები კაპიტალიზმის დამხობასთან ერთად ასპარეზს უნდა მოშორდნენ.

სწორედ ასეთი ბურჟუაზიული ერები იგულისხმება სტალინის ბროშურაში «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი», როცა იქ ნათქვამია, რომ «ერი უბრალო ისტორიული კატეგორია კი არ არის, არამედ განსაზღვრული ეპოქის, აღმავალი კაპიტალიზმის ეპოქის ისტორიული კატეგორიაა», რომ «ბედი ნაციონალური მოძრაობისა, რომელიც თავისი არსებით ბურჟუაზიულია, ბუნებრივად დაკავშირებულია ბურჟუაზიის ბედთან», რომ «ნაციონალური მოძრაობის საბოლოო დაცემა შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიის დაცემასთან ერთად», რომ «მხოლოდ სოციალიზმის სამეფოში შეიძლება სრული მშვიდობიანობის დამყარება» [73].

ასეთია ბურჟუაზიული ერების საქმის ვითარება.

მაგრამ არიან ქვეყნად სხვა ერებიც. ესენი არიან ახალი, საბჭოთა ერები, რომლებიც განვითარდნენ და ჩამოყალიბდნენ ძველი, ბურჟუაზიული ერების ბაზაზე რუსეთში კაპიტალიზმის დამხობის შემდეგ, ბურჟუაზიისა და მისი ნაციონალისტური პარტიების ლიკვიდაციის შემდეგ, საბჭოთა წყობილების დამკვიდრების შემდეგ.

მუშათა კლასი და მისი ინტერნაციონალისტური პარტია წარმოადგენენ იმ ძალას, რომელიც მტკიცედ აკავშირებს ამ ახალ ერებს და ხელმძღვანელობს მათ. მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი ერის შიგნით — კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის; ეროვნული ჩაგვრის ნაშთების მოსპობა ერთა და ნაციონალურ უმცირესობათა თანასწორუფლებიანობისა და თავისუფალი განვითარებისათვის; ნაციონალიზმის ნაშთების მოსპობა ხალხთა შორის მეგობრობის დამყარებისა და ინტერნაციონალიზმის დამ-

კვიდრებისათვის; ყველა ჩაგრულ და არასრულუფლებიან ერთან ერთიანი ფრონტი დაპყრობათა პოლიტიკისა და დაპყრობითი ომების წინააღმდეგ ბრძოლაში, იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, — ასეთია ამ ერების სულიერი და სოციალურ-პოლიტიკური სახე.

ასეთი ერები სოციალისტურ ერებად უნდა მივიჩნიოთ.

ეს ახალი ერები წარმოიშვნენ და განვითარდნენ ძველი, ბურჟუაზიული ერების ბაზაზე კაპიტალიზმის ლიკვიდაციის შედეგად, — სოციალიზმის სულისკვეთებით მათი ძირეული გარდაქმნის გზით. ვერავინ უარყოფს იმას, რომ ახლანდელი სოციალისტური ერები საბჭოთა კავშირში — რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, თათარი, ბაშკირი, უზბეკი, ყაზახი, აზერბაიჯანელი, ქართველი, სომეხი და სხვა ერები — ძირეულად განსხვავდებიან ძველი რუსეთის შესაბამისი ძველი, ბურჟუაზიული ერებისაგან როგორც თავიანთი კლასობრივი შემადგენლობითა და სულიერი სახით, ისე თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური ინტერესებითა და მისწრაფებებით.

ასეთია ერების ორი ტიპი, რომლებსაც ისტორია იცნობს.

თქვენ არ ეთანხმებით იმას, რომ ერების ბედი, ამ შემთხვევაში ძველი, ბურჟუაზიული ერების ბედი, დაკავშირებულ იქნას კაპიტალიზმის ბედთან. თქვენ არ ეთანხმებით თეზისს იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმის ლიკვიდაციასთან ერთად მოისპობიან ძველი, ბურჟუაზიული ერები. მაშ რაღას შეიძლება დავუკავშიროთ ამ ერების ბედი, თუ არა კაპიტალიზმის ბედს? განა ძნელი გასაგებია, რომ კაპიტალიზმის გაჭრობასთან ერთად უნდა გაქრნენ მის მიერ წარმოშობილი ბურჟუაზიული ერები? ხომ არ ფიქრობთ თქვენ, რომ ძველ, ბურჟუაზიულ ერებს შეუძლიათ იარსებონ და განვითარდნენ საბჭოთა წყობილების დროს, პროლეტარიატის დიქტატურის დროს? ესღა გვაკლია...

თქვენ შიშობთ, რომ კაპიტალიზმის დროს არსებული ერების ლიკვიდაცია უდრის საერთოდ ერების ლიკვიდაციას, ყოველი ერის ლიკვიდაციას. რატომ, რა საფუძველზე? ნუთუ არ იცით, რომ გარდა ბურჟუაზიული ერებისა არსებობენ კიდევ სხვა ერები, სოციალისტური ერები, რომლებიც გაცილებით უფრო მჭიდროდ შეკავშირებული და სიცოცხლისუნარიანი არიან, ვიდრე ყოველი ბურჟუაზიული ერი?

თქვენი შეცდომა სწორედ ის არის, რომ თქვენ ვერ ხედავთ სხვა ერებს, გარდა ბურჟუაზიული ერებისა, — მაშასადამე, თქვენ ვერ შეგიმჩნევიათ მთელი ეპოქა, როდესაც საბჭოთა კავშირში შეიქმნენ სოციალისტური ერები, რომლებიც წარმოიშვნენ ძველი, ბურჟუაზიული ერების ნანგრევებზე.

საქმეც ის არის, რომ ბურჟუაზიული ერების ლიკვიდაცია მოასწავებს არა საერთოდ ერების ლიკვიდაციას, არამედ მხოლოდ ბურჟუაზიული ერების ლიკვიდაციას. ძველი, ბურჟუაზიული ერების ნანგრევებზე ჩნდებიან და ვითარდებიან ახალი, სოციალისტური ერები, და ეს უკანასკნელნი გაცილებით უფრო მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი, ვიდრე ყოველი ბურჟუაზიული ერი, ვინაიდან თავისუფალი არიან შეურიგებელი კლასობრივი წინააღმდეგობებისაგან, რომლებიც ბურჟუაზიულ ერებს ღრღნიან, და გაცილებით უფრო საერთო-სახალხონი არიან, ვიდრე ყოველი ბურჟუაზიული ერი.

3. ერებისა და ეროვნული ენების მოძავალი

თქვენ სერიოზულ შეცდომას უშვებთ, როცა ტოლობის ნიშანს სვამთ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდსა და მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდს შორის, როცა ამტკიცებთ, რომ არა მარტო

მაშინ, როცა სოციალიზმი გაიმარჯვებს მსოფლიო მასშტაბით, არამედ მაშინაც, როცა სოციალიზმი გაიმარჯვებს ერთ ქვეყანაში, შესაძლებელი და აუცილებელია ეროვნულ განსხვავებათა და ეროვნულ ენათა მოსპობა, ერების ერთმანეთთან შერწყმა და ერთიანი საერთო ენის შექმნა. ამასთან თქვენ ერთმანეთში ურევთ სრულიად სხვადასხვა ცნებებს: «ეროვნული ჩაგვრის მოსპობასა» და «ეროვნულ განსხვავებათა ლიკვიდაციას», «ნაციონალური სახელმწიფოებრივი კედლების მოსპობასა» და «ერების კვდომას», «ერების ერთმანეთთან შერწყმას».

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მარქსისტისათვის სრულიად შეუწყნარებელია ამ სხვადასხვაგვარ ცნებათა აღრევა. ჩვენში, ჩვენს ქვეყანაში, უკვე დიდი ხანია მოსპობილია ეროვნული ჩაგვრა, მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ ეროვნული განსხვავებანი გაქრნენ და ჩვენი ქვეყნის ერები ლიკვიდირებული არიან. ჩვენში, ჩვენს ქვეყანაში, უკვე დიდი ხანია ლიკვიდირებულია ნაციონალური სახელმწიფოებრივი კედლები მესაზღვრე მცველებით, საბაჟოებით, მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ ერები უკვე ერთმანეთთან შერწყმულნი გახდნენ და ეროვნული ენები გაქრნენ, რომ ეს ენები შეცვლილია ყველა ჩვენი ერისათვის საერთო რომელიღაც ერთი ენით.

თქვენ კმაყოფილი არა ხართ ჩემი სიტყვით აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტურ უნივერსიტეტში (1925 წ.)[74], სადაც მე უარვყოფ იმ თეზისის სისწორეს, რომ **ერთ ქვეყანაში**, მაგალითად ჩვენს ქვეყანაში, სოციალიზმის გამარჯვებისას ეროვნული ენები თითქოს მოკვდებიან, ერები ერთმანეთს შეერწყმიან და ეროვნული ენების ნაცვლად გაჩნდება ერთი საერთო ენა.

თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩემი ასეთი განცხადება ეწინააღმდეგება ლენინის ცნობილ თეზისს იმის შესახებ, რომ სოციალიზმის მიზანია არა მარტო მოსპობა კაცობრიობის დაჭუცმაცებისა პატარა-პატარა სახელმწიფოებად და ერთა ყოველგვარი განკერძოებულობისა, არა მარტო დაახლოება ერებისა, არამედ მათი ერთმანეთთან შერწყმაც.

შემდეგ, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩემი განცხადება ეწინააღმდეგება აგრეთვე ლენინის მეორე თეზისს იმის შესახებ, რომ, როცა სოციალიზმი გაიმარჯვებს **მსოფლიო მასშტაბით,** დაიწყება ეროვნულ განსხვავებათა და ეროვნულ ენათა კვდომა, რომ ასეთი გამარჯვების შემდეგ დაიწყება ეროვნული ენების შეცვლა ერთი საერთო ენით.

ეს სრულებით არ არის სწორი, ამხანაგებო. ეს დიდი შეცდომაა.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ მარქსისტისათვის შეუწყნარებელია ისეთ სხვადასხვაგვარ მოვლენათა აღრევა და ერთ გროვაში მოქცევა, როგორიცაა «სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში» და «სოციალიზმის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით». არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სხვადასხვაგვარი მოვლენები ასახავენ ორ სრულიად სხვადასხვა ეპოქას, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო დროით (რაც მეტად მნიშვნელოვანია), არამედ თვით თავიანთი არსითაც.

ეროვნულ უნდობლობას, ეროვნულ განკერძოებულობას, ეროვნულ შუღლს, ეროვნულ შეჯახებებს სტიმულს აძლევს და აღვივებს, რა თქმა უნდა, არა რაიმე «თანდაყოლილი» გრძნობა ეროვნული მტრობისა, არამედ იმპერიალიზმის მისწრაფება — დაიპყროს სხვა ერები — და ამ ერების შიში ეროვნული დამონების საფრთხის წინაშე. უეჭველია, სანამ მსოფლიო იმპერიალიზმი არსებობს, იარსებებს ეს მისწრაფებაც და ეს შიშიც, — მაშასადამე, ქვეყნების უდი-

დეს უმრავლესობაში იარსებებს ეროვნული უნდობლობაც, ეროვნული განკერძოებულობაც, ეროვნული შუღლიც და ეროვნული შეჯახებებიც. შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება და იმპერიალიზმის ლიკვიდაცია მოასწავებს იმპერიალიზმისა და ეროვნული ჩაგვრის მოსპობას მეტ წილ ქვეყნებში? ცხადია, არ შეიძლება. მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ იგი სერიოზულად ასუსტებს მსოფლიო იმპერიალიზმს, მაინც არ ქმნის და ვერც შექმნის პირობებს, რომლებიც აუცილებელია მსოფლიოს ერებისა და ეროვნული ენების ერთ საერთო მთლიანობად შერწყმისათვის.

მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდი უწინარეს ყოვლისა სწორედ იმით განსხვავდება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდისაგან, რომ იგი ახდენს იმპერიალიზმის ლიკვიდაციას **ყველა ქვეყანაში,** სპობს როგორც მისწრაფებას სხვა ერების დაპყრობისაკენ, ისე შიშს ეროვნული დამონების საფრთხის წინაშე, საფუძველს უსპობს ეროვნულ უნდობლობასა და ეროვნულ შუღლს, აერთიანებს ერებს მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის ერთიან სისტემაში და ამრიგად ქმნის რეალურ პირობებს, რომლებიც აუცილებელია ყველა ერის ერთ მთლიანობად თანდათანობით შერწყმისათვის.

ასეთია ძირეული განსხვავება ამ ორ პერიოდს შორის.

მაგრამ აქედან გამომდინარეობს, რომ ორი ამ სხვადასხვა პერიოდის ერთმანეთში არევა და ერთ გროვაში მოქცევა ნიშნავს შეუწყნარებელი შეცდომის დაშვებას. ავიღოთ ჩემი გამოსვლა აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტურ უნივერსიტეტში. იქ ნათქვამია:

«ამბობენ (მაგალითად, კაუცკი), სოციალიზმის პერიოდში ერთიანი საერთო-საკაცობრიო ენა შეიქმნება, ყველა დანარჩენი ენა კი მოკვდე-

ბაო. მე ნაკლებად მჯერა ეს ერთიანი **ყოვლისმომცველი** ენის თეორია. ყოველ შემთხვევაში, გამოცდილება ამ თეორიის წინააღმდეგ მეტყველებს და არა მის სასარგებლოდ. დღემდე საქმის ვითარება ისეთი იყო, რომ სოციალისტური რევოლუცია კი არ ამცირებდა, პრამედ ზრდიდა ენათა რაოდენობას, ვინაიდან, მოძრაობაში მოჰყავს რა კაცობრიობის უღრმესი დაბალი ფენები და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჰყავს ისინი, იგი ახალი ცხოვრებისათვის აღვიძებს მთელ რიგ ახალ ეროვნებებს, რომლებიც წინათ უცნობი ან ნაკლებად ცნობილი იყვნენ. ვინ იფიქრებდა, რომ მეფის ძველი რუსეთი სულ ცოტა 50 ერსა და ეროვნულ ჯგუფს წარმოადგენდა? მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამ ძველი ბორკილები გაგლიჯა და ასპარეზზე გამოიყვანა მთელი რიგი დავიწყებული ხალხები და ეროვნებანი, რითაც მისცა მათ ახალი ცხოვრება და ახალი განვითარება» [75].

ამ ციტატიდან ჩანს, რომ მე გამოვდიოდი კაუცკის ტიპის ადამიანების წინააღმდეგ, რომელიც (ესე იგი კაუცკი) ნაციონალურ საკითხში ყოველთვის დილეტანტი იყო და დილეტანტად რჩებოდა, რომელსაც ერთა განვითარების მექანიკა არ ესმის და ერთა გამძლეობის კოლოსალურ ძალაზე წარმოდგენა არა აქვს, რომელსაც შესაძლებლად მიაჩნია ერების ერთმანეთთან შერწყმა სოციალიზმის გამარჯვებამდე ბევრად უფრო ადრე, ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წესწყობილების დროს, რომელიც, მლიქვნელურად ხოტბას ასხამს რა გერმანელთა ასიმილატორულ «მუშაობას» ჩეხიაში, ქარაფშუტულად ამტკიცებს, ჩეხები თითქმის გაგერმანელებული არიანო, ჩეხებს, როგორც ერს, მომავალი არა აქვთო.

შემდეგ, ამ ციტატიდან ჩანს, რომ ჩემს გამოსვლაში მე ვგულისხმობდი არა იმ პერიოდს, როცა სოციალიზმი გაიმარჯვებს **მსოფლიო მასშტაბით,** არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმ პერიოდს, როცა სოციალიზმი გაიმარჯვებს **ერთ ქვეყანაში.** ამასთან მე ვამტკიცებდი (და ახლაც ვამტკიცებ), რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდი არ იძლევა ერებისა და ეროვნული ენების ერთმანეთთან

შერწყმისათვის აუცილებელ პირობებს, რომ — პირიქით, ეს პერიოდი ქმნის ხელსაყრელ ვითარებას იმ ერების აღორძინებისა და აყვავებისათვის, რომლებიც წინათ მეფის იმპერიალიზმისაგან იჩაგრებოდნენ, ახლა კი საბჭოთა რევოლუციით განთავისუფლებული არიან ეროვნული ჩაგვრისაგან.

დასასრულ, ამ ციტატიდან ჩანს, რომ თქვენ ვერ შეგიმჩნევიათ კოლოსალური განსხვავება ორ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდს შორის, ამის გამო ვერ გაგიგიათ სტალინის გამოსვლის აზრი და ყოველივე ამის შედეგად საკუთარ შეცდომებში გახლართულხართ.

გადავიდეთ ლენინის თეზისებზე სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგ ერების კვდომისა და ერთმანეთთან შერწყმის შესახებ.

აი ლენინის ერთ-ერთი თეზისი, რომელიც აღებულია ლენინის 1916 წელს გამოცემული სტატიიდან «სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება» და რომელიც თქვენს წერილებში რატომღაც სრულად არ არის ციტირებული:

«სოციალიზმის მიზანია არა მარტო მოსპობა კაცობრიობის დაჭუცმაცებისა პატარ-პატარა სახელმწიფოებად და ერთა ყოველგვარი განკერძოებულობისა, არა მარტო ურთიერთდაახლოება ერებისა, არამედ მათი ერთმანეთთან შერწყმაც. ...იმის მსგავსად, როგორც კაცობრიობამ კლასების მოსპობას შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ ჩაგრული კლასის დიქტატურის გარდამავალი პერიოდის მეშვეობით, ამის მსგავსად ერთა გარდუვალ ერთმანეთთან შერწყმასაც კაცობრიობამ შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ ყველა ჩაგრული ერის სრული განთავისუფლების, ე. ი. მათი გამოყოფის თავისუფლების გარდამავალი პერიოდის მეშვეობით» (იხ. ტ. XIX, გვ. 40 [76]).

აი კიდევ ლენინის სხვა თეზისი, რომელიც თქვენს წერილებში აგრეთვე არასრულად არის ციტირებული.

«სანამ ხალხებსა და ქვეყნებს შორის ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი არსებობენ, — ხოლო ეს განსხვავებანი კიდევ

ძალიან და ძალიან დიდხანს გასძლებენ მას შემდეგაც კი, რაც პროლეტარიატის დიქტატურა მსოფლიო მასშტაბით განხორციელდება, — ყველა ქვეყნის კომუნისტური მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ტაქტიკის ერთიანობა მოითხოვს არა სხვადასხვაობის აღმოფხვრას, არა ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას (ეს სულელური ოცნებაა ახლანდელი მომენტისათვის), არამედ კომუნიზმის ძირითადი პრინციპების (საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა) ისეთ გამოყენებას, რომელიც სწორად შეუცვლიდა სახეს ამ პრინციპებს დეტალებში, სწორად შეუხამებდა, შეუფარდებდა მათ ეროვნულ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განსხვავებებს» (იხ. ტ. XXV, გვ. 227).

აღსანიშნავია, რომ ეს ციტატა მოყვანილია ლენინის ბროშურიდან ««მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში», რომელიც გამოცემულია 1920 წელს, ესე იგი — ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების **შემდეგ**, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების **შემდეგ**.

ამ ციტატებიდან ჩანს, რომ ეროვნულ განსხვავებათა კვდომისა და ერების ერთმანეთთან შერწყმის პროცესს ლენინი აკუთვნებს არა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმის **შემდგომ** პერიოდს, როცა პროლეტარიატის დიქტატურა განხორციელდება მსოფლიო მასშტაბით, ესე იგი ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდს, როცა უკვე ჩაყრილი ექნება საფუძველი მსოფლიო სოციალისტურ მეურნეობას.

შემდეგ, ამ ციტატებიდან ჩანს, რომ ცდას — ეროვნულ განსხვავებათა კვდომის პროცესი მიაკუთვნონ ერთ ქვეყანაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდს, ლენინი ახასიათებს, როგორც «სულელურ ოცნებას».

გარდა ამისა, ამ ციტატებიდან ჩანს, რომ სტალინი უთუოდ მართალი იყო, როცა აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტურ უნივერსიტეტში წარმოთქმულ სიტყვაში უარყოფდა ერთ ქვეყანაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების

პერიოდში ეროვნულ განსხვავებათა და ეროვნულ ენათა კვდომის შესაძლებლობას, ხოლო თქვენ სრულებით არ იყავით მართალი, როცა სტალინის თეზისის პირდაპირ საწინააღმდეგო რამეს იცავდით.

დასასრულ, ამ ციტატებიდან ჩანს, რომ, ერთმანეთში არიეთ რა სოციალიზმის გამარჯვების ორი სხვადასხვა პერიოდი, თქვენ ვერ გაიგეთ ლენინი, დაამახინჯეთ ლენინის ხაზი ნაციონალურ საკითხში და ამის გამო დაადექით, თქვენდა უნებურად, ლენინიზმთან კავშირის გაწყვეტის გზას.

არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეროვნულ განსხვავებათა მოსპობა და ეროვნული ენების კვდომა მოხდება მსოფლიო იმპერიალიზმის დამარცხებისთანავე, ერთი დაკვრით, ასე ვთქვათ, ზემოდან დეკრეტირების გზით. ასეთ შეხედულებაზე უფრო მცდარი არაფერია. იმის ცდა, რომ მოგვეხდინა ერების ერთმანეთთან შერწყმა ზემოდან დეკრეტირების გზით, იძულების გზით, — იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ხელი შეგვეწყო იმპერიალისტებისათვის, დაგვეღუპა ერთა განთავისუფლების საქმე, დაგვესამარებინა ერთა თანამშრომლობისა და ძმობის მოწყობის საქმე. ასეთი პოლიტიკა ასიმილაციის პოლიტიკის თანაბარი იქნებოდა.

თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ასიმილაციის პოლიტიკა უთუოდ გამორიცხულია მარქსიზმ-ლენინიზმის არსენალიდან, როგორც ანტიხალხური, კონტრრევოლუციური პოლიტიკა, როგორც დამღუპველი პოლიტიკა.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ ერები და ეროვნული ენები განირჩევიან უაღრესი გამძლეობით და ასიმილაციის პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის კოლოსალური ძალით. თურქი ასიმილატორები, — ყველაზე სასტიკი ასიმილატორები, — ასეული წლების მანძილზე ფლეთღნენ და ასახიჩრებ-

დნენ ბალკანეთის ერებს, მაგრამ არა თუ ვერ მიაღწიეს მათს მოსპობას, არამედ იძულებული გახდნენ კაპიტულაცია მოეხდინათ. მეფის დამჭაში რუსი რუსიფიკატორები და გერმანელ-პრუსიელი გერმანიზატორები, რომლებიც დიდად როდი ჩამოუვარდებოდნენ სისასტიკეში თურქ ასიმილატორებს, ას წელიწადზე მეტ ხანს ფლეთდნენ და აწამებდნენ პოლონელ ერს, ისევე როგორც სპარსელი და თურქი ასიმილატორები ასეული წლების განმავლობაში ფლეთდნენ, აწამებდნენ და ჟლეტდნენ სომეხ და ქართველ ერებს, მაგრამ არა თუ ვერ მიაღწიეს ამ ერების მოსპობას, არამედ — პირიქით — იძულებული გახდნენ აგრეთვე კაპიტულაცია მოეხდინათ.

საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ყველა ეს გარემოება, რათა სწორად გავითვალისწინოთ მოვლენათა მოსალოდნელი მსვლელობა იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარიმართება ერის განვითარება უშუალოდ მსოფლიო იმპერიალიზმის დამარცხების შემდეგ.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პერიოდის პირველი ეტაპი ერებისა და ეროვნული ენების კვდომის დასაწყისი, ერთიანი საერთო ენის ჩამოყალიბების დასაწყისი იქნება. პირიქით, პირველი ეტაპი, რომლის განმავლობაშიც საბოლოოდ მოისპობა ეროვნული ჩაგვრა, — ეს იქნება წინათ ჩაგრული ერებისა და ეროვნული ენების ზრდისა და აყვავების ეტაპი, ერთა თანასწორუფლებიანობის დამკვიდრების ეტაპი, ერთა ურთიერთუნდობლობის ლიკვიდაციის ეტაპი, ერთა შორის ინტერნაციონალური კავშირის დამყარებისა და განმტკიცების ეტაპი.

პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პერიოდის მხოლოდ მეორე ეტაპზე, იმის მიხედვით, რაც ჩამოყალიბდება ერთიანი მსოფლიო სოციალისტური მეურნეობა, —

ნაცვლად მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობისა, — მხოლოდ ამ ეტაპზე დაიწყებს ჩამოყალიბებას საერთო ენის მსგავსი რამ, ვინაიდან მხოლოდ ამ ეტაპზე იგრძნობენ ერები იმის აუცილებლობას, რომ თავიანთ ეროვნულ ენებთან ერთად ჰქონდეთ ერთი საერთო საეროვნებათაშორისო ენა, — ურთიერთობის გასაადვილებლად და ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური თანამშრომლობის გასაადვილებლად. მაშასადამე, ამ ეტაპზე ეროვნული ენები და საერთო საეროვნებათაშორისო ენა პარალელურად იარსებებენ. შესაძლებელია, რომ თავდაპირველად შეიქმნება არა ყველა ერისათვის საერთო ერთი მსოფლიო ეკონომიური ცენტრი ერთი საერთო ენით, არამედ რამდენიმე ზონალური ეკონომიური ცენტრი ერთა ცალკეული ჯგუფებისათვის, ცალკე საერთო ენით ერთა თვითეული ჯგუფისათვის, და მხოლოდ შემდეგში ეს ცენტრები გაერთიანდებიან სოციალისტური მეურნეობის ერთ საერთო მსოფლიო ცენტრად ყველა ერისათვის საერთო ერთი ენით.

პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პერიოდის შემდეგ ეტაპზე, როცა მეურნეობის მსოფლიო სოციალისტური სისტემა საკმაოდ განმტკიცდება და სოციალიზმი ხალხთა ყოფაში დამკვიდრდება, როცა ერები პრაქტიკულად დარწმუნდებიან საერთო ენის უპირატესობაში ეროვნული ენების წინაშე, — დაიწყება ეროვნულ განსხვავებათა და ენათა კვდომა, და ისინი ადგილს დაუთმობენ ყველასათვის საერთო მსოფლიო ენას.

ასეთია, ჩემი აზრით, ერების მომავლის დაახლოებითი სურათი, სურათი ერების განვითარებისა მომავალში მათი ერთმანეთთან შერწყმის გზებზე.

4. პარტიის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში

თქვენი ერთ-ერთი შეცდომა ის არის, რომ ნაციონალურ საკითხს თქვენ განიხილავთ არა როგორც საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საერთო საკითხის ნაწილს, ამ საერთო საკითხისადმი დაქვემდებარებულს, არამედ როგორც რაღაც თვითკმარსა და მუდმივს, რომელიც ძირითადად არ იცვლის მიმართულებასა და ხასიათს ისტორიის მანძილზე. ამიტომ თქვენ ვერ ხედავთ იმას, რასაც ხედავს ყოველი მარქსისტი, სახელდობრ იმას, რომ ნაციონალურ საკითხს ყოველთვის როდი აქვს ერთნაირი ხასიათი, რომ ნაციონალური მოძრაობის ხასიათი და ამოცანები იცვლებიან რევოლუციის განვითარების სხვადასხვა პერიოდის მიხედვით.

ლოგიკურად სწორედ ამით აიხსნება ის სამწუხარო ფაქტი, რომ თქვენ ასე იოლად ურევთ ერთმანეთში და ერთ გროვაში აქცევთ რევოლუციის განვითარების სხვადასხვა პერიოდს, არ გესმით, რომ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე რევოლუციის ხასიათისა და ამოცანების შეცვლა იწვევს შესაბამის ცვლილებებს ნაციონალური საკითხის ხასიათსა და ამოცანებში, რომ ამის შესაბამისად იცვლება პარტიის პოლიტიკაც ნაციონალურ საკითხში, რომ, მაშასადამე, არ შეიძლება პარტიის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში, პოლიტიკა, რომელიც დაკავშირებულია რევოლუციის განვითარების ერთ პერიოდთან, ძალად მოვწყვიტოთ ამ პერიოდს და თვითნებურად გადავიტანოთ სხვა პერიოდზე.

რუსი მარქსისტები ყოველთვის ემყარებოდნენ იმ დებულებას, რომ ნაციონალური საკითხი რევოლუციის განვითარების საერთო საკითხის ნაწილია, რომ რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე ნაციონალურ საკითხს აქვს სხვადასხვა ამო-

ცანები, რომლებიც შეესაბამებიან რევოლუციის ხასიათს ყოველ მოცემულ ისტორიულ მომენტში, რომ ამის შესაბამისად იცვლება პარტიის პოლიტიკაც ნაციონალურ საკითხში.

პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში, როცა ისტორიამ წამოაყენა **ბურჟუაზიულ-დემოკრატიული** რევოლუცია რუსეთში, როგორც მომენტის ამოცანა, რუსი მარქსისტები ნაციონალური საკითხის გადაწყვეტას რუსეთში დემოკრატიული გადატრიალების ბედთან აკავშირებდნენ. ჩვენს პარტიას მიაჩნდა, რომ ცარიზმის დამხობა, ფეოდალიზმის ნაშთების ლიკვიდაცია და ქვეყნის სრული დემოკრატიზაცია — ნაციონალური საკითხის საუკეთესო გადაწყვეტაა, როგორიც კი შესაძლებელია კაპიტალიზმის ფარგლებში.

ასეთია პარტიის პოლიტიკა ამ პერიოდში.

ამ პერიოდს ეკუთვნის ლენინის ცნობილი სტატიები ნაციონალურ საკითხზე, მათ შორის სტატია «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე», სადაც ლენინი ამბობს:

«...მე ვამტკიცებ, რომ არსებობს ნაციონალური საკითხის მხოლოდ ერთი გადაწყვეტა, რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია ეს გადაწყვეტა კაპიტალიზმის სამყაროში, და ეს გადაწყვეტაა თანმიმდევრული დემოკრატიზმი. ამის დასამტკიცებლად მე ვიმოწმებ, სხვათა შორის, შვეიცარიას» (იხ. ტ. XVII, გვ. 150 [77]).

ამავე პერიოდს ეკუთვნის სტალინის ბროშურა «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი», სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

«ნაციონალური მოძრაობის საბოლოო დაცემა შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიის დაცემასთან ერთად. მხოლოდ სოციალიზმის სამეფოში შეიძლება სრული მშვიდობიანობის დამყარება. მაგრამ კაპიტალიზმის ჩარჩოებშიც შესაძლებელია მინიმუმამდე დავიყვანოთ ნაციონალური ბრძოლა, ძირი გამოვუთხაროთ მას, პროლეტარიატისათვის მაქსიმალურად უვნებელი გავხადოთ იგი. ამას მოწმობს თუნდაც შვეიცარიისა და ამერიკის მაგალითები. ამისთვის საჭიროა მოვახდინოთ

ქვეყნის დემოკრატიზაცია და მიეცეთ ერებს თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა» [78].

შემდეგ პერიოდში, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როცა ორ იმპერიალისტურ კოალიციას შორის გაჩაღებულმა ხანგრძლივმა ომმა ძირი გამოუთხარა მსოფლიო იმპერიალიზმის ძლიერებას, როცა კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის კრიზისმა უკიდურეს საზღვარს მიაღწია, როცა «მეტროპოლიების» მუშათა კლასთან ერთად განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაებნენ კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნებიც, როცა ნაციონალური საკითხი ნაციონალურ-კოლონიურ საკითხად გადაიზარდა, როცა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასისა და კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ჩაგრული ხალხების ერთიანმა ფრონტმა რეალურ ძალად იწყო გადაქცევა, როცა, მაშასადამე, **სოციალისტური** რევოლუცია მომენტის საკითხი გახდა, — რუს მარქსისტებს აღარ შეეძლოთ დასჯერებოდნენ წინა პერიოდის პოლიტიკას და საჭიროდ ჩათვალეს დაეკავშირებინათ ნაციონალურ-კოლონიური საკითხის გადაწყვეტა სოციალისტური გადატრიალების ბედთან.

პარტიას მიაჩნდა, რომ კაპიტალის ძალაუფლების დამხობა და პროლეტარიატის დიქტატურის ორგანიზაცია, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ფარგლებიდან იმპერიალისტთა ჯარების განდევნა და ამ ქვეყნებისათვის გამოყოფისა და თავისი ნაციონალური სახელმწიფოების მოწყობის უფლების უზრუნველყოფა, ეროვნული შუღლისა და ნაციონალიზმის ლიკვიდაცია და ხალხთა შორის ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცება, ერთიანი სოციალისტური სახალხო მეურნეობის მოწყობა და ამ ნიადაგზე ხალხთა ძმური თანამშრომლობის მოგვარება, — ყოველივე ეს ნაციონალურ-კოლონიური საკითხის საუკეთესო გადაჭრაა **ახლანდელ პირობებში.**

ასეთია პარტიის პოლიტიკა ამ პერიოდში.

ეს პერიოდი ჯერ კიდევ არ შესულა თავის სრულ ძალაში, ვინაიდან იგი მხოლოდ დაიწყო, მაგრამ უეჭველია, რომ იგი კიდევ იტყვის თავის გადამწყვეტ სიტყვას...

ცალკე დგას საკითხი ჩვენს ქვეყანაში რევოლუციის განვითარების ახლანდელი პერიოდისა და პარტიის ახლანდელი პოლიტიკის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ჯერჯერობით ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა **ერთადერთი** ქვეყანა, რომელიც მზად იყო დაემხო კაპიტალიზმი. და მან მართლაც დაამხო კაპიტალიზმი, მოაწყო პროლეტარიატის დიქტატურა.

მაშასადამე, **მსოფლიო მასშტაბით** პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელებამდე და — მით უმეტეს — **ყველა ქვეყანაში** სოციალიზმის გამარჯვებამდე, — ჯერ კიდევ შორსაა.

შემდეგ, აღსანიშნავია, რომ, ბოლო მოვუღეთ რა ძალაუფლებას ბურჟუაზიისას, რომელმაც უკვე დიდი ხანია ხელი აიღო თავის ძველ დემოკრატიულ ტრადიციებზე, ჩვენ გზადაგზა გადავჭერით «ქვეყნის სრული დემოკრატიზაციის» ამოცანა, მოვსპეთ ეროვნული ჩაგვრის სისტემა და განვახორციელეთ ერთა თანასწორუფლებიანობა ჩვენს ქვეყანაში.

როგორც ცნობილია, ეს ღონისძიებანი საუკეთესო საშუალება აღმოჩნდნენ ნაციონალიზმისა და ეროვნული შუღლის ლიკვიდაციისათვის, ხალხთა შორის ნდობის დამყარებისათვის.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ ეროვნული ჩაგვრის მოსპობამ გამოიწვია ჩვენი ქვეყნის წინათ ჩაგრული ერების ეროვნული აღორძინება, მათი ნაციონალური კულტურის ზრდა, ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრული ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცება და სოციალისტური

მშენებლობის საქმეში მათ შორის თანამშრომლობის დამყარება.

უნდა გვახსოვდეს, რომ ეს აღორძინებული ერები არიან უკვე არა ძველი, ბურჟუაზიული ერები, რომლებსაც ბურჟუაზია ხელმძღვანელობდა, არამედ ახალი, სოციალისტური ერები, რომლებიც წარმოიშვნენ ძველი ერების ნანგრევებზე და რომლებსაც ხელმძღვანელობს მშრომელი მასების ინტერნაციონალისტური პარტია.

ამასთან დაკავშირებით პარტიამ საჭიროდ ჩათვალა დაეხმაროს ჩვენი ქვეყნის აღორძინებულ ერებს — ფეხზე დადგნენ და წელში გაიმართონ, გამოაცოცხლონ და განავითარონ თავიანთი ნაციონალური კულტურა, მოაწყონ სკოლები, თეატრები და სხვა კულტურული დაწესებულებანი დედაენაზე, გააეროვნულონ, ე. ი. შემადგენლობით ეროვნული გახადონ, პარტიული, პროფკავშირული, კოოპერაციული, საბელმწიფო, სამეურნეო აპარატები, აღზარდონ თავიანთი, ნაციონალური პარტიული და საბჭოთა კადრები და ალაგმონ მთელი ის, — მართალია, არც თუ მრავალრიცხოვანი, — ელემენტები, რომლებიც ცდილობენ შეაფერხონ პარტიის ასეთი პოლიტიკა.

ეს ნიშნავს იმას, რომ პარტია ხელს უწყობს და ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნაციონალური კულტურების განვითარებასა და აყვავებას, რომ იგი წაახალისებს ჩვენი ახალი, სოციალისტური ერების განმტკიცების საქმეს, რომ იგი კისრულობს ამ საქმის დაცვასა და მფარველობას ყველა და ყოველგვარი ანტილენინური ელემენტების წინააღმდეგ.

თქვენი წერილებიდან ჩანს, რომ თქვენ არ იწონებთ ჩვენი პარტიის ასეთ პოლიტიკას. ეს, ჯერ-ერთი, იმიტომ არის, რომ თქვენ ერთმანეთში ურევთ ახალ, სოციალისტურ ერებსა და ძველ, ბურჟუაზიულ ერებს და არ გესმით ის, რომ

ჩვენი ახალი საბჭოთა ერების ნაციონალური კულტურები თავიანთი **შინაარსით** სოციალისტური კულტურები არიან. მეორეც, ეს იმიტომ არის, რომ თქვენ — ბოდიშს ვიხდი უხეშობისათვის, — სერიოზულად მოიკოჭლებთ ლენინიზმის საკითხებში და ძალიან ცუდად ერკვევით ნაციონალურ საკითხში.

ყურადღება მიაქციეთ თუნდაც შემდეგ ელემენტარულ საქმეს. ჩვენ ყველანი ვლაპარაკობთ ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის აუცილებლობის შესახებ. თუ ამ საქმეს სერიოზულად მოვეპყრობით და არა ტყუილუბრალოდ ვილაყბებთ, საჭიროა პირველი ნაბიჯი მაინც გადავდგათ ამ მიმართულებით: უწინარეს ყოვლისა დაწყებითი განათლება სავალდებულო გავხადოთ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეთათვის, განურჩევლად ეროვნებისა, შემდეგ კი — საშუალო განათლებაც. ცხადია, უამისოდ შეუძლებელია ჩვენი ქვეყნის რაიმე კულტურული განვითარება, ეგრეთწოდებულ კულტურულ რევოლუციაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. უფრო მეტიც: უამისოდ ჩვენ არ გვექნება არც მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა, არც ჩვენი ქვეყნის საიმედო თავდაცვა.

ხოლო როგორ გავაკეთოთ ეს, თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის პროცენტი ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ძალიან დიდია, რომ ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ ერებში წერა-კითხვის უცოდინარნი 80 — 90 პროცენტს შეადგენენ?

ამისათვის აუცილებელია მოვფინოთ ჩვენი ქვეყანა დედაენაზე მომუშავე სკოლების უხვი ქსელით, მოვამარაგოთ ეს სკოლები დედაენის მცოდნე მასწავლებელთა კადრებით.

ამისათვის საჭიროა გავაეროვნულოთ, ე. ი. შემადგენლობით ეროვნული გავხადოთ, მმართველობის მთელი აპარატე-

ბი, პარტიულიდან და პროფკავშირულიდან სახელმწიფო და სამეურნეო აპარატებამდე.

ამისათვის საჭიროა მოვაწყოთ პრესა, თეატრები, კინო და სხვა კულტურული დაწესებულებანი დედაენაზე.

გვეკითხებიან — რატომ დედაენაზე? იმიტომ, რომ ხალხის მილიონიან მასებს შეუძლიათ კულტურული, პოლიტიკური და სამეურნეო განვითარების საქმეში წარმატებებს მიაღწიონ მხოლოდ დედაენაზე, ეროვნულ ენაზე.

ყოველივე ნათქვამის შემდეგ, მე მგონია, არც ისე ძნელია იმის გაგება, რომ ლენინელები ნაციონალურ საკითხში ვერავითარ სხვა პოლიტიკას ვერ აწარმოებენ, გარდა იმისა, რომელიც ახლა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, თუ, რასაკვირველია, მათ სურთ ლენინელები დარჩნენ.

ხომ ასეა?

მაშ, მოდით ამით დავამთავროთ.

ვფიქრობ, რომ პასუხი გავეცი ყველა თქვენს კითხვასა და ეჭვებზე.

კომ. სალამით **ი. სტალინი**

1929 წ. 18 მარტი.

იბეჭდება პირველად.

შენიშვნები

1 ციმბირში მოგზაურობის დროს, რაც 1928 წლის 15 იანვრიდან 6 თებერვლამდე გრძელდებოდა, ი. ბ. სტალინმა ინახულა ამ მხარის პურის ძირითადი რაიონები. ი. ბ. სტალინმა მონაწილეობა მიიღო საკავშირო კ. პ. (ბ) ციმბირის სამხარეო კომიტეტის ბიუროს სხდომაში ნოვოსიბირსკში, საკავშირო კ. პ. (ბ) ბარნაულის, ბიისკის, რუბცოვსკისა და ომსკის საოკრუგო კომიტეტების ბიუროების სხდომებში და საოკრუგო პარტიული ორგანიზაციების აქტივის თათბირებში საბჭოებისა და დამამზადებელი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად. ი. ბ. სტალინის მიერ გატარებულ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა მეოხებით ციმბირის პარტიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს პურის დამზადების გეგმის შესრულება. — **1.**

2 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 24, გვ. 51. — **9.**

3 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 24, გვ. 465. — **9.**

4 საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1927 წლის 2 — 19 დეკემბერს. ყრილობამ განიხილა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ანგარიშები, ცენტრალური სარევიზიო კომისიის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის — მუშაგლეხთინის ანგარიშები, ანგარიში საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციისა კომინტერნის აღმასკომში, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შედგენის დირექტივები, მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ, მოისმინა მოხსენება ყრილობის კომისიისა ოპოზიციის საკითხზე და აირჩია პარტიის ცენტრალური და-

წესებულებანი. ი. ბ. სტალინი 3 დეკემბერს გამოვიდა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშით და 7 დეკემბერს წარმოთქვა საბოლოო სიტყვა. 12 დეკემბერს ყრილობამ ი. ბ. სტალინი აირჩია კომისიაში, რომელსაც უნდა შეემუშავებინა რეზოლუცია კომინტერნის აღმასკომში საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის მუშაობის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო. ყრილობამ მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი და დაავალა მას მომავალშიც განეხორციელებინა მშვიდობისა და სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების პოლიტიკა, შეუსუსტებელი ტემპით განევრძო ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, გაეფართოებინა და განემტკიცებინა სოციალისტური სექტორი ქალაქად და სოფლად და აღებული ჰქონოდა გეზი სახალხო მეურნეობაში კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისაკენ. ყრილობამ მოგვცა დირექტივა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის პირველი ხუთწლიანი გეგმის შედგენის შესახებ. ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ყოველმხრივ გაშლის შესახებ, დასახა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაფართოების გეგმა და მისცა პარტიას მითითებანი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის საშუალებათა შესახებ. საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობა პარტიის ისტორიაში შევიდა როგორც კოლექტივიზაციის ყრილობა. თავის გადაწყვეტილებებში ოპოზიციის შესახებ, რომლებიც მიმართული იყო ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ლიკვიდაციისაკენ, ყრილობამ აღნიშნა, რომ უთანხმოება პარტიასა და ოპოზიციას შორის გადაიზარდა პროგრამულ უთანხმოებად, რომ ტროცკისტული ოპოზიცია დაადგა ანტისაბჭოთა ბრძოლის გზას, და გამოაცხადა, რომ ტროცკისტულ ოპოზიციაში ყოფნა და მის შეხედულებათა პროპაგანდა შეუთავსებელია ბოლშევიკური პარტიის რიგებში ყოფნასთან. ყრილობამ მოიწონა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული კრების (1927 წ. ნოემბერი) დადგენილება პარტიიდან ტროცკისა და ზინოვიევის გარიცხვის შესახებ და დაადგინა პარტიიდან გარიცხული ყოფილიყო ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ყველა აქტიური მოღვაწე. (საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 375 — 377. ყრილობის რეზოლუციები და დადგენილებანი იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუ-

მების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 222 — 262). — **10.**

5 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 251. — **10.**

6 ლაპარაკია დისკუსიაზე, რომელიც პარტიას თავს მოახვია ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ოპოზიციურმა ბლოკმა. საერთო-პარტიული დისკუსია პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადა 1927 წლის ოქტომბერში, საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობამდე ორი თვით ადრე. დისკუსიის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 370 — 371. — **14.**

7 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 255. — **18.**

8 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრთა მონაწილეობით მიმდინარეობდა 1928 წლის 6 — 11 აპრილს. პლენუმმა განიხილა მიმდინარე წლის პურის დამზადებისა და 1928/29 წლისათვის პურის დამზადების კამპანიის ორგანიზაციის საკითხი, მოხსენება პოლიტბიუროს კომისიისა შახტის საქმესთან დაკავშირებით გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის პრაქტიკული ღონისძიებების შესახებ, საკავშირო კ. პ. (ბ) პოლიტბიუროს და ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის გეგმა 1928 წლისათვის. ი. ბ. სტალინმა პლენუმის 10 აპრილის სხდომაზე წარმოთქვა სიტყვა პოლიტბიუროს კომისიის მოხსენების გამო და არჩეულ იქნა შახტის საქმის შესახებ და სამეურნეო მშენებლობის ნაკლოვანებებთან ბრძოლის პრაქტიკული ამოცანების შესახებ რეზოლუციის საბოლოო რედაქტირებისათვის შექმნილ კომისიაში. პლენუმმა მიიღო განსაკუთრებული დადგენილება იმის შესახებ, რომ ყოველწლიურად ადგილებზე მივლინებული ყოფილიყვნენ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები ადგილობრივი მუშაობის ნაკლოვანებებთან ბრძოლის გაძლიერებისა და ცენტრალური ორგანოების ხელმძღვანელობის პრაქ-

ტიკის გაუმჯობესების მიზნით. (საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის რეზოლუციები იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 263 — 276). — **30.**

9 იგულისხმება ბურჟუაზიული სპეციალისტების კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მავნებლური საქმიანობა დონბასის შახტის და სხვა რაიონებში. ეს ორგანიზაცია აღმოჩენილ იქნა 1928 წლის დამდეგს. შახტის საქმის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 38 — 39, 58 — 69. იხ. აგრეთვე «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი». 1947, გვ. 380 — 381. — **30.**

10 **«მუშურ-გლეხური ინსპექციის ფურცელი»** პერიოდულად იბეჭდებოდა გაზეთ «პრავდაში» 1928 წლის 15 მარტიდან 1933 წლის 28 ნოემბრამდე. «მუშურ-გლეხური ინსპექციის ფურცელი» მიზნად ისახავდა მშრომელთა ფართო მასების ჩაბმას ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში. — **36.**

11 **«კომსომოლსკაია პრავდა»** — ყოველდღიური გაზეთი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის ორგანო; გამოდის 1925 წლის 24 მაისიდან. — **36.**

12 ვ. ი. ლენინი. წერილი ვ. მ. მოლოტოვს პარტიის XI ყრილობაზე პოლიტმოხსენების გეგმის შესახებ (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 207). — **40.**

13 რკპ(ბ) VIII ყრილობამ, რომელიც 1919 წლის 18 — 23 მარტს მოსკოვში მიმდინარეობდა, განსაზღვრა პარტიის ახალი პოლიტიკა საშუალო გლეხობის მიმართ — საშუალო გლეხთან მტკიცე კავშირის პოლიტიკა. ამ პოლიტიკის საფუძვლები მოცემული იყო ვ. ი. ლენინის მიერ მოხსენებაში სოფლად მუშაობის შესახებ (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXIV, გვ. 158 — 175. რკპ(ბ) VIII ყრილობის შესახებ იხ. «საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი», 1947, გვ. 301 — 305). — **52.**

14 იგულისხმება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს 1926 წლის 29 მარტის ცირკულარი № 33 «სამრეწველო სა-

კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 807 — 809). — **108.**

22 ვ. ი. ლენინი. «პიტირიმ სოროკინის საგულისხმო აღიარება» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXIII, გვ. 294). — **111.**

23 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1941, გვ. 292. — **114.**

24 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXIV, გვ. 164. — **117.**

25 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXIV, გვ. 127. — **122.**

26 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1941, გვ. 307, 309. — **128.**

27 საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის XVI საგუბერნიო კონფერენცია შესდგა 1927 წლის 20 — 28 ნოემბერს. ი. ბ. სტალინმა კონფერენციის 23 ნოემბრის დილის სხდომაზე წარმოთქვა სიტყვა «პარტია და ოპოზიცია» (იხ. თხზულებანი, ტ. 10, გვ. 269 — 286). — **125.**

28 ციტირებულია მარქსის მიერ «კაპიტალის» პირველი გერმანული გამოცემის წინასიტყვაობაში დევიზად მოყვანილი სიტყვები დანტეს «ღვთაებრივი კომედიიდან» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. I, 1948, გვ. 412 რუს. გამოც.). — **126.**

29 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 223. — **128.**

30 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 263 — 269. — **130.**

81 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 248. — **132.**

82 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 251. — **132.**

83 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I'I, 1941, გვ. 242. — **133.**

84 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. I, 1941, გვ. 307. — **135.**

85 კ. მარქსი. «თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა» (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოებნი ორ ტომად, ტ. I, 1948, გვ. 215 რუს. გამოც.). — **140.**

86 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 7, გვ. 244 — 245. — **141.**

87 იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 275. — **144.**

88 «ბირჟოვკა» — «ბირჟევიე ვედომოსტი» — ბულვარული ტიპის ბურჟუაზიული გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1880 წლიდან. გაზეთის უპრინციპობამ და მექრთამეობამ მისი სახელწოდება ზოგად სახელად გახადა. 1917 წლის ოქტომბრის დამლევს გაზეთი დახურა პეტროგრადის საბჭოს სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა. — **149.**

89 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. რომელიც 1928 წლის 4 — 12 ივლისს შესდგა, მოისმინა და ცნობად მიიღო საინფორმაციო მოხსენება კომინტერნის მომავალი VI კონგრესის საკითხების შესახებ და ძირითადად მოიწონა კომინტერნის პროგ-

რამის პროექტი. პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილებანი შემდეგ საკითხებზე: პურის დამზადების პოლიტიკის შესახებ საერთო სამეურნეო მდგომარეობასთან დაკავშირებით, ახალი (მარცვლეულის) საბჭოთა მეურნეობების მოწყობის შესახებ, ახალი სპეციალისტების მომზადების გაუმჯობესების შესახებ. ი. ბ. სტალინმა პლენუმის 5, 9 და 11 ივლისის სხდომებზე წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც ამ ტომში ჭვეყნდება. (საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციები იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 277 — 286). — **158.**

160 კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამის პროექტი, რომელიც საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა 1928 წლის ივლისში, შეიმუშავა კომინტერნის V კონგრესზე (1924 წ. ივნისი — ივლისი) შექმნილმა საპროგრამო კომისიამ. კომისიის შემადგენლობაში შედიოდა ი. ბ. სტალინი, რომელიც ხელმძღვანელობდა პროგრამის პროექტის შემუშავებას. პროექტი, რომელიც მიიღო კომინტერნის აღმასკომის საპროგრამო კომისიამ 1928 წლის 25 მაისს და მოიწონა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა, საფუძვლად დაედო კომუნისტური ინტერნაციონალის VI კონგრესზე (1928 წ. ივლისი — სექტემბერი) დამტკიცებულ კომინტერნის პროგრამას. პროგრამის პროექტის შესახებ იხ. ეს ტომი, გვ. 223 — 225. — **155.**

161 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXII, გვ. 435 — 468. — **161.**

162 1919 წლის 21 მარტს უნგრეთში გამოცხადდა საბჭოთა რესპუბლიკა. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. უნგრეთი მძიმე საფინანსო და სასურსათო კრიზისს განიცდიდა, ებრძოდა შინაგან კონტრრევოლუციასა და ანტანტას, რომელმაც მოაწყო ეკონომიური ბლოკადა და სამხედრო ინტერვენცია საბჭოთა უნგრეთის წინააღმდეგ. უნგრელი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც უნგრეთის რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ, გამცემლურ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ ზურგში და ფრონტზე, უთანხმდებოდნენ ანტანტის აგენტებს საბჭოთა ხელისუფლების დამხო-

ბის შესახებ. 1919 წლის აგვისტოში უნგრეთის რევოლუცია ჩაახშეს შინაგანი კონტრრევოლუციისა და ინტერვენტების გაერთიანებულმა ძალებმა. — **162.**

43 იგულისხმება ღრმა რევოლუციური კრიზისი გერმანიაში 1923 წლის შემოდგომაზე. მძლავრი რევოლუციური მოძრაობის შედეგად საქსონიასა და ტიურინგიაში შეიქმნენ მუშათა მთავრობები, ხოლო ჰამბურგში მუშების შეიარაღებული აჯანყება მოხდა. 1923 წლის რევოლუციამ გერმანიაში დამარცხება განიცადა. — **162.**

44 ვ. ი. ლენინი. «თავდაპირველი მონასახი თეზისებისა აგრარულ საკითხზე» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 266 — 278). — **165.**

45 იხ. «პროექტი კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამისა». მ. — ლ., 1928, გვ. 52. იხ. აგრეთვე ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 5, 190. — **169.**

46 კომინტერნის VI კონგრესი შესდგა მოსკოვში 1928 წლის 17 ივლისს — 1 სექტემბერს. კონგრესმა განიხილა ანგარიში კომინტერნის აღმასკომის მუშაობის შესახებ, ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომისა და ინტერნაციონალური საკონტროლო კომისიის საანგარიშო მოხსენებანი, იმპერიალისტური ომების საფრთხესთან ბრძოლის ღონისძიებანი, კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა, კოლონიურ და ნახევრად-კოლონიურ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის საკითხი, ეკონომიური მდგომარეობა სსრ კავშირში და მდგომარეობა საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ), დაამტკიცა კომინტერნის წესდება. კონგრესმა აღნიშნა კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა ზრდა, რომლებიც გარდუვალად იწვევენ კაპიტალისტური სტაბილიზაციის შერყევას და კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მკვეთრად გამწვავებას. კონგრესმა განსაზღვრა კომუნისტური ინტერნაციონალის ის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობდნენ მუშათა კლასის ბრძოლის ახალი პირობებიდან. რეზოლუციაში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) არსებული მდგომარეობის შესახებ კონგრესმა აღნიშნა სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი, ამ წარმატებათა მნიშვნელობა საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური პოზიციების გან-

მტკიცებისათვის და მოუწოდა მთელი მსოფლიოს მშრომელთ საბჭოთა კავშირის დაცვისაკენ. ი. ბ. სტალინი არჩეულ იქნა კონგრესის პრეზიდიუმში, საპროგრამო კომისიაში და საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ თეზისების შემმუშავებელ ჰოლიტიკურ კომისიაში. — **172.**

47 იხ. «რსფსრ საბჭოების ყრილობების დადგენილებებსა და რეზოლუციებში», მ., 1939, გვ. 225. — **182.**

48 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 274. — **184.**

49 «**ბედნოტა**» — ყოველდღიური გაზეთი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1918 წლის მარტიდან 1931 წლის იანვრამდე. — **184.**

50 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVII, გვ. 192. — **192.**

51 «**კრასნაია გაზეტა**» — ყოველდღიური გაზეთი; მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების ლენინგრადის საბჭოს ორგანო, გამოდიოდა 1918 წლის იანვრიდან 1939 წლის თებერვლამდე. — **198.**

52 იგულისხმება ადგილობრივი ეკონომიური თათბირები; არსებობდნენ 1921 — 1923 წლებში საბჭოების აღმასკომებთან. — **204.**

53 «**ნიჟნეე პოვოლჟიე**» — ყოველთვიური ჟურნალი; 1924 წლიდან შუა ვოლგის საოლქო და სარატოვის საგუბერნიო საგეგმო კომისიების, ხოლო 1926 წლიდან — სარატოვის საგუბერნიო და სამხარეო საგეგმო კომისიის ორგანო. 1932 წლის აგვისტოდან 1933 წლამდე ჟურნალს სცემდა სამხარეო საგეგმო კომისია სტალინგრადში. — **210.**

54 «**ხლებოცენტრი**» — მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების წარმოების, გადამუშავებისა და გასაღების სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სრულიად რუსეთის ცენტრალური კავშირი; არსებობდა 1926 წლიდან 1931 წლამდე. — **213.**

55 გილდიური სოციალიზმი — მარქსიზმისადმი უაღრესად მტრული მიმართულება სოციალ-დემოკრატიული რეფორმიზმის შიგნით; წარმოიშვა 900-იან წლებში ინგლისში. გილდიური სოციალიზმი უარყოფს სახელმწიფოს კლასობრივ ხასიათს, კლასობრივ ბრძოლას და პროლეტარიატის დიქტატურას, ქადაგებს მუშების, ინტელიგენტებისა და ტექნიკოსების გაერთიანებას ნაციონალური სამრეწველო გილდიების ფედერაციად და მათს გადაქცევას ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფარგლებში მრეწველობის მმართველობის ორგანოებად. უარყოფს რა ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებს, გილდიური სოციალიზმი უმოქმედობისათვის და ბურჟუაზიისადმი სრული დამორჩილებისათვის განწირავს მუშათა კლასს. — **224.**

56 ეს მიმართვა დაწერილია ი. ბ. სტალინის მიერ «თავდაცვის კვირეულთან» დაკავშირებით, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩატარდა 1928 წლის 15-დან 22 ივლისამდე. — **241.**

57 მუშა და გლეხ ქალთა პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა მიმდინარეობდა მოსკოვში 1918 წლის 16 — 21 ნოემბერს. ყრილობა მოიწვია რკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მუშა და გლეხ ქალთა პოლიტიკური განათლების საქმის ორგანიზაციის, სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის მათი მოზიდვის მიზნით. ყრილობას 1 147 დელეგატი დაესწრო. 19 ნოემბერს ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა ვ. ი. ლენინმა. (ყრილობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXIII, გვ. 285 — 286 და ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 5, გვ. 383 — 386). — **269.**

58 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრების მონაწილეობით მიმდინარეობდა 1928 წლის 16-დან 24 ნოემბრამდე. პლენუმმა განიხილა სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრები 1928/29 წლისათვის, აგრეთვე საკითხები: 7-საათიანი სამუშაო დღის პირველი შედეგებისა და შემდგომი გატარების შესახებ, მუშების შეგროვებისა და პარტიის ზრდის რეგულირების შესახებ, საკავშირო კ. პ. (ბ) ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოხსენება სოფლად მუშაობისა და მიწათმოქმედების განვითარების ღონისძიებათა შესახებ. სიტყვა «ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)

მემარჯვენე გადახრის შესახებ» ი. ბ. სტალინმა წარმოთქვა 19 ნოემბერს დღის წესრიგის პირველ საკითხზე. 20 ნოემბერს პლენუმმა ი. ბ. სტალინი აირჩია სახალხო მეურნეობის 1928/29 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ რეზოლუციის სარედაქციო კომისიაში. (საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუციები იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 287 — 310). — **270.**

59 1928 წლის 21 ნოემბერს სმოლენსკის სამკერვალო ფაბრიკა «კატუშკაში» შესდგა საბჭოების არჩევნების საუკეთესოდ ჩატარებისათვის საგუბერნიო შეჯიბრების მოწყობისადმი მიძღვნილი მიტინგი. ამ მიტინგზე მუშებმა გადაწყვეტილება მიიღეს უზრუნველეყოთ მუშებისა და მათი ოჯახის წევრების უკლებლივ მონაწილეობა საბჭოების არჩევნებში, მოეწყოთ წინასაარჩევნო მიტინგი-გამოძახება და გამოწვევა გაუგზავნეს იარცევოს საფეიქრო ფაბრიკისა და სმოლენსკის, ბრიანსკისა და კალუგის გუბერნიების სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშებს. მუშებმა ი. ბ. სტალინსა და მ. ი. კალინინს მიმართეს წერილით, რომელშიც აუწყებდნენ, რომ ი. ბ. სტალინი და მ. ი. კალინინი არჩეულ იქნენ წინასაარჩევნო მიტინგ-გამოძახების საპატიო თავმჯდომარეებად, და სთხოვდნენ მიეცათ მითითებანი საბჭოების არჩევნების საუკეთესოდ ჩატარებისათვის შეჯიბრების მოწყობის საკითხზე. — **322.**

60 იხ. «კომინტერნის VI კონგრესის სტენოგრაფიული ანგარიში. ნაკვეთი 6. თეზისები, რეზოლუციები, დადგენილებანი, მოწოდებანი». მ. — ლ., 1929, გვ. 57. — **328.**

61 პროფესიულ კავშირთა წითელი ინტერნაციონალის IV კონგრესი მიმდინარეობდა მოსკოვში 1928 წლის 17 მარტიდან 3 აპრილამდე. კონგრესმა განიხილა საკითხები: საერთაშორისო პროფესიული მოძრაობის შედეგები და მორიგი ამოცანები; პროფესიულ მოძრაობაში მუშა ახალგაზრდობის შესახებ; ორგანიზაციული საკითხი; ფაშიზმთან და ყვითელ პროფკავშირებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ; პროფესიული მოძრაობა კოლონიურ და ნახევრად-კოლონიურ ქვეყნებში და სხვ.. თავის გადაწყვეტილებებში კონგრესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კაპიტალიზმის სტაბილიზაციის უფრო და უფრო შერყევის ვითარებაში კლასობრივი ბრძოლა ძლიერდება და მწვავ-

დება, და რომ პროფინტერნის მთელი საქმიანობა მიმართული უნდა იყოს მასების მიმხრობისაკენ და კაპიტალის წინააღმდეგ მათი ბრძოლის ხელმძღვანელობისაკენ. კონგრესმა აღნიშნა, რომ პროფინტერნის ცენტრალური ამოცანაა რეფორმისტული პროფკავშირების დაპყრობა და გაფიცვებისადმი ხელმძღვანელობა მიუხედავად რეფორმისტული ლიდერების წინააღმდეგობისა. რეზოლუციაში ორგანიზაციულ საკითხებზე კონგრესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რევოლუციურმა პროფკავშირებმა ყოველდღიური მუშაობა უნდა აწარმოონ პროფესიულ ორგანიზაციებში პროლეტარიატის ფართო ფენების მოზიდვისათვის. — **333**.

62 იხ. «კომინტერნის VI კონგრესის სტენოგრაფიული ანგარიში. ნაკვეთი 6. თეზისები, რეზოლუციები, დადგენილებანი, მოწოდებანი». მ. — ლ., 1929, გვ. 80. — **336**.

63 იგულისხმება კომინტერნის II კონგრესის რეზოლუცია «კომუნისტურ ინტერნაციონალში მიღების პირობები», რომელიც დამტკიცებულ იქნა 1920 წლის 6 აგვისტოს. ამ რეზოლუციის თეზისები, რომლებიც განხილულ იქნა სპეციალურ კომისიაში და განსახილველად წარედგინა კონგრესს, დაწერილი იყო ვ. ი. ლენინის მიერ (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXV, გვ. 279 — 284). — **337**.

64 იგულისხმება რეზოლუცია «სახალხო მეურნეობის 1928/29 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ», რომელიც შემუშავებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის კომისიაში ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით და მიღებულ იქნა პლენუმის 1928 წლის 24 ნოემბრის სხდომაზე. რეზოლუციის დასკვნითს ნაწილში პლენუმმა აღნიშნა ორ ფრონტზე ბრძოლის აუცილებლობა და განსაზღვრა მემარჯვენე საფრთხის როგორც საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) მთავარი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები (იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 296 — 297). — **343**.

65 პარტიის XV ყრილობის რეზოლუცია «ოპოზიციის შესახებ» იხ. «საკავშირო კომპარტია (ბ) ყრილობების, კონფერენციებისა და

ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნ. II, 1941, გვ. 259 — 261. — **848.**

66 «რულ» — თეთრგვარდიელ ემიგრანტ კადეტთა გაზეთი; გამოდიოდა ბერლინში 1920 წლის ნოემბრიდან 1931 წლის ოქტომბრამდე. — **849.**

67 ვ. ი. ლენინი. «თავდაპირველი პროექტი რკპ X ყრილობის რეზოლუციისა პარტიის ერთიანობის შესახებ» (იხ. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXVI, გვ. 259 — 260). — **851.**

68 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-3, ტ. XXIX, გვ. 229. — **857.**

69 «გოლოვანოველობამ» თავი იჩინა თეატრალურ მუშაკთა ერთი ნაწილის ცდებით — გადმოეტანათ საბჭოთა თეატრში ძველი, ბურჟუაზიული ზნე-ჩვეულება და მუშაობის მეთოდები. 1926 — 1928 წლებში დიდი თეატრის მსახიობთა ჯგუფი დირიჟორ გოლოვანოვის მეთაურობით ილაშქრებდა რეპერტუარის განახლების წინააღმდეგ. იმის წინააღმდეგ, რომ შექმნილიყო ახალი, მშრომელთა ფართო ფენების გაზრდილი მოთხოვნებისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესაფერი რეპერტუარი. ეს ჯგუფი თავს უპირდაპირებდა თეატრის კოლექტივს და უარს ამბობდა ახალგაზრდა არტისტული ძალების დაწინაურებაზე. საბჭოთა თეატრის მუშაობის გარდაქმნისათვის პარტიის მიერ მიღებულმა ზომებმა უზრუნველყო «გოლოვანოველობის» დაძლევა. — **863.**

70 ი. ბ. სტალინის მისასალმებელი დეპეშა პროსკუროვში წითელი ცხენოსანი დივიზიის წითელ კაზაკთა პირველი პოლკის წითელარმიელებს, მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობას გაეგზავნა წითელი არმიის მეთერთმეტე წლისთავის დღესასწაულისათვის. — **867.**

71 «სელსკოხოზიაისტვენნაია გაზეტა» — ყოველდღიური გაზეთი, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ორგანო. გამოდიოდა 1929 წლის 1 მარტიდან 1930 წლის 29 იანვრამდე, შემდეგ გადაკეთდა გაზეთად «სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე». — **868.**

72 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 1, გვ. 169 — 170. — **374.**

73 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 326, 335. — **375.**

74 ი. ბ. სტალინი. «აღმოსავლეთის ხალხთა უნივერსიტეტის პოლიტიკური ამოცანების შესახებ» (იხ. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 146 — 168). — **378.**

75 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 7, გვ. 152 — 153. — **381.**

76 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 22, გვ. 135 — 136. — **382.**

77 იხ. ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 20, გვ. 23. — **388.**

78 იხ. ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 335. — **389.**

ბიოგრაფიული ქრონიკა

(1928 — მარტი 1929)

1928

7 იანვარი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანს ს. მ. კიროვს.

10 იანვარი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ტვერის ბამბეულის ტრესტის გამგეობის თავმჯდომარეს წარმოების რაციონალიზაციის საკითხებზე.

11 იანვარი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება ბრიანსკის გუბერნიის პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლებს მრეწველობის მუშაობისა და კოლექტიური ხელშეკრულებების შესახებ.

13 იანვარი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის, «ხლებოცენტრის», «ხლებოპროდუქტისა» და სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებს.

15 იანვარი. ი. ბ. სტალინი ციმბირს მიემგზავრება იმის გამო, რომ მხარეში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პურის დამზადება.

18 იანვარი. ი. ბ. სტალინი ქ. ნოვოსიბირსკში მონაწილეობას იღებს საკავშირო კ. პ. (ბ) ციმბირის სამხარეო კომიტეტის ბიუროს სხდომაში დამამზადებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

22 იანვარი. ი. ბ. სტალინი ქ. ბარნაულში ატარებს საკავშირო კ. პ. (ბ) ბარნაულის ორგანიზაციის აქტივის თათბირს ბიისკისა და რუბცოვსკის საოკრუგო პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით პურის დამზადების გეგმის შესრულების საკითხზე.

28 იანვარი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) რუბცოვსკის საოკრუგო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე ამბობს სიტყვას ოკრუგში პურის დამზადების მიმდინარეობის შესახებ.

27, 28 იანვარი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ომსკის საოკრუგო კომიტეტის ბიუროს სხდომებზე მონაწილეობას იღებს პურის დამზადების საკითხის განხილვაში.

6 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ციმბირში მოგზაურობიდან მოსკოვში დაბრუნდა.

9 — 25 თებერვალი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს კომინტერნის ალმასკომის IX პლენუმის მუშაობაში.

10 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება საკავშირო კ. პ. (ბ) ნიჟნი-ნოვგოროდის საგუბერნიო კომიტეტის მდივანს ა. ა. ჟდანოვს.

18 თებერვალი. ი. ბ. სტალინმა დაწერა წერილი საკავშირო კ. პ. (ბ) ყველა ორგანიზაციისადმი — «დამზადების კამპანიის პირველი შედეგები და პარტიის შემდგომი ამოცანები».

23 თებერვალი. ი. ბ. სტალინის მისალმება წითელი არმიის ათი წლისთავის გამო გამოქვეყნებულია გაზეთ «კრასნაია ზვეზდაში» № 46.

25 თებერვალი. ი. ბ. სტალინი წითელი არმიის მეათე წლისთავისადმი მიძღვნილ მოსკოვის საბჭოს პლენუმის საზე-

იმო სხდომაზე ამბობს სიტყვას «წითელი არმიის სამი თავისებურების შესახებ».

26 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ესწრება წითელი არმიის მეათე წლისთავის აღსანიშნავად გამართულ მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადსა და მშრომელთა დემონსტრაციას წითელ მოედანზე მოსკოვში.

ი. ბ. სტალინმა ინახულა რევოლუციური რუსეთის მხატვართა ასოციაციის გამოფენა, მიძღვნილი წითელი არმიის ათი წლისთავისადმი.

21 მარტი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება გაზეთ «პრავდისა» და ჟურნალ «ბოლშევიკის» რედაქციების მუშაკებს.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება საკავშირო კ. პ. (ბ) ომსკის საოკრუგო კომიტეტის მდივანს პურის დამზადების საკითხზე.

28 მარტი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება საკავშირო კ. პ. (ბ) სტალინგრადის საგუბერნიო კომიტეტისა და საგუბერნიო აღმასკომის წარმომადგენლებს დარაიონების საკითხებზე.

6 — 11 აპრილი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის მუშაობას.

10 აპრილი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის სხდომაზე ამბობს სიტყვას შახტის საქმესთან დაკავშირებით გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის პრაქტიკული ღონისძიებების შესახებ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კომისიის მოხსენების გამო. პლენუმი ი. ბ. სტალინს ირჩევს ამ საკითხზე რეზოლუციის საბოლოო რედაქტირებისათვის შექმნილ კომისიაში.

18 აპრილი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე გამოდის მოხსენებით «ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის გაერთიანებული პლენუმის მუშაობის შესახებ».

30 აპრილი. ი. ბ. სტალინი სწერს მისალმებას ქ. კოსტრომის მუშებს 1928 წლის 1 მაისს კოსტრომაში ვ. ი. ლენინის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით.

1 მაისი. ი. ბ. სტალინი ესწრება მოსკოვის გარნიზონის ჯარების საპირველმაისო პარადს და მშრომელთა დემონსტრაციას წითელ მოედანზე მოსკოვში.

9 მაისი. ი. ბ. სტალინმა მიიღო ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტთა დელეგაცია.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ლითონის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსს ლითონის მრეწველობის რეკონსტრუქციის საკითხებზე.

16 მაისი. ი. ბ. სტალინი სიტყვას ამბობს საკავშირო ალკკ VIII ყრილობაზე.

26 მაისი. ი. ბ. სტალინმა დაწერა მისალმება «კომსომოლსკაია პრავდისადმი» გაზეთის სამი წლის იუბილესთან დაკავშირებით. მისალმება გამოქვეყნებულია «კომსომოლსკაია პრავდაში» № 122, 1928 წლის 27 მაისს.

27 მაისი. ი. ბ. სტალინის მისალმება ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტისადმი, უნივერსიტეტის ათი წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 122.

28 მაისი. ი. ბ. სტალინი მოსკოვის დიდ თეატრში ესწრება ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის ათი წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას.

ი. ბ. სტალინი ესაუბრება წითელი პროფესურის ინსტიტუტის, კომუნისტური აკადემიისა და ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტებს პურის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

30 მაისი. ი. ბ. სტალინმა მიიღო საკავშირო კ. პ. (ბ) ტულის, სმოლენსკის, იაროსლავლისა და ვლადიმირის საგუბერნიო კომიტეტების მდივნები.

8 ივნისი. ი. ბ. სტალინი სწერს წერილს კომაკადემიასთან არსებული პარტმშენებლობის წრის წევრებს თვითკრიტიკის შესახებ სლეპკოვის თეზისების გამო.

12 ივნისი. ი. ბ. სტალინმა დაწერა სტატია «ლენინი და საშუალო გლეხთან კავშირის საკითხი. პასუხი ამხ. ს. — ს». სტატია გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 152, 1928 წლის 3 ივლისს.

20 ივნისი. ი. ბ. სტალინი სწერს წერილს «ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს. პასუხი ფრუმკინს. (ფრუმკინის 1928 წ. 15 ივნისის წერილის გამო)».

26 ივნისი. ი. ბ. სტალინის სტატია «თვითკრიტიკის ლოზუნგის გაუხამსების წინააღმდეგ» გამოქვეყნებულია გაზეთ «პრავდაში» № 146.

4 — 12 ივლისი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

5 ივლისი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე ამბობს სიტყვას «კომინტერნის პროგრამის შესახებ».

9 ივლისი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე ამბობს სიტყვას «ინდუსტრიალიზაციისა და პურის პრობლემის შესახებ».

11 ივლისი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე ამბობს სიტყვას «მუშათა და გლეხთა კავშირისა და საბჭოთა მეურნეობების შესახებ».

13 ივლისი.. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე აკეთებს მოხსენებას «საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ».

15 ივლისი. ი. ბ. სტალინის მიმართვა «ლენინგრადის თავდაცვა-ავიაქიმს», «თავდაცვის კვირეულთან» დაკავშირებით, გამოქვეყნდა «კრასნაია გაზეტას» № 163-ში (ლენინგრადი).

17 ივლისი. ი. ბ. სტალინს კომინტერნის VI კონგრესის სხდომაზე ირჩევენ კონგრესის პრეზიდიუმის წევრად.

ი. ბ. სტალინი მონაწილეობს კომინტერნის VI კონგრესზე საკავშირო კ. პ. (ბ) დელეგაციის სხდომაში და მას ირჩევენ დელეგაციის ბიუროში.

19 ივლისი. ი. ბ. სტალინს კომინტერნის VI კონგრესის სხდომაზე ირჩევენ კომინტერნის პროგრამის შემმუშავებელ კომისიაში.

30 ივლისი. ი. ბ. სტალინს კომინტერნის VI კონგრესის სხდომაზე ირჩევენ საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ თეზისების შემმუშავებელ პოლიტიკურ კომისიაში.

31 აგვისტო. ი. ბ. სტალინი სწერს წერილს ვ. ვ. კუიბიშევს.

1 სექტემბერი. ი. ბ. სტალინს კომინტერნის VI კონგრესის სხდომაზე ირჩევენ კომინტერნის აღმასკომის წევრად.

8 სექტემბერი. ი. ბ. სტალინს კომინტერნის აღმასკომის პლენუმის სხდომაზე ირჩევენ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

9 ოქტომბერი. გაზეთ «პრავდაში» № 235 გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის მიერ დაწერილი ნეკროლოგი «ამხ. ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის ხსოვნას».

12 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის დაკრძალვაში.

19 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე ამბობს სიტყვას «მემარჯვენე საფრთხის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ)».

27 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინმა დაწერა «პასუხი ამხ. შ — ს».

ი. ბ. სტალინმა მიიღო რკინიგზელთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

28 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინის მისალმება «ლენინურ კომკავშირს», საკავშირო ალკკ ათი წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» № 252-ში.

30 ოქტომბერი. ი. ბ. სტალინმა მიიღო პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან არსებული სტუდენტობის ცენტრალური ბიუროს წარმომადგენლები.

6 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ესწრება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომას, მიძღვნილს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეთერთმეტე წლისთავისადმი.

7 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ესწრება მოსკოვის გარნიზონის ჯარების პარადს და მშრომელთა დემონსტრაციას წითელ მოედანზე მოსკოვში.

16 — 24 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას.

17 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის მისალმება «მუშა და გლეხ ქალთა პირველი ყრილობის ათი წლისთავისათვის» გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» № 267-ში.

19 ნოემბერი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე ამბობს სიტყვას «ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) მემარჯვენე გადახრის შესახებ».

20 ნოემბერი. ი. ბ. სტალინს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე ირჩევენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1928/29 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ რეზოლუციის სარედაქციო კომისიაში.

25 ნოემბერი. ი. ბ. სტალინის წერილი სმოლენსკის გუბერნიის ფაბრიკა «კატუშკისა» და იარცევოს ფაბრიკის მუშებისადმი, საბჭოების არჩევნების კამპანიის საუკეთესოდ ჩატარებისათვის შეჯიბრების მოწყობასთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» № 274-ში.

26 ნოემბერი. ი. ბ. სტალინმა მიიღო საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის რაიკომების მდივნები.

27 ნოემბერი. ი. ბ. სტალინმა მიიღო ხელმძღვანელი კომკავშირელი მუშაკები.

29 ნოემბერი. ი. ბ. სტალინმა დაწერა მისალმება ჭარხანა «კრასნი პროფინტერნის» (ქ. ბეჟიცა) მუშებისადმი საბჭოების არჩევნების კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით. მისალმება გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდაში» № 278, 1928 წლის 30 ნოემბერს.

4 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება მუშა და გლეხ კორეს-პონდენტთა დელეგაციას.

8 დეკემბერი. ი. ბ. სტალინის მისალმება ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიისადმი, მისი ათი წლისთავის გამო, გამოქვეყნდა გაზეთ «პრავდის» № 286-ში.

12 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება გაზეთ «იზვესტიას» მუშაკებს.

19 დეკემბერი. ი. ბ. სტალინი კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე ამბობს სიტყვას «მემარჯვენე საფრთხის შესახებ გერმანიის კომპარტიაში».
ი. ბ. სტალინი ესაუბრება კომის ოლქის ხელმძღვანელ მუშაკებს დარაიონების საკითხებზე.

28 დეკემბერი. ი. ბ. სტალინმა დაწერა «პასუხი კუშტისევს».

1929

ივნისის პოლო და თებერვლის დასაწყისი. ი. ბ. სტალინი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე ამბობს სიტყვებს — «ბუხარინის ჯგუფი და მემარჯვენე გადახრა ჩვენს პარტიაში».

2 თებერვალი. ი. ბ. სტალინმა დაწერა «პასუხი ბილ-ბელოცერკოვსკის».

ი. ბ. სტალინმა დაწერა მისალმება ქარხანა «კრასნი ტრეუგოლნიკის» მუშებისა და მუშა-ქალებისადმი შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით. მისალმება გამოქვეყნდა გაზეთ «ლენინგრადსკაია პრავდაში» № 28, 1929 წლის 3 თებერვალს.

12 თებერვალი. ი. ბ. სტალინი ესაუბრება უკრაინელ მწერალთა დელეგაციას.

22 თებერვალი. ი. ბ. სტალინი მისასალმებელ დეპეშას უგზავნის პროსკუროვში წითელ კაზაკთა პირველი პოლკის წითელარმიელებს, უფშემადგენლობასა და პოლიტშემადგენლობას წითელი არმიის მეთერთმეტე წლისთავის გამო.

1 მარტი. ი. ბ. სტალინის მისალმება გაზეთ «სელსკოხოზიაისტვენნაია გაზეტას» გამოსვლასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა გაზეთის პირველ ნომერში.

14 მარტი. ი. ბ. სტალინს ლენინგრადის II საოლქო პარტიულ კონფერენციაზე ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტის წევრად.

18 მარტი. ი. ბ. სტალინმა დაწერა ნაშრომი «ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი. პასუხი ამხანაგებს მეშკოვს, კოვალჩუკსა და სხვებს».

30 მარტი. ი. ბ. სტალინი მონაწილეობას იღებს სსრ კავშირის ცაკისა და სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმების, სსრ კავშირისა და რსფსრ სახკომსაბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე, რომელიც შესდგა მ. ი. კალინინის პატივსაცემად სრულიად რუსეთის ცაკისა და სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარის პოსტზე ათი წლის განმავლობაში მის ყოფნასთან დაკავშირებით.

შინაარსი

ბ3·

წინასიტყვაობა VII

პურის დამზადებასა და სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებზე. 1928 წლის იანვრის გამოსვლებიდან ციმბირის სხვადასხვა რაიონში. (მოკლე ჩანაწერი) 1

დამზადების კამპანიის პირველი შედეგები და პარტიის შემდგომი ამოცანები. საკავშირო კ. პ. (ბ) ყველა ორგანიზაციას 11

მისალმება წითელი არმიის მეათე წლისთავისათვის 23

წითელი არმიის სამი თავისებურების შესახებ. სიტყვა წითელი არმიის მეათე წლისთავისადმი მიძღვნილ მოსკოვის საბჭოს საზეიმო პლენუმზე 1928 წ. 25 თებერვალს. 24

ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის აპრილის გაერთიანებული პლენუმის მუშაობის შესახებ. მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. 1928 წ. 13 აპრილი . . . . . 30 — 70

I. თვითკრიტიკის შესახებ 31

II. პურის დამზადების საკითხი 43

III. შახტის საქმე 58

IV. საერთო დასკვნა 69

მისალმება კოსტრომის მუშებს 71

სიტყვა საკავშირო ალკაჟ VIII ყრილობაზე. 1928 წ. 16 მაისი . . . . . 72 — 85

I. განამტკიცეთ მუშათა კლასის საბრძოლო მზადყოფნა 73

II. მოაწყეთ მასობრივი კრიტიკა ქვევიდან . . . 77

III. ახალგაზრდობა უნდა დაეუფლოს მეცნიერებას . 81

«კომსომოლსკაია პრავდას». სამი წლის იუბილეს გამო 86

სვერდლოვის უნივერსიტეტს. ათი წლის იუბილეს გამო 87

პურის ფრონტზე. საუბრიდან წითელი პროფესურის ინსტიტუტის, კომუნისტური აკადემიისა და სვერდლოვის უნივერსიტეტის სტუდენტებთან 1928 წ. 28 მაისს 89

წერილი კომუნისტურ აკადემიასთან არსებული პარტმშენებლობის წრის წევრებს . . . 107

ლენინი და სამუალო გლეხთან კავშირის საკითხი. პასუხი ამხ. ს — ს 111

ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს. პასუხი ფრუმკინს. (ფრუმკინის 1928 წ. 15 ივნისის წერილის გამო) 127

თვითკრიტიკის ლოზუნგის გაუხამსებების წინააღმდეგ 140

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. 1928 წ. 4 — 12 ივლისი. . . . . 153 — 216

კომინტერნის პროგრამის შესახებ. სიტყვა 1928 წ. 5 ივლისს 155

ინდუსტრიალიზაციისა და პურის პრობლემის შესახებ. სიტყვა 1928 წ. 9 ივლისს 173

მუშათა და გლეხთა კავშირისა და საბჭოთა მეურნეობების შესახებ. 1928 წ. 11 ივლისის სიტყვიდან 207

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგების შესახებ. მოხსენება საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე. 1928 წ. 13 ივლისი . . . . . 217 — 240

I. კომინტერნის საკითხები . . . . . 218 — 225

1. კომინტერნის VI კონგრესის ძირითადი პრობლემები 218

2. კომინტერნის პროგრამა 223

II. სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის საკითხები . . . . . 225 — 239

1. პურის დამზადების პოლიტიკის საკითხი . . 225

2. სამრეწველო მშენებლობისათვის კადრების შექმნის საკითხი 236

III. დასკვნა 239

ლენინგრადის თავდაცვა-ავიაქიმს 241

წერილი ამხ. კუიბიშევს 242

ამხ. ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვის ხსოვნას . . 243

მემარჯვენე საფრთხის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ). სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე. 1928 წ. 19 ოქტომბერი . . 244

პასუხი ამხ. შ — ს 263

ლენინურ კომკავშირს. მისალმება საკავშირო ალკაათი წლის იუბილეს დღეს 267

მუშა და გლეხ ქალთა პირველი ყრილობის ათი წლისთავისათვის 269

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) მემარჯვენე გადახრის შესახებ. სიტყვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. 1928 წ. 19 ნოემბერი . 270 — 321

I. ინდუსტრიის განვითარების ტემპის საკითხი . . 271

II. მარცვლეულის პრობლემა 283

III. გადახრებთან და მათდამი შემარიგებლობასთან ბრძოლის შესახებ 297

«კატუშკის» მუშებს, სმოლენსკის გუბერნიის იარცევოს ფაბრიკის მუშებს 322

ჭარხანა «კრასნი პროფინტერნის» მუშებს. ჭ. ბეჟიცა 324

მუშურ-გლეხური ფითელი არმიის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის ათი წლისთავისათვის 325

მემარჯვენე საფრთხის შესახებ გერმანიის კომპარტიაში. სიტყვა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე. 1928 წ. 19 დეკემბერი . . . 326 — 344

I. კაპიტალისტური სტაბილიზაციის პრობლემა . . 327

II. პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლების პრობლემა 330

III. გერმანიის კომპარტიის პრობლემა 334

IV. მემარჯვენენი გერმანიის კომპარტიაში და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) 340

V. დახურული და ღია წერილის პროექტების შესახებ 343

პასუხი კუშტისევს 345

აი სადამდე მივიდნენ 347

ბუხარინის ჯგუფი და მემარჯვენე გადახრა ჩვენს პარტიაში. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე 1929 წლის იანვრის დამლევს და თებერვლის დამდეგს წარმოთქმული სიტყვებიდან. (მოკლე ჩანაწერი) 353

პასუხი გილ-ბელოცერკოვსკის 362

«კრასნი ტრეუგოლნიკის» მუშებსა და მუშაქალებს 366

დეკემბრის პროსკურობში წითელ კაზაკთა პირველი პოლკის წითელარმიელებს, უფროსთა შემადგენლობასა და პოლიტშემადგენლობას . 367

მისალმება «სელსკოხოზიაისტვენნაია გაზეტას» 368

ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი. პასუხი ამხანაგებს მეშკოვს, კოვალჩუკსა და სხვებს . . . 369 — 393

1. «ერის» ცნება 369
2. ერების წარმოშობა და განვითარება . . . 372
3. ერებისა და ეროვნული ენების მომავალი . . 377
4. პარტიის პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში . . 387

შენიშვნები 394

ბიოგრაფიული ქრონიკა (1928 — მარტი 1929) . . . 410

ტირაჟი 35.000.
გადაეცა წარმოებას 30/XII — 1949.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VIII — 1950.
საბეჭდ ფორმათა რაოდენობა $27^{3}/_{8}$.
შეკვ. № 1944.
ფასი 6 მან.

•

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან
არსებული პოლიგრაფმრეწველობის,
გამომცემლობისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სამმართველოს 1-ლი სტამბა.
თბილისი. ორჯონიკიძის ქ. № 50.